შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა

კვლევები და ანოტირებული ბიბლიოგრაფია

ნაწილი II

თბილისი
2020

ანოტაციის შემდგენლები:
ნინო ბალანჩივაძე
ნესტან რატიანი
მარინე ტურაშვილი
რუსუდან ჩოლოყაშვილი
ეკა ჩხეიძე
ქრისტინე ცირეკიძე
თემურ ჯაგოდნიშვილი

რედაქტორი: **რუსუდან ჩოლოყაშვილი**

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: **რუსუდან ჩოლოყაშვილი**

„კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR17_160].“

„This work was supported by „Shota Rustaveli National Science Foundation of Grorgia (SRNSFG)“ [grant number FR17_160].“

© ნინო ბალანჩივაძე, ლევან ბრეგაძე, ნესტან რატიანი, მარინე ტურაშვილი, რუსუდან ჩოლოყაშვილი, ეკა ჩხეიძე, ქრისტინე ცირეკიძე, თემურ ჯაგოდნიშვილი.

დაიბეჭდა: შპს გამომცემლობა „ა2“

ISBN 978-9941-8-2901-7

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

რუსუდან ჩოლოყაშვილი, ქევინ თუითი
ქისტური თქმულებისა და ქართული „ეთერიანისა“
საერთო მითოსური ფესვები 7

თემურ ჯაგოდნიშვილი
1836-1927 წლების რუსული პერიოდიკის
მეცნიერულ-პოლიტიკური ასპექტები 13

ლევან ბრეგაძე
ქართული გამოცანები „მასალათა კრებულის...“ ფურცლებზე 24

ნესტან რატიანი
ერთი ხალხური ლეგენდის შესაძლო ორი მხარე 38

ეკა ჩხეიძე
ნიკოლოზ ბერძნიშვილის „კვალი წარსულისა“ 47

ნინო ბალანჩივაძე
იალბუზის მითოლოგემა კავკასიელ ხალხთა
ზეპირსიტყვიერებაში 56

მარინე ტურაშვილი
ცხოველთა ზღაპრების შედარებით-ტიპოლოგიური
ანალიზი (1836-1927 წლების რუსულ პრესაში
გამოქვეყნებული მასალის მიხედვით) 63

ქრისტინე ცირეკიძე
ამირანის ორი სახე 71

ანოტაციები
ქართული ზეპირსიტყვიერება და ეთნოლოგია 77

კავკასიური ზეპირსიტყვიერება და ეთნოლოგია 102

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული გახლავთ მეორე ნაწილი 2019 წ. გამოქვეყნებული „1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლისა (ანოტირებული ბიბლიოგრაფია)“. იქ ქართულ მონაცემებთან ერთად გამოქვეყნებულია: აფხაზური და ოსური ზეპირსიტყვერებისა და ეთნოლოგიის მონაცემებიც. აქ წარმოდგენილ ნაშრომში კი შესულია ამ პერიოდული გამოცემების ფურცლებზე ახლად მოძიებული თუ, გარკვეული თვალსაზრისით, სიახლის შემცველი მასალების ერთი ნაწილის კვლევა; აქვე იბეჭდება 2019 წ. გამოცემაში ვერ შეტანილი ქართული ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალის ნიმუშები და საქართველოს მკვიდრი ხალხის ქისტების ერთი თქმულება; ასევე წარმოდგენილ წიგნში გამოქვეყნებულია კავკასიის სხვადასხვა ხალხთა ფოლკლორული და ეთნოლოგიური მონაცემების ანოტაციათა გარკვეული ნაწილი. ეს გახლავთ: ადიღეელების, ჩერქეზების, ჩეჩნების, ინგუშების, ყაბარდო-ბალყარელების, ყალმუხების, ყარაჩაელების, ლეკების, ლეზგების მონაცემები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხალხთა მითოსური თუ ფოლკლორი სამყარო მსგავსი სულისკვეთების მატარებელია, ფაქტია, რომ ქართველ და, განსაკუთრებით, ჩრდილო კავკასიელ ხალხთა სულიერების ფესვები მეტ ნიუანსურ სიახლოვეს ამჟღავნებს. ამდენად, ეს მონაცემები სერიოზულ სამსახურს გაუწევს მკვლევართ ამ ხალხების უძველესი სიტყვიერებისა თუ ყოფის ამსახველ მონაცემთა ურთიერთ მიმართებაში შესასწავლად. ასევე თემატურ-პრობლემური ვექტორიდან გამომდინარე, როგორც ივარაუდებოდა, აუცილებელი გახდა: თალიშების, თათების,სომხების, მთიელი ებრაელების, თათრების და ჩრდილო კავკასიის მოსაზღვრე რეგიონის, ე.წ. „კავკაზსკაია ლინიის“, რუსი მოსახლეობის (კაზაკების) ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალის ანოტირება და მეცნიერულ ინტერესთა სფეროში შემოტანა. კავკასიის ჩრდილო კავკასიელი ხალხების ფოლკლორული და ეთნოლოგიური ჩანაწერების შემცველი ანოტაციების უმეტესი ნაწილი, ძირითადად თემურ ჯაგოდნიშვილის მომზადებულია. ამ ხალხთა შესაბამისი მონაცემების განხილვაც, რასაკვირველია, საინტერესოა ფოლკლორისტული და ეთნოლოგიური ხასიათის კვლევების ჩასატარებლად, რათა გაირკვეს, რა ტიპის გავლენას ახდენს სხვადასხვა კულტურის მქონე ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრება მათ სულიერ სამყაროსა და ყოფაზე.

უკვე თითქმის ორმა საუკუნემ განვლო ამ მასალათა მოძიებიდან, გამომზეურებიდან და მათ შესასწავლად ნარკვევებისა და გამოკვლევების გამოქვეყნებიდან.

რასაკვირველია, უფროსი თაობის ჩვენმა მკვლევრებმა იცოდნენ ამ მონაცემთა არსებობის შესახებ და თავიანთი ინტერესების ფარგლებში იყენებდნენ კიდეც მათ. მიუხედავად ამისა, დღეს უკვე ჩვენ მიერ წარმოდგენილი წიგნის ორივე ნაწილში რუსული პრესის ფურცლებიდან თავმოყრილ მონაცემთა ანოტაციების მიმართ გარკვეულად ნოსტალგიაც კი გაჩნდა. სამეცნიერო წრეებში თანდათან იკვეთება სურვილი და საჭიროება ამ საკითხთა მეტი სისრულით ერთად თავმოყრისა, წარმოჩენისა და სხვადასხვა ხალხთა მონაცემების ურთიერთ მიმართებაში ახლებურად წაკითხვისა. ამ ტიპის კვლევის საფუძველზე, ნამდვილად, არ არის გამორიცხული: სინათლე მოეფინოს დღეისათვის უკვე გაბუნდოვანებული სიუჟეტისა თუ მოტივის არსს; მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით მოხდეს ამჟამად არსებული ცოდნის დაზუსტება და შესაძლებელია – გადააზრებაც კი.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ რა მიზნითაც არ უნდა განხორციელებულიყო რუსი მოხელეების მიერ ამ მონაცემებით დაინტერესება, ზრუნვა მათ დასაფიქსირებლად და გამოსამზეურებლად, მან დიდი სიკეთე მოუტანა როგორც ქართველი, ასევე ზოგადად კავკასიელი ხალხების სულიერი კულტურის შესწავლის საქმეს. მას შემდეგ კი რაც ხელშესახები გახდა ქართული ზეპირსიტყვიერების მაღალმხატვრული დონე და ზოგადად მისი სულიერი სამყაროს სიღრმე, გაირკვა, რომ მის შესწავლას არ ჰქონდა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურა იმთავითვე მოექცა უცხოური აკადემიური წრეებისა და აღიარებული სპეციალისტების ყურადღების სფეროში.

რუსუდან ჩოლოყაშვილი

რუსუდან ჩოლოყაშვილი, ქევინ თუითი

ქისტური თქმულებისა და ქართული „ეთერიანისა“ საერთო მითოსური ფესვები[1]

ქისტური თქმულება „ვაზი სიყვარულისა“ ჩაწერილია თუშეთში ი. ცისკარიშვილის მიერ XIX საუკუნის II ნახევარში და რუსულ ენაზეა გამოქვაყნებული კრებულში „Зурна“. ეს ტექსტი გარდა იმისა რომ თარგმანია, სტილიზებულიც არის და მასში მხატრული ფერადოვანების გარეშეა გადმოცემული მშვენიერი ქისტი წყვილის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. აქ მოთხრობილია, თუ როგორ გახდა ახლობლის ღალატი ახალგაზრდა ქალ-ვაჟის დაუქორწინებლად გარდაცვალების მიზეზი: მწყემსმა თავისი ბატონი - ომერ-ალი შეცდომაში შეიყვანა, უთხრა - ჩვენს წყაროს ავი სული დაჰპატრონებიაო და წყაროსთან მჯდომი სატრფოს მომლოდინე - გაზელო მოაკვლევინა. ვაჟი როცა გამოერკვა, რა საშინელებაც მოხდა, ჯერ მოღალატე მწყემსი მოკლა, შემდეგ კი თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ნაწარმოების ენის სისადავიდან გამომდინარე ის შეიძლება ჩვეულებრივ გადმოცემად ჩაგვეთვალა, რომ არა ორი მნიშვნელოვანი გარემოება: მის დასაწყისსა და ფინალში ჩანს, როგორც თავად ნაწარმოების, ასევე მასში მონათხრობი ამბის კავშირი მითოსურ სამყაროსა და ტრადიციულ რიტუალებთან. კერძოდ, მის შესავალში ნათქვამია, რომ ეს თქმულება იცის ყველა ქისტმა და მას ყველა დიდ წვეულებაზე მღერიან; ნაწარმოების ბოლოს კი აღნიშნულია, რომ შეყვარებულთა საფლავიდან, რომელშიც ხალხმა მიჯნურები ერთად დამარხა, ამოიზარდა ორი ვაზი, რომელნიც ახლოს მყოფ ხეზე ასულნი გადაეჭდნენ ერთმანეთს მსგავსად მათ ქვეშ ჩასვენებული ქალ-ვაჟისა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ხალხს ეს გარემოება ღვთის ჩანაფიქრად გაუაზრებია და მას შემდეგ ეს ადგილი საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტად ქცეულა. ე. კასირერი ხომ აღნიშნავს, რომ ხალხი მხოლოდ ბუნების გარემოში არ ცხოვრობს, რამეთუ ის პირველ რიგში სიმბოლური სამყაროს მკვიდრია (კასირერი1983: 59). სწორედ ამიტომაც, ყოველი ახლად შეუღლებული წყვილი საქორწილო რიტუალის შესრულების შემდეგ თავს მოვალედ თვლის ეწვიოს ამ წმინდა საფლავს და სიყვარულის ვაზთან დადოს ერთგულების აღთქმა.

ტრადიციულად დამკვიდრებული ეს რიტუალი სწორედ იმის დასტურია, რომ ტრაგიკულად დაღუპულთა საფლავზე ამოსული ორი ვაზი და იქვე მყოფი ხე, რომელზეც ისინი ერთმანეთზეა გადაჭდობილი, მითოსური დატვირთვის მქონე სახე-სიმბოლოებია. ზოგიერთი ხალხის მითოსური წარმოდგენის მიხედვით თურმე ითვლებოდა, რომ ხის ამოსვლა გარდაცვლილი ღვთაებრივი არსების სხეულიდან ხდებოდა, ამის შესახებ მ.ელიადე წერს: In illo tempore ერთი ღვთიური არსება, რომელიც ძალიან ხშირად ახალგაზრდა ქალი ან გოგო უნდა ყოფილიყო, ანდა ბავშვი ან კაცი, დათანხმდა, რომ საკუთარი სხეული მსხვერ-

1. წინამდებარე ნაშრომის ინგლისური ვერსია გამოქვეყნდება ჟურნალ „სჯანში“, 2020.

პლად შეეწირათ, იმისათვის, რომ გორგლიანი (არა მარცვლოვანი) მცენარეები და ხილის ხეები მის სხეულზე აღმოცენებულიყო (ელიადე 2018:49).

ვაზისა და ხის მითოსური მნიშვნელობის ცოდნა დაგვეხმარება ამ ნაწარმოების დედაარსის მართებულად გააზრებაში. ამისთვის ჩვენ მოვიშველიებთ, ქისტების ახლობელი ხალხის- ქართველების ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოლოგიის მონაცემებს. ამ საკითხის შესასწავლად ქართული მასალის გამოყენების საჭიროებაში დავრწმუნდებით, როცა გავითვალისწინებთ ვაზის კულტის განსაკუთრებულ დანიშნულებას ტრადიციულ საქართველოში. ამ თვალსაზრისით, ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება მითოსური სიმბოლოებითა და მოტივებით უხვად გაჯერებული ქართული ხალხური ეპოსის „ეთერიანის“ განხილვას ქისტურ ნაწარმოებთან მიმართებაში, რადგანაც მისი ფინალი და, შესაბამისად, დედააზრიც სრულად იდენტურია ქისტური თქმულებისა.

ქართველი ეთნოლოგების მიერ ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ვაზისა და საერთოდ ხის მითოსური სახე-სიმბოლოს მნიშვნელობა კარგად არის შესწავლილი. საწესჩვეულებო (საფერხულო) პოეზიის ნიმუშების მიხედვით ღვთის კარზე ვაზი ალვის, ჭადრის ხეზეა ასული. როგორც ვ. ბარდაველიძე აღნიშნავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ ლექსის 17 ნიმუშია დაფიქსირებული (ბარდაველიძე 1957:100). მაგალითად:

„ ჩვენი ბატონის კარზედა
ხე ალვად ამოსულაო,
წვერზე მაუსხამს ყურძენი,
საჭმელად ჩამასულაო,
მაგის უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულაო.“
(ჩიქოვანი 1972: 115).

***

„ღმერთმა ვაზი გაგვიჩინა,
გვერდით მოუსვა სარია.“
(ჩიქოვანი 1973 :168).

ვ. ბარდაველიძე თვლის,რომ მწიფე ყურძნის შეჭმა გააზრებული იყო, როგორც ზიარება წმინდა ვაზის სასიცოცხლო ძალასთან (ბარდაველიძე 1957:58). ქალ-ვაჟის დაშავება (შავით შემოსვა -გარდაცვალება) კი ვაზის მწიფე ნაყოფის უჭმელობით გამოწვეული ცოდვის შედეგად ითვლებოდა. ამგვარად, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ამ რიტუალურ სიმღერაში შემონახულია უძველესი რწმენა იმისა, რომ სალოცავში გაზრდილი ვაზი ითვლებოდა სიცოცხლის ხედ (ბარდაველიძე 1957:58). ი. სურგულაძეც მიიჩნევს, რომ ვინც ნაყოფიერების ხის ნაყოფს არ იგემებს, უდროოდ დაშავდება, მოკვდება. ამ წესის მიხედვით სიცოცხლე განხილულია სიცოცხლის ხისგან მიღებულ ნიჭად (სურგულაძე 1993: 178).

ქართველთა წარმოდგენით ხე სიცოცხლის მომნიჭებელი ძალითაა მოსილი, რადგან იგი ღვთაების სადგურია და ცასთან შიბით (ჯაჭვით) არის დაკავშირებული (სურგულაძე 1993: 184). „ჩვენი ბატონის“ კარზე ამოსული ხის გარდა ხე ალვად, ჭადრად ამოდის: წმინდა თევდორეს, წმინდა გიორგის კარზე (სურგულაძე 1993: 176); ასევე - წმინდა კოპალას, წმინდა სამებისა და ღვთისშვილის კარზეც. საერთოდ მრავალ ხალხში იყო გავრცელებული წმინდა ხის -სამყაროს ხის

თაყვანისცემა და ის გაიაზრებოდა, როგორც დიდი ღვთაება (გოლანი 1993: 156). ქართულ ხალხურ ხელოვნებაში სიცოცხლის ხის სიუჟეტი დაკავშირებულია დიდი დედის კულტთან (ჩიტაია 1941).

ქართული ხალხური ლექსის მიხედვით, შავით მოსილი ქალ-ვაჟი რომ ვაზის ნაყოფის უჭმელია, იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ისინი დაუქორწინებლები - შეუუღლებლები დარჩნენ. ფაქტია, რომ ქისტური თქმულების პერსონაჟები -გაზელო და ომერ-ალი, მართლაც, დაუქორწინებლები დაიხოცნენ. როგორც ჩანს, „ეთერიანის“ აბესალომისა და ეთერის ტრაგიკულად დაღუპვის მიზეზიც ეს იყო. მართალია, მათ ტაძარში ჯვარი დაიწერეს, მაგრამ მათი ქორწინება ტაძრის კარებთანვე გაუქმდა, როცა ეშმაკეულმა მურმანმა ეთერს ხელუკუღმა ფეტვი შეაყარა და დაასნეულა. მითოსური გააზრებით, ადამიანის დაავადება მის გარდაცვალებას უნდა ნიშნავდეს და, ამდენად ბუნებრივია, წყვილის შეუღლება ვეღარ მოხდებოდა. ტექსტში ხომ არის ნათქვამი:

„გუშინ შეყრილი მიჯნურნი
დღეს უკვე გავიყარენით“.

ნაწარმოების მიხედვით, ეთერი, თითქოს ისევ აგრძელებს ცხოვრებას, მაგრამ ეს უკვე იმქვეყნიური ცხოვრებაა, რადგანაც მისი სამყოფელი ცხრა მთას იქით - „იმ“ ქვეყანას -ეშმაკეული მურმანის კოშკია (ჩოლოყაშვილი 2016:). „ეთერიანის“ მთელ რიგ ვარიანტებში კარგად ჩანს, რომ ეშმაკთან წილნაყარი მურმანი თავადაც ეშმაკია. ეთერის სანახავად მის ციხეში მისასვლელად აბესალომის დამ ხომ ცხრა მთა გადაიარა:

„ეთერო, გადმომივლია
ცხრა მთანი ფეხშიშველასა“.
(ეთერიანი, #4)

ქართული ეპოსის თითქმის ყველა ვარიანტში მიჯნურთა საფლავზე ორი ვაზის ნაცვლად ია და ვარდი ამოდის. მის მხოლოდ ერთ ტექსტშია ნათქვამი, რომ „ეთერისა და ცათა სწორის საფლავზე ალვის ხეები ამოვიდა, ცასა სწვდებოდა“(ეთერიანი #4). ეს ხე, რასაკვირველია, სამყაროს ხეა, ხე, რომელიც მარადიული სიცოცხლისა და განახლების სიმბოლოა ყველა ხალხის მითოსური გააზრების მიხედვით. ხე ითვლებოდა ნაყოფიერებისა და სიცოცხლის ძალთა გამგებლად, სამყაროსა და, შესაბამისად, კულტის ცენტრად (სურგულაძე 1993:189). იისა და ვარდის კავშირიც ნაყოფიერების ღვთაებასთან ეჭვს არ იწვევს. მათ შესახებ სწორედ „ეთერიანის“ მიხედვით ჯერ კიდევ ვ.კოტეტიშვილი გამოთქვამდაამ ვარაუდს (კოტეტიშვილი 1961). ამ მოსაზრებას იზიარებს მ.გიორგაძეც (გიორგაძე 1993:88). იას ქალღვთაებად თვლის რ. ცანავაც(ცანავა 2002:93).

„ეთერიანის“ გარდა ია და ვარდი როგორც მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაებები ჩანან ქართული აკვნის სიმღერებშიც. მათში ამ მცენარეთა არსებობის მიზეზი იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ მითოსური გააზრებით, ადამიანის დაძინება მის დროებით გარდაცვალებად უნდა ყოფილიყო გააზრებული და, როგორც ჩანს, ამ ტრადიციულ სიმღერებში გაზაფხულის პირველი მცენარეების მოხსენიებას ბავშვის კეთილად გაღვიძებისათვის უნდა შეეწყოხელი. ამავე ტიპის მითოსურ გააზრებასთან უნდა გვქონდეს საქმე, ბავშვთა ინფექციური დაავადებების, ე.წ. „ბატონების“ დროს ოჯახში შესასრულებელ რიტუალში ამ ყვავილების განსაკუთრებულ როლთან დაკავშირებითაც. უძველესი ადამიანისათვის,

ძილის მსგავსად, ავადმყოფობაც დროებით გარდაცვალებად უნდა ყოფილიყო გააზრებული და მისი გამოჯანმრთელების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებულ საოჯახო რიტუალში ეს ყვავილები გამორჩეულ ფუნქციას ამიტომაც ასრულებდა: იებსა და ვარდებს უყრიდნენ ავადმყოფს საწოლში, ასევე ავადმყოფის ახლოს იატაკს და ავეჯსაც ფარავდნენ ამ ყვავილებით, ასევე - მინდვრის სხვა ყვავილებითა და სიმწვანით (ბარდაველიძე 1957: 87). ვ.ბარდაველიძე ამ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ეს კეთდებოდა, ბატონებისათვის სიამოვნების მისანიჭებლად, რადგან აუცილებელი იყო ბატონების მოფერება, გამხიარულება (ბარდაველიძე 1957:88). მართლაც, ბოლო პერიოდში ასე გაიაზრებოდა ეს რიტუალი, მაგრამ მისი თავდაპირველი დანიშნულება ავადმყოფის გამოსაჯანმრთელებლად გამიზნული აუცილებლად შესასრულებელი ტრადიცია უნდა ყოფილიყო. ამ ყვავილებითა და სიმწვანით ოჯახი ბუნების ნაყოფიერების ღვთაებას იწვევდნენ და, შესადამისად, მას გაზაფხულის სილამაზე და სურნელებას ახვედრებდნენ. ბუნების განმაახლებელი ღვთაება აფროდიტე ხომ მუდამ ვარდების, ნარგიზების,იების, შროშნთა გარემოცვაშია (ლოსევი 1980:132). რიტუალში შესასრულებელი გალობაც გაზაფხულზე მოფრენილ ფრინველთა ჭიკჭიკის იმიტაციად შეიძლება ჩაითვალოს. ყოველივე ეს ბუნების გამოღვიძებისა და განახლების განწყობას ქმნიდა ოჯახში და ავადმყოფის გამოჯანმრთელებისათვის ხელშემწყობ პირობად მიიჩნეოდა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ამ რიტუალის შესრულებისას ხესაც, უფრო ზუსტად, ხის სიმბოლურ გამოხატულებას მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა. „ბატონებისათვის მისართმევი ხე“ იყო თუთის მრავლად განტოტვილი რტო მორთული ქაღალდებისა და აბრეშუმის ნაჭრების ფერადი ნახევებით (ბარდაველიძე 1957:92). მკვლევარი მთელი სიზუსტით აღწერს ამ რიტუალის შესრულების უძველეს წესს საქართველოში და აღნიშნავს, რომ ეს და ამ ტიპის რიტუალების შესრულება საქართველოში, გარკვეულ ასპექტში, ასახავს დიდ დედა ნანას, როგორც ბუნებისა და ნაყოფიერების ამაღორძინებელს (ბარდაველიძე 1957: 93).

გარდაცვლილი აბესალომი და ეთერიც ხომ სწორედ გაზაფხულზე უბრუნდებიან ამ სამყაროს იისა და ვარდის სახით:

„ეს გაზაფხულიც მოვიდა-
მარტი, აპრილი, მაისი“ ~

(ეთერიანი #20).

ე.ი. „ეთერიანის“ მთავარმა გმირებმა - აბესალომმა და ეთერმა გარდაცვალებით მხოლოდ სახე იცვალეს, მათ მეტამორფოზა განიცადეს. საქმე ის გახლავთ,რომ არქაულ საზოგადოებაში ადამიანს სწამდა, რომ სიცოცხლეს არ გააჩნია საზღვარი სივრცესა და დროში...მითოსური საზოგადოება არ ცნობს სიკვდილის ფაქტს (ხიდაშელი 2001:30-31). ამდენად, „ეთერიანში“ მოთხრობილი მიჯნურობის ამბავი სცდება ჩვეულებრივ მოკვდავთა ურთიერთობის ფარგლებს და ესადაგება ღვთაებათა ტრფიალს, რამეთუ მისი გმირები განახლების ძალის მქონენი არიან, გენეტიკურად - ღვთაებრივი წარმოშობისანი. იგივე შეიძლება ითქვას ქისტური თქმულების უდროოდ გარდაცვლილ პერსონაჟებზეც. რომელთა საფლავიდანაც ორი ვაზი აღმოცენდა. გარდა იმისა, რომ ვაზი სამყაროს განახლების შესაძლებლობის მქონე, ღვთაებრივი ძალის მატარებელი მცენარეა, ხეც უზენაესის სამყოფელად ითვლებოდა ოდითგანვე. კავკასიელ ხალხებთან დღემდე შემონახულია ხეთა

თაყვანისცემა, განსაკუთრებით ჩერქეზთა და დასავლეთ კავკასიის მათ მეზობელ ხალხებთან. ჩერქეზებისთვის ყოველივე ეს თითქმის ტაძრის ფუნქციას ასრულებს (იკოირგო, 1978, ტ. 5, # 3 : 156-162). ე.ი. ხეზე ასული ორი ვაზი დიდი მითოსური შინაარსის მატარებელი სახე-სიმბოლოა სამყაროს განახლების ძალის მქონე ღვთაებისა.

როდესაც ვაზისა და ხის მითოსურ გააზრებაზე ვსაუბრობთ, რასაკვირველია, ყველა ვაზსა და ხეს არ ვგულისხმობთ. მის გამორჩეულობას მისი ადგილსამყოფელი განაპირობებს. ქართულ საწესო ლექსებში ეს ადგილი ღვთის კარია, ქისტურ თქმულებაში მიჯნურთა საფლავი. „ეთერიანშიც“ მიჯნურთა საფლავზე ამოსული ია და ვარდია ღვთაებრივი ძალმოსილების მქონე. ელიადე აღნიშნავს, რომ მრავალ ქვათაგან მხოლოდ ერთი ხდება საკრალური -ამის გამო სრულყოფილი და სრულფასოვანი, ყოფიერებითაც მყისიერად გაჯერდება და გაიჟღინთება...საგანი ერთგვარ ჭურჭლად შეიძლება გადაიქცეს, რომელშიც გარე ძალა ჩაიღვრება, რაც მისი მსგავსისგან გამოარჩევს და აზრსა და მნიშვნელობას შესძენს (ელიადე 2017:21). ამგვარ გამორჩეულ „ცენტრთან მიახლოება“ კი კურთხევის, ინიციაციის ტოლფასია (ელიადე 2017: 38). ე.ი. ქისტურ თქმულებაში ბედნიერი წყვილისათვის ამ წმინდა ადგილთან მისვლას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე, ვიდრე ნაწარმოებში ნათქვამი - ერთგულების ფიცის დადება. მართალია, ამ უძველესი რიტუალის თავდაპირველი დანიშნულება დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა, მაგრამ მასში უძველესილი რწმენის კვალი, როგორც ჩანს, მაინც იყო შემორჩენილი ხალხში,რაც ამ ნაწარმოებშიც დაფიქსირდა. ე.ი. ყოველი ახლად დაქორწინებული წყვილი, ტრადიციული რწმენის ძალით, ამ წმინდა ადგილას მისვლით, ქვეცნობიერად მაინც, ღვთაებრივ კურთხევას ელის. როგორც მ. ელიადე აღნიშნავს, კარგად არის ცნობილი, რომ ყოველ რიტუალს ღვთაებრივი მოდელი ესადაგება, არქეტიპი გააჩნია (ელიადე 2017:42).

დამოწმებანი:

ბარდაველიძე 1957: Бардавелидзе В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графичесское искусство грузинских племен, Тб.,1957.

გიორგაძე 1993: გიორგაძე მ. ქართული ხალხური საწესჩვეულებო პოეზია, თბ., 1993.

გოლანი 1993: Голан А. Миф и символ, М., Русслит,1993.

ეთერიანი: ქართული ხალხური პროზა, IV, ეთერიანი, ხელნაწერი ინახება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში.

ელიადე 2017: ელიადე მ. მარადიული დაბრუნების მითი (არქეტიპი და განმეორადობა), თბ.: „ალეფი“, 2017.

ელიადე 2018: ელიადე მ. მითები, სიზმრები და მისტერიები, თბ.: „ალეფი“,2018.

იკოირგო 1878: ИКОИРГО - Известия Кавказского отдела императорского Русского географического общесствва (1872-1917).

კასირერი 1983: კასირერი ე. რა არის ადამიანი? თბ.,1983.

კოტეტიშვილი 1961: კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია,თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1961.

ლოსევი1980 Лосев А. Ф. Афродите,Мифы народов мира,. М., Советская энциклопедия, 1980.

სურგულაძე 1993: სურგულაძე ი. ქართული ორნამენტის სიმბოლიკა, თბ.: „სამშობლო“, 1993.

ჩიტაია 1941: ჩიტაია გ. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, მოამბე საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის, თბ.: 1941.

ჩიქოვანი...1972: ჩიქოვანი მ., შამანაძე ნ. (შემდგენლები), ქართული ხალხური პოეზია, I, თბ.: „მეცნიერება“, 1972.

ჩიქოვანი...1973 : ჩიქოვანი მ., შამანაძე ნ. (შემდგენლები), ქართული ხალხური პოეზია, II, თბ.: “მეცნიერება“, 1973.

ჩოლოყაშვილი 2016: ჩოლოყაშვილი რ. ეთერის, აბესალომისა და მურმანის მითოსური სახეები „ეთერიანში“, ქართული ფოლკლორი, 8, (XXIV), თბ., 2016.

ცანავა 2002: ცანავა რ. მითო-რიტუალური მოდელების გენეზისისა და ფორმირების საკითხებისათვის, ACADEMIA, N4, 2002.

ხიდაშელი 2001: ხიდაშელი მ. სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში,თბ.: 2001.

Rusuan Cholokashvili, Kevin Tuite

Common mythological roots of Kist legend and “Etherian”

The XIX century legend “Vine of Love” recorded in the XIX century is published in Russian in the collection “Zurna“ and it tells the story of the tragic love of the Kist couple:

How the betrayal of a loved one was followed by the death of an unmarried couple. Then two vines from their graves were planted in a tree. Every Kist and he sings at every big party; it is also said that people considered the rising of plants from their common grave to be a deliberate act of God, and this place became an object of universal worship. That is why every newlywed couple feels obliged to visit this sacred tomb and take an oath of allegiance to the vine of love.

The fact that the plants growing on the graves of the tragically deceased should be considered as mythical faces-symbols is also evidenced by the Georgian “etherian“, the finale and, consequently, the essence of which is identical to the Kist legend. In addition, Georgian folklore and ethnological data confirm the importance of vines and trees as face-symbols with a great mythological load, the distinctiveness of which determines their location. In Georgian ritual poems, this place is the door of God, in the Kist legend, the tomb of the sweethearts; i.e. by coming to this holy place for every newlywed couple, they subconsciously expect divine blessing through the power of traditional faith.

თემურ ჯაგოდნიშვილი

1836-1927 წლების რუსული პერიოდიკის მეცნიერულ-პოლიტიკური ასპექტები

წარმოდგენილი თემა უმთავრესად გულისხმობს სამხრეთ კავკასიაში, უპირატესად თბილისში გამომავალ პრესას, განსაკუთრებით რუსეთის სამეცნიერო საზოგადოებების კავკასიის ფილიალებისა და განყოფილებების პერიოდულ სამეცნიერო შრომათა კრებულებს. ამ პერიოდიკის ფურცლებზე გამოქვეყნებული ეთნოლოგიური და ფოლკლორული მასალების ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენას, საამისო მასალის თავმოყრას. ამგვარი კვლევების შედეგიანობა არაერთგვარი დაბკროლების ძლევას საჭიროებს, პერიოდიკის საერთო ბუნებიდან გამომდინარე, არაერთი ასპექტების გათვალისწინებას მოითხოვს.

აღნიშნულის ერთი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ დღემდე ზუსტად ვერ მოხერხდა საქართველოში XIX-XX სს. გამომავალი პერიოდიკის ნუსხის დადგენა. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს. ყველაზე ვრცელი ანდრო აბრამიშვილის მიერ შედგენილი ნუსხაა, რომელიც დაახლოებით 520-მდე დასახელებას შეიცავს და რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ეღირსა დაბეჭდვა და სავარაუდოდ ნოდარ ტაბიძის პირად არქივში უნდა ინახებოდეს. ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ პერიოდიკა მასალასთან ერთად იმასაც აფიქსირებს, თუ რამ განაპირობა ამ ფაქტების შემცველი მასალის გამოქვეყნება. ამის გამო პერიოდიკა კონკრეტული საკითხების პუბლიცირების ისტორიასთან ერთად ძვირფას მასალას უყრის თავს ზოგადად საზოგადოებრივი აზრისა თუ კულტურის სხვა დარგების ისტორიის კვლევისათვისაც. ქართული ფოლკლორისა და ეთნოლოგიის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის ორივე ასპექტი თანაბრად მნიშვნელოვანია. ეს კი გასაოცრად ვრცელი მასალის დამუშავებას საჭიროებს.

ამას ჩვენი კვლევების დროითი ქრონოტოპიც ცხადყოფს, თუმცა, როგორც ირკვევა, იგი იმაზე ვრცელი უნდა იყოს, ვიდრე მონიშნულია და 1937 წლამდე დროით მონაკვეთს უნდა შეიცავდეს. ამის დასტურად გვესახება იმ ფოლკლორისტული კვლევების ტრადიციების ფესვმაგრობა, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩაეყარა, კერძოდ, ფოლკლორული ტექსტების ბეჭდვას დედნის ენაზე, რუსული პწკარედითა და თავისუფალი თარგმანით, ხოლო პოეტური ტექსტების პუბლიკაციების შემთხვევაში მუსიკალური ნოტების დართვით. ამგვარი ტენდენციით გამოირჩა, მაგალითად, მასალათა კრებული (СМОМПК) და არაერთი საუკეთესო მასალა დაიბეჭდა, ცხადია, ქართულიც. ამ კვლევების ტრადიციების (გინდაც სტანდარტების) შესაბამისად არის მომზადებული გამოსაცემად, მაგალითად, ცნობილი მკვლევრის იოსებ მეგრელიძის მიერ შედგენილი გურული ხალხური სიმღერების უაღრესად საინტერესო კრებული, რომელიც, სამწუხაროდ, არ დაბეჭდილა, 1937 წლით არის დათარიღებული და რუსეთში – პეტერბურგის პუშკინის სახლის არქივში ინახება. ასე რომ, 1927 წელი არ უნდა ჩაითვალოს XIX-XX სს. რუსული პერიოდიკის გამოცემის დროის ზღვარდამდებად. ამ მოსაზრებას მხარს ისიც უმაგრებს, რომ საბჭოური ფოლკლორისტიკა, სა-

ერთოდ, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დამკვიდრდა და პირველ ხანებში შენარჩუნებული იყო ფოლკლორისტული ტექსტების ბეჭდვის XIX ს. ტრადიციები.

საერთოდ, რუსული პერიოდიკის ისტორია ცხადყოფს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების, სხვადასხვა გამიზნულობის პერიოდული კრებულების გამოცემა უპირველესად (და უმთავრესად) სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მიზნებს ემყარებოდა. ეს იყო ახლადშემოერთებული ქვეყნების ყოფის, ეთნოკულტურის შესწავლა მათი მართვის გაადვილების, მათზე იდეოლოგიური ზემოქმედების ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავების მიზნით. ამიტომ შემთხვევითი სულაც არ არის ის ფაქტი, რომ აბორიგენი მოსახლეობის ყოფითი და ეთნოკულტურების მასალები იბეჭდებოდა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის პატრონაჟით გამომავალი გაზეთების, ჟურნალების ფურცლებზე (მაგალითად, შეიძლება დასახელდეს გაზეთი „კავკაზი“), რომელთა რეალური დანიშნულება ოფიციალური ინფორმაციების გავრცელება იყო. ძნელი არ უნდა იყოს იმის ამოცნობაც, რომ აბორიგენი მოსახლეობის ყოფითი კულტურის მასალის ადრესატი რუსი ჩინოვნიკების დიდი ნაწილი იყო და ყოველივე ეს მათთვის იყო განკუთვნილი (რუსული წერა-კითხვა ქართველი საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილმა იცოდა). მართალია, რედაქციები ქართულ ავტორებსაც იწვევდნენ სათანამშრომლოდ (ამ მხრივ გამოირჩეოდა გაზეთ „კავკაზის“ რედაქცია, ასევე – რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელობა. ესეც, რასაკვირველია, იმ მიზნით კეთდებოდა, რომ ადგილობრივი ავტორები უკეთ იცნობდნენ საკუთარ ყოფით კულტურას და მათი აღწერა-დახასიათებების შემცველი პუბლიკაციები დაზღვეული უნდა ყოფილიყო, იმ ელემენტარული შეცდომებისაგან, რაც მოსდიოდათ ადგილობრივი ენების არმცოდნე და ამის გამო შორიდან მაყურებელ რუს ჩინოვნიკებს. სწორედ მათ უსახავდა უფროსობა სავალდებულოდ იმ რეგიონის მკვიდრთა ყოფითი კულტურის შესწავლას, ტერიტორიის გეოგრაფიულ, სტატისტიკურ თუ სხვა სახის აღწერა-დახასიათებების შემცველი ტექსტების გაგზავნას პერიოდულ გამოცემათა რედაქციებში გამოსაქვეყნებლად.

ასეთი ინტერესები ერთგვარი სიკეთის მომტანი ადგილობრივი მოსახლეობისათვისაც იყო, რადგან საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა აღინუსხებოდა, აღიწერებოდა და იქმნებოდა მონაცემთა ანგარიშგასაწევი ბაზა. ამგვარ მასალათაგან შეიძლება დასახელდეს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების შრომათა კრებულის (ЗКОИРГО) III ტომში დაბეჭდილი 1854 წელს შედგენილი თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის ადმინისტრაციული რუკა, რომელზედაც დატანილია რეგიონის გეოგრაფიული პუნქტები (სოფლები, ნასოფლარები, ადგილები, რომლებთანაც დაკავშირებულია ესა თუ ის ამბავი, გადმოცემა, თქმულება და ა. შ. ასევე სტატისტიკური მონაცემები სოფლების მოსახლეობის, მათი სქესის ჩვენებით, ასევე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სტატისტიკა და ა. შ.

ადვილი წარმოსადგენია ამ რუკის მნიშვნელობა თუნდაც იმის გამო, რომ არამც თუ ნასოფლარები, არაერთი ამ რუკაზე აღნიშნული სოფლის ხსოვნაც კი აღარ შემოგვრჩენია. მის უნიკალურობას ისიც განაპირობებს, რომ ჩვენი კარტოგრაფია იმ პერიოდის მონაცემთა სიმდიდრით მაინცა და მაინც ვერ გამოირჩევა.

კავკასიის 1836-1927 წლების რუსულენოვანი პერიოდიკის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ინტერესებში რამდენიმე ტენდენციის არსებობა დასტურდება, რომლებიც, ისტორიის თვალსაწიერიდან, ორი პერიოდს ქმნის. პირველი პერიოდი გამოირჩევა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესების პრიმატით და საერთო შემეცნებითი ღირებულებების გამოვლენის გამიზნულობით. ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებული ღიაობით XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე გრძელდება. ამ პერიოდის ხანგრძლივობა განაპირობა კავკასიის ხალხთა გასაოცარმა კულტურულმა მრავალფეროვნებამ, ამ კულტურათა ურთიერთგანმაპირობებელმა და ურთიერთმიმართებათა გასაოცარმა ფაქტებმა, ასევე – მასალათა თავისთავადმა სიუხვემ. ეს პერიოდი ფოლკლორ-ეთნოგრაფიული მასალისადმი დამოკიდებულების დეკლარაციის სიაშკარავითაც გამოირჩეოდა. ასე, მაგალითად, კავკასიის მთიელთა სამმართველოსთან არსებული კავკასიის არმიის მთავარსარდლის პატრონტაშით დაარსებული კრებულის („ცნობების კრებული კავკასიის მთიელთა შესახებ“ – ССКГ) პირველ გამოშვებაში, რომელიც 1868 წელს გამოქვეყნდა, რედაქცია იუწყებოდა, რომ გამოცემა ეძღვნებოდა იმ მოსახლეობის ყოფის ყოველმხრივ გამოკვლევას, რომელსაც საერთო სახელწოდებით – მთიელებად მოიხსენიებენ. მითითებული იყო, რომ კრებულში უამრავი საქმიანი მასალაა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და მეცნიერებისათვის; ხაზგასმით იყო, ასევე, აღნიშნული კვლევების სასიკეთო მნიშვნელობა მთიელთა „გონებრივი ცხოვრებისათვის“, მთიელთა შორის წერა-კითხვის გავრცელებისათვის (ССКГ, 1986, 6).

დაუფარავად იყო გაცხადებული მთიელებში მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის გავრცელების რუსული იმპერიული მიზანიც: წერა-კითხვის გავრცელება იმ ღონისძიებად ცხადდებოდა, რომელიც მთიელებისათვის გახდებოდა შუამავალი რუსული ცივილიზაციის აღქმა-გაცნობიერებაში (ССКГ, 1986, 6). ღიად იყო მითითებული ამ პროექტის რეალიზების მთავარ შემსრულებელ გენერალ-მაიორ პ. უსლარის შრომებზედაც, რომელმაც კირილიცას ლიტერების საფუძველზე „შექმნა“ კავკასიელ უდამწერლობო ენების ანბანები და დაამუშავა მათი გრამატიკები. პ. უსლარს ეკისრებოდა კავკასიის მთიელთა ყოფიდან არაბული ენის განდევნა, რომელზედაც იყო ჩაწერილი მაგალითად, ჩეჩნური ზღაპრები (ССКГ, 1986, 6).

მეორე პერიოდი, როგორც აღინიშნა, 1881 წლიდან იწყება და 1937 წლამდე გრძელდება. ამ საქმიანობის ზღვარგამყოფი მოვლენაა თბილისში 1881 წელს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის – რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების V ყრილობის ჩატარება (ვრცლად: ჯაგოდნიშვილი 2004: 439-447).

საერთოდ, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესების მეცნიერულში, კულტურტრეგერობის მესიანიზმში შეფუთვა განსაკუთრებით, ცხადად ეტყობა XVIII-XIX სს. რუსული იმპერიის ისტორიას. გავიხსენოთ რუსთა მიერ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უკიდეგანო სივრცეების ათვისების და იქაური აბორიგენი მოსახლეობის დაპყრობის ისტორიულად აპრობირებული მოდელი.

გეოგრაფიული ექსპედიციის ფორმით განხორციელებული სამხედრო ლაშქრობა, წინ სამხედრო შენაერთი (როგორც წესი, ასეული) რუსეთის დროშით, ოფიცრით, რომელიც იმავდროულად გეოგრაფ-მკვლევრის ფუნქციასაც ითავსებდა, პლანშეტზე დაჰქონდა გეოგრაფიული და სტატისტიკური მონაცემები. მთავარი

კი ის იყო, რომ ყოველი ასეთი კონკრეტული კვლევის არეალი რუსეთის იმპერიის ტერიტორიად ცხადდებოდა, ასე, უომრად, უსისხლოდ.

შემთხვევითი, ცხადია, არც ის უნდა იყოს, რომ საქართველოში (სამხრეთ კავკასიის რეგიონის ფარგლებში) რუსეთის სამეცნიერო საზოგადოებებიდან ყველაზე უწინ საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება დაარსდა 1846 წელს და იქ დაიწყო ამ საზოგადოების სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემა, რომელმაც თავისი კვალი დააჩნია ეთნოლოგიურ, ფოლკლორულ კვლევებს და ა. შ. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დაარსდა სხვა სამეცნიერო საზოგადოებების ფილიალები, მაგალითად, რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის ფილიალი.

საერთოდ, სწორედ არქეოლოგიური საზოგადოების მეცნიერულმა ტრადიციებმა განსაზღვრა XIX ს. II ნახევრის საქართველოში მეცნიერული კვლევების შინაარსი, გეზი და მიმართულება.

ზოგჯერ მკვლევრები გასაკვირი უყურადღებობით უვლიან გვერდს არქეოლოგიური საზოგადოების ეგიდით და ძალისხმევით განხორციელებულ იმ დროისათვის უპრეცედენტო მეცნიერულ პროექტს – არქეოლოგიური საზოგადოების V ყრილობის თბილისში ჩატარების ფაქტს. ეს იყო გრანდიოზული მასშტაბის (700-ზე მეტი მონაწილე) საერთაშორისო სამეცნიერო თავყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიო სახელის მქონე 30-ზე მეტი მეცნიერი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროდან. რაც მთავარია, ის პრობლემატიკით არ შემოიფარგლებოდა. ათამდე სექციაში ცალკე იყო წარმოდგენილი სიტყვიერების, ლინგვისტიკის სექციები. ყრილობა 1881 წლის აგვისტო-სექტემბერში მუშაობდა და პირადად რუსეთის იმპერატორის მიერ იყო დაფინანსებული, 150 ათასი ოქროს მანეთი იყო გამოყოფილი. ბევრი შენობა ამჟამადაც რომ ამშვენებს მაჩაბლისა და მის მიმდებარე ქუჩებს, სწორედ აღნიშნული ყრილობის ჩასატარებლად აიგო.

უმთავრესი კი ის იყო, რომ კავკასია და საქართველო მოექცა ევროპული მასშტაბის მეცნიერული კვლევების ორბიტაში. და კიდევ: ამ ყრილობაზე გაიჟღერა აზრმა (ვს. მილერი, აკ. წერეთელი) მიჯაჭვული ბუმბერაზის მოტივის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ. მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ამ ყრილობის რეზონანსულობამ განაპირობა XIX საუკუნის ყველაზე სერიოზული მეცნიერული ორგანოს, იმ პერიოდის მეცნიერული კვლევების სტანდარტების შესაბამისი კრებულის СМОМПК-ის გამოცემა კავკასიის სასწავლო სამმართველოს ეგიდით, რომელმაც სათავე დაუდო ახალ – თვისობრივად განსხვავებულ – ეტაპს კავკასიის ფოლკლორისა და ეთნოლოგიის შესწავლაში.

სიახლე განსაკუთრებულად შეეხო ფოლკლორული ტექსტების პუბლიკაციის პრინციპებს. დამკვიდრდა ტექსტების ბეჭდვა დედნის ენაზე. უდამწერლობო ენებისათვის გამოიყენებოდა პ. უსლარის მიერ შემუშავებული ანბანები. ფოლკლორულ ტექსტს (განსაკუთრებით ლექსებს), ერთი მხრივ, რუსული პწკარედი ახლდა, მეორე მხრივ, რუსული თავისუფალი თარგმანი და ნოტები (სასიმღერო მოტივების ფიქსირების მიზნით).

სიახლეს წარმოადგენდა ფოლკლორული ტექსტების პასპორტიზაციის მნიშვნელობის გაცნობიერება – მთქმელის ვინაობის, ჩაწერის ადგილის, ჩამწერის და პუბლიკაციის ინიციატორის მითითება. მართალია, ეს პასპორტიზაცია მოკლე-

ბული იყო სისრულესა და სიზუსტეს, მაგრამ თავისი დროის სტანდარტებს ასე თუ ისე შეესაბამებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიახლე იყო ფოლკლორული ტექსტების ბეჭდვის ფორმა, კვლევებში გადაზრდილი აღწერა-დაკვირვებების შემცველ წინასიტყვაობების პარალელურად ზღაპართა მოტივების და სახელთა საძიებლების ბეჭდვა. მაგალითად, მასალათა კრებულის 26-ე გამოშვების II განყოფილებაში (1899 წ.) გამოქვეყნებულია ტალიშური ლეგენდები, რწმენა-წარმოდგენები, თათრული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. პუბლიკაცია მომზადებულია თბილისის მე-3 ქალთა გიმნაზიის დირექტორის ა. ა. ბოგოიავლუნსკის მიერ, ახლავს წინასიტყვაობა და ვრცელი მოცულობითი საძიებლები. ეს პიროვნება, საერთოდ, გამოირჩეოდა ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალისადმი ინტერესებით, საყურადღებო დაკვირვებებით, ანალიზით. მისი ღვაწლი (ისევე როგორც რამდენიმე სხვა პიროვნებისა) ამ მხრივ საგანგებო შესწავლას იმსახურებს. მაგალითად, აღნიშნულ პუბლიკაციაში ა. ბოგოიავლენსკი მიმოიხილავს გადმოცემას ქალაქ ბაქოს შესახებ და აღნიშნავს, რომ მასში შემორჩენილია ბერძნული კულტურის კვალი კასპიის სანაპიროებზე. მისი აზრით, ჩაძირული ქალაქის მოტივით ეს გადმოცემა ახლოსაა გადმოცემასთან პალიასტომის შესახებ და მიუთითებს, რომ ეს გადმოცემა დაბეჭდილი იყო მასალათა კრებულის XIII გამოშვებაში, II განყოფილების 71-72 გვერდებზე (СМОМПК, 1892, 13, განყ. II). იგი მსგავსებას ხედავს გადმოცემებში პაპანწყურის ტბისა და სტანიცა სამურსკაიას სიახლოვეს მდებარე ტბის შესახებ, რომელიც მასალათა კრებულის VI გამოშვების I განყოფილებაში დაიბეჭდა (СМОМПК, 1887, 6, განყ. I). ასევე, მსგავსი მანერით არის მიმოხილული მასალათა კრებულის ამ და სხვა გამოშვებებში გამოქვეყნებული ზღაპრები, გადმოცემები, ბილინები და ა. შ.

მასალათა კრებული ყველანაირად ამართლებდა თავის სახელწოდებას. იგი მოცულობრივადაც შთამბეჭდავი იყო. ცალკეული გამოშვება 600-700 გვერდს მოიცავდა და თემატურ-პრობლემურად სამ-ოთხ განყოფილებას შეიცავდა. ფოლკლორული ტექსტები ზეპირსიტყვიერების ტრადიციების რაგვარობის შესატყვისად იბეჭდებოდა, სად, როგორი სიძლიერისა იყო ტრადიცია – ტექსტების რაოდენობრივი მაჩვენებლით (სიუხვით) განიზომებოდა. ამიტომ სხვადასხვა სახის (ჟანრის) ფოლკლორული მასალა გვერდიგვერდ არის დაბეჭდილი, მაგალითად: ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები და სხვ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩამწერები იყვნენ სხვადასხვა ასაკისა და განათლების ადამიანები, უპირატესად კავკასიის სამასწავლებლო სემინარიისა და დაწყებითი (ორკლასიანი) სკოლების მასწავლებლები, სემინარიის კურსდამთავრებულები (აღზრდილები), ჩინოვნიკები, სამხედრო პირები და სხვანი.

რამდენიმე საინტერსო თავისებურება დაფიქსირდა ტექსტების ბეჭდვის სარედაქციო პრინციპების თვალსაზრისითაც. მასალათა კრებულის რედაქცია, როგორც ჩანს, ვერ აკონტროლებდა კორესპონდენტების მიერ მიწოდებულ ფოლკლორული მასალის ბეჭდვას. ამის გამო ხშირად ერთი და იგივე ფოლკლორული ტექსტი რამდენჯერმე იბეჭდებოდა მასალათა კრებულის სხვადასხვა გამოშვებებში. ამასთან, ტექსტები (განსაკუთრებით ზღაპრები) თავისებური პრინციპით ქვეყნდებოდა: ჯერ დიდი (ვრცელი) ტექსტების ზღაპრები იბეჭდებოდა, შემდეგ – მცირე მოცულობისა. ეს პრინციპი, ჩამწერთა ცნობით, საზღაპრო ეპოსის ტრადიციულ ყოფაში არსებობის (თხრობის) თავისებურებებიდან გამომდინარეობ-

და: მთქმელი ითვალისწინებდა მსმენელი აუდიტორიის მოსმენის შესაძლებლობებს, მოსმენის უნარის ხანგრძლივობას, გადაღლას. ამის გათვალისწინებით იგი მსმენელებს ჯერ დიდი მოცულობის ზღაპრებს უამბობდა, შემდეგ – უფრო მცირე ტექსტების შემცველთ.

კავკასიის რუსული პერიოდიკა, განსაკუთრებით საგანმანათლებლო და სამეცნიერო პერიოდულ გამოცემათა რედაქციები, დიდ ინტერესს იჩენდნენ რუსულ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ტრადიციებში კავკასიის ხალხთა ყოფითი კულტურის რეალიებისა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ტრადიციების შეჭრა-დამკვიდრების ფაქტებისადმი. ჩვენი კვლევების თვალსაწიერიდან კი აღნიშნული დაკვირვებები, მიმოხილვები, ბუნებრივია, კავკასიური, გამორჩეულად ქართული, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული რეალიების რუსულზე გავლენის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ისევე, როგორც ქართული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის ძიების და ანოტირების დროს, ამ შემთხვევაშიც პრესის ტრადიციული ტერმინოლოგიური შინაარსი ფართოდ არის გააზრებული და მომარჯვებული: აქცენტირებულია პერიოდულობა. პრესა შინაარსობრივად პერიოდიკასთან არის გატოლებული და ამიტომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მიმართულების ტრადიციულ ჟურნალ-გაზეთებთან ერთად, პერიოდულად გამომავალ საგანმანათლებლო და სამეცნიერო კრებულებსაც მოიცავს. ამგვარად არის გაგებული პრესის - პერიოდიკის შინაარსი და დამუშავებული კავკასიაში (უპირატესად თბილისში) გამომავალი რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს მასალათა კრებული კავკასიის ტომებისა და ადგილმდებარეობათა აღწერისათვის (СМОМПК, მოკლედ - მასალათა კრებული), რუსეთის სამეცნიერო საზოგადოების კავკასიის ფილიალების, განყოფილებების და სხვათა პერიოდული სამეცნიერო კრებულები.

პერიოდულობასთან ერთად, აღნიშნული კრებულები (განსაკუთრებით მასალათა კრებული) თავისი დროის მეცნიერული კვლევების ტრადიციებისა და სტანდარტების დაცვით გამოირჩევა, მოცულობრივადაც გასაოცრად მრავალფეროვან და უხვ მასალას შეიცავს (ცალკეული გამოშვება, როგორც წესი 600-700-მდე გვერდს მოიცავს), ამასთან დეკლარირებულად ემყარებიან XIX საუკუნის II ნახევრის პოპულარული ფოლკლორისტული თეორიის - ვს. მილერის ფოლკლორისტული „ისტორიული სკოლის“ პრინციპებსა და მეთოდოლოგიას (ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების მიმოხილვებში არაერთგზის არის ნახსენები ვსევოლოდ მილერი). ეს გარემოება კი, ცხადია, მეტ ფასს სძენს მასალათა კრებულში გამოქვეყნებულ კავკასიის ხალხთა ისტორიულ, გეოგრაფიულ აღწერა-დახასიათებებს, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ტექსტებს და ყოფითი კულტურის რეალიებს. ამ მასალის რუსულენოვანი თარგმანები და ვერსიები. ცხადია, ვერ ამცროებს ფაქტობრივსა და მეცნიერულ ღირებულებას. მით უფრო, რომ ცალკეულ შემთხვევებში ამ მოვლენის დაძლევის მცდელობებიც არის დაფიქსირებული: ფოლკლორული ტექსტები დედნისეულ ენაზეა დაბეჭდილი, პ. უსლარის მიერ კირილიცას საფუძველზე დამუშავებული კავკასიის უდამწერლობო ენების ანბანებით და ახლავს რუსული პწკარედები.

აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ერთ პირწმინდად ტექნიკურ საკითხზედაც. ესაა პაგინაციის პრინციპები, რითაც საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სამეცნიერო მიმართულებების პერიოდიკა გამოირჩევა (მაგალითად, მასალათა კრებული). 600-700 გვერდიან კრებულებს არ გააჩნია გვერდების ერთიანი ნუმერაცია. ამ კრებულების სტრუქტურა შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, თითოეულის მოცულობა 200-300 (ზოგჯერ მეტიც) გვერდია. ყოველი განყოფილების მასალა-ტექსტები, გამოკვლევები, აღწერა-დახასიათებები - ცალკეა დანომრილი, ზოგჯერ კი საერთოდ ნუმერაციის გარეშეა დაბეჭდილი. ეს გარემოება, ცხადია, დიდ უხერხულობას უქმნის მომხმარებელს და გაუგებრობას იწვევს მასალის ციტირების შემთხვევაში.

ზეპირსიტყვიერი ტრადიციების ფიქსირების თვალსაზრისით ერთი საინტერესო რეალიაა სომეხ მთქმელთა მიერ სომხური ხალხური ზღაპრების თათრულ ენაზე თხრობის ტრადიცია, განსაკუთრებით აზერბაიჯანის, ბორჩალოს, ერევნის ოლქის სომხურ მოსახლეობაში. ეს ტრადიცია მომდინარეობდა სომხების თურქულ არეალში ცხოვრებიდან, სადაც საკომუნიკაციო ფუნქციას თურქული ენა ასრულებდა და ჰეგემონ კულტურას თურქული ეთნოკულტურა წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ისტორიული ბორჩალოს რეგიონში ჩასახლებული ბერძნები, სომხები საკომუნიკაციო ენად თურქულის თავისებურ დიალექტს იყენებდნენ.

სომხური ზღაპრების ტექსტებზე დაკვირვება იმასაც ცხადყოფს, რომ მათში უხვად არის თათრული, მაჰმადიანური ყოფითი კულტურის რეალიები. სომხურ ზღაპრებში საკუთრივ სომხური ყოფა თითქმის არ ჩანს, რაც არის, ისიც გვიანდელია, რასაც სოციალური თემატიკა-პრობლემატიკის სიჭარბე ცხადყოფს (ჯადოსნურ მოტივებთან შედარებით ვაჭრობის, აღებ-მიცემობის თემების უპირატესობა). თურქულთან ერთად, სომხური ზღაპრები (ისევე, როგორც კავკასიის სხვა ხალხების ფოლკლორი და ყოფა) უხვად შეიცავს ქართული ფოლკლორისა და ყოფითი კულტურის რეალიებს, მითოლოგიის სფეროების ცალკეული შრეების მსგავს ელემენტებს. შენიშნულია, რომ მსგავსება ფიქსირდება არა მხოლოდ სიუჟეტების, არამედ პერსონაჟთა სახეობრივობისა და ფუნქციების დონეებზე. მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ძირძველი მასალა **ერთიანობის გასაოცარ კვალს შეიცავს.** ის, რაც არაა შემორჩენილი, ვთქვათ, ქართულში, ან მოღწეულია გაცრეცილი ფრაგმენტის სახით, შემორჩენილია კავკასიის სხვა რომელიმე ხალხის მითოლოგიაში, ფოლკლორში, ყოფით კულტურაში.

კავკასიის ხალხთა ფოლკლორულ-ეთნოლოგიური მასალა ცხადყოფს ერთიანი კავკასიური კულტურული წრის არსებობას, სადაც ქართული კულტურა ჰეგემონი იყო. ეს გარემოება კი ცხადყოფს, რომ რუსულენოვანი პერიოდიკის შესწავლის დროს არ არის გამართლებული მხოლოდ ერთი რომელიმე ხალხის ყოფითი თუ ეთნოკულტურის მასალის გამოცალკევება სხვათა იგნორირების ხარჯზე (მაგალითად, მხოლოდ ქართულის შესწავლა).

კავკასიაში გამომავალ რუსულ პერიოდიკაზე დაკვირვება ცხადყოფს ქართული ცივილიზაციის გავლენის სიღრმეს. მაგალითად, ქართული და ჩრდილოკავკასიური ფოლკლორული მასალის ურთიერთმიმართებაში განხილვა ცხადყოფს, მაგალითად, ქართული მითოსის გავლენას კავკასიის ზოგიერთი ხალხის რწმენა-წარმოდგენებზე; ღვთაებათა და წმინდანთა თაყვანისცემის საერთო სისტემის არსებობას; ასევე მსგავსების ნიშნები ფიქსირდება ისეთ გამორჩეულად ეროვ-

ნულ ნარატივებში, როგორებიც არის საგმირო ეპოსის ტექსტები (მაგალითად, ნართების ეპოსი, ამირანის ეპოსი...); ერთიანი კავკასიური მსოფლგანცდის კვალს ხედავენ მკვლევრები მითოლოგიურსა და ეტიოლოგიურ თქმულებებშიც; რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ისტორიულ თქმულებებშიც.

მასალათა კრებულის რედაქცია სერიოზულ ინტერესს იჩენდა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონისადმი, რუსეთის იმპერიის სამხრეთის სასაზღვრო ზოლში, ეგრეთ წოდებული „კავკაზსკაია ლინიას“ დასახლებული პუნქტების – სტანიცების მკვიდრი კაზაკების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებისადმი. მასალათა კრებულის ფურცლებზე იბეჭდებოდა ტექსტებიც, რომლებიც ხშირად უკვე კარგად რომ იყო ცნობილი რუსულ ფოლკლორისტიკაში, რათა გაერკვია, რა და როგორ შეინახეს კაზაკებმა, რომელი ახალი ტექსტი გაჩნდა და ა. შ. რუსული ფოლკლორული ტექსტების პუბლიკაციებს, როგორც წესი, ახლდა ვრცელი მიმოხილვები და შედარებითი ტექსტოლოგიური ანალიზები. ამ მიმოხილვა-დაკვირვებებშიც არის მითითებები კავკასიური (და ზოგ შემთხვევაში ქართული) ფოლკლორის და ყოფითი კულტურის რეალიების **„კავკაზსკაია ლინიას“** კაზაკების ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში შეჭრისა და დამკვიდრების შესახებ.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის 20-30-იანი წლების რუსული პერიოდიკის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ინტერესების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერული ასპექტების გამოვლენა-ანალიზის დროს ანგარიშგასაწევია ეპოქის სულისკვეთება. XIX საუკუნე ჰუმანიტარული აზროვნების, ხელოვნების, მწერლობის ოქროს ხანაა. ამ პერიოდში განსაკუთრებული ინტერესის ობიექტია აღმოსავლური კულტურა და მისი კვალი ევროპის ქვეყნების კულტურაში. ევროპაში იშვა ახალი ცოდნის დარგი – ორიენტალისტიკა. ერთი მეორეს ენაცვლება, ავსებს და აკონკრეტებს ევროპული კულტურის აღმოსავლური ძირების თეორიები. ევროპული ორიენტალისტიკის სლოგანია „სინათლე აღმოსავლეთიდან“.

ისიც კარგად არის ცნობილი, რა ძალისხმევით ჩემულობდა რუსეთი ევროპული ქვეყნის და ევროპული კულტურისაგან განუყოფლობას. ევროპული ორიენტალისტიკა, როგორც გრანდიოზული, მოვლენა ჰუმანიტარული აზროვნების სფეროში, რუსეთის სამეცნიერო საზოგადოების ინტერესების მიღმა ვერ დარჩებოდა და ისიც აქტიურად ჩაერთო ორიენტალისტიკის პრობლემათა კვლევაში რუსული კულტურის აღმოსავლურ-დასავლური ურთიერთობებში ჩართულობის მტკიცების ასპექტებით. ეს ცხადად გამოჩნდა ფოლკლორისტიკის სფეროშიც. მაგალითად, ფოლკლორისტიკაში ცნობილი თეოდორ ბენფეის „ნასესხობის თეორია“ რუსულმა ფოლკლორისტიკამ იმდაგვარად დააზუსტა, რომ ფოლკლორული მოარული სიუჟეტების აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიგრაციის მარშრუტში რუსეთი მოაქცია. თ. ბენფეისთან ეს მარშრუტი, როგორც ცნობილია, იწყებოდა ინდოეთიდან, გადიოდა სპარსეთზე, წინა აზიასა და ხმელთაშუა ზღვაზე, საიდანაც სიუჟეტები ხვდებოდნენ ევროპის ქვეყნების ფოლკლორულ სამყაროში. რუსულმა ფოლკლორისტიკამ (ვს. მილერი) აღნიშნული გზა ასე დააკონკრეტა: „მოხეტიალე ფოლკლორული სიუჟეტები“ ინდოეთიდან ვრცელდებოდა სპარსეთში, აქედან კავკასიაში და რუსეთში, ხოლო რუსეთიდან – ევროპაში. ამგვარი შუამავლის ფუნქციას ხედავდა რუსული ორიენტალისტიკა კავკასიური ეთნოკულტურებსა და, კერძოდ, ფოლკლორში. სწორედ ამიტომაც ჩატარდა 1881 წელს თბილისში გრანდიოზული სამეცნიერო ფორუმი – რუსეთის არქეოლოგი-

ური საზოგადოების V ყრილობა მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით. მართალია, ამ ფაქტშიც იკვეთება სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ინტერესთა არსებობა, მაგრამ თავისთავადი მეცნიერული ინტერესების, მით უფრო შედეგების გამორიცხვაც არ შეიძლება. ამგვარ ინტერესთა არსებობას ცხადყოფს მასალათა კრებულის (СМОМПК) ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დართული: წინასიტყვაობები, საძიებლები, ნაირგვარი მიზანდასახულობის ლექსიკონები, რომლებიც, ფაქტობრივ, შედარების კვლევებში გადაზრდილი მიმოხილვები და აღწერა-დახასიათებებია. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამგვარი მასალის შესწავლა, მათი ავტორების ფოლკლორიზმის კვლევა. ამ მხრივ, უაღრესად საინტერესო დაკვირვებებს შეიცავს: ლ. ლოპატინსკის, პ. უსლარის, ა. ბოგოიავლენსკის, ს. შულგინის, მ. კაგანის, ტ. კაშეევის, მ. კარპინსკის, მ. ზავადსკისა და სხვათა კვლევების შემცველი დაკვირვება-მიმოხილვის და საცნობარო დანიშნულების ტექსტები. მაგალითისათვის მხოლოდ რამდენიმე ავტორის წინასიტყვაობაში აღძრული საკითხების მიმოხილვაც იკმარებს. მასალათა კრებულის XX გამოშვებაში (1894) წარმოდგენილია ვრცელი წინასიტყვაობა (СМОМПК, 1894, 20, 1-9), რომელიც ეკუთვნის ლ. ლოპატინსკის, აქ კომენტირებულია თითოეული სტატია, ეთნოგრაფიული მასალა, ფოლკლორული ტექსტები. გამორჩეული ყურადღება ეთმობა: ქურთული, ტალიშური, სომხურ-თათური, ებრაულ-არამეული, აისორული ტექსტების საკითხებს. ასე, მაგალითად, ლ. ლოპატინსკი ქურთულ ზღაპარს („ჩიროკი“), როგორც ხალხური იუმორის ნიმუშს, მსგავსებას უძებნის ყაბარდოულ ზღაპართან „ერთი ქურდი მეორეზე უფრო მარდია“. იგი ვრცლად მსჯელობს მსგავსების დეტალებზე. ასეთივე მანერით მიმოიხილავს სხვა ზღაპრებსაც (СМОМПК, 1894, 2, 209). მისი დაკვირვებით, შვიდი ქოსას ზღაპარი ძალიან ჰგავს ყაბარდოულ ზღაპარს „ერთი მეორეზე გონიერია“ და დაფარულის მიხვედრაზეა აგებული; ტალიშური ზღაპარი „ჯადოსნური ვაშლი“ იდეურად და აგებულებით ჩამოჰგავს კავკასიურ ზღაპრებს; ზღაპარი „მხდალი“ ჰგავს ებრაულ-ტატურ ზღაპარს „ზარმაცს“ და მსგავსად აქვს დაძებნილი სხვა ზღაპრების ფოლკლორული ორეულებიც. ლ. ლოპატინსკის წინასიტყვაობები მასალათა კრებულის თითქმის ყველა გამოშვებას ახლავს, სადაც ვს. მილერის ფოლკლორისტული სკოლის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების მიხედვით არის გაანალიზებული გამოქვეყნებული მასალა.

სერიოზულობითა და სიღრმით გამოირჩევა ა. ბოგოიავლენსკის წინასიტყვაობები და სტატიები. მაგალითად, მასალათა კრებულის 28-ე გამოშვების მეორე განყოფილება იხსნება გამოქვეყნებული ფოლკლორული ტექსტების მიმოხილვით, ზღაპრების მოტივების საძიებლებით და ა. შ.

მსგავსი პრინციპითვე აქვს მიმოხილული ფოლკლორული ტექსტები მ. კარპინსკის მასალათა კრებულის 24-ე გამოშვებაში (1898). იგი აქ აღწერს და ახასიათებს გრებენელი კაზაკების ძველებურ სიმღერებს (I განყოფილება, გვ. 85-118), ასევე რუსული ბილინური ეპოსის ტრადიციების გათვალისწინებით აანალიზებს, რა გადარჩა თერგის ოლქში გრებენელი კაზაკების ზეპირსიტყვიერებაში რუსული ბილინური ეპოსის ტრადიციებიდან, რა შეიცვალა მასში და როგორ. მან ჩაიწერა ბილინები: დობრინია ნიკიტიჩსა და მარინკაზე, ალიოშა პოპოვიჩის ქორწინებაზე, დობრინია ნიკიტიჩის ცოლზე და ა. შ. მ. კარპინსკი წარმოადგენს არა

მთლიან ტექსტებს, არამედ ერთმანეთს უდარებს ფრაგმენტებს და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს. ის ასევე განიხილავს ისტორიულ სიმღერებს, სადაც უპირატესი თემებია პეტრე პირველისა და „სტენკა“ რაზინის ამბები.

მასალათა კრებულის ამავე გამოშვების II განყოფილების წინასიტყვაობაში მსგავსად არის მიმოხილული ფოლკლორული ტექსტები, ზღაპართა მოტივები თბილისის მესამე ქალთა გიმნაზიისა და წმინდა ნინოს სასწავლებლის მასწავლებლის მიხეილ კაგანის მიერ. მასალა შედარებულია მისი დროისათვის ცნობილ ფოლკლორულ კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ მსგავს ფოლკლორულ ტექსტებთან, გარკვეულია ტექსტობრივი მსგავსება-განსხვავებები და ამ ფონზე შეფასებულია მასალათა კრებულის ამ გამოშვებაში გამოქვეყნებული ტექსტების ღირებულება და მნიშვნელობა. მიხ. კაგანს ასევე აქვს შედგენილი ზღაპრების მოტივებისა და სახელთა საძიებლები (СМОМПК, 1898, 24).

მსგავსი პრინციპებით არის აგებული ასევე სხვა ავტორთა წინასიტყვაობებიც, რაც თავისთავად ცხადყოფს მათი შესწავლის მიზანშეწონილობას.

ამგვარია ზოგადად 1836-1927 წწ. კავკასიის რუსული პერიოდიკის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერული ინტერესების შინაარსი, რაც თავისთავად ცხადყოფს მისი შესწავლის აქტუალობას.

დამოწმებანი:

ჯაგოდნიშვილი თ., ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, წიგნი პირველი (XIX საუკუნე), თსუ გამომც., თბილისი, 2004.

ЗКОИРГО 1854.

СМОМПК 1887.

СМОМПК 1892.

СМОМПК 1894.

СМОМПК 1898.

ССКГ, 1, 1868.

Temur Jagodnishvili

Scientific-political Aspects of 1836-1927 Russian Periodicals
Annotation

There is analyzed 1836-1927 content of the aims, political and scientific interests of the publication of folklore and ethnological material printed on the pages of Russian periodicals (mainly published in the Caucasus).

It is noted that the Russian press was distinguished by extremely diverse, and in terms of the publication principles the time limits of this periodical can be extended to 1937.

Russian periodicals during this period were mainly guided and based on the materials founded and processed by members and respondents of the Caucasus section of the Russian Scientific Societies, reviews of folklore and ethnological texts, descriptions and comparative studies.

The special interest of these societies was conditioned by the state-political goals of the Russian Tsarism - by studying the ethnoculture of the aboriginal peoples of the Caucasus and by developing the mechanisms and principles necessary for their management. The existence of such a purpose has been clearly, repeatedly stated in the periodicals.

On this background, the existence of academic scientific interests of its time is noticeable, which was clearly emphasized in 1881, when International Scientific Forum of a grand scale was held in Tbilisi - V Congress of the Russian Archaeological Society (up to 700 participants, 30 famous European scientists).

It is indicated that the actualization of scientific interests was conditioned by the development of European Orientalism and the Caucasus north region involvement in the process of East-West cultural relations (Russian variation of borrowing theory - Vs Miller's theory). This is evidenced by the authors of reviews and descriptions attached to folklore and ethnological materials published in Russian periodicals applying the principles of Miller and his school.

ლევან ბრეგაძე

ქართული გამოცანები „მასალათა კრებულის...“ ფურცლებზე

„მასალათა კრებულს...“ შემოკლებით ვუწოდებთ რუსულენოვან გამოცემას „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, რომელიც 1881-1913 წლებში წელიწადში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერაც, გამოიცემოდა თბილისში კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს მიერ. მასში სხვადასხვა დროს (1882-დან 1903 წლამდე) საქართველოს სხვადასხვა მხარეში ჩაწერილი გამოცანების ხუთი კოლექცია გამოქვეყნდა – სულ 145 ქართული, მეგრული და სვანური გამოცანა – ორიგინალის ენაზე, რასაც რუსული თარგმანიც ახლავს.

გამოქვეყნების ქრონოლოგია ასეთია:

1. 1890, #10, II, გვ. 1: 4 სვანური გამოცანა, ბესარიონ ნიჟარაძის კოლექცია, ეცერის თემში შეკრებილი (დედნები აკრეფილია კირილიცით);

2. 1890, #10, II, გვ. 257: 6 მეგრული გამოცანა, ივ. ე. პეტროვის კოლექცია (დედნები აკრეფილია კირილიცით; პასუხები არ ახლავს);

3. 1900, #27, II, გვ. 144-145: 11 გამოცანა საჭილაოდან, იასონ კაპანაძის კოლექცია (დედნები აკრეფილია ქართული შრიფტით);

4. 1902, #31, IV, გვ. 67-69: 29 სვანური გამოცანა, ივანე ნიჟარაძის კოლექცია (დედნები აკრეფილია კირილიცით);

5. 1903, #32, III, გვ. 27-39: 95 გამოცანა, მ. ვ. გლუშაკოვის კოლექცია (დედნები აკრეფილია კირილიცით).

„ხალხური სიბრძნის“ მე-5 ტომის წინასიტყვაობაში ჯონდო ბარდაველიძე წერს:

„გამოცანა წარმოადგენს მეტაფორების, მეტონიმიების, პოეტური პარადოქსებისა და ტროპის უამრავ სახეობათა ისეთ მდიდარ არსენალს, რომლის მსგავსი არ იცის სხვა, არა მარტო მცირე, არამედ გაცილებით უფრო დიდი მოცულობის ჟანრებმაც კი“ (ხალხური... 1965: 19).

ამ დახასიათებიდან კარგად ჩანს რაოდენ „ავანგარდისტული“ ჟანრია გამოცანა.

ქართული გამოცანები ცალკე წიგნად პირველად რაფიელ ერისთავმა გამოსცა 1879 წელს (ერისთავი 1879). ამ წიგნში 130 გამოცანაა შესული. მანამდე გამოცანები იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა „დედა ენაში“.

თბილისში მოღვაწე ფრანგმა ჟურნალისტმა ჟიულ მურიემ 1883 წელს ოდესაში ფრანგულ ენაზე გამოცემულ თავის წიგნში „სამეგრელო (ძველი კოლხიდა)“ გამოაქვეყნა თერთმეტი მეგრული გამოცანის ფრანგული თარგმანი დედნების გარეშე, ხოლო შემდეგ, 1889 წელს, მის მიერვე თბილისში დაარსებული ჟურნალის „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ მე-3 ნომერშიც გადაბეჭდა ისინი (ამის თაობაზე იხ. ბრეგაძე 2013: 109-112).

„მასალათა კრებულის“ პუბლიკაციების დიდი ღირსება ის არის, რომ იქ გამოცანათა ორიგინალებს მათი რუსული თარგმანებიც ახლავს, რაც ძვირფას წინაპირობას ქმნის მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის.

სვანური გამოცანები

სვანური გამოცანების ნაწილი, ცხადია, საერთო ქართული ფოლკლორის კუთვნილებაა და მეტ-ნაკლები სიზუსტით ემთხვევა მთელ საქართველოში გავრცელებულ გამოცანებს. მაგალითად:

შიყ სგვებნავ ხარ ი ჯად ღვეშგმავ [ჭიშხ] (მასალთა... 1902, #31, IV: 66),
Спину имеет спереди, а живот сзади [нога] (იქვე: 67).
შდრ.: წინ ზურგი, უკან მუცელი [კანჭი] (გოგებაშვილი 1876: 115); წინ ზურგი, უკან მუცელი: აბა გამოიცან, რა არი [წვივი] (უმიკაშვილი 1964: 322);

ნაყერვს დესა ითნე [ნიც] (მასალთა... 1902, #31, IV: 68),
На ней удара не заметно [вода] (იქვე: 69).
შდრ.: დავკარ ხმალი, არ დაეტყო კვალი [წყალი] (უმიკაშვილი 1964: 324);
დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი [წყალი] (გოგებაშვილი 1876: 25).

ჩიგარ მგჟირ ლი [ნინ] (მასალთა... 1902, #31, IV: 68),
Всегда мокрый [язык] (იქვე: 69).
შდრ.: ერთი ხელსახოცი მაქვს, ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე [ენა] (ხალხური... 1965: 487);
ჩქიმი პიშქოსალი ვოსქგრეე – ვოსქგრეე, დღას ვამასქგრუუ [ნინა] (მასალათა... 1890, II: 257);
ერთი პირსახოცი მაქვს, ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე [ენა] (გოგებაშვილი 1876: 115).

ლუკულთხან ლახ ლი იზალალ ი მეფშვდე ლახ ლი ჩუ ლგგ [ჩაფგლ] (მასალათა... 1902, #31, IV: 68,
Когда связан – ходит, а когда отпущен – стоит [лапти] (იქვე: 69).
შდრ.: დავაბამ დადის, ავუშვებ დგას [ქალამანი] (გოგებაშვილი 1876: 30; ხალხური... 1965: 493).

ვოშდხვ ლავდილა ლიხ ი აშხვ დიაჟი იღრალხ [ფირვი კვილფხარ] (მასალთა... 1902, #31, IV: 68),
Четыре сестры через одно горло поют [сосцы коровы] (იქვე: 67).
შდრ.: ოთხნი არიან, ძმანი არიან, ბაღჩას ჩადიან, ჩაიმღერიან [ძროხის ძუძუები] (გოგებაშვილი 1876: 42);
ოთხნი არიან, ტოლნი არიან, ერთად ჩადიან, ჩაიმღერიან [ძროხის ძუძუები] (ხალხური... 1965: 476);

ლგდგპრ ლი, ხაყა ერვი, ქვეყანას ასპრლვე (პასუხი სვანურად არ ახლავს),
Сам мертвец, имеет двух живых и кормит мир [плуг и пара быковъ] (მასალათა... 1890, II: 1).

ამ უკანასკნელს „ხალხური სიბრძნის“ მე-5 ტომში პასუხად „უღელი და ორი ხარი“ უზის, ისევე, როგორც ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით გამოცემულ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“ (თავისუფალი სვანის ანუ ბესარიონ ნიჟარაძის კოლექცია):

„მკვდარია, ჰყავს ორი [ცოცხალი], ქვეყანას კვებავს [უღელი და ორი ხარი]“ (ხალხური... 1965: 474; შდრ. ძველი... 1913, II: 100).

„მასალათა კრებულის“ პუბლიკაციას ახლავს შენიშვნა: „ჩაიწერა და თარგმნა ბესარიონ ნიჟარაძემ“.

მაშასადამე, უფრო გვიანდელ (1913 წ.) პუბლიკაციაში გუთანი (плуг) უღლით არის ჩანაცვლებული. ჩვენი აზრით, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს ჩანაცვლება, იგი უმართებულოა და უნდა აღდგეს „მასალათა კრებულის“ ვერსია იმის გამო, რომ „ქვეყნის გამომკვებად“ გუთნის მოხსენიება უფრო უპრიანია, ვიდრე უღლისა.

დავით გურამიშვილს აქვს ლექსი-გამოცანა (გურამიშვილი 1955: 153), რომლის პირველი სტრიქონი საშინელებათა ფილმის ფრაგმენტი გეგონებათ:

„ცოცხალნი შობენ მკვდართა, და მკვდარნი ცოცხალთა ბადებენ!“

მერე ასე გრძელდება:

„ამას არ ავხსნი, სანამდის მე სოფელს არ მიქადებენ;
ასე თქმისათვის მსმენელნი რად დანაშაულს მადებენ?
თვითანაც მალე ახსნიან, თუმცა რომ მაიწადებენ“.

„არ ავხსნი“, თვითონ გამოიცანითო, და მართლაც არ ახლავს პასუხი „დავითიანის“ ამ გამოცანას.

ეს არის პოეტის მიერ ფოლკლორული მასალის შემოქმედებითად გადამუშავება – ხალხური გამოცანისგან მას მშვენიერი იუმორისტული პოეტური მინიატურა შეუქმნია.

ამის თაობაზე ჩვენ ადრეც ვწერდით და სამ გამოცანას ვასახელებდით, რომლებიც, ჩვენი აზრით, საფუძვლად დასდებია დავით გურამიშვილის ამ სახუმარო ლექს-გამოცანას. ესენია: „უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს – დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი [კვერცხი და ქათამი]“ (ხალხური... 1965: 478; გოგებაშვილი 1876: 49), „აბურძგალამ სიპი შობა, სიპმა აბურძგალა შობა [ქათამი და კვერცხი]“ (ხალხური... 1965: 479) და „ორჯელ შობილი ერთხელა კვდება“ (ხალხური... 1965: 479) – ქათამი, რომელიც ჯერ კვერცხად იბადება, შემდეგ კვერცხიდან ისევ ქათმად.

ჩვენი კომენტარი ასეთი იყო:

„დავით გურამიშვილის ვარიანტში ეს სამი გამოცანა თითქოს ერთ გამოცანად არის „გადამდნარი“ (ბრეგაძე 1997: 4; ბრეგაძე 2011: 213)

დავით გურამიშვილის ამ ლექსის შთაგონების წყაროდ შეიძლებოდა დაგვესახელებინა ესეც:

„უსულო არის ორსულად, სულიერისა მშობელი [კვერცხი]“ (უმიკაშვილი 1964: 291).

მაგრამ ყველაზე ახლოს გურამიშვილის ლექსის სტრიქონი, რომელიც ზემოთ საშინელებათა ფილმის ფრაგმენტს შევადარეთ, გამოცანის იმ სვანურ ვერსიასთან დგას, რომელიც „მასალათა კრებულის“ 1902 წლის ტომში გვხვდება, ივანე ნიჟარაძის კოლექციაში:

ლჷდგარხანქა ლუვარ ანღრი [ლჷგრე],
Из мертваго живой идет [яйцо]
თარგმანი: „მკვდრისგან ცოცხალი გამოდის [კვერცხი]“ – უფრო ზუსტი პასუხი „კვერცხიდან წიწილის დაბადება“ იქნებოდა (მასალათა... 1902, #31, IV: 67).

*

„მასალათა კრებულში“ წარმოდგენილ სვანურ გამოცანათა უმეტესობა ქართული გამოცანების ცნობილ კრებულებში არ იძებნება. და, რაც მთავარია, გვხვდება გამოცანათა მოულოდნელი სახეობები, მაგალითად, **ეთნოგრაფიული** (ან ეთნოლოგიური) **გამოცანა**:

ვოშდხვ ლავდილას ეშხვი ფაყვ ხაგხ [კარა] (მასალათა... 1902, #31, IV: 66),
Четыре сестры одну шапку имеют [очаг свана] (იქვე: 67).
თარგმანი: „ოთხ დას ერთი ქუდი ახურავს“ [სვანის კერია].

თხვიმ ჩუბავ ხარ ი ჭჷშხარ ჟიბავ [ტაბაგ] (მასალათა... 1902, #31, IV: 66).
Голова снизу, а ноги сверху [стол свана] (იქვე: 67).
თარგმანი: „თავი ზემოთ, ფეხები კი ქვემოთ“ [სვანის მაგიდა].

რატომ არის პირველი მაინცდამაინც „სვანის კერია“ (оч(г свана), ხოლო მეორე მაინცდამაინც „სვანის მაგიდა, სუფრა თუ ტაბლა“ (ст(л свана), ამის გასარკვევად ეთნოლოგიის სფეროში ჩვენი კომპეტენცია საკმარისი არ არის. (სვანური ლექსიკონი გვაუწყებს, „ტაბაგ“ სულებისთვის გაშლილი ტაბლა არისო [სვანური...]. შესაძლოა მას ჰქონდეს „თავი ქვემოთ, ფეხები ზემოთ“)

*

ეს გამოცანები კი **დოკუმენტურ გამოცანებად** უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მათზე სწორი პასუხის გასაცემად გამჭრიახობა კი არ არის საჭირო, არამედ კონკრეტული ამბის ცოდნა:

აშხვ მეზგასერ დას ხორი უშგულისგა [დავა ლანჭლი ბერჯაშ თაისავს ხორი ბეჟნაიშა] (მასალათა... 1902, #31, IV: 66),

Кроме одного семейства, никто не имеет в Ушкулах [дуга для дива у Таисава Гвачлиани] (მასალათა... 1902, #31, IV: 68).

თარგმანი: „ერთი ოჯახის გარდა, არავისა აქვს უშგულში [დევისათვის განკუთვნილი რკალი (აღკაზმულობის, მოსართავის ნაწილი), ტაისავა გვაჩლიანის [საკუთრება]“;

და ამავე გამოცანის მეორე ვერსია:

აშხვ მეზგასერ დას ხორი უშგულისგა [დავა უშდბალ ბერჯაშ ჰანდრაშ] (მასალათა... 1902, #31, IV: 66),

Кроме одного семейства, никто не имеет в Ушкулах [камень дива у Андрея Челидзе] (მასალათა... 1902, #31, IV: 68).

თარგმანი: „ერთი ოჯახის გარდა, არავისა აქვს უშგულში [დევის ქვა ანდრია ჭელიძისა]“.

*

„მასალათა კრებულის“ სვანური გამოცანები, ერთის გარდა, გაურითმავია. იმ ერთში აშკარაა ასონანსური რითმები, რითაც ოთხსიტყვიან ფრაზაში პირველი ორი სიტყვა მომდევნო ორს ერითმება:

სგობინ ფანფალა, ღოშგიმ ლაშგარა [ქათალ] (მასალათა... 1902, #31, IV: 68),

Спереди мохнатая, а сзади с войском [Курица] (იქვე: 69) –

თარგმანი: „წინიდან ბანჯგვლიანი, უკან ლაშქრიანი [ქათამი] (უფრო სწორი პასუხი იქნება „კრუხი წიწილებით“).

მეგრული გამოცანები

მეგრული გამოცანები მწირად არის წარმოდგენილი „მასალათა კრებულში...“. 1890 წლის გამოცემაში 15 მეგრული ანდაზის შემდეგ დაბეჭდილია 6 მეგრული გამოცანა. ეს არის და ეს. ესენი განთავსებულია განყოფილებაში, რომლის სათაურია „მეგრული ტექსტები, ჩაწერილი და რუსულ ენაზე თარგმნილი ქუთაისის (ხონის მაზრა) საოსტატო სემინარიის მასწავლებლის ივ. ე. პეტროვის ზედამხედველობით“. გამოცანებს რატომღაც პასუხები არ ახლავს – პასუხები ჩვენ თვითონ მივუწერეთ იოსებ ყიფშიძის გამოცემის მონაცემთა გათვალისწინებით (ყიფშიძე #85).

1. **ოთხი ჯიმა კოც ართი ქუდი გიორთუ** [ტაბაკი] (მასალათა... 1890, II: 257)

თარგმანი: ოთხ ძმას ერთი ქუდი ხურავს [მაგიდა].

შდრ.: ოთხ ძმას ერთი ქუდი ხურავს [სკამი] (უმიკაშვილი 1964: 308),

ოთხთა ძმათა ტანით ტოლთა, თავზედ ხურავთ ერთი ქუდი [სტოლი] (გოგებაშვილი 1876: 22).

2. **ჩქიმი ჭიჭე ორტვინიას დღას ვე გიონთგნცგ**.

თარგმანი: ჩემს პატარა ბოსტანში თოვლი არასოდეს ძევს [ნიგოზი].

3. **ჩქიმი ჭიჭე ორტვინია ჩე ქუათ ეფშა რე** [პიჯი დო კიბირეფი]

თარგმანი: ჩემი პატარა ბოსტანი თეთრი ქვებით არის სავსე [პირი და კბილები].

შდრ.: ეს ჩემი პატარა ბოსტანი ქვით არის მოჭედილი [კბილები] (უმიკაშვილი 1964: 290).

4. **მეურცუ დო ნაულერი ვე გიოხე** [ნიში დო წყარი].

თარგმანი: მიდის და კვალი არა ჩანს [ნავი და წყალი].

შდრ.: მივა, მოვა, კვალს არ აჩენს [ნავი] (უმიკაშვილი 1964: 298).

5. **ჩქიმი პიშქოსალი ვოსქგრეე – ვოსქგრეედო დღას ვამასქგრუუ** [ნინა].

თარგმანი: ჩემი ცხვირსახოცი ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე [ენა].

შდრ.: ერთი ხელსახოცი მაქვს, ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე [ენა] (უმიკაშვილი 1964: 281).

შდრ. სვანური ვერსია: ჩიგარ მგჟირ ლი [ნინ]. Всегда мокрый [язык] (მასალათა... 1902, #31, IV: 68).

6. **ვხეშე, ვხეშე – დღასი ვამახეშუუ** [შარა].

თარგმანი: ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე [გზა].

შდრ.: ერთი სარტყელი მაქვს, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე [გზა] (უმიკაშვილი 1964: 280).

მეორის გარდა („ჩქიმი ჭიჭე ორტვინიას დღას ვე გიონთგნცგ“; თარგმანი: „ჩემს პატარა ბოსტანში თოვლი არასოდეს ძევს“) ყველა ეს გამოცანა საერთო ქართველური ფოლკლორის კუთვნილებაა. მეორე კი ვერ მოვძებნეთ ქართული გამოცანების ცნობილ კოლექციებში[2].

მისი ნახვა შეიძლება იოსებ ყიფშიძის მეგრული გამოცანების კოლექციაში, მაგრამ იქაც, რატომღაც პასუხის გარეშეა (ყიფშიძე #85).

პასუხი ამ გამოცანას ახლავს ოთარ ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ და ეს არის „ნიგოზი“ (ქაჯაია 2001). ჩვენთვის უცნობია ბატონი ოთარი რამე წყაროს ეყრდნობოდა თუ თვითონ გამოიცნო ეს, მაგრამ „ნიგოზი“ სწორი პასუხი ჩანს: ნიგვზის ნაჭუჭში თოვლი ვერ შეაღწევს და ლებანს („ბოსტანს“) ვერ დააზიანებს.

---

2. იგი განეკუთვნება გამოცანების წყებას, რომელიც იწყება სინტაგმით „ჩქიმი ჭიჭე...“ („ჩემი პატარა...“): **ჩქიმი ჭიჭე** ჩუვანიაშე ჟირი ჩოგანია ღუმუს ეშუვოგანქი [ნეძი] (ყიფშიძე #85) – ჩემი პატარა ქვაბიდან ორი ჩოგანი ღომი ამომაქვს [კაკალი, ნიგოზი]; **ჩქიმი ჭიჭე** ორტვინიას დაჩხირი ინიფაფალ – ჩემს პატარა ბოსტანში ცეცხლი ლაპლაპებს [ჩიბუხი] (დანელია, ცანავა #76) და სხვ.

„მასალათა კრებულის“ 1900 წლის გამოშვებაში (#27, განყ. II, გვ. 144-145) დაიბეჭდა სოფ. მარნის (აბაშის მუნიციპალიტეტი) სასწავლებლის ზედამხედველის იასონ კაპანაძის (1857-1931) მიერ საჭილაოში (სენაკის მაზრა) ჩაწერილი ფოლკლორული მასალები, მათ შორის არის 11 გამოცანა (დედნები აკრეფილია ქართული შრიფტით).

ამ თერთმეტიდან მხოლოდ ერთია ისეთი (#11), რომელიც სხვა კოლექციებში ვერ მოვიძიეთ:

ერთი ხე მაქ, ყოველ ღამე ებია [ცა და ვარსკვლავები] (მასალათა... 1900, II: 145).

ცასა და ვარსკვლავებზე მრავალი გამოცანა არსებობს, მაგრამ ასეთი არ ჩანს.

დანარჩენები ცნობილი გამოცანების ვარიაციებია, რომლებიც დიალექტური ფორმებით იქცევენ ყურადღებას, ისევე, როგორც ახლახან ციტირებული ტექსტის „ებია“ – კუთხური „აბია“ („ასხია“) ზმნის უჩვეულო ფორმა.

ჩემი პატარა ბოსტანი ქვებითაა **გადარაჭული** [პირი და კბილები] (მასალათა... 1900, II: 144).

პეტრე უმიკაშვილის კოლექციაში ამას შეესაბამება: ეს ჩემი პატარა ბოსტანი ქვით არის **მოჭედილი** [კბილები] (უმიკაშვილი 1964: 290).

ლიტერატურული „მოჭედილი“ იასონ კაპანაძის ვერსიაში ამ სიტყვის იშვიათი სინონიმით („გადარაჭული“) არის ჩანაცვლებული (ლექსიკონებში ვერ ვიპოვეთ).

პასუხი, რომელიც ამ გამოცანას ახლავს „მასალათა კრებულში“ („პირი და კბილები“), უფრო ზუსტია, ვიდრე უმიკაშვილისა („კბილები“).

იასონ კაპანაძის კოლექციაში ექვს გამოცანას (ანუ ნახევარზე მეტს) ლექსის ფორმა აქვს, მაგრამ უმეტესობა მეტრულ-რიტმულად ნაკლული სახით არის წარმოდგენილი:

ვზივარ შუაში, არა მაქვს ფასი, დამცქერია ყველა თვალში [ცეცხლი] (მასალათა... 1900, II: 144),

ამ მხრივ გამართულია ამ გამოცანის უმიკაშვილისა და „ხალხური სიბრძნის“ ვერსიები: ვზივარ შვაში, არ მაქვს ფასი, დამცქერია ყველა თვალში (უმიკაშვილი 1964: 317), ვზივარ შუა, არ მაქვს ფასი, შემომცქერის ყველა თვალში (ხალხური...1965: 497);

შავი არის შაშვივითა, გაძღება და დაეგდება გლახა მეძებარივითა [წურბელა] (მასალათა... 1900, II: 144),

რიტმულად შევსებული ვარიანტი:

შავი არის შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა, გაძღება და გაგორდება კუდა მეძებარივითა [წურბელა] (ხალხური... 1965: 486);

ვერ გამომჭრის კაი მჭრელი, ვერ შემკერავს ხარაზიო; ალის ფერად გარდვიქცევი, შეგრჩები ლამაზიო [ჭიქა წითელი ღვინით] (მასალათა... 1900, II: 145).

შდრ. რიტმულად უნაკლო ვერსია:

ვერცა დაჭრის კაი მჭრელი, ვერც შეკერავს ხარაზიო, / ხარატულებრ გამოჭრილი ხელთ გიჭირავს ლამაზიო [ჭიქა] (უმიკაშვილი 1964... 226).

ეს გამოცანა გლუშაკოვის ქვემოთ განხილულ კოლექციაშიც არის ამ სახით:

კაი მჭრელი ვერ გამომჭრის, / ვერ შემკერავს ხარაზიო, / ბროლის ფერად გამოვჩდები, / ხელს შევრჩები ლამაზიო [ჭიქა] (მასალათა...1903, III: 34);

სტუმარი მესტუმრა მისდღეში უსტუმრებელი, იმისთანა საჭმელი აქ – სუფრაზედა – უდებელი [ჩვილი] (მასალათა... 1900, II: 145).

ამას თავში აკლია ორი მარცვალი:

შდრ.: ერთი სტუმარი მეწვია მისდღეში უსტუმრებელი, ორი ულუფა მივართვი, სუფრაზე დაუდებელი [ბავშვი და დედის ძუძუები] (ხალხური... 1965: 487).

ექვსი გარითმულიდან რიტმულად გამართული მხოლოდ ეს ორია:

ერთ ქვეყანას ორთა ძმათა ორთა ერთი ფერი აქვთო; ერთი მუდამ სიყმეზე სდგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო; ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთს-კი მარტო ტახტი აქვსო [მზე და მთვარე] (მასალათა... 1900, II: 144. შდრ. გოგებაშვილი 1876: 98; ხალხური... 1965: 450).

და

ორნი არიან, ტოლნი არიან, ქალაქს ჩადიან, ჩაიმღერიან [ძროხის ძუძუები] (მასალათა... 1900, II: 144) –

ოღონდ ამ უკანასკნელს სხვა ნაკლი აქვს – აზრობრივ-შინაარსობრივი: სოფ. მარნის სასწავლებლის ზედამხედველს, იასონ კაპანაძეს, ავიწყდება, რომ ძროხას ოთხი ძუძუ აქვს. ეს მექანიკური შეცდომა არ არის, ვინაიდან ასევე უთარგმნია:

Два сверстника в город идут и поют [Вымя у коровы].

შდრ.: ოთხნი არიან, ძმანი არიან, ბაღჩას ჩადიან, ჩაიმღერიან (უმიკაშვილი 1964... 320); ოთხნი არიან, ტოლნი არიან, ერთად ჩადიან, ჩაიმღერიან [ძროხის ძუძუები] (ხალხური... 1965: 476).

დანარჩენი სამი გამოცანიდან ორი იმ სერიიდან არის, რომელიც იწყება ფორმულით „ჩემ(ი) პატარა...“:

ჩემ პატარა ბოსტანს ცეცხლი ეკიდება [ჩიბუხი] (მასალათა... 1900, II: 144).

შდრ.: 1. ერთ პატარა მანანას (? – ლ. ბ.) თავზე ცეცხლი ეკიდება, 2. ერთ ჩემ ბოსტანში ყოველთვის კვამლი ამოდის, 3. უსულოსა, უგულოსა თავზე ცეცხლი ეკიდება (უმიკაშვილი 1964: 314);

და

ეს ჩემი პატარა საღორე ვხვეტე, ვხვეტე ვერ დავხვეტე [ცხვირი] (მასალათა... 1900, II: 144)

შდრ.: ჩემი პატარა ბოსელი ვხვეტე, ვხვეტე ძლივს დავხვეტე [ცხვირი] (ხალხური... 1965: 492).

ბოლოს კიდევ ერთი გამოცანა ციკლიდან „ადამიანის სხეულის ნაწილები“:

ერთ მოედანზე ორი გველი წევს [წარბები] (მასალათა... 1900, II: 144) –

მცირედ განსხვავებული „ხალხური სიბრძნის“ ვერსიისაგან: ერთ მინდორზე ორი გველი წევს [წარბები] (ხალხური... 1965: 492).

ქართული გამოცანების მიხაილ გლუშაკოვისეული კოლექცია

„მასალათა კრებულის“ 1903 წლის გამოცემაში (#32, განყ. III, გვ. 22-89) „იმერული გამოცანების“ სათაურით გამოქვეყნდა 95 გამოცანა რუსული თარგმანებითურთ (ქართული ტექსტები აკრეფილია კირილიცით).

ეს არის მეტად მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომელიც საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ამჯერად ჩვენ მის მხოლოდ ორიოდე თავისებურებას შევეხებით.

1. აქ ბლომად არის წარმოდგენილი გამოცანები, რომელთაც ვერ ვხვდებით სხვა ცნობილ კოლექციებში.

ვნახოთ რამდენიმე მაგალითი.

ა) არსებობს გამოცანები ხმლის შესახებ, ხანჯალზე გამოცანას კი ვერც უმიკაშვილთან ვხვდებით, ვერც გოგებაშვილთან. „ხალხური სიბრძნის“ მე-5 ტომში არის ასეთი გამოცანა: „ორმო ბნელი შიგ მოზვერი, ძნელად მოსაბრუნებელი“, რომელსაც პასუხად უზის „თოფი, ხანჯალი“. ჯერ ერთი, ერთი და იგივე გამოცანის ამოხსნა როგორ შეიძლება „თოფიც“ იყოს და „ხანჯალიც“! გარდა ამისა, ეს გამოცანა უმიკაშვილთანაც გვხდება (უმიკაშვილი 1964: 327) და „დედა ენაშიც“ (გოგებაშვილი 1876: 34) და ორივეგან პასუხი „ხმალია“.

„მასალათა კრებულის“ გლუშაკოვის კოლექციაში 86-ე ნომრად დაბეჭდილია გამოცანა ხანჯალზე:

„იქეთ-აქეთ პირი თხელა, / ბოლო – გაწუნწრუკებული“ – По обеим сторонам лезвие тонкое, / конец – заостренный [Кинжал]“ (მასალათა... 1903, III: 37), რომელიც იმითიც არის საყურადღებო, რომ იშვიათ დიალექტიზმს შეიცავს: „გაწუნწრუკებული“, რაც აშკარად წამახვილებულს, წაწვეტებულს და, მგონი, გათხელებულსა და გამხდარსაც ნიშნავს (გამიგონია: „რავა გაწუნწრუკებულა“ „რავა გამხდარა“-ს მნიშვნელობით). ლექსიკონებში ვერ ვიპოვე.

ბ) „შარშან ისარი ვისროლე, / წროულს მოწურწუმალობდა“ [პური დათესილი] – В прошлом году метнул стрелу, / В этом году она обратно летела [Хлеб посеянный]

(მასალათა... 1903, III: 30). (საშემოდგომო ხორბალი შემოდგომაზე ითესება და მომდევნო წლის ზაფხულში მკიან).

აქაც ყურადღებას იქცევს ერთობ ექსპრესიული დიალექტიზმი „მოწურწუმალობდა“, რომელიც აგრეთვე არ ჩანს ლექსიკონებში.

გ) „ღორია ღორღომელია, / უკუდო საქონელია“ [სკა] – Свинья . . . . . , / Безхвостное животное [Улей] (მასალათა... 1903, III: 29).

„ღორღომელია“ ვერ უთარგმნიათ და მისი ადგილი მრავალწერტილით შეუვსიათ. მაგრამ არც „ღორი(ა)“ უნდა ნიშნავდეს აქ „Свинья“-ს. „ღორია ღორღომელია“ შესაძლოა კონკრეტული სემანტიკისგან დაცლილი ფორმულა იყოს, რომელმაც გამოცანას იდუმალება უნდა შეჰმატოს. (შდრ.: „ღორი, ღორი, ღორღომელი, ტანდაბალი საქონელი, / გარეთ გავა, გასუქდება, შინ შემოვა, შეწუხდება [ტიკჭორა]“. – ხალხური... 1965: 499).

დ) არც ეს გამოცანა იძებნება ცნობილ კრებულებში:

„კერია და კერეწკუპა / კერიაზე მეიწკუპა [ქოთანი]“ – Очаг и у очага сидящий / У очага стал [Горшок] (მასალათა... 1903, III: 33).

„მიწკუპება“ იშვიათი დიალექტური სიტყვაა და ახლოს მისვლას ნიშნავს.

ე) ქარზე ბლომად გამოცანაა ქართულ ფოლკლორში, მაგრამ ამის მსგავსი ვერ აღმოვაჩინეთ:

„თვალთა არ იხედება, / ფეხით არ დაიარება, / გზას მოყვირის ვირივითა, / ღონეს ისე მოიტანს, / მოწიფული გმირივითა“ [ქარი] – Глазу не виден, / Ногами не ходит, / По дороге ревет, как осел, / Он так силен, / Как взрослый герой [Ветер] (მასალათა... 1903, III: 35).

ვ) კოდალაზე შექმნილ გამოცანათა შორის ეს ვერ ვიპოვეთ:

„ხის სატეხი[3], / ხორცის ურო“ [კოდალა] – Долбящий дерево, / Из мяса молот [Дятел] (მასალათა... 1903, III: 33).

და სხვ. და სხვ.

2. ამ კოლექციის მეშვეობით ხერხდება რამდენიმე ქართული გამოცანის ავთენტიკური ტექსტის აღდგენა.

ერთი გამოცანა, რომლის პასუხია „კამეჩი“, ასეთი რედაქციებით გვხვდება ანდაზათა კრებულებში:

3. „სატეხის“ ნაცვლად დაბეჭდილია „სატენი“, რაც აშკარად კორექტურული შეცდომაა, ვინაიდან თარგმანი სწორია.

ჰორომ-ჰორომს გეიძახის ჰორომ ფერენჯიანიო, / **ჯორს** კუდი მიუგავს, საბან ტალახიანიო;

ბაზი მობაზუნობდაო, ბაზი ბარაქიანიო, / კუდი **ჯორსა** მიუგავდა, კუდი ტალახიანიო (უმიკაშვილი 1964: 290; ხალხური... 1965: 474).

როგორც ვხედავთ, ორივე ვერსიაში ერთი ცხოველის (კამეჩის) კუდის მეორე ცხოველის (ჯორის) კუდთან მსგავსებაზეა ლაპარაკი. სინამდვილეში ჯორისა და კამეჩის კუდები თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისგან (ჯორის კუდი ცხენის კუდის მსგავსია – ძუებისაგან შედგება, კამეჩისა კი ძროხისას ჰგავს). ესეც რომ არ იყოს და ამ ცხოველთა კუდები ერთმანეთს ჰგავდნენ, ერთი ცხოველის გამოსაცნობ ნიშნად მისი კუდის სხვა ცხოველის კუდთან მსგავსების დასახელება გამოცანის უხარისხობის მომასწავებელი იქნებოდა, რაც ფოლკლორულ ტექსტებში, ჩვეულებრივ, არ შეინიშნება, ვინაიდან უხარისხო (წარუმატებელი) ფოლკლორული ტექსტი სწრაფად ეძლევა დავიწყებას (წარმოვიდგინოთ, გამოცანაში, რომლის პასუხი არის ვირთხა, გვეუბნებოდნენ, კუდი თაგვს მიუგავსო!).

ამ გამოცანის ვერსიაში, რომელსაც გლუშაკოვის კოლექცია შეიცავს, **ჯორის** მაგივრად წერია **ჯოხი** – „კუდი **ჯოხს** მიუგავს“ და რუსულადაც ასეა – „...хвост похож на **палку**“ (მასალათა... 1903, III: 32). მართლაც, კამეჩის კუდი ჰგავს ჯოხს, მეტადრე მაშინ, როდესაც იგი მას გაბრაზებისას ჰორიზონტალურად გაბზეკს ხოლმე.

*

უმიკაშვილთან არის ასეთი გარითმული გამოცანა:

„გახტა რკალი, თან გაჰყვა ჯარი“, რომლის პასუხია „კრუხი წიწილებით“ (უმიკაშვილი 1964: 294).

გამოცანის პირველ და მეორე ნაწილს შორის აზრობრივი კავშირის დამყარება ვერ ხერხდება: გაუგებარია რას უნდა ნიშნავდეს „გახტა რკალი“ კრუხ-წიწილასთან მიმართებით.

„მასალათა კრებულში“ ვკითხულობთ:

გახთა ქალი, / გაყვა ჯარი [კრუხი] – Стала женщиной, / За ней последовало войско (толпа) [Наседка] (1903, III: 24).

„გახთა (გახდა) ქალი“, კრუხის მიმართ ნათქვამი, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დედა გახდა – წიწილები გამოჩეკა. აქ მთავარია პარადოქსი: „ჯარი“ მიჰყვება „ქალს“, მაშინ, როცა სარდალი ტრადიციულად კაცი უნდა იყოს.

შდრ.: „ჩახტა ბებერი, ჩაჰყვა ლაშქარი“, „წინ ფანფალი, უკან ლაშქარი“ [კრუხ-წიწილა] (ხალხური... 1965: 478).

*

უმიკაშვილთან არის ასეთი გამოცანა:

მე ვჭამ, შენ ჭამ, ცემას რას მემართლები? (უმიკაშვილი 1964: 306) – პასუხია „საცერი“.

აქ საეჭვო ჩანს „ვჭამ“ – რას ჭამს საცერი?

ავთენტიკური ვარიანტი შეგვიძლია ვიხილოთ „მასალათა კრებულის“ პუბლიკაციაში, რომელიც ცხადყოფს, რომ უმიკაშვილის ვერსია ევფემიზებულია: „ვჭამ“-ის ადგილას „მასალათა კრებულში“ არის სიტყვა, რომელსაც ზრდილობიანი ადამიანები საჯაროდ არ წარმოთქვამენ. იგი „ჭამ“ სიტყვის რითმაა და რუსულად ასეა თარგმნილი: Я испражняюсь („Я испражняюсь, / Ты ешь; / Почему меня бьешь?“ [Сито]. – მასალათა... 1903, III: 27).

*

ევფემიზაციის შემთხვევას ვხვდებით ზემოთ ნაწილობრივ უკვე განხილულ ანდაზაშიც, რომლის ამოხსნა არის კამეჩი. როგორც ვნახეთ, უმიკაშვილთან ასეთი რამ წერია: „...ჯორს კუდი მიუგავს, **საბან** ტალახიანიო“ (შდრ. უმიკაშვილისა და „ხალხური სიბრძნის“ ვერსია: „...კუდი ჯორსა მიუგავდა, კუდი ტალახიანიო“, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ). „ჯორის“ ამბავი გავარკვიეთ – მის ადგილას „ჯოხი“ უნდა იყოს. მაგრამ რას ნიშნავს „**საბან** ტალახიანი“? როგორც ჩანს, ამ გაუგებარი სიტყვით ის უცენზურო სიტყვაა ჩანაცვლებული, რომელიც „მასალათა კრებულის“ ვერსიაში გვხვდება: „უზურ, უზურ გამოდიან, / უზურ ბარაქიანიო, / კუდი ჯოხს მიუგავს, / **საკუარ** ტალახიანიო“. რუსულ თარგმანშიც არის ევფემიზაცია, ოღონდ სხვა სახის: Стадом, стадом выходят, / Стадом пребольшим, / Хвост похож на палку, / **Задница** грязная [Буйвол]“ (მასალათა... 1903, III: 32)

3. ზოგჯერ რუსული თარგმანი გვეხმარება გამოცანის აზრის დადგენაში, მეტადრე, როცა სიტყვის პოლისემიასთან გვაქვს საქმე.

უმიკაშვილთან ვკითხულობთ:

„დავკეცე **ფარის** ოდენა, გავშალე ქვეყნის ოდენა“ (უმიკაშვილი 1964: 285) (შდრ.: „გავშალე ქვეყნის ოდენზე, დავკეცე **ფარის** ოდენზე“ (ხალხური... 1965: 488). პასუხია „თვალები“.

„ფარ-ის“ შეიძლება იყოს ნათესობითი ბრუნვა 1) თავდასაცავი საბრძოლო იარაღის (ფარი), 2) ცხვრების ჯოგის აღმნიშვნელი სიტყვის (ფარა), 3) და ფულის სინონიმი „ფარა“-სიც. როგორ ესმოდა ეს სიტყვა მის ჩამწერს და მთარგმნელს? მესამე მნიშვნელობით ესმოდა (მონეტა), რასაც ააშკარავებს თარგმანი:

დავკეცე – ფარის დონაზე, / გავშალე – ქვეყნის დონაზე [თვალები] – Сложил (закрыл) – величиною **в денежку**, раскрыл - величиною в земной шар [Глаза] (მასალათა... 1903, III: 24).

* * *

ამრიგად, „მასალათა კრებულის“ ქართულ გამოცანათა კოლექციები შეიცავს ძვირფას მასალას, მნიშვნელოვანს როგორც ამ ჟანრის განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ასევე ხატოვანი აზროვნების ბუნებაზე დაკვირვებისთვისაც და, ამავდროულად, ეთნოლოგიური და ლინგვისტური კუთხითაც ფრიად საყურადღებოს.

დამოწმებანი:

ბრეგაძე 1997: ლევან ბრეგაძე. „გამოცანას მოგახსენებ...“ // გაზ. „თბილისი“, 12.06.1997, #80.

ბრეგაძე 2011: ლევან ბრეგაძე. მარგინალიები. თბილისი: „ინტელექტი“, 2011.

ბრეგაძე 2013: ლევან ბრეგაძე. მოგზაურობა „ლე კოკაზ ილიუსტრეს“ ფურცლებზე. თბილისი: „არტანუჯი“, 2013.

გოგებაშვილი 1876: იაკობ გოგებაშვილი. დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის. თბილისი: 1876.

გურამიშვილი 1955: დავით გურამიშვილი. დავითიანი. თბილისი: სახელგამი, 1955.

ერისთავი 1879: ქართული გამოცანაები. შეკრებილი თ. რაფ. ერისთავის მიერ. თფილისი: 1879.

მასალათა... 1890: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X. Тифлис: 1890.

მასალათა... 1900: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXVII. Тифлис: 1900.

მასალთა... 1902: Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXXI. Тифлис: 1902.

სვანური... : სვანური ლექსიკონი: http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php

დანელია, ცანავა #76:

h

უმიკაშვილი 1964: პეტრე უმიკაშვილი. ხალხური სიტყვიერება ოთხ ტომად, ტ. 2. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

ქაჯაია 2001: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=33&t=9960

ყიფშიძე #85: h

ძველი... 1913: ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტ. II. ტფილისი: 1913.

ხალხური... 1965: ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად, ტ. 5. თბილისი: „ნაკადული“, 1965.

Levan Bregadze

Georgian riddles on the pages of "The collected materials..."

We call "The collected materials..." as abbreviation to the Russian edition "The collection of materials for describing the places and folks of Caucasia" ("Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа"), which was published in the years 1881-1913 once or sometimes twice in a year in Tbilisi by the direction of Caucasian teaching department. In it ware published at various times (from 1882 till 1903) five collections of riddles collected in different regions of Georgia – in total 145 Georgian, Megrelian and Svanish riddles - in the language of the original, accompanied by their Russian translations. These translations help us in the precision of the text of some riddles.

The collections of Georgian riddles of „The collected materials" contain precious materials, important as in the sense of studying the historical development of this genre, as for the observing the nature of artistic thinking and, at the same time, quite important in the ethnological and linguistic sense.

ნესტან რატიანი

ერთი ხალხური ლეგენდის შესაძლო ორი მხარე

Новое Обозрение-ის 1889 წლის N1968-ის ფურცლებზე დაბეჭდილია ილარიონ ხონელის[4] წერილი. ამ წერილში ავტორი მოგვითხრობს ლეგენდას, რომელიც მას მთაში ჩაუწერია და რომელიც, მისივე ვარაუდით, საფუძვლად უნდა დასდებოდა ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილს“. ხონელი აღნიშნავს, რომ ეს ლეგენდა პოემაში წარმოდგენილია საგრძნობი სახეცვლილებით და ამიტომაც თავს ვალდებულად მიიჩნევს, წარმოადგინოს ლეგენდა უცვლელი სახით.

რას მოგვითხრობს ლეგენდა? თურმე ყაზბეგის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე ორწვერის მყინვარის უკან ძველ დროში მონასტერი იყო. როგორ ააგეს მონასტერი, რითი იკვებებოდნენ აქ მცხოვრები წმინდა საძმოს წევრები, ბურუსითაა მოცული. ერთადერთი ისაა ცნობილი, რომ ამ ადგილას ახლა მხოლოდ ვეებერთელა თეთრი ჯვარია აღმართული და რამდენიმე ხის სენაკია შემორჩენილი. ოდესღაც ამ მოწყვეტილ ადგილას მოვიდა ბერი თავის საძმოსთან ერთად, რადგან ამაზე უკეთეს ადგილს ქვეყნისგან განსარიდებლად სხვაგან სად მოძებნიდა. აქ ცხოვრებამ სულ გადაავიწყა დაყუდებულს ამქვეყნიური საზრუნავი და თავი მარხვასა და ლოცვას მიუძღვნა. ბოლოს ღმერთმა ისმინა მისი ლოცვები და მარად მომარხულე ბერს სასწაული მოუვლინა: კუთხეში, ხატების ქვემოთ, იქ, სადაც წმინდა წიგნები ინახებოდა, იყო ვიწრო ღიობი. აქედან სენაკში შემოდიოდა მზის სხივები. ლოცვის წინ განდეგილი გადმოიღებდა წმინდა წიგნებით სავსე აბგას (ეს სიტყვა რუსულ ტექსტში უცვლელადაა დაფიქსირებული და ჩასმულია ბრჭყალებში) და ისე გადაჰკიდებდა მას სხივებზე, თითქოს ეს უკანასკნელი ბაწარი იყო. სასწაულით წახალისებული მწირი კიდევ უფრო მეტი მონდომებით აგრძელებდა ლოცვას, რადგან მას ერთადერთი სურვილი დარჩა, საძმოს დანარჩენი წევრებიც გამხდარიყვნენ სასწაულის ღირსები. მონასტრის ტიპიკონი საკმაოდ მკაცრი იყო. აქ დილიდან საღამომდე ისმოდა ფსალმუნების მგალობელი ბერების ხმა. ეს ყველაფერი უცხო თვალის დასანახად არ კეთდებოდა, არავინ იცოდა მათი მოღვაწეობის შესახებ, მხოლოდ უფალმა და ყაზბეგის ქარბუქმა. ასეც გაგრძელდებდა, რომ არა მონასტერში მოღვაწე ყმაწვილი ბერები, რომლებიც ეშმაკის ცთუნებასა და ადამიანურ ვნებებს აჰყვნენ. მათი ფიქრები დღითიდღე შორდებოდა მონასტრის კედლებს და ყაზბეგის დათოვლილ მწვერვალებს, ხოლო დაუცხრომელი გულები ცოდვით დამძიმებულ მორევში

4. ილია ბახტაძის მიერ შეკრებილი სხვა ფოლკლორული მასალაც ამავე ჟურნალში იბეჭდებოდა სხვადასხვა წლებში ილარიონ ხონელის ფსევდონიმით. ეს დეტალი იმიტომ ვახსენე, რომ მნიშვნელოვანია, დაისვას კითხვა, რამდენად სანდოა ილია ბახტაძე, როგორც ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შემგროვებელი, ხომ არ უმატებს ან აკლებს ტექსტს რაიმეს, ხომ არ არის მიკერძოებული, იცნობს თუ არა იმ პერიოდში არსებულ შეგროვების ტექნიკას. აქვე დავძენ, რომ კონკრეტულად ამ ლეგენდას, რომელიც ილიას პოემა „განდეგილის“ გამოქვეყნებიდან ექვსი წლის შემდეგ დაიბეჭდა, პირველად ყურადღება მიაქცია მკვლევარმა მაია ნინიძემ. მას შესაბამისი არგუმენტები მოჰყავს და ასკვნის, რომ ლეგენდა წინ უსწრებდა პოემას. მსჯელობისას მოვიშველიე მაია ნინიძის არგუმენტებიც.

მიიწევდა, იმისკენ, რაც მათ აკრძალული ჰქონდათ: ყმაწვილი ბერები თავიანთ თავს ცეკვითა და სიმღერით გართულ ჭაბუკებს და ლამაზ ქალწულებს შორის ხედავდნენ. ღამე ძილი აღარ ეკარებოდა მათ თვალებს. დანარჩენი ბერების ფონზეც და ისედაც, თავისი დაუდგრომელი მოღვაწეობის წყალობით, მხოლოდ განდეგილი იყო სუფთა, როგორც ყაზბეგის მთის სუფთა ჰაერი და ხელუხლებელი თოვლი მის მწვერვალებზე. აცთუნა ცბიერმა (წერილში არ არის ნახსენები, კონკრეტულად ვინ იგულისხმება „ცბიერში“, თუმცა შინაარსიდან გამომდინარე, გასაგებია, ვინც უნდა იყოს ის) საძმოს წევრები. მათი უგვანი ჩანაფიქრის მიხედვით, განდეგილს ისეთი ცოდვა უნდა ჩაედინა, რომ მათ დამსგავსებოდა და ცოდვილი გამხდარიყო. შეიკრიბნენ ძმები, რათა განეხილათ მწირის ცთუნების გზები. „თავად რომ უცოდველია, ამიტომაც მკაცრია სხვათა მიმართ, ცოდვა კი ცოდვას ეძებს და ამრავლებს მას,“ - ასე მსჯელობდნენ შეკრებილნი. „მაგრამ სად ვეძებოთ დახმარება, ვის მივმართოთ, რომ ქვა გაალღვოს, ააღელვოს იმის გული, ვისთვისაც უცხოა ხორციელი სიამენი?“ ყველაზე ახალგაზრდა ბერმა ადვილად მოიფიქრა გამოსავალი. მას გაახსენდა, რომ ყაზბეგის ძირში, სოფელ გერგეთში, ცხოვრობდა ულამაზესი დორა - მისი თვალები მზეზე მწველი, მისი ბაგენი მარჯანზე წითელი იყო, ცბიერებით ეშმაკიც ვერ აჯობებდა მას და არ არსებობდა ქვეყნად არავინ და არაფერი, რაც მის მომხიბლავ მშვენიერებას წინ აღუდგებოდა, გაუძლებდა და გადაურჩებოდა. გვიან ღამით, როცა ყველამ დაიძინა, ახალგაზრდა ბერი დაუყვა ფერდობს სოფელ გერგეთისკენ. როგორც ჩანს, აქ მან მოძებნა სასურველი ქალი, სახელად დორა, რომელსაც გაანდო თავისი მზაკვრული გეგმა. გავიდა ხანი. ერთ ღამეს, როცა გარეთ ქარბუქი თარეშობდა და მონასტერს თოვლში მარხავდა, ბერის სენაკის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ასეთი რამ განდეგილს არ ახსოვდა, რადგან ბერები თავიანთი საქმით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულები, ხოლო ადამიანი მონასტერში ძნელად მოხვდებოდა, ისე მაღლა და მიუვალ ადგილას იყო აგებული ის. განდეგილი მაშინვე მიხვდა, რომ ალბათ ეშმაკი ჩამოვიდა ზევიდან მის გამოსაცდელად. კაკუნი განმეორდა. „ვინა ხარ და რა გინდა ღვთის მსახურისგან?“ - იკითხა ბერმა. „გზააბნეული მონადირე ვარ, ჯიხვმა შემომიტყუა, უკან ვერ ვბრუნდები, ამინდს ვერ ვემალები. შემომიშვი და ღმერთი გადაგიხდის ჩემი შეფარებისთვის,“ - უპასუხა უცნობის ხმამ განდეგილს. „ვერა, ვერ გაგიღებ კარს, არასოდეს არცერთ მოკვდავს არ შემოუბიჯებია ჩემს სენაკში, წადი, სხვა ბერები შეგიფარებენ,“ - უთხრა განდეგილმა ღამის სტუმარს. „უკვე ვიყავი მათთან, მაგრამ არავინ მიღებს კარს,“ - შეაცოდა თავი უცნობმა. „კიდევ ერთხელ სცადე, ახლა უკვე ჩემი სახელით სთხოვე მათ, შეგიფარონ,“ - ეს ურჩია განდეგილმა უცნობს. თითქოს გაიგონა მოულოდნელმა სტუმარმა რჩევა, რადგან განდეგილს მოესმა სტუმრის ნაბიჯების ხმა, რომელიც ნელ-ნელა შორდებოდა მის სენაკს. ის იყო, ძილი მოეკიდა განდეგილის დაღალულ თვალებს, რომ ისევ გაისმა კარზე კაკუნი. „შემომიშვი, ჩემი სიცოცხლე შენს ხელთაა, ნუ გახდები ჩემი დაღუპვის მიზეზი, ქარბუქი ძლიერდება, ყინვა იმატებს, არ მიშვებენ ჩაძინებული ბერები სენაკში და შენს კართან რომ ამომხდეს სული, რა პასუხს გასცემ სამსჯავროზე წარმდგარი უფალს?“ რაღას იზამდა განდეგილი, შემოუშვა გზააბნეული მონადირე სენაკში. ღამე რომ არ ყოფილიყო და სიბნელე, დღის სინათლეზე ადვილად შეამჩნევდა ბერი, ტყავში გახვეული ქალი დაკარგული მონადირე რომ არ იყო, იმასაც შენიშნავდა, რომ დაუპატიჟებ-

ელ სტუმარს არც იარაღი და არც მონადირის დაკუნთული ხელები ჰქონდა. სივიწროვის გამო განდეგილმა თავისი მისაწოლი ადგილი გაუყო ერთი ღამით შეფარებულ მონადირეს და გვერდით მიუწვა მას. დილით ამდგარს აღარავინ დახვდა სენაკში, მის სხეულს კი ღამეული გაუგებარი სიტკბო ახსოვდა, რომელიც მანამდე არასოდეს განეცადა. რა იყო ეს - ცოდვა, რომელსაც ვეღარ მოიშორებდა? როგორ შეემოწმებინა, ხილვა იყო თუ ცხადი, რაც შეემთხვა? განდეგილმა აიღო აბგა და ღიობიდან შემოჭრილ სხივზე შეეცადა მის გადაკიდებას, მაგრამ აბგა ძირს ხმაურით დაენარცხა. ოფლით დაეცვარა გაფითრებული სახე განდეგილს, აიღო აბგა და ხელმეორედ სცადა მისი გადაკიდება სხივზე, მაგრამ ამაოდ. მეორე წარუმატებელი ცდის შემდეგ, აბგასთან ერთად, განდეგილიც დაეცა მიწაზე. სისხამ დილით ბერებმა მიაკითხეს სენაკს და გაუკვირდათ, როცა მათი წინამძღოლის სენაკი ცარიელი დახვდათ. მათ ვერსად მიაგნეს განდეგილის კვალს, მხოლოდ ერთმა გაიხსენა, რომ დილაუთენია გარეთ გამოსულმა დაინახა, როგორ მიუყვებოდა გაუკვალავ თოვლს მოხრილი ფიგურა ყაზბეგის მწვერვალისკენ. არავინ იცის, მიეტევა თუ არა განდეგილს ცოდვა, მოეთხოვა თუ არა მას პასუხი ჩადენილის გამო. თუმცა ამტკიცებენ, რომ განდეგილი ზეცად ამაღლდა. საძმო კი დაისაჯა იმით, რომ სასჯელად მონასტრის თავზე შავი საავდრო ღრუბელი გამოჩნდა, აირია ამინდი, ატყდა გრგვინვა, ჭექა-ქუხილი და ძირს დაცემულმა მეხმა სრულიად გაანადგურა მონასტერი.

ილარიონ ხონელის მიერ ჩაწერილი ლეგენდა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ილიას შემოქმედების მკვლევრებისთვისაა საინტერესო. რთული დასადგენია, ნამდვილად უძღოდა თუ არა წინ ეს კონკრეტული ლეგენდა პოემის შექმნას? არც ისაა გამორიცხული, რომ პოემა გავრცელდა ამ სახით ხალხში (იმდენად წააგავს ამ ლეგენდისა და პოემის ფაბულა ერთმანეთს). მაგრამ ვინაიდან ილია პოემის სათაურის ქვეშ მიუთითებდა, რომ პოემა ლეგენდის მიხედვით იყო შექმნილი, სავარაუდოდ, ხონელმა სწორად მიაგნო პოემის სიუჟეტის, და არა მარტო სიუჟეტის, პირველწყაროს.

ერთი შეხედვით, თითქოს ამ ლეგენდასა და ილის პოემას შორის დიდი განსხვავება არაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მივყვეთ თანმიმდევრობით:

1.ლეგენდაში ბერი არ ცხოვრობს სრულიად განმარტოებით, ის მონასტრის წინამძღოლია და მასთან ერთად მონასტერში იმყოფებიან საძმოს წევრები. თუმცა ის დღეებს და ღამეებს თავის ვიწრო სენაკში უმეტესად მარტო ატარებს ლოცვასა და მარხვაში. პოემა ამ დეტალს არ ცნობს და ილიას ნაწარმოების პერსონაჟი მარტოდაა დაყუდებული თავის სამყოფელში. მაგრამ პოემა გვეუბნება, რომ ოდესღაც ამ წმინდა ადგილას მონასტრული ცხოვრება ჩქეფდა, შემდეგ კი გაუქმებულ ადგილას მეუდაბნოე მოსულა. ილია არ განმარტავს, როდის და რა მიზეზით შეწყვეტილა მონასტრის მჩქეფარე ცხოვრება;

2. ლეგენდაში საძმოს წინამძღოლის მაცდუნებელი ქალი არის მონადირე, ხოლო პოემაში ეს ქალი მწყემსია. რატომ გადაიქცა ილიას პერსონაჟი მწყემსად, გასაგებია. პოემაში მასა და განდეგილს შორის იმართება დიალოგი. ამ დიალოგში ყმაწვილი მწყემსი ქალი მოუთხრობს თავის ამბავს განდეგილს. ნაკლებად დამაჯერებელი იქნებოდა განდეგილისთვის, მოყოლილი ამბავი, თუკი ქალი მწყემსი კი არა, მონადირე იქნებოდა; ხოლო ყმაწვილი მწყემსი ქალი, რომელმაც მამის შეგონება არად ჩააგდო, დამაჯერებელი იქნებოდა განდეგილისთვის (ილიას რომ

მონადირე დაეტოვებინა, მას მოუწევდა, განემარტა მკითხველისთვის ის, რაც ლეგენდაშია - ქალი გამიზნულადაა მოსული, რათა აცთუნოს განდეგილი. პოემაში ხომ განდეგლმა იცის სტუმრის სქესი. ლეგენდაში სტუმრის სქესი ბოლომდე უცნობია ბერისთვის. ეჭვი არ მეპარება, ილიას ამ საკითხზე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი, დაეტოვებინა მონადირე თუ გადაექცია პერსონაჟი მწყემსად; ამის შესახებ ქვევით ვისაუბრებ). ლეგენდაში დიალოგი მაცთუნებელ მონადირე-ქალსა და ბერს შორის, ორჯერ კი იმართება, მაგრამ ორივეჯერ ბერი სენაკშია, ხოლო ქალი კარს მიღმაა. თანაც გარეთ ქარბუქია და ხმის გარჩევა ადვილი არ იქნებოდა მწირისთვის. ილიას სენაკში გამართული დიალოგი არა მარტო სიუჟეტის განვითარებისთვის სჭირდება, არამედ მისთვის მნიშვნელოვანია, პერსონაჟების პირით საკვანძო შეხედულებები გამოთქვას ამ სოფელში ცხოვრებისა და ამქვეყნიურ საზრუნავთაგან განზე მდგარი ბერის ღვაწლის შესახებ. ამიტომაც გასაგები ხდება, რატომ ჩაანაცვლა მონადირეს მწყემსი ილიამ, თუკი ის, მართლაც, საზრდოობდა ამ ლეგენდით;

3. ლეგენდა ასახელებს მაცთუნებელი ქალის სახელს. „მონადირე ქალს“ დორა ჰქვია. ილიას პოემაში ყმაწვილ ქალს სახელი არა აქვს.

ახლა, როდესაც დავადგინეთ განსხვავებები ლეგენდასა და პოემას შორის, შევჩერდები ლეგენდაში დაცულ სახელზე. ეს სახელი ჩემთვის საკმაოდ საინტერესოა იმით, რომ ის წააგავს ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი პერსონაჟი ქალის სახელს. ლეგენდის მონადირე ქალსა და ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟს შორის თითქოს არაფერია საერთო, მაგრამ, როგორც კი გავარკვევთ, რომ მათ შორის ერთი მნიშვნელოვანი მსგავსება იკვეთება, ჩემი აზრით, ნათელი მოეფინება იმ საკითხსაც, თუ რატომ დაინტერესდა ილია ამ ლეგენდით. დორას მსგავსი სახელი ერქვა ბერძნული მითოლოგიის ერთ პერსონაჟ ქალს, რომელიც ისეთივე მაცთუნებელი იყო, როგორიც იყო დორა. საუბარი მაქვს პანდორაზე. სახელი „პანდორა“ ყველასგან დასაჩუქრებულს ნიშნავს („პან“ არის „ყველა“, ხოლო „დორა“ მრავლობითი რიცვის ფორმაა და ითარგმნება, როგორც „საჩუქრები“) ან ყველას დამსაჩუქრებელს. პანდორას იმიტომ ეწოდა პანდორა, რომ როდესაც ის ზევსის დავალებით თიხისგან მოზილა მჭედლობის ღმერთმა ჰეფესტომ, მისივე დავალებით მას დანარჩენმა ღმერთებმა სხვადასხვა საჩუქარი უბოძეს. პანდორა ზევსმა პრომეთეს დასასჯელად შექმნა და გაუგზავნა მის ძმას, ეპიმეთეს. სიტყვა „პრომეთე“ წინდახედულს, წინდაწინ მცოდნეს ნიშნავს, მისი ძმის სახელი კი - საპირისპიროს, წინდაუხედავს აღნიშნავს. პანდორას ზევსმა ჭურჭელი[5] გამოატანა, რომელშიც მოთავსებული იყო ათასნაირი ტანჯვა, ტკივილი და სნეულება. მიუხედავად პრომეთეს გაფრთხილებისა, ეპიმეთემ პანდორა მიიღო, ამ უკანასკნელმა კი მოხსნა თავი დალუქულ ჭურჭელს და დედამიწას მოედო ყველანაირი

5. ეს ჭურჭელი იყო პანდორასავით თიხისგან გამოძერწილი ბერძნული პითოსი. თიხისგან გაკეთებულ პითოსში ბერძნები ინახავდნენ ღვინოს, მარცვლეულს, ზეთს, ასევე მასში მიცვალებულებსაც ათავსებდნენ. გვიან შუა საუკუნეებში ერაზმუს როტერდამელმა სიტყვა პითოსი შეცვალა სიტყვით პიქსისით, ანუ ყუთით, ხოლო ყუთის გახსნა პანდორას კი არა, ეპიმეთევსს მიანდო. ეს მითი მას ერთ-ერთი ანდაზის საილუსტრაციოდ დასჭირდა. ეს ანდაზაა: ტანჯვით სულელიც ბრძენი გახდება. სულელად ამ შემთხვევაში მან პრომეთეს ძმა ეპიმეთევსი გამოიყვანა, რომელმაც ახადა ყუთს თავი. წინდაუხედავმა ეპიმეთემ შეცდომა დაუშვა და ამ შეცდომამ ის გახადა ბრძენი.

უბედურება. პანდორამ ისღა მოასწრო, დაეხურა ჭურჭელი და მის ფსკერზე ჩაეტოვებინა იმედი.[6]

პანდორას მითს მკვლევრები თეოდიცეის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძველ მაგალითად[7] ასახელებენ ადამისა და ევას მითთან ერთად. თუმცა თეოდიცეა არ იყო უცხო არც შუამდინარული, არც ეგვიპტური და არც სხვა მითოლოგიებისთვის. ასევე თეოდიცეაზე საუბრობენ ბერძენი და არაბერძენი ფილოსოფოსები, მწერლები,[8] ქრისტიანი და არაქრისტიანი ღვთისმეტყველნი, ებრაელი თეოლოგები, რომლებსაც ჰოლოკოსტის ახსნა დასჭირდათ მეორე მსოფლიო ომს გადარჩენილი მორწმუნე ებრაელთათვის და შემდგომი თაობებისთვის.[9] თუმცა ტერმინი ამ სახით გოტფრიდ ლაიბნიცის შექმნილია.[10] თეოდიცეა - ეს არის მცდელობა, გაამართლოს ის ტანჯვა, უსამართლობა, უბედურება, რაც თან ახლავს ადამიანის ამქვეყნიურ სიცოცხლეს, ეძებს პასუხს კითხვაზე, თუ რატომ დაუშვა ღმერთმა ბოროტი.[11] რადგან ტერმინი ლაიბნიცის მოფიქრებულია და ვინაიდან ცნობილია ილიას ლაიბნიცით გატაცების შესახებ, სავარაუდოა ისიც, რომ მწერალმა მისი მოფიქრებული ტერმინის შესახებაც იცოდა და მას უნდოდა, ხანგრძლივი ისტორიის მქონე დისკუსია ქართულ ლიტერატურაშიც გაეცოცხლებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი თეოდიცეა გვიანდელია, როგორც უკვე აღვნიშნე, ის სხვადასხვა სახით არსებობს არაერთ რელიგიაში. თეოდიცეას გასააზრებლად, ალბათ, ეპიკურეს ტრილემის მაგალითის მოხმობაა საჭირო, რომელიც საუკეთესოა და შემოკლებული სახით ასე გამოიყურება: „1. უნდა (ღმერთს) აღკვეთოს ტანჯვა და მას ეს არ ძალუძს? გამოდის, ღმერთი უძლურია. 2. შეუძლია (ღმერთს აღკვეთოს ტანჯვა) და არ სურს? მაშინ ის შურისმაძიებელია. 3. ძალუძს (ღმერთს ტანჯვის აღკვეთა) და სურს კიდეც? მაშინ რატომ არის ჩვენ გარშემო ამდენი ბოროტება?“ ამ ბოლო კითხვაზე პასუხს ეძიებდნენ წმინდა წიგნების კომენ-

---

6. ამის გამო პანდორას ანესიდორადაც მოიხსენიებენ. სახელი ანესიდორა აღნიშნავს მას, ვინც საჩუქრები ამოუშვა.
7. ვინაიდან პირველად ამ მითს მოგვითხრობს ძვ.წ. მე-8 საუკუნის მწერალი ჰესიოდე ნაწარმოებებში „თეოგონია“ და „სამუშაონი და დღენი“. პირველში ავტორი არ ასახელებს ქალის სახელს, მაგრამ მეორე პოემაში პანდორას უკვე სახელი აქვს.
8. საკმარისია გავიხსენოთ ფიოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“. ერთ-ერთი თავი, რომელსაც „ამბოხი“ ჰქვია, ივან კარამაზოვის ღმერთის წინააღმდეგ ჯანყზეა. ივანს არ აკმაყოფილებს ღვთაებრივი სამართალი, როდესაც თხაც და მგელიც ერთად ძოვენ. მას სიტყვიერად თითქოს ვერ ჯობნის ალიოშა კარამაზოვი, რადგან ღმერთის დაცვა სიტყვებით ივანის არგუმენტების გასაბათილებლად რთულია, ალიოშაც არაა სიტყვიერ პაექრობაში ისე გაწაფული, როგორც მისი ძმა, ვექილი ივანი. მაგრამ, ალიოშასან განსხვავებით, ღმერთს „იცავს“ მწერალი, როცა პასუხგაუცემელს ტოვებს კითხვას, ვისი შვილია „მამის“ მკვლელი სმერდიაკოვი, ვიცით თუ არა, ვინაა ბოროტების მამა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვისგან მომდინარეობს ბოროტი. ღმერთისგან? თუ, ისევე როგორც „ღირსეული ჩინოვნიკები“ მიაწერდნენ ყოველგვარი რეალური მტკიცებულებების გარეშე სმერდიაკოვის ჩასახვას ფიოდორ კარამაზოვს, ადამიანებიც ასევე მიაწერენ ღმერთს ბოროტის, სატანის გაჩენას?
ერთ წერილში წარმოუდგენელია და არც წერილის მიზანია, განვიხილო მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან.
9. ამ თემას ეძღვნება ფილმი “God on Trial”.
10. სიტყვა თეოდიცეა ბერძნული სიტყვებიდან შედგენილი კომპოზიტია. თეოს არის ღმერთი, ხოლო დიკე არის სამართალი. სიტყვა „თეოდიცეა“-ს ფორმით შემოიტანა ქართულ ენაში დავით თინიკაშვილმა თავის ნაშრომში. მეც მის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს ვიყენებ წერილში.
11. რუსთველის ენით რომ ვთქვათ, „ბოროტიმცა რად შეექმნა, კეთილისა შემოქმედსა“.

ტატორები, განმმარტებლები, ამ კითხვას თავისებურად პასუხობს ზოგიერთი მითიც, მათ შორის, მითი პანდორას შესახებ. პანდორას მითის მიხედვით, ყველანაირი უბედურებაში დამნაშავე არის ზევსის დავალებით შექმნილი ქალი. ამ მითის გავლენით, პირველპანდორას უწოდებენ ევასაც. სამწუხაროდ, პანდორასა და ევას ამბავი გადაიზარდა მიზოგინიაში, ანუ ქალების მიმართ სიძულვილში. თუკი ქალია ყველანაირი უბედურების მიზეზი, ყველანაირი ბოროტების გაჩენის სათავე, ცხადია, ეს მოსაზრება მყარი საფუძველი ხდება ქალების დასადანაშაულებლად.

რას გვაძლევს ამ ყველაფრის ცოდნა? გვეხმარება თუ არა ლეგენდა ილიას პოემის უკეთ გაგებაში, განსხვავებული კუთხიდან მის გააზრებაში? ან გვეხმარება თუ არა პანდორას მითის ცოდნა „განდეგილის“ სხვაგვარ წაკითხვაში? ჩემი აზრით, პასუხი დადებითია. პოემის ახლებური წაკითხვისას უნდა გავითვალისწინოთ ბერძნული მითი. ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძემ გადაამუშავა ხალხში არსებული ლეგენდა და ქართველ მკითხველს შესთავაზა, დაფიქრებულიყო თეოდიცეის საკითხზე არა მიზოგინურ, არამედ იობისეულ კონტექსტში: რატომ გაწირა ღმერთმა საყვარელი ადამიანი, თუკი მან იცოდა, რითი დასრულდებოდა ამბავი. ილიას პასუხი გასაგებია. დასადგენია მკითხველის პასუხი, როდესაც ის ახალი კუთხით წაიკითხავს მის პოემას.

ჩემი აზრით, ილიამ მოისმინა ლეგენდა განდეგილზე, შეაჯერა იმასთან, რაც ლაიბნიცის ნაწერებიდან (და არა მარტო) იცოდა. მაგრამ სიუჟეტის დამუშავების პროცესში რაღაც დეტალები დაიკარგა, რაღაცამ კი სრულიად მოულოდნელი სახე მიიღო. ამიტომაც არის, რომ მკითხველთა უმრავლესობა „განდეგილში“ სხვა პრობლემებს ხედავს. ორი აზრი არაა, ეს სხვა პრობლემებიც დასანახია, რადგან მწერლის სურვილი იყო ამ პრობლემების წარმოჩენა! თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს თეოდიცეის საკითხიც, რომელიც, ჩემი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია პოემის სრულფასოვნად გაგებისთვის.

ახლა კი მივუბრუნდეთ ილარიონ ხონელის ჩაწერილ ლეგენდას და მასში მოხმობილ სახელ დორას. როდესაც მკვლევარ ამირან არაბულს ვესაუბრე ამ წერილში გამოთქმული მოსაზრების შესახებ და დავეკითხე სახელი დორას შესახებ, მან მირჩია გავცნობოდი ეთერ თათარაიძის წიგნს „დემონოლოგიური თქმულებები“. ნაშრომიდან შევიტყვე, რომ თურმე მთაში არსებობდა თქმულებები დორაისხველელებზე. „დორაისხველელები თუშეთში ხიბალ-კუდიან არსებათა მთელ წყებას განაგებდნენ. ისინი ღვთიურ არსებებთან დაპირისპირებულნი იყვნენ. ეს არსებები აღწერით ციკლოპებს ჰგავდნენ შუბლზე ერთი საცრისოდენა წითელი თქანთქალა თვალით და გოლიათური აღნაგობით. მხრებს შავი ნაბადი უფარავდათ. დორაისხველის გამოცხადების და ადამიანთათვის ჩვენების დრო ხიბალ-კუდიანთა არევის ჟამს ემთხვეოდა. ხსენებული კუთხის მკვიდრთა რწმენით, სწორედ დორაისხველელია ეშმაკების და ქაჯების საქმეთა გამნაწილებელი, მათთვის ბედ-ყისმათის მწერელი და მათი უფალი. ამ დემონური პერსონაჟის დავალებას თითქმის უსიტყვოდ ემორჩილებიან მისი ტომის ქალ-კაცნი“.

ცხადია, ამ ინფორმაციის გათვალისწინების შემდეგ მე-19 საუკუნის ჟურნალში დაფიქსირებული ლეგენდა კიდევ უფრო საინტერესო ხდება. დორა ალბათ დორაისხველის ტომის ქალია და ის უსიტყვოდ ემორჩილება დემონის დავალებას, მონადირედ გადაცმულმა აცთუნოს განდეგილი.

დორასა და პანდორას სახელების მიმართება შემდგომი კვლევის საგანია. კითხვა უამრავია: საიდან გაჩნდა პერსონაჟი დორა ქართულ მითოლოგიაში? შესაძლოა თუ არა, პანდორას მითის კვლევისას მკვლევრების მიერ გათვალისწინებული იყოს ქართული მასალა თუ ბერძნული მასალა უნდა გავითვალისწინოთ დორას სახის კვლევისას, ესეც დასადგენია. მით უმეტეს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პანდორას ამბავი მარტო პრომეთეს კი არ უკავშირდება, არამედ მისი შემქმნელი მჭედელი ჰეფესტოცაა და შესაბამისად, პანდორა ჰეფესტოსთანაცაა დაკავშირებული. ბერძნულ მითში აშკარად იკვეთება ოთხი დომინანტი: პრომეთე, ზევსი, ჰეფესტო, პანდორა. ამირანის მითშიც იკვეთება ოთხი დომინანტი პერსონაჟი: ამირანი, ღმერთი, მჭედელი, ქალი. მაგრამ მითში ქალის გამოჩენა, პანდორასაგან განსხვავებით, განსხვავებულ ეპიზოდს უკავშირდება. ამირანის მითი გვიამბობს, რომ ამირანი განაწყენებული ყოფილა მჭედლებზე და ქალებზე. ამიტომაც მთხრობლები იმეორებენ ფრაზას: ღმერთმა დაგვიფაროს იმ დღისგან![12] ამირანი, მას შემდეგ, რაც გაითავისუფლებს თავს, დაერევა მჭედლებს და ქალებს, შურს იძიებს მათზე, ვინაიდან ისინი არიან მისი მტრები. ამირანს ქალები თითქოს იმიტომ სძულს, რომ ქალმა ხელი შეუშალა მონადირეს, მისთვის ჯამბარა მოეტანა და თავი გაეთავისუფლებინა. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ქალი ქართული მითოლოგიის თითქმის დაკარგული პერსონაჟი დორაა და მითის უძველეს ვერსიაში ამირანი დორაზე და მჭედელზე და ღმერთზე იქნებოდა განაწყენებული, ისევე როგორც პრომეთე პანდორაზე და ჰეფესტოზე და ზევსზე. დორას შემოყვანით/დაშვებით ამირანის მითის კვლევისას შესაძლებელი ხდება, ახლებურად გავიაზროთ ამბავი, ხოლო მისი რესტავრაციით დავადგინოთ არატიპოლოგიური კავშირი ბერძნულ პრომეთესთან.

დამოწმებანი:

დოსტოევსკი: დოსტოევსკი ფ. *ძმები კარამაზოვები,* თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

თათარაიძე: თათარაიძე ე. *დემონოლოგიური თქმულებები,* თბილისი: ინტელექტი, 2016

თინიკაშვილი: თინიკაშვილი დ. *თეოდიცეა: ტანჯვის პრობლემა ქრისტიანულ თეოლოგიაში* https://www.academia.edu/36211856/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%90_%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AF%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A_%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98

ნინიძე: ნინიძე მ. *მნიშვნელოვანი პუბლიკაციები და საკომენტარო მასალა,* ტექსტოლოგიური კვლევები

https://www.dropbox.com/s/xsh66eek9fd5lxj/teqstologiuri%20kvlevebi.pdf?dl=0

12. ჩემი აზრით, ამირანის სახისთვის დადებითი ელფერის შეძენაში „დამნაშავე" მხატვრული ლიტერატურაა.

სკურმანი: Schuurman H. J. *Two Concepts of Theodicy,* American Philosophical Quarterly, Vol. 30, No 3

სტეპანოვი: ი. სტეპანოვი, *„თელავის მაზრის ქართველთა რწმენა-წარმოდგენები“,* СМОМПК, 1893, №17

ცისკაროვი: ცისკაროვი ი. (ი. ცისკარიშვილი), „თუშეთის სურათი“, ჟურნ. კავკაზი, 1845, N50

ჭავჭავაძე: ჭავჭავაძე ი. *განდეგილი,* ტ. 1, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987

ხონელი: ხონელი ი. *„განდეგილი“,* Новое Обозрение, 1989, N1968

ჰესიოდე: ჰესიოდე, „თეოგონია“
http://www.perseus.tufts.edu/hopper/text.jsp?doc=Perseus:text:1999.01.0129

ჰესიოდე: ჰესიოდე, „სამუშაონი და დღენი“
https://www.ellopos.net/elpenor/greek-texts/ancient-greece/hesiod/works-days.asp

Nestan Ratiani

Two sides of one legend

In 1889, the 1968th issue of the Journal “Новое Обозрение” published a legend recorded by Ilarion Khoneli. The author mentions that the legend could have been a source for Ilia Chavchavadze’s poem “Gandegili” (“The Hermit”). The legend is noteworthy from two perspectives: (1) scholars who study Ilia’s texts; (2) scholars who study the links between the myths of Prometheus and Amirani.

1. In the legend, hermit does not live alone and is a leader of a community of believers who decided to found a monastery in the high mountains; whereas, Ilia’s hermit lives alone. In the legend, a seducer of the hermit is a hunter; whereas, in Ilia’s poem the seducer is a shepherd. The legend mentions proper name of the seducer - “Dora”, while the poem makes no mention of the seducer’s name. Name “Dora” reminded me of Pandora from the myth of Prometheus.

The myth of Prometheus and Pandora, together with the myth about Adam and Eve, is considered as one of the earliest myths about Theodicy. As soon as the link between Pandora and Dora is established, it becomes evident that Ilia’s poem should be analyzed in the context of Theodicy.

As it is known, Ilia was interested in the works of Leibniz, who coined the term Theodicy. It may be hypothesized that Ilia decided to introduce the notion of Theodicy into Georgian literature and start the discussion to this end; thus, choosing the legend about hermit. However, certain details of the legend were lost during processing of the legend.

Usually, while analyzing the text, readers rarely think about the Theodicy but rather of the role of an individual in the community.

But, in fact, the poem invites its reader to think about Theodicy not from the point of misogyny but from Ioban perspective, i.e. why God sacrificed his beloved person if he

knew how the story would end. In my opinion, in order to understand Ilia's poem in depth, we should consider the problem of Theodicy; for which the legend is here to supports us.

2. As mentioned above, the name of the seducer in the legend is Dora, which is ignored by Ilia. So, who is Dora? Legends from Georgian mountains contain the cycle about Doraiskheveli (the inhabitants from a gorge where Doras lived: khevi is gorge and doris is a genitive for Dora; the name suggests that there were many Doras, it is not a proper name of one creature, but rather a name of the whole group of creatures). Doras are presented as negative creatures - antagonists to positive deities, who are huge and have a big round juicy eye on the forehead. Probably, Dora is one of the female creatures from Doraiskheveli, who, like her other friends, serves her patron - a demon.

Shall we hypothesize that there is a link between Dora and Pandora? Should Georgian material be taken into account while studying the Greek myth about Pandora? Or should Greek sources be considered while studying Georgian legends about Dora and Doraiskheveli?

During the research it should be mentioned that Pandora is connected not only to Prometheus but also to Haephestus, a God-smith who created her. Thus, there are five dominant figures in the Greek myth: Prometheus, Zeus, Haephestus, Pandora and Epimetheus (to whom Pandora is sent by Zeus).

If we consider that Dora was a part of the myth about Amirani, we should find a place for Dora in it. As it is known, Amirani hated women, because one of the women misled him. Amirani took a revenge on her once he had unchained himself.

It should also be considered that Amirani hated smiths, because blacksmith made a chain for God to chain Amirani to the rock. Amirani took a revenge after he had unchained himself. People who would tell the myth of Amirani used to add the words: let God save us from that day! While referring to that dangerous day, when unchained Amirani's revenge would be directed towards women and blacksmiths.

It turns out that in Georgian myth there are the following dominant figures: Amirani, God, Blacksmith, woman, the husband of the woman (according to a Georgian legend, a woman is married and her husband is asked to support Amirani, but he cannot do so because of his wife).

As soon as we propose that Dora is the name of the woman who does not give Amirani possibility to unchain, it is possible to look at the myth from new perspective. Also, after restoring the myth of Amirani according to this proposal, it is evident that there is non-typological link between the myth of Amirani and the myth of Prometheus.

ეკა ჩხეიძე

ნიკოლოზ ბერძნიშვილის „კვალი წარსულისა“

დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ ვაჟა-ფშაველამ საგრძნობლად გაუსწრო თავის დროს, რადგან მაშინ, როდესაც „გველის მჭამელი“ იწერებოდა, საერთოდ არ არსებობდა ტერმინი „გარემოს დაცვა“ ან „ეკოლოგიური კატასტროფა“, დღეს თანამედროვე სამყაროსთვის ესოდენ აქტუალურად რომ იქცა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეპოქაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა „გველის-მჭამელის“ მხატვრული კონცეფციისა და ლიტერატურულ-ფოლკლორული წყაროების კვლევამ.

გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავდა: „უცნაური პოემა დაწერა ვაჟამ. ქართული კრიტიკისთვის არაჩვეულებრივი თემა აიღო და არაჩვეულებრივი ამოცანა დაისახა. ამ გარემოებამ იმთავითვე მიიქცია ყურადღება. პოემამ ფილოსოფიური შთაბეჭდილება დატოვა და ამ ნიადაგზე წარმოიშვა ცდა „გველისმჭამელის“ მიხედვით ვაჟას მსოფლმხედველობის გარკვევისა“ (კიკნაძე 1957: 141).

წერილში „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“ ვაჟა-ფშაველა წერდა: „ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს. მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დააღონა მინდია, თავის მოკვლამდე მიიყვანა. თავის მოსაკლავად ხორცი ჭამა გველის, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო. მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა. მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებებით, ჩანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე რა ტკივილის წამალია, რადგან ყველა მცენარე თავად იძახის, რისი წამალიც არის და მინდიამაც ამ მცენარეების ენა კარგად იცის. შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიას გაექიმება. მისი წამალი უებარია. ხალხური თქმულება ამის იქით არ მიდის. მაშასადამე, მინდიას დაცოლშვილება, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მხედარმთავრული ნიჭი გველის მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდნა - ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის“ (ვაჟა-ფშაველა 1990: 409).

ვაჟა-ფშაველას ეს განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის, რაც პოემაში კონკრეტულ ხალხურ თქმულებას დაემატა, არ იკვებებოდა ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებით. როგორც აკაკი გაწერელია აღნიშნავს: „ვაჟა დგას ქართველ მთიელთა უძველეს შეხედულებათა და წარმოდგენათა ნაიდაგზე. იგი ამოდის ქართული მითოლოგიის ფესვებიდან... არც ერთი ქართველი პოეტი არ დაწაფებია ქართულ მითოსს ისე ძლიერ, როგორც ვაჟა“ (გაწერელია 1966: 151).

„გველისმჭამელი“ ქართველ კრიტიკოსთა მუდმივი მსჯელობის საგანი იყო. ალექსანდრე ხახანაშვილი წერს, რომ ლეგენდა გველისმჭამელზე გადმოკეთებულია უცხო ლეგენდიდან, კერძოდ, ცნობილია ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელის ექიმზე, რომელიც გველის შეჭმამ გააბრძენა და ბუნების საიდუმლოება გამოიცნო (ჩიქოვანი 1956: 86). სერგი დანელიაც ფიქრობს, რომ პოემა გადმოკეთებულია უცხო ლეგენდიდან. მისი აზრით, ეს ლეგენდა „ნეოპლატონიკური გავლენით უნდა შექმნილიყო“ (დანელია 1927: 49).

გრიგოლ რობაქიძე ამ პოემის გამო წერდა: „გველისმჭამელის“ გაანალიზება საჭიროა არა მარტო ვაჟა-ფშაველას დასახასიათებლად, არამედ კიდევ უფრო ქართველთა გენიის ცნობად - რადგან „გველის მჭამელი“ ნამდვილი სხეულებაა ქართველთა სულიერი ენერგიისა, მისი საუკეთესო ნაყოფი“ (რობაქიძე 1961: 14). ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავს, რომ „ხოგაის მინდის“ შესახებ მრავალი თქმულება არის დარჩენილი, რითაც ისარგებლა ვაჟამ თავისი მისნური ნაწარმოებისთვის. ხოგაის მინდი, რაღაც გაღმერთების გზაზე შემდგარი გმირის სახეა, მითოლოგიური ნისლით დამძიმებული და განდიდებული“ (კოტეტიშვილი 1961: 221).

ხალხური გადმოცემები ხოგაის მინდიაზე ძირითადად პროზაული სახითაა წარმოდგენილი. თინათინ ოჩიაურის აზრით, ნაროზაულისაგან დავით გოგოჭურის მიერ ჩაწერილი თქმულება „სამი დამოუკიდებელი ხალხური თქმულებისაგან შედგება და მხოლოდ მესამე ნაწილი წარმოადგენს უშუალოდ ხოგაის მინდიას ამბავს“ (ოჩიაური 1967: 141).

რუსუდან ჩოლოყაშვილი წერს: „ძირითადი განსხვავება „გველისმჭამელსა“ და ფოლკლორულ ნაწარმოებებს შორის მათ ფინალებშია, როცა ფოლკლორისგან განსხვავებით ლიტერატურული მინდია, ნაწარმოების დასაწყისში ღვთაებად სახელდებული, იღუპება, საკუთარ თავთან დამარცხებული თვითმკვლელი ხდება... საზოგადოებაში გამორჩეულობამ ტრაგედიამდე მიიყვანა ლიტერატურული გმირი. აქ უკვე მითოსისათვის სრულიად უცხო ფსიქოლოგიური მომენტი წამოვიდა წინა პლანზე, რასაც ვაჟა-ფშაველას მინდია ველარ გაუმკლავდა და თვითმკვლელი გახდა. თუმცა ის თვითმკვლელი მანამ გახდა, სანამ ხანჯალს დაიცავდა გულში, ეს მაშინ მოხდა, როცა აჰყვა ცოლის გაუთავებელ ჩიჩინს და საკუთარი თავის წინააღმდეგ გადადგა ნაბიჯი: მოჭრა შეშა და მოინადირა ნადირი. ამ ქმედებით მან აკრძალვა დაარღვია, რასაც მოჰყვა ღვთაებრივი ძალის დაკარგვა და ბოლოს – მისი სიკვდილი“ (ჩოლოყაშვილი 2011: 390).

ამ მიმოხილვის გაგრძელება კიდევ შეიძლება, რადგან უამრავი რამ (ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც) დაიწერა და ითქვა ამ უჩვეულო თხზულების შესახებ. დასახელდა სხვადასხვა ზეპირსიტყვიერი წყაროც, მაგრამ ვფიქრობთ, ამ კუთხით კიდევ ერთი მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გამოქვეყნებული პუბლიკაცია იმსახურებს ყურადღებას.

გაზეთ „კავკაზში“ (1852, NN 52-53) გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბერძნიშვილის (ბერძენოვი)[13] წერილი სათაურით „კვალი წარსულისა. ჯანაოზი კარაბადინი“,

13. ნიკოლოზ ბერძნიშვილი 1850-იან წლებში რედაქტორობდა გაზეთ „კავკაზს“. მის სახელთანაა დაკავშირებული ამ გაზეთში ადგილობრივი ცხოვრების ამსახველი განყოფილების გაფართოება-გამრავალფეროვნება, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტული ხასიათის მასალების ბეჭდვა. ისტორიკოსი და ეთნოგრაფი - პრესაში აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის, ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებების, ტრადიციების საკითხებზე, ხალხური შემოქმედების ნიმუშებს: შრომის სიმღერების ტექსტებს, საწესჩვეულებო პოეზიას, ისტორიულ, რელიგიურ და მითოლოგიურ გადმოცემებს, ზღაპრებს, ლეგენდებს.
ნიკოლოზ ბერძნიშვილი გარდაიცვალა 1874 წლის 3 ოქტომბერს, 45 წლისა, ფიზიკური დაუძლურებისაგან, „გარდაიცვალა უკიდურეს სიღარიბეში“ (დიმ. ბაქრაძე). დაკრძალეს თბილისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. საფლავი დაკარგულია (ჯოლოგუა 2013: 159).

რომელიც მეტად საინტერესო ზეპირსიტყვიერ მასალას შეიცავს[14]. ეთერ არჯევანიძის აზრით, წერილში „კვალი წარსულისა. ჯანაოზი კარაბადინი“ გადმოცემულია გველისმჭამელის ლეგენდის თავისებური ვარიანტი, რომლისთვისაც აქამდე ყურადღება არ ყოფილა მიქცეული სპეციალურ ლიტერატურაში. ეს ვერსია ზოგი დეტალით ვაჟა-ფშაველას ცნობილ ნაწარმოებს წააგავს, ზოგით კი სხვა ზღაპრულ სიუჟეტებთან იჩენს ნათესაობას. მისი ჩაკვირვებული, სპეციალური შესწავლა შესაძლებელია სასარგებლო გამოდგეს ვაჟას შესანიშნავი პოემის ზოგი საკითხის გარკვევისათვის“ (არჯევანიძე 1965: 21).

დეტალურად გადმოგცემთ ნ. ბერძნიშვილის ამ წერილის შინაარსს. ავტორი მას მოკლე შესავლით იწყებს. მისი აზრით, თანამედროვე ცხოვრება პროზაულია, წინათ ხალხს უფრო პოეტური შეხედულებანი ჰქონდა ცხოვრებაზე. მაშინ ბუნებასთანაც ახლოს იყვნენ - ყვავის ჩხავილი თითქოს უბედურებას ამცნობდათ, ხოლო ბრძოლის ველზე მიმავალ ჯარს მგლის წინ გადარბენა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. მაშინ ბუნება უშუალოდ ელაპარაკებოდა თავის შვილებს - ადამიანებს. ამის შემდეგ ავტორი დასძენს, რომ ამის შესახებ ერთი საინტერესო ქართული გადმოცემა არსებობს.

ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული ვარსკვლავთმრიცხველი, მკურნალი და ჯადოქარი ჯანაოზი, რომლის სახელი სპარსეთის საზღვრებსაც გასცდა. ხალხს იგი ბალახებით წამლობდა. იგი ამტკიცებდა, რომ ბალახი მას ელაპარაკება და ეუბნება, თუ რომელი ავადმყოფობის განსაკურნებლად არის საჭირო. ხალხს ძალიან უნდოდა მისი მისნობის გაგება. ზოგი თავს მოწაფედ სთავაზობდა, ზოგიც - მონად, ჯანაოზი კი არავის იმოწაფებდა (არავის იკარებდა ახლოს). ერთმა ქალმა მოატყუა, თითქოს მისი შვილი ყრუ-მუნჯი იყო და ასე დაუმოწაფა ჯანაოზს. წერილის ავტორი აქ ქართულ ანდაზას ურთავს: „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსა“.

ჯანაოზმა კი უღალატა ძველ გზას და წესს და ბიჭი მზარეულად მიიღო. ბიჭი დიდი დაკვირვების მერე მიხვდა, რომ მის ბატონს ყველაზე მეტად შემწვარი გველი უყვარდა; იმასაც მიხვდა, რომ ეს შემთხვევითი და უბრალო ამბავი არ იყო. ერთ დღეს შემწვარი გველის ქონი პურზე დააწვეთა და შეჭამა, იგრძნო, რომ გარდაიქმნა, გრძნეული გახდა. სასიამოვნო და უჩვეულო ხმები მოესმა. ერთხელ ბატონმა იგი მინდორში წაიყვანა, ყვავილებმა დაუწყეს ლაპარაკი - ყველა თავს სთავაზობდა და უხსნიდა, რომელი რა ავადმყოფობისათვის იყო გამოსადეგი. იმდენად გააოცა ამ ხმებმა, რომ გაშეშდა და ბოლოს გადაიხარხარა. ჯანაოზი მიხვდა, რომ მისი საიდუმლოება გაიგეს და მოკვლა მოუნდომა მზარეულ ბიჭს. სწო-

14. „კავკაზი“ ათეულობით წლის განმავლობაში (1846-1918) საქართველოში გამომავალი რუსულენოვანი პრესის ყველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი ორგანო იყო. ამ გაზეთის ფურცლებზე ზეპირსიტყვიერი ტექსტების გარდა, მრავალი საინტერესო ფოლკლორული წერილი, ნარკვევი და გამოკვლევაც დაიბეჭდა. ამის გამო მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის. ამ გაზეთს რუსული და ქართული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა უკავშირდება, აქ აიდგა ფეხი ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ, აქ დაიბეჭდა პირველი წმინდა კრიტიკული წერილი ნ. ბერძნიშვილისა „რამდენიმე სიტყვა ქართულ ლიტერატურაზე (ქართული სალიტერატურო ჟურნალის „ცისკრის“ პირველი წიგნაკის გამოსვლის გამო. „კავკაზი, 1857, N 4)“ (ჯაგოდნიშვილი 2004: 147).

რედ ამ დროს სპარსეთის შაჰს ერთადერთი ასული ავად გაუხდა. მიიწვიეს ჯანაოზი, რომელმაც ავადმყოფს თავის ქალა ახადა და დაინახა, ტვინზე კუ ეჯდა. ვერ მოაშორა. იქვე, ხალხში, მისი მზარეული მოწაფე იდგა. იმან ურჩია, სპილენძის ლარნაკი მოიტანე, დაარახუნე და კუ ზედ გადმოვარდებაო. ასეც მოიქცა. კუ, მართლაც, გადმოვარდა. ჯანაოზი მოწაფის გამარჯვებამ გააცოფა. გაეკიდა მსახურს. მან თავი შეაფარა მუხას, რომლის ქვეშ მწყემსი იჯდა. ჯანაოზის მოწაფემ უთხრა მწყემსს: აი, სამი ბოთლი წამალი, პატრონი ჩქარა აქ მოვარდება, ამკუწავს. როდესაც წავა, შენ ეს სამივე ბოთლი დაასხი ჩემს ნაკუწებს და გავცოცხლდებიო. ასეც მოხდა, მხოლოდ მწყემსს ხელიდან გაუვარდა მესამე ბოთლი, გატყდა და დაიღვარა. გრძნეული მოწაფე მკვდარი დარჩა. გადმოცემა მოგვითხრობს, თითქოს იგი დღესაც იმ მუხის ქვეშ წევს და გაცოცხლებას ელისო (არჯევანიძე 1965: 65).

საქართველოში ცნობილ თითქმის ყველა ხალხურ გადმოცემაში გველი სიბრძნესთანაც ასოცირდება (აბაკელია 1997: 12). გველის სიბრძნე მისი ენის წვერიდან ან ხორცის ჭამით გადადის ადამინაზე. ასეთ ადამიანს ბუნება უცხადებს თავის საიდუმლოეს: მას ესმის, რას ლაპარაკობენ ფრინველები და მცენარეები. რაც მთავარია, თხზულებაში დაცულია ისეთი მოტივი, როგორიც არის: გველის ხორცის შეჭმის//სისხლის დალევის//ენის შეხებისას ადამიანი ჯილდოვდება მაგიური ცოდნით (პროპი 2000: 196). ეს ქმედება მხოლოდ ქვესკნელში, გარდაცვლილთა საუფლოში, არის შესაძლებელი. გველის ხორცის შეჭმის შედეგად ადამიანის სიბრძნესთან ზიარების მითიური მოტივის გამოყენებით ვაჟამ შექმნა პოემა „გველისმჭამელი“, რომელშიც მინდიას სულიერი ცხოვრების ფოლკლორისთვის უცნობი ტრაგიზმია გადმოცემული (ქურდოვანიძე 2011:359).

როგორი მითოლოგემებიც არ უნდა ედოს საფუძვლად, ვაჟას პოემა სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული კონცეფციის თხზულებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც საკმაოდ სცილდება ყოველგვარ ზეპირსიტყვიერ მასალას - ვაჟას მინდია ანტიკური ტრაგედიების მთავარი გმირივით თავს იკლავს. ხალხურ სიტყვიერებაში კი თვითმკვლელობის თემა არ გვხვდება. ნიკოლოზ ბერძნიშვილის მიერ გადმოცემული ლეგენდა ამგვარად მთავრდება: მუხის ქვეშ ზის ჯანაოზის გარდაცვლილი ყრუ-მუნჯი მზარეული, რომელიც ელის გაცოცხლებას.

ამდენად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნიკოლოზ ბერძნიშვილის ვერსია მრავლმხრივ არის საინტერესო, თუმცა ვაჟას პოემასთან შედარებისას განსხვავებას მეტს ვიპოვით, ვიდრე მსგავსებას. მთავარი განმასხვავებელი ის არის, რომ ვაჟას მინდია თავს იკლავს, გრძნეულ მზარეულს კი კლავენ, მაგრამ სულეთის სამყოფელში კი არ ინაცვლებს, არამედ მარადიულად ელოდება გაცოცხლებას; მსგავსება კი ამ ორ პერსონაჟს შორის იმაში გამოიხატება, რომ მათ გრძნეულების საშუალებით (გველის ხორცის ჭამის შედეგად) აითვისეს ფრინველთა და მცენარეთა ენა. ყვავვილებთან და ფოთლებთან საუბარი სამკურნალო მიზნით წმინდა ფოლკლორული მოტივია და ვაჟა-ფშაველას გამოგონილი არ არის. მისნური ეპოსის ჯადოსნურ საგანთა დიდი ნაწილი სწორედ ამგვარი ენის ადგმაზეა დამყარებული. „ტიტველი მგლის ზღაპარში“ ხელმწიფის შვილს ბებერი ყელს გამოსჭრის და მზეთუნახავს გაიტაცებს. როცა მწყემსები მკვდარს ნახავენ, წკეპლების საუბარს მოისმენენ: წკეპლები ყელგამოჭრილი ვაჟის განკურნებას ჩემოულბენ, „ეს გაიგონეს ბიჭებმა, ხელად ჩამოიღეს სამი წკეპლა, დაჰკრეს შავი და მოება თავი, დაჰკრეს თეთრი - ჩაედგა სული, დაჰკრეს წითელი - ვაჟკაცი ხელად საღსალამათი

ფეხზედ წამოდგა“. იგივე მოტივი ჩვენ სხვა ხალხის ფოლკლორშიც შეგვიძლია დავადასტუროთ (ჩიქოვანი 1965: 84).

ვერც უარვყოფთ და ვერც დავადასტურებთ, იცნობდა თუ არა ვაჟა ნ. ბერძნიშვილის სტატიაში მოყვანილ თქმულებას, მაგრამ ეს პუბლიკაცია სხვა თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი. აქ გადმოცემულია მსჯელობა კარაბადინის შესახებ (აგრეთვე ჩართულია შელოცვები - შაკიკის, მუნის). ავტორი აღნიშნავს, რომ იგი საოჯახო სამკურნალო წიგნია, მასში სამკურნალო საშუალებებთან ერთად მოთავსებულია შელოცვებიც, რომელთა მიზანია ადამიანის სხეულიდან გამოდევნონ სნეულებანი და ამ შელოცვებს თან მაგიური მოქმედებებიც შესწევთ.

აქვე ორიოდე სიტყვით შევჩერდებით თქმულებაში მოცემულ რამდენიმე სიმბოლოზე. მუხასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ წარმართულ საქართველოშიც, სხვა უძველესი ცივილიზაციების მსგავსად, მუხა საკულტო ხედ იყო მიჩნეული და სიცოცხლის ხედ ითვლებოდა. ქართულ ტრადიციაში შემონახულია ხეთა მსახურების ნაშთები, რასაც ქვეყნის ყველა კუთხეში ვხედავთ. ცხოვრები ხის გარშემო, დღესასწაულებზე, სრულდებოდა სხვადასხვა საწესო მოქმედება: ფერხული, ორპირული სიმღერა, კვდომა-აღდგომის ინსცენირება, მსხვერპლშეწირვა და ა. შ., რომელთა მიზანიც იყო მითოსის პირველადი შექმნის აქციის გამეორება, ქვეყნის მუდმივი აღორძინების პროცესის განახლება (ახვლედიანი 2002: 147). მუხას ვხვდებით შელოცვებშიც, როგორც საღვთო მკურნალობის ძალის მომცემს. ძველ საქართველოში არსებობდა ე. წ. ხატის ტყეები, განსაკუთებით მუხისა და ცაცხვის, იფნის და ა. შ. ხეს მიმართავდნენ გაჭირვების დროს შეკედლებულებიც (მაგ.: ხალხურ ლექსში გმირმა „მუხასა ბეჭი მიანდო, შტო დაიწია ფარადა“) (კოტეტიშვილი 1961: 403).

უკვდავების წყალი, რომელიც მაგიური მკურნალობის ერთ-ერთი საშუალებაა, ხშირად გვხვდება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და წყლის კულტს უკავშირდება. საყოველთაოდ გავრცელებულია გველის წყალთან დაკავშირების მოტივი. თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ზღაპარში „ზღაპარი საკვირველისა“ ბუნების საიდუმლოების (ენის) შეცნობა წყაროს წყალთან არის დაკავშირებული. „ხელმწიფის შვილი მამის დავალებით მიემგზავრება საკვირველი ამბის მოსატანად. იგი ჩამოხტა ერთ წყაროსთან და წყალი დალია. წყლის დალევის შემდეგ მას ესმის ბუნების ენა, მცენარეების, ბალახის საუბარი“ (რაზიკაშვილი 1951: 17).

ჩვენთვის ის გარემოებაა საგულისხმო, რომ ადამიანმა წყაროს წყლის შესმით ბუნების ენა შეიცნო. ცხადია, ეს უკვდავების წყალია (რომელსაც სასწაულმოქმედი ძალა აქვს). „ხელმწიფისა, მისი სამი ქალისა და გაქვავებული ქალაქის ზღაპარში“ წყლის მეშვეობით გაქვავებული ქალაქიც გაცოცხლდება.

XII-XIII საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მიხედვით, წყალი სნეულთა მკურნალია და იგი ქრისტიანული წმინდანის, ბარბარას, სახელს უკავშირდება: წმიდა ბარბარა შედის აბანოში, მარმარილოს წინაშე ჯვარს გამოსახავს და იქიდან უხვად წყალი გამოედინება. „ამ წყალში სნეულნი ბანაობენ და ეზეკიასავით იკურნებიან, კეთროვანნი ნეემანის მსგავსად იწმინდებიან, ხოლო ეშმაკნი შიშით ადამიანებისაგან განვიდიანო“ (ახვლედიანი 2002: 207). „უკვდავების წყალი“ ხშირად იხსენიება შელოცვებში. იგი იმდროინდელ მედიცინაში რძისა და თაფლის თანაბრად გამოიყენებოდა.

ამრიგად, თუ მუხის სიმბოლოს მივიჩნევთ, როგორც კვდომა-აღდგომის ინსცენირებას და გაჭირვების დროს თავშესაფრად (მზარეული მუხის ქვეშ ზის და

გაცოცხლებას ელის), უკვდავების წყალი, როგორც მაგიური მკურნალობის ერთერთ საშუალებად, გველი კი სიბრძნის გარდა, განახლება-განკურნების სიმბოლოდაც გვევლინება.

არ არის შემთხვევითი, რომ ამ თქმულებაზე საუბრის შემდეგ ნიკოლოზ ბერძნიშვილი გადადის კარაბადინზე. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველად დაუდხანის კარაბადინი აღწერილი აქვს ნიკოლოზ ბერძნიშვილს[15] – კარაბადინი არის ხელნაწერი წიგნი საოჯახო მკურნალობის შესახებ. ქართული მითოლოგიის შესასწავლად ბევრი საინტერესო მასალაა ამ წიგნში. ის შეიცავს ექიმბაშობისა და სამედიცინო ხელოვნების არა ერთ საიდუმლოს, რომლითაც საქართველოში ხანდაზმული ქალები იყვნენ დაკავებულნი. მასში ჩამოთვლილია მთელი რიგი გამოლოცვები, შელოცვები, ლოცვები სხვადასხვა ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად. მშვენიერია, რომ ამ წყევლებში ავადმყოფობები წარმოდგენილია სახეშეცვლილი ფორმით, მაგალითად შაკიკი (თავის ტკივილი) რკინის მღრღნელი ხარის სახით; მუნი - შავი კლდიდან გამოსული ურჩხულის სახით შედის ადამიანის სხეულში და ა. შ. აქვე აღწერილია შელოცვის რიტუალის შესრულების წესი.

ავტორის თქმით, კარაბადინში მოთავსებული თითქმის ყველა ლოცვა და შელოცვა უცნაური შედგენილობის გალექსილ ან რიტმულ ტექსტებს წარმოადგენს. ზოგი კი საკმაოდ კეთილხმოვანი ლექსის სახით არის გადმოცემული. მას მაგალითად მოაქვს თავის ტკივილის – შაკიკის შელოცვის ლექსი და აქვე ურთავს მის სიტყვასიტყვით რუსულ თარგმანს:

შაკიკი შემოჩვეული	В пределах сенакосного места
სათიბისა ბოლოსაო,	Завелся шакеки, который
ასე კვნეტდა რკინასაო,	Грыз железо также,
როგორც – ხარი თივასაო;	Как вол сено,
წმიდა გიორგიმ დასწყევლა,	Св. Георгий проклял его
გაიპარა დილასაო.	И наутро исчез он.

ყოველივე ზემოთქმული ვერ შეგვიქმნის სრულფასოვან წარმოდგენას ნ. ბერძნიშვილის მოღვაწეობის შესახებ, თუ არ გავითვალისწინებთ მის მრავალმხრივ ინტერესს, რაც ნათლად აისახა მის სხვა პუბლიკაციებშიც. მან გაზეთ „კავკაზში“ მდიდარი ზეპირსიტყვიერი მასალა დაბეჭდა და არაერთი საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ქართული ფოლკლორის ისტორიის თვალსაზრისით. მათგან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით: „კუდიანობა“ („კავკაზი“ 1950, N N 50-53), „ოფოფი (ქართული გადმოცემა)“, („კავკაზი“ 1950, N 40), „მოგზაურობა წმ. სამების მონასტერში ალევის მთაზე“ („კავკაზი“ 1950, N 84), „მთაწმინდობა“ („კავკაზი“ 1950, N 43), „ჭონა (ქართველების სოფლური ზნე-ჩვეულებიდან)“, („კავკაზი“ 1954, N 24), რომელიც გააკრიტიკა რაფიელ ერისთავმა, რასაც შემდეგ მოჰყვა პოლემიკა პრესაში.

ავტორის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული წერილები უმთავრესად აღწერითი ხასიათისაა, თუმცა ავტორი ამ მასალას ამდიდრებს პარალელებითა და მოარული სიუჟეტებით. სხვა ხალხთა ფოლკლორული ნიმუშების მოხმობისას კი ნათლად ჩანს ავტორის ფართო განათლება და ერუდიცია, მისი მრავალმხრივი ინტერესი.

15. Ник. Бердзенов О Грузинской медицине, Кавказский календарь, 1857, стр. 473.

ნიკოლოზ ბერძნიშვილის ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ პუბლიცისტიკას საკმაოდ ვრცლად და საინტერესო კუთხით განიხილავს და აფასებს თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი თავის ძალზე მნიშვნელოვან და საყურადღებო მონოგრაფიაში „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“. იგი აღნიშნავს: „ნიკოლოზ ბერძენოვის პიროვნება და ნაღვაწი ქართულ ფოლკლორისტიკაში ნაკლებად არის ცნობილი. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მისი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები და ამ მხრივ საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევები უპირატესად მე-19 საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში გამომავალ რუსულენოვან პერიოდულ გამოცემებშია დასტამბული. ამ სამეცნიერო პროდუქციას, სამერმისო თვალსაზრისით, უმთავრესად წმინდა ისტორიული (საკითხის ისტორიის) მნიშვნელობა შემორჩა. თუმცა თავის დროზე ამ პიროვნების მოღვაწეობა არა მარტო ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის, არამდე ქართული ლიტერატურის, სალიტერატურო კრიტიკის სფეროშიც მეტად მნიშვნელოვანი იყო“ (თ. ჯაგოდნიშვილი 2004: 255).

ნიკოლოზ ბერძნიშვილის ამ ერთი წერილის გაცნობაც კი ნათელყოფს, რომ მისი მოღვაწეობა არ უნდა დარჩეს ჩვენს საზოგადოებას უყურადღებოდ. მთლიანად ვიზიარებთ თამაზ ჯოლოგუას პოზიციას: „მართალია, ნიკოლოზ ბერძნიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე არა ერთი და ორი ნაშრომია გამოქვეყნებული, მაგრამ სამეცნიერო ინტერესები და ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს მისი უანგარო ცხოვრებისა და თვალსაჩინო ღვაწლის მონოგრაფიულ შესწავლას, სალიტერატურო და სამეცნიერო მემკვიდეობის ყველა ღირსებისა თუ ნაკლის გამოწვლილვით კვლევა-ანალიზს“ (ჯოლოგუა 2013: 159).

ამრიგად, ნიკოლოზ ბერძნიშვილის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარს. თანამედროვე სამყაროში უაღრესად მნიშვნელოვანია გარდასულ ეპოქებში შექმნილი ფოლკლორული სახე-სიმბოლოებისა და მათი ლიტერატურული პარალელების განხილვა, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ წარსული ეპოქა შეაგონებს თანამედროვე ადამიანს, რომ გაუფრთხილდეს გარემოს, არ გაანადგუროს ბუნება, რადგან ამას უეჭველად მოჰყვება ადამიანის გაქრობაც. ხშირად მხატვრული ტექსტები უფრო დამაჯერებლად და შთამბეჭდავად ასახავს გლობალურ პრობლემებს, ვიდრე ისტორიული ქრონიკები, ამიტომაც ესოდენ მნიშნველოვანია ამგვარი ტექსტების გააზრება და საფუძვლიანი შესწავლა. ნიკოლოზ ბერძნიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში.

დამოწმებანი:

აბაკელია 1997: აბაკელია ნ. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ.: „მეცნიერება“, 1997.

არჯევანიძე 1965: არჯევანიძე ე. ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა. თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965.

ახვლედიანი 2002: ახვლედიანი გ. ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი. თბ.: 2002.

გაწერელია 1966: გაწერელია ა. ვაჟა-ფშაველა და ქართული მითოსი. თბ.: 1966.

დანელია 1927: დანელია ს. ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი. თბ.: 1927.

ვაჟა-ფშაველა 1990: ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი, თბ.: „განათლება“, 1990.

კიკნაძე 1957: კიკნაძე გრ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. თბ.: 1957.

კოტეტიშვილი 1961: კოტეტიშვილი ვ. ხალხური პოეზია. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1961.

პროპი 2000: Проп В. Я. Исторические корни вольшебной сказки. М.: Лабиринт. 2000.

რაზიკაშვილი 1851: რაზიკაშვილი თ. (შემდგენელი) ქართული ხალხური ზღაპრები. ტ. 1. თბ.: „საბლიტგამი“, 1951.

რობაქიძე 1961: რობაქიძე გრ. ვაჟას ენგადი. „ბედი ქართლისა“, N 38, პარიზი: 1961.

რობაქიძე 1996: რობაქიძე გრ. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. თბ.: შპს „ჯეკ-სერვისი“, 1996.

ოჩიაური 1967: ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ.: 1967.

ქურდოვანიძე 2011: ქურდოვანიძე თ. ვაჟა-ფშაველა და ფოლკლორი. V საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები. თბ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2011.

ჩიქოვანი 1956: ჩიქოვანი მ. ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია. თბ.: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956.

ჩოლოყაშვილი 2011: ჩოლოყაშვილი რ. ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ მსგავსება და განსხვავება მითოსურ სამყაროსთან. V საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები. თბ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2011.

ჩოლოყაშვილი 2019: ჩოლოყაშვილი რ. (რედაქტორი), 1836-1937 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა, ანოტირებული ბიბლიოგრაფია. თბ.: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019.

ჩხეიძე 2011: ჩხეიძე ე. გველის სახე-სიმბოლოს ცალკეული ასპექტები. IV საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები. თბ.: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2011.

ჯაგოდნიშვილი 2004: ჯაგოდნიშვილი თ. ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2004.

ჯოლოგუა 2013: ჯოლოგუა თ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე) თბ.: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2013.

Eka Chkheidze

“Traces of the Past“ by Nikoloz Berdznishvili

It is now clear to everyone that Vazha-Pshavela was far ahead of his time, because when “Snake Eater” was written, there was no term “environmental protection” or “ecological catastrophe”, which has become so relevant today for the modern world. Thus, it can be said that the study of the artistic concept and literary-folklore sources of the “Snake-Eater” acquired even greater importance in the modern era.

The newspaper “Kavkaz” (1852, NN 52-53) published a letter by Nikoloz Berdznishvili (Berdzenov) entitled “Traces of the Past. Janaoz Karabadin ”, which contains very interesting oral material. The letter presents a peculiar version of the snake-eating legend, for which no attention has been paid so far in the special literature. This version

resembles Vazha-Pshavela's famous work in some details, while in others it shows kinship with other fairy tales. His astonishing, special study may be useful in clarifying some of the issues of Vaja Pshavela's excellent poem. "

Comparing Vazha's poem we will find more difference than similarity. The main difference is that Vaja Pshavela's Mindia commits suicide, the sorcerer cook is killed, but he does not move to the realm of the soul, but waits forever for resurrection; The similarity between these two characters is manifested in the fact that they have mastered the language of birds and plants through their senses (as a result of eating snake meat). We can neither deny nor confirm whether he was aware of the statement in Vazha Berdznishvili's article, but this publication is important from another point of view as well. Here is a discussion of Karabadin. The author mentions that it is a family medicine book, in addition to medicines, it also contains spells, which aim to expel diseases from the human body, and these spells are accompanied by magical actions.

The author's folklore and ethnographic letters are mainly of descriptive character, although the author enriches this material with parallels and stories that are spread among people. In quoting the folklore of other peoples, the author's extensive education and erudition, his multifaceted interest, are clearly seen.

Nikoloz Berdznishvili's folklore and ethnographic journalism is discussed and evaluated in a very detailed and interesting way by Teimuraz Jagodnishvili in his very important and noteworthy monograph "History of Georgian Folklore". He notes: "The personality and genius of Nikoloz Berdzenov are little known in Georgian folklore. The reason for this must be that his folklore-ethnographic letters and interesting scientific researches in this regard are mainly published in Russian periodicals published in Georgia in the 50s of the 19th century. This scientific product, from the sacramental point of view, has remained largely purely historical (history of the matter). However, in his time, this person's work was very important not only in the field of folklore and ethnography, but also in the field of Georgian literature and literary criticism.

In the modern world, it is extremely important to discuss the folkloric face- symbols created in the past and their literary parallels, because in some cases, the past reminds modern man to take care of the environment, not to destroy nature, because it will undoubtedly lead to the disappearance of man. Often fictional texts reflect global problems more convincingly and impressively than historical chronicles, which is why it is so important to understand and thoroughly study such texts. Nikoloz Berdznishvili contributed to this case.

ნინო ბალანჩივაძე

იალბუზის მითოლოგემა კავკასიელ ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში

კავკასიის ხალხთა ცხოვრების, რწმენა-წარმოდგენების გაცნობისა და შესწავლის ინტერესი მოყოლებული ანტიკური პერიოდიდან დღემდე არასოდეს განელებულა. არაერთი ქვეყანა დაინტერესებულა ამ რეგიონის ხალხთა ყოფა-ცხოვრებით, რწმენა-წარმოდგენებითა და კულტურული მემკვიდრეობით. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო სტატიაა **Сборник материалов для описания местностей и племён Кавказ-ის 1908 წელს** ი.ფარფოროვსკის მიერ გამოქვეყნებული „ლეგენდა იალბუზზე“, რომელიც გადმოგვცემს კავკასიაში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხში (ყაბარდოელები, ოსები, ყარაჩაი-ჩერქეზები, ქართველები) გავრცელებული ლეგენდის განსხვავებულ ვარიანტებს.

მთის საკრალურობას ორგვარი გამოხატულება ჰქონდა ოდითგანვე: ერთ შემთხვევაში, მასზე ფეხი არ უნდა შეედგა უბრალო მოკვდავს; მეორე შემთხვევაში, მის მწვერვალზე ჯერ კერპები და სალოცავები იყო აღმართული (როგორც ჩვენთან, მაგალითად, ზადენის ან არმაზის), შემდგომ კი - უკვე ეკლესია-მონასტრები. იშვიათია ცივილიზაცია, რომელსაც არ აქვს თავისი „წმინდა მთა“. მთის სახისმეტყველებას განსაკუთრებით მდიდარი ბიოგრაფია აქვს ბიბლიაში. აქ მორიას მთა არის ღვთისმორჩილებისა და ღვთის მოშიშობის ანუ შეწყალების უნივერსალური სიმბოლო: აბრაამმა სწორედ ამ მთაზე აიყვანა ისააკი, რათა აღესრულებინა ღვთის ნება და შეეწირა მისთვის შვილი (**აბზიანიძე, ელაშვილი 2006: 145**) თავად ღმერთმა აირჩია მთა წმინდა ადგილად, პირველად, როცა ღმერთმა „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში“ **(ძველი ათქმა, დაბად.II.15);** ხოლო მეორედ, როცა ის გამოეცხადა მოსეს მთაზე და მისცა ათი მცნება.

კავკასიაში უძველესი დროიდან არსებობს ლეგენდა პრომეთეს შესახებ. რასაკვირველია, კავკასიის ყველა ხალხს საკუთარი ვარიაცია გააჩნია: ჩერქეზები და ყაბარდოელები ამტკიცებენ, რომ პრომეთე იალბუზზე იყო მიჯაჭვული; სომხები ამბობენ, რომ პრომეთე არარტზე მიაჯაჭვეს.

ი. ფარფოროვსკი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ უძველესი დროიდან იალბუზის მწვერვალზე მიჯაჭვული გმირის სხვადასხვა ლეგენდას არსებობს; რომ იალბუზის მთის შესახებ გადმოცემებს ბევრი საერთო აქვს ბერძნულ მითთან პრომეთეს შესახებ. აქვე საუბრობს, თუ როგორ მიაჯაჭვა მამა ღმერთმა ერთ-ერთი ტიტანი – პრომეთე იალბუზზე ადამიანებისათვის ცეცხლის მოპოვების გამო და როგორ მიუჩინა მას არწივი, რომელიც ღვიძლს უკორტნიდა , მანამ ჰერაკლემ არწივი არ მოკლა (**ფარფოროვსკი, 1908 : 306-307**).

ფარფოროვსკი ადარებს რა ბერძნულ და კავკასიურ წარმოდგენებს ერთმანეთს, აღნიშნავს, რომ კავკასიურ ხალხურ ეპოსში პრომეთეს როლს ასრულებს დევგმირი, ბუმბერაზი **(Багатир),** რომელიც თამამად, გაბედულად ადის იალბუზის მწვერვალზე, რათა სამყაროს იდუმალებას ეზიაროს.

მთის მბრძანებელმა, უკვდავმა **თყამ (Тха)**[1] უშიშარი დევგმირი ბუმბერაზი მიაჯაჭვა კლდეს. **თყა** ზევსის მსგავსად არ კმაყოფილდება თამამი დევგმირის

ტანჯვა-წამებით და მისი ბრძანებით მტაცებელი ფრინველი თავხედ გმირს ყოველდღე გულმკერდს უწიწკნის.

გადმოცემის თანახმად გმირი დიდხანს იტანჯებოდა. ავტორი აღნიშნავს, რომ გმირი წყურვილსაც კი ვერ იკმაყოდილებდა, მიუხედავად იმისა, რომ მის ფეხქვეშ მოედინებოდა სიცოცხლის წყარო. ავტორი დასძენს, რომ, ვინც ამ წყაროს შესვამდა, ეზიარებოდა სამყაროს საიდუმლოებასა თუ მარადიულობას, მაგრამ, როგორც კი გმირი წყლის დალევას მოისურვებდა, მტაცებელი ფრინველი დაეწაფებოდა მას და მთელ წყალს შესანსლავდაო. ასე გრძელდებოდა გმირის ტანჯვა-წამება. სხვა გადმოცემებისაგან განსხვავებით, ამ გადმოცემის თანახმად, **თყა** განრისხდა ადამიანებზე და მათ დასასჯელად გაათავისუფლა ბუმბერაზი, რომელმაც საბოლოოდ შური იძია მრავალსაუკუნოვანი ტანჯვის გამო (**ფარფოროვსკი1908 : 307**).

ყაბარდოულ და სხვა ხალხის ლეგენდებში ეს სიუჟეტი მოიცავს ოდნავ განსხვავებულ ვარიანტებს. ავტორი აღნიშნავს, რომ სხვა ლეგენდის მიხედვით იალბუზის მწვერვალზე ძევს ვეებერთელა ქვა- კლდე, რომელზეც ზის მოხუცი კაცი გრძელი, ჭაღარა წვერებით. მთელი მისი ტანი დაფარულია ჭაღარა თმით, ხელებსა და ფეხებზე გრძელი ფრჩხილები აქვს, რომლებიც არწივის ბრჭყალების მსგავსია. მისი მბრწყინავი თვალები ანათებს როგორც ნახშირი. იგი მიჯაჭვულია კლდეზე იმის გამო, რომ ყოვლისშემძლე ტყას ჩამოგდება მოინდომა. გადმოცემის მიხედვით ამ მდგომარეობაში იქნება მოხუცი, ვიდრე მიწაზე იხარებს ლელქაში (ლერწამი) და დაიბადებიან ბატკნები. მიჯაჭვული გმირის სასოწარკვეთილი გმინვა მთელს იალბუზს აზანზარებს, მისი ცრემლები კი იქაურობას ადიდებული მდინარეების წარღვნით ემუქრება. ავტორი შენიშნავს, რომ პრომეთეს მითი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც შეცვლილია. ამასთანავე დასძენს, რომ ამ გადმოცემების მიხედვით იალბუზის მწვერვალზე აღწევა შეუძლებელია, ხოლო რაც შეეხება უშიშარ, მებრძოლ გმირებს, ისინი დასაღუპად იქნებიან ყოველთვის განწირულნი(**ფარფოროვსკი 1908 : 308**).

თყა (ТХА) ნართული ეპოსის ინგუშური ვერსიის პერსონაჟი, რომელსაც ჰყავს შვიდი ვაჟი. მკვლევართა აზრით, იგი არის ბუნებისა და ადამიანების, მათ შორის ნართების, გამჩენი, ჭექა-ქუხილის გამგებელი, კულტურული სიკეთეების დამცველი, „კავკასიელი პრომეთეს“, ანტაგონისტი, რომლის სახე მრავალი საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა.

თჰა/თჰაშხო ადიღური პანთეონის უზენაესი ღვთაება, ყოველთა სულიერთა და უსულოთა შემოქმედი: სამყარო მან ჰაერისგან, წყლისგან, მიწისა და ცეცხლისგან გააჩინა; თჰა ყველგან მყოფი და ყოვლის განმწესრიგებელია. ყველა ლოცვა თჰასადმი მიმართვით იწყებოდა.**(ანთელავა, 2017: 362).**

იალბუზი **ალთინ-თაუდ ანუ „**ოქროს მთად“ მოიხსენიება **ბალყარულ-ყარაჩულ მითოლოგიაში** და მდებარეობს სამყაროს ცენტრში. მის მწვერვალზე ხარობს მსოფლიო ხე- „ბაჲთერექი“; აქვეა უკვდავების წმინდა წყარო (Саулукъ суу – „ჯანმრთელობის წყარო“, Бора шаудан –„ბორას წყარო“[?]), რომელსაც უზარმაზარი არწივი იცავს, ალთინ-თაუზე მდგარ მზის მაღალ კოშკში(Кюн къала, Нар къала) მნათობი ჩასვლის წინ ისვენებს **(ანთელავა 2017: 61).**

ნოღაური მითოლოგიით იალბუზი არის **მსოფლიო მთა: ასყარ-თაუ** (Аскъартау–იალბუზი), რომელიც მდებარეობს სამყაროს ცენტრში. მისი მარჯვენა მხარე

მზიანია, ნათელია, მარცხენა–ბნელი. ასყარ-თაუზე ხაროზს მსოფლიო ხე ბაჲთერექი. მთაც და ხეც ვერტიკალურ ჭრილში ერთმანეთთან აერთებს სამყაროს სამ ზონას: ზესკნელს, შუასკნელსა და ქვესკნელს. ასყარ-თაუს მწვერვალი მიუღწეველია. იქ ასვლა მხოლოდ ღვთაებრივ არსებებს და დიდ წინასწარმეტყველებს (ნათელმხილველებს) შეუძლიათ **(ანთელავა 2017: 61).**

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ლეგენდის მიხედვით იალბუზზე გაიზარდა ბიჭი (ნართი გენდჟავეშუა) , რომელიც მამას, ალაუგანს, ცხენიდან გადმოუვარდა. იკვებებოდა იალბუზის ყინულით, რადგან, იალბუზის მწვერვალი ორივე მხრიდან ქალის მკერდს წააგავს (**ფარფოროვსკი 1908: 312**).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენამდე მოღწეულია არაერთი გადმოცემა, რომლებიც იალბუზზე მიტოვებული ბავშვის აღზრდას ეხება. ერთ-ერთ ტექსტში „ლეგენდა თამარზე“ ნათქვამია, რომ თამარმა ვაჟი მოსამსახურეს მთაში დაატოვებინა. ბავშვი ტიროდა და მის ტირილზე მისულ ირემს ბავშვი შეებრალა და ძუძუ აწოვა. ირმის რძით ბავშვი გაიზარდა **(სიხარულიძე 1961: 81)**.

ამავე ტიპის გადმოცემის მიხედვით ოსები თავს დაესხნენ ქვეყანას. მოტაცებულ ტყვეთა შორის აღმოჩნდა ერთი ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელიც ოსებმა გზაზე გადააგდეს. მიტოვებული ბავშვის ტირილი მოესმა ირემს, ირემმა აიყვანა იგი და თავისი ძუძუთი გამოკვება. გაიზარდა ქალი, დაერქვა თამარი და როგორღაც იალბუზის წვერზე მოხვდა და იქ მარადიული გაზაფხულის პირობებში ცხოვრობდა... **(ზ.კიკნაძე 2016).**

მართალია, კავკასიელ ხალხს სწამდა იალბუზის შეუვალობისა, მაგრამ, როგორც ჩანს, მიტოვებული ბავშვების გადარჩენა ყოვლისშემძლე მთის მბრძანებლის დამსახურება იყო, მიუხედავად ამისა, დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ ბედავდა მასზე ასვლას. ამგვარი რწმენის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს ყაბარდოელთა ერთ-ერთი გადმოცემა, რომლის თანახმადაც, ყაბარდოში შემოჭრილმა ყირიმის ხანმა ვერ გაბედა იალბუზზე ასვლა, რადგან მწვერვალიდან ხმა მოესმა: ,,შეჩერდი, შეჩერდი, ხანო!” ყაბარდოელებს სწამდათ, რომ ეს სიტყვები იალბუზის კლდეზე მიჯაჭვულმა თეთწვეროსანმა მოხუცმა წარმოთქვა.

ავტორი წერს, რომ უამრავ თქმულებაშია ნახსენები ეს ბუმბერაზის ხმა, რომელიც ხელს უშლის ხალხს იალბუზზე ასვლაში. ძირითადად ამ ლეგენდებს ყვებიან მწყემსები და მონადირეები, რომლებსაც სჯერათ მთის მბრძალებლის არსებობა **(ფარფოროვსკი, 1908: 311) .**

ყაბარდოელების თქმულების მიხედვით იალბუზზე ცხოვრობს ჯინი-ფადიშაჰი. ტყამ სასჯელად ბნელი ქვეყნებიდან მიუსია საზარელი გოლიათები , რომლებმაც დაიპყრეს მისი სამეფო. ყოველი ახალი წლის წინ ყაბარდოელები მიდიან ჯინ-ფადიშაჰის თაყვანის საცემად, მაგრამ ვერ ადიან და მიდიან **თათარ-ტუნში,** თერგის დასავლეთ ნაპირზე. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ავტორი წერს, რომ თქმულება გოლიათების მოსვლაზე ეხება რუსებს, რომლებმაც დაიპყრეს კავკასია. ასე რომ, კავკასიის მაჰმადიანებისათვის წინასწარმეტყველება გოგზე და მაგოგზე ახდა (**ფარფოროვსკი 1908: 311**).

ბალყარულ-ყარაჩულ მითოლოგიაში იალბუზს თეთრ ჯიხვს უწოდებენ **აყ ჟუღუთური.** ღვთაება აფსათის ერთ-ერთ ზოომორფულ ჰიპოსტაზ **აყ ჟუღუთურთან** დაკავშირებულია მეტად საინტერესო მითი: ერთხელ თეთრმა ჯიხვმა, რომელიც თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად იალბუზის ფერდობზე ცხოვ-

რობდა, დაინახა, რომ მათკენ ვეებერთელა თეთრი ბურთი მოგორავდა. მან ქვებზე ალესილი რქების ძლიერი დარტყმით ის გახეთქა. მისი ერთი ნახევარი იალბუზის მწვერვალს მოხვდა და ორად გაყო, მეორე ნახევარი ზეცაში აფრინდა და მას შემდეგ, რაც ეს ნახევარი გვერდულად შემოტრიალდება, ჩვენ ცაზე ნახევარმთვარეს ვხედავთ. ამაზე მოხუცები ამბობენ: „ჯიხვმა მთვარე ორად გააპო“. როგორც ვხედავთ, აქ აყ ჟუღუთური წარმოდგება, როგორც კულტურული გმირი, რომელიც სამყაროს აშენებს და ალაგებს. ეს მითი, სავარაუდოდ, ღვთაება აფსათის შესახებ წარმოდგენების განვითარების არქაულ სტადიას გამოხატავს **(ანთელავა 2017: 114).**

ფარფოროვსკი აღნიშნავს, რომ იალბუზის შესახებ ქართული თქმულების მიხედვით წარღვნის მერე წყალმა დაიწყო კლება და ნოეს კიდობანი შეეჯახა მთის მწვერვალს. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ იალბუზის მწვერვალი გაიყო ორ ნაწილად.

შემდგომ ავტორი საუბრობს მითიური ფრინველის სიმურგის (იგივე ფასკუნჯი, დრაკონის მსგავსი ფრინველი) შესახებ, რომელსაც შეუძლია ერთი თვალით წარსულის, მეორე თვალით კი მომავლის დანახვა. ისიც ცხოვრობს იალბუზის მწვერვალზე. როცა თავისი ვეებერთალა ფრთებით, რომლებსაც მაგიური ძალა აქვს, იალბუზს შემოუფრენს, მთელ სამყაროს აზანზარებს; როცა ის დამწუხრებულია, მთელი სამყარო ქედს იხრის მის წინაშე. ამიტომაც ავტორი აღნიშნავს, რომ ლეგენდაში აღწერილია ჰარმონიული კავშირი ზებუნებრივ მოვლენებსა და ფრინველს შორის (**ფარფოროვსკი 1908: 308-309**).

ავტორი, ასევე, იხსენებს ვ.ს. სალავიოვის მიერ მოთხრობილ ოსურ თქმულებას, თუ როგორ იპოვა ერთმა მწყემსმა გამოქვაბულში ოქრო და ძვირფასეულობა, ამასთანავე, როგორ გაიგო კლდეზე მიჯაჭვული მშვენიერი ყმაწვილის გოდება; როგორ ვერ ახერხებდა იგი მის გათავისუფლებას ჯაჭვისა და მტაცებელი ფრინველისაგან. მწყემსმა, იმისათვის რომ გაეთავისუფლებინა იგი, გამოჭედა ჯაჭვი, მაგრამ გამოქვაბულისაკენ მიმავალს გზად თანასოფლელები დახვდნენ და მოსთხოვეს განძის სამალავის ჩვენება. მწყემსი იძულებული გახდა ეჩვენებინა საგანძური, თუმცა ხმაურზე კლდე უეცრად გაიხსნა და ყველა უფსკრულში ჩაიკარგება. ავტორი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი კავკასიელისაგან შეიძლება მოისმინო მსგავსი შინაარსის გადმოცემები იალბუზის შესახებ**(ფარფოროვსკი 1908: 309-310).**

როგორც ჩანს, მთის მბრძანებელი არც მიჯაჭვული ყმაწვილის გათავისუფლებას დაუშვებს და არც მოკვდავი ადამიანის იალბუზზე ასვლას: ქარბუქის, ჭექა-ქუხილისა და წვიმის საშუალებით ის ხელს უშლის იალბუზის მწვერვალზე ასვლის მსურველებს. თუმცა ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ქრისტიანთა მრწამსით მხოლოდ განწმენდილთ შეუძლიათ ამის მიღწევა. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით მღვდელი და მისი ვაჟი იყვნენ მწვერვალზე, სადაც ბინადრობს მამა ღმერთი. მღვდელი დაიღუპა, ვაჟი კი დაბრუნდა მწვერვალიდან აბრაამის კარვის ნაკუწით. კარავში ბაგაა, რომელშიც ახალშობილია. შემდეგ ავტორი აღწერს იმ სიმდიდრესა და ძვირფასეულობას, რომელიც იყო კარავში და რომლის ნაწილიც ხვდა წილად მღვდლის შვილს. ავტორი აღნიშნავს, რომ ამავე მთიელისაგან შეიტყო მთის მწვერვალზე, მიუწვდომელ ადგილებში, არსებული მონასტრების არსებობის შესახებ, სადაც ბერები ცხოვრობდნენ. ბევრი მოკვდავი ცდილობდა

იქ მისვლას, მაგრამ მხოლოდ ერთმა ზედმეტად თამამმა ქალმა მოახერხა მათთან ასვლა. ყველა ბერი გამოიკეტა თავის კელიაში. ერთმა, ყველაზე უმცროსმა ბერმა კი ვერ გაუძლო ცდუნებას და ქალი თავის კელიაში შეუშვა. ამის გამო ღმერთმა დასაჯა ისინი და წაართვა მათ მზის სხივიც კი. აქ მეტად საინტერესო კავშირია ილია ჭავჭავაძის „განდეგილთან“, თუმცა ბერები მხურვალე ლოცვის შემდეგ ღმერთმა თავისთან ცაში წაიყვანა, სადაც ისინი ახლა კაშკაშებენ დიდი დათვის თანავარსკვლავედში **(ფარფოროვსკი 1908: 313-314).**

იალბუზი ყველაზე მაღალი მთაა კავკასიონის მთაგრეხილზე. ის ამავე დროს ორი სამყაროს გამყოფად ითვლებოდა: მის გადმოღმა საქრისტიანოა, მის გადაღმა - უცხო მხარე ურჯულოთა.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხალხის მეხსიერებაში შემონახულმა ერთმა საინტერესო გადმოცემაც იალბუზის მთაზე ავი სულების შეკრების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მთაზე ასვლა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო: „ წელიწადში ერთხელ, ჭიაკოკონობის ჟამს, ავი სულები იალბუზის მთაზე იკრიბებოდნენ. მათი შეკრების მიზანი ადამიანებისათვის ზიანის მიყენება ყოფილა. კუდიანებისაგან თავდასაცავად ადამიანები ცეცხლს ანთებდნენ, რადგან ცეცხლი, წარმართული მრწამსით, ცოდვებისაგან განწმენდისა და ავი სულებისაგან თავდასაცავ საშუალებად მიიჩნეოდა **(ბერიძე 1980, გვ.128).**

კუდიანების, ავისულებისა და ჭინკების შესაკრებელი ადგილი ყოფილა სამეგრელოშიც ტაბაკონის ტბა, სადაც წელიწადში ერთხელ თავს იყრიან ისინი და როკაპნი თავიანთ უფროსს მოახსენებენ ყველა ავ საქმეს, რომლებიც წლის განმავლობაში ჩაუდენიათ, ამასთანავე, იღებენ დავალებებს სამომავლოდაც **(კიკნაძე, 2016: 97-98) ითვლებოდა, რომ** იალბუზის მწვერვალებიდან შესაძლებელია სამოთხის დანახვაც. მასზე ასვლა კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან მოესმოდა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა,
იალბუზის ეშმაკები
ცხრა მთას იქეთ გადარეკა.“

ყოველი სტრიქონი ამ ლექსში მითოსური სიმბოლიკისა და მითოლოგემების შემცველია. „იალბუზის ეშმაკების“ თემას ლექსში არა აქვს განვითარება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იალბუზის მთაზე ისეთივე შაბაშები იმართებოდა, როგორიც სამეგრელოში, ტაბაკონზე და ასევე, საერთოა ყველა ხალხის უძველესი რწმენა-წარმოდგენები მთების მწვერვალებზე.

ამ ლექსის სხვა ვარიანტში ეშმაკების ნაცვლად ჩერქეზები არიან ნახსენები: “ოსებში გადაიარა, ჩერქეზები გადარეკა“. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში განსხვავებულ სარწმუნოებაზეა აქცენტი გადატანილი. ვახტანგ მეფე ღმერთს იმიტომ უყვარდა, რომ ის განწმენდს იალბუზს უწმინდური ძალებისაგან.

მთა, ამ შემთხვევაში იალბუზი, აბივალენტურია: ერთი მხრივ, ის წმინდა ადგილია, სადაც მიწა მაქსიმალურაად ახლოსაა ცასთან, სადაც ასვლა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და სადაც გმირი ისჯება მთის მბრძანებლის წინააღმეგ წასვლისა და სამყაროს შეცნობის დაუოკებელი სურვილისათვის. მეორე მხრივ, კი ის ავსულთა სადგომია, მათი შესაკრებელი ადგილი, სადაც ბჭობდნენ ადამიან-

ებისათვის ზიანის მიყენების სხვადასხვა საშუალების შესახებ. ეს უკანაკნელი მითოლოგემა საკმაოდ გავრცელებულია კავკასიის სხვადასხვა ხალხის რწმენა-წამოდგენებში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გმირის///ბუმბერაზის//დევგმირის კლდეზე მიჯაჭვისა და მღვიმეში მოთავსების მოტივები თითქმის ერთდროულია და თავს იჩენს კავკასიელი ხალხის თქმულებებში ეპოსის ჩამოყალიბების უძველეს საფეხურზე. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ძველი ბერძნული წყაროებით დასტურდება, რომ საქართველოში (კოლხიდაში) არსებობდა მიჯაჭვული გმირის თქმულების ის ვარიანტები, რომლებშიაც დასჯის ადგილად მთის მწვერვალი ან გამოქვაბული იყო მითითებული და ეს მთაც არა რომელიმე ზოგადად კავკასიონის ქედი, არამედ კონკრეტული მთა (იალბუზი) არის დასახელებული.

სტატიის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ კავკასიის დიდებულმა და მრისხანე ბუნებამ შექმნა კავკასიელ ხალხში უამრავი ლეგენდა და თქმულება.

დამოწმებანი:

აბზიანიძე, ელაშვილი 2006 : აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. I. თბ.: გამ. „ბაკმი“, 2006.

ფარფოროვსკი 1908: „ლეგენდა იალბუზის შესახებ“, СМОМПК, 1908, N38.

ანთელავა 2017: ანთელავა ნ. კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბ.: გამ. „უნივერსალი“, 2017.

სიხარულიძე 1961: ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, სიხარულიძე ქს., გამ. „საქ, სსრ მეცნიერებათა აკადემია“, ტომი I, თბ.: 1961.

კიკნაძე 2016: კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია 2 ფარნავაზის სიზმარი, თბ.: გამ. „ილიას სახ, უნივერსიტეტი“ , 2016.

ბერიძე 1980: ბერიძე თ., ძველი თბილისის სურათები. თბ.: გამ. „ნაკადული“, 1980.

არჯევანიძე, 1971: არჯევანიძე სბორნიკი. თბ.: გამ. „მეცნიერება“, 1971.

ჩოლოყაშვილი 2019: ჩოლოყაშვილი რ. (რედაქტორი) 1836-1937 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა, ანოტირებული ბიბლიოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.: 2019.

კიკნაძე, სამი ეტიუდი თამარის მითოსიდან:
http://saunje.ge/index.php?id=1200&option=com_content&Itemid=7&lang=ka

ძველი აღქმა.: http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia/sarchevi.htm

Nino Balanchivadze

The Mythologeme of the Elbrus in the Oral Tradition of the Caucasian Peoples

The interest in the life, belief and study of the peoples of the Caucasus has never waned since antiquity. Many countries are interested in the life, beliefs and cultural heritage of the people of this region. One of the most interesting articles in this regard is the “Legend of the Elbe” published in 1908 by I. Farforovsky, which gives us different

versions of the legend spread among different peoples living in the Caucasus (Kabardians, Ossetians, Karachay-Circassians, Georgians).

The sacredness of the mountain has had two manifestations since ancient times: in one case, a mere mortal should not set foot on it; In the second case, idols and shrines were erected on its peak (as in our case, for example, Zaden or Armazi), and then - already churches-monasteries. Rare is a civilization that does not have its "holy mountain". The mountain character has a particularly rich biography in the Bible. Here Mount Moriah is a universal symbol of obedience and God-fearing or pardon: it was on this mountain that Abraham took Isaac to do God's will and sacrificed his son for him (Abzianidze, Elashvili, 2006: 145). God Himself chose the mountain as a holy place. Adam was set up by the Lord God in the Garden of Eden "(Old Testament, born II.15); And the second time he appeared to the mountain of Moses and gave the Ten Commandments.

There is a legend about Prometheus in the Caucasus since ancient times. Surprisingly, all the peoples of the Caucasus have their own variation: the Circassians and Kabardians claim that Prometheus was riding on the Elbe; Armenians say Prometheus was chained to Ararat.

I. Farforovsky notes in his article that a hero mounted on the summit of the Elbe from ancient times produces various legends; That the legends about Mount Elbe have much in common with the Greek myth of Prometheus. It also tells how God the Father chained one of the titans to Prometheus Elbus for obtaining fire for humans, and how he gave him an eagle that had its liver cut off before Heracles killed the eagle (Farforovsky, 1908: 306-307).

Farforovsky compares Greek and Caucasian notions, noting that in the Caucasian folk epic, the role of Prometheus is played by a hero, Bumberaz, who boldly climbs the summit of the Elbe to share the mystery of the world.

In general, the mountain, in this case the Elbe, is ambivalent: on the one hand, it is a sacred place where the land is as close as possible to the sky, where climbing is only for the chosen ones, and where the hero is punished for going against the mountain ruler and unbridled desire to know the world. On the other hand, it is the stalls of the Avsuls, their meeting place, where they quarreled over various means of harming people. This last mythology is quite common in the beliefs and imaginations of different peoples of the Caucasus.

It should also be noted that the motives of the hero /// Bumberaz // Devgmir riding on a rock and placing it in a cave are almost simultaneous and appear in the legends of the Caucasian people at the ancient stage of epic formation. Ancient Greek sources still confirm that in Georgia (Colchis) there were variants of the story of a riding hero, in which a mountain peak or cave was indicated as a place of punishment, and this mountain is not a particular Caucasus ridge, but a specific mountain Elbrus (Yalbuzi).

At the end of the article, the author notes that the glorious and fierce nature of the Caucasus has created many legends and legends among the Caucasian people that still await the diligent researcher.

მარინე ტურაშვილი

ცხოველთა ზღაპრების შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი

(1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით)

ცხოველთა ზღაპრები, რომელთა ინტენსიური შეგროვება საქართველოში მე-20 საუკუნიდან იწყება, საზღაპრო ეპოსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფია. მას თავისებული ფორმა და შინაარსი აქვს, ხასიათდება რა მარტივი კომპოზიციით. ისინი, ერთი მხრივ, შესწავლილია თეორიული ნაშრომებში, მეორე მხრივ კი, არსებობს რამდენიმე ცდა მათი კატალოგიზაციისა, რომლებსაც ქვემოთ მიმოვიხილავთ.

ქართული ზღაპრული ეპოსის შესწავლა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულიდან იწყება და ალ. ხახანაშვილის სახელს უკავშირდება. მკვლევარი საკუთარ მონოგრაფიაში ზოგადად ზღაპრებს სამ ჯგუფად ყოფს: 1. მითოლოგიური ზღაპრები, 2. საყოფაცხოვრებო ზღაპრები და 3. ცხოველთა ზღაპრები (ხახანაშვილი 1895).

მ. ჩიქოვანის სახელთანაა დაკავშირებული ცხოველთა ზღაპრების მხატვრული ანალიზის შესწავლა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქართული ზღაპრული ეპოსის კვლევას საფუძველი ადრეულ ხანაში ჩაეყარა და აღნიშნულ დროდ ამ ჟანრის ლიტერატურულად გადამუშავების დაწყებას მიიჩნევს (ჩიქოვანი 1946). ცხოველთა ეპოსის სატირულ-იუმორისტული ხასიათი განიხილა აპ. ცანავამ. მკვლევარი განსაკუთრებულად გამოყოფს იგავ-არაკს, რომლის საფუძვლად მოწინააღმდეგის, გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა გაკიცხვის, დაცინვის შენიღბულ ფორმას მიიჩნევს (ცანავა 1960). ე. ვირსალაძე სპეციალურ ნაშრომს უძღვნის ქართულ ხალხურ ზღაპარს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ ცხოველთა ზღაპარს ეპოსის ერთ-ერთ არქაულ სახეობად მიიჩნევს (ვირსალაძე 1960).

საბავშვო ფოლკლორის კვლევისას ცხოველთა ზღაპრებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ფ. ზანდუკელი. მკვლევარი ვრცლად განიხილავს „ცხოველთა ეპოსის სტრუქტურულ საკითხებსა“ (ზანდუკელი 1977) და „ცხოველთა ეპოსის სტილურ თავისებურებებს“ (ზანდუკელი 1980). მოგვიანებით ქართული ზღაპრის კვლევისას თ. ქურდოვანიძე შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ცხოველთა შესახებ ზღაპრების წარმოშობის პერიოდი, მითსა და იგავ-არაკთან მისი კავშირი, სიუჟეტი, პერსონაჟები, კომპოზიცია და სტილი (ქურდოვანიძე 2002). მკვლევარმა რ. ჩოლოყაშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ცხოველთა ზღაპრის მიმართება უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან, რის საფუძველზეც ახლებურად გაიაზრა ზღაპრის ცალკეული მოტივები და ზოგ შემთხვევაში მთელი სიჟეტებიც. მკვლევარმა სიღრმისეულად გამოიკვლია ზღაპრის განვითარების ძირითადი ეტაპები, ახსნა ცალკეული სახე-სიმბოლოები. ამასთანავე ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პერსონაჟების გენეზისი და სხვა (ჩოლოყაშვილი 2004). მოგვიანებით მკვლევარმა კიდევ უფრო გააღრმავა ცხოველთა ეპოსის კვლევა და მას მიუძღვნა სპეციალური მონოგრაფია, რომელშიც შესწავლილია ზოგადად ცხოველთა ეპოსის ცალკეული ქვეჯგუფების საზღვრები და თავისებურებანი, ცხოველთა ზღაპრების ფუნქცია და ა. შ. (ჩოლოყაშვილი

2005). ზემოთ განხილული თეორიული კვლევები ცხადყოფს, რომ ცხოველთა ზღაპრებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხურ შემოქმედებაში და შესაბამისად კვლევის მრავალფეროვნებაც ამ ჟანრისადმი მეცნიერთა დიდ ინტერესზე მეტყველებს.

2014 წელს ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დავამუშავეთ თემა „ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის ATU15 ტიპის კონტექსტში“ (ტურაშვილი 2014). ამავე წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ცხოველთა ზღაპრები შევისწავლეთ რაოდენობრივი და შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით, წარმოვაჩინეთ მსგავსებები და განსხვავებები, ასევე, გამოვკვეთეთ ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც (ტურაშვილი 2014).

რაც შეეხება ქართული ცხოველთა ზღაპრების კატალოგიზაციას, ამ მხრივაც სერიოზული მუშაობაა ჩატარებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელ. ვირსალაძის დამსახურება ამ საქმეში. 1961 წელს მან გამოაქვეყნა აარნე-ანდრეევის ცხოველთა ზღაპრის კატალოგის მიხედვით დამუშავებული ქართული ცხოველთა ზღაპრების ტიპთა კატალოგი. ქართული, რუსული და უკრაინული რეპერტუარის მიხედვით, მკვლევარი გვთავაზობს 407 ტიპის მოკლე აღწერილობას, სადაც საარქივო თუ გამოქვეყნებული ზღაპრების ანალიზის საფუძველზე 30 ორიგანალურ ქართულ ტიპს გამოყოფს (ვირსალაძე 1961).

1970 წლიდან ქართული ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელზე მუშაობდა თ. ქურდოვანიძე. 2000 წელს კი ეს საძიებელი გამოვიდა ინგლისურ და რუსულ ენებზე. აღნიშნულ საძიებელში მკვლევარს 121 ცხოველთა ზღაპრის ტიპი აქვს გამოყოფილი, რომლებშიც 51 ტიპს საკუთრივ ქართულ ორიგინალურ ტიპად მიიჩნევს. ცხოველთა ეპოსის კლასიფიკაციასა და სიუჟეტურ საძიებელზე იმუშავა, ასევე, რ. ჩოლოყაშვილმა. მკვლევარი გვთავაზობს ეტიოლოგიური გადმოცემების ოთხი, კუმულაციური და ცხოველთა შესახებ ზღაპრების თორმეტი ქვეჯგუფის ფარგლებში გაკეთებულ საძიებელს (ჩოლოყაშვილი 2009).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კვლევა ამჯერად ეფუძნება 2004 წლის ნოემბერში ჰელსინკის მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორისტთა კავშირის მიერ სამ ტომად გამოცემული ზღაპრის ტიპთა ახალი საერთაშორისო კატალოგს სახელწოდებით „The Types of International Folktales. A Classification and Bibliography“ (Uther, Hans-Jorg 2004), რომლის საფუძველსაც შეადგენდა ანტი აარნეს დამუშავებული და შემდგომ სტიდ თომპსონის მიერ გავრცობილი „ზღაპრის ტიპების საძიებელი“. ის საბოლოოდ გადაამუშავა და შეავსო გერმანელმა ფოლკლორისტმა და ზღაპართმცოდნემ პროფესორმა ჰანს-იორგ უთერმა. ამრიგად, აარნე-თომპსონ-უთერის საერთაშორისო კატალოგის სახით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა სამაგიდო წიგნი ისტორიულ-კომპარატივისტული, ფოლკლორისტული და, საერთოდ, ყოველგვარი ხალხური გადმოცემების ფართო მაშტაბით კვლევების განსახორციელებლად.

კვლევაში შედარებითი ანალიზისთვის გამოვიყენეთ, ასევე, ელექტრონული პროდუქტი *(იხ., http://www.folktreasury.ge/Folklore)*, რომელიც შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით 2010-2012 წლებში გან-

ხორციელებული პროექტის – „ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა“ – ფარგლებში. მისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დამუშავდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ცხოველთა ზღაპრები.

ამჯერად, 1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ ცხოველთა ზღაპრებს (რომელთა ტიპოლოგია დაფუძნებულია ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგზე) შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოვარჩენთ საერთაშორისო კატალოგსა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში დაცულ ცხოველთა ზღაპრებთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კატალოგში გამოყოფილია ცხოველთა ზღაპრების შემდეგი ჯგუფები:

- გარეული ცხოველები (1-99);
- ჭკვიანი მელია (1-69);
- სხვა გარეული ცხოველები (70-99);
- გარეული და შინაური ცხოველები (100-149);
- გარეული ცხოველები და ადამიანები (150-199);
- შინაური ცხოველები (100-219);
- სხვა ცხოველები და საგნები (220-299).

1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალაში ცხოველთა ზღაპრები, როგორც მოსალოდნელი იყო, მცირეა. ზოგადად, საარქივო ტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ, როცა მთლიანი ფოლკლორული რეპეტუარის 10% ზღაპარია, მასში ცხოველთა ზღაპრები 8-9%-ს შეადგენს. რაც შეეხება გაანალიზებულ მასალას, კატალოგიზაციისას შემდეგი ტიპები გამოიყო: **ATU47B** (ცხენი მგელს კბილებში ჰკრავს წიხლს), **ATU56A** (მელია აშინებს ჩიტს ხის მოჭრით და ბატყების დაჭერით), **ATU103** (ომი გარეულ და შინაურ ცხოველებს შორის), **ATU122C** (ცხვარი არწმუნებს მგელს, რომ მის შეჭამდე იმღეროს), **ATU122D** (დაჭერილი ცხოველი დამჭერს საუკეთესო ნადავლს ჰპირდება), **ATU122Z** (შესაჭმელი არსების სხვადასხვა ეშმაკობებით გაქცევა), **ATU123** (მგელი და თიკნები), **ATU204** (ცხოველები ზღვასთან საფრთხეში), **ATU280A** (ჭიანჭველა და ჭრიჭინა). ამასთან, ტექსტების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ცხოველთა ზღაპრის თითქმის ყველა ჯგუფის ტიპი დასტურდება.

შედარებით ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ, ისევე როგორც ზოგადად ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში, რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებშიც უფრო მეტად მარტივი, ერთტიპიანი ზღაპრები გვხვდება, ვიდრე – კომბინირებული, რაც, ზღაპრულ რეპერტუარში ცხოველთა ზღაპრების მარტივი კომპოზიით აიხსნება.

მარტივი, ერთტიპიანი ზღაპარია **„თიკნები და მგელი“,** რომელიც ჩაწეილია სოფ. კახში მ. ჯანაშვილის მიერ, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია:

> „ერთ თხას ჰყავდა სამი ბეკეკა. ყოველ დღე თხა მიდიოდა და აფრთხილებდა მათ, რომ არავინ შემოეშვათ სახლში. ერთხელაც მოვიდა მგელი, მოტყუებით გააღებინა მათ კარი და ერთი ბეკეკა გაიტაცა.

როდესაც დაბრუნდა თხა და გაიგო მომხდარის შესახებ, გავარდა ეზოში და დაიწყო ყვირილი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა“ (ჩოლოყაშვილი 2019: 143).

საანალიზო ტექსტი ზუსტად მიესადაგება საერთაშორისო კატალოგის ტიპს **123 (მგელი და თიკნები),** სადაც აღნიშნულია, რომ ეს ტიპი კომბინაციაშია როგორც თავისივე ბლოკის ზღაპრებთან, ისე ჯადოსნურთან, თუმცა იშვიათად. ეს ტიპებია: **4, 34, 122C** და **212, 333.** რაც შეეხება მის საარქივო ტექსებთან შედარებას, ქართული რეპერტუარი საინტერესო სურათს იძლევა. ის კომბინაციაშია, ერთი მხრივ, თავისივე ჯგუფის ზღაპრებთან და, მეორე მხრივ, კუმულაციურთან: **2015+0123+0122C+0010*****

შემდეგი საანალიზო ზღაპარია **„კრაზანა და ფუტკარი“,** რომელიც გამოქვეყნდა 1830 წელს და არც ამ ზღაპრის ჩამწერისა და მთქმელის ვინაობა ვიცით. ტექსტის მოკლე შინაარსი ასეთია:

„კრაზანა და ფუტკარი მთელი დღის განმავლობაში შრომობდნენ: კრაზანა ყვავილიდან ყვავილზე ფრენდა, ხოლო ფუტკარი არ შორდებოდა ერთ ყვავილს. შემდეგ ფუტკარმა ფიჭა გაამდიდრა, კრაზანამ კი ვარდებისგან მხოლოდ განავალი დატოვა. დასკვნა ის არის, რომ მუშაკი მუშაკისგან განსხვავდება“ (ჩოლოყაშვილი 2019: 145).

საანალიზო ცხოველთა ზღაპარი საერთაშორისო კატალოგში მიესადაგება ტიპს **280A (ჭიანჭველა და ჭრიჭინა),** სადაც მითითებულია, რომ ის მხოლოდ მარტივი, ერთტიპიანი კომპოზიციით არსებობს. აღნიშნული ტიპის საარქივო ჩანაწერებთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მისი ორი ვარიანტი დაცულია პეტრე უმიკაშვილის ფონდში. ისიც საინტერესოა, რომ ქართულ რეპერტუარშიც არაკომბინირებული სახით ფიქსირდება ის.

ზღაპარ **„ბატის“,** შინაარსი ასეთია:

„ერთად მეგობრულად, მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობდნენ ფრინველები. უცებ საიდანღაც მათთან გაჩნდა ბატი, რომელიც არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ დაიწყო: თავის ქება, ტრაბახი; ასწია ცხვირი და ყველას აკრიტიკებდა. ბოლოს ისე მოაბეზრა ყველას თავი, რომ ფრინველებმა დაკორტნეს და შერცხვენილი გააძევეს.

იგავ-არაკის მორალია: მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ ფასი, რომლებიც უთქმელად აკეთებენ საქმეს. ხოლო ის, ვინც მარტო ყვირის და ტრაბახობს, ჰგავს ბატს“ (ჩოლოყაშვილი 2019: 145).

საკმაოდ რთული აღმოჩნდა მისთვის სათანადო ტიპის მინიჭება, რადგან ის ცოტა განსხვავებული ვარიანტია, ვფიქრობთ საერთაშორისო კატალოგში მას მიესადაგება **204 (ცხოველები ზღვასთან საფრთხეში).**

ოსური ზღაპრის, **„ნაცრისფერი მგელი“**, შესახებ საპასპორტო ინფორმაცია უცნობია, მხოლოდ ტექსტია მოცემული, რომლის შინაარსი ასეთია:

„მგელმა მაჩვის შეჭმა მოინდომა. მაჩვმა უთხრა:

– შენი წინაპრები შეჭმამდე მაჩვებს ჯერ გზის ზევით მოისროდნენ, შემდეგ – ქვევითო.

მგელიც ასე მოიქცა და მაჩვი თავის სოროში აღმოჩნდა.

მერე კი მაჩვმა უთხრა:

– ჩემი წინაპრები შენსას ასე ასულელებდნენო.

როცა მგელმა მეგობრობის შეთავაზებაზეც უარი მიიღო, სიმწრით სული განუტევა“ (ჩოლოყაშვილი 2019: 341).

საანალიზო ზღაპარი საერთაშორისო კატალოგში მიემართება ზოგად ტიპს – **122Z (შესაჭმელი არსების სხვადასხვა ეშმაკობებით გაქცევა),** რომელიც მარტივი, ერთიპიანი კომპოზიციით არსებობს. მაგრამ განსხვავებული ვითარება გვაქვს ქართულ რეპერტუარში, ის კომბინაციაშია მხოლოდ ცხოველთა ზღაპრების ტიპებთან, ესენია: **0106*+0122Z; 0020D*+0122Z+0047B+0122A; 0020D*+0047B+0122Z+0122C**.

საინტერესოა და ცოტა განსხვავებული, ასევე, ოსური ზღაპარი სათაურით **„მეზობლები“.** ტექსტში მოთხრობილია:

„დათვი, მგელი და ღორი ერთად ცხოვრობდნენ; ცხვარი, ვაცი და მამალი კი – ცალკე. პირველებს ერთხელ ცეცხლი ჩაუქრათ. მგელი სათხოვნელად მივიდა მეზობლებთან. ცხვარი მარტო დახვდა და სტუმარი შინ მიიწვია:

– ჯერ მგლის ხორცით გაგიმასპინძლდები, ვაცი თავისი რქებით ადვილად შოულობს და ცეცხლსაც მოგცემო.

ამის გაგონებაზე შეშინებული მგელი გაიქცა. იგივე დაემართათ დათვსაც და ღორსაც. მერე სამივენი ერთად როცა მივიდნენ მეზობლებთან, მოეჩვენათ, რომ ისინი ისევ მათ ეძებდნენ ცაში, მთაზე, მიწაში და თან იმუქრებოდნენ. ახლა კი ისე მოკურცხლეს, რომ სადღაც გადაიჩეხნენ“ (ჩოლოყაშვილი 2019: 341).

ზღაპარი საერთაშორისო კატალოგში ინდექსირებულია ნომრად **103 (ომი გარეულ და შინაურ ცხოველებს შორის),** რომელიც არსებობს როგორც მარტივი, ისე კომბინირებული სახით. ის კომბინაციაშია თავისივე ჯგუფის შემდეგ ტიპებთან: **9, 41, 100, 102, 103, 103A, 130** და **200.** რაც შეეხება საარქივო ტექსტებს, აქ განსხვავებული ვითარება გვაქვს, საანალიზო ტიპი მხოლოდ მარტივი, ერთტიპიანი სახით არსებობს.

1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალაში განსაკუთრებულ ყურადღებას ცხოველთა ზღაპრების ტიპთა კომბინაციები იპყრობს.

პირველი რთული კომპოზიციის ზღაპარი, რომელიც უნდა განვიხილოთ, გამოქვეყნებულია 1903 წელს მ. ჯანაშვილის მიერ სათაურით **„ბებერი მგელი“:**

„ზღაპარში საუბარია იმაზე, თუ როგორ მოუნდა ბებერ მგელს ცხვრის შეჭმა, მაგრამ ცხვარმა მოატყუა და რქებით გადააგდო ხრამში. ცხენმაც წიხლი ჰკრა და მოასწრო გაქცევა. შემდეგ მგელმა ვირის შეჭმა მოინდომა. ვირმა კი სიკვდილის წინ დაყვირების ნება სთხოვა. მის როყინზე მოცვივდნენ სოფლის ძაღლები და დაგლიჯეს (ჩოლოყაშვილი 2019: 142).

საანალიზო ზღაპარში სამი ტიპის კომბინაცია გვხვდება: **122Z+47B+122C (შესაჭმელი არსების სხვადასხვა ეშმაკობებით გაქცევა + ცხენი მგელს კბილებში ჰკრავს წიხლს + ცხვარი არწმუნებს მგელს, რომ მის შეჭმამდე იმღეროს).** რა ვითარება გვაქვს საარქივო ჩანაწერებში? ქართულ რეპერტუარში აღნიშნული ტიპი ძირითადად თავისივე ბლოკის ტიპებთანაა კომბინაციაში: **0106*+0047B+0122A; 0122A+0047B; 0020D*+0122Z+0047B+0122A; 0020D*+0047B+0122Z+0122C**. მხოლოდ ერთ შემთხვევაში არსებობს ის მარტივი, ერთტიპიანი კომპოზიციით. როგორც ჩანს, ამ მხრივ, საანალიზო ტიპები საერთაშორისო კატალოგთან მსგავსებას ავლენს.

მეორე ზღაპარიც 1903 წელსაა გამოქვეყნებული, ასევე, მ. ჯანაშვილის მიერ სათაურით **„კოდალა, მელია და ყორანი“,** ტექსტის შინაარსი ასეთია:

> „კოდალამ გამოჩეკა სამი ბარტყი, მელიამ მოტყუებით შეუჭამა – ორი. როდესაც მიადგა მესამეს, კოდალამ არ მისცა და უთხრა, რომ მისი აღარ ეშინოდა, რადგან ყორანმა მელია ამხილა გაიძვერობასა და მსუნაგობაში. მაშინ მელიამ ყორანი დაიჭირა და მას დაუპირა შეჭმა. მაგრამ თავის გადასარჩენად ყორანი მელიას შეჰპირდა დიდი განძის ადგილ-სამყოფელის ჩვენებას. მან მიიყვანა მელია ერთი გლეხის სახლთან, სადაც ის ძაღლებმა დაგლიჯეს“ (ჩოლოყაშვილი 2019: 142).

ზღაპარში ტიპს **56 (მელია აშინებს ჩიტს ხის მოჭრით და ბარტყების დაჭერით)** მოჰყვება ტიპი **122D (დაჭერილი ცხოველი დამჭერს საუკეთესო ნადავლს ჰპირდება).** ზღაპრის საერთაშორის კატალოგში **56** კომბინაციაშია თავისივე ჯგუფის შემდეგ ტიპებთან: **6, 56B, 56D** და **225.** ტიპი 122D კი მხოლოდ მარტივი კომპოზიციით არსებობს. საარქივო ჩანაწერებთან შედარებისას კი აღნიშნული ტიპი განსხვავებას ავლენს. ის კომბინაციაშია მხოლოდ ერთ ტიპთან: **0072D*+0056A.** ცხადია, ქართული მასალა განსხვავებულ და საინტერესო სურათს იძლევა.

ამრიგად, 1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ცხოველთა ზღაპრები შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი საინტერესო სურათს გვიჩვენებს. მათი, ერთი მხრივ, ზღაპრის საერთაშორისო კატალოგთან და, მეორე მხრივ, საარქივო ტექსტებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ როგორც პრესასა და ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში, ასევე საერთაშორისოში, უფრო გავრცელებულია ერთტიპიანი ზღაპრები, ვიდრე – კომბინირებული, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხოველთა ზღაპრების მარტივი კომპოზიციით აიხსნება. ასევე, საინტერესო და განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს ცხოველთა ზღაპრების ტიპთა კომბინაციები. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართულ ხალხურ ცხოველთა ზღაპრებს ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებიც მრავლად აქვთ შეძენილი.

დამოწმებანი:

გოგიაშვილი 2006: გოგიაშვილი, ელენე. *ქართული ზღაპრები ახალ საერთაშორისო კატალოგში.* ქართული ფოლკლორი, 3, XIX. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2006.

გოგოლაძე 2006: გოგოლაძე, თამარი. *ცხოველთა ზღაპრების მხატვრული გააზრება.* ქართული ფოლკლორი, 3, XIX. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2006.

ვირსალაძე 1960: ვირსალაძე, ელენე. *ზღაპარი.* ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I. თბილისი: რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 1960.

ვირსალაძე 1959: ვირსალაძე, ელენე. *ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელი, ზღაპრები ცხოველების შესახებ.* ლიტერატურული ძიებანი, XII. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა გამომცემლობა, 1959.

ზანდუკელი 1980: ზანდუკელი, ფიქრია. *ცხოველთა ეპოსის სტილური თავისებურებანი.* წერილები საბავშვო ფოლკლორზე. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1980.

ზანდუკელი 1977: ზანდუკელი, ფიქრია. *ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები.* თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1977.

სიხარულიძე 1958: სიხარულიძე, ქსენია. *ნარკვევები.* თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1958.

სიხარულიძე 1938: სიხარულიძე, ქსენია. *ქართული საბავშვო ფოლკლორი.* თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938.

ტურაშვილი 2014: ტურაშვილი, მარინე. *ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის ATU 15 ტიპის კონტექსტში.* ქართული ფოლკლორი, 7 (XXIII). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

ტურაშვილი 2014: ტურაშვილი, მარინე. *ქართული ხალხური ზღაპრების კომპარატივისტული ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის კონტექსტში (საარქივო მასალის მიხედვით).* ჟურნალი „სჯანი“. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

უთერი 2004: Uther, Hans-Jorg. *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography.* Helsinki: Suomalainen Tiedeakatemia Academia Scientiarum Fennica, 2004.

ქურდოვანიძე 2002: ქურდოვანიძე, თეიმურაზი. *ქართული ზღაპარი.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2002.

ქურდოვანიძე 2002: Указатель Сюжетов Грузинской Народной Сказки, Систематическтй Указатель По Системе Аарне-Томпсона. Тбилиси: „Мерани“, 2000.

ჩიქოვანი 1946: ჩიქოვანი, მიხეილი. *ქართული ფოლკლორი.* თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1946.

ჩიქოვანი 1946: ჩიქოვანი, მიხეილი. *ზღაპრის სტრუქტურული ანალიზი.* ფოლკლორის თეორია და ისტორია, VIII. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1946.

ჩოლოყაშვილი 2004: ჩოლოყაშვილი, რუსუდანი. *უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში.* თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2004.

ჩოლოყაშვილი 2005: ჩოლოყაშვილი, რუსუდანი. *ცხოველთა ეპოსი.* თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2005.

ჩოლოყაშვილი 2006: ჩოლოყაშვილი, რუსუდანი. *ცხოველთა შესახებ ზღაპრების მთავარი გმირი – მელია.* ქართული ფოლკლორი, 3, XIX. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2006.

ჩოლოყაშვილი 2009: ჩოლოყაშვილი, რუსუდანი. *ზღაპარი და სინამდვილე.* თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2009.

ჩოლოყაშვილი 2009: ჩოლოყაშვილი, რუსუდანი. *ცხოველთა ეპოსის კლასიფიკაცია და სიუჟეტური საძიებელი (კუმულაციური ზღაპრები და ზღაპრები ცხოველთა შესახებ).* ქართული ფოლკლორი, 2(XVII). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერებ“, 2004.

ჩოლოყაშვილი 2019: ჩოლოყაშვილი რ. ონიანი. ო. (რედაქტორები), *1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა, ანოტირებული ბიბლიოგრაფია.* თბილისი: „მერიდიანი“, 2019.

ინტერნეტრესურსი:

ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმა:
http://www.folktreasury.ge/Folklore/searcher.php

Marine Turashvili

Comparative-Typological Analysis of the Georgian Animal Tales According to the Materials Published in the Russian Press (1836-1927)

Intensive collecting of animal tales in Georgia started in the XX century. In general animal tale occupies an important place in the folktale group. It has its peculiar form, plot and simple structure. Animal tales are researched and catalogued several times.

In the given investigation we compare the Georgian animal tales published in the Russian press in 1836-1927 with the animal tales of the International Catalogue and with those kept in the Folklore Archive of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.

The number of the animal tales published in the Russian press is not many. General observation of folklore repertoire revealed that 10 % are folktales and among the folktales 8-9 % areanimal tales.

Analyzed animal tales can be divided into the following types: ATU 47B (The Horse Kicks the Wolf in the Teeth), ATU 56A (The Fox Threatens to Cut Down the Tree and to Eat Young Birds), ATU 122 (The Sheep Persuades the Wolf to sing Before He Eats Him), ATU 122 D (Caught Animal Promises Captor Better Prey), ATU 122Z (Other Tricks to Escape Being Eaten), ATU 123 (The Wolf and the Kids), ATU 204 (Animal in Peril at Sea), ATU 280A (The Ant and the Cricket.

The animal folktales published in the Russian Press as well as the Georgian ones are in general one-type, with simple composition and animal type combinations. In this very spot we point out that they have obtained characteristics of the national repertoire.

ქრისტინე ცირეკიძე

ამირანის ორი სახე

წინამდებარე სტატიის ამოსავალი წერტილია ა. გრენის სტატია „ქართული თხზულება ამირან დარეჯანის ძეზე და ნაშთები მასზე თქმულებებისა ქართველურ ხალხურ ლიტერატურაში“ და მისი ჰიპოთეზა, რომ ამირანის შესახებ თქმულებები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1. სადაც ის არის რაინდი და 2. სადაც ის არის კავკასიელი პრომეთე (გრენი 1895: 35).

ჩვენი პროექტის ფარგლებში მოპოვებულ მასალაში, რომელიც წარმოდგენილია გასულ წელს ჩვენ მიერ გამოცემულ ანოტირებულ ბიბლიოგრაფიულ კატალოგში, შესულია ამირანის თქმულების სხვადასხვა ვარიანტი: სვანური, კახური, ქართლური, აფხაზური, ოსური, ფშაური და სხვ. ამირანის ეპოსის თქმულებები გამოირჩევა მოტივთა ვარიაციულობით. თითქმის ყველა თქმულებაში სხვადასხვა ვარიანტი ფიქსირდება მისი დაბადების, მშობლების ვინაობის, დედმამიშვილების, ოჯახის სხვა წევრების, ღვთის ნათლულობის, საგმირო საქმეების, მიჯაჭვის, მისი ტანჯვის, ტანჯვის გაგრძელებისა და სხვა მოტივებისა.

როგორც აღვნიშნეთ, ა.გრენი განასხვავებს ამირანის ორ სახეს: ამირან-პრომეთესი და ამირან- რაინდისა. ჩვენი ამოცანაა თითოეული მათგანის— ამირან-პრომეთესა და ამირან-რაინდის თვისებების გამოკვეთა; ასევე საკვლევ შეკითხვებზე პასუხის გაცემა: რა მახასიათებლები აქვს თითოეულ მათგანს? როდის დაშორდა ეს სახეები ერთმანეთს? რა ფესვები აქვს ამირანის მითს?

პირველ რიგში, გამოვარკვიოთ, ვის ვუწოდებთ ამირან- პრომეთეს და ვის— ამირან-რაინდს? ამირან- პრომეთე ის გმირია, რომელსაც თავისი მიჯაჭვისა და ტანჯვის მოტივები საერთო აქვს პრომეთესთან. ამირან- რაინდი კი უფრო საფალავნო, საგმირო ეპოსის გმირია, რომელიც თავის ძმობილებთან ერთად მრავალ სახიფათო თავგადასავალში ეხვევა. ამირან-პრომეთეს საბოლოო ხვედრი მისი დასჯა და მიჯაჭვაა, ამირან-რაინდისა კი, ძირითადად, ბედნიერი დასასრულია.

პრესაში თქმულებათა 20-ზე მეტ ვარიანტს მივაკვლიეთ, რომელთა კლასიფიკაციაც აღნიშნული ნიშნით მოვახდინეთ – ამირან-პრომეთესა და ამირან-რაინდის თავგადასავლებად დაყოფით (ასევე მსგავსი ნიშნით გადაისინჯა „მიჯაჭვული ამირანიდან“ სხვა ვარიანტები, რომლებიც ადასტურებენ მსგავს ტენდენციას). მოძიებულ თქმულებათაგან უმეტესში ამირან-პრომეთეს სახე ფიქსირდება, ასევე არის რამდენიმე ვარიანტიც, რომლებშიც ამირან-პრომეთესა და ამირან-რაინდის სახეები შერწყმულია. თითოეული ჯგუფის უკეთ გასააზრებლად, ისინი დავშალეთ ე.წ. სვლებად, როგორც ამას პროპი „ზღაპრის მორფოლოგიაში“ გვთავაზობს (პროპი 1984). ამისათვის ვიხელმძღვანელეთ ზ. კიკნაძის მიერ ამირანის ცხოვრების ეპიზოდებად დაყოფით. ზ. კიკნაძე სულ გამოყოფს 16 სვლას (ე.წ. ზღურბლებს ანუ ეპიზოდებს) : 1. შობა, 2. გადაგდება, 3. ნათლობა/ რძეში განბანვა, 4. ბობოქარი ბავშობა, 5. დევებთან ბრძოლა, 6. უკანასკნელი დევი და ცამცუმის კოშკი, 7. შთანთქმა- ამონთხევა, 8. იგრი ბატონის წყალი, 9. ყამარი, 10. ამბრი არაბი, 11. ძალის განახლება, 12. გაბუდაყება, 13. უფლის გამოწვევა, 14. მიჯაჭვა, 15. მიჯაჭვული ამირანი, 16. გათავისუფლების ამაო მცდელობა (კიკნაძე 2001).

ამირან-პრომეთე. ჩვენი დაკვირვებით, ამირან-პრომეთეს შესახებ თქმულებათა ვარიანტებში ყველაზე ხშირად შემდეგი სვლები მეორდება: 1. *შობა.* ამირანის მისტიკური წარმომავლობა და დაბადება, ხშირად მისი დედა ნადირთ მფარველი ქალღმერთია, მზეთუნახავი, ღვთის ცოლი ან სხვა უჩვეულო ქმნილებაა, მამა კი— მონადირე დარეჯანი ან როსტომი, თუმცა, დარეჯანად ზოგ ვერსიაში დედაც მოიხსენიება. ზოგჯერ მშობლები ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან, რომელთაც სასწაულებრივად შეეძინებათ შვილი. აფხაზურ ვარიანტში აბრსკილის შესახებ კი ჩასახვა უბიწო გზით ხდება (ანთელავა 2017: 191). 2. *გადაგდება.* ხანდახან ჩვილი ამირანი ღვთის ანაბარაა მიტოვებული გზაჯვარედინზე, სადაც მას პოულობენ ღმერთი ან ღვთის ანგელოზები. 3. *ნათლობა.* ამირანი თქმულებათა ბევრ ვარიანტში ღვთის ნათლულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ მას დაუჯერებელი ფიზიკური ძალა აქვს. თუმცა, ეს ძალა გაბუდაყების მიზეზი ხდება. ეს არის საბედისწერო ნიშან-თვისება ამირან-პრომეთესა. ამირან-პრომეთეს შესახებ თქმულებები არ მოგვითხრობს მის საგმირო საქმეებზე ძმებთან ან ძმადნაფიცებთან ერთად, ამიტომ ბევრი შუალედური სვლა „გამოტოვებულია“ ამ სახის თქმულებებში და მოქმედება პირდაპირ გადაინაცვლებს გარდაცვლილი ამბრისგან დამარცხების, ძალის მომატებისა და გაბუდაყების სვლებზე: 10. *ამბრი არაბი,* 11. *ძალის განახლება,* 12. *გაბუდაყება,* 13. *უფლის გამოწვევა,* 14. *მიჯაჭვა,* 15. *მიჯაჭვული ამირანი,* 16. *გათავისუფლების ამაო მცდელობა.* ამირან-პრომეთეს შესახებ თქმულების ზოგიერთ ვარიანტში თხრობა იწყება ამირანის ბავშვობით, ზოგან კი უკვე გმირი მიჯაჭვულია და მას შემთხვევით პოულობს მწყემსი ან მონადირე.

ამირან- რაინდი. ე.წ. ამირან- რაინდის შესახებ თქმულებებშიც ასევე გვხვდება: 1. *დაბადება.* უჩვეულო წარმომავლობის: დალისა და მონადირის, ეშვებიანი ქალისა და მონადირის თანაყოფის შედეგად ამირანის მოვლინება. 2. *გადაგდება.* ეს მოტივიც აქაც გვხვდება, თუმცა, უფრო იშვიათად. 3. *ნათლობა.* გავრცელებული მოტივია ასევე ამირანის ღვთის ნათლულობა. 4. *ბობოქარი ბავშვობა,* რომელიც ღვთისგან აქვს დანათლებული. 5. *დევებთან ბრძოლა.* დევებთან ბრძოლა და სარაინდო- საფალავნო საქმენი, რომელთაც ამირანი ძმებთან, ძმობილებთან ან ბიძებთან ერთად ასრულებს, ამ ტიპის თქმულებებში საკვანძო ეპიზოდია. ასევე მსგავსი მოტივია: 6. *უკანასკნელი დევი და ცამცუმის კოშკი.* ცამცუმის კოშკში მისვლა ძმების, ძმობილების მიერ ასევე ახალი საფალავნო თავგადასავლების დასაწყისია. 7. *შთანთქმა- ამონთხევა.* შემდეგი გავრცელებული ეპიზოდია ერთერთი დევის ან გველეშაპის მიერ ამირანის შთანთქმა, რაც მის ხელახალ დაბადებას განასახიერებს. 9. *ყამარი.* ქალის მოტაცება ამირან- რაინდის შესახებ თქმულებების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია. ეს ქალი ხშირად ყამარად მოიხსენიება, ან თამარად, ხანაც უბრალოდ მზეთუნახავად, შავი ზღვის ხელმწიფის ასულად, ნათლიაანთ კაკლოცაის ასულად და სხვ. ამ ეპიზოდის შემდეგ ის სვლები უკვე აღარაა საკმარისი, რომელთაც ზ. კიკნაძე გვთავაზობს. ყამარის/თამარის მოტაცებიდან უკვე იწყება მხოლოდ ამირანის საფალავნო თქმულებებისთვის დამახასიათებელი სვლები. *სიკვდილი და გაცოცხლება.* ამირანი კვდება დევთან, გველეშაპთან ბრძოლაში, მაგრამ მას სასწაულმოქმედი ბალახით აცოცხლებს მზეთუნახავი. ზოგ ვარიანტში იღუპებიან ბადრი და უსუფი, რომელთაც აცოცხლებენ ასევე ბალახით, ან მზეთუნახავის პირის ნაბანით. *ქორწილი.* ამირანის შესახებ სა-

ფალავნო ეპოსის თქმულებების დამაგვირგვინებელი ეპიზოდია ქორწილი/ნადიმი, ანუ ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების ზეიმი.

ამირან- პრომეთე და ამირან- რაინდი. ასევე შეგვხვდა რამდენიმე ვერსია (მათ შორის ფშავური), რომელშიც ეს ორი სახე— ამირან- რაინდისა და ამირან- პრომეთესი— შერწყმულია. ამდენად, შერწყმულია თითოეულისთვის დამახასიათებელი სვლებიც და ამიტომ ეს ვარიანტები უფრო ვრცელია მოცულობაში. ამ ვარიანტებში თითქმის ყველა სვლა შედის: 1.შობა, 2. გადაგდება, 3. ნათლობა, 4. ბობოქარი ბავშვობა, 5. დევებთან ბრძოლა, 6. უკანასკნელი დევი და ცამცუმის კოშკი, 7. შთანთქმა- ამონთხევა, 9. ყამარი, 10. ამბრი არაბი, 11. ძალის მომატება, 12. გაბუდაყება, 13. უფლის გამოწვევა, 14. მიჯაჭვა, 15. მიჯაჭვული ამირანი, 16. გათავისუფლების ამაო მცდელობა.

რა ფესვები აქვს ამირანის მითს და როდინდელია მისი ფიგურა? ჩვეულებრივ, როგორც ა. გრენი თავის სტატიაში ამბობს, ამირანი კავკასიელ პრომეთედ მიიჩნეოდა. ა. გრენი ასევე იხსენებს, რომ პრომეთეს სახე მრავალ სხვა ხალხთა მითოსშია ცნობილი (გრენი 1895: 39). ამასვე ამბობს ვს. მილერი, რომ კავკასიის სხვადასხვა მხარეში დღესაც დადის გადმოცემები რაინდზე, ანდაც გოლიათზე, ღვთის მიერ კლდეზე მიჯაჭვულზე. ბერძნებს, შესაძლოა, ეს თქმულებები გაეგონათ და ამ გოლიათში თავიანთი პრომეთე დაენახათ (მილერი 1893: 115). ასე მოხდა პრომეთესა და ამირანის გაიგივება. თუმცა, ამირანი, თავისმხრივ, ამ მიჯაჭვულ გოლიათთან გაიგივდა, რომელსაც ადრე სხვა სახელი ერქვა (გრენი 1895: 40). ა. გრენი არ გამორიცხავს, რომ პრომეთეს მითი საბერძნეთში კავკასიიდან იყოს გადატანილი/ გავრცელებული, თუმცა ვს. მილერი ამას არ მიიჩნევს დასაშვებად (მილერი 1883: 114).

შ. ნუცუბიძე თვლის, რომ ამირანის მითი ქართული იყო და ის აქედან არამარტო კავკასიის არეალში გავრცელდა, არამედ— საბერძნეთშიც (ნუცუბიძე 1945). შ. ნუცუბიძე ასევე მიიჩნევდა, რომ „ბერძნულმა მითოლოგიამ გააუბრალოვა სახეები და ის {პრომეთეს მითი} ნასესხების შთაბეჭდილებას ტოვებს“ (ნუცუბიძე 1945). ამდენად, აკად. ნუცუბიძის აზრით, ამირანის მითი პრომეთეს მითის წინამორბედია, ხოლო თვით ამირანის მითის წინაპრად კი მკვლევარი „გილგამეშიანს“თვლიდა (ნუცუბიძე 1945).

მ. ჩიქოვანის აზრით კი: „V საუკუნეში ჩვ. წ.- მდე საბერძნეთში არსებობდა ცნობა კავკასიონის მთას მიჯაჭვული გმირის შესახებ. როგორც სხვა მწერლებისგან ვგებულობთ, კავკასიაში პრომეთეს ორეულიც არსებობდა და მას ქართველები ამირანს უწოდებნდნენ“ (ჩიქოვანი 1947: 126).

რაც შეეხება ისტორიულ ცნობებს, ი. ჯავახიშვილი გვაწვდის ცნობას ვინმე ფილოსოფოსი არიანეს შესახებ, რომელმაც ქრ. შ.- მდე 134 წელს შავი ზღვის შემოგარენში იმოგზაურა და კეისარ ადრიანეს მოხსენება წარუდგინა: „კავკასიონის ერთი მწვერვალი გვიჩვენეს, სტრობილს ეძახიან სახელად, რომელზედაც თქმულებისამებრ, დიოსის ბრძანებით ჰეფესტოსის მიერ მიჯაჭვული იყო პრომეთეოსი (ჯავახიშვილი 2014: 454). ასევე მეორე ცნობა გვეუბნება: „მეორე ბერძენი მწერალი ფილოსტრატე ქრ.შ.-მდე მე-3 საუკუნე, ამტკიცებს, რომ კავკასიონის მთის შესახებ ადგილობრივ მკვიდრთ იმნაირივე თქმულებები აქვთ, რანაირიც ელინთა მგოსნებსო, რომ პრომეთეოსი მისი კაცთმოყვარეობის გამო მთაზე არის მიჯაჭვული“ (ჯავახიშვილი 2014: 455). ეს ორივე მოწმობა, მეცნიერის აზრით, ამტკი-

ცებს იმას, რომ თქმულება კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გმირის შესახებ საქართველოში უკვე არსებობდა ქრისტიანობამდე, წარმართობის დროს (ჯავახიშვილი 2014: 455).

რაც შეეხება ამირანისა და პრომეთეს ტიპოლოგიურ მსგავსებებს ი. ჯავახიშვილი ორ მოტივში ხედავს მათ შორის საერთოს, კამარ- ქეთუს მოტაცებასა, რომელიც, მისი აზრით, ზეციურ ცეცხლს განასახიერებს, და მიჯაჭვაში. ზ. კიკნაძე კი მხოლოდ მიჯაჭვაში ხედავს მათ შორის მსგავსებას, მიჯაჭვის ადგილად კავკასიონის დასახელება კი კიდევ უფრო მეტ საცდურს იძლევა მათი სახეების დაახლოებისათვისო (კიკნაძე 2001).

ამგვარად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამირანი და პრომეთე ერთი მეორისაგან წარმოშობილი სახეებია. ჩვენი აზრით, ამირანი და პრომეთე დამოუკიდებლად სხვადასხვა ხალხის წიაღში გაჩენილი სახეებია, რომელთა გაიგივება მიჯაჭვის (კავკასიონზე მიჯაჭვის) მოტივის გამო მოხდა. როგორც უკვე ზევით ვნახეთ, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულები მათი სახეების გაიგივებისათვის.

დავუბრუნდეთ ამირანში ორი სახის— პრომეთესა და რაინდის— გაერთიანების საკითხს. როდის შეერწყა პრომეთეს მითი ამირანის მითს?— სვამს შეკითხვას ა. გრენი. მისი დაკვირვებით, მე-13 საუკუნეში, როდესაც რაინდი-ამირანის სახე სრულად ჩამოყალიბდა, ვერ ვხედავთ იმ მოტივს, რომ იგი კლდესაა მიჯაჭვული. ასევე „ლეილი და მეჯნუნშიც“ ამირანი მეფე-მონადირეა და არა პრომეთე, ასევე „ამირანდარეჯანიანში“[16] იგი ბაღდადელი რაინდია (გრენი 1895: 40).

საბოლოოდ, გრენი ასკვნის, რომ მონღოლობის დროს ამირანი და პრომეთე განცალკევებულად იდგნენ. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, არსებობდა, მაგრამ სხვა სახელს ატარებდა. მოგვიანებით დარეჯანების (მითიური მჭედლების) ეპოსის გადავიწყებასთან ერთად კი ამირანის სახე კავკასიელ პრომეთესას შეერწყა (გრენი 1895: 40).

ამრიგად, ჩვენი აზრით, ამირანის ეს ორი სახე ტიპოლოგიურად განსხვავებული პერსონაჟებისაა, უბრალოდ ისინი ერთი სახელის— ყველაზე პოლუპარული გმირის, ამირანის — ქვეშ მოექცა[17]. პირველი მათგანი, ე.წ. ამირან-პრომეთე, კლდეზე მიჯაჭვული გოლიათია, რომლის შესახებ თქმულებები კავკასიაში ოდითგანვე არსებობდა. ამასთანავე ის უფრო მითოსურ ფიგურას მოგვაგონებს ღმერთთან დაპირისპირების გამო. მეორე მათგანი კი, ამირან-რაინდი, ზღაპრის გმირია, რომელიც მრავალ თავგადასავალში ეხვევა და საბოლოოდ ბედნიერად ასრულებს მათ. დროდადრო ეს ორი ნარატივი მოტივებით დაუახლოვდა ერთმანეთს, პერსონაჟის სახელებიც ერთი სახელის ქვეშ გაერთიანდა და ასე მივიღეთ ამირანის ორი სახე: ასე ვთქვათ, მითოსური— როდესაც ის ღვთის წინააღმდეგ მებრძოლია და მიჯაჭვული რჩება, და ზღაპრული— როდესაც ის ჯადოსნური ზღაპრის გმირია. ასევე მათი შერწყმის შემდეგ გაჩნდა სინთეზური ვერსიები ამ

16. შ. ნუცუბიძე მიიჩნევდა, რომ „ამირანიანის“ ძეგლთან ყველაზე ახლოს მყოფი რესტავრაცია სწორედ მოსე ხონელს ეკუთვნის, რომელიც „ამირანდარეჯანიანის“ შექმნას უძღოდა წინ (ნუცუბიძე 1945: //XVI).

17. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამავე დაშვებას აკეთებდა გრენიც: „ამირანი, თავისმხრივ, ამ მიჯაჭვულ გოლიათთან გაიგივდა, რომელსაც ადრე სხვა სახელი ერქვა“ (გრენი 1895: 40).

თქმულებებისა, სადაც ამირანი ქორწილსაც გადაიხდის და შემდეგ მიაჯაჭვავენ კიდეც.

ამგვარად, აღნიშნულ სტატიაში შევეცადეთ, წარმოგვეჩინა ა. გრენის ჰიპოთეზა ამირანის ორსახოვნების შესახებ, მიმოგვეხილა მისი ზოგადი ასპექტები და შეძლებისდაგვარად გამოგვეკვეთა სამომავლოდ საკვლევი საკითხები.

დამოწმებანი:

ანთელავა 2017: ანთელავა ნ., *კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები*, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2017.

გრენი 1895: გრენი ა., Грень, А., *Грузинская Повесть об Амиране, Сыне дареджана, и Остатки Сказаний о нём в Картельской Народной Литературе*, ჟურნალში *Журнал Министерства Народного Просвешения,* 1895, ნაწილი 298, გვ. 1- 40.

კიკნაძე 2001: კინკაძე ზ., *ქართული ხალხური ეპოსი,* გამომცემლობა ლოგოსპრესი, თბილისი, 2001.

მილერი 1883: მილერი ვს., Миллер Вс., *Кавказские Сказания о Великанах Прикованныж к Кскале*, ჟურნალში Журнал Министерства Народного Просвешения, 1883, ნაწილი 225, გვ. 100- 116.

ნუცუბიძე 1945: ნუცუბიძე, შ., *ამირანი: მითოლოგიური პოემა,* საბჭოთა მწერალის გამომცემლობა, თბილისი, 1945.

პროპი 1984: პროპი ვლ., *ზღაპრის მორფოლოგია,* გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1984.

ჩიქოვანი 1947: ჩიქოვანი მ., *მიჯაჭვული ამირანი,* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1947.

ჯავახიშვილი 2014: ჯავახიშვილი ი., *ამირანი (უძველესი სარწმუნოებრივი თქმულებები),* „საბას“ წიგნები, 2014.

Kristine Tsirekidze

Two images of Amirani

(Resume)

The aim of this article is to reexamine the hypothesis of A. Grenn, that Georgian folktale character Amirani is a bifacial character. In one part of the stories about Amirani, he is a knight and in another one he is Caucasian Prometheus, further in this article called Amiran-knight and Amiran-Prometheus.

Our research is based on the materials revealed during our project and the folktales gathered in M. Chikovani's book "Prometheus Bound". Our research aims to expose characteristics of each image of Amirani, to find answers to the questions: what are the characteristics of Amiran-Prometheus and Amiran-knight? And when were these two images drifted apart from each other?

First of all, who is Amiran-Prometheus and who is Amiran-knight? Amiran-Prometheus is a character who resembles to the Prometheus with the motifs of enchainment and suffering. Amiran-knight is a character who is involved in different adventures together with his stepbrothers, uncles or friends. The final fate of Amiran-Prometheus is to be enchained and suffered, as for Amiran- knight it is happy ending.

We broke the folktales into the moves, as suggests V. Propp. We used the moves of Amiranian epos elaborated by Z. Kiknadze. As the observation shows, certain moves are specific for Amiran- Knight stories, and others for Amiran-Prometheus. For example, the moves 10th Ambri the Arab, 11th Renewal of Force, 12th Hubris, 13th Confronting with God, 14th Enchainment, 15th Amirani Bound and 16th Futile Attempt of Unchainment- are specific for Amiran-Prometheus stories. As for Amiran-knight stories, we do not see the moves of Enchainment, or Confronting with God or etc. Also the suggested moves are not enough for the last mentioned stories. Here must be added the moves of Resurrection and Wedding. Amiran-knight stories mostly end with Wedding, that

symbolizes defeat of the evil by the good. Moreover, there are synthetic versions of Amiran-knight and Amiran-Prometheus stories. They are much larger in the volume, as they include all the upper mentioned moves.

When were these two images of Amirani drifted apart? As A. Grenn concludes in Mongolian times, we can not see the motif of enchainment in Amiranian stories. The researcher cites “Layla and Majnun” and “Amirandarejaniani”, where Amirani is a king or a knight. So he concludes, that by that time these two images were apart from each other. He believes, that Amiran- Prometheus had different name in old times. After the Darejanians’ epos was buried in oblivion, this image of Amirani was stick together with the image of Caucasian Prometheus.

To sum up, we think that these two images are typically of different characters and they were simply united under one popular name of Amirani. First one again is so called Amiran- Prometheus, a giant bound to Caucasus. And the second one Amiran- knight, who reminds us more of fairy- tale character, who is involved in different adventures and ends his quests happily.

ანოტაციები

ქართული ზეპირსიტყვიერება და ეთნოლოგია

K, 1900, 3, ექსკურსია მთებში შავიზღვისპირეთით

რამდენიმე ნომერი ეთმობა იმ ექსპედიციის აღწერას, რომლის შენადგენლობაშიც იყვნენ პროფესორი პასტერნაცკი, ვოეიკოვი და ინჟინერი სერგეევი. წერილი სამოგზაურო ჩანაწერების ხასიათისაა. ექსპედიციის მონაწილეთა ინტერესის საგანს წარმოადგენდა აფხაზეთის მხარის შესწავლა ბალნეოლოგიური და კლიმატოლოგიური კუთხით.

K, 1900. 13. გვ. 2. Quidam, კავკასიური ჩანაწერები

თიონეთიდან ივრის მარცხენა შენაკადთან სოფელ ჯაბლევში არის ახადის მთა, რომლიდანაც მოჩანს ფშავი, სადაც ივნისში ლაშარის-ჯვრის დღესასწაულზე შეხვდებოდით ფშავლებს, თუშებს, ხევსურებს, ქისტებს, თელაველ წვრილმოვაჭრე სომხებს. წერილში აღწერილია, როგორ ელოდება ხალხი დეკანოზს და მედროშეს, განსაკუთრებით ქალები ჩვილი ავადმყოფი ბავშვებით, რათა მან აცხოს შუბლზე სამსხვერპლო ცხოველის სისხლი. ასევე საინტერესოა, როგორ წყვეტს ადგილობრივ მოდავეებს შორის სამართალს უხუცესი. მისი განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა და ზეიმი გვიანობამდე გრძელდებოდა.

K, 1900, 33, გვ. 2, ე. ბარანოვი, წმინდა გიორგი და სამი ძმა, ოსური ზღაპარი

წმინდა გიორგი, უფლის დავალებით, ჩამოვიდა დედამიწაზე. ოსებს ბალაგანი ჰქონდათ გაშლილი. სამი ღარიბი ძმის გარდა, არცერთმა არ მიიპატიჟა წმინდანი თავის სუფრაზე. ძმებს არაფერი ჰქონდათ ხმიადის და წყლის მეტი, მაგრამ როცა გაუმასპინძლდნენ წმინდა გიორგის, მათი საგზალი შეივსო და გამრავალფეროვნდა. ძმებს წმინდა გიორგი სურვილების ასრულებას შეპირდა. პირველ ძმას მისცა პურის ყანა, მეორეს – ცხვრის ფარა, მესამეს კი ცოლი უნდოდა, რადგან მისმა ბიძებმა ასე ურჩიეს. წმინდა გიორგიმ ავსათის ვაჟიშვილის ქორწილიდან თითქმის გათხოვილი ქალი უბოძა მესამე ძმას. ერთი წლის შემდეგ ისევ ჩამოვიდა წმინდანი დედამიწაზე. პირველი ძმაც და მეორეც ძუნწები გამხდარიყვნენ და აღარ შეიპატიჟეს ღარიბულად გამოწყობილი წმინდა გიორგი. ამ დროს მესამე ძმა არ იყო შინ, მისმა ცოლმა კი კეთილი მასპინძლობა გაუწია მოსულს, თუმცა ჩვილი ახალი გარდაცვლილი ჰყავდა. წმინდა გიორგიმ დაუფასა ეს ქალს და სიკვდილს ბავშვის სული გამოსტაცა, რომელიც თეთრ ცხვარში იყო ჩაბუდებული.

K, 1900, 95, პ. სე-ნოვი, აღდგომა კავკასიაში, ეთნოგრაფიული ჩანაწერი

წერილში მიმოხილულია ის გავრცელებული ადათები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც გავრცელებული იყო საქართველოში და ადგილობრივ სომხებში: დაწყებული ვნების კვირის ოთხშაბათს აღნიშნული ჭიაკოკონათი და დამთავრებული ბრწყინვალე კვირეულის სამშაბათს თბილისში, ავლაბარში გამართული ჯოჯოობით. საინტერესოა ისიც, რომ ავტორი აქ აღწერს, როგორ აღნიშნავდნენ ქართველები თბილისში ნუშობას - გაზაფხულის შემობრძანებას.

К, 1900, 168, ბ. ტ. ალავერდი, კახური თქმულება

სანამ თქმულების გადმოცემას დაიწყებს, ავტორი აღნიშნავს, რომ მასში უამრავი უზუსტობა და ანაქრონიზმია, მაგრამ მაინც საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის. ალავერდი წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. მაგრამ ის დაცარიელებულია და ხალხი მხოლოდ შემოდგომობით იკრიბება არა მარტო მიმდებარე სოფლებიდან, არამედ აქ მოდიან რუსებიც და ქისტებიც. ოდესღაც თელავში სასახლის წინ იჯდა დედოფალი და სანადიროდ წასულ მეფეს ელოდებოდა. ამ დროს სასახლის კარებთან გაჩერდა მათხოვარი ილიკო, რომელმაც ჩაიმუხლა და თქვა: „შაჰ აბასი დაიბადა“. ამ დროს ცამ დაიგრგვინა, რასაც საშინელი მიწისძვრა მოჰყვა და ყველაფერი დაანგრია. ბერი დოდო მაინც დარჩა წმინდა გიორგის მონასტრის ნანგრევებში და დღედაღამ ლოცულობდა. როდესაც შაჰმა დაიპყრო კახეთი და ქართლის ნაწილი, მასთან მეფემ გაგზავნა თავადი შიო ძღვენით. შაჰს მოეწონა ვაშლი და კურკები მიწაში ჩაფლა და ასე თქვა: სანამ აქედან გაზრდილი ხე ნაყოფს არ მოისხამს, არ გავალ საქართველოდანო. უნუგეშოდ დარჩენილმა შიომ შაჰის კახეთიდან გაძევების გეგმა თავის ცოლს, ხორეშანს, გაანდო. ამ გეგმის მიხედვით, ხორეშანი ივდითივით ალავერდი ხანისთვის უნდა მიერთმიათ. ქალს კი უნდა მიემხრო ხანი, ეღალატა შაჰისთვის. მიუხედავად იისა, რომ ალავერდი ხანი დაპირდა ქალს სიყვარულის სანაცვლოდ ღალატს, მან პირობა არ შეასრულა. ხორეშანმა გადაწყვიტა მისი მოკვლა, მაგრამ ღამით მას ვიღაც გამოეცხადა, რომელმაც სთხოვა, რათა ხანს არ მოეკლა ალავერდი ხანი, რადგან ხანს სხვა მისია ჰქონდა დაკისრებული ღმერთისგან: დოდოს ლოცვით მას ხელი გაუჩერდა და, იმავე დოდოს წყალობით, ხელმა ფუნქცია დაიბრუნა, როდესაც ალავერდი ხანმა შაჰის წინააღმდეგ ქართველთა სასარგებლოდ ფიცი დადო. მართლაც, ბრძოლისას დაიღუპა შიოც და ალავერდი ხანიც, ხორეშანი კი მამაკაცივით გადაცმული ვაჟკაცურად იბრძოდა. წმინდა გიორგის მონასტერს ალავერდი ხანის სახელი უწოდა ხალხმა.

К, 1900, 198, კავკასიელი, საგაზაფხულო დღესასწაულები ოსებში (ეთნოგრაფიული ნარკვევი)

წერილში ავტორი აღწერს ოთხ დღესასწაულს. ესენია: ალარდი, ზარდავარანი, კარდაგხასანი, კახცგანანი. საინტერესოა მოსაზრება, რომელსაც ავტორი ავითარებს იმის შესახებ, რომ ამ დღესასაწულთა ნაწილი ქრისტიანულია და ისინი კონკრეტულ ქრისტიანულ თარიღს ემთხვევა. ამ დღესასწაულთაგან ერთი ბიჭების დღეა და მას ბიჭები, კაცების მეთვალყურეობით, ცალკე აღნიშნავენ. წერილი ასევე მოგვითხრობს, თუ როგორ ემზადებიან წმინდა დღეებისთვის მოსახლეობაში, რა როლი აქვთ მასში ქალებსა და მამაკაცებს, ასევე – საკლავის მომზადების წესებს.

К, 1900, 217-230, 12 დღე თუშეთში, ხევსურეთსა და ფშავში

სამოგზაურო ჩანაწერები, რომლებიც დეტალურად აღწერს მოგზაურობას საქართველოს მთიან მხარეში, რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი და გადანაწილებულია რამდენიმე საგაზეთო ნომერში. ტექსტი ძირითადად ადგილობრივ სოფლებს, გეოგრაფიულ მდებარეობას და ზოგიერთ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ღირსშესანიშნაობაზე მოუთხრობს მკითხველს.

K, 1900. 311. გვ. 3, ნელ, ჯაიანის ციხე, ლეგენდა

სამეგრელოს თავადს ბოშამ უწინასწარმეტყველა, რომ მისი ერთადერთი ასული მარგო ქორინების დღეს მოკვდებოდა. ამიტომაც განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა მამა ქალიშვილს და ყველა სასიძოს იწუნებდა. ერთხელაც აფხაზი თავადი როსტომი უჩუმრად მოელაპარაკა მღვდელს და ახალგაზრდებმა ჩუმად დაიწერეს ჯვარი საყდარში. ჯაიანი სანადიროდ იყო წასული. როსტომმა ღამე ცოლთან ერთად გაატარა, მას თან არ ჰქონია იარაღი. თურმე იმ ღამით თურქები შემოიპარნენ და ამოხოცეს მეგრელები. როსტომი და მისი ახლდაშწერთული ცოლი კი ციხე-სიმაგიდან რიონის შენაკად მდინარე ცივში გადახტნენ. იმ ციხეს ახლაც ჯაიანის ციხეს ეძახიან.

K, 1900, 331, გვ.3, გ. დოროფეევი, გოლიათი და დარეჰანები (ოსური თქმულება)

ერთხელ ნართებმა ვეებერთელა ქვა იპოვეს, რომელიც მზეზე დებისგან და დროისგან გამომშრალიყო. მათ შესთხოვეს ღმერთების ღმერთს, გაეცოცხლებინათ ის, ვისი ძვალიც იყო ეს. შეისმინა ღმერთმა და დარეჰნების წინაშე წამოიმართა ვეებერთელა არსება. თურმე ოდესღაც ისინი ბინადრობდნენ დედამიწაზე და მიწით იკვებებოდნენ. მას გაასინჯეს პური, ყველის ნაცვლად ლოდი მისცეს, რომელიც დაფშვნა და არ მოეწონა, უკმაყოფილო დარჩა თანამედროვეობით, ამიტომ უკანვე გაბრუნდა.

K, 1900, 336-337, გვ. 3, ი, მოისეევი, ფელეტონი - სვანეთი და სვანები (ნარკვევი)

წერილი ავტორი ავითარებს საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რატომ ჩნდება სხვადასხვა დაავადება პერიოდულად სვანეთში და რომ ამას უკავშირებს უსუფთაობას. მისი სიტყვით, გარედან სახლები საკმაოდ სუფთად და შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ შიგნით შესვლა წარმოუდგენელია, ვინაიდან საქონელი და ადამიანები ერთად ცხოვრობენ. აქ სარეცხს არ რეცხავენ და იქამდე აცვიათ, სანამ არ შემოეხევათ ტანზე. წერილის მეორე ნაწილში ასეთი ამბავია მოთხრობილი: სვანები არასოდეს აღებენ ერთ-ერთი ეკლესიის კარს, არავის უშვებენ შიგნით, რადგან სჯერათ, რომ მეტეოროლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს. რომელიღაც ეპისკოპოსს როგორღაც დაურწმუნებია ხალხი და მას გაუღეს კარი. მაშინ გადასარევი ამინდი იყო, ცაზე ერთი ღრუბლის ფთილაც არ ჩანდა, მაგრამ სვანები მაინც შეშინებულები იდგნენ პარმაღს იქით. თხუთმეტ წუთში, მართლაც, წარმოუდგენელი რამ მოხდა, აირია ამინდი, ამოვარდა ქარიშხალი, დასცხო სეტყვამ და ამან კიდევ უფრო გაამყარა სვანების ცრურწმენა. საინტერესოა, რომ თურმე სვანები, როდესაც გზაზე, რომელიც საცალფეხო ბილიკს უფრო წააგავდა, მიდიოდნენ, როცა შემხვედრს დაინახავდნენ, გზა უნდა დაეთმო მას, ვის მარჯვენა მხარესაც უფსკრული იყო, ე.ი. უნდა გადაჩეხილიყო. ერთი გადმოცემის მიხედვით, პატარა გოგონას შემოხვდა დათვი და დათვმა სტაცა ხელი გოგონას, რომ არ გადაჩეხილიყო და გზის მეორე მხარეს გადმოიყვანა. ასევე წერილი განმარტავს, თუ რატომაა ასე გავრცელებული სვანებში ჩიყვი.

К, 1900, 342, საშობაო ზღაპარი (გურული), კავკაზსკი

ზამთრის ღამეს ერთ ოჯახში დაიბადა მესამე ვაჟი, რომელსაც ნიკო დაარქვეს. მამამისმა, ბუხარს შეუკეთა ოთახის გასათბობად, მაგრამ, როდესაც ქარბუქმა საკვამურიდან კვამლი შემოაბრუნა. კაცმა დაიძახა: – ეშმაკსაც წაუღია. ამის თქმა და ოთახში ეშმაკი და პატარა ეშმაკუნები გაჩნდნენ და ნიკოს დაანათლეს ცუდი თვისებები. ნიკო ტიროდა, მამამისმა კი ლოცვა დაიწყო და ეშმაკები გარეთ გაცვივდნენ. ამ დროს ანგელოზმა დაანათლა ნიკოს, რომ ის ყველას ყვარებოდა, მაგრამ ეშმაკმაი, რომელიც საწოლის ქვეშ შეყუჟულიყო, ამოსძახა: – თავისნაირებსო, ანუ ეშმაკის წყევლის თანახმად, ნიკო მხოლოდ თავისნაირ ცუდ ადამიანებს უნდა ჰყვარებოდათ.

К, 1901, 1, გვ. 6, ო. ნეჟდანოვი, *ახალი წელი კავკასიაში*

წერილი ძალიან მოკლედ მიმოიხილავს ახალი წლის აღნიშვნის წესებს კავკასიაში, კერძოდ: ქართველებში (გურულებში, სვანებში), სომხებში, ოსებში, ქისტებში. საინტერესოა, რომ წერილი აღწერს სომხებში გავრცელებულ ტრადიციას, ახალი წლის ღამეს არტაშეს და არტავაზდის მოსაგონრად ოქრომჭედლმა გრდემლზე სამჯერ უნდა დაარტყას ურო. ავტორი ჰყვება ლეგენდას, რომელიც, მისი აზრით, წააგავს ამირანის მითს. საინტერესოა თბილისელი ამქრების მიერ ახალ წელს ვაშლის მირთმევის წესი. თურმე ქართველი თავადები ძველად მეფეს მიართმევდნენ ტყვიას, როგორც მტერზე ძლევის სიმბოლოს. წერილში ნახსენებია: გოზინაყი, ტაბლა, სომხური ხონჩა და სხვა.

К, 1901, 44, გ. ჩ-ინი, მოცეკვავე კაცობრიობა

წერილის ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში როგორ გადაიზარდა რელიგიური რიტუალი ცეკვაში. წერილში ის რამდენიმე წინადადებით შეეხება ქართველთა წეს-ჩვეულებებსაც, რომელთა შორის საყურადღებოა, რომ ავადმყოფის სასთუმალთან ცეკვა ავადმყოფობის გამომწვევი ღმერთების გულის მოსალმობიერებლად იმართებოდა.

К, 1901, 80, ო. ნეჟდანოვი, ბზობის დღესასწაული და ვნების კვირა კავკასიაში

წერილი აღწერს სომხების და ქართველების წეს-ჩვეულებებს ბზობის დღესასწაულზე და ვნების კვირაში, კერძოდ, ქართველების ჭონას და სომხების დრნაბაცეკს. ჭონაზე ქართველები აგროვებენ კვერცხებს, ხოლო დრნაბაცეკი უშვილო ქალებისთვის და ბიჭებისთვისაა განკუთვნილი. წერილი საინტერესოა იმითაც, რომ ყვება ადგილობრივების წესებს, რომლებიც ქართულ ამირანს და მის სომხურ ანალოგს უკავშირდება.

К, 1901, 97, გ. ჩ-ინი, მიცვალებულთა კულტი კავკასიაში

წერილის ავტორი ირონიულად ჰყვება იმის თაობაზე, რომ ინგილოები, ოსები, სვანები, თუშები, იმერლები და ჩეჩნები იმდენად ზრუნავენ თავიანთ გარდაცვლილებზე, რომ ხშირად თვითონ რჩებიან მშივრები – ოღონდ ისინი იყვნენ მაძღრები და არ ციოდეთ. ამ ირონიის მიღმა საკმაოდ საინტერესო ინფორმაციაც გვხვდება, კერძოდ, უშვილო სვანები სიცოცხლეშივე მართავენ თავიანთი სულის მოსახსენიებელ რიტუალს, ისევე როგორც ღრმად მოხუცებულის სიცოცხლეშივე მოიხსენიებენ ცოცხალს, რათა მერე არ დაავიწყდეთ.

K, 1901, 134, ე.კ. კავკასიური თქმულებები და ლეგენდები: თემურ ლენგი

პატარა თემირი მწყემსი იყო. ერთხელ მის ფარას კურდღელი შეერია, ბავშვმა ვერ განასხვავა ცხვრისგან, ბატკანი ეგონა და საღამოს მორეკა ფარეხში. ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე. როცა მამამისმა ნახა, რომ შვილი ასეთი სწრაფი იყო და კურდღელს, როგორც ბატკანს, ისე დასდევდა, რათა ფარეხში დაებრუნებინა, მიხვდა, რომ მისგან დიდი მთავარსარდალი დადგებოდა და ფეხის მყესი გადაუჭრა. ამის შემდეგ ეწოდა მას თემურ ლენგი. თქმულება გადმოგვცემს მის ლაშქრობაზე ჩინეთსა და კავკასიაში, კერძოდ, სასწაულზე, რომელიც მას გოგჩის ტბასთან შეემთხვა.

K, 1901, 173, რკინის კულტი კავკასიაში, გ.ჩ-ინი

წერილში აღწერილია ის სხვადასხვა ადათ-წესი, რომელსაც გამოიყენებენ რკინასთან მიმართებით ოსები, სომხები, იმერლები, ჩეჩნები, აისორები და სხვა ხალხები, რომლებიც კავკასიაში ცხოვრობენ. ავტორის უკვირს, რომ ქართველებს, განსხვავებით ბერძნებისგან, არ უყვართ მჭედლობის ღმერთი, თუმცა მან დაამარცხა ბოროტი ამირანი, იგივე ირანელების არიმანი. საინტერესოა, რომ კავკასიაში რკინის ლურმსანს აჭედებენ ავადმყოფობის განსადევნად სნეულის საწოლთან, ხეზე კი ტკივილის განსადევნად. მშობიარესთან არავინ შევა რკინის ნივთით, რათა არ გამწარდეს ჩასაფრებული ავსული და არ მოკლას ჩვილი და არ ავნოს მელოგინეს.

K, 1901, 211, ა. კოცოევი, ფიდისი

ფიდისი გესლიანი სიტყვაა და მას შეეწირა მრავალი ვაჟკაცი. ოსების ერთ სოფელში ხუთი წელი იყო გასული, რაც ოჯახს უფროსი ვაჟი მოუკლეს. თაიმურაზს, მოკლულის მამას, მეზობელმა წამოაძახა, რა კაცი შენა ხარ, შური ვერ იძიეო. დაიბარა უმცროსი ვაჟი მამამ და მოსთხოვა სისხლის აღება. მკვლელს ორი ძმა მოუკლა ჩასაფრებულმა შურისმაძიებელმა, მაგრამ თავად მკვლელი ვერ მოკლა, სამაგიეროდ, თვითონ მოკვდა და ასე შეეწირა სამი ვაჟკაცი ფიდისს.

K, 1901, 242, ი. მოისეევი, ლეჩხუმური კალეიდოსკოპი

წერილი რამდენიმე ნომერშია გადანაწილებული. ავტორი დაინტერესებულია მეტწილად ბუნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გაჭირვებული ყოფის აღწერით. თუმცა მკითხველს გადაჭარბებულ წარმოდგენასაც უქმნის მთის ხალხის დაუნდობელ აგრესიულ ხასიათზე და ვინმე ლუარსაბის, რომელიც გამოგონილი სახელია, თავგადასავალს უამბობს. წერილში აღწერილია ქეიფის სიყვარულიც, ვაჭრობაც, რომლებიც ტყუილებთანაა გადაჯაჭვული.

K, 1901, 266, ი. ს. სტუმრად ბეგთან, მოგზაურობის ჩანაწერები წუნდადან და ვარძიიდან

წერილი რამდენიმე ნაწილადაა დაბეჭდილი და აღწერს ავტორის მოგზაურობას სამხრეთ საქართველოში და სტუმრობას დერვიშ-ბეგთან. საინტერესოა, რომ ამ ნომერში, სხვა ნაკლებად საინტერესო ინფორმაციასთან ერთად, მიუხედავად ავტორის სკეპტიკური და ირონიული დამოკიდებულებისა, აღწერილია მონას-

ტერში შენახული თუთიის სათამაშო აკვანი. ამ აკვანს უშვილო ქალები ააგდებდნენ და თუ ის უძრავად ჩამოვარდებოდა, მას შვილი არ მიეცემოდა, ხოლო თუკი ჩამოვარდნის შემდეგ აკვანი დაიწყებდა ქანაობას, ოჯახში შვილი გაჩნდებოდა. წერილში ასევე აღწერილია ჭიდაობა, როგორც სპორტული სანახაობა, რომელიც საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი ავტორს.

K, 1901, 295, ე. კ. ანანურის ათეშგა

სათაურის ქვეშ ქართულადაა მითითებული ფრჩხილებში „საცეცხლე“. წერილი იწყება ხალხური ლექსით:

„ანანურს ციხე მაღალო./ საყდარო გუმბათიანო,/

ქალო და რძალო ლამაზო,/ ვაჟკაცო ლაზათიანო“.

წერილი გვიყვება, რომ ანანურის ციხე მდებარეობს მთაზე, რომელსაც შეუპოვარს უწოდებენ. ციხესთანაა ტაძარი, სახელად მკურნალი, რადგან ის წმინდა პანტელეიმონის სახელობისაა. ავტორი მსჯელობს, თუ როგორ დახვდა გაქრისტიანებულ საქართველოს მაზდეანური მემკვიდრეობა და ტაძრების მშენებლობის კულტურა; ასევე სიტყვა „დასტურის“ შესახებ, რომელიც დღემდე შემორჩენილია მთაში.

K, 1901, 1902, 337, სვეტლანა, კახეთიდან

წერილი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს, თუმცა საინტერესოა იმით, რომ მკითხველს მოუთხრობს ალავერდის შესახებ ლეგენდას. ამ ლეგენდის მიხედვით, ვიღაც დერვიშს უწინასწარმეტყველებია ტაძრის დანგრევა და შაჰ აბასის დაბადება. მართლაც, იმ წელს, როდესაც მიწისძვრამ გაანადგურა ეკლესია, დაიბადა შაჰ აბასი. თურმე შაჰ აბასს უთქვამს, რომ ამ მიწიდან არ წავიდოდა, სანამ მის მიერ ჩათესილი ვაშლის მარცვლებიდან ხე არ გაიზრდებოდა და მოწეული ნაყოფით პირს არ ჩაიტკბარუნებდა. შაჰ აბასს ჰყოლია სარდალი ალავერდი, რომელსაც ნადირობა უყვარდა. ერთხელ აფრენილი შევარდენი ალავერდში დარჩენილი ბერის სამოსში შეფრენილა. სარდალს ბერის მოკვლა უნდოდა, მაგრამ მას ხელი გაუშეშდა. მხოლოდ ბერის ლოცვამ დაუბრინა მის ხელს ძალა, ამის შემდეგ ალავერდი უწოდეს მონასტერს, ხოლო სარდალმა დიდძალი შესაწირი გაიღო. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ თელავი მეჩვიდმეტე საუკუნემდე მხოლოდ ქართველებით ყოფილა დასახლებული, შემდეგ კი სომხებიც გამოჩენილან.

K, 1902, 187-305, ვ. დანოვსკი, ქართული ხალხური ტიპები

სინამდვილეში ესაა მოკლე წერილების სერია, რომლებშიც აღწერილია სხვადასხვა პროფესია, იქნება ეს მხერხავი, მსუდრავი თუ მაჭანკალი.

1902, 223, Sac. Rus. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი საქართველოდან

ვინმე ლაზარევმა სპარსეთში მოგზაურობისას შეიძინა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც შაჰ აბასის მიერ დარბეული საქართველოდან გაიტანეს, ვინაიდან ოქროთი და ვერცხლით იყო შემოსილი. იმ ღამეს იაროსლაველ ვაჭარ ლიტკინს, ვისი წარგზავნილიც იყო ლაზარევი, ესიზმრა, რომ ხატი შეეწირა არხანგელისკის ეპარქიის კრასნოგორის მონასტრისთვის. როდესაც ლაზარევი დაბრუნდა სამ-

შობლოში, ლიტკინს გაახსენდა სიზმარი და სიხარულით გადასცა ხატი ზემოაღნიშნულ მონასტერს. ამ ხატს უამრავი სასწაული, მრევლის განკურნება უკავშირდება.

K, 1903, 1, გვ. 5, მ. ბაბალოვი, *როგორ აღნიშნავენ ახალ წელს გორში*

წერილი გვიამბობს ქართველების, მათ შორის შორაპნელი იმერლების, ასევე: ოსების, ბერძნების, სომხების ახალი წლის აღნიშვნის წესების შესახებ. ავტორის აზრით, ეს წესები ერთმანეთისგან მცირედ განსხვავდება, მაგალითად, თუკი ქართველები ღორის თავს დადებენ სუფრაზე, სომხები შემწვარ კვახს; თუ იმერელი ოქროს ან ვერცხლის მონეტას ჩაიდებს პირში, მთელი წელი ფული რომ არ ელეოდეს, სხვა ბუხარში მოგიზგიზე ნაფოტებს ურტყამს ჯოხს, რათა გადმოცვენილი მუგუზლის რაოდენობა, რაც შეიძლება ბევრი იყოს - ეს პირუტყვის სიმრავლის სიმბოლოა, კვერცხის პირუტყვზე გადატარებაც გამრაცვლებას და ნაყოფიერებას უკავშირდება. საინტერესოა თაფლიანი კოვზის სამჯერ სახლის გარშემო შემოტარების ტრადიცია. ახალი წლის პირველ დღეს „ყეენობა“ აღინიშნება გორში, ეს ავტორისთვისაც უცნაური ტრადიციაა, რადგან დასძენს, რომ სხვა ადგილებში ყეენობა მარხვის პირველ დღეს აღინიშნება.

K, 1903, 42, გ. ჩურსინი, *ყველიერი კავკასიელებთან*

ყველიერი განსაკუთრებულად აღინიშნებოდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. საინტერესოა ყეენობა, რომელიც, მიუხედავად სახელისა, აშკარაა, რომ გაზაფხულის დადგომას მოასწავებდა. წერილში აღწერილია, რა ფორმით აღინიშნებოდა ყეენობა სვანეთში, რომელთაც ჰყავდათ „საქმისა“, ყეენის ცოლების მაცთუნებელი. მინამ ააგებდნენ თოვლის „კოშკს“, რომლის გარშემოც ცეკვა-თამაში იმართებოდა. თამაშის ბოლოს, ავტორის მოსაზრებით, კოშკის დანგრევა ზამთარზე გამარჯვების ტოლფასი უნდა ყოფილიყო. წერილი ყურადღებას უთმობს ჩიტფაფობას და თაგვის გამასპინძლების რიტუალს. ასევე მკითხველს უამბობს ჩრჩილის, ყვავის, ბეღურის, მელიის და მგლის მოსალმობიერებელ, კრიჭის შესაკვრელ წესებზე. ის ადარებს ამ წესებს ოსებში გავრცელებულ თუთიროობას, ანუ წმინდა თევდორესადმი, მგების პატრონისადმი მიძღვნილ წესებს.

K, 1903, 33, ვ. ს. *თქმულება სოლამაზეზე (ქართული ლეგენდა)*

სანამ თხრობას დაიწყებდეს, ავტორ განმარტავს, რომ ეს გადმოცემა იმ სახითაა, როგორიც ფრანგმა მოგზაურმა, არონ დე ბაიმ მოიძია.

ოდესღაც ძველ დროში ცხოვრობდა დედოფალი მაგდანა და მართავდა სამეფოს. მას ჰყავდა შვილი როსტომელა. იზრდებოდა დღითიდღე როსტომელა და მისნაირი ლამაზი ვაჟკაცი ქვეყანაზე არ დადიოდა. შეამჩნია ერთ დღეს დედამ, რომ მოიწყინა ჭაბუკმა, აინტერესებდა, სად იყო მამამისი. როცა გაიგო სიკვდილის არსებობის შესახებ, დატოვა სამეფო და წავიდა ისეთი ადგილის მოსაძებნად, სადაც სიკვდილი არ არსებობდა. მიადგა იმ ადგილს, სადაც სილამაზე ბატონობდა და ვერ მოწყდა მას. გავიდა ხანი, ალბათ საუკუნეები და როსტომელამ სამშობლოში დაბუნდება გადაწყვიტა. სილამაზემ ორი ყვავილი მისცა, მეწამული და თეთრი ქათქათა, როცა პირველს დაყნოსავდა, დაიბრუნებდა დაკარგულ დროს, ხოლო მეორეს სურნელი მაშინ უნდა შეეგრძნო, როცა სიკვდილის აზრს

ჩასწვდებოდა. შინ მობრუნებულ როსტომელას გადასხვაფერებული დახვდა ყველაფერი. იქ, სადაც მისი სასახლე იდგა, მოხუცი იჯდა. მას გადმოცემით ახსოვდა მაგდანას ამბავი. როსტომელამ უყნოსა მეწამულ ყვავილს და ერთბაშად იქცა თეთრწვეროსან მოხუცად, ასე უცბად დაიბრუნდა წლები. ამის შემდეგ მიხვდა, რომ მის სიცოცხლეს აღარ ჰქონდა აზრი, შეურიგდა სიკვდილს და ქათქათა ყვავილს დაყნოსა.

K, 1903, 54, ე. ერიქსონი, ილუზიები და ჰალუცინაციები ზოგიერთი გადმოცემის საფუძველი

ავტორი ძალიან ზედაპირულად განიხილავს საქართველოსა და სომხეთში არსებულ რწმენა-წარმოდგენებს ქაჯების, დევების ეშმაკების, ჭინკების შესახებ. ის არადამაჯერებელ არგუმენტებს იშველიებს, რათა დაამტკიცოს, რომ ამორძალის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა „ამაძონ“ მომდინარეობს „მა“-დან, ხოლო ეს „მა“ არის იმავე ძირის, რომელიც სომხურ და ქართულ სახელებში „არმაზი“ და „მასისი“ გვხვდება.

K, 1903, 221, უცხოელის თვალით დანახული ბათუმი და თბილისი

წერილი მოკლედ გადმოსცემს გერმანიაში ბატონი ზუსმანის გამოქეყნებული წერილის მოკლე მიმოხილვას, რომელიც მიუკერძოებლად აღწერს საქართველოს ორ დიდ ქალაქსმ ბათუმს და თბილისს. ამ წერილში ავტორი მიმოიხილავს ქალაქის მოსახლეობას ეთნიკური კუთხით, მათ გარეგნობას, ჩაცმულობას და სხვა საინტერესო შტრიხებს, ასევე ქალაქების ღირსშესანიშნაობებს და არ ავიწყდება რუსების როლი ქართველთა განათლების და გაევროპელების საკითხში.

K, 1903, 224, სტრანნიკი, ეთნოგრაფიული ჩანახატები: თეთრი გიორგის დღესასწაული; წვიმის გამოწვევა კახეთში

ავტორი, რომლის ფსევდონიმია სტრანნიკი/ყარიბი, ორ ნაწილად გაყოფილ წერილში აღწერს: 1. თელავის მახლობლად 15 აგვისტოს გამართულ თეთრი გიორგისადმი მიძღვნილ დღესასწაულს, რომლის დროსაც ქედზე ჯაჭვით გარს უვლიან ტაძარს და თხოვენ სურვილების ასრულებას; 2. წვიმის გამოსაწვევ რიტუალებს „დიდებას“, „ლაზარეს“ და „ქალქვას“. „ამყე, მამიდა, ბარნაბიანთი ვარ“ - ამ სიტყვებით მიმართავენ თურმე რიტუალის მონაწილენი ქალის ფორმის ქვას, რომელიც ბოდბის ეკლესიის კართან ასვენია. ოდესღაც ქალი, რომლის ფორმაც ახლა ქვასა აქვს, მათი გვარიდან ყოფილა. ამ მიმართვის შემდეგ ქვას ადვილად გადააბრუნებენ, თუმცა მანამდე მას ძვრასაც ვერ უზამენ, იმდენად მძიმეა. ქვას წყალს აპკურებენ და წვიმაც გარანტირებულია.

K, 1903, 233, გ. ჩ-ინი, ეთნოგრაფიული ჩანახატები

მოკლე წერილი შეეხება, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, მანკიერ ტრადიციას, რომელიც არსებობს და არსებობდა კახეთში სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ჩვეულებას ეძახიან ოხინჯრობას. წმინდა ილია მიიჩნეოდა იმ წმინდანად, რომლის მოლმობიერებაც იყო საჭირო სეტყვის თავიდან ასაცილებლად და მოსავლის განადგურებისგან დასაცავად. ამიტომ ხშირად მისთვის სპეციალურად ჩამოასხამდნენ ხოლმე ღვინოს. ხდებოდა ისეც, რომ თოფს უშენდნენ სეტყვის

გამომწვევ ღრუბელს, რათა გველეშაპს დაეღო ხახა და დაეხსნა მთვარე. თუ არაფერი შველიდა, მაშინ საქმეში ქალებიც ჩაერთვებოდნენ და ანთებდნენ სანთლებს. თუმცა საინტერესოა, რომ ქალებს არ უშვებდნენ ეკლესიაში ზოგიერთ დღესასწაულზე.

K, 1903, 238, პ. ჩ-ინი, ეთნოგრაფიული ჩანახატები

ნადირობასთან დაკავშირებული ცრურწმენები კუთხიდან კუთხეში სხვადასხვაგვარია. კახეთში მონადირე, სანამ სანადიროდ წავა, იარაღს შესალოცად მიუტანს ამ საქმის მცოდნე ქალს. ცუდ ნიშნად ითვლება, როცა გზაში შეგხვდება მღვდელი, ტურა გადაგირბენს და სხვ. ნაცნობს ხმა არ უნდა გასცე. სახლში ნანადირევით დაბრუნებული მონადირე მოკლულის თავს და რქებს თვითონ დაიტოვებს, ხოლო დანარჩებს ისე დაანაწილებს, რომ ერთი წილი უპოვრებს შეხვდეთ.

K, 1903, 246, გ. ჩ-ინი, ეთნოგრაფიული ჩანახატები

წერილში აღწერილია ის ტრადიციები, რომლებიც ახლავს ბავშვის დაბადებას. მელოგინე ქალს მშობიარობის გასაიოლებლად ასმევენ წყალს, მასთან შესულებს ხსნიან ქამარს და ა.შ. ხშირად ისვრიან თოფს, რომ დააფრთხონ ავსულები, რომლებიც არიან ალი და მაჯლაჯუნა. იმის მიხედვით, თუ როგორია მუცლად ბავშვის მდებარეობა, მშობიარეს ურჩევენ პოზას მშობიარობისას, გართულებულ შემთხვევებში კი იწვევენ მწყემსს, რომელიც ოპერაციას ჩაატარებს. მელოგინეს ბალიშის ქვეშ უდებენ დანას ან ნაჯახს, ან ხანჯალს, სანამ ის სახლში რჩება. როდესაც ბავშვი დაიბადება, დედა საწოლში რჩება დაახლოებით სამი კვირა, გოგოს შემთხვევაში სამი დღით ნაკლები, ბიჭის კი – სამი დღის მეტი, რადგან ბიჭმა გოგოზე დიდხანს უნდა იცოცხლოს. ბავშვი რომ არ დაიღუპოს, მისი ბალიშის ქვეშ შავტარიან დანას ამოდებენ. ბავშვმა რომ მალე გაიაროს, ახლად დაბადებულის ფეხს ფრთხილად მიარტყამენ კარებს; ასევე მიცვალებულს დაასვამენ მკერდზე, თუ ბავშვი ვერ სწავლობს სიარულს. როცა დედას დაეღუპება ჩვილი, შემდეგ ახლად გაჩენილს მიყიდის მეზობელს სიმბოლურ ფასად. ასეთ ბავშვს ნასყიდას ეძახიან. ბოროტი სულები მოსატყუებლად ხშირად ბავშვს სხვის გამონაცვალს აცმევენ ერთ წლამდე. ბავშვი რომ ჯანმრთელი იყოს, მას ბანაობისას აბრუნებენ პირით წყლისაენ სიტყვებით „დათვი მჭლე და შენ სუქანი“.

K, 1903, 251, ეთნოგრაფიული ჩანახატები

წერილი აღწერს, როგორ იქცევიან ბავშვთა ინფექციური დაავადებების შემთხვევაში კახეთის მხარეში, კერძოდ, ქიზიყში. დაავადებათა შორის, მაგალითის სახით, ჩამოთვლილია ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა და ყივანახველა. როგორც ჩანს, ბატონებს, ანუ დაავადებების ანგელოზებს უყვართ წითელი ფერი და სნეულის ოთახს ამ ფერის ნაჭრებით რთავენ. ოთახში ანთებენ ნიგვზის სანთელს, აკრძალულია სინათლე და ცეცხლი, რადგან ანგელოზებს ცვილის ფეხები აქვთ და გაბრაზდებიან. მათ მოსალმობიერებლად აცხობენ ანგელოზის შოთებს. იკრძალება საქმიანობები ნემსით, დანით, რათა არ დააზიანონ ბატონები, ცოცხით ოთახის გამოგვაც აკრძალულია, შემთხვევით რომ არ შეეხონ უხილავ ანგელოზებს. ავადმყოფის სასთუმალთან მღერიან, ჩონგურზე უკრავენ, ავადმყოფობის გამწვავების შემთხვევაში კი სრულიად შიშვლდებიან და ისე ცეკვავენ. თუ ბავ-

შვი მაინც დაიღუპება, ბატონების გასანაწყენებლად არ ტირიან, მშობლები კი იმით იმშვიდებენ თავს, რომ ანგელოზი ანგელოზებმა წაიყვანეს.

K, 1903, 253, გ. ჩ-ინი, ეთნოგრაფიული ჩანახატები კახეთიდან

წერილში ზედაპირულადაა აღწერილია, როგორ იქცევიან კახეთში გვალვის ან წვინიამობის შემთხვევაში, ასევე: გონჯაობის, დიდების, ოხინჯრობის და საღმთოობის რიყუალები. საინტერესოა თაგვების, ჩიტების და მწერების „გამასპინძლების“ ტრადიციაც, რომელიც გაზაფხულზე სრულდება: კახელების რწმენით, მოსავალი რომ არ დააზიანონ მღრღნელებმა, ფრინველებმა და მწერებმა, მათ წელიწადში ერთხელ უნდა გაუმასპინძლდე შესაბამისი წესების მიხედვით. ყველიერის კვირის ერთი დღე სამუშაოების დღეა, რაც იმას ნიშნავს, რომ რომელ საქმესაც შეასრულებს ამ დღეს, ის საქმე წარმატებული იქნება მთელი წელი. წერილი ზედაპირულად აღწერს კახელთა სადღეგრძელოებს და პურისადმი კახელების განსაკუთრებული დამოკიდებულების ახსნით: თუკი კახელი გადაბრუნებულ პურს დაინახავს, აუცილებლად გაასწორებს მას, ხოლო ძირს დაგდებულ პურის ნატეხს აკოცებს, რადგან ვერ იტანს დაუდევარ მოპყრობას მის მიმართ.

K, 1903, 286, სტრანნიკი, ეთნოგრაფიული ჩანახატები

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ კახეთში ნებისმიერი სნეულება მიაჩნიათ რომელიღაც განრისხებული სალოცავის ან ხატის სასჯელად. იმისთვის რომ დასვან დიაგნოზი, აიღებენ ფთილას, წამოაცმევენ ჩხირზე და ატრიალებენ წყლიანი ჭიქის თავზე, თან იძახიან წმინდანების და სალოცავების სახელებს. ვის სახელზეც ფთილა ჩავარდება წყალში, ის წმინდანია გაბრაზებული და მის მოსალმობიერებლად მიდიან სალოცავში საკლავით და მიჰყავთ ავადმყოფი. წერილში მოთხრობილია ვინმე მოლა მუსას შესახებაც. ასევე მოტანილია შაკიკის შელოცავის ტექსტი რუსული შრიფტით: „მთასა სიონისასა, სამი ხენი იდგა ლიბანისანი, მასა ზედა შემოსხდნენ სამი ფრინველნი, თეთრა-თეთრი კვერცხი დასდო და გაფრინდა, თან წაიტანა შაკიკი, შავმა შავი კვერცხი დასდო და გაფრინდა, თან წაიტანა შაკიკი, ყვითელმა ყვითელი კვერცხი დასდო და გაფრინდა, თან წაიტანა შაკიკი. ღმერთო შენ ულხინე ჩვენს ავადმყოფს“.

K, 1903, 328, სტრანნიკი, ეთნოგრაფიული ჩანახატები

წერილში აღწერილია ის წეს-ჩვეულებები, რომლებიც არსებობს კავკასიაში მგელთან მიმართებით. მაგალითად, ქართველები დარწმუნებულები არიან, თუ ხორციელის ბოლო დღს ნარჩენებს კარში გაიტანენ მგლისთვის, ეს მათ ფარას გადაარჩენს. კახეთში ასეთ შელოცვას ამბობენ: „სახელო სახელითა, სამჯერ სახელო ღვთისა, ეკენია, ბეკენია, ბერსა ხატი არევია, ღმერთო, შენ შაკარ მგლის პირი, შეუკარი ხელის მკლავი, უძვამ ურაასშა, მჭამლის კბილები, ხეჭვი ხელ-მკლავი, გააგდე ზივასა, ნუ გაუხსნი ჩვენსა საქონელსა გზასა“ (წერილში ტექსტი რუსული შრიფტითაა დაბეჭდილი).

K, 1903, 340, მ. ჯ., ჯაჭვის-საყდარი

წერილი იწყება ლერმონტოვის პოემა „მწირის“ ამონარიდით და გვიყვება იმ მონასტრის შესახებ, რომელიც მასშია ნახსენები. ავტორის, მოსე ჯანაშვილის, მო-

საზრებით, ეს უნდა იყოს ჯაჭვის საყდარი, ყოფილი ბორცვის საყდარი, იგივე ჯვარი. წერილში მოტანილი ინფორმაცია ეყრდნობა საისტორიო წყაროებს და მთავრდება ხალხური გადმოცემით. თურმე საყდარი დაკავშირებული ყოფილა ჯაჭვის ხიდით მცხეთის მთავარ მონასტერთან. ეს ხიდი გამოკიდებული იყო ჰაერში. ერთხელ მასზე გადადიოდა ბერი. მან ჩაიხედა ქვევით და დაინახა, როგორ ბანაობდნენ მდინარე მტკვარში მცხეთელი ლამაზმანები, თვალი ვერ მოსწყვიტა მათ, შესცოდა და ამ ცოდვის გამო ხიდი ჩამწყდარა.

К, 1904, 287, საინგილო, გ. პარადოვი

წერილი მოგვითხრობს ჰერეთის შესახებ, განმარტავს სიტყვა „ინგილოს“ მნიშვნელობას, აღწერს ჰერეთის მდიდარ ბუნებას, სასარგებლო მჟავე წყლებს და სხვა ღირშესანიშნაობებს. ასევე წერილის ავტორი მოკლედ გადმოსცემს ადგილობრივ საინტერესო წესს „საპლმის ჩაყრაზე“, რომელიც მიცვალებულის ოთახში სრულდება. ვინაიდან საინგილოში ეკლესიები დაანგრიეს, მაგალითად ქურმუხის წმინდა გიორგის, ამიტომაც მოსახლეობას უხდება წესების და რიტუალების სახლში დამოუკიდებლად, სასულიერო პირის გარეშე შესრულება. თანაც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ძალით ათქმევინეს უარი ქრისტიანობაზე და ამიტომაც ისინი საიდუმლოდ იცავენ ქრისტიანულ წესებს ისე, როგორც შეუძლიათ. დასასრულს ივანე ბაბა ბულუღაშვილის ამბავია მოთხრობილი.

К, 1905, 260, დ. ჩერვენიაკოვი, დაკრძალვის წეს-ჩვეულებები ზემო სვანეთში

წერილს აქვს კონკრეტული მიზანი - მოუწოდებს სასულიერო პირებს და მასწავლებლებს ებრძოლონ ველურ და მანკიერ ტრადიციებს. აქვე ის აღწერს, რა ხდება მას შემდეგ, რაც ოჯახში ვინმე გარდაიცვლება. სამწუხაროდ, ავტორი სქოლიოში მიუთითებს, რომ მას გაუჭირდა დაკრძალვის დროს შესრულებული სიმღერის ტექსტის მოპოვება, მაგრამ შემდეგ მოიპოვა, თუმცა მკითხველს არ ანდობს ამ ტექსტის შინაარსს. საინტერესოა, რომ, სანამ გარდაცვლილ მამაკაცს მიწას მიაბარებენ, მისი ცოლი ან და დაასწრებს და ჩაწვება სამარეში.

К, 1872, № 48, 51, ნ. გამრეკელოვი, რუბრიკა: Кавказская Старина: *წარმართული რელიგიის მიმოხილვა საქართველოში.*

მთელი ქართული თეოლოგია ქრისტიანობამდე საუკუნეების განმავლობაში შემოიფარგლებოდა ძირითადი— არმაზის კულტით. ავტორი ქართულ წრმენა-წარმოდგენებს გარკვეული სიტყვების სემანტიკითა და ეტიმოლოგიით ხსნის, მაგალითად: კაცი, სხეული, გარდაცვალება, ცოლი, მეუღლე. ახსნილია მადლის, ღმერთისა და გარდაცვალების ცნებები. მაგალითად, ღმერთში— ღმა (ღრმა) და ერთი— დაშიფრულია მიუწვდომელი სიღრმის ზეციური არსება. ერთღმერთიანობა მთავარი ქართული დოგმა იყო. ვახუშტის ცნობით, ის დროთა განმავლობაში ჩანაცვლდა მზის, მთვარის, ვარსკვლავების, ცხოველებისა და სხვა კულტებით. ამ ცვლილებას ვახუშტი სხვადასხვა ხალხების შემოჭრას აბრალებს: „დაივიწყეს ნათესაობა და ჩვეულებები, ჭამდნენ გვამებს და აღარ იყო დაკრძალვები.“ მონოთეიზმი საბეიზმითა და ფეტიშიზმით შეიცვალა. ეგვიპტელები 23-ე ათასწლეულში მოხვდნენ საქართველოში, რასაც მოწმობს ტოპონიმები: ხონი, ონი, ოზურგეთი, რაიონი. ბერძნებს კი ჰერასა და ქსანტიფას კულტი შემოუტანიათ.

თუმცა, საბეიზმი წამყვან რელიგიად რჩებოდა. საბეიზმი ასირიიდან შემოვიდა, თუმცა აქ განსხვავებული სახე მიიღო. მზე ქართული რწმენით სიცოცხლის საწყისია: შენმა მზემ, ჩემმა მზემ. ასირიული წარმოდგენისგან გასხვავებით მზე მდედრობითია. ის მფარველობს ყველა მშობიარეს, ამიტომაც ის ძეობის რიტუალის ნაწილია— ახალდაბადებულს უმღერიან მზის სიმღერას („მზე შინა და მზე გარეთა“) და არწმუნებენ მას, რომ სახლში მხოლოდ ქალები არიან („ვაჟის მამა შინ არ არის“). ქართველებს სჯერათ, ასევე, ბედის ვარსკვლავის (ხუთი ვარსკვლავი), ბედის მწერლის, ვარსკვლავთა განლაგების გავლენისა ადამიანის ბედზე. ვარსკვლავის ჩამოვარდნა სიკვდილის მომასწავებელია. ავტორი მოკლედ უყვება, ცნობილ მითს, თუ როგორ გაუჩნდა მთვარეს ლაქები. არსებობდა ასევე ქართლოსის, ერის მამამთავრის კულტი, მისი საფლავი წმინდა ადგილი იყო. მოგვიანებით აქ არმაზის კერპი აღიმართა, ადგილს კი არმაზის ციხე დაერქვა. არმაზი ანთროპომორფული ღვთაებაა, აღწერილია მისი კულტის წესები, რიტუალები და სხვა თავისებურებები. შედარებულია ერთმანეთს არმაზის სომხური და ქართული კულტი. არის ცნობები ასევე სხვა ღვთაებათა შესახებ: ვახამანი, აი-ნანი, დაკანი, ზედა-ზენი. აი-ნანი, შესაძლოა, სპარსულ ღვთაება ნანეს უკავშირდებოდეს, რომელიც ახალშობილთა ღვთაებაა, ამიტომაცაა მისი სახელი მოხსენიებული ძილისპირულებში. შემდგომ მოთხრობილია ზოროასტრიზმის გავრცელების ისტორია. ზოროასტრიზმი მეფე ფარნაჯობს შემოუტანია საქართველოში. მას სპარსი მოგვები მოუწვევია მცხეთასთან ახლოს, დღეს ამ ადგილს „მოგვთა“ ჰქვია. ასევე მოთხრობილია მეფეების— არტაგის, ფარსმანის, მირიანის, არჩილის, ვახტანგის — დროს ზოროასტიზმის გავრცელებისა და მისი დევნის ისტორია. ვახტანგს ყველა ზოროასტრი მოგვი განუდევნია ქართლიდან. ნახსენებია წმინდა შუშანიკის ღვაწლიც. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყოო ზოროასტრული დაკრძალვის წესი, რომელიც აქვეა აღწერილი. სტატიის ბოლოს საუბარია ქართველთა რწმენა-წარმოდგენებზე სხვადასხვა მაგიური ქმნილებების— დევების, ქაჯების, ფერიების, ალების— შესახებ. ამ საკითხებზე ძირითადი წყაროებია: ყარამანიანი, ბარამიანი, ვისრამიანი, მირიანი, რამზაშიანი და სხვ. სტატიაში ასევე მოთხრობილია სხვადასხვა დევთა შესახებ: კარმალუხი, შანბასარი, სამანი, იფრიტი, კარუმი, უნტუ, სამანდური და სხვ. ასევე განმარტებულია სხვა გრძნეული არსებები — პ(ფ)ერი(ა), ალი, ალქი. ავტორი ყოველივე ზემოთქმულს აჯამებს და ასკვნის, რომ ამ რელიგიურ სისტემათა უწესრიგობის, ეკლექტურობის გამო ქართველმა ხალხმა ეს რწმენები მიივიწყა და დღეს ისინი ყველაზე გულმოდგინედ იცავენ ქრისტიანულ მრწამსს.

К, 1872, № 121, ი. მამაცევი, *ჩანაწერები სვანეთზე.*

ავტორი აღნიშნავს, რომ სვანეთზე ძალიცან ცოტა ცნობაა მოპოვებული. იგი სტატიას იწყებს სვანეთის გეოგრაფიული აღწერით, აღწერს მის ლანდშაფტს. ასევე საუბრობს მის ადმინისტრაციულ მოწყობაზე, კლიმატზე, გავრცელებულ დაავადებებზე, ვაჭრობაზე. ავტორი სვამს შეკითხვას: სადაური წარმომავლობისანი არიან სვანები? მათ ქართულ წამომავლობაზე მეტყველებს ოთხი უმთავრესი ფაქტი: მათი აღნაგობა და ფიზიონომია, წეს- ჩვეულებები, ქართული წარმოშობის ტოპონიმები და გვარები, და უმთავრესი— ენა, სვანური ენის ფუძე ქართული ენაა. ავტორი ასევე საუბრობს სოციალურ მოწყობაზე, ქორწინებისა და მემკვიდე-

რობის გაყოფის წესებზე, ქრისტიანობის დამკვიდრებაზე, ერისთავთა მმართველობაზე. საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ სვანეთს ერთგვარი ფედერალური რესპუბლიკა შეუქმნია, რომლის მმართველობის სათავეშიც იდგა ლუნზორი (Лунзорь), ანუ უგურის ლაშქარი (Угурис Лашкари). სწორედ ამ „რესპუბლიკის“ მართვის წესზე საუბრობს ავტორი. აქვე აღწერილია ნაფიც მსაჯულთა ცერემონიალი: ისინი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მიწაში ფლავენ ქვას და ამბობენ: „დაე, განაჩენის დამრღვევი ისევე დაიმარხოს, როგორც ეს ქვა.“ სვანური სასამართლო ადგილობრივი წესებით ხელმძღვანელობს, რადგან არ არსებობს დაწერილი კანონები. ასეთი წესებია: წარჩინებულის მკვლელობა ისჯება სასამართლოსთვის 200 ძროხის გადახდით, გლეხის მკვლელობისთვის— 100, დაჭრისთვის— 10, სხვისი ცოლის მოტაცებისთვის— 60. მე-17 საუკუნეში სვანეთში მდგომარეობა შეიცვალა, ამ დროის გადმოცემა მოგვითხრობს ვინმე დადეშქელიანზე, რომელიც ბარიდან სოფ. ეცერში ამოსულა და ადგილობრივი მღვდლის ოჯახში ჩასიძებულა. იგი შემდეგ სვანური საზოგადოების ერთერთი გავლენიანი წევრი გამხდარა.

К, 1873, № 5, ა. ემუხვარი, *სამურზაყანული რწმენა- წარმოდგენები.*

სამურზაყანოელებს სწამდათ, რომ მჭედლებს ადამიანის ბედზე ზემოქმედება შეეძლოთ, ამიტომ თუკი ვინმესთვის ვნების მიყენება სურდათ, მიმართავდნენ მჭედელს, რათა მას ჯადო გაეკეთებინა. შელოცვილი კი, თავისმხრივ, მიმართავდა მჩხიბავს, რომელსაც უნდა დაედგინა მისი ავადობის მიზეზი. ამისათვის იგი იღებდა ლობიოს 41 ცალ მარცვალს და ამბობდა: *„ლობიოს ორმოცდაერთო მარცვალო, არ დაღუპო ეს საწყალი! გვიჩვენე მისი ავადობის მიზეზი!“* ამის შემდეგ ყრიდა მათ მაგიდაზე, ასახელებდა „მომჯადოებლის“ ვინაობას და მოუწოდებდა მჭედელთან მორიგებას გარკვეული თანხით. ეს ჩვეულება კი შემდეგი შემთხვევისგან გამჩდარა: ერთ გლეხს დამართვია ციებ-ცხელება, ავადმყოფი ბოდავდა, რომ, თურმე, მას ერთი მჭედლი გაუნაწყენებია და ითოვდა, რომ მასთან შეერიგებინათ. მოიყვანეს მჩხიბავი, რომელმაც უთხრა, რომ მიეცათ: 45 რუბლი, 2 თეთრი ცხვარი, ერთი თეთრი ხარი და ორი ჭრელი თხა. ავტორი გვიამბობს კიდევ ერთ ამბავს. ეს ამბავი მე-19 საუკუნეში მოხდა. აქ მოთხრობილია მჭედელ პეპუსა და მის დანიშნულზე, რომელმაც პეპუ ლოგინად ჩავარდნის შემდეგ მიატოვა და სხვას გაჰყვა. ამაზე გაბრისხებულმა პეპუმ ყოფილი საცოლე დაწყევლა, რის შემდეგაც გოგონა დაშავდა, ხელი დაიწვა კერიასთან. მჩხიბავმა ურჩია ოჯახს, რომ პეპუსთვის პატიება ეთხოვათ. დათქმულ დღეს ოჯახმა მიუყვანა პეპუს ერთი ხარი და ორი თხა შესაწირად. ამ ღონისძიებაზე მთელ სოფელს მოეყარა თავი. პეპუ გრდემლის ერთ მხარეს იდგა, გოგონა კი— მეორე მხარეს. შარლატანი პეპუ, როგორც მას ავტორი უწოდებს, გრდემლს ელაპარაკებოდა, პატიებას სთხოვდა. მერე გოგონა მუხლებზე დააყენა და შეულოცა. ამის შემდეგ გრდემლს პირუტყვი შეწირეს და სადილიც გაიმართა. ყველამ გრდელმთან ილოცა ჭამამდე. 1867 წლის 24 ივნისს ადგილობრივმა მღვდელმა ეს ჩვეულებები აკრძალა, მაგრამ ერთმა გლეხმა მაინც დაარღვია აკრძალვა და მჩხიბავი მოიყვანა ძმის ავადმყოფობის დასადგენად. მღვდელმა ეს მჩხიბავი სახალხოდ გაკიცხა და სამოქალაქო ძალებს ჩააბარა დასასჯელად. ამან დადებითად იმოქმედა ამ ცრურწმენის აღმოფხვრაზე. ამ ჩვეულებების გამო იქამდე მჭედლობა ძალიან დაფასებულ და მომგებიან ხე-

ლობად ითვლებოდა. ხალხი ცდილობდა, თავიანთი ვაჟები მჭედლები გამოსულიყვნენ, რათა მათ დალხენილი ცხოვრება ჰქონოდათ. რაც უფრო იზრდება მჭედელთა რაოდენობა, მით უფრო ღარიბდებოდა ხალხი. თუმცა, ამ მღვდლის წყალობით მათი რაოდენობა ნელ-ნელა შემცირდა და ნაკლები გავლენით სარგებლობდნენ, ასევე უფრო ღარიბულადაც ცხოვრობდნენ.

К, 1873, № 13, კ. თეთრაძე, *ქელეხი კავკასიელ მთიელებთან.*

ავტორი აღნიშნავს, რომ მთიელთა ეკონომიკური მდგომარეობა სავალალოა, რისი მიზეზიც ქელეხებია, რომელთაც წელიწადში სამჯერ მაინც, ხანდახან შვიდჯერაც კი იხდიან. ოსებთან და თუშებთან ქელეხების ხარჯი უზარმაზარია. მზადება სამი დღით ან ერთი კვირით ადრე იწყება: ათი ფუთი პური ცხვება, არაყი იხდება ოცი თუნგი, ლუდი – ოცდახუთი ქვაბი. ქართლისა და კახეთის მხარისკენ მაცხოვრებლებს ღვინოც აქვთ არანაკლებ 30 თუნგისა. იკვლება 1-3 ძროხამდე და რამდენიმე ცხვარი. ეს ყველაზე მიზანშეწონილი რაოდენობაა, თუმცა, დიდ ქელეხებზე, მაგალითად წლისთავებზე, 50 მსხვილფეხა საქონელს ან 60 ცხვარს კლავენ. ფშავებთან და ხევსურებთან ხორცის ხარჯი ნაკლებია, თუმცა ისინი ამზადებენ ფქვილის ფაფას, რომლისთვისაც 30 ფუნტი ცხიმია საჭირო. სტატიაში ასევე დეტალურადაა აღწერილი პურობის პროცესი. ქალები ცალკე სუფრასთან სხდებიან, თუმცა მათ შეუზღუდავი რაოდენობის ალკოჰოლის მიღების უფლება აქვთ. ქელეხი მთიელებისთვის ყველაზე მოსახერხებელი ადგილია საქმეთა გარჩევების, დაპირისპირებებისა და სისხლიანი ანგარიშსწორებისთვისაც კი. ქელეხები ხშირად 50-100 რუბლამდე ჯდება, რის გამოც, შეიძლება იფიქრო, რომ ხალხი შეძლებულია, მაგრამ ასე არ არის, ნახევარზე მეტი პურმარილისა ვალითაა განხორციელებული. თუმცა, ნათესავებიც ხშირად ეხმარებიან ერთმანეთს ფულით, ღვინით, პურითა და სხვ. *ხალხის რწმენით, უქელეხო მკვდარი ჯოჯოხეთში ხვდება*— ხშირად ხალხი ვერ ახერხებდა გაზაფხულზე გარდაცვლილი ადამიანისთვის ქელეხის გადახდას, რადგან ამ დროს ზამთრის მარაგები უკვე ილეოდა. მეურნეობა და საოჯახო საქმეები, გარდა ხორბლის მოყვანისა, მთაში უფრო მეტად ქალებზეა. ოსეთში კაცისთვის წისქვილში საფქვავის წაღებაც კი სირცხვილად ითვლებოდა. გაზაფხულზე ასევე, როცა ამდენი პურმარილის შესაძლებლობა არ იყო, იწყებოდა ქურდობები. ზამთრის გრძელ საღამოებს კი კერიასთან ატარებდნენ, სადაც საუბრობდნენ დევგმირებზე, ასევე – იმაზე, თუ ვინ როგორ გადაიხადა ქელეხი— რამდენი ღვინო დახარჯა, რამდენი საქონელი დაკლა და სხვ.

К, 1873, № 110- 111, ნ. გამრეკელოვი, *სვანეთის წარსული ბედი.*

სტატია, ძირითადად, ისტორიული ხასიათისაა. თუმცა, სტატიის ბოლოსკენ ვხვდებით ეთნოგრაფიული კუთხით საინტერესო მცირე ინფორმაციასაც. ავტორი ამბობს, რომ სვანეთში ისეთ ჩვეულებებს ვხვდებით, რომლებიც თავის სისასტიკით ბარბაროსულს უთანაბრდება, როგორიცაა, მაგალითად, კანიბალიზმი და მდედრობითი სქესის ახალშობილთა მოკვდინება, ეს უკანასკნელი ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად ნელ-ნელა განიდევნა. ასევე ამ ჩვეულების შედეგი იყო, რომ სვანები თავიანთ მეზობელთა ქალებზე ქორწინდებოდნენ, უფრო ხშირად კი მათ იტაცებდნენ. სვანეთში ვხვდებით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტსაც, რო-

მელიც იუსტინიანეს “Corpus Juris”- ის გავრცელებას უნდა უკავშირდებოდეს. შემდეგ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უკვე თითქმის ყველა ქართველურ ტომში გვხვდება. მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდში შატობრიანიც წერს.

К, 1874, № 39, 47, ა. იოკიმოვი, *აფხაზები.*

სტატია დაყოფილია სამ ნაწილად, პირველი ნაწილი მოგვითხრობს აფხაზეთის ბუნებაზე, ფლორაზე, ზოგიერთ ისტორიულ მოვლენაზე. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კუთხით კი საყურადღებოა მე-2 და მე-3 ნაწილები, რომლებშიც მოთხრობილია სხვადასხვა აფხაზური ცრურწმენები, რწმენა- წარმოდეგები, მითები, საზოგადო და საოჯახო ცხოვრების მონახაზები და სხვ. ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზები თავიანთ მითიურ წინაპრებს ირონიით უყურებენ მათი გულუბრყვილო წარმოდგენების გამო. მათ არ იცოდნენ ბუნების მოვლენათა მნიშვნელობა და განზოგადება, თურმე, ერთ ბერიკაცს ჰგონებია, რომ თხის წვერი თვითონ ირხეოდა და არა ქარის გამო. აქ წარმოდგენილია კიდევ ორი მითი, რომლებიც გამოხატავს ამგვარ დამოკიდებულებას. ასევე მოცემულია აპოკალიფსური მითები: როგორ ჩამოიყრება ბამბისებრი ფურცლები ციდან, მას ცეცხლს მოუკიდებს ჭექა- ქუხილის ღმერთი *ა- ფუ* და ასე დაიღუპება ყველა ქმნილება დედამიწაზე. აქვეა მეორე აპოკალიფსური მითი ველური ადამიანის, *ა- დაუს,* შესახებ. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ აფხაზთა ფანტაზია ნასაზრდოებია მთის გარემოთი. ის ისეთივე მხატვრულია, როგორც კლასიკური ხალხების ეპოსი. მოყვანილია მითები და წარმოდგენები მზისა, *ა-მირის,* და მთვარის რაობის, მათი ფიზიკური თვისებების ახსნის შესახებ. სამურზაყანოელებს სჯერათ, რომ ვარსკვლავები ხატებია, რომლებიც დედამიწაზე ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილდებიან. *ა- ფუს* შესახებ მოცემულია კიდევ რამდენიმე რწმენა- წარმოდგენა. ასევე აღწერილია წვიმის მოხმობის ორი რიტუალი და ერთი მათგანის ლოცვაც, რომლებიც წარმოდგენილია აფხაზურ ენაზე. რაც შეეხება იმქვეყნიურ ცხოვრებაზე წარმოდგენებს, აფხაზებისთვის გარდაცვლილის სული, *ა- დნი- იგაუ,* ერთგვარი ღვთაებაა, რომლისაც ეშინიათ და პატივს სცემენ. მათი წარმოდგენით ქალები სიკვდილის შემდეგ წყლის ალებად იქცევიან. ასევე აღწერილია სამურზაყანოელთა 14 აგვისტოს საღამოს რიტუალი— ცეცხლზე გადახტომა. ამ დროს, მათ სჯერათ, რომ ტაბაკონზე ეშმაკები იკრიბებიან. ასევე აღწერილია კიდევ ერთი რიტუალი, რომლის დროსაც ცეცხლს ანთებენ გზაჯვარედინზე. ამ რიტუალით არკვევენ, თუ ვინ გარდაიცვლება იმ წელს. ავტორი მოუწოდებს თანამემამულე მკვლევრებს, რომ სერიოზულად მოეკიდონ ამ საქმეს და შეისწავლონ კავკასიის ხალხთა კულტურა.

რაც შეეხება საზოგადოებას, აფხაზეთის მოსახლეობა სხვადასხვა ფენად იყოფა: დიდგვაროვანთა, *ახოშაპშიუ,* და დაქვემდებარებულთა, *ხიპში*— რომლებიც, თავისმხრივ კიდევ ქვეფენებად იყოფიან. დიდგვაროვნები— თავადებად— *ა- თავადი,* და დიდებულებად— *ა-მსტა.* დაბალ ფენაში არის კიდევ ქვეფენები— *ა-ხნე* (შინაყმა)— მათი ფუნქციაა პატრონთა დახმარება შვილებისა და აღზრდის საკითხებში. ასევე *ა- ხოიუ, ა- ხაშლა*— ეს მშრომელი კლასია, ა- ხაშლა კი— მონები. შემდეგ ავტორი გადადის ოჯახური წეს-ჩვეულებების განხილვაზე. ბავშვის დაბადებას აფხაზი მეზობლებს თოფის გასროლით ატყობინებდა, ამის შემდეგ

იკრიბებოდნენ ახალგაზრდები, ცეკვავდნენ და ასრულებდნენ სიმღერას „ორგელო“, რომელსაც ორივე სქესის ბავშვისათვის განსხვავებული ტექსტი აქვს და აქვეა მოყვანილი აფხაზურად, რუსული თარგმანით. ასევე, აღწერილია, თუ როგორ ასაჩუქრებენ ახლობელები ახალშობილს იმის მიხედვით, ის ძეა, თუ – გოგონა. ავტორი აასევე აღნიშნავს, თუ როგორი მყიდველობითი ფასი აქვს დაბადებიდანვე აფხაზ ქალს— მას ზრდიან იმისათვის, რომ მოგება მოუტანოს ოჯახს სამზითვო გამოსასწყიდით. ასევე აღწერილია ქალთა რიტუალი, რომელიც ასევე ბავშვის შეძენას უკავშირდება. აქვეა რამდენიმე ცრურწმენა, რომელიც ბავშვის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის სრულდება. ბავშვს არიდებენ თავყრილობებს, რადგან ეშინიათ გათვალვისა. *ა- გიზმალ* არის მოხუცი ქალი ან კაცი, რომელიც, ჰგონიათ, რომ თვალავს ბავშვს. მენცარი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია *ა- გიზმალის* ამოცნობა. სჯერათ, რომ ის მგელზე ამხედრებული დადის, საქონელს სისხლს წოვს და მათ გულს აცლის. ბავშვისთვის ასევე საშიშია მიცვალებულის სულის, *ა- დნი-იგაუს,* დანახვა. არსებობს ასევე კეთილი სული— *ა- შაცა,* რომელიც ბავშვის ბედს მისი დაბადებისას ადგენს. აქვე არის ერთი ცრუ რწმენა ბავშვის მოჭრილ თმასა და ფრჩხილებზე. მაღალი წოდების ბავშვს ადრეულადვე აძიძავებენ *ა-ხნესთან.* ამიტომაც დიდგვაროვანთა იავნანა ნაკლებ საალერსო სიტყვებითაა შედგენილი, ავტორი ამბობს, რომ ქართულ, სომხურ და თათრულ იავნანებში მეტია საალერსო სიტყვები. ამგვარ დამოკიდებულებას განაპირობებდა ასევე გვაროვნული სიამაყის პრიმატი აფხაზ დიდებულებში. მოყვანილია ორი იავნანას ტექსტი (მიახლოებითი რუსული თარგმანებით), ერთი— მაღალი ფენისა, მეორე კი –მ დაბალისა. ამ უკასნკელში შეიმჩნევა მეტი საალერსო სიტყვა. თუმცა, ერნეს ლეგუნე, ფრანგული აკადემიის წევრი, აღნიშნავს, რომ თანდათან ეს თავდაჭერილი, გულგრილი დამოკიდებულება იცვლება. შემდეგ მოყვანილია მუცლადმყოფი ბავშვის სქესის ამოცნობის ცრურწმენები. ასევე ორსული ქალისთვის სამშობიარო ტკივილების შემამსუბუქებული ცრურწმენა-ხერხები. ერთ- ორი სიტყვა ნათქვამია ქორწინების წესზეც. ერთი წეს-ჩვეულების მიხედვით კი, პირველი შვილი (ვაჟის) სიკვდილის შემთხვევაში მამა ყურებს იჭრის და შვილს მათ საფლავში ატანს. სტატიის ბოლოს ავტორი დანანებით აღნიშნავს, რომ ასე მოკლედ მოუწია საუბარი ამ მხარის შესახებ, რომელიც მრავალმხრივაა განსაკუთრებული.

К, 1874, № 141, о. პასხალოვი, *„დუდრიპში“ წმინდა მთა აფხაზეთში.*

დუდრიპშის მთა წმინდა ადგილად ითვლება აფხაზებისთვის, მას ასევე მიუკერძოებელი სასამართლოს ჩატარების ადგილის დანიშნულებაც აქვს. დუდრიპში 15 კილომეტრის დაშორებით მდებარებს ლიხნის დასახლებიდან (პიცუნდის რაიონი) და 2000 ფუტის სიმაღლეზეა ზღვის დონიდად. იგი კავკასიონის მთების ჯაჭვის გაგრძელებაა. მას მეორენაირად „ახატას“ (ხატს) უწოდებენ. დუდრიპშის ძირში აჩანდარის დასახლებაა 240 კომლით. ავტორი აღნიშნავს, რომ აქ ჩამოსულ ექსპედიტორთა მიზანი დუდრიპშის დალაშქვრა იყო. ექსპედიციის მოსვლამ ბევრი ხალხი მოიზიდა, ისინი ყველანი ჯოხებით იყვნენ „შეიარაღებულნი“, რაც აფხაზების დამახასიათებელი ატრიბუტია. აჩანდარელები, როგორც ახალი ქრისტიანები, კარგი რეპუტაციით, ეკლესიისადმი ერთგულებითა და ზნეობრიობით გამოირჩეოდნენ. ავტორი აფხაზთა ერთ თვისებას უსვამს ხაზს— უხვსიტყვაობ-

ას, თუმცა ის სიტყვაძუნწია, თუკი მოსაუბრეს არ ენდობა ან რაიმეს პასუხს თავს არიდებს. აფხაზეთი მდიდარია ძეგლებით, ნანგრევებით, გამოქვაბულებითა და სხვა სიძველეებით. ავტორი აღნიშნას, რომ ეს მხარე საჭიროებს არქეოლოგიურ, ნუმიზმატურ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ შესწავლას. შემდეგ ავტორი აღწერს დუდრიპშზე ასვლას ადგილობრივებთან ერთად. ერთ- ერთი მათგანი იყო ჩიჩბაი, რომელსაც ამ ადგილთან ჰქონდა კავშირი. ეს იდუმალი მთა დაფარული იყო ხშირი ტყით. ექსპედიციის წევრებს გაუკვირდათ ეს, ადგილობრივებმა კი აღნიშნეს, რომ აქაური რესურსით სარგებლობა აკრძალული იყო, ღმერთი დასჯიდა მას, ვინც რამეს წაიღებდა აქედან. მათ ექსპედიციის წევრები მიიყვანეს ერთ წითელ ხესთან, რომლის ქვედა ტოტები შემკული იყო სხვადასხვა მეტალის ნივთებით: ნაჯახით, ჩაფხუტით და სხვ. ასევე ქვევით, ბალახზე, იდო დაჟანგული ქვაბები. ეს ნივთები ადგილის სიწმინდეები იყო. ჩიჩბაევების გვარი (20 ოჯახი) ამ მთის მცველი და მეთვალყურეა. მათ გარეშე არ ტარდება აქ სასამართლოები (რისთვისაც ისინი გასამრჯელოსაც კი იღებენ). შემდეგ თავად 70 წლის ჩიჩბაი აღწერს ბრალდებულის მიერ ფიცის დადების *რიტუალს*. ავტორი ჩიჩბაის უსვამს შემდეგ შეკითხვებს: „დიდი ხანია, რაც ამ მთის მფლობელად ითვლებით?“, „დიდი ხანია, რაც ეს სიწმინდეები ხეზე კიდია?“, „რატომ მიიჩნევენ დუდრიშჰს წმინდა ადგილად?“. ამაზე ჩიჩბაი პასუხობს, რომ აფხაზთათვის ყოველი საშიშროებისას დუდრიშჰიდან სროლის ხმა ისმოდა, რომელიც აფრთხილებდა მოსახლეობას მოახლოებული საშიშროების შესახებ. იმ დღეს ექსპედიცია ისევ ლიხნის დასახლებაში დაბრუნდა. გზად მომღერალ აფხაზებს შეხვდნენ. ავტორი მცირედად აღწერს აქაური მუსიკის თავისებურებებს და აღნიშნავს, რომ სიმღერათა შინაარსი არა ისტორიულ რეალობას, არამედ ყოველდღიურ შემთხვევებს ეხება. ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზები არ ერთიანდებიან უფრო დიდ დასახლებებად, რაც ეკონომიკურად და სოციალურად მათთვის სასარგებლო იქნებოდა. აქვე მიუთითებს აფხაზურ სახლებზე, რომლებიც, მისი აზრით, დასახვეწია. ის ასევე საუბრობს ცრურწმენის პრობლემაზეც, რომლიდან გამოსავლადაც მომავალი თაობების განათლებას ხედავს.

К, 1875, № 71, 72, *ზოგიერთი რამ ოსთა ცრურწმენებისა და საზიანო წეს- ჩვეულებების შესახებ.*

ავტორი სტატიაში საუბრობს ოსთა სამი საზიანო წეს- ჩვეულების შესახებ: საპატარძლოს სათავნო, ქელეხი და გარდაცვლილის საპატივსაცემოდ გამართული დოღი. სამოციანი წლების დასაწყისში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ საპატარძლოს სათავნოს ოდენობა ას რუბლამდე შეამცირა. ეს დაწესება დაარღვია მუსულმანმა მოსახლეობამ და სათავნოს ოდენობა 300-500 რუბლამდე გაზარდა, მათვე მიბაძა შემდგომ ქრისტიანმა მოსახლეობამაც. ამჟამად ფულთან ერთად სათავნოს გადასახადი რამდენიმე პირუტყვიცაა. იმის გათვალისწინებით რომ მსხვილფეხა პირუტყვი 25- 40 რუბლამდე ღირს, სათავნო სასიძოს 300 რუბლი უჯდება. ავტორს ერთი შემთხვევა მოჰყავს ამ ჩვეულების ეკონომიკური დამანგრევლობის საილუსტრაციოდ: იყო ოთხი ძმა, რომელთაც მოხუცი დედა ჰყავდათ. მათი ქონება 16 მოზვერს, 12 ძროხას, 700 ცხვარსა და სხვა საბადებელს შეადგენდა. ძმებს ეს ქონება საცოლეების სათავნოსა და დედის ქელეხში სრულიად დაეხარჯათ და გაკოტრდნენ. ამ გაჭირვებას უკავშირდება ასევე ქურდობების

გახშირება. თუმცა, ქელეხები უფრო მეტად ხარჯიანი მოვლენაა. როდესაც ვინმე გარდაიცვლება, ნათესავები სხვადასხვა სოფლიდან ჩამოდიან სამძიმარზე, მათგან ყველა ნათესავი ქალი გარდაცვლილის ოჯახში რჩება რამდენიმე დღით, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამგვარი ხარჯი ხშირად ჭირისუფლებს ვალებში აგდებს. ქელეხის არგადახდის შემთხვევაში სჯერათ, რომ გარდაცვლილი მშიერი და შერცხვენილი იქნება. ქელეხი წელიწადში რამდენჯერმე დგება: პირველი ქელეხი გარდაცვალებიდან მეშვიდე დღესაა, დანარჩენები კი სხვადასხვა დღესასწაულებზე: თომას კვირაში, აღდგომის შემდეგ, ამაღლებაზე, შობის შემდეგ პირველ შაბათს და სხვ. მათგან თითოეული მათგანი სულ მცირე 25 რუბლი ჯდება. ავტორი ყურადღებას აჩერებს ახალი წლის შემდეგ გასამართ ქელეხზე— ბადან- ახსან— ჯდომის ღამე. ამ რიტუალისათვის ამზადებენ გარდაცვლილის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, აცვამენ მათ ჯვრისფორმის მაგვარ ჯოხზე, ამ წარმოსახვით გარდაცვლილს კი სუფრასთან სვამენ და ქელეხს მართავენ. ეს წარმართული რიტუალია, რომელიც დღეს სულ უფრო ნაკლებად სრულდება. ეკონომიკურად ყველაზე საზიანო შედეგი კი წლისთავებს აქვს, რომლებიც ღარიბ ოჯახებს მინიმუმ 300, ხოლო მდიდრებს 1000 რუბლი უჯდებათ. ქელეხი ხშირად განხეთქილების, ჩხუბისა და დაპირისპირების ადგილი ხდება. რაც შეეხება დოღს, მე- 16 ს მეორე ნახევრიდან 1873 წლამდე ეს ჩვეულება მივიწყებული იყო, რომელიც 1873 წელს ერთმა გავლენიანმა მუსულმანმა განაახლა.

K, 1861, N1, *დ. ბაქრაძე, სვანეთი*

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ გეოგრაფიული საზოგადოების დავალებით მოგზაურობს სვანეთში; წერს მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ: ენგურის, სვანეთის ბუნების მიმზიდველობასა და ადგილობრივი მოსახეობის ყოფა-ცხოვრებაზე. იგი დაწვრილებით აღწერს სვანეთის ბუნებას, სვანების მიერ აშენებულ ხის ხიდებსა და კოშკებს. წერს, რომ დიდთოვლობის გამო წელიწადში მხოლოდ 4 თვის მანძილზე აქვთ სვანებს ურთიერთობა როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხესთან, ისე ყველა ჩრდილოელ ტომთან.

K, 1861, N2, *დ. ბაქრაძე, სვანეთი*

სტატიის დასაწყისში ავტორი მსჯელობს სვანების წარმოშობის შესახებ; მათ ისტორიასა და ენობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით იგი ცდილობს დაამტკიცოს ქართული და სვანური ენები მჭიდრო კავშირი; წერს სოფლების ქართული სახელწოდებებისა და ქართველი მეფეების შესახებ, აგრეთვე, როდის და ვის ნიშნავდნენ სვანეთში ერისთავებად. შემდეგ ავტორი წერს სვანურ ეკლესიებზე, ხატებსა და ჯვრებზე, ეკლესიაში აღმოჩენილ წარწერებზე, ასევე რამდენჯერმე გადაწერილ სახარებებზე. ავტორი დაწვრილებით აღწერს სვანური ეკლესიების ფორმას, ფრესკებს, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით გვხვდება. შემდეგ ავტორი ადარებს სვანურ და ქართულ ენებს და პოულობს ბევრ საერთოს. ავტორი წერს, რომ სვანები აღიარებენ თამარ მეფეს და სჯერათ, რომ იგი უკვდავია და დამალულია უშგულის მიწისქვეშეთში, სადაც ზის დოქში, სანთლით ხელში და მისი გახსნა არ შეიძლება. სტატიაში არის სიმღერის ტექსტი, რომელიც ეძღვნება თამარ მეფეს.

K, 1861, N4, *დ. ბაქრაძე, სვანეთი*

სტატიაში ავტორი აღწერს სვანების გარეგნობას, მათ ქალებს, სამოსს, პურ-მარილს, გამჭრიახობასა და ვაჭრობას. სვანეთში ვაჭრობენ მხოლოდ და მხოლოდ ლახამულები, ანუ ებრაელები. ავტორი დაწვრილებით აღწერს სვანების ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს; თუ რატომ და როგორ კლავენ სვანები ახალშობილ გოგოებს, რამაც ძალიან შეამცირა ქალთა რაოდენობა. საერთოდ სვანებში ქალი უწმინდურ არსებად ითვლებოდა, მას არც ეკლესიაში უშვებდნენ. ავტორი წერს, რომ ასეთი ადათ-წესი ფშავშიც არსებობს. ასევე ავტორი წერს სვანებში არსებულ სისხლის აღების წესზე, რომელიც ზოგჯერ თაობიდან თაობას გადაეცემა. შემდგომ ავტორი აღწერს სვანეთის სასულიერო პირებს, მარხვასა და საეკლესიო დღესასწაულებს, რომლებსაც აღნიშნავს ყველა სვანი. აქვე ვიგებთ, როგორ აღნიშნავენ სვანები ახალ წელს, აღდგომას, შობასა და ნათლიღებას, ვინ შეიძლება იყოს მედიატორი.

K, 1862, N48, *ს. მანგლისის ტაძარი*

სტატიაში ავტორი წერს, რომ IV საუკუნეში წმ. ნინომ წარმართულ საქართველოში შემოიტანა ქრისტიანობა. რომ ამავე დროს მიეკუთვნება მანგლისის ტაძარი, რომელიც მდებარეობს მდინარე ალგეთის მიდამოებში. ავტორი წერს, რომ ტაძარს 1500-წლიანი ისტორია აქვს. ავტორი აღნიშნავს, რომ პირველმა მირიან მეფემ მიიღო ქრისტიანობა და გაავრცელა იგი საქართველოში. მან სთხოვა ბერძენ იმპერატორ კონსტანტინეს, რომ გამოეგზავნა საქართველოში მაცოცხლებელი ჯვრის ნაწილი, მღვდლები, ეპისკოპოსი და მშენებლები. კონსტანტინემ შეასრულა მირიან მეფის ყველა თხოვნა და გამოუგზავნა როგორც ლურსმნები (ოთხიდან სამი ლურსმანი), რომლებითაც ქრისტე იყო ჯვარცმული, ისე ჯვრის ის ნაწილი, რომელზეც იესო ქრისტე ფეხებით იყო გაკრული. იგივე მემატიანე წერს, რომ მირიანმა ეს საკრალური ნივთები გააზავნა ერუშეთსა და მანგლისში. ავტორი წერს მრავალი თქმულების შესახებ, რომლებიც ხალხში არის გავრცელებული. ავტორი აღფრთოვანებულია ქართველი ხალხით, რომელიც იარაღით ხელში იცავდა ქრისტიანობას ბარბაროსებისაგან და, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, მაინც აშენებდა ქრისტიანულ ტაძრებს. ავტორის თქმით, ეს არის ერი, მიტოვებული ყველასგან, გარდა ღმერთისა.

K, 1962, N 62, *მაკეევი, ფელეტონი აბასთუმანიდან*

სტატიის ავტორი აღწერს აბასთუმნის ადგილმდებარეობას, მის ბუნებას, მინერალურ წყლებს, აბასთუმნის არქიტექტურას, მის კლიმატურ პირობებს, აბასთუმანში მცხოვრები ხალხის ცხოვრების წეს-ჩვეულებასა და იქ ჩასული ხალხის დასვენება-მკურნალობას.

K, 1862, N 68, *ალექსეი რაგოზა, ზედაზენის მონასტერი*

სტატიის დასაწყისში ავტორი წერს, რომ ხალხის ცხოვრებასა და მის ადათ-წესებზე მოქმედებს რაღაც ძალიან ძლიერი ძალა. ერის სული დიდი გაჭირვებით აღწევს თავს წინააღმდეგობებს, რაც საქართველოს ისტორიაში ყველაზე ნათლად ვლინდება. ხალხის განვითარებად მიიჩნევს ეკლესიურ დღესასწაულებს, რომლებშიც ქალები ისევე ღებულობენ მონაწილეობას, როგორც კაცები.

ავტორი წერს, როგორ იმგზავრა 6 მაისს თბლისიდან ზედაზენამდე. როგორ გადავიდა მტკვარზე, ავჭალის გზაზე, სადაც ჩანდა XIII საუკუნეში თამარ მეფის მიერ გაყვანილი უზარმაზარი არხის კვალი, რომელიც დანგრეული იყო. აყვავებული ბაღების ნაცვლად ამ ადგილას მხოლოდ ცარიელი მაღლობებიღა ჩანდა. იგი აღწერს ავჭალიდან ზედაზნამდე გზის ულამაზეს ბუნებას, გზაში მიმავალ სადღესასწაულოდ მორთულ ხალხს. ავტორი შენიშნავს, თუ როგორ ამაყად და მდიდრულად გამოიყურებიან ქართველები თავიანთ სამოსში, დასცინის ცხენზე მჯდომ მსუქან სომეხს, გერმანელს, რომლებსაც ქართული ნაციონალური სამოსი ეცვათ; აღწერს გლეხს, რომელსაც მიჰყავს ბატკანი შესაწირად.

შემდეგ ავტორი აღწერს ზედაზნის მონასტრის აგების ისტორიას, წერს ივერიის IV მეფის, ფარნაჯომის, მეფობის, ზადენის კერპისა და მონასტრის სახელწოდების წარმოქმნის შესახებ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს სასწაულმოქმედ წყალზე, რომელიც ჩამოედინება ტაძრის კედელზე პატარა აუზში. აუზში მისი დონე ყოველთვის უცვლელია, ხოლო თვითონ წყალი ყოველთვის სუფთა, კრიალა და – ცივი. ხალხი ავსებს ამ წყლით ჭურჭელს, რადგან ხალხის რწმენის მიხედვით, ის სასწაულმოქმედია. ავტორი წერს, რომ ქართველებში ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს წარმართული და ქრისტიანულ წეს-ჩვეულებები. ამასთანავე, აღწერს ქართველი ხალხის მხიარულებას: ცეკვას, სიმღერებს გმირი არსენას შესახებ.

K, 1864, N9, ***ნ. ზეიდლიცი, ბერძნები წალკაში***

სტატიის ავტორი წერს წალკაში გადასახლებულ ბერძნებზე, აღწერს წალკის გეოგრაფიას, გარშემორტყმულ მთებს, ბუნებას და კლიმატურ პირობებს. სტატიაში აღწერილია ბერძნების საცხოვრებელი, მათი ყოფა,ზნე-ჩვეულებები, ბერძნების მიერ აღდგენილი ქართული ტაძრები და კეთილი ურთიერთობა ქართველებსა და ბერძნებს შორის.

K, 1864, N13, *კ. ბოროზდინი, ნარკვევები ამიერკავკასიის ცხოვრებიდან, მომთაბარეობა*

ავტორი სტატიაში ლიტერატურულად მოგვითხრობს ნადირობის შესახებ, რომელსაც დაესწრო თავად ბეკო საბათართან და მის ამალასთან ერთად. იგი დაწვრილებით აღწერს თავადის ჩაცმულობასა და მისი მსახურების სამოსს, ასევე - თავადის ცხენებსა და ძაღლებს.

ასევე წერს მეგრელი თავადი ბავშვების აღზრდის შესახებ: თავად ბეკო საბათარის ისტორიას, მის აღზრდას აფხაზეთში, შემდეგ მშობლებთან სამეგრელოში დაბრუნებას, მის დაოჯახებას, მემკვიდრეობის მიღებასა და ცხოვრების წესებს. ამასთანავე, იმ ზნე-ჩვეულებების შესახებ, რომლებიც მიღებული იყო თავადებში. ავტორი აღწერს ბატონის კარ-მიდამოში მცხოვრებ ადამიანთა სხვადასხვა კატეგორიას. ესენია: აზათი, მსახური, გლეხი, ყაზახი.

K, 1864, N15, ***კ. ბოროზდინი, ნარკვევები ამიერკავკასიის ცხოვრებიდან, მომთაბარეობა***

ავტორი აღწერს: როგორ გამოიყურება თავადის საცხოვრებელი სოფელი, ვინ და როგორ უვლის სახლს, როგორ ხვდებიან მეპატრონეს და მის სტუმრებს. ამ

სტატიაში ავტორი დაწვრილებით აღწერს ჯიხვებზე ნადირობას - ვინ იღებდა მონაწილეობას ნადირობაში და რა წესებს იცავდნენ ნადირობის დროს.

აქვე აღწერილია მეგრელი თავადების სადილი: ვის მოჰქონდა კერძები, როგორი თანმიმდევრობით, კერძებს რით მიირთმევდნენ და როგორ - რას სვამდნენ, რა სიმღერებს მღეროდნენ და როგორი პატივისცემითა და ყურადღებით უსმენდნენ თავადს.

K, 1864, N84, *დ. ფურცელაძე, საქართველოში ბატონყმობის შესახებ*

სტატიის ავტორი წერს საქართველოში ბატონყმობის შესახებ და აღწერს მემკვიდრეობით მიწისა და ქონების მიიღების წესებს. ძველი საქართველოს რუკის დათვალიერებით იგი არკვევს, თუ საიდან წამოვიდა ისეთი სახელები, როგორებიცაა: საათაბაგო, საბარათიანო, საგურამო, საერისთავო, საციციანო და მიუთითებს მიზეზებსა და შემთხვევებზე, რომელთა შედეგადაც მიღებული იყო არისტოკრატთა უფლებები. აღნიშნავს, რომ ძველ დროში ქართველების საკუთრებაში მყოფი მიწა გამოირჩეოდა სახელწოდებებით: მამული, მამეული, ნასყიდი, ნაჩუქები, ნაბოძები, მზითევი, დედული, დედეული, საბატონო. ხოლო ამ უფლების მტკიცება ითქმებოდა შემდეგი სიტყვებით: საუკუნოდ, საშვილიშვილოდ, ნათესავითი ნათესავამდე, ხანგასატარებელი, მტკიცე და შეურხეველი. სტატიაში ავტორი დაწვრილებით აღწერს ჩვეულებრივი მოსახლეობისა და თავადების ურთიერთობებს. ასევე, გვიამბობს იმ მიწებზე, რომლებიც ეკუთვნოდა მეფეს. მოგვითხრობს იმის თაობაზეც, თუ როგორ შეეძლო ერთგულებისა თუ მსახურების საფასურად ქვეშევრომთათვის ებოძებინა მეფეს მიწა, ე.წ. საბატონო მამული.

აქ აღწერილია მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ქართული თავადაზნაურობის მნიშვნელობა. იგი წერს იერარქიაზე საქართველოში და დაწვრილებით ახასიათებს: თავადებს, დიდებულებს, მთავრებს, აზნაურებს, მოქალაქეებს, მსახურებს, ყმებს, მონებსა და გლეხებს. ავტორი აღწერს მათ შორის ურთიერთობებს. ასევე საუბარია ქართველი არისტოკრატების უფლებებსა და საცხოვრებელ პირობებზე, გლეხების მოვალეობებსა და ცხოვრებაზე თავიანთ საბატონოებში. ვიგებთ, რომ საბატონოებს ფლობდა როგორც ეკლესია, ასევე სამეფო გვარის ოჯახის წევრებიც.

K, 1970, N105, *წ-ე. რაჭა*

სტატიის დასაწყისში ავტორი საუბრობს რაჭის ბუნებასა და მის ადგილმდებარეობაზე; ხსნის მიზეზს, თუ რატომაც ჰქვია ამ ადგილს რაჭა. შემდეგ გვიყვება რაჭველების ცრურწმენებზე და დაწვრილებით აღწერს ერთ-ერთ შემთხვევას, რომელიც დაკავშირებულია ცრურწმენებთან.

K, 1970, N 13, *პ. იოსელიანი, შოთა რუსთაველი (1174-1212)*

სტატიის დასაწყისში ავტორი წერს რუსთველის სახელ შოთაზე, მის ქართულ წარმომავლობაზე და იმაზე, თუ როგორი წესი ჰქონდათ ქართველებს სახელის შერჩევის დროს. შემდეგ ყურადღებას ამახვილებს რუსთველის გვარის წარმომავლობასა და რუსთავის ადგილმდებარეობაზე; რომ მესხები გამოირჩევიან უძველესი ადათ-წესებით, ამასთანავე, ავტორი აღწერს, თუ როგორ ვითარდებოდა

ის მხარე სხვადასხვა მეფის დროს. სტატიიდან ვიგებთ, თუ სად სწავლობდა რუსთაველი და რომელ ენებს ფლობდა; რომ იერუსალიმში, ათენში, როდოსის კუნძულზე არის ქართული ტაძრები, რომლებიც ააშენეს ქართველმა მეფეებმა. ამასთანავე, მიტროპოლიტმა ტიმოთემ როგორ ნახა იერუსალიმის ქართულ ეკლესიაში, ტაძრის კედლებზე, რუსთველის პორტრეტი. ავტორი ქება-დიდებით მოიხსენიებს რუსთველს. ავტორი წერს, რომ რუსთველის პოემის ხელნაწერები საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა თავადაზნაურების სახლებში, პირადად თვითონ კი ნანახი ჰქონდა პოემის სამი უძველესი ხელნაწერი, პერგამენტზე დაწერილი. ავტორი დაწვრილებით აღწერს მათ და მიუთითებს, თუ ვისთან ინახებოდა ისინი. აქვე საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ სტილზე, გმირებზე, ომსა და სიყვარულზე. ავტორი ადარებს რუსთველს სხვა მწერლებსა და პოეტებს და აღნიშნავს რუსთველის გამოჩეულობას. ასევე ყურადღება გამახვილებულია პოემის თანამედროვე ხელნაწერზე, რომელიც ძველი ტექსტისაგან განსხვავდება და იმედია, რომ დროთა განმავლობაში აღდგება ძველი ტექსტი. სტატიაში ავტორი წერს რამდენად მნიშვნელოვანია რუსთველის პოემა ქართველ ხალხისა და მთელი კაცობრიობისათვის. შემდეგ ავტორი საუბრობს მიზეზებზე, რომელთა შედეგადაც XVIII საუკუნის დასაწყისში ანტონ კათოლიკოსმა აუკრძალა ხალხს რუსთველის პოემის კითხვა. ასევე წერს პოემის სახეშეცვლილ თარგმანსა და რუსთველის პოემის ავტორისეული ტექსტის გადმოცემის აუცილებლობაზე.

K, 1970. N20, *მ.ჟ. ახალი წლის შეხვედრა გურიაში (კალანდობა)*

სტატიის ავტორი წერს, რომ კალანდობა გამორჩეული დღესასწაულია სხვა დღესასწაულებს შორის და ამ დღესთან არის ბევრი დაკავშირებული ადათ-წესი. თუ ამ დღეს გლეხი არ შეასრულებს ყველა იმ წესს, რომლებიც დათქმულია საუკუნეების მანძილზე, მაშინ იგი თვლის მთელ წელს დაკარგულად და ელოდება მრავალ უბედურებას. მთელი მოსახლეობა მზადებას იწყებს თვეებით ადრე ამ დღესასწაულისათვის. ამ დღისთვის თითოეულს უნდა გააჩნდეს საუკეთესო ღვინო, საკვები, იცვამენ საუკეთესო სამოსს. შემდეგ ავტორი დაწვრილებით აღწერს ყველა ადათ-წესს, რომლებიც დაკავშირებულია ამ დღესასწაულთან, თავად დემეტრე გურიელის რიტუალის მაგალითზე.

K, 1970, N68, ფილიპე ბრუნი, XVII საუკუნის ნახევრისკენ ამიერკავკასიის მხარის მდგომარეობის შესახებ თურქი ტურისტის ჩანაწერები

სტატიის ავტორი დაწვრილებით აღწერს თავის მოგზაურობას ამიერკავკასიაში, წერს იმაზე, თუ რომელი ტომები ცხოვრობენ და რა რაოდენობის მოსახლეობაა ამა თუ იმ რეგიონში, მათ იარაღზე, ტანისამოსზე, საცხოვრებელზე, ტაძრებზე და ა.შ. სტატიაში აღწერილია დაკრძალვის ადათ-წესებს აფხაზეთში. ჩვენ ვიგებთ, რომ ხის ყუთს, მიცვალებულით ამაგრებენ მაღალი ხის ტოტებზე, ტოვებენ ღია ადგილს მის სახესთან, რომ მიცვალებულმა უყუროს ცას, ამ დროს ფუტკრები ჩადიან ამ ყუთში, მთლიანად ეკვრიან გვამს და აკეთებენ თაფლს. რამდენიმე ხნის შემდეგ აფხაზები ხსნიან ამ ყუთს, აგროვებენ თაფლს და ყიდიან მას.

K, 1906, N 112, პრიევჟი, წმინდა დავითის მთა

კავკასიის, განსაკუთრებით ქ. თბილისის მცხოვრებთათვის, ცნობილია წმინ-

და დავითის მთა, ქართულად - მთაწმინდა,სადაც თავს იწონებს თეთრი ტაძარი. აქ მომლოცველები დადიან, წმინდა დავით გარეჯელს შეწყალება რომ სთხოვონ. ამ მთას თაყვანს სცემენ, არა მარტო ქართველები, არამედ - კავკასიის სხვა ხალხებიც განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა. მას ლექსი მიუძღვნა თავადმა ნ. ბარათა-შვილმა. რუსებისათვის ეს წმინდა მთა ცნობილია, როგორც ა. გრიბოედოვის სამუდამო განსასვენებელი. აქვე საუბარია მის დამსახურებაზე სამშობლოს წინაშე, ნინო ჭავჭავაძეზე და სხვა.

K, 1906, N17, აკაკი წერეთელი, მრავალჟამიერი

ხშირად ადამიანები სისულელეება აკეთებენ და ამას ხსნიან ტრაიციით, მოდით და მრავალი სხვა გაუგებრობით. ხალხი კი მათ ჰყვება როგორც ცხვრის ფარა.ერთმა ნასვამმა ჩვენი მრავალჟამიერი რუსულ მოტივზე იმღერა სუფრაზე და ახლა ეს აიტაცეს. ჯერ ხუმრობით ერთობოდნენ, მაგრამ შემდეგ ამან სერიოზული სახე მიიღო და მშობლიური საუკუნოვანი მოტივი დაივიწყეს. ასე იწამლება თაობები და შემდეგ უკვე ტრადიციად თვლიან. კაცმა დალევაშიც და გართობაშიც ზომიერება უნდა დაიცვას. ჩვენმა წინაპრებმა ეს იცოდნენ.

K, 1906, N24, ოპოჩინინი პ. ქორ-ოღლი

ავტორს ქართული თქმულება აუღია, რომელშიც მოთხრობილია ალგეთის მთაზე მობინადრე ყაჩაღ - ქოროღლის ამბავია მოთხრობილი და გაულექსავს. პოემა 6 თავისაგან შედგება. სქოლიოში განმარტებულია, რა არის: ჩონგური, საზანდარი, აზარფეშა, ნეკერი, კულა და სხვა სიტყვები (გაზეთის ეს ნომერი ვერ მოიძებნა, ამიტომ ანოტაცია მოგვაქვს ეთ. არჯევანიძის ნაშრომის მიხედვით).

K, 1907, N187, 1 სექტემბერი: გამოქვეყნებულია 3 განცხადება თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით:

1. თბილისის გუბერნიის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოსი;

2. თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და სამმართველოს გამგეობის, რომელიც იუწყება ბანკის ყოფილი ხელმძღვანელის გარდაცვალებას;

3. თბილისის სათავადაზმაურო საადგილმამულო ბანკის მომსახურეთა, რომელიც იძლევა ინფორმაციას, რომ პანაშვიდი შედგება 1 სექტემბერს 2 სთ. ქაშუეთის ეკლესიაში.

4. გამოქვეყნებულია წერილი,სადაც მოცემულია ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით.

K, 1907, N188, გამოქვეყნებულია: 1. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ილია წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს განცხადება;

2. ოლღა ჭავჭავაძისა და ეკატერინე საგინოვას (საგინაშვილის) განცხადება, რომელნიც სულიერი ტკივილით აუწყებენ საზოგადოებას პირველი მეუღლისა და მეორის ძმის გარდაცვალებას.

K, 1907, N189, ილია ჭავჭავაძის მეუღლისა და დის განცხადება ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო.

K, 1907, N192, თბილისის პოლიცმეისტერის განცხადება სიონის ტაძარში ილია ჭავჭავაძის პანაშვიდის ჩატარებასთან დაკავშირებით წესრიგის დასამყარებლად. ამ მიმართვიდან ჩანს, რომ ხელისუფლება დიდძალ ხალხს ელოდა და წინასწარ იჭერდა თადარიგს.

K, 1907, N193, თბილისის პოლიცმეისტერის განცხადება უდროოდ გარდაცვლილი თავად ილია ჭავჭავაძის დაკრძალვისას წესრიგის დასამყარებლად.

K, 1907, N193, რუ-სკი, ლექსი მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი.

K, 1907, N193, ა.მ., „თავად ი.გ.ჭავჭავაძის ხსოვნას“ სტატიაში საუბარია ილია ჭავჭავაძის ნეშთის თბილისში გადმოსვენების შესახებ.

K, 1907, N194, „თავად ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა.“

9 სექტემბერს სიონის ტაძარში ჩატარდა ილია ჭავჭავაძის დაკრძალვასთან დაკავშირებული ცერემონიალი, სადაც წარმოითქვა გამოსათხოვარი სიტყვები, წაიკითხეს მისი ლექსები, ნაწყვეტები პოემებიდან. შემდეგ ნეშთი გადასვენებულ იქნა წმინდა დავითის მთაზე. სამარე გამოიკვეთა ტაძარსა და წყაროს შორის კლდეში. საერთოდ ძალიან ამაღლებულად ჩატარა დაკრძალვის ღონისძიება-გვირგვინები იყო მრავალი ორგანიზაციიდან; წმინდა დავითის მთაზე გამოსათხოვებელი სიტყვები წარმოსთქვა ბევრმა დიდმა მოღვაწემ (ჩამოთვლილნი არიან გამომსვლელები), რაც გვიან საღამომდე გაგრძელდა.

K, 1907, N206, ოლღა ფადეევის ასულიჭავჭავაძე ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებული გულწრფელ მადლობასმოახსენებს ყველას, ვინც პატივი მიაგო მის უდროოდ დაღუპულ მეუღლეს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს.

K, 1908, N50, აქ გამოქვეყნებული 2 განცხადება იუწყება:

1. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა და დეპუტატთა საკრებულო და
2. თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი იუწყებიან, რომ თავად ილია გრიგორის ძე ჭავჭავაძის გარდაცვალების ნახევარ წლისთავთან დაკავშირებით 2 მარტს ჩატარდება სულის მოსახსენიებელი ლიტურგია და პანაშვიდი წმინდა დავითის ეკლესიაში დღის 11 სთ.

K,1908, N198, აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი იუწყება, რომ 31 აგვისტოს წმინდა დავითის ეკლესიაში ჩატარდება ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით ლიტურგია და პანაშვიდი.

K, 1908, N199, აქ გამოქვეყნებულ 2 განცხადებებში:

1. თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა და
2. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელისაზოგადოების გამგეობა

აცხადებენ, რომ კვირას 31 აგვისტოს პოეტისა და საზოგადო მოღვაწის თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის ტრაგიკულად გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით წმინდა დავითიოის ეკლესიაში ჩატარდება სულის მოსახსენიებელი ლიტურგია და პანაშვიდი. დასაწყისი დილის 10 სთ.

ЗУРНА, 1855, გვ.155-174, ი. ცისკარიშვილი, «სიყვარულის ლერწი»: ქისტები და თუშები შამილის გამოჩენამდე მეგობრულად ცხოვრობდნენ და მათ შორის ნათესაური კავშირიც იყო. მათი ახალგაზრები დაოჯახებულან კიდეც. ქორწინებისას ისინი ფიცს სიყვარულის ლერწთან დებდნენ.

სიყვარულის ლერთან დაკავშირებით არსებობს თქმულება ომერ-ალისა და გაზელას უბედურ სიყვარულზე, რომელსაც წვეულებებზე მღერიან. თურმე ომერ-ალის მსახურმა უღალატა და ისე მოაწყო, რომ შემთხვევით ომერ-ალის შემოაკვდა თავისი სატრფო. შემდეგ კი ამაზე გამწარებულმა თავი მოიკლა - ქალს ზედ დააკვდა. მოღალატე სურხას ცხედარი მიწამ არ მიიღო, სული კი - ალაჰმა და მისი ძვლები მხეცებმა დახრეს. ქისტი შეყვარებულების საფლავზე კი ამოიზარდა ორი ვაზი,რომლებიც ახლო მდგომ ხეებს აყოლილნი გადაეწნენ ერთმანეთს, მსგავსად მათ ქვეშ მყოფი ახალგაზრდებისა. ლერწთა ეს უცნაური ჩახლართვა ხალხმა ღვთის ნებით ახსნა და ამ ადგილს საყოველთაო პატივს მიაგებენ. ახლა ყოველი ახლად დაქორწილებული ქისტი წყვილი ქორწინების რიტუალის შემდეგ წმინდა საფლავზე წარმოსთქვამს ერთგულების ფიცს.

ЗУРНА, 1855, გვ. 155-174. ი. ცისკარიშვილი, «სიყვარულის ლერწი»:

სტატიაში აღწერილია ძმადგაფიცვის რიტუალი და ნაჩვენებია, თუ რაოდენ წმინდაა ეს ურთიერთობა.

აქვე ახსნილია სისხლია აღების ტრადიციის დანიშნულება: თურმე უძველესი რწმენის მიხედვით ითვლებოდა, რომ მოკლული მკვლელის მონა იქნებოდა «იმ» ქვეყანას, სანამ მოკლულის ნათესავები სისხლს არ აიღებდნენ და მას არ გაათავისუფლებდნენ ამ ტანჯვისაგან.

СМОМПК, 1891, 12,

ტომი ეძღვნება ადიღეელების, კერძოდ. ყაბარდოელების ისტორიას, ყოფით კულტურას, ეთნოგრაფია-ეთნოლოგიას, ზეპირსიტყვიერებას.

ყაბარდოული თქმულებები, გადმოცემები, ზღაპრები დაბეჭდილია ტალიბ კაშეჟევის მასალით, გადმოცემა „მზეთუნახავ ელენესა და მოყმე ქალზე“ ჩაწერილია „გამომცემლობის“ მიერ 1889 წელს კორმოვოში ამ აულის მცხოვრები პსაბიდე კაშეჟევისაგან. ახლავს ლ. გ. ლოპოტინსკის წინასიტყვაობა.

ტამბიევის გადასახლება ყაბარდოში (გვ. 13-20). მას ახლავს გამომცემლის შენიშვნა: ეს გადმოცემა კლაპროტთანაც გვხვდება (Klaproth, Reise in den Kaukasus, 1812, I, გვ. 563). იქ თურქების ნაცვლად ფრანგები იხსენებიანო. ნოგმოვს კი არ მოეპოვება ეს გადმოცემაო.

აქ მოთხრობილია: ყაბარდოელების თავდაპირველი განსახლების, შავიზღვისპირეთის დასავლეთიდან გადასახლების შესახებ; ყაბარდა ტამბიევის ამბები: მის ცოლზე ჟანაზე ბატონის დევნა-შევიწროვება, ტამბიევის გადასახლება ყაბარდის ხანთან დაახლოება, დასახლება, კალმიკების ხანთან დამეგობრება. ხანს მისი ცოლი მოუვა თვალში, ტამბიევს ცოლების გაცვლა შესთავაზა. ცოლმა ურჩია, მიმყიდე და საფასურად მთელი მიწები მოსთხოვე, რაც კი აქვსო. ხანმა იყიდა ჟანი და იქაურობას გაეცალა. ტამბიევმა სამყოფელი გაამაგრა, ბევრი გადასახლდა მასთან და ძლიერი აული შექმნა. გავიდა თორმეტიოდე წელი. მისი ქალიშვილი ზულიხანი გასათხოვარი გახდა. დღეობა გაიმართა, რომელზეც მივიდა მხედარი, მას კუდენცი ერქვა. ტამბიევმა ასული მისცა, მზითევში იქაური მიწები ითხოვა პატარძალმა. ტამბიევმა მისცა. ისინი დასახლდნენ მდინარეების **ჩეგემის, მალკის, ბაქსანის** და სხვა მდინარეთა სანაპიროებზე და გამრავლდნენ. პირველი აულის სახელის მიხედვით ყაბარდოელები დაირქვეს.

1. ყირიმელები ყაბარდოში (გვ. 21-26).

ყირიმის ხანმა მამაიმ დაიპყრო ყაბარდოელები და მძიმე ხარკი დაადო. ყაბარდოს ბატონი ამ დროს იყო **კურგოკო ატაჟუკინი**. ერთ შეძლებულ ყაბარდოელს მინშაკს ლამაზი ცოლი ჰყავდა. ბატონმა იგი ისურვა. ქმარმა უარი უთხრა. ყირიმელებამდეც მიაღწია ამ ამბავმა, შეაბეს ურემში. რამდენიმე ხანს დაატარებდა ფაშას, ვიდრე ძალაგამოლეული არ დაეცა. ყირიმის ხანმა მისი დასჯა გადადო.

მდინარე მალკის შენაკადთან, სოფელ კარმოვში ორი ძმა კარმოვი ცხოვრობდა - **კანუკო** და **კანდოხო**. ერთხელ ხანი იყო მათთან სტუმრად და მათი და ითხოვა. მან შეჯიბრი გამართა, კარმოვების გლეხმა ზეიმ მისი ფალავანი დაამარცხა. ხანმა თავში ყალიონი ჩასცხო ბეისკ და გაუტეხა, მაგრამ ბეი გადარჩა. კორგუკომ გადაწყვიტა გაეძევებინა ხანი. შეკრიბა ხალხი და ღამით ყირიმელების დახოცვა დაგაწყვიტეს. ხანი მისმა ცოლმა იხსნა - ბეის გადაეღობა. ბეის ორი ვაჟი ჰყავდა - კაშეჟი და შერუ. მათგან არიან **კაშეჟევები** და **შერუოვები**. ბეიმ გააპარა ხანი. ეს ამბავი ერთ კარმოვ ძმას უთხრა. იგი ჩავიდა ყირიმში ხანთან და სტუმრად დარჩა. კარგად უმასპინძლეს, ბოლოს სახლისაკენ გაემართა. მას ძვირფასი ცხენი აჩუქეს.

ხანის გაქცევის შემდეგ კურგოკომ დარჩენილი ყირიმელთა ლაშქარიც დალაშქრა, გააქცია. ნაწილი გადარჩა, ყაბარდოელებმა კი დევნა შეწყვიტეს.

თქმულება ძმები ეშანოკოვებისა (გვ. 27-36).

ძველად ყაბარდოში ძმები ეშანოკოვები ცხოვრობდნენ: უფროსი - უოზურმესი, შუათანა -თემირკანი, - უმცროსი, უწლოვანი - უოზირმეგი. ისინი მეომრები იყვნენ, არავის არაფერს შეარჩენდნენ. ხალხს მათი ეშინოდა. მათი სისასტიკე ადიღელებისათვისაც გახდა ცნობილი.

ერთხელ მათს დედას გზაში მათზე არანაკლებ თავზე ხელაღებული კეფიშევები დახვდნენ და მოხუც ქალს ცხვირი მოაჭრეს. შვილები გაცეცხლდნენ, მაგრამ მოცდა ამჯობინეს. მოსახერხებელი დრო შეარჩიეს – სასამართლოზე მოწმედ დაუდგნენ მტრებს, გადაარჩნეს. თან დაამატეს, რომ დედის შეურაცხყოფას არ აპატიებდნენ. კეფიშევებმა ხერხი იხმარეს, მივიდნენ ცხვირმოჭრილ დედაბერთან, ძუძუ მოწოვეს და მისი შვილები გახდნენ.

ძებმა უორიზმესმა და ტემირკანმა სხვისი ხელით მაინც დახოცეს კეფიშევები (კედლის ქვეშ გააჭყლეტინეს). ეშანაკოვებმა მიაღწიეს საწადელს, მაგრამ ხალხური ადათწესი მაინც დაარღვიეს. ამ ამბავმა დასავლეთელი ადიღელების ხანამდეც მიაღწია. მას კუიციკოკოვი ერქვა. მან არ აპატია ძმებს ეს საქციელი. ჩავიდა მათ დასასჯელად, დაუახლოვდა, ათასი ფათერაკი გადახდა, მაინც ვერაფერს გახდა. ძმებმა კუიცოკოვები დახოცეს, ბოლოს მათაც იგივე ბედი ეწიათ: უოსირმესი და ტერმიკანი კალმიკებთან ომში დაიღუპნენ.

გადმოცემას ახლავს შენიშვნა, სადაც ჩამწერის შეხედულებებია გაანალიზებული გადმოცემაში ასახულ ფაქტებთან დაკავშირებით.

ელბრუსი (გვ. 37-41). კავკასიონზე ყველაზე მაღალი მთაა ორთავა ოშხამახო, თოვლიან-ყინულიანი მწვერვალებით. მოკდავთაგან არავინ ასულა მის მწვერვალზე. ოდესღაც ერთმა მოყმემ (ცალთვალამ) გადაწყვიტა ღმერთის (Тва) საიდუმლოს გაგება და კლდის ნაპრალში შევიდა. ღმერთმა არ აპატია თავხედობა და ჯაჭვით მიაბა კლდეზე. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მოყმე დაბერდა. თეთრი წვერი მუხლამდე სწვდებოდა. ღმერთმა სასჯელად მტაცებელი ფრინველი მიუჩინა. ქორი ყოველდღე კორტნის გულღვიძლს, წყალს უქცევს, მწყურვალს ტოვებს. ეს წყალი უკვდავებისაა. დადგება დრო, ღმერთი გაბრაზდება ადამის შვილებზე, აუშვებს ცალთვალას, გაიყვანს გარეთ და ვაი, ხალხს. შურს იძიებს წამებისათვის.

ყაბარდოს ყირიმელი თათრები დაესხნენ თავს, მრისხანე ხანს შაგინ გირეის მოუნდა შახმახოს მწვერვალზე ასვლა. დაიწყო ასვლა და მოესმა ხმა: დაიცა, დაიცაო. ხანი უკან დაბრუნდა, იგი კლდეზე მიჯაჭვულმა მოხუცმა შეაჩერა. უცხო ხალხი მაინც ახერხებდა ასვლას. ინგლისელები ავიდნენ. როცა მათ ჰკითხეს, რა ნახეთო, არავინო - უპასუხეს. წყლის წამოღება შეიძლება, მაგრამ ოშხამახოს წყლის დალევა **ღმერთმა** აკრძალაო.

ახლავს შენიშვნა, სადაც მითითებულია თუ ვინ გამოიყენა ეს თემა თავისი მოთხრობისათვის. მიმოხილულია ძვერბერძნული წყაროები.

მაშუკა (გვ. 41-43). იქ, სადაც ახლა ქალაქი გორიაჩევსკაიაა, ადრე იყო აული კარდანა გიატეჟევისა.

კარდანას თხების ჯოგი ჰყავდა. მისი ერთი დიდი თეთრწვერა თხა ერთ სათლ რძეს იწველიდა. ერთ დღესაც უკლო რძეს და ბოლოს სულ აღარ იწველებოდა. კარდანმა მწყემსი დაიბარა და მიზეზი ჰკითხა. მწყემსი დაუდარაჯდა და ნახა, რომ თხა ბუჩქის ძირას ძუძუს ჩვილს აწოვებდა. ბავშვი ხელში ვერ აიყვანა, ისეთი ცხელი იყო, ხელები და პირი-სახე დასწვა. როგორც იქნა აიყვანა, სიცხეც გაქრა. სახლში წაიყვანა, მაშუკა დაარქვა. ბავშვი საათობით იზრდებოდა, ძლიერი და ხერხიანი დადგა. 12 წლისა სანადიროდ დადიოდა. ნანადირევი და ძვირფასი ნივთები მიჰქონდა სახლში. ერთ დღესაც სადღაც გაემგზავრა. მამამ სახლი აუგო. დამ ერთი დახეთქილი კედელი თიხით გაულესა. მაშუკამ დატოვა სახლი, მთაზე დადგა და აღარ დაბრუნებულა. რამდენიმე ხნის შემდეგ კარდანის ძმა ესტუმრა. მაშუკო ჯინი იყო. მთას მისი სახელი ეწოდა.

შენიშვნაში ნათქვამია, რომ შორი ნოგმოვმა ამ თქმულების სხვა ვარიანტი მოიპოვა. მის მიხედვით, ყირიმის ხანმა ყაბარდო რომ დაიპყრო, მაშუკომ უარი უთხრა გამაჰმადიანებაზე და ახლობლებთან ერთად გაექცა თათრებს. მაშუკა როცა მთაზე იმალებოდა, ხეობაში მოკლეს დადარაჯებულებმა. სოფელ კორმოვოში ცხოვრობს მუშაკოს გვარის ოჯახიო.

ბეშტაუ (გვ. 45-47).

ხუთთავა **ოშხატხუს** (ყაბარდოულად ბეშტაუ) კალთაზე ერთი ველია, სადაც მთელი ყაბარდოდან იყრიდნენ თავს ნართები და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყოველთვის იყო იქ ნართი სოსრუყო. ნართების ერთმა ნაწილმა ღმა გორაზე აიტანა ჯადოსნური ბორბალი (ჟან-შარხი). მას წვეტიანი რკინის კბილებით, გორაზე მდგარი ნართები ქვევით აგორებდნენ. სოსრუკო ქვევით იდგა და ხელებით აწვებოდა ბორბალს. ნართები ვერ იტანდნენ სოსრუკოს, მაგრამ ვერაფერს უხერხებდნენ, მათ ყველაფერში ჯობნიდა.

ნართებს ერთმა დედაბერმა შეატყობინა, რომ სოსრუკოს გვერდი ჰქონდა სუსტი. უთხარით იმ გვერდით მიაწვესო ბორბალს. სოსრუკოს დაავიწყდა თავისი სისუსტე, გვერდით მიაწვა ბორბალს და ცოცხალმკვდარი დაეცა. შეახტა თავის სასწაულ ცხენს, ზღვის პირას სამარე გათხარა, ჩაწვა. ცხენი გაქრა. ახლაც ჩანს ოშხამახოს იქით, ზღვის ნაპირას ყორღანი სოსრუკოსი.

შენიშვნაში ნათქვამია, რომ ყაბარდოში თავდაპირველად ნართები ცხოვრობდნენ. ისინი გამორჩეულები იყვნენ: ფიზიკურად ძლიერები, მაგრამ არ გამოირჩეოდნენ იქ მათზე ადრე მცხოვრები ბუმბერაზებისაგან ჭკუითა და საზრიანობით. ნართებში გამოირჩეოდა სოსრუკო, ის ჭკვიანი და ეშმაკი იყო. დედა სატანეი მას ეხმარებოდა თავისი ჯადოქრობით. სოსრუკოსა და სხვა ნართების გმირობები ბილინების დიდი თემაა არა მარტო ადიღეელებში, არამედ აბაზინელებში, თათრებსაა და ოსებში.

ტბა შატხურეი (გვ. 48-50)

ერთი ცხვრის ფარის პატრონი ცხვრებს ყოველთვის აძოვებდა მდინარე ჟემანკულის ნაპირას, იქვე თიბავდა და ფარეხიც იქა ჰქონდა. ერთ დღეს ცუდი ამინდი დადგა. მწყემსებმა ცხვარი ფარეხში შერეკეს, თვითონ კი ცეცხლს შემოუხსდნენ. პატრონმა მათ მოუწონა საქციელი, შეაქო, გააფრთხილა – ამაღამ ფარეხში ხმაური ატყდება და რაც არ უნდა მოხდეს, შიგ არ შეხვიდეთო. მწყემსებმა დაარღვიეს მი-

თითება. ცხვრის ფარა ორმა თეთრმა შავყურება ცხვარმა ტბაში ჩაიტყუა. მეორე დღეს პატრონიც თავისი ბარგი-ბარხანით ტბაში გაუჩინარდა.

ტბა შატხურეი ახლაც ცხვრის ბეწვს მოიგდებს ხოლმე. ეს იმ ფარისააო - ამბობენ.

შენიშვნაში მითითებულია, რომ ტბა შატხურეი სოფელ კარმოვასთანაა. ყაბარდოელები მოჯადოებულს უწოდებენ. არ შეიძლება მასში ბანაობა, ვინც სცადა, უკან ვეღარ მოვიდა. მითითებულია, რომ 1883 წელს კრებულის III გამოცემაში გამოქვეყნებულია ამ გადმოცემის ვარიანტი, რომელშიც ყარაჩაის **ტბა ხურლაკიულზეა** ლაპარაკი.

მშვენიერი ელენა და მოყმე-ქალი (გვ. 51-77).

შავი ზღვის პირას ციხე ქალაქი იყო. მისი პატრონი იყო ყარაბატირ ზანე (სვანები მერელებს უძახიან ზანებს - გამომც. შენიშვნა). ზანე გაემგზავრა მეზობელ ქვეყნებში საცოლის მოსაძებნად. ბოლოს იპოვნა ერთ ქვეყანაში სასურველი მზეთუნახავი, ელენე, დაქორწინდა და სახლის გზას დაადგა. ამ ქვეყანაში იყო ჩვეულება - ქორწინებიდან ორი კვირის შემდეგ ზანე სამოგზაუროდ წავიდა. იგი ორ თვეში ქალაქ შახარში, სტამბოლის ახლოს, ჩავიდა. უცხო ლამაზი ვაჭარი, იგი ბატონის ცოლს ელენეს დაუახლოვდა და მოიტაცა ელენე. დაბრუნდა ტარაბადირი ზანე, ცოლი აღარ დახვდა. სახლთან ერთი მოხუცი გადაეყარა. მისი რჩევით ცოლის საძებრად გაემგზავრა. გზაში გემზე ულამაზესი ჭაბუკი შეხვდა და დამეგობრდნენ. ერთად დაუწყეს ძებნა ელენეს. იპვოვა ელენე სხვის სახლში, გააგდო მათხოვრად გადაცმული ქმარი, თუმცა კი იცნო. ყარაბატირზანემ იარაღით დაიბრუნა ცოლი, გემზე აიყვანა. დაბრუნდა თანამგზავრთან ერთად. ჭაბუკმა ნადავლის - ელენეს შუაზე გაყოფა მოითხოვა და ხმლით შუაზე გაჭრა ელენე. ყარაბატირზანემ ელენეს თავი აირჩია - ხალხმა დაინახოს, ხელცარიელი რომ არ დავბრუნდიო. დაემშვიდობა თანამგზავრი: - ელენე ერთგული ცოლი არც ყოფილა, შენ ცოლად **ბარახუნოვების** და გამოგადგებაო. ზანე გაემგზავრა მის საძებრად. ჩავიდა ბარახუნოვებთან, იხილა მათი და, მოიპოვა, საქორწინო ნადიმი გამართა. იქ მომღერალმა ელენეს ამბავი იმღერა. დაღონდა ზანე. ქორწინების ღამეს ქალმა იარაღი აისხა, ამხედრდა და რაზმს ჩაუდგა სათავეში და მტრის დასარბევად გაემართა. ზანეც გაეშურა, გამარჯვებულები დაბრუნდნენ. ნადავლის გაყოფისას მეომარმა ქალმა ვერ იხილა დამხმარე. ქალი მისი ძველი თანამგზავრი აღმოჩნდა. ძმებმა უხვად დააჯილდოვეს ზანე და ისე გაისტუმრეს.

შენიშვნაში საუბარია (ფაქტობრივ, ესაა ვს. მილერის ნარკვევი, რომელიც ლ. ლოპატინსკის თხოვნით არის დაწერილი (გვ. 70-77)). ზღაპრის რთული აღნაგობის - ცალკეული საზღაპრო მოტიცების კომბინაციასა და უჩვეულობაზე; განხილულია მისი ცალკეული ნაწილები, წამოდგენილია სხვადასხვა ცნობები.

ხაგორის ზღაპარი (გვ. 78-88)

ერთ აულში ჩაუქი ცხოვრობდა, **ხაგორი ერქვა**, მოიზარდა და ცოლი შეირთო. მას ჯადოსნური მათრახი ჰქონდა და იმით ქმარი ძაღლად აქცია. ძაღლადქცეული გზას გაუდგა. უამრავი რამ გადახდა – განკურნა მწყემსის მოჯადოებული ცოლი. მერმე ცოლმა მამლად გადააქცია. ჯადოქრის დახმარებით ხაგორმა ცოლს სამაგიერო გადაუხადა. მეორედ დაქორწინდა. გავიდა ხანი, ხაგორი სანადიროდ

გაემგზავრა. გზა აებნა, ცალთვალა ბუმბერაზს გადაეყარა. გამოქვეყნებულიდან მას თხის ტყავგადაცმული გაეპარა, დაბრუნდა სახლში.

ხაგორს რვა შვილი ჰყავდა, რომელთაც თავისი თავგადასავალი უამბო. მათ ბუმბერაზის ნახვა მოინდომეს. ცალთვალამ შვილები დაუჭყლიტა. ხაგორი სახლშ მარტო დაბრუნდა. ხაგორის სოფელში ერთი ახალგაზრდა მონადირე ცხოვრობდა. გაიგო ხაგორის ამბავი. მოძებნა ხაგორი და ერთად წავიდნენ ცალთვალასთან გამოქვაბულში. მან შეკოჭა ცალთვალა, გააცოცხლებინა ხაგორის შვილები, მოკლა ბუმბერაზი. მთელი მისი ქონება წაიღეს და სახლში დაბრუნდნენ.

შენიშვნაში ლაპარაკია ზღაპრული მოტივების შერწყმაზე, მსგავს სიუჟეტებსა და სხვათა მიერ ჩაწერილ ტექსტებზე (გვ. 86-88).

ვისი დამსახურებაა მეტი? (გვ. 89-92)

იყო ერთი მდიდარი ხანი. სამი ვაჟი ჰყავდა. უფროსმა მეზობელი ლამაზი და ობოლი გოგო დანიშნა. ქმარი საქმეზე წავიდა და იქ დიდხანს შერჩა. ამ გოგოს ახლა შუათანა ძმამ შესთავაზა თავი. გოგო დაეთანხმა, უფრო ძმის ამბავი კი დაუმალა. შუათანა მეზობელ სოფელში გააგზავნეს. გოგოს ახლა უმცროსმა სთხოვა ხელი. გოგო მასაც დათანხმდა. დაბრუნდნენ უფროსი ძმები. ცოლის შერთვა მოინდომეს და გაირკვა ყველაფერი. ყადს მიმართეს სამართლისათვის – რა უნდა მექნაო ობოლს და ღარიბსო - უპასუხა გოგომ, - ერთი რომ შევარჩიო, სხვები მეტყვიან, ჩვენ რიღათი ვართ ნაკლებიო. წავიდნენ და ისეთი რამ მომიტანონ, არავის რომ არ უნახავსო. წავიდნენ ძმები. ჯადოსნური სარკით შეიტყეს გოგო სიკვდილი, მფრინავი ხალიჩით დაბრუნდნენ სახლში, უმცოსმა უკვდავების წყალი აპკურა - გააცოცხლა. გაიმართა კამათი - ვის ეკუთვნოდა ქალი. ბაბილონში წავიდნენ სამართლის საძიებლად. გოგო ისევ მოკვდა და დამარხეს.

შენიშვნაში ნათქვამია: ამ ზღაპრის სვანური ვრიანტი დაბეჭდილია კრებულის V გამოცემაში. ბაბილონის ხსენება გვავარაუდინებს, რომ აქ „ათას ერთი ღამის“ ზღაპრების მოქმედებათა სივრცე გვეხმიანება (გვ. 92).

ვინ მეტია? (გვ. 93-96).

ძველ დროს კავკასიაში ერთ პატრონს ისეთი დიდი ხარი ჰყავდა, რომ წყალს როცა ასმევდა, ყველა მდინარე შრებოდა. შავ ზღვაში დაჰყავდა. ერთხელ მისმა სამმა ვაჟამ წაიყვანა. გზაში ერთი მხედარი შეხვდათ. ჩაიყვანეს, ზღვის წყალი დაალევინეს, უკანა გზაზე კი ხარი არწივმა გაიტაცა. გავიდა დრო. იმ ადგილას მოხუცი თხებს აძოვებდა. არწივი დააფრინდა თხას, რომლის წვერებსაც თავს აფარებდა ავდარს მწყემსი. არწივი აფრინდა და ხარის ბეჭი მწყემსს ჩაუვარდა თვალში. ამოუღეს და სტეპში გადააგდეს. დროთა განმავლობაში ბეჭი მტვრით დაიფარა. ერთმა მელამ დაუწყო ხრა. დაუდარაჯდნენ და მოკლეს, ტყავი გააძრეს. თავის ქალა სტეპში გაგორდა. მას უამინდობაში ორმოცმა ურემმა შეაფარა თავი. ძაღლი გადაეყარა თავის ქალას, სტაცა პრი და წაიღო. ხმაურზე პატრონებმა მელას ქალაში 40 ურემი და მეურმეები აღმოაჩინეს - მარილზე მიმავალნი. პატარა ბიჭმა ჯიბიდან ერთი კვნიწი მარილი ამოიღო, გადაუგდო და მთელი მთა აღმოჩნდა. მეურმეებმა გაინაწილეს და გზას გაუდგნენ.

შენიშვნაში მითითებულია, რომ ამ ზღაპრის ოსური ვარიანტი დაბეჭდილია „СМОМПК“-ის VII კრებულსა და „ССКГ“-ის III გამოშვებაში (გვ. 96).

ერთი მეორეზე საზრიანი (გვ. 97-101).

ერთ აულში სამი ძმა ცხოვრობდა. ერთმა ერთხელ ცხენი დაკარგა. დაიწყეს ფიქრი, ვინ უნდა ყოფილიყო ქურდი. საშუალო ტანის, ცხვირაბზეკილი და ჟღარწვერა უნდა იყოსო - დაასკვნეს და მის საძებნელად წავიდნენ. ბევრი ეძებეს, ბევრი გადახდათ. ერთ ხანთან მოხვდნენ. იქ იპოვნეს და დაბრუნდნენ იმის რწმენით, რომ ერთი ჭკუა კარგია, ორი კი - უკეთესი.

შენიშვნაში აღნიშნულია: მსგავსი სიუჟეტები აქვთ აღმოსავლეთის ხალხებს, რომლის მიზანიც მახვილგონიერების გამოვლენაა (გვ. 101).

ვინ უფრო სულელია? (გვ. 102-105).

ერთხელ მოლამ მეჩეთში იქადაგა – ადამიანს სახეზე აწერია ყველაფერი წითურწვერა კაცი სულელია. მეჩეთში ერთი წითურწვერა მლოცველი იყო. აქ არაფერი დამბრალდესო, წვერის შეჭრა გადაწყვიტა. მაკრატელი არა ჰქონდა ხელთ. წავალ, ჩემზე სულელ წითურწვერას ვიპოვნიო. ერთი ნახა, გაიცნო, თავისი ამბავი უამბო. მან თავის ძროხის რქებში გაყო და გაეჭედა. ძლივას გამომაძვრინესო. მოდი, ჩვენზე სულელი მოვძებნოთო. გაუდგნენ გზას და, ერთ ქალაქში ჟღალწვერა ნახეს. უამბეს თავიანთი ამბავი. მან თავისი უთხრა: ფანჯრიდან ვიფურთხებოდი გამვლელ-გამომვლელზე. ფანჯარაში ცხვირი მომყვა. უცხვიროდ დავრჩი. მერმე ყადად ამირჩიეს, მერმე კვერცხი გადამეყლაპა, ყბა გამოჭრეს, ამომიღესო. თქვენი სისულელეების შემდეგ ჩემი მესამე და მეოთხე იქნებაო. მიხვდნენ, რომ ადამიანები სულელებად იბადებიან.

შენიშვნაში აღნიშნულია: მთლიანად ხალხურ ტექსტად მიჩნევა შეუძლებელია. ხელოვნური ხასიათი აქვს, გვიანდელი გადაკეთებების კვალიც ეტყობა. გვხვდება სხვა ხალხებთანაც, ყაბარდოულში კი ორიგინალურია სულელებს შორის შეჯიბრი (გვ. 105).

ავი ცოლი და ურჩხული (გვ. 106-111).

ერთ აზნაურს ავი ცოლის პატრონი გლეხი ჰყავდა. საშველი აღარა ჰქონდა. ერთხელ, როცა გლეხი ტყეში შეშაზე წავიდა, დიდ ორმოს გადააწყდა, იფიქრა: აი, ამაში რომ ჩამაგდებინა, დავისვენებდიო. შეიტყუა ცოლი, ჩააგდო ორმოში. იქ ურჩხული ცხოვრობდა. ქალი ახლა მას დაეტაკა.

გავიდა ხანი. კაცი ტყეში იყო და ორმოდან ხმაური მოესმა, მივიდა ამბის გასაგებად. ურჩხულმა ამოყო თავი და შეევედრა, შემჭამა ავმა ქალმა, მიშველეო. კაცმა აიყვანა ურჩხული ზემოთ, ცოლი ორმოში დატოვა. ურჩხულმა სოფელს წყალი გადაუკეტა. მოხუცი გლეხის თხოვნით კი დაუბრუნა. მეორე სოფელსაც უშველა მოხუცმა, ახლა მესამეს რომ გადაუკეტა ურჩხულმა წყალი, მოხუცმა ჭკუა იხმარა, გაიქცა ურჩხულისაკენ და უყვირა: - თავს უშველე, ჩემი ავი ცოლი მოდისო. ურჩხული უფრსკულში გადაეშვა და თავი მოიკლა.

შენიშვნაში აღნიშნულია, რომ ბოროტი (ავი) ცოლის თემა უაღრესად გავრცელებულია სლავური მოდგმის ხალხებში. კრებულის VII გამოშვებაში დაბეჭდილია ზღაპარი „ცოლი-მოკამათე“. განსხვავება იმაშია, რომ ავი ცოლი სხვაგან, ორმოს ნაცვლად, წყალში ვარდება (გვ. 110).

ყველა თავისებურად ყაჩაღია (გვ. 112-116).

ერთ აულში ერთი ხანი ცხოვრობდა. ერთი ასული ჰყავდა და მისთვის არაფერს იშურებდა. ერთ დღეს გაავდრდა. ხანმა დაკარგა შვილი. ხალხი შეყარა რჩევისათვის. იმ სოფელში ერთი ღარიბი ქვრივი ცხოვრობდა, კაცებთან ერთობოდა. სოფლელებმა ხანის უბედურების მიზეზად ამ ქალის აღვირახსნილობა დაასახელეს. ქალი გააძევეს აულიდან. მისი ვაჟები უჩვეულოდ ძლიერები იყვნენ. დედამ ეს რომ შეიტყო, მივიდა ხანთან და უთხრა, რომ მისი შვილები გამოიხსნიდნენ მის ქალიშვილს ურჩხულისაგან. შვიდი ვაჟიშვილი მიიყვანა ხანთან, მათ პირობა დადეს. ხანმა ქალი აულში დააბრუნა. ძმებმა პირობა შეასრულეს - ხანს შვილი დაუბრუნეს. ურჩხულმა კვლავ სტაცა ხელი, მაგრამ ვეღარ გაიტაცა, ერთმა ძმამ კი ხანის ქალიშვილი შეირთო.

შენიშვნაში ნათქვამია: ქალიშვილების გატაცება გავრცელებული მოტივია. ერთგან გველეშაპი იტაცებს, სხვაგან - კაშეი ბესსმერტნი. რუსულ ზღაპრებში მხსნელი ივანე მეფისშვილია, ერთ ზღაპარში კი მშვენიერ ელენეს ძმები სემიონოვები ათავისუფლებენ (გვ. 115-116).

ხანის ქალიშივლი და მონადირე (გვ. 117-122).

იყო ერთი მონადირე შამილი. მოხუცი დედა ჰყავდა. ერთხელ ნადირობისას ვეება არწივს გადააწყდა, უნდა ესროლა, მაგრამ ხმა მოესმა: - არ მომკლა, გამოგადგებიო. არწივმა ბუმბულის ღერო მისცა, დამიძახებ და შენთან გავჩნდებიო. ასევე მოექცა მას გარეული თხა. მერე წყალში ოქროს თევზი დაიჭირა, თევზმა - დაგჭირდებიო და ოქროს ქერცლი მისცა. მონადირემ ისიც გაუშვა. მერე ტყეში მეკლა დაიჭირა და გარკვეულ პირობით ისიც გაუშვა.

შამილი უცხო ქალაქში მოხვდა, იქ ერთ დედაბერთან დაბინავდა, შეიტყო, რომ იმ ქალაქის ხანს გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა, ცოლად მას გაჰყვებოდა, ვინც მისგან დამალვას შეძლებდა, ვინც - არა, ჩამოახრჩობდა. შამილმა დამხარეთა ხელშეწყობით დამალვა შეძლო. ხანის ასული ყელზე მოეხვია და გაჰყვა ცოლად.

შენიშვნა იუწყება, რომ მსგავსი სიუჟეტები სხვა ხალხებისათვისაც არის ცნობილი (გვ. 122).

ცელს ქვა დახვდა (გვ. 123-129).

იყო ერთი მდიდარი მოხუცი, სამი შვილი ჰყავდა: ასლბეკი, ბათირბეკი და კაირბეკი. ისინი ჭკუათხელები იყვნენ. მამამ იხმო შვილები, დაარიგა, აუხსნა, რა ძნელად იშოვებოდა ლიკმა-პური, რჩევა მისცა - ჟღალწვერასთან საქმე არ დაიჭიროთო. მამის სიკვდილის შემდეგ ძმებმა ქონება გაიყვეს და მალევე გაანიავეს. ასლანბეკი ერთ ჟღალწვერას დაუდგა მოჯამაგირედ. ხარებს აძოვებდა. გაექცნენ, საღამოს კი მშივრები დახვდნენ სახლში. ის პატრონმა გააგდო. ახლა ბატორბეკი გადაეყარა მას, იგივე დაემართა. მერე კაირბეკი დაუდგა მოჯამაგირედ. მოხერხებით ხარები დაიმორჩილა და დახოცა. ახლა შინამოსამსახურედ დაუდგა და მთელი ფარა გაუწყვიტა. მერე გუგულად გადაქცეულმა ცოლიც მოუკლა. შური იძია ძმების გამო და დაბრუნდა სახლში.

შენიშვნაში მითითებულია: ამ ზღაპრის პერსონაჟი ძმების სახელები ცნობილია ოსური თქმულებიდან „ცნობილი მოყმე-მეომრის შვილის ასლან-კაურბეკის

შესახებ“ (ССКГ, გამოშვება IX). ამ ზღაპარს ოსურთან მაინც არაფერი აქვს საერთო.

ერთი მეორეზე დახელოვნებული ქურდი (გვ. 130-136).

ერთ აულში ორი ქურდი ცხოვრობდა: კაიტუკო და შერალუკო. შერალუკო ცხენის მოპარვისას დაჭრეს და მოკვდა. შერალუკოს შვილი ჰყავდა - ქუჩუკი. მივიდა მამის მეგობართან, ხელობა მასწავლეო. თანხმობა მიიღო. ქუჩუკი კაიტუკოს ესტუმრა, დედამისი დაუხვდა, უმასპინძლა, ცხვრის ხორცი მოიპარა, კაიტუკომ მოხერხებით დაიბრუნა. ბევრი სხვა ეშმაკობაც ჩაიდინა ქუჩუკმა, ცხენების ყარაულებიც მოატყუა - გაქურდა.

შენიშვნაში ნათქვამია: წინა ორ გამოცემაში (VII-VIII) გამოქვეყნებულია ამ ზღაპრის ორი ვარიანტი: VI გამოცემაში აფხაზური ზღაპარი „ორი ძმა“, IX გამოშვებაში - თათრული ანეკდოტი და ზღაპარი „ქურდთა ქურდი“, კრებულში „კავკასიის ეთნოგრაფია“, ტომი II, დაბეჭდილი მოთხრობა „ქურდ ზურაბზე“.

მცირეზე უფრო მცირე (გვ. 137-142).

ღარიბ დედაბერს სამი შვილი ჰყავდა. ჯუჯები იყვნენ, ისეთი პატარები, ვერავინ ხედავდა. ერთხელ სახლში სამი თხა მიიყვანეს. მადა გაეზარდათ. უფროსი საშოვარზე წავიდა. ერთ ბუმბერაზ მიწის მუშას გადაეყარა, მოჯამაგირედ დაუდგა. იმან უთხრა: - შენი თხა შემიწვი, შენი პური დამიჭერი და ერთად ვივახშმოთო. ჯუჯამ შეასრულა, ვახშამი ბუმბერაზმა შეჭამა და ჯუჯაც ზედ მიაყოლა. ძმები დიდხანს ელოდნენ უფროსს. ახლა შუათანა წავიდა... ბუმბერაზმა იგივე დაუპირა, მოატყუა **ერთმაციდამ**, მასზე მეტი მჭამელი იყო ვითომ. სულ ატყუებდა. მისი მოკვლა გადაწყვიტეს და ვერ შეძლეს. მისცეს მთელი სკივრი ოქრო და გაუშვეს. ერთიციდა სკივრზე წამოსკუპდა, ბუმბერაზს აჰკიდა და გაუყენა გზას. ასე დაბრუნდა სახლში.

შენიშვნა იუწყება: ამ ზღაპრის მოტივი ორიგინალურია. თითისხელა ბიჭუნას ზღაპარი ცნობილია რუსეთსა და **ევროპის ქვეყნებშიო.**

ეპიზოდი სოსრუყოს შესახებ არსებული თქმულებებიდან (გვ. 143).

სოსრუკის ერთი გოგო უყვარდა, ნართი-ჟანა. ერთხელ ნართების თამაშებზე მიდიოდა და გამოემშვიდობა მას. სამი დღის შემდეგ დაბრუნდა, ჟანა მკვდარი და დასაფლავებული დახვდა. ამოყარა საფლავის ქვები, დაეკონა ცხედარს და ატირდა. ორი გველი შემოეხვია. სოსრუკომ ნახა, რომ ერთმა მეორე მოკლა და წავიდა. მერე ფოთოლი მიიტანა, მკვდარი გველი გააცოცხლა. სოსრუკომაც ის ფოთოლი ჟანას წაუსვა და გააცოცხლა.

შენიშვნა: იმ იმედით ვბეჭდავთ, რომ ახლო მომავალში სოსრუკოს თქმულებების სრულ კრებულს მოვუყრით თავს რუსულ ენასა და ყაბარდოულ ორიგინალზე.

აქვეა დაბეჭდილი ყაბარდოული ტექსტები დედნისეულ ენაზე, რუსული პწკარედებითა და რუსული თარგმანებით. ეს ფაქტიც საყურადღებო სიახლეა ტექტების მეცნიერული სიზუსტის თვალსაზრისით.

სოსრუკო (გვ. 3-13), რუსული თარგმანი (გვ. 13-20).

სოსრუკო ქვისაგან იშვა, ნართი იყო, დედამისი სეთანეი. ერთი ნართის ძლევაში დედა დაეხმარა, შემდეგ ორი მოხუცი ჯადოქარი გადაიკიდა. იგი ჩამორჩა ომში მიმავალ ნართებს, მათთვის ბუმბერაზს ცეცხლი მოსტაცა, უამრავი რამ გადახგა. შემდეგ მოკლა ბუმბერაზი, დიდი ცეცხლი დაანთო, მათ ლაშქრობებში დაეხმარა, სიმდიდრე აშოვნინა.

შენიშვნაში აღნიშნულია, რომ სოსრუკო ყველაზე გამოკვეთილია ნართებში. მისი ბევრი გმირობაა ცნობილი ყაბარდოელებისა და მთიელი თათრებისათვის, მათ მიაწერენ **ბატრაძსა** და **სირდონს**.

პშიბადინოკო (გვ. 21-30). ასევე გამოქვეყნებული ყაბარდოულენოვანი ტექსტი რუსული პწკარედით. **რუსული თარგმანი** (გვ. 30-35). პუბლიკაციის თარგმანია **კ. ატაჟუკინი.**

ნართი პშიბადინოვო კინტების მტერი იყო, დავლაზე დადიოდა. ერთმა მწყემსმა უთხრა სეტანეის ნადიმი აქვს, ლამაზ გოგოებს ნახავო. იუარა, გზას გაუდგა. სეტანეის ეს ამბავი მოახლემ ამცნო. სატენეიმ გაიხედა და იცნო პშიბადინოკო. - უკმაყოფილო რომ დარჩეს, ზიანს მოგვაყენებს, საქონელს მოგვტაცებსო. შეიტყუეს სახლში, ალიგოხოვებისააო. - ნართ მოწინააღმდეგეს ვეძებ, - უთხრა პშიბადინოკომ. იგი კიანაჟას შვილს შეარკინეს. იუარა და სატანეი დაუპირისპირდა, ვერ მოხიბლა და დასწყევლა, თან ნართების ნადიმზე გააგზავნა, იქ ნახავ შენს შესაფერ მეტოქესო. იგი გზას გაუდგა, სოსრუკოს გადაეყარა. იცნეს, დაღუპვა მოუნდომეს, არაფერი გამოუვიდათ. ბატონის ქალიშვილი მიათხოვეს, ნადიმი გამართეს.

შენიშვნაში აღნიშნულია: ამ თქმულეის ბევრი დეტალი გვხვდება მთიელი თათრების - ურუსბიევლების თქმულებებში „რაჩიკაუში“, რომლებიც ჩაიწრა ს. ურუსბიევმა (СМОМПК-ი, პირველი გამოცემა) (გვ. 35-37). შენიშვნები ეკუთვნის ლ. ლოპატინსკის

აშმეზი (გვ. 38-50).

აქაც ტექსტი დედნისეულ ენაზეა, რუსული ბწკარედით, ცალკეა დაბეჭდილი რუსული თარგმანი (გვ. 51-58). თარგმანი ეკუთვნის კ. ატაჟუკინს.

ნართების ბატონს ნერსენჟაკეს ოქროს წვერი ჰქონდა, მისი ცხენის ფაფარს ეფინებოდა. მან რაზმი შეკრიბა და ვოლგისაკენ გაეშურა. მდინარე ადიდებული იყო, შეჩერდა, შეისვენა. ნართების თხოვნით აში-აშიმეზის შვილი იხმო. აშიმეზის შვილმა მამის მკვლელის ვინაობა გამოსძალა დედას, მოძებნა ნესრენჟაკე, გაუკვირდათ ნართებს ძუძუმწოვარას დანახვა. ნესრენჟაკემ მდინარეზე ფონის მოძებნა დაავალა ოზერმეგსა და მერმე - სოსრუკოს. მათ იუარეს. ასემეზმა მოძებნა, მართები მიჰყვნენ. ნაპირზე დარჩენილებმა ტლებიცას საქონელი წაასხეს. პატარა ტებლიცამ შეიპყრო აშემეზი, მაგრამ მან მოკლა იგი, ბევრი რამ დაგახდა, ნერსენჟაკესაც დაემშვიდობა და სახლში დაბრუნდა.

შენიშვნაში მითითებულია, რომ ბავშვზე, ნართებს რომ გაჰყვა ლაშქრობაში, გვხვდება ამბავი ოსურ თქმულებაში „როგორ წაეჩხუბა სოსრიკო ალიმბეკს“ (ССКГ, გამოშვება V).

რედედია (გვ. 60-65). ამ შემთხვევაშიც ტექსტი დედნისეულ ენაზეა, რუსული ბწკარედით. ახლავს რუსული თარგმანი (გვ. 65-69), შესრულებული ამიერკავკასიის სამასწავლო სემინარიის აღზრდილის **პაგო ტამბიევის** მიერ.

ერთ ყაბარდოელ აზნაურს მოყმე პატარძალი ჰყავდა. კამეჩი წველაში უშლიდა ხელს. მან კი ფეხში სტაცა და შემოღობილს იქით ისროლა. აზნაური ამ ამბავმა გააოცა. ერთადერთი შვილი არ მომიკლასო - დადარდიანდა აზნაური. გამოსავლის ძიება დაიწყო. შვილი დაარიგა, ძილში უფრთხილდიო. მისი შიში არ გამართლდა. აზნაურმა მისი პატარძლის ამბავი ბატონს აცნობა. ბატონმა მტრის ფალავანთან დაჭიდება შესთავაზა. ქალი დათანხმდა. მამაკაცურად გადააცვეს, მოედანზე გაიყვანეს კოზბურუნთან. მოყმეები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ქალმა მიწაზე დაახეთქა მეტოქე. მეორე შერკინება დათქვეს. მეორედაც დაამარცხა. ქალმა ჩაჩქანი მოიხადა, თმები გაიშალა და დაანახა თავისი ქალობა. გახარებულმა ყაბარდოელებმა ზეიმით დააბრუნეს ქალი სახლში. **პუბლიკაცია პაგო ტამბიევისა.**

შენიშვნაში აღნიშნულია კავშირი ამ ტექსტსა და მსტისლავ ტმუტარაკანსკის მიერ რედედისთან შერკინების ისტორიას შორის. შენიშვნის ავტორია ლ. ლოპატინსკი (გვ. 70-71).

ორი ძმა ეშანოკოვების სიმღერა (გვ. 72-74). დედნის ენაზეა დაბეჭდილი ტექსტი რუსული ბწკარედით. ახლავს რუსული თარგმანი (გვ. 75-76).

სახელოვანი მოყმენი ხართ, ეშანოკოვები: უფროსი უზირმესი და უმცროსი ტემირკანი. შენ, უზირმეს თეთრ მერანზე ამხედრებული დაჩაუქობ და ჯიხვებზე ნადირობ. შენ კი ქურანა გყავს, ტემირკან, მისი სიკეთე ყირიმის ხანმაც იცის.

- ტემირკან, ბრძოლის ველზე მტერს არ ინდობ. გვერდში გიდგას მეგობარი აზამეთი, სამი ძმა გიდგას გვერდში. შენი გამოჩენა - მტრის სიკვდილია, ერთი დაქნევით სჭრი თავს. შენი ისარი მუდამ მიზანს ხვდება. გამარჯვებულს ოქროვერცხლით სავსე ხურჯინები მოგაქვთ, ოქროსთმიანი ტყვექალი და მისი მოახლეები. ჩაჩქანზე ნადავლი ოქროთი ამოქარგული „შიკუ“ გიბრწყინავს. ვაი, შენს ამხანაგს აღვირით მოჰყავს შენი ცხენი ისარმა გახვრიტა მუხლი შენი, ხმლით დაგჭრა მტერმა სასიკვდილოდ. უბედურების ცნობა მოუვიდათ ხაბეკიროვებს - მზე ჩაესვენა მათი.

შენიშვნაში აღნიშნულია, რომ ეს სიმღერა შედის თქმულებაში, რომელიც ეძღვნება ამ ორი ყაბარდოელი გმირის უსაზღვრო სიმამაცეებს (გვ. 76).

სიმღერა ბიეზის ბრძოლაზე (გვ. 77-79). გამოქვეყნებულია დედნის ენაზე, რუსული ბწკარედით, ახლავს რუსული თარგმანი. მიმართვაა ბახტი-გირეისადმი.

ამაყ იორღაზე ზიხარ, ბახტი-გირეი და იწყებ ბრძოლას. ცხენი დაცხრილულია ისრებით, სამაგიეროდ ნეჩიდეს ხეობაა მოფენილი მტრის გვამებით. იომე ბახტი-გირეი. როგორც შენი მახვილი ბრწყინავს, ასე გამოირჩევი ჯარში. იომე ბახტი-გირეი.

მიმართვა ბჟედუხელ მეომრებისადმი.

აბრეშმის მათრახი გაგვარდა ხელიდან და საღამოს მთვარესავით ჩაესვენა შენი დღეები. იომე ბედუხოელო მხედრიონო. ასე ბედუხელები ტიროდნენ, დიდი

მეფე-ქალი ტიროდა. იო, ბახტი-გირევო, ბედნიერო ბატონო! პატარა გომეშემაფმა დაგიტირა. იომე ბჟედუხოს მხედრიონო! მხედრები და ფეხოსნები გიტევენ. თუ მტერი გვძლევს, ჩემს ლამაზებს წაგვართმევენ. იომე ბჟედუხის მხედრიონო!

მიმართვები ცალკეული გმირებისადმი:

პშიმაფ ბოტოკოვისადმი - დღე და ღამე გვმფარველობ; ანჩოკო ახეჩაკოსადმი - ბრძოლის შუაგულს ეტანება; ასევე: ისლამ ხაჩემუკოის, ბეკმურზა ახეჩაკოვის, ალხაზ ლოკშოვის, ალექს ლოკშოვის და სხვებისადმი მსგავსად.

შენიშვნაში მითითებულია, რომ ამ სიმღერაში ასახულია 1795 წლის ბრძოლა ბჟედუხებსა და შაპსულებს შორის და შედგენილია ადიღეური ენის კიახურ კილოზე. იგი აღმოჩენილია პ. უსლარის დანატოვარ ქაღალდებში. შენიშვნის ავტორია ლ. ლოპატინსკი (გვ. 81). პუბლიკაციას ახლავს საკმაოდ ვრცელი ლექსიკონი (გვ. 82-104). ასევე, ახლავს შენიშვნა ლ. ლოპატინსკისა (გვ. 105-106).

გამოცემის II განყოფილებაში დაბეჭდილია ყაბარდოული ენის მოკლე გრამატიკა.

აქვე გამოქვეყნებულია რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი საძიებლით.

СМОМПК, 27, განყ. 2.

კრებულის ეს გამოშვება იმით გამოირჩევა, რომ ფოლკლორული მასალა სხვადასხვა განყოფილებაშია დაბეჭდილი. ასე, მაგალითად, II განყოფილებაში უმთავრესად აღწერითი ხასიათის მასალაა: ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილის აღწერა-დახასიათებები, კერძოდ, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებისა დღევანდელი გადასახედიდანაც კი სანიმუშო, ყოველმხრივი, უშუალო დაკვირვებისა და გამოკითხვის მეთოდებით შესრულებულია გამოკვლევები. გვერდი არა აქვს ავლილი ცალკეული დასახლებული პუნქტების მკვიდრთა ყოფითი კულტურის გამოვლინებათა აღწერა-დახასიათებება. მათ შორისაა ადგილობრივთა: ადათ-წესები, რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეები, ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. სტატისტიკური ხასიათის ტექსტებში ჩართულობის გამო, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ხშირ შემთხვევაში ფოლკლორისტთა ყურადღების მიღმა რჩევა. ამ გამოშვების განყოფილებაში დაბეჭდილია მღვდელ ილია ჯაშის „სლავიანსკოეს საზოგადოება“, რომელიც შეიცავს: ეკონომიკური მდგომარეობის, ზნეობის, საქმიანობის, რელიგიის აღწერა-დახასიათებებს. ასეთივე ხასიათისაა **იასონ კაპანაძის** ნაშრომი **„საჭილაო“,** ტ. თაბუკაშვილის **„ძიმითის საზოგადოება“.** იასონ კაპანაძის ნაშრომი შეიცავს ორ ზღაპარს – **„საოცარი ხარი“, „363 გმირის ზღაპარი“,** გადმოცემას ძმებ ჭილაძეებზე, სოფელ საჭილაოს სახელწოდების ეტიმოლოგიას; რომ შეიცავს, ასევე თავად ჩიქოვანების (დადიანები), აზნაურ კორძაძეების შესახებ. ი. კაპანაძეს დაბეჭდილი აქვს ანდაზები, გამოცანები.

მსგავსი სტრუქტურისა და შინაარსისაა ლ. როზენბერგის სტატია **„გერმანული კოლონია სემიონოვკა“,** ქიარიმზე, იზმაილოვის სტატია „სოფელ ნეგრამი“ და ა. შ. ამ განყოფილების რედაქტორი **ს. შულგინი** მადლობას უხდის მ. ჯანაშვილს ქართული ტექსტების გადამოწმებისათვის იასონ კაპანაძის პუბლიკაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ ს. შულგინი ლ. ლოპატინსკის მსგავსად, ვრცლად მიმოიხილავს საზღაპრო ეპოსის ნიმუშებს, მათს მოტივებს, პარალელებს და ა. შ. შედგენილი აქვს (პუბლიკაციას ერთვის) ზღაპრების მოტივების საძიებელი.

1. „სლავიანსკოეს საზოგადოება“ (გვ. 1-41), ავტორია მღვდელი ილარიონ ჯაში. აქ აღწერილია და დახასიათებული დუხობორების ყოფა, მათი ისტორია, წეს-ჩვევები, რწმენა-წარმოდგენები (გვ. 32-41), კერძოდ: მშობიარობის, ქორწილის, სამგლოვიარო წეს-ჩვევები; ცრურწმენები, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობასთან, მშობიარობასთან, ძროხის წველადობასთან და ასე შემდეგ, სულ 16 თემატური მინი ტექსტი.

2. „სოფელი პრივოლნოე“ (გვ. 42-88), ბაქოს გუბერნია, ლენქორანის მაზრა.

აღწერილია საოჯახო ყოფა, ზნე-ჩვეულებები (გვ. 53-56), მშობიარობის (გვ. 63-66), წინადაცვეთის (გვ. 65-68), ქორწინების (გვ. 68-78), დაკრძალვა-გლოვის (68-81) წეს-ჩვევები, დახასიათებულია ხალხური პოეზია (გვ. 87-88), აღნიშნულია, რომ სასიმღერო, საცეკვაო პოეზია სამარცხვინოდ მიიჩნევა, მიღებულია ფსალმუნების მღერა. მასალა მომზადებულია ილია ჟაბინის მიერ.

3. „სოფელი საჭილაო“ (გვ. 95-), ტრადიციულ (კრებულისათვის) აღწერა-დახასიათებებს შეიცავს. VIII თავი ეძღვნება **წეს-ჩვევებსა** და დღესასწაულებს (გვ. 118-123). აქ აღწერილ-დახასიათებულია სამგლოვიარო წეს-ჩვევები (118-122), ფერისცვალება (გვ. 122-123).

IX თავი ეთმობა გადმოცემებს, ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს და ცრურწმენებს (გვ. 123-125).

„**ძმები ჭილაძეები**“ (გიგო კორძაიას ნაამბობი), გვ. 123-125.

მურვან ყრუს შემოსევამდე (731 წ.) საჭილაოში დასახლდა ორი ძმა – შედან და ჯავახ ჭილაძეები – ლამაზები, ძლიერები და მდიდრები. მათ ააგეს ეკლესია, რომელიც ახლაც დგას. ერთხელ იმერეთის მეფე ბაგრატმა საჭილაოში ხალხი გაგზავნა სანადიროდ. ძმებმა ჭილაძეებმა ისინი გააძევეს. განრისხდა მეფე და მომენტს ეძებდა სამაგიეროსათვის. ვინმე გიორგი კორძაიამ იკისრა სამაგიეროს გადახდა. მან ჯავახა ჭილაძის სიძე კაცია ჩიქოვანი დაითანხმა სიმამრის მოკვლაზე. კორძაიამ მოკლა შედან ჭილაძე. მეფემ ჩიქოვანს დადიანობა უბოძა, ხოლო კორძაიას საჭილაო აჩუქა.

„ჯადოსნური ხარი“ (გვ. 125-128), მთქმელი - მარნის სასწავლებლის მოსწავლე მ. კორძაია.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი გლეხი, სახელად გიგო, ცოლი ჰყავდა – თეკლე, მდიდარი იყო. უშვილობა აწუხებდა. ბოლოს ღმერთმა ვაჟი აჩუქა, ის საათობით იზრდებოდა, ორი წლისა კარგი მონადირე დადგა. ერთხელ ნადირობისას გასაოცარი ხარი გამოეცხადა და ადამიანის ენით დაელაპარაკა: - მამაშენი დაკვლას და ღმერთისათვის შეწირვას გიპირებსო. ბიჭი გაშეშდა. სახლში რომ დაბრუნდა, ყველაფერი ისე დახვდა, როგორც ხარმა უთხრა. ბიჭი ტყეში გაიქცა, მოძებნა ხარი, ხარმა ბიჭს ჩონგური მისცა და მაღალ ხეზე აგზავნა, ერთს ჩამოჰკრავდა თუ არა ჩონგურს, ხარი მასთან გაჩნდებოდა. გავიდა დრო. მეფის ვეზირები ნადირობდნენ, დაინახეს ბიჭი, იგი არ ჩამოდიოდა ხიდან, ამიტომ ხის მოჭრა დააპირეს. ბიჭმა ჩონგურს ჩამოჰკრა, ხარი იქ გაჩნდა, და მთელი

ჯოგი მოიყოლა. მათ მონადირეები და მეფის მსახურები ამოხოცეს. მეფე განრისხდა, ბიჭის მოკვლა ბრძანა.

ერთი მონაზონი ცოცხლად მიყვანას შეპირდა. მან შეძლო ბიჭის შეცდენა, მიიყვანა მეფესთან. გამოღვიძებულმა ტირილი დაიწყო. მტრედი მიფრინდა, ბიჭმა ხიდან ჩონგურის მოტანა სთხოვა, მიუტანა, ჩამოჰკრა სიმს და ხარი მასთან გაჩნდა, მთელი ჯოგით მიანგრიეს, ციხე-დარბაზი და ყველა დახოცეს, მეფის ჩათვლით. ხარმა ერთი რქა მოიტეხა. ბიჭს სთხოვა: - დამკალი, ხორცი შეჭამე, ძვლები იმ ადგილებში გადაყარე, სადაც სოფლები უნდა აშენდეს, ტყავი იქ გაჭიმე, სადაც შენი სასახლე იქნებაო. რა ექნა ბიჭს, შეასრულა ხარის ანდერძი, ოღონდ ხორცი მიწაში ჩაფლა. უცებ გაჩნდა: სოფლებიც, სასახლეც, ხალხიც. ბიჭი ბედნიერად ცხოვრობდა.

„363 ძმის ქორწილი“ (ზღაპარი, გვ. 129-141).

ერთ ქვეყანაში იყო ერთი მეფე, 363 ვაჟი ჰყავდა. უფროსს **სამასისა** ერქვა (ჩამწერს უწერია „სამაისა“, ეს შემჩნეული აქვს II განყოფილების რედაქტორს და სწორად მიიჩნევს ფორმას „სამასი“, რაც ასევე არასწორია, სამასიდან გამომდინარე სწორი ფორმაა „სამასისა“ – თ.ჯ.). უფროსმა ვაჟმა მამას კაცი მიუგზავნა: - ყველანი ერთად დაგვაქორწილეო. მამა დაეთანხმა. ერთ დღეს ძმები გამოეწყვნენ და საცოლეების საძებნად გზას გაუდგნენ. იარეს და ცხრათავა დევის სასახლეს გადააწყდნენ. ჰკითხეს: - 363 ქალიშვილი ხომ არა გყავს, ქორწინება გვინდაო. – ორი აკლია, ისინიც მალე იქნებიან, მოდით და მოგათხოვებთო. სამასისამ არ მოიცადა, წავიდნენ, სხვა დევს შეხვდნენ, მას ერთი ეკლდა, არ მოიცადეს, წავიდნენ, მესამე დევს გადაეყარნენ, მას ჰყავდა 363 ქალიშვილი. - მოგათხოვებთო.

დევმა მიათხოვა, გაამზითვა ქალიშვილები და გაისტუმრა. გზაში იმ დევებმა, რომლებსაც ძმებმა არ მოუცადეს, უსაფრთხოდ გატარების სანაცვლოდ დავალებების შესრულება მოსთხოვეს. სამასისამ შეუსრულა, თუმცა უამრავი ფათერაკის გადატანა მოუხდა. დაბრუნებულმა მოკლა დევი, გაათავისუფლა ტყვეობიდან ძმები და მათი ცოლები, წაიღო დევის ქონება, გაუდგნენ გზას სახლისაკენ, კიდევ არაერთი ფათერაკის გადატანა მოუხდათ. ძმებმა ორმოში ჩააგდეს სამასისა. იგი ცხენმა გადაარჩინა. სამასისა დაბრუნდა სახლში. მან ყველაფერი უამბო მშობლებს. ძმები გაყარეს, სამასისა კი გაამეფეს.

აქვე გამოქვეყნებულია 70 ქართული ანდაზა რუსული თარგმანებით (გვ. 141-144) და 11 გამოცანა (გვ. 144-145).

„ძიმითის საზოგადოება“ (ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა (გვ. 147-161). მეოთხე თავში დაბეჭდილია ნათლობის, საქორწინო და სამგლოვიარო წეს-ჩვევები (გვ.154-160). პუბლიკაცია ტ. თაბუკაშვილის – ქუთაისის სემინარიის მასწავლებლის.

„სოფელი ნეგრამი“ (ერევნის გუბერნიის ნახჭევანის მაზრა), გვ. 192-201. აქ მეოთხე თავში რელიგიური წეს-ჩვევები და დღესასწაულების აღწერებია წარმოდგენილი: ომარ-ბაირამის (გვ. 199), ნოვრუზ-ბაირამის (გვ. 199-201). პუბლიკაცია ეკუთვნის ნეგრამის სასწავლებლის მასწავლებელს ქიარიმ-ბეკ იზმაილოვს.

III განყოფილებაში დაბეჭდილია:

ყარანოღაული ხალხური ისტორიული გადმოცემები (გვ. 1-38), ჩამწერი ყილარის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი გ. ანანიევი, ჩაწერის ადგილი: **ტერეკლი-მეკტებში,** 1895 წ.

„**თოთხამიშ-ხანი**“ (გვ. 1-16).

ძველ დროს ყირიმში ცხოვრობდა თავადი ტოიხუჩა, ნადიროზის მოყვარული. მას უამრავი მონადირე ძაღლები, მიმინოები და ქორები ჰყავდა. ფრინველების მომვლელად ჰყავდა ვინმე კუტლუკაი. მან პატრონისაგან მალულად ერთი მიმინო შახ-თემირ-ხანს აჩუქა. ხანმა რომ გაიგო, ჩამოახრჩო. მას ერთი ბიჭი დარჩა. მალე ტოიჩუხა ხანიც მოკვდა. მას დარჩა ვაჟი თოხთამიში.

კარაიატ-ჯანტემირს 9 შვილი ჰყავდა და მისი აღზრდილი ადიღე დაემატა, კუბა-აული დაარქვა, მწყემსობა დაავალა. თავად კი მის დანახვაზე უნებლიედ ფეხზე დგებოდა, მიზეზი კი ვერ გაეგო. გადაწყვიტა გამოეძია კუბა-აულის წარმომავლობა. მოხუცი მომღერლისაგან შეიტყო, რომ კუბა-აული მის ქონებას ჩაიგდება ხელში, დას მოიტაცებდა და მის ცოლს. იგი თავადების გვარისა იყო. თოთხთამიში შეშინდა, კუბა-აულის დაჭერა ბრძანა, მაგრამ გაექცა. კარაიატ-ჯანტემირის 9 შვილთან ერთად. თოთხთამიშმა მისი დაბრუნება სცადა, კაციც მიუგზავნა. არაფერი გამოუვიდა. კუბა-აული (ადიდე) გაიქცა. მრავალი რამ გადახდა, შატემირისაკენ გაემგზავრა, მის ნათესავს ასიბაის გადაეყარა. ბევრი იომა, შეირთო თოხთამიშის და ხანიკე, მისმა შვილმა მოკლა თოხთამიში, მაგრამ ისიც მოკლეს ღალატით. ადიღემ შური იძია, ბოლოს თვითონაც მოკვდა ბრძოლაში.

2. „**მირზა მამაი**“ (გვ. 17-27).

ჩინგიზ ხანის შემდეგ მმართველობა გადაეცა მუსა ბეის შვილს – მამაის. ერთხელ მამაი გადაეყარა ბავშვებს, ისინი შეშინებულები გაიქცნენ, მაგრამ არ შეშინდა ერთი ბიჭი, რომელიც მისი ძმისშვილი აღმოჩნდა. მან იშვილა ბიჭი – ორაკი. მისგან უშიშარი მოყმე დადგა. ხალხში ხმა დაირხა, ორაკი მამაიზე ძლიერიაო. ერთხელ მამაიმ ყირიმზე გაილაშქრა. მათი ხანი ნელვან-სულთანი იხმო ბანაკში, ისიც მივიდა, ორაკმა მისი მოკვლა მოინდომა. მამაიმ იუარა - სტუმარია, გვენდო და მოკვლა არ იქნებაო. ორაკმა მაინც მოკლა. მამაი უკან გაბრუნდა, ყირიმის მმართველად ერთი მურზა დატოვა. მამაიმ შეიტყო რომ ძმობილებს მისი მოკვლა უნდოდათ. მამაი ავად გადა. მივიდნენ მასთან სანახავად ბიძაშვილები. მამაიმ ორაკი დანიშნა მემკვიდრედ. მამაის სიკვდილის შემდეგ ორაკი ავიდა ტახტზე, თუმცა დიდხანს არ დასცალდა. იგი კალიუვმა მოკლა. მას სამი შვილი დარჩა, უმცროსი იბასი ჩვილი იყო. იბასი 20 წლის რომ გახდა, ძმამ კარასაიმ მოკლა. ბოლოს კარასაი ძმასთან კაზისთან ერთად ყირიმის ხანთან კალიუვთან მოხვდნენ, მან სპარსელებთან ომში მიიღო მონაწილეობა.

3. „ადიდე-სოლტან ყირიმელი“ (გვ. 27-29).

ყირიმი ადილ-სოლტანის მმართველობის დროს თურქეთზე იყო დამოკიდებული. თურქეთის სულთანს მისი მოკვლა უნდოდა. მან ადილ-სოლტანს მამის სისხლის ასაღებად სპარსეთზე ლაშქრობა დაავალა. მან ორაჯის შვილი კარსაი იახლა და სპარსეთზე წავიდა. წინ მზვერავები გაგზავნა – სულეიმანი და კონგრა-

ტი. მან უარი თქვა და ხანმა კარასაი გაგზავნა. მან ამბავი მოუტანა, რომ ძლიერი ჯარი ჰყავდათ, კლიმატი კი ძალიან ცხელი იყო და წყალი ძალიან ცოტა ჰქონდათ.

რამდენიმე დღეში ადილ-სოლტანი გადავიდა სპარსეთში და შეება მათ. სპარსელები გაიქცნენ, ადილ-სოლტანი დაედევნა და ჭაობში ჩაიფლო. კარასაი დიდხანს ეძებდა. კარასაი ჯარის ნაწილით ყირიმში დაბრუნდა. ადილ-სოლტანი სპარსელებმა დაატყვევეს. მათ თვალები დათხარეს, ხელები და ფეხები დააჭრეს ადილ-სოლტანს.

5. **„ნარიგი და ჩორა ბატირი“** (გვ. 34-38).

დაღსტანის ხანმა კაზი-ბეიმ ერთხელ ჩვილი ბავშვი იპოვნა. სახლში წაიყვანა და გაზარდა. ნარიგი დაარქვა. ბიჭი საათობით იზრდებოდა. მისი უმცროსი ძმა ხან-მურზა კი ვერ იტანდა ბიჭს. ნარიგი გაიზარდა და მას მამობილმა ლამაზი მინგლუსლუვი შერთო. ხან-მურზამ ინდომა ქალი, შეუვარდა ქმრის არყოფნაში, ამის გამო ნარიგმა მოკლა და ასტრახანში გაიქცა ცოლთან ერთად. იქიდან კი ყირიმში გადავიდა. ვაჟი ეყოლათ – ჩორი. ძალიან გამდიდრდნენ. ყირიმს აკტასულა-ალი-ბიი განაგებდა. ერთხელ იგი ნარიგის სახლში მივიდა ბეგარისათვის, ჩორას ძვირფასი ცხენი წაიყვანა. ჩორა კი დაედევნა და მოკლა. შემდეგ გაეცალა იქაურობას, ცოლს დაემშვიდობა და ყაზანში გადავიდა. ყაზანში იგი წარუდგინეს მმართველს – შიხალი ხანს. კარგად მიიღეს. გავიდა დრო. ყაზანზე რუსებმა გაილაშქრეს. ყაზანელებმა ჩორას მეთაურობით სძლიეს რუსებს, მოსკოვამდე სდიეს, ერთი კნეინა წაიყვანეს. ჩორა მაჰმადის რჯულის მიღებას აიძულებდა. ქალი გაიქცა. მან ჩორასაგან შვილი გააჩინა. ოცი წლის შემდეგ ბრძოლაში მოკლა თავისი შვილი. რუსებმა აიღეს ყაზანი. ჩორამ მდინარე ყარა-სუში დაიხრჩო თავი.

4. **„ერიუ-ამედი, აისულის ვაჟი“** (გვ. 29-34).

ერთხელ ჯანიბეკ-ხანმა ფრანგებზე გალაშქრება გადაწყვიტა. მან ლაშქრობაში წაიყვანა ბრძენი მურზას ასულის ვაჟი ერიუ ამედი (ლამაზი ამედი). მამამ ერთი ცხენი უყიდა, მაგრამ შვილს არ მოეწონა. აისულმა უთხრა შვილს, რომ ცხენი ჯადოსნური იყო. ჯანიბეკმა ფრანგებთან მარცხი განიცადა, ცხენიც მოუკლეს. ერიუ ამედმა თავისი ცხენი მისცა. ჯანიბეკმა დაუმადლა და დაპირდა თავისი ქალიშვილის შაირბიკეს შერთვას. ხანი დაბრუნდა და მამას აისულას განუცხადა შვილი ბრძოლის ველზე დარჩაო. ხანმა გაიგო ერიუ ამედის დაბრუნების ამბავი, ყელანაირად სცადა ხელის შეშლა, არაფერი გამოუვიდა, ერიუ ამედმა მოსტაცა ხანს ქალიშვილი. მდევარი დაადევნეს, მათ მდინარე კოისუ გადალახეს და კასპიკაის მთაზე ავიდნენ. მათი შემდგომი ბედი კი უცნობია.

ოსური ხალხური სიტყვიერებიდან (გვ. 39-66).

1. გადმოცემა სამოთხეზე (გვ. 39-40)

ადამიანები წარღვნამდეც ცხოვრობდნენ. ისინი ნართები იყვნენ, ოისი ღმერთისაგან მომდინარეობდნენ. ცხოვრებით მანამდე ტკბებოდნენ, ვიდრე ღმერთი არ დაივიწყეს - წარღვნაში დაიღუპნენ. მიწა რომ შეშრა, იესო ქრისტე ჩამოვიდა. შექმნა ქალი და კაცი, სული შთაბერა; ბაღი შეუქმნა, ბაღდადი ერქვა. მისგან და-

ბადებულ ბავშვებს დაარქვეს რუსი, ქართველი, ოსი. მათგან იშვნენ ხალხები. ხალხი გამრავლდა. ბაღში ვეღარ ეტეოდნენ. წასვლა არავის უნდოდა. დაიწყებს ჩხუბი. წმინდანებმა (ძუარებმა) ქრისტეს უთხრეს: - ხალხს ადგილები სჭირდება, რა ვქნათო? უბრძანა ქრისტემ: - სამოთხის მიწა აიღეთ და მთელს სამყაროზე მიმოაბნიეთ. იმ ადგილებში ზუსტად ისეთივე ბაღები გაჩნდა, როგორც ბაღდადში. ადამიანები გაიფანტნენ ამ ბაღებში და იქ დაიწყეს ცხოვრება. ახლა ის ბაღები აღარაა, მაგრამ მათი ცხოველმყოფელი ძალა ყოველთვის იქნება.

2. გადმოცემა თამარ დედოფალზე (გვ. 40-42).

უხსოვარ დროს მიწა არავისი არ იყო - ღმერთის ხელში იყო. ადამიანები რომ გამრავლდნენ, ღმერთმა მიატოვა. მერე გაჩნდა თამარ დედოფალი – ქრისტეს ასული. დიდხანს მეფობდა. ბანგი შეასვეს, რათა ყველაზე უკეთესი ჭაბუკი შეეგზავნათ და მემკვიდრე ეშვა. დილით თამარ დედოფალმა იკითხა, ვინ მომიწყოო? - ყველამო – მიუგეს. რაღას იზამდა. მას ვაჟი შეეძინა. მან ბავშვის გადაგდება ბრძანა: – ღმერთმა რომ გაიგოს, რომ მამაკაცისაგან ვშვი, მის რისხვას ვერ გადავურჩებიო. ბავშვი ტყეში გადაგდეს. შველმა აწოვა ძუძუ. მონადირეები გადააწყდნენ, თამარს მოახსენეს. მიხვდა ყველაფერს, ღმერთს პატიება სთხოვა. შემდეგ ბავშვი დედის სახლში იზრდებოდა. გაიზარდა და თვითონ მართავდა თავის ხალხს. მაშინ თოვლი არ იყო, თამარს ცისკარი ჩაკეტილი ჰყავდა. შვილმა შეცდომით გააღო კარი, ცისკარი აფრინდა ცაში და თოვლი წამოვიდა. მიხვდა თამარ, რაში იყო საქმე. თოვლი არ წყდებოდა. მან დასწყევლა შინაურები – გაქვავდით!, ყველა გაქვავდა, თვითონ ზეცაში აფრინდა. ქვეყანას კი მისი შვილი მართავდა.

3. ოსთა მეფის ოსიბაგრატის სიკვდილი, თქმულება (გვ. 42-43).

გაიგო რუსთა მეფემ, რომ საქართველო უმეფოდ დარჩაო და ჯარი გამოგზავნა. ოსთა მეფე მაშინ თამარის ვაჟი ბაქარი იყო. რუსების შიშით იგი გაიქცა და გადაიკარგა. რუსებზე ადრე საქართველოს თათრები და ლეკები შეესივნენ. ძლიერმა ოსიბაგრატმა ისინი დაამარცხა. თათარმა ხანმა ორთაბრძოლაში გაიწვია. გადაწყვიტეს შიშვლები შერკინებოდნენ ზღვაში. თათარმა ხანმა ჭკუით აჯობა. ჩექმები არ გაიხადა. შერკინებისას ჩექმიდან ფიშტო იძრო, ესროლა და მოკლა. თათრებმა დაიპყრეს ოსები, ოსიბაგრატა კი ოსებმა მიწას მიაბარეს.

4. „პატარძლის ამორჩევა“ (გვ. 49-50). მთქმელი: კ.ს. გარდანოვი, ჩაწერილია თბილისში.

იყო ერთი ახალგაზრდა, სახელად ტემბოლატი. ცოლის შერთვის დრო დასდგომოდა, მაგრამ არც ფიქრობდა. დაიბარა ხანმა და მიზეზი ჰკითხა. - ჩემი სწორების ქალები თვალში არ მომდის, ჩემზე მეტები კი არ მაძლევენო. ხანმა ერთი ამბავი უამბო: - თაგვმა ყველაზე ძლიერის ქალიშვილზე ქორწინება მოინდომა. მზეზე მიუთითეს. მივიდა და ქალიშვილზე ქორწინება სთხოვა. მზემ უთხრა: - აგერ ყველაზე ძლიერის ღრუბლის ქალზე იქორწინეო. მივიდა ღრუბელთან, იმან ქარზე მიუთითა – ეგ ჩემზე ძლიერიაო. ახლა ქართან მივიდა თაგვი. ქარმა ხარზე მიუთითა, თაგვი ახლა ხართან მივიდა, ხარმა გუთანზე, გუთანმა – ფესვზე, ფესვმა ამოიოხრა და უთხრა: შენი ჯიშისა მოძებნე, იმიტომ, რომ თაგვი ჩემზე ძლი-

ერიაო. გაუხარდა თაგვს და თავისი მსგავსი შეირთო. დაამთავრა ხანმა ამბავი და უთხრა, ტყუილად ნუ კარგავ დროს, შენი სწორი მოძებნეო.

მთქმელი კ. ს. ვარდანოვი, ჩაწერილია თბილისში.

5. **წმინდა გიორგის ლეგენდა** (გვ. 51-58).

თიბათვე იდგა. ყველა ეშურებოდა თივის დამზადებას. მთიბავებს ერთმა ღარიბმა კაცმა ჩაუარა, კოჭლ თეთრ ცხენზე იჯდა. მუშაობით გართულებმა ვერ შენიშნეს და არ მიიპატიჟეს ქოხში. მიუახლოვდა ერთ ქოხს, სადაც ღარიბულ სუფრას შემოჯდომოდა სამი ძმა. უმცროსმა უთხრა ძმებს: - შორი გზიდან მომავალი ჩანს, მოვიპატიჟოთო. უფროსებმა იუარეს, არაფერი გვაქვსო. უმცროსმა მაინც მიიპატიჟა. წყალი და პური გვაქვსო მხოლოდო, - მოუბოდიშეს. უმცროსმა ტიკიდან წყალი ჩამოუსხა და თაფლის სასმელი წამოვიდა, ხმელი პურის ნაცვლად ღვეზელი შერჩათ. ძმები მიხვდნენ, რომ მათი სტუმარი, რომელიღაც წმინდანი იყო.

სტუმარმა უთხრათ: - წმინდა გიორგი ვარო. ღმერთს გამოვთხოვ და თითო თხოვნას შეგისრულებთო. უფროსმა თეთრი ცხვრის ფარა ითხოვა, შუათანამ ხორბლით სავსე ულევი საბძელი. უმცროსმა რჩევა დედის ძმას სთხოვა, ბიძამ უფროს ძმასთან გააგზავნა სხვა სოფელში. ეს ბიძა უფრო ახალგაზრდა ეჩვენა, მან თავისზე უფროსთან გააგზავნა, ის კიდევ უფრო ახალგაზრდა ეჩვენა. მას ეძინა, ცოლმა გააღვიძა, ბიძა გადაეხვია. როცა მისვლის მიზეზი გაიგო, დისშვილს უთხრა: - მომისმინე და გაიგებ ჩემზე უმცროსები რატომ გამოიყურებიან ჩემზე უფროსებად.[18] ცოლების გამოა. მე კარგი მყავს, იმათ - ცუდები. წმინდა გიორგის კარგი ცოლი სთხოვეო.

წმინდა გიორგიმ მოისმინა უმცროსის თხოვნა, უთხრა: – უნდა ვიჩქაროთ, შენი საბედო ამაღამ თხოვდებაო. გზაში დაარიგა როგორ უნდა მოქცეულიყო. მივიდნენ, სადაც ქორწილი უნდა გამართულიყო. წმინდა გიორგის დახმარებით შეირთო პატარძალი, წაიყვანა ქალი და გზას გაუდგნენ. სტუმარმა: - არავი უწყის, რამდენი დრო გავიდა წმინდა გიორგიმ სამი ძმა მოინახულა. უფროსი ძმა ცხვრის ფარას უცქერდა, ტკბებოდა. ერთი მჭლე ბატკანი მაჩუქეო, პასუხად მიიღო: - ყველას რომ ვაძლიო, მე აღარაფერი დამრჩებაო, იცოდე, ვინც მოგცა ეს, წართმევაც შეუძლიაო – თქვა წმინდა გიორგიმ და უცებ ყველა გაქვავდა. შუათანა ძმასთან მივიდა და იგივე მოხდა. უმცროსს მიადგა, დაუძახა, შინ არ იყო, მაგრამ ცოლმა შეიპატიჟა: - დაისვენე, ცხენიც დაღლილი ჩანს, დავაპურებ, წყალს დავალევინებო შენს ცხენს. შეირბინა და იმწამს მკვდარ შვილს ზეწარი წააფარა, რათა სტუმარს არ მორიდებოდა. სტუმარმა მაინც შეასწრო თვალი და გამოტეხა დიასახლისი. წმინდა გიორგიმ ტიკით წყალი და სამი ღვეზელი ითხოვა მარილიანი. გზაში დაეწია სიკვდილს, გაჰყვა, მლაშე კვერცხი აჭამა, მოაწყურა და წყლის სანაცვლოდ ბავშვის სული გამოსთხოვა. ბავშვი გაცოცხლდა. კაცი სახლში დაბრუნდა. წმინდა გიორგიმ ყველაფერი უამბო, რაც უფროს ძმებს დაემართათ და დაამატა: - შენი ძმების ქონება სულ შენზე გადმოვაო. წმინდა გიორგიმ უმცროს ძმას დღემდე მფარველობს.

---

18. აქ რედაქტორი შენიშნავს: ე. ზ. ბარანოვის ვარიანტში თმის გაჭაღარავების მიზეზად დასახელებულია ავი ცოლები, ისინი ჩაგრავდნენო ძმებს (გვ. 53).

ჩაწერილია თერგის ოლქის სოფელ ხრისტიანოვსკოეს მკვიდრის ელსარიკო კასაევისაგან ალექსანდროვსკის სამასწავლებლო ინსტიტუტის აღზრდილის ფ. ტაკოევის მიერ.

6. ოსების კრწმენებიდან (გვ. 58-62).

ცრურწმენები ოსებში ფართოდ არის გავრცელებული და უმეტესად რელიგიური ხასიათისაა.

7. ავსატები (გვ. 63-66).

ოსების მითოლოგიაში ავსართებს უკანასკნელი ადგილი არ უკავიათ. მას მამაკაცის სახით წარმოიდგნენ, ხელში დიდი მათრახით. მისი ადგილ-სამყოფელი ზეცაშია, დედამიწაზე უმეტესად მთების ხეობებსა და ტყეებში არიან. მონადირეები მფარველად თვლიან. მას მსხვერპლს სწირავენ – მოკლული ნადირის შიგნეულს. ნადირობის დროს მომხდარი უბედური შემთხვევები ავსართების რისხვის შედეგია. ოსები ავსართებს ცხვრებსაც სწირავენ. ავსართი ტყის ყველა ბინადრის პატრონია. ირემს ტყავიანად ხარშავს, მთლიანად ჭამს, სტუმრებსაც პატიჟებს, ძვლებს წესისამებრ დაალაგებს და აცოცხლებს. ხალხმა ეს ამბავი ერთი შემთხვევის წყალობით გაიგო: ერთი მონადირე ნადირობდა, სახელად ჯამბულატი, ტყეში დაუღამდა, დაიძინა. შუა ღამისას ხმაურმა გააღვიძა. ორნი ლაპარაკობდნენ ხის კენწეროებთან: - ვერ მოვალ შენთან, ავსათო, სტუმარი მყავსო. გააღვიძეს, მიიპატიჟეს, ავსათმა მოხარშა ირემი, ხორცი ჯამბულატსაც შესთავაზეს, ძვლებს ცალკე აწყობდნენ. ჯამბულატმა ნეკნის ძვალი დამალა ყბაში. ავსათმა დაიწყო ძვლების დალაგება. მან კარგად იცოდა სტუმრის საქციელი, მაგრამ შეურაცხყოფა არ მიაყენა. ხისგან გამოთალა ჯოხი და ჩასვა მოპარული ნეკნის ნაცვლად. ირემი გააცოცხლა და ტყეში გაიქცა. მეორე დღეს ჯამბულატმა ირემი მოკლა. როცა გაატყავა და აქნა, ერთი ნეკნი ხისა აღმოჩნდა. ის ირემი იყო, ავსათმა რომ სტუმრებს უმასპინძლა.

ჩამწერი ევგენი ბარანოვი.

IV განყოფილება

1. გრებენელი კაზაკების სიმღერები (გვ. 69-112). ესაა მიხაილ კარპინსკის მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერების (უპირატესად ბილინების) არა ტრადიციული პუბლიკაცია, არამედ კვლევა – მის მიერ მოძიებული ტექსტების შედარებითი აღწერა-დახასიათება მსგავს ტექსტებთან, რომლებიც ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციებში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჩამწერთა მიერ იყო დაფიქსირებული. შედარებითი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, სიმღერების ტექსტები სრულად არ არის წარმოდგენილი (მოყვანილია უმეტესად ციტატები). ავტორის მიზანი, როგორც ის წერს დასკვნაში, იყო ხალხური სასიმღერო მოტივების შემკრებთა დაინტერესება თერგის დაბლობ სანაპიროებთან მიყუჟული კაზაკების თავისებური პატარა სამყაროს ფოლკლორული ტრადიციით (გვ. 112).

ტექსტები მ. კარპინსკის ჩაუწერია 1896-1897 წლებში არდადაგებზე თერგის ხეობაში 3 სტანიცაში – ჩერვლენნოეში, შჩედრინსკოეში, ნოვოგლადკოვსკოეში. ავტორი მხატვრულად აღწერს თავის მოგზაურობას კობიდან დარიალის ხეობით, თერგის ხეობას, დასახლებულ პუნქტებს, სტანიცების მკვიდრთა ყოფას.

ფოლკლორულ ტრადიციებს და ამით ცდილობს სრულყოფილი სურათის დახატვას იმ გარემოსი, სადაც ცოცხლობენ მის მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერები, ტექსტები, მოტივები თუ მელოდიები. ტექსტების ციტირების და შედარებითი დახასიათების დროს უჩვენებს თითოეული ციტირებული ფრაგმენტის სადაურობას (ჩაწერის ადგილს).

მას ჩაუწერია ბილინა უბედურ დანილუშკაზე, რომელიც ცნობილი იყო ნიჟეგოროდული და სიმბირსკული ვარიანტებით; მოყვანილია ბილინის ტექსტი, რომელშიც დანილუშკა კლავს თორმეტ მოყმეს და თვითონაც სასიკვდილოდ დაიჭრება. ბოიარები კი მის ცოლს თავადზე ათხოვებენ. ცოლი დანილუშკას საფლავზე თავს იკლავს.

ანალოგიური სათაურით „გრებეველი კაზაკების ძველებური სიმღერები“ ამ ავტორს ტექსტები გამოქვეყნებული აქვს კრებულის ოცდამეორე გამოცემაში (СМОМПОК, 24). ავტორის მიხედვით, გრებენელ კაზაკებში ყველაზე პოპულარულია ბილინა ალიოშა პოპოვიჩის დაქორწინებაზე დობრინია ნიკიტიჩის ცოლზე. ერთი ვარიანტი მას ჩაუწერია კაზაკების გავრილ რაგოჟინისა და ევსეი ერიომინისაგან, წარმოდგენილია ამ ბილინის ტექსტიც (გვ. 77-80). ასევე დაბეჭდილია სტანიცა უჩედრინსკაიაში ფედოტ პანამარიევისა და ვასილი შამინისაგან წერილი ბილინის „ივანუშკა გორდევიის ბრძოლა ნაძირალა მეფესთან“ ტექსტზე. ბილინების გმირებიდან ყველაზე პოპულარულები არიან: ილია მურომელი, ალიოშა პოპოვიჩი, დიუკ სტეპანოვიჩი, სტავრი, დანილუშკა უბედური (ლოვჩანინი), ივან გორდოვიჩი. ასევეა განხილული ხალხური სიმღერები და მათი ტექსტები: ივანე მრისხანეს სიკვდილზე, პეტრე დიდზე, დიდი რაოდნეობითაა ლაშქრული სიმღერები.

ადიღეური ტექსტები (გვ. 134).
ყაბარდოული კილო (გვ. 134).

1. „ხელობის მქონე არ დაიკარგები (გვ. 1-6), რუსული თარგმანი გვ. 6-8.

დიდი ხნის წინ სპარსელებს ჰყავდათ მეფე, შაჰ-აბასი. ჩვევად ჰქონდა საღამოს ნამაზის შემდეგ გადაცმული ყველა დუქანში შედიოდა იმის გასაგებად, რით ცხოვრობდა ხალხი, რას საქმიანობდა. ქალაქის განაპირას, ქოხში ლამაზი ქალიშვილი დაინახა და შეუყვარდა. მეორე დილით იკითხა, ის ვისი სახლი იყო. გაიგო, რომ ღარიბი მწყემსისა იყო და ისიც შეიტყო, რომ მას ერთადერთი შვილი ჰყავდა – გოგო. - მომეწონა და უნდა შევირთოო. მეფის მსახურნი მივიდნენ ქალის მშობლებთან მეფის განზრახვა შეატყობინეს. ქალსაც უთხრეს. მან იკითხა: - რა ხელობა იცისო? - არანაირიო. - თუ არანაირი ხელობა არ იცის, არ გავყვებიო.

მეფემ ოქრომკედის ქსოვა ისწავლა და ოქროს ქსოვილი გაუგზავნა. ქალი გაჰყვა. გავიდა დრო. შაჰ-აბასმა ისევ ჩამოიარა დუქნები. ერთ დუქანში შევიდა, იატაკი ჩაუშალეს და ორმოში ჩააგდეს. იქ კიდევ სამი კაცი დახვდა. - რას გვიპირებენო? – იკითხა. - ხალხის მისაზიდად ცხვრის ხორცში ადამიანისას ურევენ და ჩვენც დაგვკლავენო. შაჰ-აბასის ჯერი რომ დადგა, იყვირა: - არ დამკლათ, ისეთი ხელობა ვიცი, წაგადგებათო. შაჰმა დაიწყო ოქროთი ქსოვა. ქსოვილი მის ცოლს მიუტანეს – იყიდისო. ცოლმა გაიგო სად იყო ქმარი, დაიჭირეს მედუქნე და მისი ამფსონები, დუქანი პატარა ბიჭს მისცეს. შაჰი ამის შემდეგ ერთთავად ამბობდა: - ვისაც ხელობა არა აქვს, არაფერი ყრია მასში, ხელობა რომ არ მცოდნოდა, ხომ მომკლავდნენო.

2. ჯადოსნური ცხოველები და ხელკეტი (გვ. 8-12), რუსული ტექსტი გვ. 12-14.

იყვნენ მოხუცი და დედაბერი, ერთადერთი ქათამი ჰყავდათ. დაკვლა მოუნდომეს, მაგრამ ოქროს კვერცხი დადო. ყოველ დღე მოგვცემსო ოქროს კვერცხსო და გაუშვსეს. მეორე დღესაც უნდოდათ დაჭერა, მაგრამ ვეღარ იპოვნეს. მოხუცი გაუდგა გზას ქათმის საძებნელად. ერთი დედაბერი შეხვდა, მან შეუხედავი კვიცი აჩუქა: – დაიჭიხვინებდა, რაც გინდა, იმ საკვებს გაგიჩენსო. ერთ აულში დაცინვით დაუწყეს მას ყურება. მათაც დაიჭიხვინეს და აურაცხელი სასმელ-საჭმელი გაჩნდა. მოხუცი დასასვენებლად რომ დაწვა, ცხენი შეუცვალეს. ვერც შეამჩნია და სახლში დაბრუნდა. იჭიხვინა მისმა ცოლმა, მაგრამ საჭმელი არ გაჩნდა. ისევ იმ დედაბერს მიაკითხა. მან ახლა თხა აჩუქა: „მეე“-ს თუ დაიძახებ, ცხვირიდან და პირიდან ოქროები დასცვივაო. თხაც მოჰპარეს. მივიდა დედაბერთან, უსაყვედურა, რატომ მომატყუეო. მან ახლა ჯოხი მისცა: - ვინმე დაჩაგვრას თუ მოგინდომებს, თქვი „სახლი, სახლი“ და იმდენს ურტყამს, სულს ამოხდისო. მივიდა იმ სახლში, სადაც გაქურდეს. შეიყარა ხალხი. „სახლი, სახლი“ დაიძახა ბერიკაცმა და ატეხა ჯოხმა ცემა-ტყეპა. სოფლელებმა ხვეწნა დაუწყეს, დაუბრუნეს ცხენიც, თხაც და დაბრუნდა იგი სახლში.

3. ქალიშვილი და გერი (გვ. 14-17), რუსული ტექსტი, გვ. 17-19.

იყო ერთი ბერიკაცი. ცოლი მოუკვდა და მეორე შეირთო. ორი ქალიშვილი ჰყავდა, ერთი პირველი ცოლისგან, მეორე – მეორისაგან. ცოლს სძულდა გერი, აიძულა ქმარი წაეყვანა და ტყეში დაეტოვებინა. მარტო დარჩენილმა ფაფის მოხარშვა სცადა, თაგვი მოვიდა და ფაფა სთხოვა. გოგონამ დააპურა თაგვი. მან უთხრა რომ დათვი მივიდოდა, ეჟვანს შესთავაზებდა და გამოართვიო. მოატყუეს დათვი, მისცა იმან გოგოს ვერცხლის ეტლი და სამი ცხენი. გავიდა რამდენიმე დღე. ბერიკაცი ცოლმა გააგზავნა: – შენი გოგოს ძვლები მომიტანეო. ძაღლმა აცნობა დედინაცვალს საშა ვერცხლის კარეტით ბრუნდებაო. დედინაცვალმა ქმარს თავისი გოგოც წააყვანინა ტყეში – ბედს ეწიოსო. მან თაგვს არ აჭამა ფაფა. თაგვი არ დაეხმარა, დათვმა კი შეჭამა. ბერიკაცმა ცოლს ტყიდან ძვლები მიუტანა.

4. ბერიკაცი და მგელი (გვ. 19-23), რუსული ტექსტი გვ. 23-25.

ერთმა ბერიკაცმა ცოტაოდენი სიმინდი წაიღო ყანაში დასათესად. უკან რომ ბრუნდებოდა, ბებერი მგელი შეხვდა, მონადირეები მისდევდნენ. - დამმალეო. – სთხოვა. ბერიკაცმა ტომარაში დამალა. შემოხვდნენ მონადირეები, დაუმალა მგელი. ატარა მგელი, დაიღალა და სთხოვა: - აღარ არიან მონადირეები, ამოდი ტომრიდანო. მგელმა: – ცოტაც მატარეო. ცოტა ატარა და ქანცგალეულმა მიწაზე დაახეთქა ტომარა. მგელი ამოვიდა ტომრიდან და წამოწვა. - ახლა რაღა გინდაო. – ჰკითხა მოხუცმა, – უნდა შეგჭამოო. სამ ადამიანს ვკითხოთ, სწორი იქნები, რომ შემჭამო, თუ - არა, რასაც იტყვიან, ისე მოვიქცეთო. შეხვდათ გამხდარი ბებერი ცხენი. მან უთხრა: - ცხენების რემის წინამძღოლი ვიყავი, როცა დავბერდი, გამომაგდესო. ახლა ბებერი ძაღლი შემოხვდათ, ისეთივე პასუხი გასცა. ბებერმა ცხვარმა უთხრა, ასეც უნდა იყოს, უნდა შეგჭამოსო. ახლა მელას ჰკითხეს. მან მოტყუებით მგელი ტომარაში ჩააძვრინა, ბერიკაცს სახრე გამოაჭრევინა და ერთი კარგად მიაბეგვინა მგელი, მერე ტყავი გააძრო და სახლში წაიღო.

5. კულაცუ (გვ. 25-31), რუსული ტექსტი გვ. 31-34.

იყვნენ ბერიკაცი და დედაბერი. კაცი სახნავში წავიდა, დედაბერმა კი ცეროდენები შვა. ბავშვები გადაყარეს. ერთი გაძვრა და გადარჩა. ბერიკაცისათვის სადილის წამღები არავინ ჰყავდა და თქვა: - ერთი მაინც დამეტოვებინაო. დამალული გამოეპასუხა: - აქა ვარო. გაატანა დედაბერმა სადილი. ბერიკაცს გაუხარდა ღმერთმა შვილი რომ მისცა. კულაცუ საქურდად გაჰყვა კაცებს, დიდი ხარი მოიპარა, ხარის ხორცით დაბრუნდა სახლში. მან ბევრი ოინი ჩიდინა, ბაბაიგაკაც გააცურა, მეჯოგეც, სტუმრებიც და მათი ქონებაც დაისაკუთრა.

II. კაიხური კილო, ბჟედუხური კილოკავი.

6. ახალგაზრდა თავადის თავგადასავალი (გვ. 35-52), რუსული ტექსტი გვ. 52-60. ჩაწერილი ეკატერინოდარის განყოფილების აულ ტახტამუკაევსკში, 62 წლის მოხუცის, ბჟედუღელი ოსმან გატავუსაგან.

იყო ერთი მდიდარი და სახელოვანი თავადი. ერთადერთი ვაჟი ჰყავდა. 5 წლისას დედა მოუკვდა. ორი წლის შემდეგ თავადიც მოკვდა. სიკვდილის წინ შვილს დაუბარა, მთელი ქონება წაიღე, მიდი ჩემს მეგობართან და ის მფარველობას გაგიწევსო. მივიდა მამის მეგობართან და 12 წელი მასთან იზრდებოდა. ერთ დღეს საცოლის სამებნად გაემგზავრა. გზაში შესცივდა. ერთ მეჯოგეს გადაეყარა. იგი დაპირდა დახმარებას საცოლის მოპოვებაში, თან დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ბიჭმა მიაღწია სასურველ ქალწულამდე, მან პირობა წაუყენა – უნდა დავეჭიდოთო. თუ მაჯობებ, იმ ეშმაკებს სძლევ, ჩემში რო სხედან, თუ არა და 99 დახოცილს შენც მიემატებიო. ჭაბუკმა სძლია ქალიშვილს და სახლისაკენ გაბრუნდა. გზაში მდინარის პირას შეისვენა. კიდევ უამრავი რამ გადახდა, ბოლოს დაბრუნდა სახლში.

7. წინასწარმეტყველი ხაზრეთ-ალი (გვ. 60-61), რუსული ტექსტი გვ. 61-62. ჩამწერი პაგო ტამბიევი.

ხაზრეთ-ალი ლოცულობდა და ფიქრობდა: ჩემზე ძლიერი დედამიწაზე არავინ არის. საყრდენი რომ მომცა, დედამიწას გადავაბრუნებდიო. ამის შემდეგ ხილვა ჰქონდა: ხმა მოესმა ყორღანზე ადი და სამჯერ იყვირე: - ტემტეკ ატემიკოვ! მესამე დაძახილზე გაჩნდა მოხუცი, ელამი და ელამ ცხენზე მჯდარი, ელამი ძაღლის თანხლებით. - ჩვენ რომ დედამიწაზე დავრჩენილიყავით, თქვენისთანებისათვის ადგილი აღარ დარჩებოდა, ჩვენს სიმძიმეს დედამიწა ვერ გაუძლებდაო. ეს თქვა, მიწა ჩასკდა და ცხენიან-ძაღლიანად ქვესკნელში ჩაინთქა.

აქვეა გამოქვეყნებული „პროგრამა ცნობარისა, რომელიც აუცილებელია კავკასიის სხვადასხვა ადგილების აღწერისათვის (გვ. 9-24). სხვასთან ერთან პროგრამის ბოლო თავის II და III მუხლებად მითითებულია: სიმღერები მშობლიურ ენაზე რუსული თარგმანით, თუ შესაძლებელია ჰანგებითა და ნოტებით; ცალკეული ლეგენდები, ზღაპრები და ანდაზები და სხვ. რუსულ ენაზე, ხოლო ანდაზები დედნისა და რუსულ ენებზე.

პროგრამას ერთვის ვრცელი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს და შეისწავლონ რწმენა-წარმოდგენები, თქმულებები, წეს-ჩვეულებები: „რამდენიმე საკითხი რწმენა-წარმოდგენების, თქმულებების, წეს-ჩვევების შესასწავლად“ (გვ.

25-37). იგი შედგენილია რუსული გეოგრაფიული საზოგადოების წევრ-თანამშრომლის რ. ნ. პოტანინის მიერ, როგორც პროგრამის დამატება. ეს ტექსტი СМОМПК-ის II გამოშვებაში იყო დაბეჭდილი, XXVII გამოცემაში კი განმეორებით დაიბეჭდა.

СМОМПК, 1898, 25, განყ. III

ადიღეური ტექსტები პ. უსლარის მიერ შემუშავებული შრიფტით, დედნის ენაზე, რუსული პწკარედით და რუსულ ენაზე თავისუფალი თარგმანით.

A. **ყაბარდოული სიმღერები** (გვ. 1-)

1. მოხუცის წუწუნი თავის ბედზე (გვ. 1-3), რუსული თარგმანი gv. 3.

– ჩემს მწარე ბედზე ფიქრებით დავეხეტები სილიან ნაპირზე. ვინც გამამტყუნოს, მისი ოჯახიდან ყოველ დღე კუბოები გაიტანონ, მისი ძმაც ისეთი გარეწარი გახდეს, როგორიც ჩემი ძმაა, რომელმაც უმემკვიდროდ დამტოვა, როცა ერთადერთი შვილი მომაშორა. ტრაბახა მოხუცს მიძახიან. თავად შაუტიკოვს რომ ვძლიე, განა გმირობა არ არის?! იყო დრო, როცა აზნაურები რჩევას მეკითხებოდნენ, როცა ჩემს მტერს და მოშურნეს ვამარცხებდი. ახლა რა? საცოდავ ძაღლსავით მტოვებენ ცარიელ სახლში. აღარ მინდა ასეთი საცოდავი სიცოცხლე, იქით მაინც ჩავიდე, საიდანაც აღარ ბრუნდებიან.

2. **ყაბარდოელების ლაშქრული** (გვ. 5-8), რუსული თარგმანი გვ. 8-9

– მომიწია ძველი სახლის მიტოვება, აზროვნების მამულში ახალი თავშესაფრის ძიება. ამხანაგებმა დამასწრეს, მე ოჯახითურთ გავეკიდე მათ. ამხანაგებს ჩამორჩენილი ბუჩქნარში ვიმალები. ქალები გრძნობენ საფრთხეს. ახლოს ვარ იმ ხეობასთან, ჩვენი გმირების საფლავად რომ იქცა. შენ, ეი, ტლაშე ტამხოტოვო, ხუმარავ, რატომ არ ერეკები შენს ცხენს. თავადო მაშოსტოვ, შენ დასჭერი სასიკვდილოდ თავად კასაევი, დაობლდა მისი შვილი ტატლოსტერი. ვინ უწინამძღვრებს? ხაჯი ტაიხოტი დაშოკოვი?! ტოკ კლიჩეკი – ჩქარ ცხენებზე დოღში ხელმძღვანელი?! თავადო მიშოსტოვ, ინგლისურ პორტერს სვამ, შენს საჯინიბოში ყორანა ცხენები იტანჯებიან. კნეინა სატანეი დასტირის დაღუპულ ქმარს.

– ეი, შენ, დიგულბეკ ტამბიევო, ძვირფასი ოჯახი რომ მიატოვე, მდინარე ბელაიას სათავეებში შვიდი წელი რომ გამოეხსნა, ყოველ დღე ცხენების გატაცებისას ამხანაგებს მდინარე კიანკის მიხვეულ-მოხვეულ დინებას რომ მიუყვება. ალეგიკა ახალგაზრდა თავადის მოხდენილი ცხენი ემსახურებოდა. მან ბოლოტოკოვების ცხენების რემა გაირეკა. გოშემაკი ზეკოვა პირველი ატირდა. დიდი მხედრობა მიჰყავდა ჟანდარ ბაბუკოვს. ცოლმა გაუშვა ქმარი, მთელი წელი არ გაუჩენია ბავშვები. მისი მახვილი ხმალი ჟანგდება ქოხის კედელზე.

3. **სიმღერა ჯავშანზე** (გვ. 10-11), რუსული ტექსტი გვ. 11-12

– ეჰ, კნეინა – მბრძანებელო, სახედაფარულო, დიდ მკერდიანია და მათრახით აწამებენ. ატირდა. ხსნას მამის სახლში ვეძებდი. შენი ძმა და ჩემი ქმარი გახდა შენი მსხვერპლი. ქვის სახლი საფუძვლიანად მოარყია. თავადის ხალხი თეთრი აბრეშუმის პერანგს ეძებს, ჩემს თეთრ მკერდს ათვალიერებს. მე რომ ჯაჭვის პერანგის ტარება დამბედებოდა, მამის სახლს არ დავტოვებდი, რათა გავთხოვილიყა-

ვი. ახლა ნურავინ აზნაურთაგანი ნუ აღზრდის თავადების შვილებს. თავადის ხალხს მივყავართ ჩვენ, ცხრა ძმის ცოლები. ტუზაროვის სახლის ნარჩენებს ეზიდებიან მცხოვრებნი.

4. **თავად კუჩუკ აჯიგირიევის სიმღერა** (გვ. 12-16), რუსული ტექსტი გვ. 17-18.

წვერულვაშა ლამაზი ქუჩუკი მიწას მიაბარეს. მისთვის თავს იკვლავს კნეინა კუმპილი. როცა აზნაურები შეიყრებიან დავლაზე წასასვლელად, იგი თავისი გმირობებით გამოირჩევა. ერთხელ დიდრქიანი ზუბრი წააქცია. სტანიცაზე ჩადენილი ძარცვით გააოცა რუსი მეუფროსეები. იგი ძარცვავდა დილიჟანრის მგზავრებს. თოფის ხსნარებში ვერვინ შეედრებოდა. მისი ამფსონები ხიფათის დანახვაზე ბუჩქებში იმალებოდნენ. მის დანახვაზე ნოღაელებმა ხორბლის მთელი მარაგი დაკარგეს. ვეღარ დაგაბრუნებენ ამქვეყნად. შენს საფლავს ბილიკი გაუკეთეს. შენ ყოველთვის წინამძღოლობდი, მდევარის მიუხედავად, ახერხებდი ნადავლი საქონლის ფარების ჩამოყვანას.

5. **ღამის თავდასხმა** (გვ. 18-22), რუსული ტექსტი გვ. 22-24.

თავადი მთელი ცხოვრება გულუხვი და უშურველი იყო. ღრმა სიბერემდე მონაწილეობდა ომებში. ვინც უარმყოფებთან ომში დაიღუპება, ცხონდებაო. ამ სიტყვებით ამხნევებდა თავისიანებს. ქოხის წინ ზარბაზანი დადგა, რათა მტერი მოეგერიებინა, ღამის თავდასხმა მოეხდინა. ალიმურზოვი შეიპყრესო და მის დასახსნელად მიბრუნდა. ტამბიევის ————— არ გააძარცვინა რუსებს, ოფიცერი მოკლა. დიდებულ დღეს მიასვენეს მამა-შვილი ხამირზა და მისი ვაჟი ისმაილ კაიტუკინი. იგი მთელი ცხოვრება ებრძოდა კაზაკებს. ასეთია თავად ატატუტინი. როცა ჩეჩნების რაზმი მოდის კაშკატაუში, იგი თავისიანების თავშია. მან ურწმუნოები გააქცია გაფანტა რუსის ჯარი, მთელი დღე ბრძოლის ველზეა, ხიშტების ნატეხებით დალახვრა მტერი კოგუნ შხაშოკოვმა. იგი შეიჭრა თავისი თეთრი ცხენით, მაგრამ მოკლეს, როცა ჰანოკოელებს იცავდა. ჯანოკოელები დასტირიან თავიანთ დამცველს ალტუღ ჯანოკოვს, სიმაღლით ნართებს ჩამოჰგვანან. ოთხივე ————— ერთ დღეს დაიღუპა ყველა დასტირის – ცოლები, გამვლელ-გამომვლელნი. ესენია მუსა – ომის მოყვარული, მუშკეტით მტრის გამმუსვრელი დოლტიკო, ყველაზე უმცროსი – კაზი.

6. **აულის გაჩანაგება** (გვ. 25-34), რუსული ტექსტი გვ. 34-37.

ლობაზე როცა ვცხოვრობდით, განებივრებულები ვიყავით, რუსებმა რომ დაგატყვევეს. ვეღარ გვეწეოდნენ. ჩვენი გადამრჩენი გმირი იყო აებაკა ტაოვი. ძვირფასი ხელთათმანები და მოსკოვური ქუდი ელავს მზეზე. ჩვენი ცრემლები იღვრება. ჩვენი მტრები მთელი სამეფოა. ვინაა დამნაშავე, ვერ ვიტყვით აზნაურები. ისე კი დამნაშავეა კრიმ-გირეკი ლოხშოკოვი.

ორი ლოთი ძმის შაგუროვების გამო დაიღუპა მამაჩემის აული. ბარაბნების ხმაურით მოდის მტერი, ოფიცრები გვემუქრებიან, ჩვენ კი ცრემლს ვღვრით. ყაბარდოელი გმირი მოწყენილია ბუშპაგირში. როგორი სანახავია ქალები ბორკილებში. ხაჯი ნარტიჟოვმა სცადა მოხმარება, მაგრამ მოკლეს. ღმერთო, ჩვენი აული აოხრებულია. ვინც დაიღუპა მისი დაცვის დროს, ნეტარი იქნება. ჩემი პატარძალი რუსებს მიჰყავთ ტყვედ. უმცროსი ბარაკ ტუტუკოვისაგან არ ველოდი ამდენ

გამძლეობას, ხოლო უმცროსი ალი კონშაოვი, ვისზეც დიდ იმედებს ვამყარებდი, გაიქცნენ სამარცხვინოდ. მამაცი დამცველი მოგვიკლეს. კარგი თოფის მსროლელის უმცროსი ხაჯი ნარტიჟოვის ცხედარი სახლში მიასვენეს. ორივე ხელში დაჭრეს ისმაილ ატლესკიროვი, რომელმაც მტერს ხელიდან გამოგლიჯა თავისი ცოლი.

7. **ტრაბახა მოხუცი** (გვ. 38-40), რუსული ტექსტი გვ. 40-41.

მოხუცი კარდანოვი, კბილები დასცვივდა, მაგრამ ხმალს კარგად ხმარობდა. მტერმა დაჭრა, ისრით ცხენს მიალურსმა. ესროლა მტერს, ხმალი იძრო, მოკლა, ხანჯლით საფლავი გაუთხარა, დავმარხე აზნაური. ვზივარ ცხენზე, ტყვიები ზუზუნებენ, მაგრამ არ დამდგარა ჩემი სიკვდილის დღე. კოგოლკოელებთან ვიშუშებდი ჭრილობებს მთელი კვირა. მოვაბეზრე თავი, ვერც დავლაზე მივყვები. ლამანი კუმიშხანი მივლის, სიმღერებს ვთხზავ ჩემს თავზე.

8. **ადემირკანის სიკვდილი** (გვ. 41-46), რუსული ტექსტი გვ. 46-48.

ადემირკანს ტოლი არ ჰყავს ქვეყანაზე. მისი ხმალი აუშევის წმინდა გიორგის გალესილია. ომის ველზე მის გარშემო ღრუბელი იკვრება. აქ ადიღეს მიწაზე ელმურზას ღირსეული შვილი იქნებოდი. მას მწარედ დასტირის კნეინა ელზიკა, მილეს ადემირკანი. ერისთავის ასული ყურთბალიშს უქსოვს. ადემირკანის ძველი გვარი გადაეგო. მისი ქვითკირის სახლი აღარ მასპინძლობს თავადებს. მდინარეების სათავეების მკვიდრებს მისთვის ცოცხალი ირმები მიჰყავდათ. როცა მთელი ყაბარდო მისდევდა ასტრახანის ჯარს, ყველა ახალგაზრდა აზნაურს ჩააცვა ჯავშან-ჩაჩქანი და იარაღი სახელოვანმა ხატიკომ. როცა ცხენი მოუკლეს, სხვაზე გადაჯდა, ხმლების დარტყმები ზიანს ვერ აყენებდა. ყველას გასაკვირად უსინათლო ხარი მოკლა. ყაბარდოელი თავდი კამბოლეტი ჩემი ტოლი იყო. მან ჩამაგდო ყაბარდოელების ხელში. სახელოვანი თავადი მოკლეს. ადემირკანს დაესხა თავადი კადირმოვი, თოფი დაუმიზნა ბიტოვ ჟომბოროვსკიმ, ადემირკანმა წვერი მოჰკვეთა. მან კი სამი თითი წააცალა. მოკლეს ადემირკანი.

9. **სიმღერები ასლან-გირეი ბესლანოვზე** (გვ. 49-50), რუსული ტექსტი, გვ. 50:

თავად ასლან-ჯირეი ბესლანოვთან ერთად, რომელსაც სიკვდილი ეწერა, არავინდ დაღუპულა. დაიღუპა მხოლოდ პშიმახო. კურჟინის ველზე ქვიტკირის სახლი ავაგებინე. მის კედლებში ჩემზე მოთქვამენ სახელიანი მამები, უბედური ხაჟი ხანი, ყველაზე მეტს კი მოსთქვამდა ელამი ხაპაშა დაუროვი.

10. **სიმღერა ტყვე პშიამიფოკოზე** (გვ. 51) რუსული ტექსტი გვ. 51.

– პშიამფოკო, ერთ კვირაში უამრავი გატაცებული ცხენის გაყოფა რომ შეგეძლო, ხეგაკელ ცხენიანების მიუვალ ჭიუხებში რომ აგზავნიდი, შენს მიერ ნაჩუქარ სიმდიდრეს არა აქვს თვლა. თუ ძველ ტარკებს იქით არ მივდივართ დავლაზე, ცოტა გვაქვს ნადავლი. ძველი ტარკის ბილიკზე ქურდული საფარი მომიწყეს. ეს იყო ყველაზე დიდი უბედურება, რისი გადატანაც მომწევია. კნეინა გორზალი მოწყენილია. გამოსასყიდზე გაგზავნილი მხედარი არ ბრუნდება და ტყვეობაში ყოფნა გრძელდება.

11. **სიმღერა აიტეკ კანოკოვზე** (გვ. 52-55), რუსული ტექსტი, გვ. 55.

– ეი, შენ, ჭაბუკო თავადო, აიტეკ კონოხოვო, ულვაშებიც რომ არ ამოგსვლია, მიუვალი სიმაგრეებიდან მოგყავდა ნადავლი ცხენები. შენი მოკლე წუთისოფელი ისე გასრულდა, როგორც საღამოს აისი. ბესლენელთა ახალგაზრდობამ მიგვატოვა ბედის ამარა არტოშთან. ტლიაშ აბუგოვის სიკდვილისა და ხაჯი კანამეტის ზღვის იქით წასვლის შემდეგ ველოდით ასეთ უბედურებას. ეტყობა ბესლანელ ახალგაზრდებს ასეთი ჩვევა აქვთ – ბრძოლის ველზე მიატოვონ თავიანთი გვამები. ტემიგორელებს კი ეს ჩვევა არა აქვთ.

12. შერიტიმი (საცეკვაო სიმღერა), გვ. 56-58, რუსული ტექსტი გვ. 58.

შერიტიმი ვიოლინოს უკრავს და თავისი ოხუნჯობით ართობს ხალხს. წაქცევამდე ვცეკვავთ. ჭაბუკები ოსტატურად ვერ ცეკვავთ შერიტიმის მუსიკაზე, გოგოებიც ფეხებს ურტყამენ იატაკს, უბედური შერიტიმი შეჯდა ცხენზე და წავიდა, ბარაკას პატივისცემით გაიარა აული ჩაჟოკოვსკი, გადავიდა მდინარეზე ურუპზე, იქ კოჭლი კატუკო და მსუქანა ერუგოვი ცხოვრობდნენ.

13. **კარაკაშკატაუ** (გვ. 58-60), რუსული ტექსტი გვ. 60-61.

– ამოწყდნენ კარაკაშკატუელები და ამოიგავონ. ნართი რაინდები იმდენნი ვიყავით, რომ ვიწრო გასასვლელში ვერ ვეტეოდით. მაშინ დაეცა გულადი თავადი კანდიშოკო. მისი აღკაზმულობა შეშურდა შოკალს. უმაღლესი ბელადი მოგვიკლეს. ტურგუნებმა დახოცეს ჩვენი დედაბრები. ეს წყეული ჯარი თავადმა კაპშავმა მოიყვანა. ჩვენ საფარში ველოდით. ორი მოკლული ძმებიდან უმცროსი აბილექსენია. ენატკბილი კნეინა თავს იკლავს დახოცილებისათვის.

14. **რუსების მოსვლა** (გვ. 61-66), რუსული ტექსტი გვ. 61-67.

ეხ, რუსო, დაბლობისაკენ შეგვავიწროვე. ამ დედამიწის კიდედან მოხვედი. არ გვეგონა მდინარე ბელაიას სათავეებისაკენ თუ წამოხვიდოდი. ზღვაზე გადასახლების აზრი ჩაგვინერგე. შენი მოსვლით ბალახიც შეგვიმცირდა. ლაბირსეში ბაზარი მოაწყე, ჩვენი ყმები გაათავისუფლე. რუსებს თან დაგაქვთ ვაზნები, ბრძოლის ველიდან სიმღერით გაგაქვთ დახოცილები. ზარბაზნის გრიალი მათი სალამურია. ჩექმების ქუსლები ლურსმნებითაა დაჭედილი. მათი ქალები გაშიშვლებული ხელებით დადიან. მზესუმზირა არ შორდება მათს ენას. უკანონო კავშირებით იზრდება მათი რაოდენობა. საზიზღარი საკვების ჭამა მათთვის სასიამოვნოა. კარტოფილს ჭამენ – მათი ვნებაა. მდინარეებზე ხიდებს აგებენ. თამბაქოთი არიან აყროლებულნი.

ბესლანურ კილოზე ჩაწერილი ტექსტები:

15. **სიმღერა ლეჟურუკო კონოკოვზე,** ნაწყვეტი, გვ. 68, რუსული ტექსტი, გვ. 68-69.

ლუტერუკომ ცხენი ახტუნავა. მისი სხეული ქაღალდივით თეთრია. ციურ ჯინად მიიჩნევენ. სიმაღლით ბუმბერაზი იყო, სახე დიდ ვარსკვლავსავით უბრწყინავდა. მან გაძარცვა ვუჟიკი, რაც ძნელი იყო. შავ ყორნებს აჭმევდა კაზაკების თავებს.

B. **კიახური სიმღერები, ა) აბაძეხური კილო**

16. ბრძოლა ჯუგზასთან (გვ. 69-70), რუსული ტექსტი გვ. 70.

ტუაფსეს სათავეებში ჭექა-ქუხილია, ხოლო ჯუგბაში სისხლი იღვრება. მაგომედ ზიბერდოვი ბატარეაში შეიჭრა და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება... მის დას ხაბიბეს მოსწყინდა დაჭრილი ძმის საწოლთან. მისი სიკვდილის შემდეგ მათხოვრებს საბოძვარს ურიგებენ.

17. **უსაქმურთან შეხვედრის სურვილის არქონა** (გვ. 70-71), რუსული ტექსტი გვ. 71.

– ეი, უსაქმურო, ბლომად კვახის ფაფის მჭამელო, ოჯახის ზედმეტო ბარგო, შენისთანები ასეულია, დასაღუპავებო. უსაქმურობისაგან ძაღლებს აჩხუბებთ, ცხენებს აფრთხობთ.

18. **ხუმრობა (გვ. 72)** რუსული პწკარედი გვ. 72.

დღისით ცხვარს აძოვებს, ღამით სუფთა მკვდარია. მივუწვები, განზე იწევს, ავდგები და ყვირის. მეზობლებთან გადავალ და ვკითხავ, ბავშვები საიდან მოჰყავთ.

გ) **შპსუგური კილო**

19. მოღალატე ცოლი ხვდება ქმრის მკვლელს (გვ. 73-74), რუსული ტექსტი გვ. 74,

– გამარჯობა შენი აძეპშონო, პშიკობერდის შვილო – ასე ხვდებოდა ქვრივი ქმრის მკვლელ პშიკობერდს. შენ გააქციე ჩემი სქელუა ქმარი ურუხის ველზე ბუჩქნარში რომ იმალებოდა; შენ ისარი ესროლე, ხმლით აკუწე. შენს მოსვლებს უკვე შევეჩვიე. შენ შენს შესახებ ამბობ, რომ აზოვში სისხლი დაიღვარა. გამოქვაბულებშია შენი ადგილსამყოფელი. სადაც შედიხარ, ვერცხლის თასით სვამ სასმელს და მიგაქვს ძვირფასეულობა.

20. გოშემარხოს სიმღერა (გვ. 75), რუსული ტექსტი გვ. 75-76.

გეტაგეჟები ერთმანეთს ართმევდნენ ჩემს თავს, მეორე უფრო გავლენიანს მიმგვარეს. ყუბანის ნაპირებით უკან მაბრუნებენ. ჩემი ქმარი ლამაზი ცხენივით დარჩა, ჭენება რომ არ შეუძლია. გრებოკოვსკის აულიდან ქვეითად მივყავართ, შოლოხოვების სახლთან კი ცხენები გამოიყვანეს. როგორ შევხედო თვალებში ახლობლებს?

21. აბატოვის ღალატი (გვ. 76-77), რუსული ტექსტი გვ. 77.

აბატოვი მოწყენილია, გაძევებულია, კაზიევი კი სამოთხის სადარ საცხოვრისშია. კოჭლი აბატოვი ეკამათება გენერალს. პსიხოს სათავეები გვამებით აავსო. ტლეკეჩ ტამბიევი გენერალთან ერთად ღორის ხორცს ჭამს, როცა აულ ნატუხაის არბევდნენ, ყველაზე წინ იყო. რუსული ცხენოსანი რაზმი ფართომკერდიან ცხენებზე იჯდა. ნატუხაელმა ახალგაზრდებმა შეუტიეს მტერს, თავზე ხელაღებული მამაცები არიან.

22. **შერატლუკოვი** (გვ. 77-85), რუსული ტექსტი გვ. 85-87.

შერატლუკოვების სიმღერები ვიოლინოზე სრულდება.

მუსულმანები იღუპებიან – თქვეს ძმებმა და ბევრს ააღებინეს ხელში იარაღი. გულადები მალულად გავიდნენ აფიპსუსთან. აბინსკიდან დიდი ჯარი გამოვიდა, ქვემეხების სროლით შეგვიშინა გულები. სახლში მოწყენილია მშვენიერი გოშეგოხუ, ერთი შერატლუკოს პატარძალი. და შახარბიკე ცხარე ცრემლით ტირის. შერატლუკოვები მამაცები არიან. მკერდს უშვერენ ტყვიებს, საბრძოლო ცხენებზე მსხდარნი მიდიან იქეთ, საიდანაც აღარავინ ბრუნდება.

ხაპაშევების სახლთან დიდი ომი გააჩაღეს. შვიდი ძმის და, ხანიჯა, დამწუხრებულია ძმების სიკვდილით. საბედისწერო დღეს ცხენიდან ჩამოსვეს შუმახ შერატლოკოვი. სამი ცხენი მოუკლეს. მაგომეტ შერატლუკოვმა საშინელი ომი წამოიწყო. მშვენიერი ხაბიბა მოსთქვამს მის გამო.

23. გადაბერებული ქალწულის ჩივილი (გვ. 88) რუსული ტექსტი გვ. 88-89.

ჩახმიზოვის ყორღანიდან გავცქერი შორეთს, სადაც ჯარის ბანაკია. მე გამორჩეულ პერსონაზე ვფიქრობდი გათხოვებას, ჩემს სწორებს ვწუნობდი, ახლა კი ისინიც დავკარგე. მამისეულ სახლში ვიწყენ, სახე რეზინივით დამინაოჭდა და მაინც ქალწული ვარ.

24.**ურტაეპები** (გვ. 89), რუსული ტექსტი გვ. 89.

პატარა ცეევი მოლაპარაკებებს აწარმოებს, უფროსი შგიაშევი ლამაზმანისაკენ მიიწევს, მდინარე მაჩ აქაფებულია, ისიგუშის გზა კი გველივით დაკლაკნილი, ახლა მიანზა ხატკოვი არ ეთანხმება მათს პირობებს.

გ) ბჟელუხური კილო

25. **ანაპის ციხის შტურმის გამოძახილები** (გვ. 90), რუსული ტექსტი 90.

თეთრი ცხენი ბორგავს ბაუშკვების ტყეში, სადაც დიდი ჯარი იკრიბება. მოდის სხვა ჯარი. გარიჟრაჟზე ქვემეხი დაუშინეს ციხეს. კაპუხ ჩემისოვი თივასავით სხიპავს ხალხს.

26. **უსაქმურობისა და ქურდის დაცინვა** (გვ. 91-92), რუსული ტექსტი გვ. 91.

– უსაქმურნო, ნემსის ხმარება რომ არ იცი. ბევრ ნაღებს ჭამ და კიდევ უფრო მეტ კვახს. სქელუა ხარ, დიდი მკერდით, ოჯახს აჩანაგებ. შენნაირი კი ბევრია, აგრემც გადაშენებულან. ეი, უსაქმურო, მოკლე ჩერქეზკაში გამოპრანჭულო, მარტო ცხენებს აფრთხობ. ეი, ქურდბაცაცა, დილით იტაცებ რემას. დაწყევლილი ხარ.

ყველა ზემოთწარმოდგნეილი ტექსტი ჩაწერილია პაგო ტამბიევის მიერ, სტანიცა სუვოროვო – ჩერქეზსკში (ლ. ლოპატინსკის ცნობა, გვ. 99).

დ) **ნატუხაური კილო**

27. **ოუ რედედ** (გვ. 93), რუსული ტექსტი გვ. 93.

ტექსტს ახლავს რედაქტორის შენიშვნა: ამ სიმღერას მღერიან ქალები, როცა პატარძალი მშობლების სახლიდან სიძის სახლში მიჰყავთ, ასევე – კარგ ხასიათზე მყოფი ახალგაზრდები სეირნობის ან მგზავრობის დროს. რედედია ქალიშვილის სახელია.

ბედნიერი ხარ რედედია. მეტყვი როგორი იყო ჩემი პატარძალი: სახე სავსე მთვარეს მიუგავდა, მკერდი მოოქროვილი ფარით დაფარული. თვალები – მოკაშკაშე ვარსკვლავები; მერცხლებივით ეხვეოდნენ სასიძოები. ბედნიერებას გისურვებ.

28. ნატუხაელების თავდასხმა ბოროხოუპჩისა და კურკოი - კალეს სიმაგრეებზე (გვ. 94-96), რუსული ტექსტი გვ. 96-98;

ნიკოლაევსკი სტანიცის ტოშეტლის მხედრებმა დავლაზე წასვლა გადაწყვიტეს. მათი ბელადი ასეთ დროს იყო ხაჯი-ბარამი. რუსები ამ რაზმში 5000 კაცს ითვლიდნენ. სინამდვილეში 15 ცხენოსანი იყო. ანაპკის ველზე კაზაკები მიიწევდნენ წინ. მძარცველებმა წინ რამდენიმე ყოჩაღი გაუშვეს. მცველად ხაჯი-ბარამი ჰყავდათ. აულში ხის ქვეშ ახალგაზრდობა ნაღვლიან სიმღერას მღერის. ელოდებიან ახალ ამბავს. მდინარე კონძიხის შესართავთან ქვემეხების ხმა ისმის. ჩერქეზები უწესრიგოდ უტევენ ციხე-სიმაგრეს, მაგრამ ისინი ხის ხიდიდან გადაყარეს.

СМОМПК, 1897, 23, განყ. 3.

ფოლკლორული მასალა დაბეჭდილია კრებულის III განყოფილებაში (გვ. 3-48). ესაა მთიელი თათრების ზღაპრები, რომლებიც ჩაიწერა ევგენი ბარანოვმა თერგის ოლქის ნალჩიკის ოკრუგში.

კრებულს ახლავს ლ. ლოპატინსკის ტრადიციული წინასიტყვაობა, სადაც მიმოხილულია დაბეჭდილი მასალები, ფოლკლორული ტექსტები და დართული აქვს ანალიზში გადაზრდილი შენიშვნა-კომენტარები. საძიებელი (ზღაპრების მოტივების), გვ. 16-17.

1. **მხედარი კვიცის ტყავში** (გვ. 3-13)

ერთ სოფელში ცხოვრობდა კაცი, სახელად ტოპუჩუკი. ის კარგი მოცეკვავე იყო, მაგრამ უქნარა. მეორე სოფელში ცხოვრობდა თავადი ხოლხაში. მისმა ცოლმა როცა მოილოგინა, ტომუჩიკიც მიიპატიჟეს სტუმრების გასართობად. სტუმრებში საუბარი გაიბა, სხვას უკეთ ვინ ეხმარებაო? ყველაზე მეტს ადილგირეი ზანოვი გასცემსო. მეორე დღეს ტოპუჩიკი მასთან მივიდა. ადილგირეიმ მისი დაპურება და მოსვენება ბრძანა, დილით საუკეთესო ტანსაცმელში გამოაწყო, ცხენი მისცა და მასთან ერთად გაუდგა გზას. მათ ერთ აულში ხალხი შემოხვდათ, კნეინას ართობდნენ. კნეინამ ზანოვთან იცეკვა. სოფლელებმა სცემეს. ზანოვი ცხენს მოახტა და თელვა დაუწყო ახალგაზრდებს. კნეინა გაიტაცეს. ზანოვმა ტოპუჩიკთან დატოვა. დასავით გაუფრთხილდიო და წავიდა. ერთმა მდიდარმა თავადმა 100 ათასი ოქრო გადაუხადა და კნეინა წაიყვანა. ტოპუჩუკი გამდიდრდა. ზანოვი გაახსენდა. თავად ხოხლაშს და სთხოვა ზანოვისათვის. ჩავიდა ზანოვთან, უამბო საცოლის ამბავი, ზანოვი დაეთანხმა, საჩუქრები გაატანა. თითქოს დაივიწყა. მერე გაიხსენა, მაგრამ ხან რა საქმე გამოუჩნდა, ხან რა. შემდეგ გაემგზავრა კენენისაკენ, გზაში უამრავი რამ გადახდა. ბოლოს იქორწინა და ბედნიერად ცხოვრობდა ახალგაზრდა ცოლთან ერთად.

2. მხდალი (გვ. 13-18).

იყო ერთი კაცი, ორი ცოლი ჰყავდა. საშინელი მშიშარა იყო. ღამით გარეთ ვერ გადიოდა. ერთხელ ცოლებმა გაიყვანეს ეზოში და კაცმა თქვა: – რა ცუდია, რომ მთვარიანი ღამეა. საქურდავად წავიდოდიო. მობეზრდათ ქმრის ტრაბახი და უფროსმა ცოლმა იყვირა: – მელია მორბის აქეთო. კაცს გული წაუვიდა. შეიყვანეს სახლში და მთელი ღამე დასცინოდნენ. მეორე დილით წავიდა სახლიდან – გიჩვენებთ რა მხდალიც ვარო. გზაში ემეგინი შეხვდა. შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ემეგენმა მთას მოაგლიჯა ნაწილი და შორს გაისროლა მხდალმა ყველს მოუჭირა ხელი და წყალი გაადინა: – ასე თუ გაადენ წვენს ქვასო? დააჯერა მხდალმა, რომ ძლიერი იყო. ემეგენმა თავისი გამოქვაბულიდან ოქროთი სავსე ტომარა აჩუქა. მხდალმა თავისთან მიიპატიჟა, მოხერხებულად ემეგენს წააღებინა ტომარა, ცოლების დახმარებით გააცურა. ის შეშინებული გაიქცა. გზაში ერთი შეხვდა, როცა გაიგო ეგემენის ამბავი: – წავიდეთ და გიჩვენებ მხდალის ამბავსო. ეს დაინახა მხდალმა შეძვრა საწოლს ქვეშ და მორთო ყვირილი – დავიღუპეთო. უფროსმა ცოლმა დაარიგა: – რამ შეგაშინა? ეზოში გადი და იყვირე: – კარგი ქენი მელა, ემეგენი რომ მომიყვანე, თორემ მეგონა, აღარ მეღირსებოდა მისი ხორცის ჭამა-თქო. ემეგენი შეშინდება და გაიქცევაო. მხდალი მიჰყვა ცოლის რჩევას და ემეგენი გააქცია. მისი ნაჩუქარი ოქროთი კი ბედნიერი ცხოვრება მოიწყო.

3. ეშმაკი შვილი (გვ. 18-21).

იყო ერთი კაცი, ლამაზი ცოლი და შვილი ჰყავდა. ერთხელ სახნავში წავიდა შვილთან ერთად და სადილის წაღება დაავიწყდა. შვილი გააგზავნა. მივიდა შვილი სახლში და დედას მიუსწრო მეზობელთან. დედამ ჰკითხა მეზობელს: – დღეს სად ხნავო? მთის წვერზეო – უპასუხა მეზობელმა. – სადილს მოგიტანო – უთხრა დედამ, მეზობელი წავიდა. შვილმა სადილი რომ მოითხოვა, ჯიჯღინით მისცა ორი მჭადი და ცოტა აირათი (მჟავე რძის პროდუქტი). მივიდა მამასთან და სთხოვა, მეზობლის ზემოთ მოხნას მინდორი. შუადღისას დაინახეს მომავალი დედა. ბიჭი შეეგება დედას და ჰკითხა: – ჩვენ მოგვიტანეო სადილი? კიო – უთხრა დედამ. მეზობელსაც დაუძახეს. ბიჭმა უთხრა მეზობელს: – არ დაენახო მამაჩემს, ყველაფერი იცისო. ახლა კაცი წავიდა დასაძახებლად. მეზობელს შეეშინდა და გაიქცა.

ბიჭმა ახლა დედას უთხრა, მამაჩემმა ყველაფერი იცისო და ქალიც გააქცია. მამამ ცოლი მოიკითხა. გაიგო სხვის ქალს რომ ეხვეოდი და საჩივლელად გაიქცა თავის ნათესავებშიო. მამა სოროში დამალა. სოვტები (მოლას მოწაფეები) მიადგნენ: – მელას ვეძებო. ბიჭმა იმ სოროზე მიუთითა, რომელშიც მამა ჰყავდა დამალული. მათ სოროსთან თივას ცეცხლი წაუკიდეს მელას გამოსაძევებლად. კაცის ყვირილი გაისმა. გამოიყვანეს, დააფიცეს, რომ სხვის ქალს აღარ გაეკარებოდა.

4. **მონადირის ცოლი** (გვ. 21-27).

ერთი კაცი იყო, ცოლი, ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. ავად გაუხდა ცოლი და მოუკვდა. მალე მამაც დაავადდა, იხმო შვილები და ანდერძად დაუბარა შვილებს: – თუ სანადიროდ ყორღანს იქით წახვალთ, დაიღუპებით. მამაც მალე გარდაიცვალა. უფროსი შვილი დაინტერესდა და წავიდა ყორღანისაკენ. ბაღი დახვდა, ვაშლები და ყურძენი ხარობდა. მოკრიფა ხილი, ერთი კვიცი გამოუხტა,

მოკლა ვაჟი. მომდევნო ძმა გაემართა მის საძებრად, ისიც მოკლა, მესამესაც იგივე ბედი ეწია. უმცროსი ძმა წავიდა, მოასწრო, დაემალა კვიცს. კვიცი გაიქცა. გაჰყვა მის კვალს, ბუმბერაზი ქალი შეხვდა, უყვირა: – სამეფო გზაზე ნუ დადიხარ, თორემ მოგკლავო. უმცროსმა ძმების და კვიცის ამბავი ჰკითხა. – კვიცი მეფის ასულისაა, იგი მიწურში ცხოვრობს, რომლის თავზეც რკინის სახლია. იქამდე ვერ მიაღწევ და ჯობს უკან გაბრუნდეო.

უმცროსი ძმა შეეხვეწა ბუმბერაზ ქალს, გზის გაგრძელების ნება მიეცა. ქალი დათანხმდა. მეორე დღეს თავის დასთან გააგზავნა, მან თავის მხრივ – დედასთან. დედამ ასწავლა, როგორ უნდა დაეჭირა კვიცი, დაემორჩილებინა მისი პატრონი – მეფის ასული. უმცროსმა ძმამ ყველაფერი ზუსტად შეასრულა და მეფის ასული მისი ცოლი გახდა.

გავიდა დრო. მეფის ასულს შეუჩნდნენ: – ქმარი შენი ცალი და ღირსი არ არის და მოკალიო. ქალი დაითანხმეს, ოღონდ უნდა გაეგო, სად ჰქონდა ქმარს დამალული სული. გაიგო, რომ შუბლზე ჰქონდა, დანის ფორმისა. მოკლეს უმცროსი მონადირე ძმა. კვიცმა მეფის ასული ზღვის პირას მიიყვანა, ჯადოქართან ერთად. მონადირის და დიდხანს ელოდა ძმას, ბოლოს წავიდა მის საძებნელად, ბუმბერაზი ქალის დახმარებით იპოვნა მკვდარი ძმა, ბაყაყის დახმარებით გააცოცხლა ძმა, გაემართნენ გრძნეული დედაბრის სანახავად, იპოვნეს. მონადირემ მოკლა იგი, ცოლსაც თავი მოაჭრა.

5. **ვერაგი ცოლი** (გვ. 27-28).

მოხუც მოციქულ ნოხთან ცხოვრობდა ლამაზი მოწაფე, მის ცოლს შეუყვარდა და აცდუნებდა. მოწაფეც არ იყო ქალისადმი გულგრილი, მაგრამ ნოხის ეშინოდა, გამიგებს და დამსჯისო. ქალსაც ეუბნებოდა: – ძნელია მისი გაცურება, ფრინველთა ენა იცის, ჩიტები ამბავს მიუტანენო. დავითანხმებ ქმარს შეაგროვოს ფრინველები და ამოწყვიტოსო. ნოხი დიდხანს არ თანხმდებოდა ცოლს, ბოლოს დაჰყვა მის სურვილს და შეკრიბა ფრინველები, ყველა მივიდა, ბუს გარდა, ბოლოს გამოჩნდა ისიც. ცოცხალ და მკვდარ ადამიანებს ვითვლიდიო. რომლები უფრო მისნი არიანო – ჰკითხა ნოხმა. მკვდრებო, მიუგო ფრინველმა, რადგან ისინი ცოლების ჭკუაზე დადიანო. ნოხი მიხვდა, რომ ნათქვამი მასაც ეხებოდა და გაათავისუფლა ფრინველები.

6. **ჭროღათვალება ქალი** (გვ. 28-34).+

ერთ კაცს ცოლი და სამი შვილი ჰყავდა. ცოლი მოუკვდა. ქალიშვილების რჩევით კაცმა მეორე ცლის მოყვანა გადაწყვიტა, მაგრამ არ იცოდა, როგორ ამოერჩია. უფროსმა ქალიშვილმა ურჩია ჭროღათვალება და მწითურთმიანი ქალი მოიყვანა. წავიდა კაცი ასეთი ქალის მოსაძებნად. გზად კუდიანი შეხვდა: – მე წამიყვანეო, – შესთავაზა კუდიანმა. არა, მე ჭროღათვალა და მწითურთმიან ქალს ვეძებო. გავარდა კუდიანი, მოითხუპნა და ისევ დახვდა გზაზე. კაცმა დაინახა თუ არა, ითხოვა და თანხმობა მიიღო. დედინაცვალმა შეიძულა გერები. ნელ-ნელა გადაიბირა ქმარი და ბოლოს სახლიდან გაყრაზედაც დაითანხმა.

მეორე დღეს წაიყვანა მამამ შვილები ტყეში და ერთ დიდ ორმოში ჩაყარა მოტყუებით. მერე მიწა მიაყარა ორმოს და დაბრუნდა. ხანი ნადირობდა იქ იმ დროს. ძაღლებმა სუნი აიღეს, ყეფა ატეხეს. გათხარეს ორმოს თავი, ამოიყვანეს

დები. ხანმა გაიგო ყველაფერი, უფროს დაზე დაქორწინდა. კუდიანმა დედინაცვალმა მოინდომა მისი დაღუპვა, ტყუპი შვილებიც წყალში გადაუყარა, გვერდით ლეკვები მიუსხა. ხანმა ეს რომ დაინახა, ცოლი საქვეყნოდ ფეხით სათრევად გაიმეტა. ბავშვები წყლის დედამ გაზარდა. ხანის ცოლმა ერთხელ დაინახა ბავშვები, იცნო. კუდიანმა ბავშვები დააშინა. ხანმა თუ გაიგო, რომ ცოცხლები ხართ, დაგხოცავთო. და-ძმა ტყეში გაიქცა. ბოლოს ხანმა მათში შეიცნო თავისი შვილები, ცოლი სახლში დააბრუნა, კუდიანს კი თავი წააცალა.

გერი (გვ. 34-38).

ერთ კაცს ცოლის სიკვდილის შემდეგ ქალ-ვაჟი დარჩა. გოგო გაათხოვა, თვითონ მეორე ცოლი შეირთო. დედინაცვალს არ უყვარდა გერი, ჯოხით სცემდა. ბიჭმა ითმინა და ბოლოს სახლიდან გაიქცა. მივიდა დასთან და ყველაფერი უამბო. ბიჭი გზას დაადგა ბედის საძებნელად. გზაში სამი ემიგერი შეხვდა. ერთმანეთში ჩხუბობდნენ. გაიგო, რომ ქონების გამო ჩხუბობდნენ. ქონებას კი შეადგენდა უჩინმაჩინის ქუდი, ჯადოსნური პატარა ურემი და ———. ბიჭმა მოატყუა ემიგერები, მიითვისა ყველაფერი. ჩავიდა ერთ ქალაქში. მეფეს ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა. ხალხი ფულს იხდიდა, რომ მისი სილამაზე ეხილა, მასაც მოუნდა. აიღო სამი ოქრო, იხილა მეფის ასული, მეორედ ოქრო მიიტანა. მესამედ ორასი ოქრო, ახლა 1000 ოქრო მოსთხოვეს და ისიც მიიტანა. დაინტერესდა მეფის ასული, დაიბარა სასახლეში, არყით დაათრო, გამოსტყუა საიდუმლო, ———— წაართვა და გარეთ გააგდებინა. მეფის ასულთან მივიდა გამოფხიზლებული, სწრაფმავალი ურმის საიდუმლოც გამოსტყუა, უჩინმაჩინის ქუდით მაინც შეაღწია მეფის ასულთან, წართმეული ნივთები დაიბრუნა, მაგრამ ისევ დათვრა და უჩინმაჩინის ქუდიც დაკარგა.

გაუდგა გზას და ნაცნობ ემეგენებს გადაეყარა. მათ ბაღში ჯადოსნური ვაშლი შეჭამა, კამეჩად გადაიქცა. ბაზარში მეფის ასულის მოახლეს შეხვდა, ჯადოსნური მსხალი მიჰყიდა, მეფის ასულმა შეჭამა და თავზე რქები ამოუვიდა. ბოლოს ვაჟმა მეფის ასული ხელში ჩაიგდო. ისევ ადამიანად გადააქცია, იქორწინა მასზე და ბედნიერად ცხოვრობდა.

8. **ლამარტი და ჩუმარტი** (გვ. 38-41).

იყო ორი ძმა – ლამარტი და ჩუმარტი. ყველაფერი შემოეჭამათ, რაც კი გააჩნდათ და საშოვარზე ქალაქში წასვლა გადაწყვიტეს. გზაში დააღამდათ. საგზალი – პური და ყველი შეჭამეს და დაიძინეს. დილით ისევ განაგრძეს გზა. ჩუმარტს მოშივდა და ლამარტს პური და ყველი სთხოვა. – ერთი თვალი ამოითხარე და მოგცემო, – უპასუხა ძმამ. ჩუმარტმა ამოითხარა თვალი. გაიარეს მანძილი, ჩუმარტს ისევ მოშივდა, ძმამ მეორე თვალი მოსთხოვა, ამოითხარა და დაბრმავდა. ლამარტი ქალაქს წავიდა, ჩუმარტი გზაში დარჩა. წისქვილამდე მიაღწია, ციცხვში ჩაძვრა, დაიძინა. ღამით მელა და დათვი მივიდნენ. მათი ლაპარაკიდან გაირკვა, რომ მდინარის ნაპირას მდგარი ხის ფოთოლს თუ გაისვამდა, თვალები აეხილებოდა. მგლის ნალაპარაკევიდან კი მეფის ასულის ამბავი გაიგო, რომელსაც თეთრი ძაღლის ხორცი მოარჩენდა. ჩუმარტი მეორე დღეს მივიდა ხესთან, მოწყვიტა ფოთოლი, თვალის სინათლე აღიდგინა, ჩავიდა ქალაქში, განკურნა მეფის ასული, მეფემ გულუხვად დააჯილდოვა. ქალაქში თავის ძმას შეხვდა. ლამარტმა

ჰკითხა თვალები როგორ მოირჩინეო, მან წისქვილის ამბავი უამბო. წავიდა ლამარტი წისქვილში, იქ მგელი, დათვი და მელა მივიდნენ. მათ იპოვეს ლამარტი შუაზე გაგლიჯეს. ჩუმარტმა კი ცოლი შეირთო და მდიდარი კაცი გახდა.

9. **მელია, დათვი და მგელი** (გვ. 41-44).

ერთხელ მგელი, მელა და დათვი დამეგობრდნენ. დათვი მსუქანი იყო. მელამ მისი შეჭმა გადაწყვიტა. დათვი წამოწვა, მელამ ნაკვერჩხალი მიაყარა თვალებზე, თვითონ ღრიალი მორთო, თვალებში რაღაცა ჩამაყარეს და ვერაფერს ვხედავო. დათვიც აღრიალდა, მელამ უთხრა: – მე თვალები აღარ მტკივაო. დათვმა: – რით მოირჩინეო? – ამოითხარე და ახლები ამოგივაო. დათვმა დაუჯერა, ამოითხარა. მელამ დათვი გაიტყუა, კლდიდან გადაახტუნა. დათვი სასიკვდილოდ დაიჭრა, მელამ ჭამა დაუწყო. მშიერი მგელიც გაჩნდა და იმანაც ჭამა დაიწყო. მელამ მგელი მოატყუა, თავის გაკეთებულ ნახვრეტში შეაყოფინა თავი – იქ უკეთესი ხორციაო, მგელს თავი გაეჭედა. მერე მიადგა და მგელს კბენა და ბეწვის გლეჯა დაუწყო. ბოლოს მოსწყინდა, მიატოვა და სტეპში გაიქცა. სხვა მელები შემოხვდნენ: – გვითხარი კუდი როგორ მოიშორეო? – მდინარეში დაისველეთ კუდები, მერე ყინულზე დადეთ, მიეკვრება, გაატოკეთ და გაგძვრებათო. დაუჯერეს და კუდები დაკარგეს. მგელმა მონახა, პასუხი მოსთხოვა, მაგრამ მელამ ისევ მოატყუა.

10. **ნაჯაფარი ფული** (გვ. 44-45).

ერთ მდიდარ კაცს ზარმაცი შვილი ჰყავდა. შრომაზე არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა, მზამზარეულს ჭამდა და სვამდა. სხვისი ხელით შეკერილს იცვამდა. მამამ გადაწყვიტა შვილისათვის შრომის ყადრი და ხელმომჭირნეობა ესწავლებინა. შორეულ აულში წაიყვანა და ერთ ყაბარდოელს მიაბარა მოჯამაგირედ, წელიწადში ერთ ოქროდ. ყაბარდოელმა იცოდა მისი ამბავი და მაინც და მაინც არ ტვირთავდა სამუშაოთი. გავიდა ერთი წელი, მისცა ერთი ოქრო და გაისტუმრა სახლში, მიიტანა სახლში ერთი ოქრო.

მამამ დახედა ოქროს და მდინარეში მოისროლა. შვილმა არანაირი ყურადღება არ მიაქცია. მეორე წელს სხვასთან დააყენა და იგივე განმეორდა. მესამე წელს ძალიან შორეულ აულში დააყენა არც თუ მდიდარ ყაბარდოელთან, გასამრჯელოდ არაფერი დაუნიშნა. პატრონი გასაქანს არ აძლევდა, იმდენს ამუშავებდა, დაღლილობისაგან მიწაზე ეცემოდა და მაინც მუქთახორას უმახდა. ბოლოს ისე მიაჩვია მუშობას, რომ პატრონი კმაყოფილი ყავდა. იმუშავა ერთი წელი, ხელებზე კოჟრები გაუჩნდა. პატრონმა ორი ოქრო მისცა და სახლში გაისტუმრა. მამამ აიღო ოქროები, ის იყო, წყალში უნდა გადაეყარა, რომ შვილმა ხელი სტაცა, არ გადაყარო, მძიმე შრომის ფასად ვიშოვეო.

СМОМПК, 1897, 22.

წინასიტყვაობა ლ. გ. დოპატინსკისა, რომელიც შეიცავს გამოშვებაში დაბეჭდილი მასალის, გამოკვლევების, სტატიების, ფოლკლორული ტექსტების აღწერა-დახასიათებებს, შენიშვნა _ კომენტარებს (გვ. I-XI). მეორე განყოფილების რედაქტორია ა. ა. გოგოიავლენსკი.

III განყოფილებაში გამოქვეყნებულია ჩეჩნური ტექსტები, რომლებიც შეკრიბა ა. ა. გრენმა, ერთი ახალბერძნული სიმღერა (ჩამწერი ა. ი. იოაკიმოვი), ოთხი ვე-

ლიკორუსული ბილინა (ჩამწერი მ. პ. ლარპინსკი, თერგის ოლქში). ჩეჩნური ტექსტები (გვ. 1-12), ჩაწერილი აულ გეხში და თარგმნილი იბრაგიმ მაგომაევის მიერ. ტექსტები დაბეჭდილია პ. უსლარის მიერ ჩეჩნური ენისათვის შედგენილი ანბანითა და შრიფტით, რუსული პწკარედით, ახლავს რუსული თარგმანები.

1. **პირველი ხალხური სიმღერა** (გვ. 1-2), რუსული თარგმანი გვ. 1-2.

ყიზლარის ციხიდან მონაბერი ქარისა და მთის კალთაზე დაშვებული ღრუბლის მაგივრად გამოაჭენა გიურმა ცხენი. ეცი როგორც მიმინო მტრედს, თორემ შეგასწრებს თავის აულში. ექიმები ჭრილობებს კურნავენ, მოსამართლენი ლანძღვა-გინებას განარჩევენ, ჩვენ კი გიაური სიყვარულში ჩავყლაპოთ, სულზე უტკბესი რომაა.

2. ნარზანოველი მასლაგის ბილინა (გვ. 2-3) შამილის თანამებრძოლის. რუსული თარგმანი გვ. 3-4.

პატარა ჩეჩნები ბუმბერაზების თამაშში იწვევენ ნარზანოველების ამაყ გმირს მალსაგს. ჩეჩნებმა საფარში საადულა ბეტიგოვიჩი გაგზავნეს. მალსაგი შეიპყრეს, მოკლეს. საადულამ გაიწვია, თოფები ისროლეს, შემდეგ ხმლები იშიშვლეს გეხინელებმა, შეცბნენ ნარზანოველები. მალსაგს თავი წააცალა საადულამ.

3. მამაცი ნეზნანის ზღაპარი (ჩეჩნური ნათების თქმულებების ეპიზოდი), გვ. 4-9, რუსული თარგმანი გვ. 9-12.

ძველად ერთ დიდ აულში ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად ნეზნაი, მშიშარა. ერთხელ ხმლით სამი ბუზი მოკლა. ხმალზე წარწერა გააკეთებინა: ნეზნაის ხმალია, 63 არხუსტოელი ნართის მკვლელისა. გაუდგა გზას. ტომარა ჰქონდა ფქვილიანი, მიწაში ჩაფლა და ხის ქვეშ მიიძინა. იქ შვიდი ძმა არხუსტოელი ნართი გაჩნდა. უმცროსმა წაიკითხა ხმლის წარწერა. გაიღვიძა ნეზნაიმ. – შენი ხელოვნება გვიჩვენეო, - უთხრეს ნართებმა. მან მიწაში ჩაფლულ ტომარას ფეხ დაჰკრა და ბუღი დააყენა. და მიათხოვეს, სახლი აუშენეს, თავიანთთან დატოვეს. გავიდა ხანი, მას მარტორქის მოკვლა დაავალეს, რომელიც სოფელს აჩანაგებდა. შეშინებული ხეზე დაიმალა, მარტორქა იმავე ხის ქვეშ დადგა, მარტორქის დანახვაზე შიშისაგან ხიდან ჩამოვარდა, ზედ დაეცა. მარტორქა რომ გაიქცა, ნეზნაი ზურგზე ეჯდა. არხუსტოელმა ნართებმა იფიქრეს, მარტორქას ხედნისო. ნეზნაი არც მტრის წინააღმდეგ ომში წავიდა. ცხენზე შეჯდა, მაგრამ დამალვას ცდილობდა. თოფის სროლაზე ცხენი დაფრთხა, ნეზნაი ხეს მოეჭიდა, ხე ცხენმა ძირიანად მოგლიჯა, მტრის შუაგულში შეიჭრა, მტერი შეშინდა, არტოშტოელებმა გაიმარჯვეს. ნართებმა ნეზმაი წინამძღოლად აირჩიეს.

4. **სად წავიდნენ ნართი ერხუსტოელები?** (გვ. 12).

ნართები, გამდნარი სპილენძის მსმელები, ცაზე გადასახლდნენ. დასავლეთში შვიდი ბრწყინვალე ვარსკვლავია, სწორედ ისინი არიან გამქრალი ნართები.

5. **ნართების თავგადასავალი** (გვ. 12-13).

იყვნენ შვიდი ნართი ძმა და ერთი და, ნადირობით ირჩენდნენ თავს. ერთ დღეს ნადირობიდან რომ დაბრუნდნენ, და სახლში არ დახვდათ. ბევრი ეძებეს,

ზღვის პირს მიადგნენ. ექვსი ნავით ზღვაში შევიდა. მეშვიდე ხის ქვეშ ელოდა. მტრედები დაეშვნენ ხეზე და მათგან გაიგო, რომ სამკუთხა ურჩხულს ჰყავდა მათი და ზღვის იქით წაყვანილი დაბრუნდნენ ძმები, ნართმა უამბო, რაც მოისმინა. ძმები ჩავიდნენ, წამოიყვანეს დაც და ურჩხულიც. ის კედელში ამოქოლეს. მისი კვნესა ნართების სახლში დღემდე ისმის.

6. **ნართის მოგზაურობა** (გვ. 13-16).

ერთი ნართი მდიდარ აულში დასახლდა. იმდენს ნადირობდა, მთელი სოფლის შენახვა შეეძლო. ლამაზი ცოლი ჰყავდა. მას თავადმა დაადგა თვალი და ქალსაც შეუყვარდა. მზაკვრულად მოიქცნენ, ნართი გაბაწრეს, საწოლქვეშ შეაგდეს და აყურებინეს ხვევნა-კოცნა. შვილმა ხმალი მიუტანა, ნართმა თავი აიშვა, აკუწა ცოლი, ზედ თავადის 63 კაცის თავები მიუწყო და თავადს ფეხებთან მიულაგა. წავიდა იქიდან, შვილიც წაიყვანა. ტბასთან ირემი მოკლა. ის გაცოცხლდა, ნართ ალისთან გააგზავნა. მან თავისი ამბავი უამბო. იგი შვიდი ძმის ძმა იყო. ერთხელ ცალთვალა ბუმბერაზთან მოხვდნენ. ექვსი ძმა შეუჭამა. ალი გაიქცა. ნართმა ალის შვილის აღზრდა სთხოვა. უკანა გზას რომ დაადგა. ბუმბერაზს გადაეყარა, 63 ვეება ძაღლი ჰყავდა მიწურთან. დახოცა, მიწურში დიდი ქვაბი ნახა. პატრონი მივიდა, 63 ცხვარი დაკლა, მოხარშა, შეჭამა და დაიძინა. ერთმა თხამ გააპარა. ნართი მეორე დილით შეება, სძლია – არ მოგკლავ, ალის ძმები გააცოცხლეო! გააცოცხლა. ალიმ ნართს ათასი მანეთი აჩუქა, და მიათხოვა და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

7. **სამი თავადის მოგზაურობა** (გვ. 17-18).

სამი თავადი მოგზაურობდა. ბევრი იარეს და იქ მივიდნენ, სადაც ერხუსტოელი ნართები ცხოვრობდნენ. ნართები თამაშით ერთობოდნენ. დაინახეს თავადები, გადაწყვიტეს სამი ისეთი გზა ეჩვენებინათ, საიდანაც ვეღარ დაბრუნდებოდნენ. თავადები ნართების ნაჩვენებ გზას დაადგნენ. ორი დაიღუპა, მესამემ ერთი ნართი მოკლა, გზა განაგრძო, დიდ ქოხს მიადგა. იქ მის მიერ მოკლული ნართის ქვრივი დახვდა, დარჩა მასთან სამუდამოდ.

8. **ალმასი** (გვ. 1-19).

ალმასები მდინარე არღუნზე ცხოვრობენ. ალმასი მაღალი, ლამაზი ქალია. ზოგჯერ აულს მიაშურებს. ერთხელ ღამით ერთმა ჩეჩენმა კართან ქალის ტირილის ხმა გაიგო. კარი გააღო და მტირალი ალმასი, ხელი სტაცა და თმები შეაჭრა. ალმასი გაიქცა, ჩეჩენი ავად გახდა და მალე გარდაიცვალა. ალმასები მოკვდავნი არიან, როცა ერთი მოკვდება, სხვები არღუნზე დაიტირებენ ხოლმე.

ახლავს რედაქტორის შენიშვნა: ალმასი იგივეა, რაც ქართული **აული,** სვანური **დალი,** ძირი ამ სიტყვისა არის აქადური **ალიალი** – დამანგრეველი (გვ. 19).

9. **იეშენი** (გვ. 19-20).

სამ ბავშვს ტყეში გზა აებნა. ერთ ტაფობზე იეშენი გამოუხტათ და თავისთან წაიყვანა, ხინკალი მოუხარშა, ბავშვებმა პირი არაფერს დააკარეს და გაიქცნენ. დაიჭირა, დააბრუნა, თავის გოგოსთან დააწვინა, რკინის კბილები აილესა. შუაღამისას შეცდომით თავისი შვილები დახოცა და სანამ მოხარშავდა, ბავშვები გაიქცნენ.

შენიშვნაში რედაქტორი მიუთითებს, რომ იეშემი ჩეჩნების ბაბა იაგაა, თავად სიტყვა კი ნიშნავს დრაკონს, მფრინავ გველს, გველეშაბს (გვ. 19).

10. ნადირთ მეფე გულზე ცულით (გვ. 20).

ჩეჩნეთის ტყეებში ცხოვრობს ნადირთ მეფე, გულზე დიდი ცული ჰკიდია, რითაც იმ მონადირეებს კლავს, რომლებიც მის ნადირს მოკლავენ. ერთხელ ერთმა მონადირემ კოჭლი ჯეირანი მოკლა, ტყავი დამალა. ნადირთ მეფე მასთან გაჩნდა და უსაყვედურა. – ერთად შევჭამოთო. მონადირემ ცეცხლი დაანთო. დიდი მორი მიათრია და თავისი ნაბადი ჩამოაცვა, თვითონ დაიმალა. მივიდა მეფე, ვისიც იყო ჯეირანი, დაიქნია ხმალი და მორი შუაზე გადაჭრა. როცა მეფე თვალს მიეფარა, ჩეჩენიც გაეცალა იქაურობას.

11. ჩეჩნების ზოგიერთი სიმპათიური საშუალებები (გვ. 20-21).

გათვალვა შეეხება ადამიანებსაც და ცხოველებსაც; მისი თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ხის ამულეტები;

არაა მიზანშეწონილი მიცვალებულებზე ლაპარაკი, ადამიანი დაავადდება და დაუძლურდება. სამკურნალოდ გამოიყენებენ ნახშირს, რასაც ავადმყოფთან წვავენ.

12. **ჩეჩნების ისტორიული ლეგენდები** (გვ. 21-22).

1. თავიდან კავკასიის მთები დაუსახლებელი იყო. იქ არაბები მივიდნენ, ისლამი გაავრცელეს, მათგან მომდინარეობენ კავკასიელი მთიელები.

2. ყველა კავკასიელი მთიელი, გარდა კუმიკებისა და კაზიკუმუკელებისა, კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებიდან მოვიდნენ. ბოლოები არიან მონღოლები. ჩეჩნები სამად გაიყვნენ: ჩეჩნებად, ღალღებად და ჩაბერლოეველებად. ეს უკანასკნელნი **სუფთა ჩეჩნურ** ენაზე მეტყველებენ.

3. ერთხელ სამი ჩეჩენი: ტურპალი, იდრისი, ჩალინდერი სტუმრად წავიდნენ ყარანოღაელებთან. ღამით მძინარეები ორმოში ჩაყარეს. დაიწყეს სიმღერებით დახმარების მოთხოვნა. ფრინველებმა ამბავი მიუტანეს ჩეჩნებს. ჩეჩნებმა თავი დააღწიეს, დახოცეს ყარანოუღაელები.

4. თუშეთში ცხოვრობდა ერთი მოხუცი, სამი ვაჟი ჰყავდა. მოკვდა მოხუცი და ძმებმა დამარხეს, მერე ერთი ძმაც მოკვდა. ფული აღარ ჰქონდათ და სირცხვილი რომ აეცილებინათ, ჩეჩნეთში გაიქცნენ, არღუნის ოლქის სოფელ შატოში დასახლდნენ. იქ ერთი კოშკი იყო, მათ იქ სხვებიც მიემატნენ და შექმნეს აულები კილოი და შატოი. ერთმა კილოელმა - უმარმა თუშეებზე ილაშქრა, თუშები პესის მეთაუროზით დაესხნენ, უმარმა მათ მთა წაართვა.

5. ჩრდილოეთიდან ჩეჩნეთში ძველა ეხში – ბატოის ტომი მოვიდა.

ყარსის ოლქში შეკრებილი ხალხური სიმღერებიდან (გვ. 29-32) პუბლიკაცია ელისავესპოლის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის ა. ი. იოაკიმოვისა; ჩაწერილი ქ. გიუმუშხანის შემოგარენსი გადასახლებული მოხუცისაგან.

ციხე სიმაგრე ორია (გვ. 29-30).

ბევრ ციხე-სიმაგრეში ვყოფილვარ, ორიას მაგვარი არსად მინახავს. 40 რკინის

კარი აქვს, ორმოცი სპილენძის ფანჯარა, ერთი კარი ორმაგი სპილენძისა. ათასობით იანიჩარი ცდილობს შეჭრას. ერთი გამოვიდა: – რას მომცემთ, რომ გავაღოო? დღეში ათას ვერცხლს და ქალწულს. გადაიცვა ქალურად, ვითომ ბერძნის ქალი იყო, ტირილით შემოუარა ციხეს.

რუსული ბილინური ეპოსი თერგზე (გვ. 33-42) გამოკვლევა, რომელიც მოიცავს რუსული ბილინების ვარიანტებისა და ფრაგმენტების მიმოხილვას და ანალიზს იმის დასადგენად, თუ როგორია რუსული ბილინებს ზეპირსიტყვიერი გავრცელების არეალი, რომელი ცნობილი სიუჟეტია უფრო ცნობილი და რა ვარიანტული ნიუანსები აქვს შეძენილი ფოლკლორულ ტექსტებს. ნაშრომის ავტორია **მიხაილ კარპინსკი.**

ავტორი თავისი დროისათვის ცნობილი ფოლკლორული ტექსტების კრებულების შედარებითი ანალიზის საფუძველზე აკვირდება ბილინური ტრადიციების რაგვარობას თერგის ოლქში, იქ ჩაწერილი ტექსტების გათვალისწინებით გამოაქვს დასკვნები; წარმოადგენს გერბენცების სტანიცებში ჩატარებული თავისი ფოლკლორულ ექსპედიციის მასალებს, ბილინების ჩანაწერებს. მას ჩაუწერია ოთხი ბილინა: ორი ილია მუროელზე (მურავიჩის), ერთ დიუკ სტეპანოვიჩზე და ერთიც სტავრზე, მაგრამ არა სტავრ გოდინოვიჩზე (როგორიცაა პ. კირეევსკისთან, რიბნიკოვთან, გილფერდინგთან, ნ. ტიხონრავოვთან, ვ. მილერთან), არამედ **სტავრ ლავრ** ტიმოფეევიჩზე. ავტორს წარმოდგენილი აქვს ანალიზისათვის ფაქტობრივი მასალის მნიშვნელობის მქონე ფოლკლორული ფრაგმენტები: ილია მურომელის შეხვედრა ყაჩაღებთან (გვ. 35); ილია მურომელის ყოფნა გემზე (გვ. 36, ასევე გვ. 37-38); ბილინის ფრაგმენტი სტავრზე (გვ. 38-40); მისთვის ეს რუსული ბილინური ეპოსის ნარჩენების არსებობის გამოხატულებაა, რომელიც თანდათან დავიწყებას ეძლევა.

СМОМПК, 1894, XX.

XX გამოცემას ხსნის ლ. ლოპატინსკის ვრცელი წინასიტყვაობა (I-X), სადაც კომენტირებულია თითოეული სტატია და ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალა. ტექსტები. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ქურთული, ტალიშური, სომხურ-ტატური, ებრაულ-არაქეული და აისორული ტექსტების კომენტარები, რომლებიც ძირითადად ზღაპრების ტექსტებია.

ქართული ზღაპარი „ჩიროკი“ ხალხური იუმორის ნიმუშია: სამი ძმა მემკვიდრეობიდან თხას არგუნებენ უფროს ძმას, მერე უკან იბრუნებენ. უფროსი დაკლავს, უმცროსები ეძებენ, ერთმანეთის მოტყუებას ცდილობენ. უფროს ძმა უფრო ეშმაკია. ლ. ლოპატინსკი მიუთითებს ყაბარდოულ ზღაპარ „ერთი ქურდი უფრო დახელოვნებულია მეორესთან“ ცალკეულ დეტალებში მსგავსებაზე.

მსგავსი მანერით მიმოიხილავს დანარჩენ ზღაპრებსაც (გვ. II-IX), კერძოდ, შვიდი „ქოსის ზღაპარი“, რომელიც ჰგავს **ყაბარდოულ** ზღაპარს „ერთი მეორეზე გონიერია“ და დაფარულის მიხვედრაზეა აგებული; **ტალიშური** ზღაპარი „ჯადოსნური ვაშლი“, რომელიც ძირითადი იდეითა და აგებულებით ჩამოჰგავს კავკასიურ ზღაპრებს, ზღაპარი **„მხდალი“,** რომელიც მთავარი სათქმელით ჰგავს **ებრაულ-ტატურ** ზღაპარს „**ზირქაცს“; სომხურ-ტატური** ზღაპარი „დევი და მეფის

ვაჟი“ (შემოკლებულია მთხრობელის მიერ), რომელსაც ბევრი აქვს საერთო **რუს** და სხვა ხალხების ზღაპრებთან; ზღაპარი „ლოცვას ღმერთი არ დაგიკარგავს“, რომელიც ემთხვევა **სომხურ** ზღაპარს „ბიუროპატიკი“; **ებრაულ-არამეული** ზღაპარი „ცოდვილი სულის ბედი“. ცხოველთა კულტის აშკარა ნიშნებს მოიცავს, ზღაპარი „ღვთის დახმარება“, რომელშიც ჯილდოვდება ღარიბი, ის თავისი ბედით კმაყოფილი კაცი; ზღაპარში „ღვთაებრივი სასჯელი, სადაც ისჯება ადამიანური გაუმაძღრობა; **აისორული** ზღაპარი „ბედისწერას ვერ გაექცევი“, რომლის მოტივი კავკასიას და მცირე აზიას მოიცავს; ზღაპარი „თავის ქალას ვაჟი“. მასში რომელშიც მოთხრობილია ქალიშვილის დაფეხმძიმების მოტივი ვარდის დაყნოსვით, რომლის ძირშიც თავის ქალა იყო დამარხული. მას ჰგავს სომხური ზღაპარი „თავისქალა -მეფე“. ისიც თავის ქალის სასწაულებრივი ზემოქმედების მოტივებზეა აგებული; ზღაპარი „მადლიერი მკვდარი“, რომელიც შეიცავს მიცვალებულის მკვდრეთით აღდგომისა და გმირის დახმარების მოტივებს; ზღაპარი „ბულბულის სიმღერა“ გველის მიერ ადამიანისათვის ფრინველთა და ცხოველთა ენის სწავლების გავრცელებულ მოტივზეა აგებული; ზღაპარი „არაფერია სამყაროში მარადიული“ აგებულია ადამიანური ამაოების მოტივზე; ზღაპარი “მეფის ახალი გვირგვინი“ მსგავსია ანდერსენის ზღაპრისა „მეფის ახალი კაბა“; ზღაპარი „ღმერთისა და მეფის დახმარება“, რომელიც ჩამოჰგავს სომხურ-ტატურ ზღაპარს „ღვთის ლოცვა არ დაიკარგება“; ზღაპარში „ადამიანი ნადირსაც კი იმორჩილებს“ ჩანს პირველყოფილი ყოფის დეტალები, როცა ადამიანი პირისპირ იდგა გარემომცველ სინამდვილესთან.

II განყოფილება

ქართული ტექსტები (გვ. 1-15), კარამარლინსკის სასწავლებლის ზედამხედველის კ. ხაჩატუროვის პუბლიკაცია.

ტექსტები დაბეჭდილია სმომპკისათვის ტრადიციული მანერით – დედნის ენაზე რუსული პწკარედით და ცალკე თარგმანით.

1. **სიმღერა** (გვ. 1-2), რუსული თარგმანი გვ. 2.

ეკლესია უაჩქალისა (სამთა ეკლესია) დგას თავისთვის მდინარის პირას, ნარდაღა და ბარდ-აღა აღარ დადიან ამ მიდამოებში. ახ, გმირებო, გმირებო – კერ-ბუკასოვის ურიცხვ ჯარს არ ჩაბარდნენ, დაეცნენ.

2. **„ჩიროკი“** – ზღაპარი (გვ. 3-6) რუსული თარგმანი გვ. 6-9:

ცხოვრობდა ერთი ღარიბი, სამი ვაჟი ჰყავდა: ძალიან გვანდნენ ერთმანეთს, გარეგნობითაც, ხმითაც. უფროსს გაჯი ერქვა, შუათანას ნადირი, უმცროსს - ბადრი. მათი მემკვიდრეობა ცარიელი სახლი და ვაცი იყო. გარდაიცვალა კაცი, გაიყვეს მემკვიდრეობა. თხა უფროსს არგუნეს, ამასთან სხვა სოფელში გადასახლდნენ. მერე ინანეს – თხა დაგვიბრუნოსო. გაჯიმ რომ გაიგო. ისინი სახლიდან გაყარა. ძმებმა თხის ღამით მოპარვა გადაწყვიტეს. გაჯიმ დაკლა თხა და თივის ზვინში დამალა. ეძებეს, ვერ იპოვეს. შუათანა ძმა მიუწვა მძინარე ძმის ცოლს, გააღვიძა და ჰკითხა: – სად დაუმალეთო თხა? ნამძინარევმა ქალმა უთხრა. ნარდმა ბადრს აცნობა, იპოვნეს დაკლული თხა. წაიღეს. გაჯიმ გაიღვიძა, გაიგო რაც მოხდა, გაეკიდა ძმებს. დაუძახა: – დაიღალე, ეხლა მე მოვიკიდებ, წამოვიღებო. ნარდს ბადრი ეგონა, შეცდა. გაჯიმ აიღო თხა. ასე ეშმაკობით შეეცადნენ ძმები ერთმანეთის

მოტყუებას, ბოლოს გაჯიმ აჯობა. მათ მოუბოდიშეს უფროს ძმას და ერთად შეჭამეს თხის ხორცი.

ჩამწერი ჯაგრინაკის სასწავლებლის მასწავლებელი მ. ადამოვი.

2. **მოთხრობები** (გვ. 9-15).

I. ბრმა და თვალხილული კოჭას თამაშობდნენ. გამვლელმა ჰკითხა უსინათლოს - ვერაფერს რომ ხედავ, ხომ შეიძლება მოგატყუონო?! ნუ ღელავ, შენნაირი ბევრია, თუ მოვიგებ, ეგრევე ჩამჩურჩულებენ, რათა მოგებამ მათ ხელში გაიაროსო.

II. ერთი ქურთი მოკვდა, სახელად ვასო. ნათესავმა ხარს დააკრა, სოფელში წასაყვანად და იქ დასაკრძალად. მდინარე უნდა გაევლოთ. წყალში ხარმა დაწოლა მოინდომა. ნათესავმა იყვირა: – ვასო, ხარის გაძღოლაც აღარ შეგიძლიაო?!

III. სამი ქოსა იყო, ქურდობდნენ და გამდიდრდნენ. ერთმა ქოსამ მატი ქონების მითვისება განიზრახა, მოჰპარა მათ ფული, საბძელში დამალა. ცოლმა 20 კაპიკი სთხოვა. ქმარმა არ მისცა და ქალმა 25 კაპიკი მოჰპარა. ძმებმა იპოვნეს ქურდის სახლი. იპოვნეს ფული, 25 კაპიკი აკლდა, მეშვიდე ქოსას კუთვნილი. უპოვნეს ქურდის ცოლს 25 კაპიკი და უკან დაბრუნდნენ.

ჩამწერი კამარლინსკის სასწავლებლის ზედამხედველი კ. ხაჩატუროვი.

ტექსტებს ახლავს ლ. ლოპატინსკის შენიშვნები.

ტალიშური ტექსტები (ზღაპრები, გვ. 17-24), დაბეჭდილია დედნის ენაზე, რუსული პწკარედითა და თარგმანებით.

ჯადოსნური ვაშლი (გვ. 17-18), რუსული თარგმანი გვ. 18-19.

ქალაქ გალაბადს განაგებდა მეფე მელიქ-შახი. ერთხელ ერთმა დერვიშმა დაიწყო მის ეზოში სიმღერა. მეფემ ფული შესთავაზა, არ აიღო. უპასუხა: – მე ვაშლი მოგიტანე – ამისათვის მოვედი და არა ფულის საშოვნელადო. შეჭამთ, მემკვიდრე გეყოლებათ და შახ-ზადე-ახმედი უნდა დაარქვათო. შვიდი წლის შემდეგ მოვალ და ორი წლით წავიყვანო. მეფე დასთანხმდა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დერვიშმა თქვა. მეფემ დერვიშს მისცა შვილი პირობის თანახმად, ოღონდ დერვიში პირველ ვეზირად დანიშნა.

მხდალი (გვ. 19-20), რუსული თარგმანი გვ. 21-22. ჩამწერი ლენქორანის დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი თეიმურაზ-ბეკ ბაირამალიზეკოვი.

იყო ერთი მხდალი ჭაბუკი. მარტო ეზოშიც კი ვერ გადიოდა. ერთხელ დედამ მინდორში დატოვა, თვითონ სახლში დაბრუნდა. ბიჭს მოსწყინდა მარტოობა და გზას გაუდგა. კვერცხი იპოვა, ჯიბეში ჩაიდო, ცხენის ძუა იპოვა და ისიც ჩაიჯიბა. მაღალ კოშკს გადააწყდა და შევიდა, დევი დახვდა. დევმა ქვა დაფშვნა, ბიჭმა კვერცხი გატეხა, დევი შეშინდა. ბალანი ამოიძრო და ცეცხლში შეაგდო, ბიჭმა ძუა უჩვენა. დევი გაიქცა. ბიჭმა დევის სიმდიდრე სახლში მიიტანა.

გაქცეულ დევს მელა გადაეყარა. გაიგო მისი ამბავი. თოკით გამოიბა და დევი ბიჭის სახლში მიიყვანა. უთხრა ბიჭს: – დევი მოგიყვანე, მოკალიო. ბიჭმა თოფს წაავლო ხელი, დევი გაიქცა.

სომხურ-ტატური ტექსტები (ზღაპრები, გვ. 25-30).

1. **„დევი და მეფის ვაჟი“** (გვ. 25-26), რუსული თარგმანი გვ. 26-27:

იყო ერთი მეფე, სამი შვილი ჰყავდა. ეზოში ვაშლის ხე ედგა, შვიდ წელიწადში იძლეოდა ნაყოფს, სულ ვიღაც ჰპარავდა. მეფემ უფროს ვაჟს დაავალა ქურდის დაჭერა. იმან ვერ შეძლო, ვერც შუათანამ შეძლო, ბოლოს უმცროსმა ქურდი დაიჭირა, ხანჯალი ჩასცა. ქურდი მაინც გაიქცა. მეორე დღეს ძმები სისხლის კვალს გაჰყვნენ. ჭასთან მივიდნენ. უფროსმა – მე ჩამიშვითო. ჩაუშვეს თოკით, იყვირა – ვიწვიო. ამოიყვანეს. შუათანასაც იგივე დაემართა. უმცროსი ჩაუშვეს. იქ შვიდთავა დევი დახვდა. შეიბნენ, დევმა დასცა და ყელამდე ჩაფლა მიწაში. ბიჭმა დაჰკრა და დევი მიწაში ჩამარხა, თავი მოაჭრა, სიმდიდრე წამოიღო. ძმებმა გაიხარეს. ბოლოს იგი გამეფდა.

„ღმერთის ლოცა არ დაიკარგება“: (გვ. 28-29), რუსული თარგმანი გვ. 29-30:

ერთი ღვთისმოსავი ცოლ-ქმარი იყო. ერთხელ მღვდელს კაპიკი მისცა. მღვდელმა დააყოლა: – ღმერთი ერთს ათასად დაგიბრუნებსო. იმ დღიდან მთელ ფულს მღვდელს აძლევდა. ბოლოს გაღარიბდა. ცოლმა მღვდელთან გააგზავნა, მან მღვდელს ათასი მანეთი მოსთხოვა: – დანარჩენის წასაღებად შემდეგ მოვალო. მე კი არა, ღმერთი მოგცემსო! – ღმერთი ვინ არისო - იკითხა კაცმა. მღვდელმა გზა უჩვენა: – იქ კაცს ნახავ, უთხარი, რომ მე გაგაგზავნე. მივიდა კაცი, ჰკითხა: – შენა ხარ ღმერთი? მღვდელმა გამომგზავნა ფულისათვისო – სახლში დაბრუნდი, კუთხეში ოქროს ნახავ ქოთანშიო. მართლაც იპოვნა ოქრო. კაცი ისევ გამდიდრდა.

ჩაწერილია შემახას მაზრის სოფელ მატრასში, შემახის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეების ეფენდიევისა და შახვერდოვის მიერ. ტექსტებს ტრადიციულად ახლავ სლ. ლოპატინსკის შენიშვნა-კომენტარები (გვ. 30-32).

ებრაულ-არამეული ტექსტები – ზღაპრები (გვ. 1-26), რუსული თარგმანი გვ. 2-26.

1. ცოდვილი სულის ბედი (გვ. 1-2), ჩაწერილი ურმიის მკვიდრის რაზბი ედიგია ბენ-ისაგან, რუსული თარგმანი გვ. 2-3.

ერთ კაცს მაკე ცხენი ჰყავდა, სტამბოლში დადიოდა მის გასაყიდად. ბაზრის მოედანზე კვიცი მოიგო. ხალხი სანახავად მიესია, ვინც კი კვიცი დაინახა, უსულოდ დაეცა. 500 კაცი დაიღუპა. სულთანმა პატრონი დაიბარა, იყიდა მისი ცხენი, სამი წელი ჰყავდა საჯინიბოში. მტერი შემოესია. სულთანმა ყოფილი პატრონი დაიბარა, რჩევა ჰკითხა. – შეაჯექიო – უთხრა კაცმა. სულთანმა სძლია მტერს. ცხენი ადამიანის ხმით ალაპარაკდა: – მე იმ ადამიანის სული ვარ, ვინც 900 წელი შავი ძაღლის სხეულში ვიყავი, 9 წელი ფაშატის ტანში, მალე მწითურ ძროხაში გადავალ. ბაზარში იყიდეთ ძროხა, დაკალით და გადამარჩინეთო.

2. **ღვთის დახმარება** (გვ. 5-10), რუსული თარგმანი გვ. 11-14:

იყო ერთი მოხუცი, ძალიან ღარიბი, სტეპში გამხმარ ეკალ-ბუჩქებს აგროვებდა და ბაზარში სამ შაურად ჰყიდდა. ერთხელ გზად უცნობი შეხვდა, ძვირფასი ბეჭედი აჩუქა: – მიუტანე ოქროთი მოვაჭრეს და ას თუმანს მოგცემსო. – ჯერ ამ ეკალბარდს შევაგროვებ, ბაზარში გავყიდი და მერე მივალ მოვაჭრესთანო.

როცა მდინარეზე გადადიოდა და ბეჭედი წყალში ჩაუვარდა, ვერ იპოვა. ბაზარში გაყიდა ეკალ-ბარდის კონა, სახლში ცოლს შესჩივლა. – ღმერთი შეგეწევაო. მეორე დღეს ისევ შეხვდა ის უცნობი. უთხრა: – დავკარგე შენი ბეჭედი. ახლა კრიალოსანი აჩუქა. – მოვაჭრე ას თუმანს მოგცემსო. ისევ მოეცარა ხელი - წყალში ჩაუვარდა. მესამე დღეს ისევ შეხვდა უცნობი: - ორასი თუმანი შენთვის ცოტააო? - ჰკითხა. წმინდა კაცი გზას გაუდგა, უცებ ღმერთის მხა მოესმა: მე მას მისი წილი – სამი შაური დავუნიშნე, მაგრამ შენი გულისთვის სამ შაურს ნახევრამდე გავუზრდიო. მართლაც, ასე მოხდა. ნახევარ შაურად თევზი იყიდა, მუცელში მისი დაკარგული ბეჭედი და კრიალოსანი უნახა, ორას თუმნად გაყიდა, შურიანმა მეზობლმა ხრიკებით სცადა ზიანის მიყენება, მაგრამ შურით გული გაუსკდა. ღარიბი გამდიდრდა.

ღვთის რისხვა (გვ. 17-21), რუსული თარგმანი, გვ. 21-24.

იყო ერთი კაცი, ძალიან გაღარიბებული. ოთხი შვილი ჰყავდა. უმცროსი შიმშილით უკვდებოდა. სამათხოვროდ გავიდა. დერვიშს შეეცოდა, ერთი ოქრო და ჯამი მისცა: – თავქვეშ დაიდე ჯამი და ყოველ დღე თითო ოქროს ნახავო. კაცი ისე მოიქცა, როგორც დერვიშმა დაარიგა. ასე გავიდა რამდენიმე დღე. მან ოქრომჭედელს ჯამის ძირზე ნიშანი დაადებინა და ახლა ყოველდღე ორ-ორი ოქრო მისდიოდა. ერთხელ ბაზარში იმ დერვიშს შეხვდა, მან გაახსენა თავი, ჯამი მოითხოვა. მიუტანა. დერვიშმა იყვირა: – ნიშნულებით არისო აჭრელებული, განა არ გეყო, რასაც იძლეოდაო?! დერვიში ჯამიანად გაქრა, რაც ტომრებში ოქრო ჰქონდა, ისიც გაქრა და ისევ გაღარიბდა.

აისორული ტექსტები: ზღაპრები (გვ. 33-დან)

1. **ბედისწერას ვერ გაექცევი** (გვ. 33-36), რუსული თარგმანი გვ. 36-38.

იყო ერთი მოხუცი, სახელად ნუნი. ცოლი სიბერეში დაორსულდა, ბიჭი შვა. იქ ანგელოზები გაჩნდნენ, ბედისწერა ჩაუწერეს წიგნში: – აქ რომ ბიჭი დაიბადა, რომ გაიზრდება, მამას მოკლავს და დედას შეირთავსო. დედამ რომ გაიგო, ჩვილი წისქვილის არხში ჩააგდო. მეწისქვილემ გადაარჩინა, გაზარდა. ბიჭი წამოიზარდა, გაემგზავრა ნამდვილი მშობლების საძებნად. მისი ნამდვილი მამა ნუნი შეხვდა, შვილი არ მყავს, ჩვენი შვილი იყავიო, – სახლში წაიყვანა, გავიდა ხანი, ბაღის დარაჯობა დაავალა. ნუნმა გადაწყვიტა შეემოწმებინა მისი სიფრთხილე, ვითომ ქურდი იყო, ბაღში შეიპარა. ბიჭმა მოკლა. ხალხმა გაამტყუნა ბიჭი. მოსამართლეებმა სასჯელად ნუნის მოხუც ცოლზე ქორწინება მიუსაჯეს. რომ უნდა მისწოლოდა ქალს, რძე შეესხა სახეში. ქალმა ვინაობა ჰკითხა. მან ყველაფერი უამბო. სიხარულით შესძახა: – დედაშენი ვარო, ყველაფერი უთხრა, კარგი ქალიშვილი შერთო და დიდებული ქორწილი გადაუხადა.

2. **„თავის ქალას შვილი“** (გვ. 38-44), რუსული თარგმანი გვ. 44-47.

ერთი კაცი გზაზე მიდიოდა. არხი შეხვდა გადასასვლელად, სამი თავის ქალა იყო წყალში. ერთ თავის ქალას ჩაურჭო ჯოხი და ბოლოში გავიდა. მეორესაც იგივე დაემართა. მესამე ქალაში ჩაიჭედა ჯოხი, ძლივს ამოაგდო. მიხვდა გამვლელი, რომ ეს თავის ქალა ჭკვიანი კაცისა იყო. ამოიღო და მეფის ბაღში ისროლა. მებაღემ შენიშნა და დამარხა. იქ ვარდის ბუჩქი ამოიზარდა. მეფის ასული სეირნობ-

და ბაღში, იმ ვარდის ბუჩქთან შეჩერდა, დასუნა და დაფეხმძიმდა. მალულად შვა ბავშვი და გადააგდებინა. ბავშვი თხამ გაზარდა – ძუძუ აწოვა. დედაბერი და მწყემსი წაიკიდნენ ბავშვის გამო. მოსამართლემ ბიჭი დედაბერს არგუნა. მან გაზარდა ბიჭი. ბევრი რამ გადახდა. ბოლოს შეხვდა დედას, იცნო და აღიარა მისი დედობა ასულმა. მეფემ იგი მემკვიდრედ გამოაცხადა.

3. **კეთილშობილი მიცვალებული** (გვ. 47-55), რუსული თარგმანი გვ. 55-60:

ერთ ვაჭარს ორი შვილი ჰყავდა. უფროსმა ვაჟმა უთხრა: – ვაჭრობის საქმე რომ ვისწავლო, გამაგზავნე სხვა ქალაქებშიო. ისპაჰანში გაემგზავრა. სასაფლაოზე ნახა, რომ ორ კაცს მიცვალებული ამოეღოთ საფლავიდან და აწვალებდნენ. შეკითხვაზე უპასუხეს, ჩვენი მევალეაო. მან გადაუხადა მევალეებს ვალი და მიცვალებული დამარხა. მიცვალებულის სულმა ღმერთს მადლი შესწირა და ერთი წლის სიცოცხლე სთხოვა. ღმერთი დაეთანხმა. მას რუსტამი ერქვა, ისპაჰანში მოძებნა ვაჭრის ვაჟი, მოჯამაგირედ დაუდგა. დამეგობრდნენ. რუსტამი ერთგულად ემსახურებოდა. გადაარჩინა მისი საქონლით დატვირთული ქარავანი, ჭაში ჩავიდა, მიწისქვეშეთში დევს გადაეყარა, საცოლე გადაურჩინა. დევმა დააჯილდოვა, დაბრუნდა ვაჭრის შვილთან. კონსტანტინეპოლში მეფის ასული განკურნეს, მეფემ ვაჭრის შვილს მიათხოვა. უკან გზაზე დევმა უმასპინძლა. რუსტამმა ბევრი სიკეთე გაუკეთა, გაამდიდრა და გაქრა. ვაჭრის შვილი კი თავისი ავლა-დიდებით სახლში დაბრუნდა.

4. **ბულბულის სიმღერა** (გვ. 61-67), რუსული თარგმანი გვ. 67-72:

იყო ერთი აზნაური, პირველი ცოლი თავადის ასული ჰყავდა. მისგან ჰყავდა ვაჟი მისაილი. ისეთი მდიდარი იყო, რომ მეფეები სტუმრობდნენ. ერთხელ აზნაური ბაღში იჯდა, მიხაილი ემსახურებოდა. ამ დროს ბულბული ამღერდა, მისაილს გაეცინა. დედინაცვალმა ჰკითხა მიზეზი. ჯერ არაფერს ამბობდა, მერე უთხრა: – ბულბული ამბობს, რომ დადგება დრო და თქვენ მომსახურებით. ბევრი რამ მოხდა, დედინაცვალმა ზღვას მისცა გერი, რომელიც სკივრში გამოამწყვდია. მამა გლოვობდა. მისაილი გადარჩა. მისაილმა ფრინველების ენის ცოდნით მეფის შვილობას მიაღწია. დიდი თავგადასავლების შემდეგ მისაილი ჩავიდა სახლში დიდი ლაშქრით. იგი ვერ იცნეს. მამა და დედინაცვალი ფეხზე მდგარნი დაჯდომას ვერ ბედავდნენ. მისაილმა დასხა, გამოუტყდა, რომ იგი - მათი შვილი იყო.

5. **ქვეყნად მუდმივი არაფერია** (გვ. 72-74), რუსული თარგმანი გვ. 74-76.

ერთხელ ბაზარზე პატარა ბიჭს ყიდდნენ. ერთმა ვაჭარმა 100 თუმნად იყიდა და იშვილა. გავიდა დრო. ვაჭარი გაღარიბდა. ჭაბუკმა უთხრა: – გამყიდე, ღმერთი მოწყალეა, ქვეყნად მუდმივი არაფერია. გაყიდა ჭაბუკი იმავე ფასად და ისევ გამდიდრდა. ცოლმა უთხრა: – წადი გაიგე, როგორ არისო ჭაბუკი. ნახა, რომ ახალ პატრონს გუთანში ყავდა შებმული და ახვნევინებდა. ჭაბუკმა უთხრა: – წადი სახლში, ქვეყნად მუდმივი არაფერია. გავიდა ხანი. იმ ქვეყნის მეფე მოკვდა. სამეფო ფრინველი მას დააჯდა სამჯერ და ჭაბუკი მეფედ აირჩიეს. ვაჭარმა გაიგო, მიულოცა გამეფება. მეფემ იგივე პასუხი გასცა. როცა გარდაიცვალა ჭაბუკი მეფე, მის საფლავის ქვაზე წარწერა ამოკვეთეს: ქვეყნად მუდმივი არაფერია.

6. მეფის ახალი გვირგვინი (გვ. 76-79), რუსული თარგმანი გვ. 79-81.

იყო ერთი მეფე. მისმა ვეზირმა ნადირობისას კაცი ნახა საქსოვ დაზგასთან, ვითომ ქსოვდა, ხელში კი არაფერი ეკავა. შეკითხვაზე ვეზირს უპასუხა: – გვირგვინს ვქსოვდი, ისეთ გვირგვინს, ცოდვილნი რომ ვერ ხედავენო. ვეზირმა მეფეს უამბო. მეფემ დაიბარა, გამოჰკითხა. მქსოველმა უთხრა: – ისეთი გვირგვინს ვქსოვ, რომლის დანახვაც ცოდვიანებს არ შეუძლიათ. ვინც შენი ქვეშევრდომთაგან იტყვის, რომ ვერ ხედავს გვირგვინს, იგი მეფის მოღალატეაო. – რამდენად მომიქსოვო ეგეთ გვირგვინს? – 50 ათას თუმნადო. მეფემ გადაუხადა. ერთი თვის შემდეგ მეფემ ვეზირი გაგზავნა, გამიგე როდის იქნებაო გვირგვინი მზად? ვეზირი მივიდა და დაინახა, რომ მქსოველი უწინდებურად იქნევდა ხელებს, ნაკეთები არ ჩანდა. შიშით ვერაფერი უთხრა, ჰკითხა: – მზად როდის იქნებაო? შემდეგ კვირას მე თვითონ მივუტანო. დანიშნულ დღეს ცარიელი ვერცხლის ლანგარი აიღო, მივიდა მეფესთან, თვითონ ლანგრიდან რაღაც აიღო, მეფეს თავზე დაადგა და უთხრა, როგორ გიხდებაო. გვირგვინს ვერავინ ხედავდა, მაგრამ შიშით ვერავინ ამჟღავნებდა. მეფემ სამი დღე თავშიშველი დადიოდა და მასხარას დაემსგავსა. შვილებმა უთხრეს სიმართლე. მეფემ თავზე ხელი მოისვა და დარწმუნდა, რომ, მართლაც, თავშიშველი იყო.

7. **ცუდ ქმარს ცოლი ყოველთვის სულელი ჰყავს** (გვ. 81-83), რუსული თარგმანი გვ. 84-86:

ერთ ვეზირს სამი ცოლი ჰყავდა. უკმაყოფილო იყო. უფროსი ავი და წუწურაქი იყო, ქმრის ჩუმად ყველაფერს ყიდდა, ფულს აგროვებდა. შუათანა – თავხედი, მაჩხუბარი იყო, მესამე – უზნეო, საყვარლები ჰყავდა. ვეზირი ერთ მიწის მუშას გადაეყრა, კარგი ცოლის პატრონს, სთხოვა ცოლი. მათ ცოლები გაცვალეს. მუშამ სამი ოთახი ააგო, ცოლები სათითაოდ განალაგა. უფროსს სასწორი აჩუქა, უთხრა: – რაიმეს ჩუმად გაყიდვა თუ მოგინდება, მყიდველმა რომ არ მოგატყუოსო. მეორეს კომბალი მისცა – მეზობლებთან ჩხუბში გამოგადგებაო; მესამეს უთხრა: – ამ ოთახს გჩუქნი, ორკარიანს, საყვარელი რომ ჩუმად გააპარო, თუ მოულოდნელად დაგადგა ვინმეო თავზეო. ქალებმა გადაწყვიტეს, რომ ძველებურად ცხოვრება უსინდისობა იქნებოდა, რადგან ქმარი ცხოვრებას არ უმძიმებდათ. ისევ შეხვდნენ კაცები ერთმანეთს. მიწის მუშა ისევ მხიარული იყო კარგი ცოლების გამო. ვეზირი დარწმუნდა მუშის სიმართლეში და მიხვდა, რომ თავად იყო დამნაშავე თავისი ცოლების სიცუდეში.

8. **ღმერთისა და მეფის დახმარება** (გვ. 86-87), რუსული თარგმანი გვ. 87-88.

ერთ სატახტო ქალაქში ორი ღარიბი იყო: ერთი ბრმა, მეორე – კოჭლი. ერთხელ მეფეს ბრმამ მიაძახა დამეხმარეო, კოჭლმა კი: - მეფეთ მეფე დამეხმარეო, – მიმართა ღმერთს. მეფემ ბრმას დიდი თასით ფლავი გაუგზავნა, ძირში ორი მუჭა ოქროც ჩაუდო. ბრმა ფლავის ჭამას შეუდგა, კოჭლს უთხრა, მშიერი არ დარჩეო. ცოტა ფლავი კოჭლს უწილადა. კოჭლმა ოქრო დაინახა, სტაცა ხელი და იქაურობას გაეცალა. მეორე დღეს მეფემ დაინახა, რომ ბრმა ისევ მათხოვრობდა. მეფემ ჰკითხა: – ფლავი სულ შეჭამეო? – ცოტა კოჭლს ვაჭამეო. – ამის შემდეგ მეფეს აღარ სთხოვო დახმარება, მეფეთ მეფეს სთხოვეო.

9. **ადამიანი მხეცსაც კი იმორჩილებს** (გვ. 88-90),რუსული თარგმანი გვ. 90-91.

ერთ თავადს დაყამირებული მიწის ნაკვეთი ჰქონდა, მიგდებული. ჯიქი ჩასახლდა და აჩანაგებდა იქაურობას. ერთხელ მიწის მუშამ სთხოვა ნაკვეთის დამუშავება. თავადმა უთხრა: იქ ჯიქია და ხარებს დაგიგლიჯავსო. თუ არ გეშინია, წადი და დახანიო. გუთნისდედამ ხვნა დაიწყო, ხარებს რომ ასვენებდა, ერთი გაიქცა. უნდა გაჰკიდებოდა და ჯიქი დაინახა. კატა გავარდა, ჯიქს მიესალმა: – შენი დისშვილი ვარო. ასეთი პატარა იმიტომ ვარ, ადამიანის ხელში ვარო. მივიდა ჯიქი ადამიანთან. ეს რა გიქნია ჩემი დისშვილისთვისო?! მე რას მიზამ, ვნახოთო. – სჯობს ჩემი გაქცეული ხარი შეჭამო, მე ის აღარ მჭირდება, წავალ და მოგიყვან. მნამდე შენ შეები უღელშიო. ჯიქი შეება უღელში. ნახევარი რომ დახნეს, ჯიქი შეეკითხა: – მალე გამომიშვებო? – მაშინ, როცა ჩემხელა გახდებიო, – უთხრა კატამ. საღამოს გამოუშვა კაცმა ჯიქი უღლიდან. საწყალი სამი დღე ეგდო ცოცხალმკვდარი. მას შემდეგ ყველა ეუბნებოდა – როგორც კი ადამიანს დაინახავთ, გაიქეცითო.

10. **დიაკვნისა და ყვავის ანეგდოტი** (გვ. 91-92).

იყვნენ ერთი მღვდელი და დიაკვანი. ყვავი ჯდებოდა კედელზე და კარს სვრიდა. დიაკვანი აფრთხობდა ყვავს. ბოლოს დიაკვანმა კედელზე ღვინით სავსე ჭიქა დადგა. ყვავი დათვრა, ძირს ჩავარდა, დიაკვანმა სცემა. მღვდელმა ჰკითხა: – რატომ სცემო? – ღირსია, რწმენა არა აქვს. – თუ ქრისტიანია, კარის დირეს რატომ სვრის, თუ მაჰმადიანია, ღვინო რატომ დალიაო?!

11. **მოსწავლის ცხოვრება** (გვ. 92-95), რუსული თარგმანი (გვ. 95-96): ყველა აისორული ტექსტი ჩაწერილია ა. კალაშვილის მიერ.

პირველად წავედი სკოლაში, ქაღალდი მომცეს საწერად. ფახლავა დავინახე და სახლში გავიქეცი, დედამ წკეპლა მომიღერა, სკოლაში დამაბრუნა. კვირაობით თამაშით ვიჯერებდი გულს, საღამოს ქალებსა და გოგოებს ვუჭვრეტდი. მასწავლებელი სკოლის ეზოს გვასუფთავებინებდა. ვქურდბაცაცობდით. ნესვი და საზამთრო მოვიპარეთ, გაგვიგეს, ხელები შეგვიკრეს. სკოლას მაღალი გალავანი შემოარტყეს, მუდამ ჩაკეტილში რომ ვყოლოდით.

ССКГ, IX, 1876, განყ. 2, ჩაწერილი სოფელ შანაყვაში, 1875 წლის 15 აგვისტოს.

„კავკასიის მთიელთა ხალხური თქმულებები“, კერძოდ:

ოსური თქმულებები ნართებზე.

თქმულება თეთრ კურდღელ ნართ ხამიცსა და ხამიცის შვილ ბატრაზზე (გვ. 1-22).

1. ერთხელ ხამიცინართების დასახლებებთან ხამიცი მიდიოდა ცხენით. ბუჩქიდან თეთრი კურდღელი გაუხტა, გვერდიგვერდ გაჰყვა. მოკლა კურდღელი, ხელი წაატანა და კურდღელი გამოცოცხლდა, გაიქცა. გაეკიდა, ისევ მოკლა, ისევ გაცოცხლდა. თეთრი კურდღელი ზღვას მიადგა, ჩახტა, გაუჩინარდა. ზღვიდან მოხუცი ამოვიდა: – აქ რა გინდაო? – ჰკითხა. უთხრა კურდღლის ამბავი. მოხუცმა უთხრა, რომ თეთრი კურდღელი ზღვის მეფის ასული იყო. აქ რომ მოგიყვანა... შენი ცოლი გახდება: – მე ზღვის მეფის დონ ბეტირის მონა ვარო. დანიშნულ

დღეს მან ნართები ჩაიყვანა ზღვაში. ხამიზმა შეირთო ზღვის მეფის ასული. ქალი წყლის კუს სახით ეჩვენებოდა ხალხს ზღვის გარეთ, ღამით იბრუნდებდა ადამიანის იერს. ქალს ცბიერმა სვირდონმა დაუწვა კუს ბაკანი. ქალი გაქრა, ჩანასახი კი დატოვა. იგი გაიზარდა. ეს იყო მისი შვილი ბატრაზი. ხამიცმა სხვა ქალი შეირთო. ხამიცი ნართებმა მოკლეს. ბატრაზი ობლად დარჩა, გაიზარდა. დედინაცვლისგან გაიგო მამის სიკვდილის ამბავი, მისი მკვლელის ვინაობა. მოკლა და მისი მარჯვენა დედინაცვალს მიუტანა. დედინაცვალმა ბატრაზის დაღუპვა მოინდომა, არაფერი გამოუვიდა. ბატრაზს უამრავი რამ გადახდა. ბოლოს მისი ხმალი ჩააგდეს ზღვაში. ხმალმა იქ ამბები დაატრიალა, წითლად შეღება წყალი. ბატრაზი მოკვდა, მაგრამ ვერ იჯერებდნენ, რომ ის მოკვდავი იყო.

2. **ნართი ურიზმაგი და უარპი ელდარი** (გვ. 22-34).

ნართებს შორის სახელოვანი უირზმაგი და უარპ-ელდარი ძმობილები იყვნენ. ერთხელ უარპ-ელდარი შორს გაემგზავრა. ურიზმაკი კუმიკების სტეპებში წავიდა. დიდ ქვაზე იჯდა და მხიარულ სიმღერებს მღეროდა. ურუპის კნეინა კი ცეკვავდა. ურიზმაგს ჰკითხეს: – რა გასაჭირი გამღერებს ამ სტეპებშიო? ძმობილის ცოლს ვართობო, – უპასუხა ურიზმაგმა. – გგონია, მარტლა ართობო, – უპასუხა სვირდონმა და დანიძლავდნენ. სვირდონს ქალმა უთხრა, რომ მართლა იქარვებდა ნაღველს ურიზმაგის მუსიკითა და სიმღერით. სვირდონის გამო, ქალმა გადათქვა. მერე ურიზმაგი ეწვია მას. ბევრი რამ გადახდათ ძმობილებს. ბოლომდე ერთგულ ძმობილებად დარჩნენ.

3. სახელოვანი მოყმე მოჭიდავე ასლანის ვილზე – კაურბეკზე (გვ. 35-64), პუბლიკაცია გაცირ შანაევისა, ჩაწერილი სოფელ შანაევოში (ბრუტოში).

სახელმოხვეჭილმა მოჭიდავემ ასლანმა გადაწყვიტა გაეგო მისი სამი შვილიდან რომელი იყო მამაცი და მოხერხებული. იხმო შვილები და უთხრა: – ბევრი რამ გადამხდა, სახელი მოვიხვეჭე. მინდა, რომ თქვენც დროის მოყმეები იყოთ, ახლა თქვენი დროა. უფროსმა შვილმა ასლანბეკმა დაამშვიდა: – მე ვიქნები მუდმივ მოგზაურობაში და ვერა ძალა მძლევსო. მერმე შუათანამ უთხრა იგივე, შემდეგ უმცროსმა – კაურბეკმაც. გავიდა კაი ხანი. უფროსი შვილი გაემგზავრა. მოხუცი ასლანი კმაყოფილი იყო, ბევრი რამ გადახდა.შემდეგ სოსლანბეკი გაემგზავრა, ბოლოს – კაურბეკი. ბევრი რამ გადახდა, ძმებმა იგი მოკლეს. დაეუფლნენ მის ქონებას, ცოლს, მამის წინაშე ტრაბახს მოჰყვნენ სახელოვან გამარჯვებებზე. ცოლმა უკვდავების წყლით გააცოცხლა კაურბეკი. კაურბეკმა ბევრი გმირობა ჩაიდინა, მზეთუნახავი მიჰგვარა მამას, მოხუცი გააახალგაზრდავა, კიდევ იმდენი აცოცხლა ასლანი, რამდენიც მანამდე ეცხოვრა.

ამავე ნომერში დაბეჭდილია ეთნოგრაფიული ნარკვევები: „**ოსების ცრურწმენები**“ (გვ. 1-დან)

აღწერილია ექიმბაშის მიერ ავადმყოფის მკურნალობის ეპიზოდები, რწმენა-წარმოდგენები, მიცვალებულის დატირების, დაკრძალვის წესები, მოტანილია ხმით დატირების ტექსტები;

აღწერილია, ასევე, საქორწინო წეს-ჩვეულებები (გვ. 18-24); ჩვილის მოვლასთანდაკავსირებული სახახლო მკურნალობის ტრადიციები; ცრურწმენები მძინა-

რე ადამიანების - სულების მიერ, მოსავლიანი თესლეულის მოტაცების შესახებ (გვ. 26-29); წარმოდგენა „არებავდი კუვტი“ (ზეციური დარტყმებისადმი) მსხვერპლშეწირვა (გვ. 29-38); **ტუტირი - კოშდარანის რწმენა-წარმოდგენა (მგლების ღვთაების); თალვარა და კუვდის (ღვთაებირვი ცხვრის მსხვერპლი) წარმოდგენა (გვ. 39-40);** ხუცაუი ძუარ (ღვთაებრივი წმინდანი) წარმოდგენა (გვ. 40-41); უსტიტი _ კუვდის (ქალთა დღესასწაული) წესჩვევა 9გვ. 41-43); **ჩიჯჟიტი ბადან მადი მაირამი ტიხხარი** (გოგოების პამანი დედა მარიამისათვის) წეს-ჩვევა (გვ. 43-44); უსტირჯი (წმინდა გიორგის) რწმენა (გვ. 44-46); კოშუაძანის (პირის ახსნის) რწმენაწარმოდგენა (გვ. 46-47); **კაუი-ზადი კუვდის** (აულის ანგელოზის მსხვერპლი) წესჩვევა 9გვ. 48); ასევე წესჩვევები: **ალარდი ბადანტა** (პაემანი ალარდისათვის, გვ. 48); **რეკომა** ამა მიკალვაბირტა ბადანტა (პაემანი რეკომასა და მაკალგაბირტასათვის, გვ. 49-51).

გუდირტი - კომ (პირის კლიტე, გვ. 51-52); **საუ-დუარი** (შავი წმინდანი, გვ. 52); **უაცილაი ნიჯონდ - გალი** (უაცილ ხარისადმი მიძღვნილი, გვ. 52-53); **არვიაგდი - კუვდი** (არვიაგდის მსხვერპლი, გვ. 53-55); **ხუცაუი ნივონდ-გალი** (ღვთის სამსხვერპლოხარი, გვ. 55-56); **რინი ბარდუაგა (სახადი, გვ. 56-57); საერთო ლოცვა** (გვ. 57-58);

დაბეჭდილია ასევე მონადირეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები: **მონადირე** (გვ. 58-60); ასევე: **დოღი** (გვ. 60-63); **კეთილი ადამიანები** (გვ. 63-65); **თავზეხელაღებული ადამიანები** (გვ. 65-71); **ახარი-დურ** (ქვის ყლაპია, გვ. 71-74); **წყევლები** (გვ. 74-79); **ფალდისანძინადი** (მოსისხლეთა შერიგებისა, გვ. 79-80). პუბლიკაცია ბ. გატიევისა.

ССКГ II, 1869

რედაქცია ბეჭდავს ტარიკატის სწავლებას დაკავშირებული შეიხ ჯემალედდინის ნაშრომის დანართის სახით **ტარიკატულ ლეგენდებს** მთიელ მუსულმანთა რელიგიური ცხოვრების თემატიკაზე.

მოთხრობა შეიხ მეგომედზე, ახმედ ბალხსლოს შვილზე ცნობილ ტარიკატელ მასწავლებელზე (გვ. 24-26). გადმოცემულია შეიხის თავგადასავალი, როგორ ეზიარა მისი სული ბაღდადში ღვთისმოსაობას, როგორ აღივსო სიყვარულით.

შეიხ მარუხ კურხის მოთხრობა (გვ. 26).

ერთხელ ღამით ლოცულობდა. ძილში ლამაზი ქალი ესიზმრა. – მშვიდად როგორ გძინავს ასეთი მშვენიერი მხევლის პატრონსო?! – როგორ გახდი ასეთი ლამაზიო? – შეეკითხა შეიხი. – შენი სახის ნაბანი წყლის წვეთითო, – მიუგო ქალმა. გავიღვიძე და ღმერთს დიდება აღვუვლინეო.

აბუ გაირათისა (გვ. 26).

იგი წინასწარმეტყველ მუჰამედთან დაახლოებული პირი იყო და ამბობდა, რომ ღმერთის ტახტის ქვეშ ერთი მამალია. მას 700.000 ფრთა აქვს თითო მხარეს და თითო ფრთაზე (ბუმბულზე) 100.000 ვერცხლი, ოქრო, მარგალიტი. სიგანე ამ მამალს ისეთი აქვს, რომ ღმერთის ტანხტიდან მიწას წვდება, ნისკარტი და ტანი მილიონობით წლებით სავალი გზის ტოლი. ღმერთის ტახტიდან ყოველ დღე

წვეთებად მის ფრთებს ეცემა ოქრო-ვერცხლი და მარგალიტები. მამალი ფრთებს შემოკრავს და ღვთისმოშიშ მორწმუნეებს დააბერტყავს.

ჭაბალას შვილისა (გვ. 28).

მუჰამედის დროს ერთი აღვირახსნილი ახალგაზრდა იყო, მოკვდა და მამამაც კი არ დაიტირა. სიზმარში ნახა და ჰკითხა: – რა დაგმართა ღმერთმაო. შენ არ დამიტირე, მაგრამ გაბრიელ მთავარანგელოზმა 70.000 ანგელოზით მოვიდა და ღმერთის შენდობა მამცნო. რისთვის მარგუნა ასეთი პატივი ღმერთმაო?

ერთხელ ერთი წინასწარმეტყველი გაემგზავრა სალაშქროდ, მე ხალხს მისი მიზანი ვკითხე. მათ მითხრეს მშვიდობიანად დაბრუნდაო და გამეხარდა. თანაგრძნობის გამოჩენისათვის ღმერთმა ცოდვები შემინდოო.

იბნ-აბასისა (გვ. 28-29).

ღამით ცაზე ჩემი მოგზაურობისას იერუსალიმის სასაფლაოზე ჯოჯოხეთი მაჩვენეს. ჯოჯოხეთური ცეცხლის შუაში ერთი კუბო დამანახეს, მწვანე ნაჭერი ჰქონდა დაფენილი და ჭაბუკი ესვენა. გვერდით ანგელოზები ედგნენ. მთავარანგელოზ გაბრიელს ვკითხე მიზეზი. მან მიპასუხა: – გულუხვი ქრისტიანი იყო და ასეთია მისი ბედიო. შემდეგ გაბრიელმა გააცნო ცოდვილი ადამიანები, აუხსნია, ვინ რა ცოდვისთვის იტანჯებოდა ჯოჯოხეთში.

ღმერთისა (გვ. 29).

თქვა ღმერთმა: – მუჰამედი ჩემი სახისა სხვისაგან შევქმენი, სამყაროც მისთვის შევქმენიო. ეს მუჰამედმაც დაადასტურა: – პირველად ჩემი სული და ნათელი შექმნაო. სირცხვილისაგან მუჰამედს ექვს წვეთი ოფლი ჩამოვარდა. ერთი წვეთისაგან ღმერთმა შექმნა საკვები ყველა ქვეწარმავლებისათვის, მეორე წვეთიდან – წითელი ვარდი, მესამისაგან – აბუბექირი, მეოთხისაგან – ომარი, მეხუთისაგან – ოსმანი, მეექვსისაგან – ალი. ამ რიგით არიან ისინი მუჰამედის მემკვიდრენი. მათ ღვთის წინაშე სხვადასხვა მოვალეობები აკისრია.

მართლმორწმუნისა (გვ. 30).

მართლმორწმუნეს ოთხი თვალი აქვს. ორი თავში – გარემოზე დაკვირვებისათვის; ორიდან – ერთი შიგნით ფუადაში (არაბულად გული) იგი უყურებს ღვთის სახის ანარეკლს ღვთისმოშიში ადამიანის გულის სარკეში, მეორე საიდუმლოს შიგნითაა და აკვირდება ღვთის სახეს, უშუამავლოდ.

სულისა (30).

ყველაფერს აქვს ზღვარი: გარდა სულისა, ღვთაებრივობისა და მოციქულ მუჰამედის სიდიადისა.

მოციქული მუჰამედის თქმით, სული ძილში თავის პირვანდელ სამყოფელს უბრუნდება და ნეტარებაშია. ღვთისმოშიში ადამიანის გული ყველაზე დიდია. ღმრთის ტახტი და მისი გარემო მილიონჯერ რომ გადიდდეს და ღვთის მოშიშის გული იქ ჩავარდეს, ვერც კი შეამჩნევენ. ღმერთმა თქვა: – მე ვერ მომიცავენ ჩემი ზეცა და მიწები, დაბლა კი: ღვთისმოშიში მონის გული. ამიტომ ადამიანის საიდუმლო ღვთაებრიობის ერთი თვისებაა.

მოციქული მუჰამედი (გვ. 31).

მოციქულ მუჰამედის ცხედარი განბანეს ალიმ და იბნ-აბასიმ. ნაბანი წყალი ანგელოზებმა ოთხ ბოთლში ჩაასხეს. ერთი გაბრიელმა აიღო, მეორე – ისრაელმა, მესამე – მიქაელმა, მეოთხე – ისრაფილმა. ისრაელი თავისი ბოთლიდან მომაკვდავს პირში აწვეთებს და ტანჯვას უმსუბუქებს, მიქაელი – მკვდარი მართლმორწმუნის საფლავს, ისრაფილი – საღვთო სასამართლოში წარდგენისას, გაბრიელი – სამოთხეში და ღვთის სახის ხილვაში ეხმარებიან გარდაცვლილი ღვთისმოშიშების სულებს.

ჯაფარ-სადიხისა (გვ. 32).

როცა თევზმა გადაყლაპა იონა, ღმერთმა თევზის ტანი გამჭვირვალე გახადა, იონას ზღვის სამეფო რომ დაენახა. უცებ იონამ კარონას (მოსეს ბიძაშვილის) კვნესა გაიგონა. ანგელოზმა უთხრა კარონას: – იონა ლოცულობსო. უყვირა კარონამ იონას: – რა დაემართა ჩემს ბიძაშვილ მოსეს? – მოკვდაო, – უთხრა იონამ. – მისი ძმა გარუნი (აბრამი) როგორღაა? – ისიც მოკვდაო. – დამელია საგვარეულოო, – იყვირა კარონამ.

უსათაურო (გვ. 32-33).

ერთხელ ღმერთის ელჩი თანამგზავრებთან ერთად მინდორში ჯაგრიან გველს გადააწყდა, რომელიც პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. შეშინდა ელჩი: – ღმერთო მიხსენიო. გველმა უთხრა, შენს თანამგზავრებს ჩემზე მეტი შხამი აქვთ. ჩემი შხამით მკვდარი სამოთხეში მოხვდება, მათი შხამით მკვდრები კი – ჯოჯოხეთშიო.

– რა შხამი აქვთ შენსაზე ძლიერ? – იკითხა ელჩმა. – იმ ქალების ხელმრუდობა, ნამაზს რომ არ იცავენო, – მიუგო გველმა. მათ საკვების მჭამელებს გული უშავდებათ და ჯოჯოხეთში ხვდებიანო.

ნამაზისა და ქალებისა (გვ. 33-34).

იბნ-აბასი ჰყვებოდა: – ნამაზი რომ დგება, დედამიწაზე ღვთის მადლი ჩამოდის. მორწმუნე ქალები კი საჭმელებს ამზადებენ, შინაურებისთვის, სტუმრებისათვის და ღმერთისაგან მოელიან სამადლობელსო. მათ ანგელოზები შუამდგომლობენ. – შეგისრულდებათო, – მიუგო ღმერთმა. მეორე დღეს ანგელოზებმა ისევ უშუამდგომლეს მორწმუნე ქალ;. მესამე ღამეს – 70 000 ანგელოზმა და ღმერთმა დააჯილდოვა ქალი.

ასევე საინტერესოა მთიელთა წერილები, ერთმანეთისადმი მიწერილი სხვადასხვა გარემოებათა გამო, მემუარისტიკის შესწავლისათვის. ეს წერილები უშუალოდ ლეგენდების შემდეგაა დაბეჭდილი, როგორც მთიელთა სიტყვიერების ნიმუშები.

ავარიული ხალხური თქმულებები

ახლავს წინასიტყვაობა ავარიელთა ვინაობა-წარმომავლობის შესახებ, ავტორი „H.B“ ინიციალებითაა, წარმოდგენილი. შემკრები და მთარგმნელია კოდებით ჩირგეევნკი.

ზღაპრები და იგავები:

ზღვის ცხენი (ზღაპარი, გვ. 9-16).

იყო ერთი მეფე, ჰყავდა სამი შვილი. ერთხელ ისინი მამასთან წავიდნენ. მან სიზმარი უამბო: – ზღვიდან თეთრი ცხენი ამოხტა, სამჯერ შემოურბინა ხმელეთს და ისევ ზღვაში ჩავიდა. ამის გამო მოსვენება დავკარგეო. – მოვძებნითო იმ ცხენს – უთხრეს შვილებმა. თქვეს და შეასრულეს – წავიდნენ. გზაგასაყარს მიადგნენ. ბოძზე ეწერა, ვინც მარჯვნივ ან მარცხნივ წავა, არაფერი მოუვა; ვინც შუა გზას აირჩევს, ან დაიღუპება, ან ბედნიერი დაბრუნდებაო. უმცროსმა აირჩია შუა გზა. ბევრი იარა უმცროსმა ძმამ, უღრან ტყეში 7 კოშკს გადააწყდა. შევიდა ერთ სახლში, იქ ბუმბერაზი ქალი იხილა. უფლისწულმა ძუძუზე უკბინა. – შენ შვილი, მე – დედა, რისთვის მოსულხარო? 7 შვილი მყავს – ნართები, დაგმალავ, მათგან გავიგებთ შენს ამბავსო. მეშვიდე ნართისგან შეიტყო უმცროსმა ძმამ ზღვის ცხენის ამბავი. მივიდა უმცროსი ძმა ზღვასთან. შეიპყრო ზღვიდან გამოსული ცხენი, შეკაზმა, სახლისაკენ გაემართა. გზაში უამრავ ფათერაკს სძლია. უფროს ძმებსაც დაეხმარა და მამისეულ სახლში დაბრუნდნენ. შურით აღივსნენ უფროსი ძმები, მისი დაღუპვა გადაწყვიტეს – ჭაში ჩააგდეს. მის ცხენს დაედევნენ, მაგრამ ცხენი გაქრა. თეთრმა ცხენმა ამოიყვანა ჭიდან. დაბრუნდა მამასთან. უფროსი ძმები გაიქცნენ. უმცროსმა ზღვის ცხენად ქცეულ მშვენიერ ქალწული შეირთო და დიდებული ქორწილი გადაუხადეს.

დათვისყურა (გვ. 16-24).

ოდესღაც ერთი მეფე ცხოვრობდა ულამაზესი ქალიშვილი ჰყავდა. ყოველდღე ბაღში ერთობოდა მეგობრებთან ერთად. ერთხელაც დათვმა გაიტაცა მეფის ასული, დაორსულდა დათვისგან, ბიჭი გააჩინა, ადამიანური სახით და დათვის ყურებით. ბიჭი საათობით იზრდებოდა. ერთხელ დათვი სხვაგან წავიდა და ბიჭმა ჰკითხა დედას თავიანთი ამბავი. დედამ ყველაფერი უამბო. ამ დროს ბიჭმა – დათვისყურამ ქვა სთხლიშა და გააქვავა, დედას კი უთხრა: – დაბრუნდა მამა შენთან. მე რაღაში დაგჭირდები. აქ დავრჩები და მოვნახავ ჩემს ადგილსო. ერთ ქალაქში ჩავიდა, მოჯამაგირედ დადგა იქაურ მეფესთან. ერთხელ მეფემ ასი კაცის გაგზავნა ბრძანა ტყეში, შეშის მოსატანად. დათვისყურამ უთხრა: – ასი კაცის საჭმელი მაჭამე და ასი კაცის წილ შეშას მე მოვიტანო. დაგლიჯა ხეები, შეკრა თოკით და მთელი ტყე მიაყენა მეფეს, თან მთელ ქალაქში მიანგრ-მოანგრია სახლები.

მეფემ გადაწყვიტა თავიდან მოშორება. გააგზავნა კარტთან (გრძნეულ დედაბერთან) – ხარკი (მუხუდო) გადამიხადოსო. გრძნეულმა მისი მოტყუება სცადა და თვითო გაება მახეში – კიდობანში ჩავარდა და დათვისყურამ მიუყვანა მეფეს. მეფე უფრო შეშინდა – ერთხელაც შავი დღე დამადგება ამ ადამიანისგანო. ახლა ტყის იქითა გველთან გაგზავნა ხარკი – ერთი ხარი მომიტანეო. დათვისყურამ გველსაც სძლია და მეფეს მიჰგვარა. მეფემ უკან წაყვანა სთხოვა: – მეფემ დათვისყურას ახლა ცხენის წაყვანა დაავალა მთის იქით. მეფეც გაჰყვა ჯარით, ალყა შემოარტყეს დათვისყურას და ისრები დაუშინეს. – ყურებს უშველე რამეო! – მიაყვირა მეფემ. ცხენი მიწაზე დაახეთქა დათვისყურამ, ოთხად გაგლიჯა. ერთი ისროლა და ათასი კაცი მოკლა, მეორეთი – ორიათასი. ასე გაწყვიტა მთელი ლაშქარი. გაუდგა გზას. გზად კაცი შეხვდა, მხარზე ორი ფესვებიანად მოგლეჯილი ჩინარი გაედო, დამეგობრდნენ. გზაში ახლა სხვა შეხვდათ, თავზე დოლაბი დაედგა, ისიც დაიმეგობრეს.

ერთ დღეს დათვისყურა და მეწისქვილე სანადიროდ წავიდნენ. სახლში დარჩენილი მეშეშე კოჭლმა მხედარმა კურდღელმა შეკოჭა და სადილის ხორცი შეუჭამა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. მესამე დღეს შინ დათვისყურა დარჩა. გაჩნდა მხედარი კურდღელი, შეიპყრო დათვისყურამ, წვერი ხის ნაპობში ჩაუდო. კურდღელი უკვალოდ გაქრა. ამხანაგებმა დათვისყურა ორმოში ჩაუშვეს, სადაც მათი ჩინარი მორი ეგდო. ორმოში შეხვდა მხედარ კურდღელს, წვერი დააგლიჯა, კედელს მიახეთქა. იქ ქალიშვილიც იყო, ვინაობა ჰკითხა. ის თოკს გამოაბა, ამხანაგებს ააყვანინა. ამხანაგებმა დათვისყურა აღარ აიყვანეს ორმოდან. იქ ბევრი რამ გადახდა. ქალიშვილის რჩევით სძლია ფათერაკებს. დაბრუნდა თავის სამყოფელში. ამხანაგებს კუთვნილი მიუზღო. მიიყვანა ქალიშვილი მამის სამეფოში, დაქორწინდა და ბედს ეწია.

ნართი და ჩილბიკი (გვ. 25-30).

ერთი დედაბერი იყო, სამი შვილი ჰყავდა. უფროსები ჭკვიანები იყვნენ. უმცროსი – ჩიბლიკი ტილილიან-წლიანი იყო. ერთხელ ძმები ტყეში წავიდნენ – ფიჩხზე. უკან რომ ბრუნდებოდნენ, გზა აებნათ. ტყეში კარტის (გრძნეული ქალის) სადგომს წააწყდნენ. შევიდნენ, კარტი დახვდათ სამ ქალიშვილთან ერთად. გაუმასპინძლდა, დააპურა, ლოგინები დაუგო, მოასვენა. ღამით ბასრი დანა მოიმარჯვა და დაიძახა: – ვისა სძინავს და ვის – არაო? მეო – ჩიპლიკმა. – რატომ არ გძინავსო? – ჰკითხა კარტმა. – დედაჩემის გამომცხვარი კვერები მომენატრაო. გამოუცხო კარტმა. მეორედაც ჩიბლიკი აღმოჩნდა მღვიძარი. ახლა დედისეული ტკბილეულის მოსურვილება მოიმიზეზა. მესამედაც იყვირა კარტმა, ვის არ სძინავსო. ახლა წყლის წყურვილი მოიმიზეზა ჩიპლიკმა. კარტი წყლის მოსატანად წავიდა, ჩიპლიკმა დებს და ძმებს საწოლები შეუცვალა. დაბრუნდა კარტი და შეცდომით თავისი გოგოები დახოცა. დაბრუნდა ჩილბიკი სახლში. მთელმა ხალხმა გაიგო მისი ამბავი, მეფის ყურსაც მისწვდა. მან იხმო ჩიბლიკი და უთხრა: – კარტას ზეწარი აქვს, ას კაცს სწვდება. მომიტანე და ჯილდოს მოგცემო. ჩიპლიკმა მიუტანა. მეფემ ახლა კარტის ქვაბის მიტანა დაავალა. ჩილბიკმა მოიპარა ქვაბი და ისიც მიუტანა მეფეს. მეფემ ახლა ოქროსრქიანი ვაცის მოპარვა დაავალა. ჩილპიკმა ესეც შეურსულა. მეფემ: – შენ კარტას მოყვანასაც შეძლებო. ამას თუ მოახერხებ ჩემს ქალიშვილს მოგცემო. ჩიპლიკს უარი არ გაუვიდა. წვერი მიიწება, დაფლეთილი სამოსი მოირგო, ღარიბი მოხუცის სახით მივიდა კარტთან. – ჩილბიკი ხომ არა ხარო – კარებში უთხრა კარტანამ. იუარა, ნდობა მოიპოვა. იმდენი მოახერხა, ჩაკეტეს კარტანა, ზანდუკში ჩაამწყვდია და მეფეს მიუყვანა. მეფემ ზანდუკის გახსნა ბრძანა. ამოხტა კარტა, ყველაფერი შესანსლა, რაც კი მოძრაობდა. ჩიბლიკს დაუწყო ძებნა. მაღლა ხეზე შენიშნა. აძვრა ხეზე, ჩიბლიკმა სახეში მიწა მიაყარა, ჩავარდა კარტა, დაეცა მიწაზე და შუაზე გასკდა. ყველა გათავისუფლდა, ვინც კი გადაყლაპული ჰყავდა. ჩიბლიკი მეფის ასულზე დაქორწინდა. მთქმელი: მე ისინი იქ დავტოვე და გზა ავამტვერე, მოვედი თქვენთან.

შავი ნართი (გვ. 30-39).

მამას სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავდა. ანდერძი დაუბარა შვილებს: რომ მოვკვდები სამი ღამე უყარაულეთ ჩემ საფლავსო. ამის შემდეგ ვინც არ უნდა მოვიდეს თქვენი დების სათხოვნელად, მიეცითო. მოკვდა კაცი. ანდერძის აღსრულებას შეუდგნენ. უფროსმა ძმებმა ორ ღამეს უყარაულეს საფლავს, მესამე ღამეს

უმცროსი ყარაულობდა. ჭრელი ცხენი მივიდა და საფლავის ქვას დაუწყო ლოკვა. მოახტა უმცროსი ძმა ცხენს, დაიმორჩილა. ცხენმა: – ძუა ამომაძრე, შეინახე, როცა დაგჭირდები, დაწვი და შენთან გავჩნდებიო. მეორე დღეს ქურანა ცხენი გაჩნდა, იგივე მოხდა. მესამე დღესაც – იგივე. სახლში არაფერი უთქვამს. მგელმა ითხოვა უფროსი და, უფროსებმა არ მისცეს. უმცროსმა გაატანა. მიმინომ ითხოვა შუათანა, ისიც გაატანა. შევარდენმა ითხოვა უმცროსი და იმასაც გაატანა. გავიდა ხანი, ხმა გავარდა, მეფე ქალს იმას მისცემს, ვინც ცხენს გალავანზე გადაახტუნებსო. უმცროსმა შეძლო და მეფის ასული მოიპოვა. ასევე მოიპოვა შუათანა ასული, მესამედ მოიპოვა უმცროსი ასული. უფროსი ასული უფროს ძმას მისცა, შუათანა – შუათანას, უმცროსი თვითონ შეირთო. შეიძულეს ძმებმა, სანადიროს წაიყვანეს, მოკვლა დაუპირეს. შემოაღამდათ. ისრები ვისროლოთ, სადაც დაეცემიან, იქ გავათიოთო ღამე. უმცროსის ისარი ერთ ორმოსთან დაეცა. ჩავიდნენ, ფათერაკები გადახდათ. უმცროსმა დიდი გველი მოკლა. ამოვიდნენ ორმოდან, ნადირობა განაგრძეს. ისევ ისროლეს ისრები. უმცროსისა ერთ მოხუცებულთან დაეცა. მოხუცმა უთხრა: – უკვე შვიდი წელია ჩემი ქალიშვილის გამო კამათობენ გველეშაპი და შავი ნართი, ორივენი იმის ხელს მთხოვენო. მეშინია მათი. შენ გველი მოკალი, წაიყვანე ჩემი გოგო. შენისთანა სიძის პატრონს აღარც შავი ნართის მეშინიაო. იქორწინეს. გააცილა მოხუცმა სიძე დიდძალი მზითვებით, დაარიგა: – გზაში არსად ჩამოქვითდე, შავი ნართი გადაგეყრება, არ დაგზოგავსო. უფროსებმა დაიჩემეს და დასასვენებლად შეჩერდნენ. შავი ღრუბელი დაესხათ თავს, გაიტაცა ქალი. უმცროსმა მოხუცისაგან შეიტყო, რომ შვი ღრუბელი შავი ნართი იყო. უმცროსმა დების დახმარებით მიაგნო შავი ნართის სამყოფელს, იპოვნა ცოლი, შესვა ცხენზე და გაიქცნენ. მეცხრე დღეს დაეწიათ ნართი, სამფეხა ცხენით. დასცხო ცხენმა წიხლი და თავი უმცროს ძმას ნამსხვრევებად უქცია. ცოლმა ძვლები აკრიფა და ცხენს გადაჰკიდა. უმცროსი ძმის ცხენი უმცროს დასთან მივიდა. უმცროსმა სიძემ ის გააცოცხლა. ისევ გაეშურა ცოლის დასაბრუნებლად. მივიდა ცოლთან. ნართს ეძინა. ცოლს სამფეხა ცხენის ამბის გაგება დაავალა. ცოლმა გაიგო ყველაფერი. ჩაიგდო უმცროსმა სამფეხა ცხენი და როცა შავი ნართი დაეწია, ჰკრა ცხენმა წიხლი და თავი დაუფლითა. წაიღო ნართის სახლიდან სიმდიდრე, წაიყვანა ცოლი და დაბრუნდა მამისეულ სახლში. ქონება ძმებსაც დაურიგა, თავისთვისაც დაიტოვა.

მთქმელი: შემეგ რა მოხდა, არ ვიცი. ყვავმა, რომელმაც მიამბო ეს ყველაფერი, მეტი აღარაფერი მითხრა.

ლამაზი ეზენზულხარი.

საღამო ხანს სამი და მატყლს ართავდა. საუბარი მეფეზე ჩამოვარდა. უფროსმა თქვა: – რომ იცოდეს მეფემ, ცოლად წამიყვანდა, რადგან შემიძლია ერთი ფთილა მატყლისაგან იმდენი ძაფი დავართე, მთელ მის ლაშქარს ჩავაცვა და შევმოსო. შუათანამ: – მე რომ წამიყვანოს, ერთი საწყაო ფქვილით მთელ მის ლაშქარს დავაპურებდიო. უმცროსმა – მარგალიტისკბილება ბიჭს და ოქროსნაწნავებიან გოგოს გავუჩენდიო. მეფემ მოისმინა ეს და ერთ ღამეს უფროსზე დაქორწინდა, მეორე დღეს შუათანაზე. ტყუილი გამოდგა მათი დანაქადნი. მეფე სხვა ქვეყანაში გაემგზავრა სალაშქროდ. ცხრა თვის თავზე უმცროსმა დამ მარგალიტისკბილება ვაჟი და ოქროსდალალებიანი ასული გააჩინა. უფროსმა დებმა შურით ბავშვები მონას

გაატანეს: – წყალში ჩაყარეთო! მეფეს კაცი გაუგზავნეს: – ლეკვი და კნუტი გააჩინა შენმა უმცროსმა ცოლმაო. მეფემ შეუთვალა ლეკვი და კნუტი წყალს გაატანეთ, დედა ვირის ტყავში გაახვიეთ, ალაყაფის კართან დააგდეთ, შემსვლელ-გამომსვლელმა აფურთხოსო! გადაყრილი ბავშვები ოქროსრქიანმა შველმა იხსნა – ძუძუ აწოვა, გაზარდა. ერთხელ წაიყვანა ერთი ციხე-კოშკისაკენ, შევიდნენ. იქ სულიერი არ დახვდათ, სამაგიეროდ ყველაფერი იყო საცხოვრებლად. დარჩნენ და დაიწყეს ცხოვრება.

ერთხელ გოგო წყალში ჭყუმპალაობდა. თმის ერთი ღერი მოსძვრა, წყალმა მამამისის სამეფოში მიიტანა. ერთ ქვრივს ჩაუვარდა კოკაში. მას წყალი დაჰქონდა მეფის ცოლებთან. დაინახეს ოქროს თმის ღერი, იცნეს. ქვრივს უთხრეს: – ამ თმის პატრონი და მისი ძმა ჩვენი მტრები არიან, როგორც გინდა დაღუპე ისინი და ამაგს არ დაგივიწყებთო. იპოვნა ქვრივმა ოქროსთმიანი გოგო: – მარტო ცხოვროზ მოსაწყენად. ძმას დაავალე ჯადოსნური რტოს მოტანა და გაგართობსო. ეს თქვა ქვრივმა და გაქრა. და შეუჩნდა ძმას, ვაშლის რტო მომიტანეო, თან მიასწავლა, სადაც უნდა ეშოვა. ძმამ მიუტანა. ქვრივმა ამბის გაგება მოინდომა. ოქროსთმიან ქალიშვილს ახლა მეგობრის შეძენა ურჩია, თან ლამაზი ეზენზულხარი დაუსახელა, ზღვისგადაღმელი. – ძმა გააგზავნე, ცოლად შეირთოს და სამუდამოდ დაივიწყებ რა არის მოწყენაო.

საღამოს ძმას არ მოეშვა და, ცოლი შეირთეო და ეზენზულხარი ურჩია. ძმამ უარი არ უთხრა და გაემგზავრა. გზაში ერთი მოხუცი შეხვდა. მოხუცმა შეატყობინა, რომ ბევრმა სცადა ეზენზულხარის მოპოვება, მაგრამ ამ გზით წასული უკან აღარავინ დაბრუნებულაო. მაინც მიასწავლა ადგილსამყოფელი. მადლობა უთხრა მოხუცს რჩევა-დარიგებისათვის, გაუდგა გზას, მივიდა ეზენზულხარის სამყოფელთან. დაუძახა ეზენზულხარს. მან არ გააგონა და ჭაბუკი გაიყინა. ამასობაში მისი და ძმის გზას დაადგა, რაკი დაბრუნება დააგვიანა. იგივე მოხუცი შეხვდა, მისგან გაიგო ძმის გაყინვის ამბავი. მივიდა, მოეხვია გაყინულ ძმას. ორჯერ დაუძახა ეზენზულხარს – არ გამოეპასუხა და მესამედ უყვირა: – რა ჩემზე, ოქროსთმიანზე, ლამაზი ხარ, რომ იპრანჭებიო?!

გავიდა ეზენზულხარი და ყველა გაცოცხლდა. მისმა ძმამ შეირთო ეზენზულხარი. დაბრუნდნენ თავიანთ ციხე-კოშკში. ძმა ისევ სანადიროდ დადიოდა. ერთხელ გზააბნეულ მხედრებს გადაეყარა და შინ მიიპატიჟა. მათში მისი მამა აღმოჩნდა. ახლა მეფემ მიიპატიჟა და-ძმა. გზაში მოხუცმა უთხრა: – კარიბჭესთან ქალს ნახავ, მეფე გეტყვის ორჯერ მიაფურთხეო. შენ მეფეს მისი ამბავი ჰკითხეო. მართლაც, მოაყოლა ამბავი მეფეს. მოხუცმა ვაჟს პირი გაუღო და მარგალიტის კბილები უჩვენა, ქალიშვილს მოსახვევი ახსნა და ოქროს თმები გამოუჩინა. უთხრა მეფეს: განა შენი შვილები არ არიანო?! მეფემ უფროსი ცოლები დასაჯა, უმცროსი ცოლი საუკეთესოდ გამოაწყო და დიდი ნადიმი გადაიხადა.

ბუკუჩიხანი (გვ. 46-48).

იყო ერთი მეწისქვილე, წილიანი ხაჯი ერქვა. ძონძებს აგროვებდა, ვიღაც კი პარავდა. დაუდარაჯდა ქურდს და მელა შერჩა ხელთ. კეტით გაეკიდა, მელამ უთხრა: – ბედს გწევ, თუ მაჭმევ-მასმევო. მეწისქვილე დათანხმდა. მელამ ნაკელის გროვაში აბაზიანი იპოვა. ხანთან მივიდა: – საწყაო მათხოვე, ბუკუჩიხანის ვერცხლი უნდა ავრწყაო. – ვინ არის ბუკუჩიხანი, – ჰკითხა ხანმა. – ისიც ხანი

არის და მე მისი ვეზირი ვარო, – მიუგო მელამ. მელამ საწყაოს ნაპრალში აბაზიანი გაჭედა და ხანს დაუბრუნა, ხანმა საწყაო დაიქნია და ვერცხლის აბაზი გადმოვარდა. ნეტა ვინ არისო ბუკუჩიხანი, ამდენი ვერცხლი რომ აქვსო. მეორე დღეს მელამ ხანს ისევ სთხოვა საწყაო: – ბუკუჩიხანის ოქრო უნდა ავრწყაო. მისცა ხანს, მელამ იგივე გაიმეორა. ხანმა ახლა ოქრო გადმოუვარდა საწყაოდან, გაუკვირდა.

გავიდა დრო, მელა მივიდა ხანთან და უთხრა: – ბუკუჩიხანი ქალიშვილის ხელს გთხოვს და ხვალ ერთად მოვალთო. მელამ გამოაწყო ბუკუჩი, დაარიგა: – გზაში ხანის მაყარი შემოგეგებება. მდინარეზე მოგვიწევს გადასვლა. შუა ნაწილში ჩაყვინთე, იყვირე წყალმა წამიღო-თქო. ხანის მხედრები ამოგიყვანენ და ჩვენ ეს გვინდაო. მოატყუა მხედრები: – წყალმა წაიღოს მისი სამოსი და ძვირფასეულობაო. მივიდნენ ხანის სასახლეში ბუკუჩმა შეირთო ხანის ქალიშვილი, გაიმართა ნადიმი. გაემართნენ სიძის სახლისკენ. მელამ ახლაც მოატყუა ხანი და მისი ამალა. გველეშაპისათვის წართმეული სასახლე და ქონება აჩვენა. აქ გადაიხადეს დიდი ქორწილი. ერთხელ მელამ გამოსცადა ბუკუჩა. გაიშხლართა გზაზე და თავი მოიმკვდარუნა. ცოლმა უთხრა: – მგონი მოკვდაო მელა. – კარგიც დამართნია, თავი მოგვაბეზრაო, – უთხრა ბუკუჩამ. მელა წამოხტა, ამღერდა: – ვთქვა თუ არა ტილიან ხაჯიზე, ხის თოფზე, მეწისქვილეზე, ვთქვა?! ბუკუჩა დავარდა. ეხვეწებოდა, ტიროდა. რამდენიმე ხანში, მართლაც, მოკვდა მელა. ბუკუჩამ მელას დანაპირები შეუსრულა.

შავი მელა (გვ. 48-53).

იყო ერთი ღარიბი და პატივმოყვარე შვილი ჰყავდა. ძროხებს მწყემსავდნენ. შვილმა ზღვის პირას დიდი თევზი ნახა გამორიყული. – გამიშვი, შავ დღეს გამოგადგებიო. მოდი ნაპირზე, დამიძახე და წამსვე გავჩნდებიო. ჭაბუკმა გაუშვა თევზი. მამა გაუწყრა, შვილი გაიქცა. ტყეში ირემი გადაარჩინა. ისიც დახმარებას დაპირდა, მერმე არწივის ბარტყები იხსნა გველისაგან. შეხვდა შავი მელა, მონადირე მწევრები მოსდევდნენ. ჭაბუკმა მელაც გადაარჩინა.

ერთ ქალაქში მოხვდა, ერთ სახლში შევიდა, მოხუცებული ქალი დახვდა. უმასპინძლა, დააპურა. ქალაქში გავიდა, დიდი კოშკი ნახა, გალავანზე რკინის პალოებზე ადამიანის თავები იყო წამოცმული. მასპინძლისაგან გაიგო, რომ ამაყი ქალიშვილი ჰყავდა მეფეს. ბევრი ეძიებდა მის ხელს, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ქალი ასეთ პირობას აყენებს – გაჰყვება მას, ვინც სამჯერ ისე დაიმალება, რომ ვერ იპოვის ბედის მაძიებელს. ჭაბუკმა – წავალ, ბედს ვცდიო. ჯადოსნური დამხმარეების მეშვეობით დაიმალა ჭაბუკი: ჯერ თევზის შიგნეულში, მაგრამ იპოვნა ქალმა; მერმე ირემმა დამალა გამოქვაბულში, იქაც იპოვნა; ბოლსო არწივმა დამალა შავ ღრუბელში და თვითონ აეფარა. ისევ დაინახა ქალმა. ახლა მელას სთხოვა ჭაბუკმა დახმარება. მელა ყვითელწვერა ურიად გადაიქცა, ჭაბუკი ბაღლინჯოდ აქცია. ურია ფართლეულის ვაჭრად გადაცმული შევიდა ქალიშვილის სამყოფელში. ბაღლინჯო ქალს შეაცოცდა, იღლიაში შეუძვრა. ვერ ხედავო, – შეუძახა მამამ. – ვერა და იმედიც გადამეწურაო. ჭაბუკი ჩამოხტა, კაცის იერი დაიბრუნა. დიდი ზეიმი შეიქმნა.

ოხაი (გვ. 52-56).

იყო ერთი ღარიბი. ერთი ვაჟი ჰყავდა. ისინი მწყემსობით ირჩენდნენ თავს. მოსწყინდა შვილს სიღარიბე. მამას უთხრა: – ხვალ წადი და მეფეს ჩემთვის მისი ქალიშვილი სთხოვეო. მეორე დღეს ვაჟმა ხბორებს მიაშურა, მამა კი წავიდა მეფესთან, მაგრამ შეშინდა და სასახლეში შესვლა ვერ გაბედა. დაინახა მეფემ, საჭმლის სათხოვრად მოსულაო – მისცა ფქვილი, ნახევარი ცხვარი და გაისტუმრა. შვილმა საღამოს მომხდარი რომ გაიგო, უთხრა მამას: – ან შემისრულებ თხოვნას, ან ცოცხალს ვერ მნახავო. რაღა ექნა მამას, მივიდა და მოახსენა მეფეს. მეფემ უთხრა: – თუ რამეთი სჯობს სხვებს, მივცემ ჩემს ქალიშვილს.

შვილმა რომ მოისმინა, გაუხარდა, უთხრა: – არანაირი ხელობა არ ვიცი, ქვეყნიერების კიდემდეც რომ ვიარო, უნდა ვისწავლო და შენც უნდა გამომყვეო. მიატოვეს ყველაფერი და გზას გაუდგნენ. გზაში დაღლილებმა შეისვენეს. მამამ ამოიოხრა: – „ოხაიო!“ ბუჩქიდან ვიღაც გამოხტა: – რა გინდა მოხუცო, მე ვარო ოხაი. გამოელაპარაკნენ. ოხაიმ შესთავაზა მე დამიტოვე ეგ ჯეელი და ხელობას ვასწავლიო. ოხაიმ წაიყვანა ჯეელი. ბროლის კოშკებიან ვერცხლის სასახლეში, თავისი ლამაზი ქალიშვილი გააცნო. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ქალმა დაარიგა: – მამაჩემი სწავლას დაგიწყებს. გაიგებ თუ არა, მაინც უნდა უთხრა ვერ გავიგე, რადგან მოგკლავს თუ გაიგებ. იმიტომ, რომ მამაჩემს არ უნდა გონის ხელოვნება სხვამაც იცოდესო. ჭაბუკი მუდამ პასუხობდა ვერ გავიგეო, თუმცა თვით ოხაისაც გადააჭარბა ცოდნაში. გავიდა დათქმული ვადა. ოხაიმ დაუბრუნა შვილი მამას: – წაიყვანე, უნიჭოაო. მამა-შვილი დაბრუნდა სახლში. შვილმა მაქციაობით გაამდიდრა მამა. კვიცად გადაიქცეოდა ხოლმე, მამა კარგ ფასად გაყიდდა, შვილი გამოიპარებოდა. კვიცი აღვირით არ უნდა გაეყიდა. ერთხელ ოხაი მოევლინა მყიდველად, დაახარბა მამა, აღვირიანად იყიდა კვიცი, სახლში მიიყვანა, ისევ ოხაის ქალიშვილმა იხსნა სიკვდილისაგან. დაბრუნდა თავის მეფესთან და მოსთხოვა მეფეს ქალიშვილი.

სიტყვა მოკლეა. თოკი – გრძელი. შეირთო ჭაბუკმა მეფის ასული, ოხაის ქალიშვილიც შეირთო. მივატოვე ის, როგორც ბატკანი, ორ დედას რომ წოვს, მოვედი თქვენთან.

ბალახა და ბოტისა (გვ. 56-94).

ერთი მეფე იყო. მოკვდა და სამი შვილი დარჩა. მათ გაიგეს, რომ სამხრეთის მეფეს ასული ჰყავს და იმას გაჰყვება, ვინც ორთაბრძოლაში აჯობებსო. უფროსი ძმა წავიდა ბედის საძიებლად. გზაში მოხუცი შეხვდა, რჩევა შესთავაზა, იუარა. გამოცხადდა სასახლეში, დამარცხდა, თევზებმა შეჭამეს. მერე შუათანა წავიდა. იგივე დაემართა. დიდხანს იცადა უმცროსმა და ისიც გაუდგა ძმების გზას. იგივე მოხუცი შეხვდა, მოუსმინა, რჩევა ყურად იღო. სძლია მეფის ასულს. ქალმა ოქროს ცალი ფეხსაცმლის პოვნა დაავალა. ვაჟი დაეთანხმა და გზას გაუდგა. ბევრი რამ გადახდა. მიუტანა ოქროს ფეხსაცმელი. ქალმა ახალი პირობა წაუყენა: ცოლქმარი არიან **ბალაი** და **ბოტი.** მათი ამბავი უნდა გამიგოო. გაუდგა ჭაბუკი გზას.

ჩავიდა ბალაისთან, ესტუმრა, ჯერ გაუმასპინძლდა ბალაი, მერე ნარჩენი საჭმელი ჯერ მწევარს აჭამა, შემდეგ ქალს დაუდგა და თან მათრახიც მიაყოლა. ჭაბუკმა მიზეზი ჰკითხა. ბალაიმ უამბო: – ეგ ჩემი ცოლია – ბოტი. დიდხანს ვცხოვრობდით ბედნიერად. მერმე გული გაუცივდა. ერთხელ ღამით, თავი მოვიმძინარე. ბოტი გარეთ გავიდა. გავყევი. ცხენზე ამხედრდა, მეც გავყევი. ერთ კოშკთან

მიაბა ცხენი, შიგ შევიდა. შვიდი ნართი ძმა დავინახე. ჩემს ცოლს ბურთივით ათამაშებდნენ, მერმე ჭამა-სმას შეუდგნენ. კარებთან ჩასაფრებულმა ექვსი დავხოცე, მეშვიდეს, უმცროსს, ფეხი წავაჭერი. ბოტი სახლში დაბრუნდა. რომ მოვედი, მათრახი გადამკრა, ძუკნად გადამაქცია. შვიდი წელი დავყავი ძაღლებსა და ცხვრებს შორის. მერვე წელს ხედ მაქცია, მერე – ქორად. მოვფრინდი სახლში. ბოტიმ მათრახი კედელზე დაკიდა, გარეთ გავიდა. შევძახე – ისევ ბალაი გავხდე, გადავიქეცი ისევ ადამიანად. მათრახს ხელი ვტაცე და გავეკიდე. ვკარი და ძუკნად ვაქციე, მერმე – ცხენად, შემდეგ სანახევროდ ადამიანად და სანახევროდ ქვად და მის მერე ასე მყავს. შენი ძმების მკვლელი მეფის ასული ბოტის დაიკოა. ინახავს მალულად იმ ნართს. მე რომ ფეხი მოვაჭერი. მიწის ქვეშ ცხოვრობენ, როგორც ცოლ-ქმარი. ვაჟიც ჰყავს მისგან. აი, რა მოხდა ჩემსა და ბოტის შორისო – დაასრულა ამბავი ბალაიმ.

– წავალ, შენს ბალაიდ დავათვალიერებო, – უთხრა სტუმარმა, არწივმა კი ფრთებზე შეისვა და გააქცია. ბალაი ელოდა სტუმარს. ბალაი დაედევნა. ისრით დაჭრა არწივი. მაინც მიიყვანა არწივმა მეფის სასახლეში. მივიდა მეფის ასულთან, უთხრა რაც ბალაისგან გაიგო. ტყუილია, არ გინახავსო ბალაი.

– სიმართლე რომ გაიგო, მისი ოთახის ქვეშ შეიხედეო, – უთხრა ჭაბუკმა მეფეს. ყველაფერი გაირკვა. მეფემ ქალიშვილი მოკლა, ჭაბუკმა კი – ნართი და მისი შვილი დახოცა. ჭაბუკი დაბრუნდა სახლში, იქორწინა მეფის ასულზე და გამეფდა.

ქალწული მეფე (გვ. 67-71).

იყო ერთი მეფე, სამი შვილი ჰყავდა. გავიდა ხანი, თვალში სინათლე დაკარგა, დაუძლურდა. მივიდნენ შვილები და უთხრეს: – განა არ იშოვება შენი თვალებისა და უძლურების წამალი?! გვიბრძანე და წავალთ, მოგიტანთო. – მომიტანეთ ქალწული მეფის ბაღის ხილი, აი, ესაა ჩემი წამალიო. წავიდა უფროსი ძმა. გზად თეთრწვერა მოხუცი შეხვდა და დასცინა. განაგრძო გზა და ისეთ ადგილას მოხვდა, სადაც რძის მდინარე მოდიოდა, შუა ზამთარში კი ყურძენი მწიფდა. დედამიწის ზურგზე, რაც ხილი არსებობდა იქ ხარობდა. გაავსო ჩანთები ყველანაირი ხილით, დაბრუნდა და მიუტანა მამას. მამამ: – ეგ არაა ქალწული მეფის ბაღის ხილი. ის ბაღი ძალიან შორსაა, მეც ვიყავი იქ ახალგაზრდობაში, სადაც შენ მოხვდიო. მერე შუათანა ძმა გაემგზავრა. მასაც იგივე დაემართა. ახლა უმცროსი წავიდა. მან ყურად იღო მოხუცის რჩევა-დარიგება. მიადგა ქალწული მეფის ბაღს, შევიდა, ჩაალაგა ჩანთაში ხილი. იხილა მძინარე არსება, შუბლზე ვარსკვლავით, წელწვრილი. ჭაბუკმა აკოცა, უჩქმიტა ლოყაზე და ვერ გააღვიძა. დაბრუნდა სახლში, მიუტანა მამას ხილი. დილით ქალწულმა მეფემ სარკეში ჩაიხედა, დაინახა ნაჩქმეტ-ნაკბენი, შეკრიბა ლაშქარი და მიაშურა ჭაბუკის ქვეყანას. დაბანაკდა სასახლესთან და მოითხოვა იმის თავი, ვინც მის ბაღში ხილი მოიპარა. ჯერ უფროსი მივიდა, მაგრამ ქალწული მეფე ვერ მოატყუა... უმცროსმა ყველაფერი უამბო. ქალწული მეფე დარწმუნდა მის სიმართლეში, სამჯერ აკოცა და უკბინა ლოყაზე. მოარჩინა მოხუცი მეფე და იქორწინა უმცროს ძმაზე.

ძმა და და (გვ. 64-67).

იყო ცოლ-ქმარი. ვაჟი ჰყავდათ, მდიდრები იყვნენ, ღმერთს ქალიშვილის შესთხოვდნენ. შეისმინა ღმერთმა, მისცა ასული. ის წუთობით იზრდებოდა. ერთი თვისა ერთი წლისას გავდა, ვეებერთელა გაიზარდა. უფროსმა ძმებმა ჩივილი

დაიწყეს. ცხენების რემაში უცხო რამ არსება გვივარდება, ცხენს სცემსო. უმცროს ძმასაც იგივე დაემართა. ისარი ტყორცნა, ფაშატი მოკლა, უცნაური არსება კი თვალს მიეფარა. სახლში ნახა, რომ მის დას ხელი დაჭრილი ჰქონდა ისრით. – რა დაემართაო – იკითხა უმცროსმა. – ხიჭვი შეერჭოო. – არა, ეგ ჩემი ისრის კვალიაო. კარტია ჩვენი დაო. ყველა დაუპირისპირდა. კარგითო – უთხრა, ნახავთო და გაეცალა ყველას.

უმცროსი სხვა სამეფოში გადაიკარგა. მდიდარმა ცოლ-ქმარმა იშვილა. გავიდა ერთი წელი. ორი კარგი ძაღლი გაზარდა. ერთს ჩქარი ფეხი დაარქვა, მეორეს მახვილი ყნოსვა. ერთხელ უთხრა მამობილ-დედობილს: წავალ, ვინახულებ ძმებს და დავბრუნდები. თუ ჩემი ძაღლები ჯაჭვებს დაჭიმავენ, აუშვითო. მიუახლოვდა სოფელს და დაინახა, რომ ყველაფერი გაპარტახებული იყო. მარტო ერთი ადგილიდან ამოდიოდა კვამლი. მივიდა და თავისი და იპოვა. მან ძმის ცხენს ფეხი მოაჭამა. უცხენოდ მოხვედიო. არაო, სახურავზე ავალ, არემარეს გავხედავო. ავიდა ბანზე. თაგვმა გააფრთხილა, გააპარა. და გაეკიდა. ახლა ძაღლებმა უშველეს და კარტი და შუაზე გაგლიჯეს. კარტის სისხლის წვეთმა მაინც მოკლა უმცროსი ძმა.

მოყმე ნაზნაო (გვ. 71-75).

დაღესტნის ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი მოყმე – უტვინო და ხელიდან წასული. სადაც წინ უნდა ყოფილიყო, უკან რჩებოდა. სადაც უკან უნდა ყოფილიყო – წინ მიიწევდა. ნაზნაი მოყმე ერქვა. გამთენიისას ურმის ქვეშ შეძვრა – მოსასაქმებლად. კოკით ხელში იქვე ცოლი იდგა. ცოლის გარეშე ღამით გარეთ არ გადიოდა, მარტოს ვერ ვტოვებო. ცოლი კი ამბობდა მას ეშინიაო. შემძულდი შენი მშიშროზით მომშორდიო. დილით აიკიდა აბგა და წავიდა სახლიდან. ბევრი იარა, თუ ცოტა, ერთ ქალაქში მივიდა. ერთი მჭედელი ნახა და ხმალზე წარწერა გააკეთებინა: „ერთი დაკვრით 500 კაცის მკვლელი მოყმე ნაზნაი“. გააგრძელა გზა. მივიდა ქვეყანაში, სადაც არ იცნობდნენ, მივიდა დედაქალაქში, სადაც დიდი მეფე იჯდა. ღამდებოდა, დაიწყო ფიქრი, სად გაეთია. ზურნა-დუდუკის ხმა მოესა. მიაშურა იქით, დიდ დუქანს მიადგა. შევიდა, ქალები და კაცები ნადიმობდნენ, მეფის ვეზირის დარბაზებში მოხვდა. ერთს შვილის ქორწილი ჰქონდა. დააპურეს. ვეზირმა ვინაობა გამოკითხა. ჩემი ხმალი გეტყვის ვინა ვარო. შეშინდა ვეზირი, მეფეს აცნობა. მეფესაც იგივე დაემართა. დაიბარა მოლაყბე სულელები, შეკრიბა დიდი საბჭო. ნაზნაის თავისთან დატოვება ურჩიეს მეფეს. მეფემ იხმო ნაზნაი. იმავე ღამეს მეფის ასულზე იქორწინა. ერთი კვირის შემდეგ იხმო მეფემ: – შენი იმედი მაქვს. წელიწადში ორჯერ ჩემს ფარებს, ჯოგებს, ცხენების რემებს ვიღაცა არბევს. უნდა გახვიდე, გაიგო ხვალ არის მისი მოსვლის დროო. გაიგო თუ არა, ნაზნაის კუჭი აეშალა. ზოგმა თქვა შეეშინდაო, ზოგმა გველეშაპზე გამწარდა და გაუვარდაო.

დაბრუნდა სახლში და ღამით გაიპარა. თავს უშველა, გარბოდა და გარბოდა. ღამით ხეზე ავიდა, იქ დაიძინა. დილით გაიღვიძა და იქვე მძინარე გველეშაპი დაინახა. შეშინებული ჩავარდა და გველს ზედ დაეცა. გველეშაპს შიშით გული გაუსკდა და გაიფიჩხა. ნაზნაი გონს მოეგო და გაიქცა. მიიხედა უკან, მიხვდა გველი მკვდარი იყო, თავი მოაჭრა და მეფეს მიუტანა. ეს გველი იყო, ჩვენთან, დაღესტანში, ბავშვები ჯოხებით კლავენო ამისთანებს. გავიდა დრო, მეფემ იხმო ნაზნაი. ახლა სამი ნართის დასჯა მოსთხოვა, რომლებიც აწუხებდნენ მეფეს. ნარ-

თებმა კამათში ერთმანეთი დახოცეს. ნაზნაიმ თავები დააჭრა, იარაღი მოკრიბა და მეფეს მიუტანა. მესამედაც იხმო მეფემ. უცხო მეფემ ომი გამომიცხადა, ჩემს ჯარს სათავეში უნდა ჩაუდგე და ომში წახვიდეო. წავიდა ჯარი ერთი ნაბიჯით წინ, ორით - უკან. ნაზნაიმ ჯარი რომ დაინახა, ისევ კუჭი აეშალა. გაიძრო ფეხსაცმელები, ტანსაცმელი, ჩექმები პირით დაიჭირა, გაიქცა შუაგულ მტრის ჯარისაკენ და მას მისი ჯარიც მიჰყვა. მტრის ჯარი დაიშალა, ყველაფერი მიატოვა და გაიქცა. მეფე უეცრად მოკვდა. ერთხმად ნაზნაი აირჩია ჯარმა მეფედ.

მგელი და კოდალა (გვ. 76).

ფარას მგელმა ბატკანი მოსტაცა და გაიქცა. მიირბინა ხესთან და ხმაური გაიგონა. ადამიანი ეგონა, დააგდო ბატკანი. კარგა შორის რომ გასცილდა, მიიხედა და კოდალა დაინახა. დადგა შენი აღსასრულის დღეო - თქვა მგელმა: შენი ჩაქუჩის ხმა არასოდეს წყდება და ოსტატად მაინც არ ვარგიხარ. შენ სულ ქურდობ და მაინც ვერ შეაგროვე (ვერ შეიძინე) ცხვრის ფარა და ვერ გახდი მისი პატრონიო.

ადამიანი და ჩიტი (გვ. 76). 1888 წელი თემირ-ხან შურა აიდემირ ჩირკეევსკი.

ერთმა კაკანათი ჩიტი დაიჭირა. ჩიტმა უთხრა: – რომ შემჭამო, ბდღვნად არ გეყოფი. სამ რჩევას მოგცემ და გამიშვიო. დაეთანხმა ადამიანი. – რაც არ უნდა დაგემართოს, არ უნდა შეწუხდე იმაზე, რაც უკვე მოხდა; არავის არასოდეს დაუჯერო ის, რაც საღ აზრს ეწინააღმდეგება; აი, მე დღეს ქათმის კვერცხის ტოლა ოქრო მაქვს შიგანში. რომ მოგეკალი, ოქროს ამოიღებდი და მთელს ცხოვრებას მოიწყობდიო. ადამიანმა თითზე იკბინა, რა სულელი ვარ, რა შავი დღე გამითენდაო.

ჩიტი გაფრენას აპირებდა, ადამიანმა უთხრა: – სამ რჩევას დამპირდი და მესამე რაღააო? მესამე რაღად გინდა, პირველი ორიც რომ ვერ შეასრულეო. მე ქათმის კვერცხის ტოლაც არ ვარ და როგორ მექნებოდა მისი ტოლი ოქრო. რომც მქონოდა, რატომ შეგიპყრო სინანულმაო. აი, ეს იყო მესამე რჩევაო, უთხრა ჩიტმა და გაფრინდა.

ССКГ. 1868, вып. 89I, გვ. 1(89) – ა. ი. იპოლიტოვი – **არღუნის ოკრუგის** ეთნოგრაფიული ნარკვევები (ჟანრი – სტატია).

სიმღერა ჰამზათზე (გვ. 27-31).

ახლავს შენიშვნა: ჰამზათი არაბი იყო თერგის ზედა აულებიდან. იმამობის პირველ წლებში მთებში გაიქცა, შემოიკრიბა მარბიელი მხედრები და არბევდა თერგის ლინიას. ამ აბრაგის მხედრები ყოველთვის არ იყვნენ წარმატებულნი.

მამაცი ჰამზათი თავის მხედრებით თერგის მარცხენა სანაპიროზე გადავიდა და ნოღაელთა სტეპებს გაუყვა, თეთრი ცხენების რემა გაირეკა და თერგი გადაცურა. განთიადზე შირვანის ბუჩქნარს შეაფარა თავი – ჩერქეზთა გორაზე. შემდეგ შირვან-ყულიში შეისვენა და რემა ტყეში შერეკა. ჰამზათმა მდევარი დაინახა. ამხანაგებს აცნობა და ურჩია – რემა ირგვლივ დავიყენოთ და ასე დავიცვათო თავი. გიხინის ნაიბი ახვერდი მაგომა მოდის თავისი რაზმით, დასახმარებლადო – გასამხნევებლად უთხრა ჰამზათმა ამხანაგებს. ყარაული დააყენეს. მან დაინახა, რომ წინ-წინ კნიაზი კაგერიანი მოჰქროდა. მან ჰამზათს ჰკითხ: – ვისი კაცები

ხართო. – ჩვენი თავისო – მიუგო ჰამზათმა. – ტყუილად მოხვედი, ჰამზათ ჩვენთან. ეხლა რუსების რაზმი დაგვდებს. მათ გამომგზავნეს – დაგინდობენ, თუ არ იჩხუბებთო. – სასაცილოდ არ მყოფნის თქვენი რაზმი, ყოვლისშემძლე ღმერთის იმედად ვართ, -მიუგო ჰამზათმა, –. ჩვენ მუდამ ნადავლს და ოქროს ვეძებთ, ხოლო ისეთი დღისათვის, როგორიც დღევანდელია, შავ დენთზე უკეთესი ნადავლი არ გვეგულებაო.

კაგერმანმა ყველაფერი რუს უფროსს მოახსენა. გაიმართა თოფის სროლა. გაიფიქრა ჰამზათმა სიკვდილის დრო დამიდგაო. მაღლა ცაში გადამფრენი ფრინველები დაინახა და თავისი ამბავი დააბარა ლამაზმანებთან: – დების მოთქმა-გოდების ნაცვლად მშიერი მგლების ყმუილი დაისადგურებს ჩვენს საფლავებზე, ნათესავების ნაცვლად – შავი ყორნების ჩხავილი. ისინი თვალებს ამოგვკორტნიან, მგლები ჩვენს ცხედრებს გაგლეჯენო.

აქვე მომყავს მსგავსი სიმღერის კიდევ ერთი ნიმუშიო: სიმღერა ელ მურზაზე[19] (გვ. 31-35).

ელ მურზა ამბობდა: – როგორც სწრაფად ფრენს ჩემი შავი შევარდენი და მაღლა ცაში იკეთებს ბუდეს, ისეთივე სწრაფიაო ჩემი ცხენიც.

ერთ დღეს შეკაზმა ცხენი, დათვზე უფრო მრისხანემ, მივიდა მუტალიმებთან აულში და ქრისტიანების დარბევა და დავლის შოვნა შესთავაზა. თხუთმეტნი გაჰყვნენ. მივიდნენ თერგის ნაპირებთან. გაცურეს – ცხენები ჰყავდათ ნავებად და მათრახები – ნიჩბებად. ნადავლით მომავალნი მგზავრებს გადააწყდნენ, წაართვეს ნადავლი. დაბრუნდნენ, გაცურეს ლურჯი თერგი, დაჰკრეს სტანიცაში ნაბათს და ატყდა ქვემეხების სროლა. გაეკიდნენ რუსები, დაეწივნენ და ალყაში მოაქციეს, ელ მურზას დანებება მოსთხოვეს.

ელ მურზამ უარი უთხრა. მეორე შუამავალი მიუგზავნეს: – დაგვნებდი, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო, – უარი უთხრა. შუამავალს თვალები დათხარეს. ატყდა თოფის სროლა. თოფების დენთის ბოლმა დღე დააბნელა. მერე ხმალდახმალ იბრძოდნენ. რუსებმა უკან დახევა იწყეს. ელ მურზა მძიმედ დაიჭრა და ჩამოშორდა ამხანაგებს. მერე დახოცილების გვამები ერთად შეაგროვა – დაასვენა. შემდეგ დაბრუნდა აულში. ხალხმა ამბავი ჰკითხა, მან ყველაფერი უამბო. სამოცი კაცი ითხოვა, დახოცილთა ცხედრების ჩამოსატანად. ჩაასვენეს ცხედრები აულში და დაკრძალეს.

სოლომონის ზღაპარი (გვ. 36-42).

ახლავს შენიშნა: ბიბლიურ სოლომონს მუსულმანები ერთ მთავარ წინასწარმეტყველად მიიჩნევენ. მას სულეიმან-პაიხომარს ეძახიან. ოდესღაც ცხოვრობდა მეფე სულეიმან-პაიხომარი. იგი ყველას მეფე იყო – ადამიანების, ნადირ-ფრინველის და ჯინებისა, ბატონობდა ქარსა და ზღვაზეც და ყველა მხრიდან მიჰქონდათ მასთან ამბები. მტრის წინააღმდეგ რომ გაილაშქრებდა, ყველა მიჰყვებოდა, მეგზურობას ერთი კოდალა უწევდა, მას გრძელი ნისკარტი ჰქონდა და ქვიშაში იოლად პოულობდა წყალს. სოლომონი ხშირად არბევდა ქრისტიანებს. ქარს უბრძანებდა მათი საცხოვრებლების დანგრევას. სამართალს უდგენდა ადამიანებს,

19. შენიშვნა ახლავს: ხალხი ელ მურზას ეპითეტად ხმარობს: წინამძღოლი, ბელადი. იგი სახელოვანი წინამძღოლი იყო პარტიზანული მარბიელი ბანდებისა 30-იან წლებში.

რიგრიგობით – ნადირსა და ფრინველებს. მის სასამართლოში ყველას წარმომადგენლები ისხდნენ. სოლომონმა ყველას ენა კარგად იცოდა.

ერთხელ სოლომონი ფრინველთა საჩივარს განიხილავდა. მათი წარმომადგენლები იყვნენ ბუ და ანკა. უცებ სოლომონმა გაიცინა. მიზეზი რომ ჰკითხეს, უპასუხა: – ქარმა ჩამჩურჩულა აღმოსავლეთში მეფეს ასული შეეძინა, დასავლეთისას – ვაჟი და ისინი დაქორწინდებიანო. საიდან იცის ქარმა ეს ამბავი – ამიტომ გამეცინაო. ბუმ და ანკამ უთხრეს: თუ მოვინდომებთ, ქორწინება არ შედგებაო. საღამოს სასამართლო დამთავრდა და ჩიტები სხვადასხვა მხარეს გაფრინდნენ. ანკა ლამაზი ფრინველი იყო. იგი გაფრინდა აღმოსავლეთის სამეფოში, დედოფალს წაართვა ჩვილი გოგო და მაღალ მთაზე მაღალ ხეზე ბუდეში მიიყვანა ბავშვი. გავიდა დრო. ბავშვი გაიზარდა. ანკა მშობელ დედასავით უვლიდა. დასავლეთის მეფის ვაჟს ძალიან უყვარდა ნადირობა. ერთხელ ზღვაზე წავიდა სანადიროდ. ქარმა მისი ნავი ნაპირზე გარიყა. მაღალ მთაზე, მაღალ ხეზე ადამიანი შენიშნა. უძახა. ქალიშვილი გაეპასუხა. მისი რჩევა-დარიგებით ვაჟი მოხვდა ბუდეში. ისინი ერთმანეთით ტკბებოდნენ. ეს ამბავი პაიხომარ-სულეიმანს ქარმა ამცნო. მან ჰკითხა ბუსა და ანკას შეასრულეთ თუ არაო თქვენი სიტყვა – შეუშალეთ თუ არა ხელი ქალ-ვაჟის შეერთებასო. – შევასრულეთო – უპასუხეს. სულეიმანმა ჯინს მოაყვანინა ქალ-ვაჟი ანკამ დაინახა ყველაფერი და ღმერთს შესთხოვა გადაეკარგა ისე, რომ ვეღარავის ეხილა იგი. მას მიბაძა ბუმაც, დღისით აღარ ჩნდება და ღამით დაფრინავს.

ძუ დათვის იგავი (გვ. 42).

მაღლა მთაში ძუ დათვი იყო, თავის ორი ბელით. ზრუნავდა, ბუნაგიდან არ უშვებდა. მოსწყინდათ ბელებს ასეთი ყოფა და ერთ დღეს დედას მსხალი მოსთხოვეს, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ მსხლის საშოვრად შორს მოუწევდათ წასვლა. დიდი ყოყმანით გაჰყვნენ ბელები დედას მსხლის ხისკენ უღრან ტყეში. ბუჩქებში მონადირეები ისხდნენ, დათვებს ელოდნენ, დახოცეს ბელები. ძუ დათვი დაიჭრა და ძლივს გაეცალა იქაურობას, ატირდა და დასწყევლა დედა, რომელიც თავისი შვილების მომავალს ვერ გამოიცნობს.

პ. უსლარის მიერ 1866 წლის აგვისტოში დერბენტში შესრულებული ნარკვევი და ტექსტები „მთიელ ხალხთა თქმულებები“ (გვ. 2-42), რომელსაც ახლავს შესავალი: „მთიელთა სიტყვიერი შემოქმედების შესახებ“. აქ პ. უსლარი წერს: კავკასიის ბუნებამ ძველი ხალხების თვალში ფანტასტიკური სისრულე შეიძინა, რაც კარგა ხანია უარყოფილია, თუმცა ბოლო ოცდაათწლეულში შეივსო ცოდნით. კავკასიონზე არ აღმოჩნდა პრომეთეს ჯაჭვი, რომელთაც ოდესღაც გულმოდგინედ ეძებდნენ ბერძნები და რომაელები; არარატზე არ აღმოჩნდა ნოეს კიდობანი... ბალახეულის მცნობმა ბრძენმა მედეამ, რასაკვირველია, ისე კარგად ვერ გამოიძია კავკასიის ბალახეული, როგორც რუპრეხტმა და რადემ. შემდეგ ახასიათებს ყოფით კულტურას (სიტყვიერს): მისალმება-მოკითხვის, წყევლა კრულვის ლექსიკა-ფრაზეოლოგიას, ქალის, მამაკაცის სახოტბო ლექსიკა-ფრაზეოლოგიას.

ვრცლად მსჯელობს ანდაზებზე. მისი დაკვირვებით მთიელთა ანდაზები ძალიან ჰგავს რუსულ და ევროპულებს, თუმცა თარგმანზე ლაპარაკი ზედმეტია. მოჰყავს მაგალითი: მოარულ ცხენს კბილებზე არ უყურებენ. – აფხაზი ქურდის

თავზე ცეცხლია (ქურდს ქუდი ეწვის) – ავარიელი; ზაფხულში გველის მნახველს ზამთარში თოკისა ეშინია – ავარიული და ლაკური; დაგესლილს ზამთარში თოკისა ეშინია – კიურიული.

ანდაზების შემდეგ მსჯელობს **იგავ-არაკებზე**. იგავ არაკი თხრობის მხატვრულობითაა საინტერესო. მთიელები მოუღალავი მოლაპარაკეები არიან. ოპოზიციური ორატორები ერთმანეთს იგავებით ეპაექრებიან.

ძველად, როცა მურიდიზმი ის იყო მთაში ფეხს იკიდებდა, დიდი კამათი იმართებოდა, მიეღოთ მურიდიზმი თუ – არა. ოპოზიციონერს შეეძლო ასეთი იგავი ეთქვა: ერთხელ ქარმა საბძელს უთხრა, კარი გამიღე და რაღაცას ჩაგიყრიო. სულელმა საბძელმა გაუღო კარი. ქარმა კი რაც საბძელში იყო, ყველაფერი გაიხვეტა და წაიღო. საღამოთი პატრონს სათბობის წაღება მოუნდა და როცა ვერაფერი ნახა საბძელი მილეწა. – კარებიც შეშააო. დარჩა საბძელი დალეწილი.

ლაკური იგავი (გვ. 20):

შემდეგ მოყავს ორი კიურიული ზღაპარი, რომელთა პერსონაჟებიც მელია და მგელია – ბრიყვი და მოტყუებული მელიასაგან. მელამ იპოვნა წიგნი, გადაშალა. დაინახა მგელმა, – რა გიჭირავს? – წიგნიო, – მიუგო მელამ. განა წერა-კითხვა იციო? როგორ არაო – მიუგო მელამ, ორმოცი მოწაფე მყავს და ოცდაათი წელია ვმასწავლებლობო. მგელმა შვილები მოუყვანა სასწავლებლად. მელამ გასამრჯელოდ ცხვრის ქურქები ითხოვა. მგელმა 30 ცხვარი მიუყვანა. მელამ ჯერ მგლის ლეკვები შესანსლა, მერმე ცხვრებს მიჰყო ხელი. მგელმა შვილების მონახულება მოინდომა. მივიდა და ეკითხება მელას მათ ამბავს. მელამ მგელი მეორე დღეს დაიბარა, თვითონ გაიპარა და წისქვილს შეაფარა თავი. მგელმა იპოვნა. მელამ უთხრა, გეშლება. აქ ვსახლობ, ჩემი წინაპრებიც აქ სახლობდნენ, მეწისქვილე ვარო. მგელმა მეწისქვილეობა მასწავლეო. მელა დაეთანხმა და უთხრა: – თავი დოლაბზე დადეო, მერე წისქვილზე წყალი მიუშვა, დოლაბი დატრიალდა და მგელს თავზე ტყავი გასძვრა. მელა გაიქცა. შორი-ახლოს მწყემსები იყვნენ. მგელი მელას გაეკიდა, დაიჭირა, მოკვლა დაუპირა. მელამ უთხრა: – მე ის არა ვარო. მგელმა დაუჯერა. მელამ მოტყუებით გოდორში ჩასვა, თავი დაუხურა, გორაკიდან დააგორა, მწყემსებს დაუძახა: – გოდორში თქვენი მტერიაო, მწყემსებმა მგელს სული გააფრთხობინეს.

იგავი (გვ. 23-25).

ერთხელ აქლემი მიდიოდა ბაგაზე. შეხვდა მელა: – სად მიდიხარო? – ჰკითხა. – ზამთრის ბაგაზეო. მეც წამიყვანეო – უთხრა მელამ. გზაში მგელი შეხვდათ და ისიც წაიყვანეს. შეხვდათ დათვი, ისიც წაიყვანეს. გზაში ერთ ადგილას შეჩერდნენ. მელამ მგელსა და დათვს აქლემის მოკვლა შესთავაზა. მელამ აქლემი გააბრიყვა და ის დაკლეს. მელამ მგელი და დათვიც გააბრიყვა და ყველაფერი თვითონ შეჭამა. მგელი დაედევნა. მელა სოროში შეძვრა, მეორე გასაძვრომიდან გაიპარა. მგელი კი მელას სოროში გაიჭედა. მელა უკნიდან მიადგა და ცოცხლად დაუწყო ჭამა. მგელმა მოტყუება სცადა: – წინიდან უფრო მსუქანი ვარო. მელამ უთხრა: – ნუ ნაღვლობ, მანამდეც მოვაღწევო.

აქვეა **აკუშინური** ზღაპარი:

დათვი, მგელი და მელა ერთად ცხოვრობდნენ. დიდთოვლობა დადგა და დაიმშნენ. დათვი გაემართა დამპალი ხის ნარჩენებით საკვებად. მელამ კი მგელს დათვის შეჭმა შესთავაზა. მგელმა: – თუ გაგვიგო, ორივეს შეგვჭამსო. – მომენდე და ვერაფერსაც ვერ გვიზამსო. შენ დაწექი, თავი მოიმკვდარუნე, როცა წყალში ჩაგაგდებთ, ვითომ გაცოცხლდიო.

დაბრუნდა დათვი, ატირდა. მელამ უთხრა: – უკვდავების წყალი ვიცი, გავაცოცხლოთო. ჩააგდეს, მგელი „გაცოცხლდა“. მელამ უთხრა დათვს: – მოდი, შეგჭამთ და შემოდგომით 25 ცხვარს მოგცემთ, როცა ამ წყალში ჩაგაგდებთ, შენც გაცოცხლდებიო. დათვი დათანხმდა. მგელმა და მელამ კი შეჭამეს.

მთიელებს ძალიან უყვართ **ანეკდოტები.** მოჰყავს მაგალითად ერთი **ავარიული** ანეკდოტი:

ერთი მიწის მუშა და მკალავი შეეჯიბრნენ ერთმანეთს, ვინ უფრო თავშესაქცევ ამბავს იტყოდა. მიწის მუშამ თქვა: ყანაში ისეთი სტაფილო მოვიყვანე, ურემზე ძლივს დაეტიაო. მკალავმა: – ისეთი ქვაბი გავაკეთე, 25 ურემი შეშა დასჭირდა მასში წყლის მოხარშვასო. – მაგხელა ქვაბი რისთვის გინდოდაო, – გაიკვირვა მიწის მუშმ. – შენი სტაფილო რომ ჩატეულიყოო, – მიუგო მკალავმა.

პ. უსლარი საგანგებოდ მსჯელობს პოპულარულ პერსონაჟზე – **მოლა ნასრედინზე.** მისი წარმომავლობა უაღრესად საინტერესოა. ხალიფა გარუნ არ-რაშიდის დროს ამ სახელის მქონე შესანიშნავი მეცნიერი ცხოვრობდა. მისი მოძღვრება განიდევნა და თავი რომ გადაერჩინა, ხეიბრობა დაიბრალა. გადმოცემამ ეს ხეიბარი მასხარად გადააქცია. თურქულ ენაზე მოლა ნასრედინზე ანეკდოტების წიგნი არსებობს.

აი, ერთი მაგალითი: **აკუშინური** ტექსტი:

მოლა ნასრედინს გზაში რამდენიმე კაცი შეხვდა, საფლავს თხრიდნენ. მშვიდობა და – კეთილდღეობა თქვენთანო, – მიესალმა. მათ გაეცინათ, სტაცეს ბარებს და ნიჩბებს ხელი და ერთი კარგად მიბეგვეს მოლა. შეშინებულმა მოლამ ჰკითხა: რა დაგიშავეთ, რატო მცემეთო. ხელი უნდა გამოგეწოდა და სული გეცხონებინაო. მოლამ გზა განაგრძო. დაინახა ხალხი მღერის და ცეკვავს, ქორწილი აქვთ. მოლა მივიდა, ხელები აღაპყრო და შესანდობარის ლოცვას მოჰყვა. მიბეგვეს. – ქუდი ხელში უნდა დაგეჭირა და ცეკვა-თამაშს მოჰყოლოდიო. მოლა გზას გაუდგა. მონადირე დაინახა, კურდღელს უმიზნებდა. მოლამ ცეკვა-თამაში დაიწყო, კურდღელი დაფრთხა, გაიქცა. მონადირემ მოლა კონდახით მიასიკვდილა. – რა უნდა მექნაო – ჰკითხა მოლამ. – ასეთ დროს ქუდი უნდა მოიხადო, დაიკუზო და ისე გაიაროო. მოლა გზას გაუდგა. დაინახა მწყემსები და ცხვრის ფარა. მიუახლოვდა წაკუზვა-აკუზვით იწყო სიარული. დააფრთხო ფარა და მწყემსებმა მიბეგვეს. აღარ დარჩა უბედურება, მოლას რომ არ დასტყდომოდა თავს.

პ. უსლარის დაკვირვებით, მთიელთა ზღაპრები ცოტას შეიცავენ ორიგინალურს. ხშირად ისე ჩამოჰგვანან რუსულს, რომ ნასესხობაზედაც იფიქრებს კაცი. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ ერთმანეთისაგან არაფერი გვისესხია. ზღაპრების

უმეტესობაში პერსონაჟები **ნართები არიან** – ბუმბერაზები, მთელს კავკასიაში გავრცელებულნი. ისინი კეთილნიც არიან, ბოროტებიც. ოსებსა და ყაბარდოელებში ისინი სიმღერებისა და ზღაპრების გმირები არიან. ეს სიმღერები და ზღაპრები გარეგნულად სხვადასხვაგვარნი, მთლიან ეპიკურ პოემას ქმნიან, რომელიც ახლო მომავალში განათლებული სამყაროს წინაშე წარსდგება დიდ ეროვნულ პოემათა გვერდით, რომლებიც სახელოვანი ფილოლოგის მაქს მიულერის მიხედვით სულ ხუთია: იონიური სიმღერები (ილიადა და ოდისეა), მახაბხარატა, შახნამე, ნიბელუნგები და კალევალა (გვ. 28).

არაფერს ვიტყვი ოსებსა და ყაბარდოელებზე, დაღესტანელებში კი ნართი ბუმბერაზები მთელს ცხოვრებას ძილსა და ნადირობაში ატარებენ. ან სძინავთ კვირაობით, ან ნადირობენ. ნანადირევის სატარებლად მხარზე ფესვებიანად მოგლეჯილი ჩინარი დააქვთ.

დასავლეთის მეზობლებისაგან ისესხეს დაღესტნელებმა **კურდღლის მხედარი.** ეს ქონდრისკაცია, წვეროსანი. მისი ძალა წვერშია. ერთი ამოძრობილი ღეროთი ნებისმიერ ღონიერს დაამარცხებს. ჩვეულებრივ კურდღელზე ამხედრებული დადის. ადიღეელები **სიპუნეზს ე**უძახიან, ანუ ბურბუშელებს, ნაფოტებს. ადიღეელები ყვებიან, რომ სიპუნები და ნართები ერთად ცხოვრობდნენ. ნართები ძლიერები იყვნენ, სიპუნები – ბრაზიანები, ვერაგები, მაგრამ ჭკვიანები. ისინი ნართებს აიძულებდნენ მათთვის სახლები ეშენებინათ. დაღესტნურ თქმულებებში კურდღლის მხედრები უცხო მხრიდან მოდიან, როგორც რუსულ ზღაპრებში მეფე-სალტანი, ბასურმანი, ან გერმანელი თუ ვოლხვი ბოვა-უფლისწული.

კარტი ვეება კაციჭამია ქალია. ზღაპრებში შრომისმოყვარეა, კაციჭამია ქალიშვილების დედა, მისი ქმარი უცნობია. ნართებთან საერთო არაფერი აქვს. ზღაპრებში კარტს ძალიან ეშინია ნაცრის ხიდისა. რა ხიდია, ან რატომ ეშინია კარტს, არავინ იცის.

ჩვეულებრივი შინაარსი ზღაპრებისა იმაშია, რომ ჭაბუკები ეძიებენ მშვენიერი მეფეთა ასულების ხელს. იმართება შეჯიბრები, ქალი იმას რჩება, ვინც გმირობას ჩაიდენს. ვინც გმირობას ვერ ჩაიდენს, თავს ჭრიან. მეფის ასული ვერცხლის კოშკშია. გარშემო მარგილებია გარშემორტყმული, თითოზე თითო თავია ჩამოგებული. შეჯიბრში ბოლოს სამი ძმა ებმება. ორი ჭკვიანია, მესამე – სულელი. უფროს ძმებს შურთ მისი. იგი შორ გზაზე მიდის, მთებსა და ტყეებს გადის, მოხვდება ზღვისპირეთში, ჯადოსნური ცხენს მოიპოვებს, შემდეგ ალმასის ხმალს, ერთი დარტყმით 9 თავს და 18 ყურს წააჭრის შავ გველს, გადაარჩენს ბარტყებს, რომლებიც დიდი ხარის ტოლები არიან.

მთიელთა ზღაპრები ჩვეულებრივ ქორწილით მთავრდება. დასასრულ მთიელები ამბობენ: დაჰკრეს სპილენძის დოლს, ჩაბერეს ტყავის ზურნას, დუდუკი აკვნესდა, ნადიმი გამართეს სანაქებო. დათვის ცეკვა ვიცეკვე, ყველამ შემაქო. დღე და ღამ არ დამისვენია, ლუკმა პირში არ ჩამიდია, ვიჩქარე აქეთკენ, თქვენთვის რომ მომეთხრო, რაც მოხდა.

საერთოდ, ხალხურ ზღაპრებს არასოდეს იწერენ ისე, როგორც ჰყვებიან. იწერენ ისე, რომ მკითხველის მზარდი ინტერესი გამოიწვიონ და ბოლომდე შეინარჩუნონ. ზღაპარს მწუხრის ჟამს ჰყვებიან, რათა მიაძინონ ადამიანი. ინტერესი თანდათან უნდა მინელდეს, თორემ ზღაპარი მსმენელს ჩაძინებაში შეუშლის ხელს.

მთქმელი (მეზღაპრე) თავიდანვე ეძებს შემთხვევას, რათა გამოთქვას წინასწარ, რაც შემდეგში მოხდება. შემდეგ კი ისე დაწვრილებით ჰყვება, თითქოს დაავიწყდა, რომ ადრევე ჰქონდა ნათქვამი. მომავლის წინასწარმეტყველება იოტის ოდენადაც არ კვეცს თხრობას აწმყოზე, მაგრამ ამას გარდა, თუ რომელიმე უფლისწულს ვინმესთვის მოუწევს იმის თხრობა, რაც გადახდა, რაც ორჯერ უკვე ცნობილია მთვლემარე მსმენელისათვის, მთხრობელი აუცილებლად გადაიტანს თრობას წარსულ დროში. დროთა ეს აღრევა, როგორც საკუთარი გამოცდილებით ვიცით, მიძინების აუცილებელი ელემენტია. მეფისწული შემდეგ ხან ქვესკნელში ჩაინთქმევა, ხან ღრუბლებამდე ადის. ზღაპარში შეაქვთ ისეთი ეპიზოდები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო საქმესთან და არც არაფრის მთქმელია. ზღაპარში აშკარა შეუსაბამობებია ფხიზელი ადამიანისათვის. მაგრამ ზღაპარს ამისთვის არ ჰყვებიან. მსმენელს უკვე სანახევროდ სძინავს და უკვე აღარაფერი აკვირვებს. რაც უფრო გადაუბმელი ხდება ზღაპარი, მით უფრო ჰარმონიული ხდება ტკბილ ჩაძინებასთან. თუ ზღაპარი ბოლომდე მოისმინა, მან აშკარად ვერ მიაღწია თავის მიზანს. ზღაპარი იმ სახით როგორც მას სინამდვილეში ჰყვებიან, აუტანელია წასაკითხად.

ავარიული ზღაპრებიც, რომლებიც ამას წინათ შურაში დაიბეჭდა, სტენოგრაფიულად არ არიან ჩაწერილი. კეთილსინდისიერება მაიძულებს ამ შენიშვნის გაკეთებას, მთიელთა წერილობითი ლიტერატურა ჯერ არ არსებობს, ჩემი მოყვანილი ყველაფერი თვით მთიულთაგან არის ჩაწერილი თითქმის სტენოგრაფიულად. ზღაპართაგან განსხვავებით, სიმღერები მთის პოეზიის სრულიად დამოუკიდებელი გამოვლენაა. მთიულებს მელოდიების უხვი მარაგი აქვთ. ვინ შემქნა, არავინ იცის. ამგვარი შემოქმედებითი მოღვაწეობა ამჟამადაც თუ გრძელდება, ვერც ამას ვიტყვი. უეჭველია, რომ მელოდიასაც და სიტყვებსაც ერთი და იგივე პირი ქმნიდა. მთიელთა მელოდიები საინტერესო მოვლენებია.

თუმცა აქ მხოლოდ პოეზიის ენაზე შევჩერდები. მექანიკური მხარე მარტივია. მთიელები არ იცნობენ არც რითმას, არც ტონურ საზომს. **კიურინელები** იყენებენ რითმას, რომელიც მეზობელი თათრებისაგან ისესხეს. კიურინელებმა დაღესტნელ ტომთაგან ყველაზე მეტად განიცადეს თათართა გავლენა. პ. უსლარი ვრცლად მსჯელობს ლექსწყობის საკითხებზე. შემდეგ აღნიშნავს, რომ სიყვარულია აღმაფრენის წყარო. ზოგი ტექსტი შესანიშნავია თავისი გრაციოზულობით. მას სიმღერათა ორი ტექსტი მოაქვს:

1. გამოდი დედი, გარეთ სასწაულის სახილველად. მთის თოვლიდან მწვანე ბალახს გამოუყვია თავი. ადი, დედი, სახლის სახურავზე, სულ ზევით, ხეობის ყინულქვეშიდან ყვავილი მოიწევს. თოვლიდან მწვანე ბალახი მოიწევს, მოგეჩვენა შენ, ნორჩს. ყინულის ქვეშიდან გაზაფხულის ყვავილი არ ჩნდება; შეყვარებული ხარ და ყვავილი მოგეჩვენა.

2. მაღალ კლდეზე ოქროსფერი მტრედი ზის. რა მივცე იმისათვის, რომ ამაყმა მამაშენმა შენი თავი მომცეს? ცაში მერცხალი ფრენს. რა მივცე, რომ დავითანხმო შენი ამაყი ძმები? მამაჩემი კი გამომაყოლებს, მაგრამ რას მომცემ, რომ გამოგყვე? ძმები დაგთანხმდებიან, მაგრამ რას მისცემ, რომ გამოგყვე?

თურქეთის სულთანი რომ ვიყო, ტახტზე დაგსვამდი, თავად შენს წინ გავჩერდებოდი. ეს სამყარო რომ ჩემი იყოს, მთლად შენ მოგცემდი, მე კი მონა გავხდე-

ბოდი. სამოთხე და ჯოჯოხეთი რომ ჩემი იყოს, სამოთხეს შენ მოგცემდი, ჯოჯოხეთს ჩემთვის დავიტოვებდი. რომის ხელმწიფე არა ვარ, ეს სამყარო ჩემი არ არის, სამოთხე და ჯოჯოხეთი ჩემები არაა, რა უნდა მივცე შენს თავში?

პ. უსლარი ახასიათებს სატრფიალო სიმღერებს. მათში სიყვარული ზედმეტად მკაფიოდ გამოიხატება. მათი დაბეჭდვაც კი არ შეიძლება. ცინიზმი ჩანს არა გამოთქმებში, არამედ ეროტიკული სურათების გადმოცემაში. რაც უფრო მეტად შედიხარ დაღესტნის სიღრმეში, მით თავისუფალი ხდება ორი სქესის ურთიერთობა.

მოჰყავს ავარიული სიმღერის ტექსტი, რომელშიც ქალიშვილი ურცხვად გამოხატავსო გათხოვების სურვილს: ოხვრით ვწვები, ოხვრით ვდგები – დიდხანს ვიოხრო? დედა მეუბნება გაგიფრთხილდები, როგორც საგანძურს... შენს ვერცხლს გაუფრთხილდი, დედი, მე კი გამათხოვე, მე უკვე დიდი გავიზარდე. ძმები თათბირობენ, რომ სახლში გამანებივრებენ. თქვენი ცხენები ანებივრეთ, მე კი ძვირფასს მიმეცით. ამბობენ არის სასიყვარულო ბალახი, რატო მე ვერ ვპოულობ, ფესვებიც გახმობია. ამბობენ მოლა სასიყვარულო შელოცვებს წერსო, რატო ჩემთვის არ წერს, ცეცხლიც მოსდებია მის ფრთებს (საწერს).

აქვე მოჰყავს **ლაკური** ელეგიის ტექსტი: მკვახე ზღვის პირას დავდგებოდი, რომ მცოდნოდა ზღვაში ჩავარდნილი ალმასს დავინახავდი. მაღალ მთაზე განვმარტოვდებოდი, რომ მცოდნოდა ლურჯ ყინულზე ამოსულ ყვავილს იპოვიდა. შეიძლება ზღვაში ჩავარდნილ ალმასის დანახვაც, მაგრამ ჩემი დაკარგული სიცოცხლე არ დამიბრუნდება. რომ ვთქვათ, ყინულზე გაზრდილი ყვავილის პოვნაც შეიძლება, მაგრამ ჩემი გაფრენილი შევარდენი არ დაბრუნდება.

ახლა უმიწო მიწაზე დგომა მომიწია, ცისქვეშეთში ცის გარეშე. ჰოი, უმიწო მიწავ, ხეობაში გამდინარე შავო მდინარევ, ჩავეშვები მდინარეში, მივცურავ ზღვამდე. ჩავეშვები ზღვაში, გადამყლაპავს ვეშაპი.

სამგლოვიარო პოეზია კავკასიაში ერთნაირი ბუნებისაა. სიკვდილი ყოველთვის დადანაშაულებულია იმაში, რომ ყველაზე დიდებული და კეთილდღეობით გამორჩეული სიცოცხლე შეწყვიტა. მშვიდ გარემოში სიკვდილი არასოდეს აისახება. მოყვანილია **აკუშინური** ხმით ნატირალი დისა ძმაზე.

იგი ცხენს ხედნის ზღვის ქაფზე. ბატკანივით ცქმუტავს ცხენის ზურგზე. სადაც ჩემი კაპია. დაე ზღვის ქვიშით დაიფაროს შვიდივე ტარკამული სოფელი. იქ შვიდი კნიაზი ცხოვრობს, რომელთაც გასცეს. მას სამი ქურქი აქვს, ბუხარული, საკიდზე ჰკიდია და ჩრჩილი ჭამს. მოგიკვდეს შენი და! მას ხუთი ქუდი აქვს, ხუთივე კალმიკური ცხვრისა. იგი ცვეთს, ეფიცება სტუმრებს. ვაი, კაპი, ჩემო სულო კაპი. ახ, მოგიკვდეს და.

ტექსტს ახლავს პ. უსლარის კომენტარები. თავიდან ქებაა შესხმული მიცვალებულის მხედრული ოსტატობისათვის. სამი ქურქი – მინიშნებაა მის სიმდიდრეზე, ხუთი ქუდი – მისი სტუმართმოყვარეობაზე მითითება. შემდეგ განხილულია სამგლოვიარო პოეზიის ავარიული ნიმუში – დატირება შეყვარებულისა, რომელიც დაიღუპა მთას იქით. მთას იქითეთ კი, ჩვეულებრივ, ალაზნის ველი.

მთიელთა პოეზიის დიდი თემაა **ავარიელების** მარბიელობა კახეთში, ხოლო **ჩეჩნებისა** – თერგის ველზე.

CCKГ 1868 წლის პირველ გამოშვებაში გამოქვეყნებულია **კაზიკუმუხური (ლაკური)** ხალხური თქმულებები.

შესავალში დახასიათებულნი არიან შუა დაღესტნის მცხოვრები კაზიკუმუხები (კაზი კუმიკები), თავიანთ თავს **ლეკებს** რომ უწოდებენ. პ. უსლარის ნარკვევის მიხედვით მიმოხილულია მათი წარმომავლობა.

შემდეგ დაბეჭდილია **ზღაპრები და იგავები:**

უცხვირო მხედარი (გვ. 46-51).

ერთ შორეულ ქვეყანაში, უცნობ ქალაქში, უხსოვარ დროს ახალგაზრდა ქალვაჟი ცხოვრობდა. ვაჟს უყვარდა ქალიშვილი და არც ის იყო მისადმი გულგრილი. მან პირობა წაუყენა: – დაბლობ მხარეში ერთი უცხვირო მხედარი ცხოვრობს. წადი, გაიგე მისი ამბავი, დაბრუნდი და შენი ვიქნებიო.

ვაჟი გაემგზავრა, ბევრი იარა, გადაეყარა უცხვიროს, ბევრი რამ გადახდათ ერთობლივად, ნართის რემაც გაიტაცეს, ვაჟმა მდევარი ნართი მოკლა. კიდევ იმეგობრეს, ახლა შავი ცხენების რემა გაიტაცეს. მათი პატრონი ნართი დაედევნა, ისიც მოკლა ვაჟმა. შემდეგ თეთრი ცხენების რემა იგდეს ხელთ. ბოლოს კიდევ ერთი მდევარი ნართი მოკლა ვაჟმა. შემდეგ უამრავ ფათერაკს გადაეყარა, უცხვიროს მკვდარი ცოლიც გაუცოცხლა ვაჟმა. გაირეკა თავისი წილი ცხენები, დაბრუნდა. პატარძალი უკვე ვაჟის სახლში დახვდა. მან განაცხადა, რომ უცხვიროს ცოლი მისი და იყო, ისიც იცოდა, რომ მისი სატრფოს გარდა ვერავინ მოძებნიდა წამალს და ამიტომაც გააგზავნა უცხვიროსთან. შემდეგ დიდებული ქორწილი გადაიხადეს.

ზაზა – თეთრი ძროხა (გვ. 51-52).

იყო ერთი მამა და ერთი ქალიშვილი დარჩენოდა გარდაცვლილი მეუღლისაგან. გოგონა ხშირად დადიოდა მეზობელ ქალთან ხან რისთვის და ხან – რისთვის. მეზობელი ეუბნებოდა: უთხარი მამაშენს, მე შემირთოსო. გოგომაც დაუწო მამას: – ითხოვე მეზობელიო. მამა თავს იკავებდა, ბოლოს დანებდა. დედინაცვალმა შეიძულა გერი. მამამ მისი მოთხოვნით ტყეში დატოვა. იგი ზაზამ – თეთრმა ძროხამ შეიფარა, უამრავი სიმდიდრე მისცა და ხანის ვაჟს მიათხოვა.

ერთ ქვეყანაში იყო ერთი მეფე, არც მდიდარი, არც ღარიბი კარგი შესახედაობის ცოლი ჰყავდა. შვილი არ ეძლეოდათ. ბლომად სიმდიდრეს გასცემდნენ და არაფერი გამოსდიოდათ – მემკვიდრე არ ჰყავდათ. ბოლოს ჯადოსნური ვაშლით დედოფალი დაორსულდა. მან ორმოცი ვაჟი გააჩინა. მეფე შეშინდა. მან დედის რძით დააპურებინა ბიჭები, აბრეშუმის ნაჭრებში გაახვევინა და გორის წვერიდან გადააყრევინა.

მეზობელმა ხანმა დაიპყრო იმისი სამეფო. გაახსენდა ცოლ-ქმარს გადაყრილი ბავშები, წავიდა მამა საძებნელად, იპოვა, მოუბოდიშა. შვილები დიდებულად გაუმასპინძლდნენ, შემდეგ დაავალეს ორმოცი დის მოძებნა საცოლეებად. მამას გზად შეხვდა 40 ასულის მამა. ქორწინებაზე შეთანხმდნენ. მამამ 39 ვაჟი წაიყვანა დასაქორწინებლად, უმცროსი სანუნი კი დედასთან დატოვა. შვილები დააქორწინეს, უკან დაბრუნებისას გველეშაპმა ჩაიგდო ისინი ხელთ და სანუნი მოითხოვა. მან სანუნს– ზღვის გადაღმელი მეფის ასულის მიგვრა დაავალა. სანუნი გზას

გაუდგა, მეგობრები შეიძინა, ჩავიდა ზღვის გადაღმა სამეფოში. მეფემ მას ქალიშვილის ხელის სანაცვლოდ სამი დავალება მისცა. სანუნმა ყველა შეასრულა. წაიყვანა ქალი. გველეშაპს სძლია, თავისი ქონება მეგობრებს გაუნაწილა, მეფის ასულზე იქორწინა და ბედნიერად ცხოვრობდა.

კაცი და გველი (გვ 59-61).

ერთხელ სტეპში ერთი კაცი მწყემსებს გადააწყდა, ცეცხლს უსხდნენ. იქვე ორმოში გველი დაინახა და გადაარჩინა, რომელიც კისერზე შემოეხვია თავის გადამრჩენელს. – სიკეთეს ბოროტებით უნდა გადახდაო, – უთხრა გველმა, – თუ არა გჯერა, აგერ ხარს ჰკითხეო. ხარმა ადამიანის უმადურობა მოიყვანა მაგალითად. ახლა ცხენს ჰკითხეს, იგივე თქვა პასუხად. გველმა დააფიცა: – გაგიშვებ, თუ პირობას მომცემ, რომ გველებს არასდროს დახოცავო. კაცმა პირობა მისცა. გველმა კაცს ქვის ქვემოდან ოქროს ფული გამოუტანა და უთხრა: – ყოველდღე მოდი, დამიძახე და თითო ოქროს მონეტას მოგცემო. ყოველდღე დადიოდა კაცი და გველი თითო ოქროს აძლევდა. შვილი არ მოეშვა და გველთან მიაყვანინა თავი. ჩემ მაგივრად შვილი ივლისო. შვილი დადიოდა მამის მაგივრად. ერთხელ შვილმა გველს მოკვლა დაუპირა, ჯოხი დაჰკრა და კუდი მოაწყვიტა. გველმა კი ის მოკლა. დამწუხრდა მამა. გველს მეგობრობის გაგრძელება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. დაბრუნდა მამა გაწბილებული, ვინც მეტს დაეხარბება, მცირესაც დაკარგავსო – ფიქრობდა.

სულელი ქმარი (გვ. 61-62).

ცხოვრობდა ერთი ცოლ-ქმარი. მთელს მათ ქონებას ერთი ხარი შეადგენდა. ქმარს გაყიდვა უნდოდა, ცოლი უშლიდა. ერთხელ ხარი წყალთან მიიყვანა დასალევად. წყალში ბაყაყი ყიყინებდა. ქვა ესროლა. წყალში ვერცხლით სავსე დოქი ნახა 16 ვერცხლი აიღო, ხარი ბაყაყს დაუტოვა და სახლში დაბრუნდა. ცოლს უამბო რაც მოხდა. ცოლ-ქმარი ღამე მივიდა ტბასთან, ნახეს ვერცხლით სავსე თასი. ცოლმა ამოიღო, ჩუმად დამალა. ფულის ამბავმა ხანის ყურამდეც მიაღწია. წართმევა მოუნდომა. ცოლმა ხანის ნუქერები მოატყუა: – ჩემი ქმარი სულელია, ფული არ გვაბადიაო.

ვირი და ხარი (გვ. 62-62).

ვირი და ხარი კლდის ვიწრო ბილიკზე მიდიოდნენ – წინ ხარი, უკან – ვირი. ყველაზე ცუდ ადგილს რომ მიატანეს, ვირმა ხარს შესთავაზა: – წინ მე ვივლიო. ხარმა იუარა: – მე შენზე ყველაფრით უკეთესი ვარ, პატრონისათვის მეტი სიკეთე მომაქვს. შენ კი მონა ხარ და ჩემი საკვების მზიდავიო. ვირმა მიუგო: არ გეტოლები, შენ რომ გადაიჩეხო, შენს ხორცსაც მე ამკიდებენ. მე თუ გადავიჩეხები, შენ არაფერ შუაში არ იქნებიო. ხარი დაეთანხმა. ორივემ მშვიდობიანად განაგრძო გზა.

ლომი და ტახი (62-63).

შეხვდნენ ლომი და ტახ ერთმანეთს. ტახმა უთხრა: – ამაყობ, შენზე ძლიერი არავინ გგონია. შევეჯიდოთ და გიჩვენებ სეირსო. ლომმა მიუგო: უგუნურო, რომ შეგეჯიდო და მაჯობო, შევრცხვები. ხოლო თუ გძლევ, სუფთა ბრჭყალებს შენს ბინძურ სისხლში ამოვისვრი. ესეც არ იყოს, ამას რომ სხვები გაიგებენ, დამძრახა-

ვენ. გამეცალე, ისიც მეყოფა, სიტყვიერადაც რომ დაგითმეო, – და ლომი თავის გზას გაუდგა.

ძუ ტურა (გვ. 63-63).

მელაკუდა და დედალი ტურა დამეგობრდნენ. გაუდგნენ გზას, როცა მოშივდათ, ერთი მკვდარი ქათამი ნახეს. მელაკუდამ ტურას მოტყუება მოინდომა. მოდი, ქათამი ჩვენში უფროსს ერგოსო. უფროსი მე ვარო: ნოეს ლაშქრობებში ვახლდი, 15 წლისა ვიყავიო. მაშინ ტურამ: – იმ ლაშქრობაში შვილი მომიკლესო. – შენ გამოდიხარო უფროსიო, – უთხრა მელაკუდამ. ტურამ ქათამი შეჭამა. გაუდგნენ გზას. ახლა ცხვრის თავი იპოვნეს. – ვისაც კარგი სიზმარი ესიზმრება, თავი იმისი იყოსო. ტურამ აქაც იმარჯვა, შენ რომ სიზმარში სამეფო ქორწილში მოხვედი, ვიფიქრე გვარიანად გაძღებაო, – და ცხვრის თავი შეჭამა. მელაკუდას აღარაფერი დარჩენოდა, გაეცალა ტურას და თავის გზით წავიდა.

მელია და გველი (გვ. 64-64).

ერთხელ მელია და გველი დამეგობრდნენ. მიადგნენ მდინარეს. გველმა: – ცურვა არ ვიცი და გადამიყვანეო. მელია დაეთანხმა, გველი ყელზე შემოეხვია. გველმა მოუჭირა: – უნდა დაგახრჩოო. მელამ ეშმაკობა იხმარა: – მეგობრები ვშორდებით სამუდამოდ და შენი თავი დამანახე, რომ დაგიხსომოო. გველი ჩაეხსნა, მელამ თავი წააწყვიტა, ტანი კეტსავით დაჰკიდა და თქვა: – ერთგული მეგობარი ასეთი სწორი უნდა იყოსო.

ვირი და ჭიანჭველა (გვ. 64).

ერთხელ ჭიანჭველა ზურგზე მარილწამოკიდებული ბრუნდებოდა მთაში. შეხვდა ვირი, ამბავი ჰკითხა: – იქ ვაკეში ბალახი თუ არისო? მუხლებამდე ბალახიაო – მიუგო ჭიანჭველამ. გაიქცა ვირი ვაკეში, მაგრამ ვერაფერი ნახა და სული გასძვრა.

მგელი და მელა (გვ. 64-64).

მელა აულში ქათმებს იპარავდა და ჭამდა. გაუგეს, დაიჭირეს, მიბეგვეს. სახედასიებულს შეხვდა მგელი. – რა მოგსვლიაო? – ქორწილში ვიყავი და იმდენი ვჭამე, ფეხებს ძლივს მივათრევო. – მეც წავალო – მგელმა. წავიდა, მიბეგვეს. გაიქცა მგელი და იმაზე ფიქრობდა, როგორ გადაეხადა მელასათვის სამაგიერო. სდია მელას და დაინახა, მელას გრდემლი ეჭირა ხელში. – მე მჭედელი ვარო. შენ კი სხვა მელამ მოგატყუაო. მგელი შეგირდად დაუდგა. მელამ სამჭედლოში ჩაკეტა, „მჭედელმა“ კი გვერდები გაუერთიანა. მგელი გაეკიდა მელას, წისქვილში შეჰყვა. – მშია, დამაპურეო. დაჯექი, წყალს მოვიტან, სალაფავს მოგიმზადებო. წისქვილის წყალი მიუშვა და დოლაბმა მგელს თავი დაუჩეჩქა. მელამ წამოიტირა და თავისი გზით წავიდა.

მელა და მგელი

ერთხელ ლომი ავად გახდა. ყველამ ინახულა მეზობელი მელას გარდა. მსახურმა მგელმა ლომს უთხრა: – ყველამ გინახულა. ეს უვარგისი მელა კი ჯერაც არ ჩანსო. ლომი გაბრაზდა, მელას დასჯა გადაწყვიტა. გაიგო ეს მელამ, მივიდა

ლომთან. აყვირებულ ლომს მოახსენა: – შენთვის წამალს ვეძებდი, ვიპოვნე და მოგიტანეო. – რა წამალიო? – ჰკითხა ლომმა. ყველაზე უტყუარი წამალი მგლის ფეხიაო. ლომმა იმწამსვე მოაღრღნა მგელს ფეხი. ერთხელ მელამ დაინახა ფეხებდასისხლიანებული მგელი და უთხრა: – ვინც იმას ამბობს, რაც არ უნდა თქვას, იგი ჩვეულებრივ, ასეთ წითელ ტოლაღებს იცვამსო.

კატა და თაგვი (გვ. 66-66).

ერთხელ კატა თაგვს გაეკიდა, ვერ დაიჭირა, მოტყუება სცადა: – გამოდი სოროდან, ისეთი სწრაფი ხარ. აი, იმ სოროსთან მიირბინე და ერთ მუჭა ხორბალს მოგცემო. არა, კატავ! – სამუშაო ძალიან ცოტაა, გასამრჯელო - ბევრი. ეს რაიმე ჩანაფიქრის გარეშე ვერ იქნება.

ტყის ქათამი და მელა (გვ. 66-67).

ერთხელ კაჭკაჭმა მაღალ ხეზე ბუდე გაიკეთა, ბარტყები გამოჩეკა. მელამ გაიგო, მივიდა ხესთან, იყვირა: – ეს ხეც ჩემია და ყველაფერი, რაც აქ არის. ვინაა ხეზეო? – მე ვარო, – მიუგო კაჭკაჭმა. – ერთ ბარტყს გადმომიგდებ, თუ ხე მოვჭრაო. გადაუგდო ერთი ბარტყი. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. ტყის ქათამი მიფრინავდა, შეიტყო და უთხრა კაჭკაჭს: – მელა რო მოვა და ბარტყს მოგთხოვს, არ მისცე, მოჭერი-თქო ხე. მესამე დღეს მივიდა მელა, მოსთხოვა ბარტყი, არ მისცა კაჭკაჭმა: – მოჭერი ხეო. ჭკუა ვინ დაგარიგაო? – ჰკითხა მელამ. – აი, იმ ტყის ქათამმაო, – უპასუხა კაჭკაჭმა. მელა მივიდა ქათამთან, უთხრა: – კარგი მგალობელი ხარ, მაგრამ თვალდახუჭულს თუ შეგიძლიაო სიმღერა. მიეპარა და დაიჭირა, უთხრა: – სხვას თუ ასწავლი ჭკუას, თავად დარჩები მოტყუებულიო. ქათამმა უთხრა: – ნუთუ ალაჰს მადლობას არ ეტყვი, ასეთი ლამაზი რომ ჩამაგდო შენს ხელშიო. მელამ პირი დააღო, მადლობა უნდა ეთქვა, ქათამი აფრთხიალდა, გაფრინდა და ამღერდა: – ღმერთმა დასწყევლოს ვინც თვალდახუჭული დაიწყებს სიმღერასო. მელამ აუბა მხარი: – ღმერთმა დაწყევლოს ის, ვინც ალაჰს მადლობას ეტყვის მანამ, ვიდრე არ გაძღებაო.

ჩხიკვი (გვ. 67-67).

ერთხელ ჩხიკვმა დამოძღვრა შვილები: – თუ დაინახეთ, რომ ადამიანი მიწისკენ დაიხარა, რაღაცას ეძებს თქვენთვის დასარტყმელად, იმ წამსვე უნდა გაიქცეთო. ერთმა ბარტყმა ჰკითხა: – ადამიანს როგორც კი დავინახავთ, მაშინვე რომ გავიქცეთო? – უფრო უკეთესი, ჩემო ჭკვიანოო, – უთხრა დედამ, მოსაფერებლად ისე ჩასცხო თავში ნისკარტი, რომ სული გააფრთხობინა.

*** (უსათაურო, გვ. 67).

ერთხელ კაკლის ჩენჩო, ბუერას გუნდა და ბუზი დაძმობილდნენ. წყაროს მიადგნენ. გადასვლა სცადეს. კაკლის ჩენჩო წყალმა წაიღო. გუნდა დაიშალა. ბუზი გადააფრინდა წყალს, მეორე ნაპირას დაჯდა და იმდენი იცინა, რომ მუცელი გაუსკდა და მოკვდა.

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ანეკდოტები (სულ 11 ტექსტი) და ანდაზები (33 ტექსტი). შენიშვნაში მითითებულია, რომ ანდაზათა ტექსტები პ. უსლარის გამოკვლევის დამატებას წარმოადგენს.

ანეკდოტები (გვ. 68-71).

1. ერთხელ მოლა ნასრედინმა მეზობელს დიდი ქვაბი სთხოვა. მეზობელმა ათხოვა. ერთი კვირის შემდეგ მოლამ დაუბრუნა, თან პატარა ქვაბიც მიაყოლა – შენმა ქვაბმა დაბადაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ სთხოვა მეზობელს ქვაბი. მეზობელმა სიამოვნებით მისცა. გავიდა კარგა ხანი, მოლამ ქვაბი აღარ დააბრუნა. მეზობელს უთხრა: – შენი ქვაბი მოკვდაო. მეზობელმა იკივლა: – განა ქვაბი კვდებაო?! მოლამ მიუგო: – დიახო და სწორედ მშობიაროზას გადაჰყვაო. პატრონს ხალხში თავის მოჭრისა შერცხვა და აღარაფერი უთქვამს.

2. ერთ ცუდახარელს ვირი დაუხეიბრდა – გაქვავდა. პატრონი ატირდა. გამვლელმა უთხრა: – ნუ ტირი, ალაჰი უკეთეს ვირს მოგცემსო. არა, ძმაო, შენზე უკეთ ვიცნობ ჩემს ალაჰს. 12 მანეთზე ნაკლებ არ მომცემს კარგ ვირსო.

3. მთიელმა მოხუც მეზობელს სთხოვა: – ვირი მათხოვეო. – ვირი სახლში არ არისო, – მიუგო მოხუცმა. ამ დროს გომურიდან ვირის ხმა მოისმა. აგე, გომში არ არისო?! – უთხრა მეზობელმა. – რა სულელი ხარ, უვიცი – უყვირა მოხუცმა, – ვირისა გჯერა და ჩემი არაო.

4. ერთმა კიურიელმა, რომელიც კაზიკუმუხში სწავლობდა, ერთ ადგილობრივს უთხრა, რა რთულია თქვენი ენა, მგონი ვერასოდეს ვისწავლიო. – არაა მართალი, ჩვენში ეს ენა პატარა ბავშვებმაც კი იციანო.

5. რომელიღაც ცუდახარელმა მოლასაგან მოისმინა, რომ ყველამ მხოლოდ მაშინ უნდა იმარხულოს, როცა მთვარეს დაინახავსო. მან გადაწყვიტა არ შეეხედა მთვარისათვის, ვიდრე რამაზანი არ გავიდოდა. ერთხელ წყაროსთან გაიარა წყლის დასალევად, მთვარის ანარეკლი დაინახა და თქვა: თვალებში ნუ მეჩხირები, ახლავე შევუდგები მარხვაშიო.

6. ერთხელ ერთი მთიელი ზაქათალას წავიდა. მეგობართან შეიარა, დაინახა მასპინძელმა ფლავი და შემწვარი ბატი დამალა და ცარიელა პურითა და ყველით უმასპინძლა. როცა დაიძინეს, სტუმარმა ფლავი და ბატი თავის გუდაში დამალა. დილით, მეგობრები საუზმობენ. უთხრა: – გახსოვს, ბატი მეფე თავისი ჯარით ქვაბიდან გუდაში გადავიდაო. – არაო, მიუგო მასპინძელმა. – მე კი მახსოვსო – უთხრა სტუმარმა და გაუდგა გზას.

7. ორი კაცი ცეცხლის პირას იჯდა, ლაპარაკობდა. ერთმა თქვა: – მამაჩემს ისეთი სტაფილო ჰქონდა, პურს ფენდნენ, ლეწავდნენ და მერე ამოჰქონდათ მიწიდან. მამაჩემს ქვაბი ჰქონდა, ორმოც ოსტატს გააკეთებინა, მთელი წელი ორმოცივე ქვაბში იჯდა და აკეთებდნენო, – უთხრა მეორემ. – ასეთი ქვაბი რად უნდოდაო? – ჰკითხა პირველმა. – ალბათ, მამაშენის სტაფილოს მოსახარშადო, – მიუგო მეორემ.

8. ერთხელ მოლა ნასრედინმა ხანს შემწვარი ბატი წაუღო ძღვნად. გზაში ერთი ფეხი მოაჭამა. ხანს კი უპასუხა: – ჩვენში ცალფეხა ბატებია, თუ არ გჯერა, შეხედეო, – და მიახედა წყლიდან ამოსული ბატებისკენ, რომლებიც ცალ ფეხებზე იდგნენ. ხანმა ჯოხი ესროლა, ბატები ორ ფეხზე გაიქცნენ. აი, იმათ ორ-ორი ფეხი აქვთო – უთხრა ხანმა. – ასეთი ჯოხი მე რომ მესროლონ, ოთხი ფეხი გამიჩნდებაო. ხანმა ძვირფასი ხალათი აჩუქა და სახლში გაუშვა.

9. ერთხელ მოლა ნასრედინი ღელის პირას მოხვდა, უკან დაიხია, გაექანა, გადახტა და შუა წყალში ჩავარდა. – ეხ, წავიდა ჩემი ახალგაზრდობაო. შემდეგ აქ-

ეთ-იქით მიმოიხედა, ვერავინ დაინახა და თქვა: სიმართლე ვთქვათ, არც მაშინ ვიყავი სხვაგვარიო.

10. ერთი ხუტელი (სოფელია) უსინათლო ღამით წყაროდან ბრუნდებოდა, ხელში კოკა და სანთელი ეჭირა. ვიღაცა შეხვდა და უთხრა: – შენთვის დღე და ღამე ერთია და სანთელი რად გინდაო? – ჩემთვის კი არ მიკავია, ვინმე უგუნური არ შემომხვდეს და კოკა არ გამიტეხოსო.

11. ერთი ღარიბის ქოხში ქურდი შეიპარა. კედელში ჩარჭობილ ჩხირზე თვალი გამოითხარა. მეორე დღეს ხანს შესჩივლა. ხანმა დაიბარა ღარიბი და ჰკითხა. ტანსაცმლის დასაკიდადო – უპასუხა ღარიბმა. ხანმა უთხრა: – კანონი ითვალისწინებს თვალს თვალის წილო. ქურდი თვალით უნდა დავაკმაყოფილოთო. ღარიბმა უთხრა: – მე მკერავი ვარ, ორნივ თვალი მჭირდება. ჩემი მეზობელი მსროლელია, ერთი თვალიც ყოფნის, მას ამოსთხარე ერთი თვალიო. ხანი დათანხმდა. ოსტატმა მსროლელმა ორივე თვალი მჭირდებაო. ისრის ორივ მხარეს უნდა ვუმზირო. მე მუსიკოსი მეზობელი მყავს, ზურნავს რომ უკრავს ორთავ თვალს ხუჭავს, მას არც ერთი არ სჭირდება, მას დასთხარეო. ხანმა დაიბარა მუსიკოსი, ერთი თვალი დასთხარა მეორე მოწყალების ნიშნად დაუტოვა.

მითითებული არ არის ფოლკლორული ტექსტებს საპასპორტო მონაცემები.

СМОМПК-вып. 13, 1892

პირველ განყოფილებაში აღწერილია სოფელი ტატევი (ელისავეტპოლის გუბერნიის, ზანგეზურის უეზდია). ყოველმხრივ აღწერა-დახასიათებასთან ერთად წარმოდგენილი ხალხური რწმენა-წარმოდგენები და ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, სახალხო თამაშობები, სახალხო მომღერლების ტრადიციები.

ხალხური პოეზიისა და სიბრძნის ნიმუშები (გვ. 111-120)

1. **ცრურწმენები** (გვ. 111-120) სულ 71 დასახელება. **ზღაპრები** (გვ. 120-123). **ნებიერა დედოფალი** (გვ. 120-121).

ერთ სამეფოში ერთი მეფე-დედოფალი ცხოვრობდა. მეფე თავშეკავებულ უბრალო ცხოვრებას ეწეოდა, დედოფალi ხელგაშლი, განებივრებული იყო. ასეთი ხასიათის გამო მეფე სულ სახლის გარეთ ყოფნას ცდილობდა. ერთხელაც ციგნებს გადაეყარა. დაინახა ორსული ციგნის ქალი ბუჩქებში შევარდა, იმშობიარა, ძონძებში შეახვია ჩვილი და თავისიანებს დაეწია. გაახსენდა დედოფალი მოახლეებითა და ბებიაქალებით გარშემოტყმული და განებივრებული.

გავიდა დრო და მეფე კვლავ გაემგზავრა. დედოფალმა მეფის არყოფნაში ყვავილები არ მოარწყვევინა მებაღეს და გადახმა. მეფის შეკითხვაზე დედოფალმა უპასუხა: – რად უნდა მორწყვა, ველურადაც კარგად ხარობენი. მეფე მიხვდა, სხვა გზა არ ჰქონდა და დედოფალთან მშვიდობიანად ცხოვრობდა.

2. თათრული ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელზე (გვ. 121-123).

მეფე ალექსანდრეს თავზე რქა ჰქონდა და ხალხისათის რომ დაემალა, ყოველ დალაქს კლავდა, ვისაც თავს მოაპარსვინებდა. ერთმა დალაქმა სთხოვა დანდობა, საიდუმლოს შენახვას დაპირდა, მაგრამ ვერ მოითმინა, ჭას ჩასძახა: – მეფეს თავზე რქა აქვსო. იქ ჩალა ამოვიდა, მწყემსმა იმისგან სალამური გამოთალა. ის ამღერდა - მეფეს რქა აქვსო თავზე. მეფემ თავი წააცალა დალაქს.

აქვე დაბეჭდილი 20 გამოცანა და 30 ანდაზა, რომლებიც შეკრიბა ნ. გრიგოროვმა (გვ. 123-125).

СМОМПК-вып. 13, II отд., 1892 г.

აქ დაბეჭდილია ქართული მასალები:

ვ. ლომინაძის ნარკვევი, ახალი წლის შეხვედრა იმერეთში (3-8 გვ.)

მგზავრობა რაჭაში (ავტორი შ. ლომინაძე), (გვ. 9-23).

აქვეა მის მიერ შეკრებილი რაჭული ზრაპრები:

მოხუცი მათხოვარი და სამი ძმა (გვ. 24-27);

მეფე და ეშმაკები (გვ. 27-28);

ნაცარქექია (გვ. 28-31);

აფხაზური ხალხური გადმოცემები და რწმენა-წარმოდგენები (ოჩამჩირის სასწავლებლის მასწავლებლის ვ. გორცკის პუბლიკაცია, გვ. 32-43):

ტბა პაპანწყური (გვ. 32-34);

აბრსკილი (გვ. 34-38);

აჩნი-ტიზგო (გვ. 38-43).

გადმოცემა თამარ მეფეზე (ჩაწერილი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილის დ. ხახანოვის მიერ, გვ. 44-45);

ღარიბი (ჩაწერილი გრ. აფშინაშვილის მიერ, გვ. 45-46);

ჭაბუკისა და ქალწულის ზღაპარი (ჩაწერილი დ. დუმბაძის მიერ, გვ. 46-57);

გიორგი უფლისწულის თავგადასავალკი (ა. მიქელაძის ჩაწერილი, გვ. 57-70);

გურული ლეგენდები ფ. მგელაძის ჩანაწერები (გვ. 71-74):

პალიასტომისა (გვ. 71-72);

რწმენები სახადებზე (გვ. 72-74);

სომხური ზღაპრები, გადმოცემები და ლეგენდები (გვ. 75-140). **თქმულება დევ-არხზე** (გვ. 75-78).

ჯევანშირის უეზდის სოფელ მადაგისთან მდინარე ტერტერი გაივაკებს. ამ ადგილას ბევრი არხია. ერთი ყურადღებას იქცევს სიდიდით და სიფართოვით. ამ არხის წარმოშობის თაობაზე შემდეგი თქმულება არსებობს: ჯევანშერის უეზდში, ყარაბახში, ბატონობდა ერთი ხანი. ულამაზესი ასული ჰყავდა. ის ორ ჭაბუკს შეუყვარდა. ერთი მდიდარი იყო, მეორე – მამაცი. მისი ყველას ეშინოდა დიდი ძალის გამო. დევი შეარქვეს. ხანის ასულმა განაცხადა: იმას გავყვები, ვინც არხს გაჭრის და მასზე მდინარე ტერტერას წყალს გაუშვებსო. ორივე ჭაბუკი გამალებით შეუდგა მუშაობას. დევს ქვიანი მხარე ერგო. მდიდარმა მუშები დაიქირავა. დევი მთელი წელი შრომობდა მუხლჩაუხრელად. ქალს დევი შეუყვარდა. დევი ჯობნიდა მდიდარს, მალე უნდა დაემთავრებინა, მაგრამ მდიდარს ერთი დედაბერი დაეხმარა. დევს თავი დამარცხებული ეგონა და თავი მოიკლა. ხანის ქალიშვილმა გაიგო ყველაფერი, ინაღვლა, დაავადდა, მოკვდა და დევის გვერდით დაკრძალეს არხის პირას. მდიდარი საფლავშიაც არ ასვენებდა. მათ შორის იმ დედაბრის გვამი ჩაფლა. დევისა და მისი სატრფოს საფლავზე ვარდის ბუჩქე-

ბი ამოვიდა, მაგრამ ეკალბარდი არ აძლევს მიახლოვების საშუალებას. საფლავების ადგილზე ქვის ხიდი ააგეს მდიდრის სურვილით, დედაბრის სახელზე, **გარი-კორფი** (დედაბრის ხიდი დაარქვეს).

ჩამწერი ა. მირზოევი, მთქმელი გ. მირზოევი, ჩაწერილია სოფ. ენგიჯეში (ჯევანშირის უეზდი).

2. მწყემსი მეფე (გვ. 78-82).

ორი თანასოფლელი ერთ ქალაქში ვაჭრობდა. ერთი რამდენიმე წლის შემდეგ სახლში დაბრუნდა. დარჩენილმა ცოლთან სამი ძვირფასი ქვა გაატანა. ქვები ცოლს არ მისცა. ორი წლის მერე მეორეც დაბრუნდა. ცოლმა უსაყვედურა უწუგეშოდ დატოვება. მეორე დღეს ჰკითხა ამხანაგს, მან უპასუხა, რომ შენს ცოლს სამი კაცის თანდასწრებით გადავეციო. ეს მეფეს მოახსენეს. ცრუ მოწმეების წყალობით მტყუანმა გაიმარჯვა. გზაში მწყემსები მეფობასთან თამაშობდნენ. მოდავეებმა მათ სთხოვეს განსჯა. „მეფე“ მწყემსმა მოისმინა საჩივარი, მოწმეები ცალცალკე დაკითხა და თითოეულს უთხრა: – ისეთი უბრალო ქვები მომიტანეთ, როგორებიც მისცა მომჩივანის ცოლს თქვენმა ამხანაგმაო. მოწმეებმა სხვადასხვა ზომის ქვები მიუტანეს. მეორედაც მიატანინა და მწყემსი მეფე დარწმუნდა, რომ მოწმეებს თვალითაც არ ენახათ ძვირფასი ქვები. მწყემსმა მეფემ ნამდვილ მეფესთან მეორედ გააგზავნა საქმის გასარჩევად. მეფე მწყემსმა ამხილა ცრუ მოწმეები, ხელმწიფემ კი ციხეში ჩაყარა ისინი, მომჩივარს სამის ნაცვლად ექვსი ქვა მისცა, მწყემს მეფეს კი თავისი ტახტი შესთავაზა. ჯერ უარი თქვა, მერე დათანხმდა და ბრძნულად განაგებდა ქვეყანას.

3. უმადურობა (გვ. 82-85).

ერთი ბაღდადელი მდიდარი ვაჭარი ერთხელ სანადიროდ წავიდა, მაგრამ ორმოში ჩავარდა. გლეხი გადააწყდა. ჩაუშვა ორმოში ჯოხი, მაგრამ მაიმუნი ამოხტა და გაიქცა. წასვლა დააპირა, მაგრამ კვლავ მოესმა კაცის ხმა, მდიდარი იბრაგიმი ვარო. მეორედ ჩაუშვა ჯოხი, ახლა ვეფხვი ამოხტა. კვლავ ჩაუშვა ჯოხი და სისინა გველი ააცოცდა. მეოთხედ ჩაუშვა და ამოიყვანა ვაჭარი. ვაჭარმა მეორე დღისათვის დაიბარა გლეხი ოქრო-ვერცხლს და კარგ ცხენს გაჩუქებო. ქორწილისთვის საკმაო ფული მომეციო, უთხრა გლეხმა. მეორე დღეს მსახურებმა გააპანღურეს გლეხი. სახლში რომ დაბრუნდა, მაიმუნი, ვეფხვი და გველი დახვდნენ. მაიმუნმა შეშა მიუტანა; ვეფხვმა-შვლები, ტახები და ჯეირნები, გველმა ძვირფასი ქვები. გლეხმა ძვირფასი ქვების გაყიდვა მოინდომა. ქურდობა დასწამეს. სასამართლოში იბრაგიმი მოწმედაც არ დაუდგა. სასამართლოში მივიდნენ: მაიმუნი, ვეფხვი და გველი. გლეხმა იყვირა: – აი, ჩამი მოწმეებიო. მოსამართლემ იბრაგიმს ქონება ჩამოართვა, გლეხს არგუნა, ვაჭარი კი ციხეში ჩასვა.

4. ბიურაპატიკი ანუ ერთი ათასად (გვ. 85-89).

ერთ სოფელში მორწმუნე კაცი ცხოვრობდა. მღვდელს ერთ კაპიკს აძლევდა და ამბობდა: ბიურაპალატიკმა ერთი ათასად მოგცესო. გაღარიბდა, ცოლის რჩევით მღვდელს პურის ფული სთხოვა - 1 კაპიკი. მღვდელმა ბიურაპატიკთან გააგზავნა, გზაც მიასწავლა. გზაში გამოქვაბულში ქურდებს გადაეყარა, კარგად შეხ-

ვდნენ. ღარიბმა უამბო თავისი ამბავი. ქურდებმა ფული შესთავაზეს, არ აიღო - უპატიოსნო გზით არისო ნაშბნი. ქურდებმა: - ერთი თუ ნახავ იმ შენს ბიურაპატიკს, ჰკითხე ჩვენ რა მოგველის იმ ქვეყნადო? ღარიბი დაეთანხმა. ერთ მოხუცს გადააწყდა, ქვაზე იჯდა, ღმერთს დიდებაო - ამბობდა და ყოველ თქმაზე ქვა ოქრო-ვერცხლს ჰყრიდა. იმანაც შესთავაზა ოქრო-ვერცხლი. არ აიღო. ბიურაპატიკს ჰკითხა: – როდის ამომეწურებაო ოქრო-ვერცხლიო? მებაღე შეხვდა და სთხოვა: – შენს ბირაპატიკს ჰკითხე ბაღს ღობეს რომ შემოვავლებ, ხეები რატომ ხმება და ღობეს რომ ავშლი, რატომ ცოცხლდებიანო? ქვებში მოყოლილმა მღვდელმაც სთხოვა თავისი ამბის გაგება. ბოლოს მივიდა ბიურაპატიკთან - ოქროს ტახტზე მჯდომ ვეებერთელა ადამიანთან. მოისმინა ღარიბის ამბავი, სახლში გაგზავნა, თუთის ხის ძირში ოქროთი სავსე ქილაა, ამოთხარე და აიღე ერთის სანაცვლოდ ათასიო. ყველა კითხვაზე გასცა პასუხი. უკანა გზაზე ყველას თავისი შეატყობინა. დაბრუნდა სახლში, ამოთხარა ქილა და ისევ გამდიდრდა.

5. ქეშიშ-ოღლი (მღვდლის შვილი, გვ. 89-91).

ოდესღაც სოფელ შულავერში ცხოვრობდა აშიკი - კეშიშ-ოღლი. ბიბლია იცოდა ზეპირად. 20 წლისა აშუღი გახდა, მის მოსასმენად ხალხი სხვა და სხვა მხრიდან იყრიდა თავს. იმ დროს ნახჭევანშიც ცხოვრობდა აშუღი ტანჯი. ყოველთვის იმარჯვებდა აშუღების შეჯიბრში. ხმა გავარდა - ვინც აჯობებდა, მის წონა ოქრო-ვერცხლს მისცემდნენ; თუ წააგებდა, თავს მოსჭრიდნენ. ქეშიშ-ოღლი ორჯერ მოხვდა ნახჭევანში. ძალით შეაჯიბრეს ტანჯს. საჩუქრები მიუტანა ტანჯის, მან არ მიიღო და ორმოცამდე სურდა გაეზარდა წაგებულების რაოდენობა, რომლებიც ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული და თავები უნდა წაეცალა. მეორე დღეს ქეშიშ-ოღლიმ აჯობა ტანჯის. ტანჯიმ ვერ გადაუხადა მისი წონა ოქრო-ვერცხლი, რადგან ძალიან მძიმე იყო ქეშიშ-ოღლი. უჩივლა ხანთან და დასაჯეს ტანჯი. მასთან არზრუმიდან ჩავიდა აშუღი ალახვერდი. დამეგობრდნენ, პირობა დადეს თათრულად აღარ ემღერათ. ერთი შეჯიბრის დროს ალახვერდიმ ფიცი დაივიწყა, რადგან გაუჭირდა, თათრულად ამღერდა და სომხურს დაუწყო ძაგება. ქეშიშ-ოღლიმ დასწყევლა. ალახვერდი გზაში ცხენიდან ჩამოვარდა და მოკვდა.

6. იმაზე, თუ როგორ ჩასახლდა სატანა ადამიანში (გვ. 91-92). პუბლიკაციის ავტორი: კასაპეტის სასწავლებლის მასწავლებელი გრ. ოსიპოვი

დავითმა წისქვილი რომ ააგო, თავიდან ვერ ფქვავდა. იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეუმჯობესებინა. გაიგო სატანამ, უთხრა მე გაგიკეთებ, სამჯერ მეტს დაფქვავსო. მესამედს მოგცემო მინდს - უთხრა დავითმა. სატანამ გამართა წისქვილი. ფქვილი გაინაწილეს. დავითმა სატანა სახლში გააგზავნა, თვითონ ფქვილები აურია - თავისი სატანას ტომარაში ჩაყარა, სატანისა - თავისში. მივიდა სატანას ვაჟი ფქვილის წასაღებად, შენიშნა, რომ ვიღაცას მათი ფქვილი მოეპარა, ატირდა, დავითს ბავში შემოაკვდა. მას ორი მგზავრი ესტუმრა. პური და ხორცი შესთავაზა, პირი არ დააკარეს, ჯერ შენ ჭამეო. დავითი იძულებით დათანხმდა. სადილის დროს მივიდა სატანაც. შვილი მოიკითხა, დავითმა უპასუხა, აქ არ მოსულაო, შეკამათდნენ და უცებ მოესმათ - აქა ვარ, დავითმა მოკლაო.

7. ადამის ყვავილი (გვ. 93-99). პუბლიკაცია ოლთინის სკოლის ზედამხედველ ი. ნოვრუზოვისა

სომხეთში, დედაქალაქში ცხოვრობდა ერთი ვაჭარი, სამი ქალიშვილი ჰყავდა. ერთხელ სავაჭროდ გაემართა. შვილებს საჩუქრებს დაჰპირდა. უმცროსმა - ცაგიკმა (ყვავილი) ადამის ყვავილი ისურვა. საბერძნეთში ეს ყვავილი ვაჭარს ურჩხულმა შესთავაზა იმ პირობით, თუ სამი წლის შემდეგ უმცროსს ასულს მას მისცემდა. ადამის ყვავილს ორი ღერო ჰქონდა, ერთი - აყვავილებული, მეორე - დამჭკნარი. ფოთოლზე კუბოში მწოლიარე ჭაბუკი იყო გამოსახული.

დანიშნულ დროს ურჩხულმა გაიტაცა ცაგიკი, მაგრამ მას გაექცა, მოხვდა ერთ სამეფოში. იქ ნახა კუბოში მწოლიარე მოჯადოებული ჭაბუკი, დღისით– მკვდარი, ღამით - ცოცხალი. იქორწინეს, ცაგიკს მშობიაროზის დრო დაუდგა, ჭაბუკმა მამისეულ სახლში გააგზავნა, მეფესთან. მან ბიჭი გააჩინა. იქ გაჩნდა მათი მოჯადოებული შვილი ადამი. მეფე-დედოფალმა გაიხარა. ადამი ისევ უნდა დაბრუნებულიყო, ყველა ტიროდა, ცაგიკის გარდა. ჯადო მოციქულმა პავლემ მოუხსნა. ცაგაკი რამდენიმე წლის შემდეგ მოკვდა, ადამი ბერად შედგა.

8. დერვიშისათვის მიცემული უფლისწული (გვ. 99-107).

იყო ერთი უშვილო მეფე. გამოქვაბულში განმარტოვდა ცოდვათა მოსანანიებლად. დერვიში გადაეყარა, შვილიერება აღუთქვა, თუ კი ერთს მე მომცემო. ორი ვაჟი ეყოლა კარგები, ნიჭიერები. დერვიშმა თავისი მოითხოვა. მეფემ იცრუა - არ გამართლდაო შენი წინასწარმეტყველებაო. დერვიშმა უმცროსი წაიყვანა. დერვიშმა (ურჩხულმა) თავის ციხე-კოშკში მიიყვანა. დერვიში ტყეში წავიდა, ბიჭი მარტო დარჩა სასახლეში. მან ვეფხვებისაგან გაიგო, რომ დერვიში კაციჭამია იყო და შეჭმას უპირებდა. მათი რჩევით ბიჭმა ღუმელში შეაგდო დერვიში, დაწვა. ბიჭმა ვეფხვები გაათავისუფლა. მათ ცხენი აარჩევინეს, სამი წყარო უჩვენეს - ოქრო, ვერცხლი დ მარგალიტი რომ გამოედინებოდა.

გავიდა წლები, ბიჭი გაიზარდა. გაიგო, რომ მამამისი მეზობელ ხელმწიფეს ეომებოდა. დაეხმარა ბრძოლაში. მეორე დღესაც იგივე გაიმეორა. ბრძოლის შემდეგ ჭაბუკი გაქრა. ერთხელ მეფე ავად გახდა. მისი წამალი ვეფხვთა მეფის ცოლის რძე იყო. მონადირეები მის საშოვნელად წავიდნენ. ჭაბუკმა დაიცვა ვეფხვები, შეიპყრო მონადირეები. მაინც მისცა ვეფხვის რძე. თვითონაც ჩავიდა მამასთან, უამბო ყველაფერი. მამის სიკვდილის შემდეგ ის გამეფდა.

9. ხირ-ხირ ნიოსა (ხრიწინა-თავტვლეპია), (გვ. 107-116).

იყო ერთი მეფე. სამი ვაჟი ჰყავდა. ბაღში უკვდავების ვაშლი ედგა, ყოველ წელს ვიღაც იპარავდა ვაშლს. მეფემ შვილებს დაავალა ქურდის დაჭერა. უმცროსმა შეძლო, დაჭრა ქურდი, გაჰყვა მის კვალს, მიწისქვეშა სამეფოში ჩავიდა, მოკლა და მთელი მისი ქონება, მათ შორის სამი ულამაზესი ასული ძმებს თოკით აუგზავნა სამზეოზე. ძმებმა გაწირეს, მიწისქვეშეთში ჩატოვეს. კიოსას ცხენის რჩევით და დახმარებით ამოვიდა ჭიდან. მამასთან დადგა მსახურად, უამრავი ფათერაკი გადახდა, გაამჟღავნა ყველაფერი და უმცროს მზეთუნახავზე იქორწინა.

10. მამის ანდერძი (გვ. 116-126).

იყო ერთი მეფე, სამი ვაჟი და სამი ასული ჰყავდა. სიკვდილის წინ იხმო შვილები: სამ ღამეს უყარაულეთ ჩემს საფლავს, დები ვინც ითხოვოს, არ დაუკავოთ, გააყოლეთო. მოკვდა მეფე. უფროსმა არ ისურვა საფლავის ყარაულობა. უმცროსი წავიდა, ღამით წითელ ცხენიანი მხედარი მოკლა, ცხვირ-პირი ააჭრა, ცხენი წაიყვანა, ძმებს უჩვენა. მეორე ღამეს შუათანა ძმას შეენაცვლა, შავცხენიანი მხედარი მოკლა, მესამე ღამეს - თეთრცხენიანი მხედარი. მათ ლეილეკ-ფადიშახი (სამეფო წერო) მიადგა და უფროსი და ითხოვა, მისცეს და წაიყვანა, მეორე დღეს გუგერჩი-ფადიშახმა შუათანა ითხოვა, მისცა უმცროსმა, წაიყვანა; მესამე ღამეს კარაკუშ-ფადიშახმა (მეფე არწივმა) ითხოვა უმცროსი და, წაიყვანა. მამის სახსოვრად მეჩეთიც ააგეს. მტრედები ადამიანურ ენაზე წუხდნენ – მეჩეთს ერთი ნაკლი აქვსო. ნაკლი კი ის აღმოჩნდა, რომ იქ არა მღეროდა ბულბული **ედიტიუკლი** (შვიდფერიანი-შვიდბუმბულიანი). ძმები გაემართნენ კიოსას ბულბულის საძებრად. უმცროსმა უფროსი სიძისაგან - ლეილეკ-ფადიშახისაგან გაიგო ამბავი, დახმარებით კი უმცროსი სიძე - კარაკუშ-ფადიშახი დაეხმარა. კიოსას ბუმბული გაათავიცუფლა, ლამაზი ქალი წაიყვანა და წავიდა. კიოსა დაედევნა, ისრით მოკლა უმცროსი ძმა. სიძემ კარაკუშ-ფადიშახმა გააცოცხლა. უამრავი რამ გადახდა, შეირთო მზეთუნახავი და გამეფდა.

ჩამწერი: ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილი ა. ბაბაიანი, ქ. ბაქო.

11. აშუღი ქარამი (გვ. 126-128).

ერთ ქალაქში ერთი მღვდელი და მოლა ცხოვრობდნენ, უშვილოები იყვნენ. ღმერთს შეევედრნენ, პირობა დადეს, თუ შვილები მიეცემოდათ, ერთმანეთზე დაექორწინებინათ. მღვდელს ქალიშვილი ეყოლა - ასლი, მოლას - ვაჟი ქარამი. მღვდელმა აღარ ისურვა თათრის სიძეობა, იქაურობას ცოლშვილიანად გაეცალა, გადაიხვეწა. ქიარამმა აშუღობა დაიწყო, მოძებნა ასლია, ოჯახში მივიდა, უმღერა, სიყვარულის ნაპერწკლები სცვიოდა. ასლიამ კოკას წამოავლო ხელი, წყლიანი ეგონა, ნავთი აღმოჩნდა, შეასხა და დაწვა სატრფოც და თვითონაც დაიწვა. მათი ფერფლი შეერთდა.

12. გემატი (ღვთის წილი), (გვ. 128-139).

ჩამწერი: კასაპეტის სასწავლებლის ზედამხედველი **გ. იზრაელოვი**

ერთ სოფელში შეძლებული გლეხი ცხოვრობდა. ერთი შვილი ჰყავდა, ნებიერა. სათამაშოს ყიდვა სთხოვა მამას. მან ზანდუკს ახადა ხუფი ფულის ასაღებად. შიგ გველი დახვდა, ფული არ დაანება, ხის ხუროს ივანეს ეკუთვნისო. გლეხმა ზანდუკი ხის მორში ჩატეხა, წყალში გადააგდო. ივანემ იპოვნა, წელში გაიმართა. გლეხმა ინახულა, ფული კი უკან არ დაუბრუნა. ივანეს ცოლმა ხერხს მიმართა - პურები დააცხო, ცომში ოქროები ჩააყოლა, გლეხს გაატანა. მან პურები ხარაზს დაუტოვა მასპინძლობის საფასურად. ხარაზს ივანეს ცოლის პური მართებდა, მიუტანა. ივანეს ცოლი დარწმუნდა, რომ ის ფული ღმერთის წილი იყო და უდრტვინველად ხარჯავდა.

13. მელია (გვ. 130-140) ჩაწერის ადგილი: ელისავეტპოლის გუბერნიის ჯევანშერის უეზდის სოფელი ენგიჯე. ჩამწერი: ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილი **ა. მირზოევი.**

ერთმა მეფემ ერთი დავა გლეხსა და მდიდარს შორის მდიდრის სასარგებლოდ გადაწყვიტა, შვილმა გლეხის მხარე დაიჭირა. გამწარდა მეფე და ერთადერთი შვილი სახლიდან გააძევა. მეფის ვაჟი ზღვისპირა კოშკში მოხვდ. შეჩერდა. სანადიროდ წავიდა და რომ დაბრუნდა, იქ მელა დახვდა. მელა მეორე დღესაც იქ იყო. ასე გაგრძელდა შემდეგ დღეებშიც. მელამ ჯერ მგელი მიიყვანა, მერე - დათვი. ერთხელ მელამ მეგობრებს სთხოვა, ჩემს ბატონს მეგობარი ქალი გამოვუძებნოთო. ერთი მეფის ასული მოძებნეს, მოიტაცეს, მიუყვანეს. იგი ხელმწიფის ერთადერთი შვილი იყო. მამამ ძებნა დაუწყო. მას დედაბერი დაეხმარა და დააბრუნა მამასთან. მელამ ისევ მოიტაცა და დააბრუნა კოშკში. მამამ ჯარი გააგზავნა მის დასაბრუნებლად. მხეცები დაეხმარნენ, მოიგეს ბრძოლა, დედაბერი კი აწამეს. მეფის ვაჟი დაბრუნდა თავის ქვეყანაში მელაც თან წაიყვანა და გამეფდა. მელამ ერთხელ თავი მოიმკვდარუნა - ვნახოთ, მეფეს ჩემი სიკეთე თუ ახსოვსო. მეფემ გარეთ გააგდო. მართლა როცა მოკვდა, მაშინ კი პატივით დაკრძალეს.

ამავე გამოშვების II განყოფილებაში დაბეჭდილია ოსური ზღაპარი „მდიდარი ძუნწი“ (გვ. 141-144) **ა. კაიტამაზოვის** პუბლიკაცია

ძუნწი გადაეყარა სატანას, რომელიც მშობიაროობდა. მან ჩვილი გადაურჩინა. ეშმაკებმა მოარჯულეს და ძუნწი ხელგაშლილი გახდა.

СМОМПК, 1892, 13, II განყოფილებაში დაბეჭდილია **„დაღესტნელთა ზნეობებიდან“** (გვ. 145-155)

აქაა ასეთი მასალა:

1. ალპაბი (ლეკური რწმენა-წარმოდგენა, გვ. 145-146).

მწითური, ლამაზი ქალი, ეშმაკის გვარისა, სამი წლის ბავშვის ოდენა, ტყეების და ველების ბინადარია. ის მშობიარე ქალებს აყენებს ვნებას. ჩაწერილია დაღესტნის ოლქის კიურინის ოკრუგის სოფ. კასუმ-კეტში, **ჩამწერი: ა. მამედოვი.**

2. ოტემიშური პირეი (წმინდანები, გვ. 146-151).

დაღესტანში გავრცელებულია თქმულება, რომ მუჰამედის ორი ბიძის - გამზატისა და აბასის შთამომავლები დაღესტანში არაბეთიდან ჩავიდნენ. მათ ადგილობრივები თაყვანს სცემენ. მოციქულის საფლავი სოფელ ოტომეშშია (დაღესტანში, კაიტაგო - ტაბასარანის ოკრუგში).

3. მიურაგინელების ზოგიერთი რწმენა-წაემოდგენა (გვ. 152-155). პუბლიკაცია დეშლაგარის სასწავლებლის მასწავლებლის **ლ. ხანაგოვისა.**

აქაა მთვარის რწმენის, მიწისძვრის, ქუხილის, გადამფრენი ფრინველების და სხვა ცხოვრებისეულ მოვლენებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

ამავე გამოშვებაში დაბეჭდილია ქ. ბაქოში ჩაწერილი **გადმოცემები** და **ლეგენდები** (გვ. 156-229). პირველი ტექსტის მთქმელია ბახიშ ბაგრამოვი, ბოლო ტექსტისა - სედრაქ სარუხანოვი.

1. აბრაამისა (გვ. 156-158).

აბრაამმა ქააბა რომ ააგო, არაბები გაუნაპირდნენ ერთიან ღმერთს. ღმერთმა აბრაამს მათი გონსმოყვანა დაავალა. აბრაამმა კერპები შემუსრა. მას ცეცხლზე დაწვა მოუნდომეს, ღმერთმა იხსნა. მეფის ასულმა მოინდომა მასთან მისვლა ცეცხლის გავლით. მართლაც, ცეცხლი გაიპო და მეფის ასული მივიდა აბრამთან.

2. სოლომონ ბრძენი (გვ. 158-159).

სოლომონ ბრძენს ყველა მორჩილებდა. ერთხელ მილოცვა გადაწყვიტეს. ყველამ მიუტანა საჩუქარი. ჭიანჭველამ ნანადირევი ჭიჭინობელა მიართვა. ბრძენმა ხუმრობით ჰკითხა: ჩვენში ვინ უფრო დიდიაო. - მეო - უპასუხა ჭიანჭველამ. – რანაირადო? – შენ ქვეყნიერების მეფე, შეუფერებელ ტახტზე ზიხარ; მე კი შენ გაზივარო, ამისთან, მე სულ ვშრომობო.

3. პეტრე დიდის შესახებ (გვ. 159-161).

ყუბანის სულთან - ახმედ-ხანს ცოლად ჰყავდა ჰაჯი-ბეგ-ასლანელის მშვენიერი ქალიშვილი. მან ცოლის თანდასწრებით რამდენჯერმე შეურაცხყო ხალიფა ომარი. სუნიტები მას აუმხედრდნენ, დახოცეს მისიანები და ერთი მცირეწლოვანი ბავშვიღა გადარჩა. გაიგო ეს ამბავი პეტრე დიდმა და შეარიგა მტრები. მან იხმო სულთან-ახმედ-ხანის შვილი და კუბის ხანად დანიშნა.

სპარსეთის შაჰი ნადირი მწყემსის შვილი იყო. მან ჩამოაგდო ტახმაზ შაჰი და გამეფდა. მას ომი გამოუცხადა ხორასნის ხანმა მელიქ-მაჰმუდმა. ნადირმა პეტრე დიდს სთხოვა დახმარება, მერმე უარი უთხრა. პეტრემ არ დაუთმო და ნადირმა კავკასია შესთავაზა.

4. შაჰ აბასის შესახებ (გვ. 161-166). პუბლიკაცია ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილის **ა. ბაბალიანცისა.**

თბილისი რომ აიღო, იქ ერთმანეთის პირისპირ ააგო მეჩეთი და ეკლესია. მეჩეთზე წარწერა გააკეთებინა: „ჩემს შემდგომმა მმართველებმა ეკლესია დაიცვანო.“ ეკლესიაზე კი წააწერინა, ქრისტიანმა მეფეებმა მეჩეთი დაიცვანო. პეტრე დიდი თბილისში რომ იმყოფებოდა, გაიგო მეჩეთის ამბავი, შაჰ აბასს უკან დაუბრუნდა დუქნები და მათი მართვა მუშტეიდს მიანდო. შაჰ აბასმა ქარვასლები ააგო. ერთხელ სეირნობისას მჭედელს გადაეყარა. იფიქრა:ლამაზი ცოლი ეყოლებაო. დერვიშად გადაიცვა, მოძებნა და გამოსცადა ქმრის ერთგულებაში. ქალმა 12 კვერცხი სხვადასხვაგვარად მოუმზადა, მერმე შაჰს ჰკითხა: – რა განსხვავებააო მათ შორის. არაფერიო - შაჰმა. – ქალებიც ასეთები არიანო. შაჰმა დააჯილდოვა.

შაჰ აბასი და ფარაჯი (გვ. 167-172). ჩაწერილი ელისავეტპოლის გუბერნიის ყაზახის უეზდში მთქმელ ალი სალიმ-ოღლისაგან. ჩამწერი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილი ნ. კიასბეკოვი.

შაჰ აბასი ღამღამობით გადაცმული დადიოდა ქალაქში ქვეშევრდომთა ცოდვების გასაგებად. ერთი სახლიდან ხმაური გამოდიოდა. შეიხედა, შევიდა, ღამის გათევა სთხოვა. მასპინძელი ღარიბი ხარაზი იყო. ბოლო კაპიკს მუსიკოსებს აძლევდა. შაჰმა რომ აგიკრძალოსო ხელობა? - რა საქმე აქვს ასეთ უბადრუკობასთანო?! შაჰმა აკრძალა მისი ხელობა. ხარაზმა ტიკით წყლის ზიდვა დაიწყო. შაჰმა ეს

ხელობაც აკრძალა. ხარაზმა სასაფალო აიღო არსენდით და გასამრჯელოს გარეშე მკვდარს არავის ამარხვინებდა. – შაჰმა სასახლეში დაიბარა: – როგორ ბედავო ამას.?! შიმშილით სიკვდილს ეს ვამჯობინეო. შაჰმა ფული აჩუქა. ისიც მუსიკოსებს მოახმარა. შაჰი ვერაფერს გახდა და პენსია დაუნიშნა.

აშუღი ქერიბი (გვ. 173-229). ზღაპარი, ჩაწერილი ბაქოს გუბერნიის შემახის უეზდის სოფლის ტირჯანში. მთქმელი აშუღი ორუჯა, ჩამწერი: **მასწ. მახმუდბეკოვი.**

თავრიზში ცხოვრობდაა მდიდარი ვაჭარი ახმედი. ცოლი ჰყავდა - ხანი, ვაჟი - 16 წლის რასული და 14 წლის გოგო - შაჰრაბანა. მოკვდა ახმედი. გაიგეს ეს თავრიზის თაღლითებმა, ვაჭრად გადაცმულები მივიდნენ რასულთან, როგორც მამამისის მეგობრები, დაათვრეს, 40 დღე გაატარეს ნადიმში. რასულმა ყველაფერი გაანიავა. მერეღა მიხვდა, რაც დაემართა. მოჯამაგირედ დადგა თერძთან. – ამას რა უნდაო?! და თერგს ქსოვილი გაუფუჭა. ახლა ხარაზს დაუდგა მოჯამაგირედ, აქაც ვერ გამოიჩინა თავი. აშუღებს დაუახლოვდა, აშუღობა ვერ ისწავლა. ღმერთს შეევედრა. სიზმარში ხიდირ ილიასმა (მოციქული ხიდრი) უთხრა: – აშუღი ხარ და იმღერეო, ქერიბი უნდა დაირქვაო, – თან საბე უჩვენა, თბილისელი ბახრამ ბეკის ქალიშვილი შახ-სანამნა. მისი სილამაზით გაოგნებულმა რასულმა გრძნობა დაკარგა. რასულს მღერა და თამაში მოუნდა. გამოქვეყნებულია ქერიბის 87 სიმღერის (გვ. 177-214) რუსული თარგმანი და 87 ტექსტი ორიგინალის ენაზე (გვ. 215-229).

აქვეა ორიგინალის ენაზე დაბეჭდილი **თათრული** სიმღერების ტექსტები, რომლებიც ჩაწერილია ელისავეტპოლის გუბერნიის ჯევანშირის უეზდის სოფელ მამურლიში, ჯევანშირელი და ნაწილობრივ შუშელი აშუღებისაგან. **აქვეა:**

ეილახის კამათი ვაკესთან (გვ. 230-232) - რუსული თარგმანი;

მიწისა და ცის კამათი (გვ. 232-234)- ჩამწერი მ. კულიევი;

სიმღერა ფუტკარზე (გვ. 234-237) - ჩამწერი ქ. აისმაილოვი;

აქვეა გამოქვეყნებული **რუსული ზღაპარი და ლეგენდა,** ჩაწერილი მანგლისში (გვ. 289-294), ჩამწერი **ა. ვალენიჩი**

1. ეშმაკი და დედაკაცი (გვ. 289-291).

ერთი დედაკაცი ბაზრიდან დაბრუნდა. მდინარეზე უნდა გადასულიყო. მშვილელი სჭირდებოდა, ჩაამოჯდა ქვაზე და ტირილი დაიწყო. უცებ ბანჯგვლიანი ეშმაკი გაჩნდა. მე გადაგიყვან მდინარეზე, თავზე დამაჯექიო. შეაჯდა და ისე დასთბა მის ბალანში, რომ ჩასვლა აღარ უნდოდა. ეხვეწა ეშმაკი, არაფერი გაუვიდა. მჭედელს შესჩივლა გასაჭირი. მან კი დახმარების სანაცვლოდ გასამრჯელო მოსთხოვა - 100 მანეთი.

ეშმაკი ერთ ქვეყანაში ჩავიდა. ღამღამობით მეფის ასულს აწვალებდა. მჭედელი სეპირდა მეფეს ქალიშვილის გადარჩენას. შევიდა მის სამყოფელში და იყვირა: – აქეთ დედაკაცოო. ეშმაკი გაიქცა.

2. იესო ქრისტე და პავლე მოციქული სტუმრად გლეხკაცთან (გვ. 291-294).

ერთხელ ერთი გლეხკაცი სახლში ბრუნდებოდა. ორი მგზავრი წამოეწია. წაყ-

ვანა სთხოვეს. ღამის გათევა, სახლში ცარიელი კედლები დახვდათ. ღარიბული სუფრა გაიშალა. არავის ეყო საჭმელი, დაიძინეს. მეორე დილით სტუმრებმა საუზმე მოინდომეს, ერთი ხბო დააკვლევინეს,. ჭამეს და გლეხკაცმა გააცილა. ერთმა უთხრა: – იცი ვინ იყო შენი სტუმარი? მე ღმერთი ვარ, ეს კი პავლე მოციქული იაო. გლეხკაცი მათ ფეხებში ჩაუვარდა, დაბრუნბდა. ცოლი გაეგება, მგზავრებს ჩანთა დარჩათო. ბაჯაღლო-ოქროთი სავსე აღმოჩნდა. გამდიდრდა გლეხკაცი.

ელისავეტპოლის გუბერნიაში ჩაწერილი თათრული ზღაპრები და გადმოცემები (გვ. 295-322)

1. მშიშარა (გვ. 295-297).

ერთი მშიშარა კაცი იყო. სიმხდალის გამო ცოლმა სახლიდან გააგდო. გზაში აქლემი შეხვდა საქონლით დატვირთულები, ხელი არ ახლო. პატრონს აპოვნინა. მან ფული მისცა. იმ ქვეყნის მეფეს ოქროს ბეჭედი მოჰპარეს. მან იპოვნა. მშიშარამ მეორედაც იხსნა მეფე. მეფემ დაასაჩუქრა და გამდიდრებული დაბრუნდა სახლში.

2. მდიდარ აზიზსა და მონა მირზაზე (გვ. 297-301).

ერთ ქვეყანაში მდიდარი აზიზა ცხოვრობდა. ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა. ერთხელ ერთი მონა იყიდა, მირზა დაარქვა. გოგო გაიზარდა, მამამ გადაწყვიტა მისი ბედი გაეგო და გაარკვია, რომ იგი მისი მონის ცოლი გახდებოდა. მირზა ძმასთან გაგზავნა-დაღუპეო. გაემგზავრა მირზა, ბევრი რამ გადახდა. ჩავარდა ზორაბთან. ძმა ზორაბი ბრძენი იყო. მან დაინდო. მირზა უკან გაემგზავრა. მეფური სამოსით წარდგა. აზიზამ ქალიშვილის ხელი შესთავაზა, იქორწინეს. ქორწილის შემდეგ აზიზამ ძმის წერილი გახსნა, სადაც ეწერა: ძმაო, ბედისწერას ვერ გაექცევიო.

3. ცილისმწამებელი (გვ. 301-303). ჩაწერილი ქ. შუშაში **აზად ასლანოვის** მიერ

ერთხელ არაბეთში ერთმა ვაჭარმა ლამაზი მონა გაიყვანა ბაზარზე გასაყიდად, 90 კაპიკი დააფასა. ერთმა იმაზე მეტი გადაუხადა და იყიდა. ახალ პატრონს ქმრისმოყვარული ცოლი ჰყავდა. ერთხელ მონა ეკითხება: – იცი რა უნდა ჩემს ბატონს? პატარძალი გაიჩინა და მალე იქორწინებსო. ესეც არ აკმარა, დახმარებას დაპირდა, მერე ქმარს აცნობა, ცოლი მოკვლას გიპირებსო. ღამით ცოლს წვერიდან ღეროების მოჭრა რომ უნდოდა, ქმარმა ცოლი მოკლა. მონამ ქალის ნათესავებს შეატყობინა ეს ამბავი. მათ კი ბატონი მოკლეს.

4. ძუნწი (გვ. 303-304), ჩაწერილია ყაზახის უეზდის სოფელ სალახლუში **ოსმან გაობოვის** მიერ.

დილიჟანთან ახლოს ერთი მთაა, წყარო ჩამოუდის გამოკვეთილი ნაგებობით გამორჩეული. ნაგებობა ერთ დედაბერს ეკუთვნოდა. ერთხელ მგზავრი მიადგა, თავშესაფარი ითხოვა. მშიერი იყო, ვახშამს ელოდა. არ გაუმასპინძლდა. დედაბერი იმდენად ძუნწი იყო, მთელი დღეები მშიერი იყო თვითონაც. შუაღამისას რაღაც შემწვარი მიართვა. ვერ გაიგო რა იყო შემწვარი, ხმა მოესმა - კატისააო. მგზავრმა ღმერთს შეღაღადა: – დედაბერს მთელი ქონება ქვად უქციეო! ყველაფერი ქვად იქცა.

5. ხარხალი (გვ. 305-308), ჩაწერილი ნუხის უეზდის სოფელ ბუმში **ბ. ნასირ-სულთანოვის** მიერ

იყო ერთი დედაბერი, ერთი შვილი ჰყავდა, სახელად ხარხალი. ის ზარმაცი იყო, სოფლის მწყემსად არ ივარგა, სოფლელებმა სახლ-კარი გადაუწვეს. წავიდა სოფლიდან, ტომრით სახლის ნამწვავი ნახშირი და დედის მიცემული ოქროს მწიკვი წაიღო. მოხერხებით ჩაიგდო ხელში ერთი ტომარა ოქრო. დაბრუნდა სახლში, ხმა დააგდო: აქა და აქ ნახშირში ოქროს იძლევიანო. ყველამ გადაწვა სახლები და ნახშირით გაუდგნენ გზას. სიმართლე გაირკვა და სოფლელებმა. დედა მოუკლეს. ხარხალიმ ახალი ეშმაკობა წამოიწყო. დედის ცხედარი ვირს აჰკიდა, წავიდა, ერთ სახლს მიადგა, მკვდარი კედელს მიაყუდა, მასპინძელს ღამის გათევა სთხოვა. მერე დედა გარეთ დავტოვე, შემოიყვანეთო. ოჯახს ცილი დასწამა - მომიკალითო. მასპინძლებმა დიდი ფული მისცეს, მთელმი ტომარა ოქრო იშოვა. ისე გააცურა სოფლელები, თანაც რამდენჯერმე. ბოლოს მთელი სოფლის ბატონი გახდა.

6. მელიქ მამედი (გვ. 308-318).

ერთ მეფეს 40 შვილი ჰყავდა. უმცროსს მელიქ მამედი ერქვა. საცოლედ 40 დას ეძებდა. შვილები გააგზავნა. გზაში მონასტერთან შემოაღამდათ. მამის დარიგების მიუხედავად, შეჩერდნენ ღამის გასათევად. ღამით დევს მელიქ-მამედი შეებრძოლა, მოკლა, გვამი დამალა, დაიძინა. მეორე ღამეს შავი დევის სამყოფში შავი დევი მოკლა, შემდეგ - წითელი. ერთ ქალაქში 40 დევი 40 მოტაცებულ დაზე ქორწინდებოდა, ყველა დევი დახოცა. რამდენიმე დღის შემდეგ 40 ქალის მამამ სასახლეში დაიბარა დიდი ძალის მქონენი რთული საქმისათვის, რაც ვერავინ შეძლო მელიქ-მამედას გარდა. მეფეს მოგზაურობის მიზანი ამცნო და 40 დის ქორწინება სთხოვა. შეირთეს ძმებმა ცოლები და უკან დაბრუნდნენ. მელიქ-მამედი გველეშაპმა გაიტაცა, თავის მეფეს მიჰგვარა. მელიქ-მამედმა მიწისქვეშა სამეფოს მეფის ასული უშოვნა, უამრავი ფათერაკი გადახდა. გველთა მეფემ ქალი მელიქ-მამედს დაუთმო. მან წაიყვანა ქალი და სამშობლოში დაბრუნდა.

7. გულჩი-ხანუმი (გვ. 318-322). გერიუსინის სოფლის სასწავლებლის მასწავლებლის **მკრტჩ სარქისიანის** პუბლიკაცია.

ერთ ქვეყანაში ერთი და-ძმა ცხოვრობდა. დას გულჩი-ხანუმი ერქვა. ძმის ცოლმა შეიძულა მული. ღამით მძინარე შვილს ყელი გამოსჭრა და სისხლიანი დანა მულს ჩაუგდო საწოლში. ეს ამბავი გიულჩი ხანუმს დაბრალდა და გააძევეს. ძმამ მეფის ბაღში დატოვა. იქ მეფის ვაჟი დაუახლოვდა, დაორსულდა, ბიჭი შვა. მისი ქმარი შორ ქვეყანაში გაემგზავრა. უკან გზაზე გულჩი ხანუმის ძმასთან გაათია ღამე. მისმა ცოლმა გაიგო სტუმრის ვინაობა, წერილი შეუცვალა - შენმა ცოლმა ლეკვი გააჩინაო. გულჩი ხანუმი სახლიდან გააგდეს. გავიდა დრო, მეფის ვაჟი დაბრუნდა, გადაწყვიტა სიმართლე გაეგო. ძებნა დაუწყო ცოლს. იქ მოხვდა, სადაც მისი ცოლ-შვილი იმყოფებოდა. სიმართლე გაიგო, სახლში დაბრუნდნენ. გულჩი ხანუმის რძალი ცხენის კუდზე გამოაბეს.

სომხური ზღაპარი შვიდი ძმის შესახებ (გვ. 323-329). პუბლიკაცია ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილ **ტიგრან იუზბაშევისა**.

იყო შვიდი ძმა. ექვსს უზნეო ცოლები ჰყავდათ, მეშვიდეს – წყნარი, მორიდებული. ცილი დასწამეს რძლებმა პატიოსან ქალს. ქმარი იქაურობას გაეცალა. უცხოეთში ერთ მეფეს ცხენების მწყემსად დაუდგა. ერთ კვიცს ზღვიდან გამოსულმა ცხენმა უკბინა. იგი ზღვათა მეფე აღმოჩნდა. მან კბენით სიბრძნე გადასცა. გავიდა დრო. კვიცი გაიზარდა. ბრძენი ცხენის დახმარებით მწყემსმა მეფის დავალება შეასრულა - ბევრი დაბრკოლება გადალახა. მეფეს მოჰგვარა უცხო ფრინველი. მწყემსმა სახლში დაბრუნება გადაწყვიტა და ნამსახურებში ბრძენი ცხენი სთხოვა. მისცა მეფემ. გზაში ღამის გასათევად ერთ მეწისქვილესთან შეჩერდა. ჯადოსნური სუფრა გაშალა. დამალობანა გამართეს, სუფრა მოგებულს უნდა დარჩენოდა. მოიგო მწყემსმა და გზა განაგრძო. სახლში ძმებს სუფრა უცვენა, დაიპურა ყველა. მეორე დღეს ძმები სანადიროდ წავიდნენ, მათ ცოლებთან საყვარლები მივიდნენ. ერთმა რძალმა სუფრას ჯოხი დაჰკრა და ხელი გაუშეშდა. ამ დროს მათხოვარი გაჩნდა, მოწყალება ითხოვა. – სუფრას მოგვაშორეო, - უთხრეს. ისიც მიეწება სუფრას. საღამოს ძმები დაბრუდნენ. უცოდველი მათხოვარი სუფრამ აუშვა, სხვები - არა. სუფრამ ცოდვილნი გაამხილა.

სოლომონ ბრძენის ლეგენდები (გვ. 330-333).

ჩამწერი ანდრეას მირზოევი. ჩაწერის ადგილი: ელისავეტპოლის გუბერნიის ჯევანშირის უეზდის სოფელი ენგიჯე; მთქმელი მწყემსი **ე. თაყაიშვილი**, ჩამწერი - ნორიოს სასოფლო სკოლის მასწავლებელი **გიორგი პარადოვი.**

1. როცა სოლომონ ბრძენი სამყაროს ყველა საიდუმლოს ჩასწვდა, დარწმუნდა, რომ ბედისწერას ვერავინ გაექცეოდა. ფასკუნჯმა უთხრა: – მომეცი ქალ-ვაჟი ვისი შეუღლებაც ბედისწერითაა გადაწყვეტილი და მე ჩავშლიო. მან ფრთაზე შეისვა გოგო და გაფრინდა. გავიდა ხანი, გოგო გაიზარდა, კუნძულზე ჰყავდათ. ზღვიდან ჭაბუკი მივიდა, შეუყვარდა. გოგო ამას მალავდა. გავიდეა დრო და ვაჟი შეეძინთ. გაიგო ფასკუნჯმა, ფრთებზე შეისვა ყველა და სოლომონ ბრძენს მიუყვანა.

2. სოლომონის ქვეშევრდომები ურწმუნოებით გამოირჩეოდნენ. სოლომონმა ხუთი წყვილი კამეჩი შეაბმევინა და ცალმხარეს გააწევინა ურემი, მეორე ხუთ წყვილს კი მეორე მხარეს. დიდი წისქვილი ააგებინა, ყუთი და იქიდან აყრია მარცვალს დოლაბზე. თვითონ ერთი მუჭა ცერცვი აიღო და პიტალო კლდეზე ყრიდა. ცერცვი კედელს ვერ რჩებოდა. გაოცებულ ხალხს უთხრა სოლომონმა: სიმძიმე, რომელსაც კამეჩები ეწევიან, დიდი ქვეყნის ბედია, კამეჩები - მისი წევრები. წისქვილი - დიდ და მდიდარ ოჯახს გამოხატავს, კედელი, რომელსაც ცერცვს ვაყრი, გაუგონარ ადამიანსო.

3. ერთხელ ეშმაკებმა სოლომონ ბრძენის გამოცდა გადაწყვიტეს. ორმოში ჩაადგეს მძინარე. მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ქვები შეაგროვა და შენება იწყო. ხალხის კითხვაზე უპასუხა: – ეკლესიას ვაშენებ ეშმაკების გადასარჩენადო. შეშინდნენ ეშმაკები და აიყვანეს სოლომონი ორმოდან.

СМОМПК, 1890, №9, II განყ.

1. **ანეკდოტები მოლა ნასრედინზე** - ჩამწერი სამეგრელოს საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ა. ზახაროვი (გვ. 52-74), ჩაწერილია 18889 წ. ქალაქი **ფო-**

თი, 64 ანეკდოტი. წინასიტყვაობაში გამოყენებულია პ. უსლარის ნაშრომის ამონარიდი მოლა ნასრედინის შესახებ - მისი სავარაუდო ისტორიულობისა და წარმომავლობიას თაობაზე.

1. ვის მიიჩნევ ყველაზე სულელად, მოლა?

- ვინც ადამიანებს სიმართლეს ეუბნევა.

2. ერთხელ მოლას აცნობეს შენს ბაღში კამეჩები შევიდნენო. წამოავლო სახრეს ხელი და შევარდა ბაღში შვილებთან ერთად. კამეჩებთან ერთად ერთი ახუნიც (სასულიერო პირი) დახვდა. – მოიცათ, შვილებო, კამეჩებს თავი დაანებეთ და ახუნი გააგდეთო.

3. ერთხელ მოლას დერვიში ესტუმრა და სასიამოვნო სუბარი გაუბა. ნასიამოვნებმა მოლამ უთხრა, – მოდი ხვალ და ას თუმანს მოგცემო. მივიდა მეორე დღეს დერვიში. – რისთვის მოხვედიო? - ჰკითხა მოლამ. - ფულისთვისო, შენ რომ დამპირდიო. - რისთვის დაგპირდიო? - იმისათვის, რომ სიამოვნება მოგანიჭეო. - შენ საუბრით მომანიჭე სიამოვნება, მე კი ჩემი დაპირებით, მაშ ბარიბარში ვართო - მიუგო მოლამ.

4. მოლა ათ კვერცხს 10 კაპიკად ყიდულობდა, 5 კაპიკად ყიდდა. უთხრეს: – მოლას, მოგებას რატომ ნახულობთო? - ეკითხებოდნენ. – არაუშავს, ოღონდ თქვან, მოლა კომერციით არისო დაკავებულიო.

5. ერთხელ მეჩეთში ლოცვისას ერთი მლოცველი უნებლიედ დაეჯახა მოლას. მოლა წინ მყოფ იმამს დაეჯახა. მან გაღიზიანებულმა უთხრა: - რას მეჯახები, მოლა? – ჩემს უკან მდგომს ჰკითხეო - უპასუხა მოლამ.

სულ ამ ტიპის 64 ტექსტია გამოქვეყნებული.

СМОМПК, 1890, 9, II განყ.

თათრული ზღაპრები, ჩაწერილი ბაქოს გუბერნიის გეოკჩას უეზდში, ნ. ყაზბეგის მიერ, 1889 წელს, სოფელ ივანოვკაში

ფერადი თევზი.

ერთ ქვეყანაში დაუნდობელი მეფე იყო, ქვეშევრდომებიც ვერ იტანდნენ. ღმერთმა დასაჯა დესპოტი – დასნეულდა, ვერავინ შველოდა. ბოლოს ერთმა ექიმმა ურჩია: ზღვაში ფერადი თევზი დააჭერინე, მოახარშინე, ხორცი შეჭამე, წვენით ტანი დაიზილე და მორჩებიო. დააგზავნა მეფემ მეთევზეები. ვერავინ დაიჭირა. ბოლოს მეფის ვაჟი წავიდა. დაიჭირა, მაგრამ სილამაზის გამო შეეცოდა და გაუშვა. ეს ამბავი მეფის შეატყობინეს. დედამ შვილი იხმო, მამის მრისხანება აცნობა და გაქცევა ურჩია. გაიქცა. გზაში ერთი ჭაბუკი მხედარი დაეწია, გაიცნეს ერთმანეთი, დაახლოვდნენ. დიდხანს იარეს და მდინარისპირა ქალაქში მოხვდნენ. მდინარის პირას შეისვენეს. მათთან ერთად მოხუცი მივიდა, ვინაობის გასაგებად. გაეცნო, უთხრა რომ მათი ქვეყნის მეფის ასულს სნეულება შეჰყროდა - დამბლა ჰქონდა დაცემული. მეფის ვაჟი შემთხვევით იმ ქვეყნის მეფესთან მოხვდა, განსაცდელში ჩავარდა, რადგან ექიმობა არ იცოდა. მისმა მეგობარმა დაიბრალა ექიმობა. მეფის სასახლეში მეფის ქალიშვილის გვერდით განთავსდა. მეფის ასულის გასაგონად ზღაპარი უამბო მდიდარი ვაჭრისა და მისი ძმისა. ორ ძმას ბიძაშვილი რომ შეუყვარდა. ბიძის პირობა რომ უნდა შეესრულებინა ქალიშვილის ხელის მოსაპოვებლად.

ერთი ძმა უფლისწულებს გადაეყარა და მოხერხებით ხელში ჩაიგდო მფრინავი ხალიჩა, ჯადოსნური სუფრა; მეორე ძმამ ერთი მოხუცისაგან ექიმობა ისწავლა. უმცროსმა კი ვერაფერი ისწავლა. შუათანას სთხოვა, ჩაიხედე წიგნში და გაიგე როგორაა ჩვენი დაო. იგი დასნეულებული აღმოჩნდა. ჩაფრიდნენ სახლში, უფროსმა ძმამ წამალი მისცა, მოარჩინა. – ახლა მითხარი, ვის ეკუთვნისო ქალი? - ჰკითხა კარს იქიდან მეფის ვაჟის მეგობარმა. მეფის ასულმა: – უმცროსს ერგებაო. მამას გაუხარდა, შვილი ექიმზე დააქორწინა. ქონება მან შუაზე გაუყო მეგობარს. მან ხმალი დაუქნია მეფის ასულს და პირიდან გომბეშო გადმოუვარდა. – აი, ამიტომ ვერ ლაპარაკობდაო, ახლა შეირთე და დაბრუნდი შენს ქვეყანაშიო. ჭაბუკი ბედნიერი დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

ქურდის ქურდი (გვ. 83-87).

ერთ ქალაქში ერთი მოხუცი მამედა და მისი შვილი ახმედი ცხოვრობდნენ. ახალგაზრდობაში მამედა ქურდი იყო. შვილი მამას არ ჰგავდა, მშვიდი იყო და წყნარი. მამა ამას ძალიან განიცდიდა. მამამ გადაწყვიტა ქურდობით მისი დაინტერესება. უჩვენა ადამიანური მოხერხება. ვიდრე მამედა მაღალ ხეზე ჩიტს კუდიდან ბუმბულის ღერს პარავდა, შვილმა შარვალი მოჰპარა.

ახმედი დახელოვნებული ქურდი გამოდგა. მეფის სიძეობასაც გამოჰკრა ხელი.

მეფის ვაჟის მოგზაურობა (ყარიბობა), (გვ. 87-91).

ერთ სამეფოში ერთ მეფეს დიდხანს არ ეძლეოდა მემკვიდრე. ბოლოს ვაჟი შეეძინა - ისმაილი დაარქვეს. უფლისწული საათობით იზრდებოდა, თანატოლებზე მაღალი და ძლიერი იყო.

შვილმა მამას 5 ოთახის გასაღებები სთხოვა, სადაც ძვირფასეულობა ინახებოდა. მამამ მეხუთე ოთახის გახსნა აუკრძალა. მეხუთეში შეიხედა, ლამაზი ქალის სურათი ნახა, გონი დაკარგა. კარგა ხანს იყო ასე, ბოლოს მაინც დაითანხმა მამა და გაემგზავრა მის საძებნელად. ბევრი დაბრკოლება გადალახა, ზღვის გადაღმა ქალაქში მოხვდა, რომელიც დევს ეკუთვნოდა. მოკლა დევი, მეფის ასული გაათავისუფლა, გაიქცნენ. მისი მშობელი მეფისაგან გაიგო სულთნის ქვეყნის ამბავი, მივიდა იქ. სულთანმა მისცა ქალი, გაისტუმრა სამშობლოში.

ჯეირანა (გვ. 91-94).

ერთი ქვეყნის ერთ ქალაქში ცხოვრობდა ორი ძმა. უფროსს ვაჟი ჰყავდა - ასლანი, უმცროს ულამაზესი ასული - ჯეირანა. შეუყვარდათ ერთმანეთი, დააქორწინეს. მეფის ვაჟს შეუყვარდა ჯეირანა, მოიტაცა. ჯეირანამ ქმარს აცნობა ადგილსამყოფელი, შველა სთხოვა. ასლანმა გაათავისუფლა ჯეირანა და ისინი გემით გაიქცნენ. ასლანი ჩამორჩა გემს, ნაპირზე დარჩა. ჯეირანა დიდხანს დაცურავდა გემით. გემი დაიმსხვა, მარტო ჯეირანა გადარჩა, მეკობრეებთან მოხვდა. ბოლოს ერთ ქვეყანაში ჩავიდა. იქ ჯეირანა მეფედ აირჩიეს. გონიერი მეფე გამოდგა - ახმედას არ ივიწყებდა. ქალაქის კედელზე მისი სურათი გააკვრევინა. – ვინც დაინტერესდება სურათით, მომგვარეთო. გავიდა რამდენიმე თვე. ჯეირანას ის მეფის ვაჟი მიჰგვარეს, ვინც იგი მოიტაცა. ჯეირანამ საკადრისად დასაჯა. მერე ახმედა გამოჩნდა. მათ იქორწინეს და ერთად მეფობდნენ.

გიული და სინეივიზი (გვ. 94-102).

ერთ ძლიერ სულთანს სამი ვაჟი ჰყავდა. წამოიზარდნენ და მამას დაქორწინება, საცოლეების ამორჩევა მოსთხოვეს. მამამ ვაშლები მისცა: – კოშკიდან ისროლეთ, სადაც დაეცემა, იქაური ქალები შეირთეთო. ძმები ასეც მოიქცნენ. უფროსს ვეზირის ასული ერგო, შუათანასაც ვეზირის ასული შეხვდა. უმცროსის ვაშლი ზღვაში ჩავარდა. ალი (ასე ერქვა უმცროსს) მთელს დღეებს ზღვის ნაპირზე ატარებდა, ელოდა ბედს. ღამით მახინჯი ბაყაყი ამოხტა, კალთაში ჩაუხტა, ალიმ ზღვაში გადააგდო. უცებ მშვენიერი ქალიშვილი გაჩნდა. მადლობა უთხრა ალის: – ზღვათა მეფის ქალიშვილი ვარ, მელექი მქვია, ჯადოქარმა მაქცია ბაყაყად. მე შეგიყვარე ერთი ნახვით და გადამარჩინე. მამასთან წავალ, გავახარებო. ცხრა დღე ელოდა ალი. გამოჩნდა მელექი, ჯადოსნურ სასახლეში მოიყვანა, იქორწინეს. სულთანმა ერთ დღეს ზღვის ნაპირას სასწაულებრივი სასახლე დაინახა. შეიტყო, რომ მისი უმცროსი ვაჟის - ალის იყო. შვილი ისტუმრა ცოლთან ერთად, მელექი რომ დაინახა, უგონოდ დაეცა ძირს. მელექმა გააფრთხილა ქმარი - მამშენს შევუყვარდი და იცოდე, არ დაგზოგავსო. მართლაც, მამამ ვეზირს დაავალა ალის მოკვლა. ვეზირის რჩევით ალის ისეთი დავალებები მისცა, რომ ვერ გადარჩებოდა. ალიმ ყველა შეასრულა. მელექიც მოძებნა. მამაჩემი აღარ დაგიბრუნებს ჩემს თავს, თუ გიულისა და სინეივიზინის ამბავს არ შეატყობინებო. მამაჩემი სინეივიზინის ამბის გასაგებად გაგაგზავნის. იგი მხეცზე სასტიკია.

ალიმ გაიგო სინეივიზინის ამბავი. მან ალის უჩვენა ჯაჭვით დაბმული ძაღლი - მისი ყოფილი ცოლი გიული, რომელიც ღალატის გამო იყო კედელზე მიბმული. გიულიმ მას ყაჩაღების ატამანთან უღალატა. მე გვიან გავიგე, დავუდარაჯდი, უკან მივყევი, ტყეში დავადექი თავს. მიხვდა და მათრახი გადამკრა, ვირად მაქცია, მეთულუხჩეს მიმყიდა, 7 წელი დამქონდა წყალი. ჯადოქარმა ბიძაშვილმა გადამარჩინა, სინეივიზობა დამიბრუნა. რაღაც წამალი მომცა შუშაში, ცხვირსახოცი დაასველე და ცოლს გადაჰკარიო, ძაღლად იქცევაო. სახლში გიულის ყაჩაღების ატამანთან დავადექი თავს, ძაღლად ვაქციეო. სინევიზინმა ამბავი დაამთავრა და ალიც გაეპარა. მან მეფეს უამბო გიულისა და სინეივიზინის ამბავი. მისცა ქალიშვილი ალის და ხელმეორედ გადაუხადა დიდებული ქორწილი.

V. რამდენიმე ცნობა თათრების რწმენა-წარმოდგენების შესახებ (გვ. 103-112).

პუბლიკაციის ავტორია ბეიურ-ვედინოს სოფლის მასწავლებელი მირ-ჰაშიმ-ბეკ-ვეზიროვი.

1. ჯინები (გვ. 103-105)

ადამიანებისთვის მთავარი მავნე ბოროტი სულები ჯინები არიან – ორი სარწმუნოებისანი - მართლმორწმუნენი და ურწმუნონი. ორივე ჯურისას ეშინიათ ალაჰისა. ურწმუნონი მუსულმანებს ემტერებიან, ეჩვევიან, სადილად ეპატიჟებიან. თუ სტუმარი ალაჰს ახსენებს, უთაქებენ და ჭკუაშეშლილი დარჩება. მხოლოდ ექიმი თუ გადაარჩენს. ერთმა დედაბერმა მიამბო: მამაჩემი მშვენიერი ცხენით ჩამოვიდა ქალაქიდან ჩვენს სოფელში. სასაფლაოს ჩაუარა, ერთ საფლავთან დედაბერი ტიროდა. ჩემს ტაბორს ჩამოვრჩიო. მამჩემმა ცხენზე შემოგისვამ, დავეწევითო. ცხენი ახლოს არ იკარებდა დედაბერს. შეისვა და ათი ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, ცხენმა ხრიალი იწყო, დედაბერი კი შვიდჯერ გაიზარდა. მიხვდა რაშიც იყო საქმე, მიაღწია სოფლამდე და უთხრა: – ძვირფასო, ხომ არ ჩამოხვალ,

ცხენს აღარ შეუძლია შენი ზიდვაო. – შენი ბედი, ძვირფასი მიწოდე, თორემ ნახავდი, რასაც გიზამდიო - უთხრა დედაბერმა.

მეორე მსგავსი ამბავი ერთმა სოფლელმა მიამბო: ერთი კარგი ცხენი გვყავდა. ყოველ ღამე გომში გაოფლილი მხვდებოდა. დავუდარაჯდი, ჯინი ჯდებოდა, ნემსი ვუჩხვლიტე, ველარ გაიქცა, დიდხანს გვემსახურებოდა. ჩვენი და მოატყუა - ნემსი ამოაძრობინა და მერე გაიქცა. ჯინები მიუვალ ადგილებში ბინადრობენ, უმეტესად ხეებქვეშ და წყლის პირას. თუმცა ყველგან გადაეყრება კაცი, მონასტრებისა და იმ ადგილებს გარდა, სადაც ყურანს კითხულობენ.

2. დევები (გვ. 105).

ბოროტ სულებს განეკუთვნებიან დევები. გიგანტური სიმაღლითა და აღნაგობით გამორჩეულნი. ზოგს 7 თავი და რქები აქვს. სხვებს კუდები აქვთ, ლახვარი უჭირავთ. არც ისე დიდი ხანია დევები მიჯაჭვულები არიან გამოქვაბულებში. ასე იმიტომ მოექცნენ, რომ ადამიანებს დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს. ადამიანებს შინაური ცხოველებივით ამუშავებდნენ. ქალაქ შუშასთან ერთ ადგილს უჩვენებენ, გამოქვანულ („მელიქ-შახნაზარ-კალმასი“), სადაც დევების დიდი ოჯახი ცხოვრობს. თითქოს იმ ჯაჭვების ხმებიც ისმის, რითაც ისინი არიან დაბმულებიო.

3. შაითანი (გვ. 105-106).

ყველაზე მთავარი ადგილი უკავია ბოროტ სულებს შორის. იგი ანგელოზი იყო, არ დაუჩოქა ადამს და გამოუშვეს ზეციდან. მან დაიფიცა ყველანაირად ევნო ადამიანებისათვის. აქედანაა შეხედულება, რომ ადამიანი ცოდვებს შაითანის ჩაგონებით სჩადის. თუ ვინმე კაცს მოკლავს, დამნაშავე შაითანია, რადგან მკვლელი მისი შეგონებით მოქმედებს. ყველანაირი ბოროტება მისი მონაწილეობით ხდება. მხოლოდ მკვდრებს არ ერჩის შაითანი.

4. ბუნების მოვლენები (გვ. 106).

ძლიერი ქარი - რაიმე უსამართლობის, დანაშაულის ნიშანია, მაგ. – მკვლელობის, გაუპატიურების, ან მორწმუნე, ღვთისნიერი ადამიანის წამებისა და ა. შ.

კომეტა - ეპიდემიის მომასწავებელია, ან სიძვირისა და სისხლისმღვრელი ომის.

მიწისძვრა - გადამდები ავადმოფობის მოსვლის, იგი შედეგია ოქროს ხარის მოძრაობისა, რომლის რქებზეც დგას დედამიწა.

მთვარის დაბნელება - უწმინდური სულები ეფარებიან მთვარეს, ხელებით გვიმალავენ. ვარსკვლავცვენა შველის. მოწყვეტილი ვარსკვლავები ანგელოზების ისრებია, რომლებსაც სტყორცნიან ბოროტ სულებს.

მზის დაბნელებაც იმავე მიზეზით ხდება.

გადაუღებელი წვიმა, თოვლი, სეტყვა - ღვთის რისხვის გამოხატულებაა.

სანთლის, სანათურის უეცარი ჩაქრობა ოჯახისათვის უბედურების მაცნეა.

5. ცეცხლი და წყალი (გვ. 106-107).

ცეცხლის ლანძღვა ან დაფიცება დიდი ცოდვაა. არ შეიძლება ცეცხლის წყლით ჩაქრობა, დედამიწაზე ყველა ხანძარი ჯოჯოხეთის ერთი ნაპერწკლიდანაა.

წყალიც წმინდაა. არ შეიძლება ტყუილი - უბრალოდ ძრახვა ან ქება. წყალი დედამიწაზე წარღვნის შემდეგ დარჩა. წარღვნამდე ერთ ადგილას იყო, თანდირის (ცომის გადასაკრავი, ტაშტის მაგვარი ჭურჭელი - თ. ჯ.) მაგვარი იყო; იქიდან ამოსულმა მთელი მსოფლიო დაფარა.

დამხრჩვალებზე ამბობენ, ისინი წყალს ლანძღავდნენ, აფურთხებდნენ და ამიტომაც გადაყლაპაო. წყალსაც და ცეცხლსაც თავთავიანთი „ჰარამები“ ჰყავს (სულები), რომლებიც უცოდველ ადამიანებს არ აძლევენ დახრჩობის ან დაწვის საშუალებას (ანუ იცავენ).

6. ცხოველეები, მწერები და ქვეწარმავლები (გვ. 107-109).

ძაღლი - ყველაზე უწინ გამოიცნობს რაიმე დაავადების ან უბედურების გაჩენას. როცა ყმუის, პატრონს აცნობებს და ზოგჯერ ეხმარება თავის გადარჩენაში.

მაიმუნი - თათრების რწმენით, მღებავის სახეცვალებაა. ეს მღებავი სახლიდან ლოცვის გარეშე გადიოდა და ამისათვის დაისაჯა.

დათვი მეწისქვილე იყო. ცხოველად არის ქცეული ხორბლისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო.

კატა მომდინარეობს ლომისაგან. ნოეს კიდობანში ლომმა დააცემინა და ნესტოდან კატა წამოვარდაო. ამით აიხსნება მათ შორის მსგავსება. კატები ხშირად გადაიქცევიან ჯინებად.

ერთ დროს ცნობილი არაბი სწავლულის შეიხ ბახუდინის მოსასმენად, სხვებთან ერთა, ერთი თეთრი კაცი დადიოდა. ერთხელ შეიხსა და მის მსმენელებს მოესმათ ხმა: საპამ! (ქალის სახელი) კატა ლამაზ ქალად გადაიქცა და სახლიდან გავიდა.

გველმა და ფუტკარმა ჰკითხეს მოციქულს რა ელოდათ. მოციქულმა უპასუხა, რომ გველს მუდამ ეტკინებოდა თავი, გველის ნაკბენით კაცი მოკვდება, გველი - გადარჩებაო, ფუტკრის ნაკბენით კი – გადარჩება, ხოლო თავად ფუტკარი მოკვდებაო.

თავის ტკივილის გამო გველი ხშირად ვერ იკბინება. ყველა ვალდებულია მოკლას გველი და დამარხოს, რადგან ძვლებიც შხამიანი აქვს.

გველებს თავიანთი მეფეები და მხედართმთავრები ჰყავთ. ხშირად ებრძვნიან ერთმანეთს. ომიანობისას არ ერჩიან ადამიანებს და ისინიც მორიდებით უნდა იყვნენ, პურმარილით უნდა დახვდნენ გველთა მეფეს, რომელიც თეთრი ფერით და თავზე ჯიღით გამოირჩევა.

ანკარა - იგივე გველია, დიდი მოთმინებით გამოირჩევა. ექვსჯერ თუ გააწამე, არაფერს დაგიშავებს, მეშვიდედ სასიკვდილოდ დაგგესლავს.

ხვლიკები გველს შხამით ამარაგებენ, ამიტომ არ უშლიან მათს ხოცვას. განსაკუთრებით ნებადართულია ბაყაყის მაგვარი ხვლიკების ხოცვა. ბაყაყებსა და ხვლიკებზე შემდეგი ლეგენდა არსებობს: როცა აბრაამის დაწვა უნდოდათ, ბაყაყებს პირით წყალი მიჰქონდათ, ცეცხლის ჩაქრობა უნდოდათ, ხვლიკები კი ცეცხლს უბერავდნენ. ერთმა ქალმა იკითხა, რას აკეთებთო? ბაყაყებმა უპასუხეს: – ჩვენ ცეცხლის ჩაქრობას ვცდილობთ, ხვლიკები - გაჩაღებასო. ან თქვენი ცდა და მათი განა რამის მომტანიაო? - თქვა დედაბერმა. – ჩვენც ვიცითო ეს, - უპასუხეს ბაყაყებმა, – მაგრამ ჩვენ მეგობრობას ვუჩვენებთ მოციქულს, ისინი კი - მტრობასო.

7. ფრინველები (გვ. 109-110).

ბუსა და მიკიოტის მოფრენა მოასწავებს ოჯახის წევრის სიკვდილს, განსაკუთრებით თუ ჩხავიან. მუგუზალის სროლით შეიძლება უბედურების თავიდან აცილება.

ყვავის ჩხავილი ასევე უბედურების მომასწავებელია. ხორცის ნაჭერს ესვრიან, რომ არ იჩხავლონ.

ჩხიკვი მაცნეა. ამიტომ ბავშვები და გასათხოვრები შეძახილებით ხვდებიან: „კეთილი ამბავი მოგვიტანე, ჩხიკვო“.

მამალი გამუდმებით თუ ყივის, სახლის პატრონს რაღაც უბედურებას ამცნობს. საჩქაროდ თავი უნდა წააცალონ, მოლას, ან რომელიმე ღატაკს გაუგზავნო.

მერცხალი წმინდა ფრინველია, იგი ყურანის ლექსებს მღერის. მისი მოფრენა სასარგებლოა.

მტრედების მოკვლა დაუშვებელია. ცოტა არ ყოფილა შემთხვევა, როცა დანა რომ აუღიათ მტრედის დასაკლავად, თვალებში ცრემლი ჩასდგომია.

8. ჰალ-ანასი (გვ. 110).

ბოროტი ასულია, გიგანტური ქალი ვეება ძუძუებით. მშობიაროზისას ყოველთვის იქაა და ზიანის მოტანას ცდილობს დედისა და ახალშობილისათვის. თუ მშობიარეს გული წაუვიდა, ჰალანასი დაეცაო და თოფებს ისვრიან მის დასაშინებლად. სახლის სულებიც ესწრებიან მშობიარობას, ზიანის მისაყენებლად, ან ახალშობილის შესაცვლელად. ამის თავიდან ასაცილებლად მშობიარეს თავზე ფაფახი ახურავს, ვითომ საწოლში მამაკაცია. ზოგჯერ ხმალს, ან ხანჯალს ჩაუდებენ, ახალაშობილს თავზე დაადებენ, ნამდვილი სახელის ნაცვლად **მარიამს**, ქალწულ მარიამს ეძახიან. ავი სულები **მარიამის** გაგონებაზე მშობიარეს ახლოს აღარ ეკარებიან.

9. სულების მიმართება ბავშვებისადმი (გვ. 110-111).

იმის გამო, რომ 12 წლამდე ბავშვები უცოდველნი არიან, ავი სულები მათ არ ერჩიან. იშვიათად აზიანებენ, ისიც მშობლებს უხდიან სამაგიეროს.

მტირალა ბავშვი სიკეთეს არ მოასწავებს. იგი უბედურების მაცნეა და ადრე კარგავს მშობლებს.

ბავშვები, რომლებიც ძილში ბევრს ლაპარაკობენ, ანგელოზებს ესაუბრებიან.

გოგო ბავშვებს ხშირად იყვარებენ ავი სულები, ასევე სახიფათო ცხოველები (მაგ. გველი და ა. შ.)

ბავშვების სიკვდილისას აზრაილი (სიკვდილის ანგელოზი) მიდის მათთან თანატოლის სახით და ვაშლს აძლევს. ამიტომ ეფინებათ ბავშვებს სახეზე ღიმილი სიკვდილის წინა.

10. ქორწილი (გვ. 111-112).

ნიშნობას და ჯვრისწერას „ბედნიერ საათს“ ამთხვევენ. პატარძალს მოსახვევს შემოარტყამენ ცხრაკეცად - 7 ვაჟი და ორი გოგო რომ გააჩინოს. მუხლებზე ამავე მიზნით ბიჭს დაუსვამენ. სიძის სახლში შესვლისას რკინას დაუგდებენ ფეხებ-

თან, რკინასავით მძიმე რომ იყოს. სიძე და პატარძალი გაცნობისთანავე ფეხის ფეხზე დადგმას ესწრაფიან, ვინც დაასწრებს, ის იუფროსებს. სიძე ფეხსაცმელებს გახდის პატარძალს, ჭვინტით თავისკენ დაალაგებს, პატარძალმა სახლიდან წასვლაზე რომ არ იფიქროს. ქორწილის წინ სიძე ყველა მტერს ურიგდება, რომ არ გათვალონ და ცოლთან არ გაუფუჭდეს ურთიერთობა. ფეხებთან (ან ფეხებზე) პატარძალს ფულს, ან ტკბილეუკლს უდებენ, სიძე აიღებს, ქისაში ჩაიდებს, ტკბილეულს კი შეჭამს, რომ პირი ტკბილი ჰქონდეს და კმაყოფილი იყოს თავის ბედით.

11. მკვდრები (გვ. 112-113).

თათრებს სწამთ, რომ მკვდარი გრძნობს განბანვას. მექისეს (მიურდაშირს, გასალს) ემუდარებიან სხეული ნელა გაუწმინდონ და ძალიან ცხელი წყალი არ ასხას. მკვდარს ყველფერი ესმის, რაც მის ირგვლივ ხდება, ვიდრე ყურებს ბამბით არ დაუცობენ. როცა მიასვენებენ, მიცვალებული საბოლოო სიტყვით ემშვიდობება. მიცვალებულები, რომლებიც სიცოცხლეში ბევრს სცოდავდნენ, საფლავებში ძაღლებად იქცევიან, ამოდიან საფლავებიდან და სასაფლაოებზე დაძრწიან. ხშირად ცოდვილთა საფლავიდან ამომავალს ალსაც ხედავენ.

VI. თათრული გადმოცემა იმაზე, რატომაა რუსულ სახელმწიფო გერბში ორთავიანი არწივი (გვ. 113).

მთქმელი: ასადი, გარიბ-ხანის შვილი. **ჩაწერილია**: ლენქორანის უეზდის სოფელ ტანგერუდში. **ჩამწერი:** ამიერკავკასიის საოსტატო სემინარიის II კლასის აღზრდილი **სურკოვი**.

ძველად ფრანგებს და რუსებს ომი ჰქონდათ. ფრანგებმა გაიმარჯვეს და რუსების დედაქალაქი უნდა აეღოთ. რუსმა მეფემ საბჭო მოიწვია. ბევრი ჭკვიანი, მამაცი და ერთგული მხედართმთავარი შეიყარა, მაგრამ ვერავინ მოიფიქრა, როგორ გადაერჩინათ სამშობლო. მეფემ გადაწყვიტა თვითონ ჩადგომოდა სათავეში ჯარს და გაემართა გადამწყვეტი ომი დედაქალაქის სიახლოვეს. გაიმართა ბრძოლა. ამ დროს რუსების თავზე ორთავიანი არწივი აფრინდა. გამამაცდნენ რუსები, გაიორმაგეს ძალა, ფრანგები შეშინდნენ და გაიქცნენ. ის არწივი ღმერთმა გაუგზავნა რუსებს. აი, ამიტომ აქვთ მათ გერბზე გამოსახული ორთავიანი არწივი.

VII. თქმულება ქოროღლისა (გვ. 121-126). ჩაწერილი სოფელ გაჯალარში, ჩამწერი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის III კლასის აღზრდილი **მირზა ველი ზადე.**

ცნობილი ყაჩაღი ქოროღლი მეჯოგის შვილი იყო. სახელოვანი ცხენი გირარტი (ყორანა) ის კვიცი იყო, მამამისმა თავის ბატონს რომ შეურჩია. კვიცი არ მოეწონა ხანს და მეჯოგეს თვალები დათხარა. აქედან დაერქვა სახელი ქოროღლი, ანუ ბრმის (უსინათლოს) შვილი.

მეჯოგის შვილმა კვიცი კარგად გაწვრთნა. ორ წელიწადში მშვენიერი ცხენი დადგა. ხანი მიხვდა შეცდომას, გირატის უკან დაბრუნება მოისურვა. ქოროღლიმ არ დაუთმო, მთებში გადაიხვეწა. ყველა უკმაყოფილო მის ირგვლივ შეგროვდა და 50 კაციანი ყაჩაღთა რაზმი შეადგინეს. მათში განსაკუთრებით ერთი იქცევდა ყურადღებას - **აივაზი**. ქოროღლიმ ხანის ქალიშვილი გაიტაცა. ხანი ვერას აღწევ-

და, ვერ ახერხებდა ყაჩაღების დასჯას. ყაჩაღები თავს მიუვალ მთებს აფარებდნენ თრიალეთის მთის წვეროებზე. ყაჩაღების რაოდენობა იზრდებოდა. ქარავნებსა და ვაჭრებს ძარცვავდნენ. ხანის რაზმებს ხოცავდნენ.

ქერ-ოღლი ცნობილია აგრეთვე ბალალაიკაზე დაკვრის ოსტატობითა და სიმღერით. ამიერკავკასიის თათრები ენთუზიაზმით მღერიან ქოროღლის მიერ შექმნილ სიმღერებს, დაწვრილებით მიანიშნებენ, რასთან დაკავშირებით შექმნა ქოროღლიმ ესა თუ ის სიმღერა. თუმცა ბევრი სიმღერის წარმომავლობა, რომლებსაც მას უკავშირებენ, გაურკვეველია და გამოუცნობი.

ავტორს სამი სიმღერის ტექსტი მოჰყავს ორიგინალის ენაზე, შესატყვისი რუსული თარგმანებით. ეს ტექსტები ხალხური სიმღერების ფრაგმენტებია ქოროღლის ცხოვრებისეულ ამბებზე.

VIII. ეთნოგრაფიული დღიურიდან.

ელისავეტპოლელი სომხებისა და თათრების **რწმენა-წარმოდგენებიდან.**

(სიჩებს) ჩვევათ აქვთ გადაძახილი, რაც ადგილობრივ სომხებსა და თათრებს ესმით როგორც „იპოვე“ და „ვერაო“. 1889 წ. 14 მაისს მათ კიდევ ერთხელ გაიაზრეს ეს მოვლენა. ღამის ფრინველების გადაძახილი. ერთი გადმოცემის მიხედვით ორი გლეხი ყანას ხნავდა. უღლიდან ხარი გაძვრა და გადაიკარგა. გლეხები დიდხანს ეძებდნენ, უძახოდნენ ერთმანეთს - იპოვნე? და-ვერაო. ბედისწერამ ისინი ჩიტებად გადააქცია. მეორე გადმოცემის თანახმად, ძმებმა დაკარგეს ერთი და ძებნის დროს ეძახოდნენ ერთმანეთს - იპოვე? და – ვერაო. ამაო ძებნის შემდეგ კი ჩიტებად იქცნენ.

სამ სხვა გადმოცემაში ბატკანი იკარგება და და-ძმა დაეძებს. ქართველებშიც გვხვდება მსგავსი გადმოცემებიო.

2. მზის გამოწვევა (128-130).

ა. იოკიმოვის პუბლიკაცია

1889 წლის 13 ივნისს წვიმიან ამინდში რამდენიმე მუსულმანი ბიჭი, ხმამაღლა ჯოხების დარტყმით გაიძახოდა თათრულ სოტყვებს. ერთმა თოჯინა მომიტანა და ჩემს კითხვებზე მიპასუხა, ეს **კოდუ** არის (მზე და მთვარე). ჩემს თხოვნაზე ბიჭმა გაიმეორა სიტყვები:

„კოდუ, კოდუ! ოო-კოდუ!
მოგვესალმე კოდუ?
რაკი აქედან, გაფრინდი, კოდუ?
არ გინახავს წითელი მზე?...
შავი ქათმის ფრთა?
ვინ დაარტყა, ვინ დათვალა?!...
ვიყავი მე გოგჩალში
ძაღლმა მიკბინა დუნდულაზე
ზეთი მომეცით, ვიზეთო,
თოკი მომეცით, დავაბა,
ვინც მომცემს, ბიჭი ეყოლოს,
ვინც არა - ბრმა გოგო ეყოლოს
და ისიც შუაზე გასკდეს.

ერთ ვარიანტში **დოდუს** ამბობენ. ალბათ ეს არის წარმართული ღვთაება, თოჯინა მისი გამოსახულება. მზეს მიემართება **კოდუც** და **დოდუც**.

X. ახბულახური ლეგენდები.

ახბულახი (თეთრიწყლები) თბილისიდან 55 ვერსტშია. ისტორიულად თემურ ლენგმა ააოხრა და დიდი ხნის შემდეგ აქ ქართველები, რუსები და ოსები დასახლდნენ. მათ თავიანთი ლეგენდები აქვთ. აქ ერთი ქვის სვეტია. გარშემო რიყის ქვები უწყვია. შესასვლელში ქვა გდია გამოსახულებით. არავინ იცის საიდან გაჩნდა ეს ქვა. ერთმა სომეხმა მოხუცმა მიამბო: ძველად აქ ქართველები ცხოვრობდნენ, ხეობის იქით კი – სომხები. მეგობრულად ცხოვრობდნენ, სარწმუნოებაც ერთი ჰქონდათ. ღმერთმა მათ მტრები მოუვლენა - ჯერ სპარსელები, მერე თურქები. მერმე მოვიდნენ თათები, ახლა ბორჩალო რომ დაიკავეს. ისინი არაფერს ინდობდნენ, ყველაფერი გაანადგურეს, მოსახლეობაც მოსპეს. ცოცხლად დარჩენილები ტყეებში იმალებოდნენ. ერთი მონასტერი გადარჩა. იქ ერთი მოყმე ბერი იყო, მეფის ვაჟი. ისეთი ძალა ჰქონდა, უმცროსი ძმა გაჭყლიტა და ვერც კი გაიგო. ერთხელ, ძილში ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: – დროა ცოდვები გამოისყიდო. მონასტერთან ტახტისათვის ვარგის ქვას ნახავ და წმინდა მთაზე აიტანეო. იქ კი საყდარი ამიგეო. ბერმა ყველაფერი ზუსტად შეასრულა. იქ, სადაც ქვაა, მაშინაც რამდენიმე ბერი იმყოფებოდა. ისინი სიხარულით შეხვდნენ მისულს, იქ დარჩენა ურჩიეს. დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა, დარჩა - ღმერთმა განსაჯოს, სწორად ვიქცევი, თუ – არაო. მოხდა სასწაული - ძალა დაკარგა, დაეცა და ქვა მის საფლავის ძეგლად იქცა. ბერებს ესმოდათ მისი მოთქმა-გოდება, იქაურობა მიატოვეს და გაიქცნენ. ათასი წელია წევს მოყმე ქვის ქვეშ, ტირის, ღმერთს შენდობას შესთხოვს. ყოველ წელს ქვის ირგვლივ უჩვეული სინათლე ჩნდება, მოფრინდება ანგელოზი და ტირის. ცრემლები ქვას ეცემა. ღმერთმა მოყმე იმიტომ დასაჯა, რომ არ შეასრულა მისი ნება. ქვა ყოველ წელს სულ უფრო ღრმად ჩადის მიწაში, როცა სულ ჩავა, ქვეყნიერების აღსასრულიც დადგება. გამოვა მოწამე მოყმე და აიტანს ქვას წმინდა მთაზე. ქვა ღმერთმა თავად შეარჩია თავისი ტახტისათვის. ქვა კი წმინდაა. ბევრი სასწაული მოუვლინა ამბობენ, ვინც გათხრის და მოყმეს ამოიყვანს, ღმერთი ხელებს გაუხმობსო.

ამ ქვასთან ზაფხულობით უამრავი მლოცველი მოდის ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხიდან, ლოცულობენ და სწამთ მისი სასწაულისა. მსგავსი ქვები იშვიათია, არაა ამ მხარეში.

სამშვილდესთან ერთი სომხური ეკლესიაა. ჩრდილოეთის მხრიდან ერთი დიდი ქვაა, წარწერა აქვს სხვადასხვა ენაზე მასზე ლოცულობენ. სამშვილდეში გაშვერილ კლდეზეც არის დიდი ქვების სვეტები. ამბობენ, რომ ოდესღაც მეფის სამი ვაჟი ცხოვრობდა - ძლიერები, ლამაზები და ჭკვიანები იყვნენ. მათ შორის უძლიერესის გამოსავლენად, მამამ შეჯიბრი მოაწყო. სამი ვეება ქვა აარჩია. ეს ქვები უნდა მიეტანათ მამის მიერ მითითებულ ადგილზე. დიდი ქვა უფროსმა წაიღო, უფრო მომცრო - შუათანამ, პატარა - უმცროსმა. ერთმანეთზე დააწყეს და სვეტად აღმართეს. მამის სიკვდილის შემდეგ ძმები გამეფდნენ. ამიტომ ეძახიან ამ მხარეს სამშვილდეს **(სამი შვილისას)**. გვიან მოსულებმა **სამიშვილი**, რაც სამ ვაჟს ნიშნავს, სამ მშვილდედ გადააკეთეს.

ჩამწერი: ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ვ. ტენცოვი.

XII. შაჰსუღების ხალხური სიტყვიერებიდან (გვ. 148-161)

ჩაწერილია: ყურბანის ოლქის ტემრიუკის განყოფილების აულ გრივენსკო-ჩერკეზსკოეში.

ჩამწერი: მასწავლებელი ა. კაიტმაზოვი

1. ადერმიკანი (გვ. 148-155).

ადერმიკანი ბესლანოვების – კნიაზისა და მოსამსახურის შვილი იყო. ბესლანოვები მას არ ცნობდნენ. ტამბიევებმა გაზარდეს. მან მხედრობის ასაკს მიაღწია. თავი ვერ გამოიჩინა. გაიგო, რომ უკანონო შვილი იყო და წავიდა სახლიდან. სტეპში ნაფეხურები ნახა, დაინტერესდა, ტყეში ერთ სახლს გადააწყდა, საიდანაც ბუმბერაზი გამოვიდა ხმლით ხელში. შეებრძოლა, მოკლა. ცოტა ხნის შემდეგ მეორე ბუმბერაზი გამოვიდა და ისიც მოკლა. ახლა იმ ორზე დიდი გამოვიდა და ისიც მოკლა. სახლში შევიდა. უამრავი ოქრო-ვერცხლი ნახა. გომურში სამი ულამაზესი ცხენი ება. დაბრუნდა თავის ამხანაგებთან, წაიყვანა, სიმდიდრე გაუნაწილა. თვითონ ერთი ფაშატი აირჩია - **ჟემანშარიკი**. ბესლანოველების ნახვა გადაწყვიტა. გზაში ნათესავი პცაფიცა შეხვდა, მას წაინადირეს. ადემირკანი არ მოეწონა, რადგან აჯობა. სიძის - კამბოლეტის ხელით გადაწყვიტა მისი თავიდან მოშორება. ნადირობისას სიძემ სძლია მას. ცხენმა ჟემანშიკარმა ვერ გადაარჩინა. ადემირკანი მოკვდა.

2. ცბიერი ქვრივი (გვ. 155-161).

ერთმა ჭაბუკმა სამასი მანეთი იშოვა და შესანახად მოლას მიაბარა. როცა ფული დასჭირდა და მოლას მიადგა: - ჩემი ფულიდან ხუთი მანეთი მომეციო. – აქედან დამეკარგე, რა ფულს მთხოვ, არაფერი მოგიციაო. წავიდა ჭაბუკი. მეზობლად ახალგაზრდა ქვრივი ცხოვრობდა, ჭაბუკი უყვარდა. გაიგო მისი ამბავი და დახმარებას დაპირდა: - 300 მიეცი და 600 მანეთს მიიღებო. მივიდა მოლასთან, ქმარი მექაში წავიდა, დიდი ხანია აღარ ჩანს. ზანდუკი მომაბარა. შიშით სახლიდან ვერ გავსულვარ, შენ უნდა მოგაბაროო. ამ დროს ჭაბუკიც შევიდა მათთან და უთხრა: მომეცი ჩემი მობარებული 600 მანეთიო. მოლამ მისცა 600 მანეთი, ქალთან პატიოსანი კაცის სახელი რომ ჰქონდა.

მოლამ ცოლს უამბო მომხდარი. ცოლმა დაამშვიდა. დამაცადე, 600 წაიღო, 900 მანეთს დაგიბრუნებსო. ძონძებში გაეხვა, ჭაბუკს შეხვდა, გადაეკიდა ჩემი ქმარი ხარო და სახლში წამიყვანეო. ჭაბუკს უჩივლა მოსამართლესთან. მოლას ცოლი საპატიოში 900 მანეთს ითხოვდა. ჭაბუკმა დაუბრუნა 600 მანეთი, რაც მოლასაგან წაიღო, დარჩენილი 300 მანეთი კი მოსამართლესთან სამი წლის მოჯამაგირეობით უნდა გადაეხადა.

მეზობელმა ქვრივმა რომ გაიგო ეს ამბავი, დაამშვიდა - 1200 მანეთს მიიღებო. მისი ეშმაკობით მართლაც, წაართვა ჭაბუკმა მოლას ცოლს 1200 მანეთი. – დამაცადეო, 1500 მანეთს გამოგცინცლავო, დაიმუქრა მოლას ცოლმა. ჭაბუკი გახარებული იყო, ქვრივიც შეირთო. გამდიდრდა, სახლკარი მოაწყო, საქონელი გაიჩინა, დუქანი გახსნა, ვაჭრობა დაიწყო. მახე დაუგეს, მაგრამ ჭკვიანმა ცოლმა ამჯერადაც იხსნა.

აქვე დაბეჭდილია **იმერული** ზღაპარები:

1. უნცროსელა (გვ. 162-167);
2. როსტომელა (გვ. 167-170);
ლეგენდები:
1. სოლომონ ბრძენი (გვ. 171-174);
2. თავადების, აზნაურებისა და გლეხების წარმომავლობა (გვ. 174);
3. ჯადოქრები (გვ. 174-180)
ჩამწერი: ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ვ. ლომინაძე (ქუთაისი, 1888).

აქვეა ბარალეთის სასოფლო სკოლის მასწავლებლის **ივანე სანაკოევის** მიერ ჩაწერილი **„ზღაპარი მეფე გველეშაპისა“** (გვ. 181-183).

XV. ელისავეტპოლის უეზდში სოფელ ბაიანში შეკრებილი ზღაპრები
1. მდინარის მაწანწალა (გვ. 184-189)

იყვნენ ერთი უშვილი მეფე და დედოფალი. ძალიან უნდოდათ მემკვიდრე, ყველაფერს აკეთებდნენ - ლოცულობდნენ, საბოძვარს გასცემდნენ, ამაოდ... ერთხელ ერთმა დერვიშმა სამი ვაშლი მისცა: – შეჭამოს დედოფალმა, დაორსულდება, ბიჭი ეყოლებაო. არ უჯერებდა მეფე. არც დედოფალი მიიჩნევდა მისთვის საკადრის საქციელად, მაგრამ მაინც დაიტოვეს. მეწველმა ძროხამ შეჭამა. ბიჭი გააჩინა. მეფემ იშვილა. ბავშვებმა თამაშში წამოაძახეს ძროხის შვილი ხარო. მეფემ დაამშვიდა - ჩემი შვილი ხარო. იგი ძლიერი და მარდი გაიზარდა.

მათ ქვეყანასა და დედამიწაზე კაციჭამია ბუმბერაზები დათარეშობდნენ. ერთი სშინელებით გამოირჩეოდა, მზეთუნახავი ჰყავდა დატყვევებული, უღრან ტყეში. ძროხის შვილმა მისი გათავისუფლება მოინდომა და მივიდა კაციჭამიას სახლში, მოკლა და წამოიყვანა ქალი. მისი სიკვდილით სხვა ბუმბერაზებმაც დაკარგეს ძალა.

ერთხელ ძროხის შვილი ერთ ბუმბერაზს გადაეყარა. დაიმეგობრა, თან გაიყოლა, მერე მეორე შეხვდა და ისიც მას გაჰყვა. ღამით გზაში შეისვენეს. ორნი სანადიროდ წავიდნენ, ერთი ბუმბერაზი საჭმლის კეთებას შეუდგა. კაციჭამია მივიდა, შეიპყრო ბუმბერაზი, მეორე დღეს მეორე დაიმორჩილა. ძროხის შვილმა მოკლა ის. იქ ორმოში ნახეს უსაზღვრო მიწისქვეშეთი. მოკლული კაციჭამიას პალატებიდან სამი ულამაზესი ქალწული იხსნა, თოკით მიწისზედეთში ააყვანინა ამხანაგებს. მათ უღალატეს, მიწისქვეშეთში ჩატოვეს. იქ მას ბევრი ფათერაკი გადახდა: მოკლა მხეცი, წყალი მისცა ხალხს, უარი თქვა უამრავ სიმდიდრეზე, ჩიტმა „სინამარაკამ“ კი ამოიყვანა მიწისქვეშეთიდან. მივიდა ამხანაგებთან, ყველაფერი უამბო, მათი ღალატიც უხსენა, წაიყვანა ლამაზმანები და დაბრუნდა სახლში.

3. მესროპი და მისი ბრძენი მსახური (გვ. 199-207).

ოდეღსაც ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, ერთი შვილი ჰყავდა, მესროპი ერქვა. როცა გაიზარდა, მამამ გამოსცადა: 200 ოქრო მისცა, უცხო ქალაქში საქმის წამოწყება დაავალა. უცხო ქალაქში ერთი კაცი ნახა, მკვდარს მიათრევდა თოკით, რომელსაც 160 ოქრო ემართა: – ისე გამამწარა, ამოვთხარე და ასე დავათრევო. მესროპმა მისცა 160 ოქრო, დანარჩენიც მის დამარხვას მოახმარა და სახლში დაბრუნდა. ყველაფერი უამბო მამას. – კეთილი საქმე გიქნიაო, - უთხრა მამამ. გავიდა ხანი, დაბერდა მამა, იხმო შვილი, უთხრა: – ერთგული მსახური დაგჭირდება.

მომიყვანე, გეტყვი, გამოგადგება თუ არაო. მამის რჩევით შეარჩია მსახური, 10 ოქრო გასამრჯელოდ დაუნიშნა. მესროპმა წვრილ ვაჭრობას მიჰყო ხელი, მსახური ეხმარებოდა.

ერთხელაც ბლომად საქონელი აჰკიდა სახედრებს და უცხო მხარეს გაემართა სავაჭროდ. გზაში ერთ სოფელში ერთი გლეხის სახლში გაათენეს ღამე. განაგრძეს გზა, ახლა ტყეში, ერთ სახლში შეისვენეს. იქ ორი მზეთუნახავი დახვდათ, ორ კაციჭამიას ჰყავდათ დატყვევებული. მსახურმა დახოცა 7 და 9 თავა კაციჭამიები. გზას გაუდგნენ.

დიდ ქალაქში ჩავიდნენ. მესროპმა დუქანი გახსნა და ვაჭრობა დაიწყო. იქაურმა მეფემ მიიპატიჟა, მუნჯი ასულის განკურვნა დაავალა. მსახურის დახმარებით მესროპმა ნადიმზე აამეტყველა მეფის ასული ჯადოსნური ხალიჩის დახმარებით, რომელიც ხუროს, თერძისა და ბერის ამბავს მოყვა და იკითხა: – ვის ეკუთვნის მათი შექმნილი ასულიო. მეფის ასულმა ხმა ამოიღო, ალაპარაკდა. მესროპი უხვად დააჯილდოვეს. გავიდა დიდი ხანი. მსახურმა შეახსენა, სახლში დაბრუნების დროაო. აჰკიდეს ჯორებს საქონელი და გაუდგნენ გზას. გზაში იმ ტყეში შეჩერდნენ, სადაც ლამაზები დატოვეს. მსახურმა სიმდიდრე და ქალწულები მესროპს მიუყვანა. წამოვიდნენ და დაბრუნდნენ სამშობლოში. მესროპმა ქონება შუაზე გაყო. გასაყოფი მეფის მუნჯი ასული დარჩა. მსახურმა: - შუაზე გავყოთო! მესროპმა: - შევაფასოთ, ერთს მისი საფასური ფული დარჩეს, მეორეს - მეფის ასულიო. მსახური არ დაეთანხმა, შუაზე გავჭრათო, ხმალი დაუქნია. შეშინებულ ქალწულს პირიდან გველი წავარდა და ალაპარაკდა. მსახურმა მესროპს დაუტოვა ლამაზმანები, ქონება და გამოეთხოვა. იგი ის მკვდარი აღმოჩნდა, ვინც მესროპმა გამოისყიდა.

4. ადამიანის თავების მინარეთი (გვ. 207-210).

იყო ერთი მამაცი რაინდი, ერთი შვილი ჰყავდა - მარკოზი. ხელგაშლილად ცხოვრობდა და გაფლანგა მამისეული ქონება. სამი ოქროღა დარჩა. მიატოვა ფეხმძიმე ცოლი და გაუდგა გზას. გზაში ერთ თეთრწვერა მოხუცს გადაეყარა. იგი ბრძნულ რჩევებს ჰყიდდა. გაუკვირდა და მაინც იყიდა ერთი რჩევა ერთ ოქროდ: გზაში არ წახვიდე ღამითო. მარკოზმა მეორე რჩევაც იყიდა: სტუმრად თუ ბევრი მოგართვეს, არ თქვა, რა საჭიროა ამდენიო. მესამეც იყიდა: ვიდრე თოფს ჩახმახს გამოჰკრავ, კარგად დაუკვირდი, რას ესვრიო. მარკოზს არც მესამე რჩევა მოეწონა, ისედაც ვიცოდიო. გამთენიისას მარკოზი გზას გაუდგა. უღელტეხილზე თავისი წინწასული ამხანაგები ნახა გაყინულები. ერთ ქალაქში ჩავიდა, ადამიანის თავებით ნაგები მინარეთი ნახა. იქაურმა მეფემ ისტუმრა. 12 ჭიქა ჩაი მიართვეს. უნდოდა ეთქვა ამდენი რა საჭიროა, გაახსენდა მეორე რჩევა, გაჩუმდა. მერე საუზმე მიართვეს, საუკეთესო ტანსაცმელები, ნუგბარი, მარკოზს ხმა არ ამოუღია. მეორე დღეს მეფეს გამოემშვიდობა, ჰკითხა: – რა მინარეთია და რა თავებიო? ჩემი სტუმრებისააო, – უთხრა მეფემ. ვმასპინძლობდი, ისინი კი, მადლობის მაგიერ, ჭკუას მარიგებდნენ, ტყუილად ირჯები ჩვენთვისო. მეფემ ორი ჯორი აჩუქა, ძვირფასი საქონლით დატვირთული, ოქროც მისცა და გაისტუმრა.

მარკოზი სახლში რომ დაბრუნდა, შორიდან დაინახა, მისი ცოლი ტახტზე იჯდა, ახალგაზრდა კაცს კი თავი ჩაედო კალთაში. მარკოზს თოფის სროლა მოუნ-

და, მესამე რჩევა მოაგონდა, გადაიფიქრა. მივიდა სახლში და ვაჟი მისი შვილი აღმოჩნდა.

ჩამწერი: კასრების ოსტატი პ. ტონიევი, ელისავეტპოლი, 1889 წელი.

СМОМПК, 21.

ამ გამოშვებას დართული აქვს წინასიტყვაობა, სადაც მიმოხილულია და აღწერილი და დახასიათებულია დაბეჭდილი მასალა. მათ შორის მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ტექსტები:

ხუთი ზღაპარი ყუბანსმიღმა **ყაბარდოელებისა,** შვიდი - ხაკჩინელი **ადიღეელების** და ერთი **აბაზური** სიმღერა; აქვეა აზერბაიჯანელი თათრების, ყირგიზების, მთიელი თათრების, ქართველების, სომხებისა და ბერძნების ზღაპრები.

ადიღეურის გარდა, ყველა ზღაპარი ჩაწერილია ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილების მიერ.

თათრული ზღაპრების მიმოხილვა:

1. ზღაპარი **„ბუმბერაზი ჰასანი“** (ჩამწერი აბდულ-ქერიმ ველიბეკოვი) აგებულია მზეთუნახავის მოტაცებისა და ტყვეობიდან გათავისუფლების მოტივზე. მიმოხილულია ამ მოტივის გავრცელების არეალი, ინტენსიობა, პოპულარობა, წარმოდგელია შინაარსის განხილვა-ანალიზი (გვ. 3-7);

2. ზღაპარი **„მეფის ვაჟი ასლანი და დევი“** (ჩამწერი ა. ს. ბაშიბაიაზოვი) აგებულია გამყიდველი დედის და გამოგონილი სნეულების მოტივზე, რომელიც გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. ისევეა განხილული, როგორც წინა ტექსტი (გვ. 7-8);

3. **„მოღალატე ცოლი და ერთგული პატარძალი“** (ჩამწერი აგალარ კიასბეკოვი) გატარებულია აზრი, რომ ყველა ქალის ერთ ტაფაში მოქცევა-განსჯა არ შეიძლება: არიან მოღალატე ცოლებიც, ერთგული პატარძლებიც. გაანალიზებულია ამ მოტივის ზღაპრების ტექსტები (გვ. 8-9).

4. **„ორი ძმისა“** (ჩამწერი ი. მურადოვი) აგებულია ქალის კაცად გადაქცევის მოტივზე, რომელიც ჩამოჰგავს იმერულ ზღაპარს, „მეფის მოახლის ქალიშვილის შესახებ“. მიმოხილული და გაანალიზებულია ეს ტექსტები (გვ. 9-12);

5. **„პატამ-ღარიბი“** (ჩამწერი ა. კ. ეფენდიევი) შეიცავს რამდენიმე მოტივს: ღარიბის უეცარი გამდიდრების; ადგილისა და ტანსაცმლის შენაცვლების მოტივებს; ასევე წარმოდგენილია მსგავსი მოტივების ზღაპრების მიმოხილვა (გვ. 12-16);

6. **„წმინდა თევზი“** (ჩამწერი ა. კიასბეკოვი) - მსგავსიაო თათრული ზღაპრესა: „ფერადი თევზი“, მეგრული „ლამაზი თევზი“ და თურქმენული „ოქროს თევზი“. მაქციაობის მოტივის შემცველია. გაანალიზებულია ეპიზოდების მიხედვით (გვ. 16-18);

7. **„ჰუსეინ ბუმბერაზი“** (ჩამწერი მ. მურადოვი) ღარიბის მიერ მდიდარი კაცის ქალიშვილის ხელის ძიების მოტივი (გვ. 18-19);

8. **„ორი ძმის - შაკურისა და შაკურატისა“** (ჩამწერი მ. კებტაევ-ტაშეკენოვი), აგებულია ავი დედინაცვლის გერებისადმი სიძულვილის მოტივზე. მიმოხილული და გაანალიზებულია ზღაპრის ტექსტი, მსგავსი ტექსტები და თავისებურებები (გვ. 19-22);

9. **„ბუბბერაზი უცემეი, ეცეის ვაჟი“** (ჩამწერი ა. ბოტაშევი) - **ბალყარული** თქმულება, ნართების თქმულების რიგის ტექსტი. ეს ტექსტიც მიმოხილულია გავრცელების, აგებულების თვალსაზრისით (გვ. 20-24);

ამას მოჰყვება **ქართული** ზღაპრების დახასიათება.

1. **„აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეფეებისა“** (ჩამწერი პ. როსტომოვი), მახვილგონივრულობაში შეჯიბრის მოტივისა. ეჯიბრებიან მეფეები, დასავლეთის მეფეს დაეხმარება ბიჭი და გაამარჯვებინებს. მიმოხილულია მოტივის გავრცელების არეალი, მსგავსი ტექსტები;

2. **„ცხენისწყლის სახელწოდების შესახებ“** (ჩამწერი ა. ციგალი), თქმულებაში ხალხური ეტიმოლოგიის ანალიზი-მიმოხილვაა (გვ. 24);

3. თქმულება **„ამირანზე“** (ჩამწერი ა. თოიძე), მიჯაჭვისა და ტრაგიკული აღსასრულის მოტივი. მიმოხილულია მოტივის გავრცელების არეალი, კავშირი პრომეთეს მითთან, დასახელებულია არსებული ბერძნული წყაროები, ამირანის სახელის შესაძლო წარმომავლობა და ა. შ. (გვ. 24-26);

4. თქმულება **„თუშების ალვანში დასახლების შესახებ“** (ჩამწერი ა. თოიძე) - წინასიტყვაობის ავტორისათვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მოაგონებს ალვანელ ხალხს, რომლებიც უკვე გადაშენდნენო (გვ. 26);

ასევე მიმოხილულია გ. ჯაფარიძის სტატია „რაჭველების სახალხო დღესასწაულები და რწმენა-წარმოდგენები“ (გვ. 27-28).

5. **„მეფე-მწყემსი“** - **სომხური** ზღაპარი (ჩამწერი ს. ტაბაგიანცი), მწყემსს მიეწერება სოლომონის სიბრძნე. მითითებულია ამ ზღაპრის სხვა სომხურ ზღაპართან კავშირი (გვ. 26);

6. სომხური მოთხრობა **„სამი თვე“** (ჩამწერი ა. ბაბალიანი) ცხოვრებისეული დაკვირვებების მოტივია. მეფე აფასებს მტრების სამ თავს და მოაზროვნეს ანიჭებს უპირატესობას.

7. სომხური გადმოცემა **„მომლოცველი“** (ჩამწერი ა. მირზოევი) ქრისტიანული ეთიკის ზოგიერთი დებულების გააზრების მოტივია (გვ. 26);

8. სომხური ლეგენდა **„გამოსყიდვის გმირობა“** (ჩამწერი ა. ბაბაიანოვი), ზნეობრივი სრულქმნილობის მოტივია (გვ. 27);

9. **ბერძნული** ზღაპარი **„სამი დარიგება“** (ჩამწერი ფ. სტამბოლიევი) სამი რჩევა-დარიგების მოტივზე აგებული ტექსტია, მიმოხილული და გაანალიზებული ფოლკლორული მასალა (გვ. 27).

ლ. ლოპოტინსკი მისთვის ჩვეული პრინციპით მიმოიხილავს ამ კრებულში დაბეჭდილ ზღაპრებს **(ადიღეურ ენაზე)**, რომელთა ჩამწერია პაგო ტამბიევი.

1. **„მამის მეგობრები“** (ჩამწერი პ. ტამბიევი) მეგობრობის იდეის ურყევობის მოტივზეა აგებული (გვ. 29);

2. **„სამი კეთილი რჩევა“**, აგებულია რჩევა-დარიგების მოტივზე, ლ. ლოპატინსკი მისთვის ჩვეული პრინციპით მიმოიხილავს ამ ტექსტს (გვ. 28-29);

3. **„საცოდავი მაწანწალა ერთი დაკვრით ათასზე მეტს მოკლავს“** - ზღაპარი ხალხური იუმორის მოტივზეა. ვრცელი ფოლკლორული მასალაა მოხმობილ-მიმოხილული (გვ. 29-31);

4. **„ნარუნი-არვიცია“** - ფართოდ გავრცელებული ზღაპარია მცნობის მოტივზე. ლ. ლოპოტინსკი ვრცლად აანალიზებს ამ ზღაპრის გავრცელების საზღვრებს, მსგავსება-განსხვავებებს სიუჟეტის მხრივ და ა. შ. (გვ. (32-35);

5. **„ბუმბერაზის აღზრდილი“** - ორიგინალური ზღაპარი თავისი დეტალებით, აგებულია ჯადოსნური დაფეხმძიმების მოტივზე. მიმოხილულია და გაანალიზებულია მრავალფეროვანი ფოლკლორული მასალა და ამ ზღაპრის სტრუქტურა (გვ. 35-37);

6. **„ხაკუჩინელი მარშანოვი და ეშმაკი“** - ღმერთის მიერ მეხით ეშმაკისა და სხვათა დასჯის მოტივია. ახლავს ლ. ლოპატინსკის მიმოხიოლლვა (გვ. XXXVIII);

7. გადმოცემა **„ტყაშაგის ტყეზე“** შეიცავს წმინდა ჭალებისა და მსხვერპლშეწირვის მოტივს (გვ. 38);

8. **„ბრძოლა გველეშაპთან“** შეიცავს ჭაბუკის გველეშაპთან ბრძოლოს მოტივს (გვ. 38);

9. მოთხრობა **„მტრის ლაშქარი და უსინათლო“** მიჩნეულია ხალხური ანეკდოტის ნიმუშად, რომელსაც ისტორიული ქვეტექსტი აქვს (გვ. 37-38);

10. **„ყოჩაღი-ჯაფერიმი“** - მეგობრობისადმი უსაზღვრო თავდადების მოტივზე აგებული ზღაპარია (გვ. 38);

11. ბილინა **„წშოვ ბატინიკო“** – ყაბარდოული ბილინის „პში ბატინოკოს“ ვარიანტი. ლ. ლოპოტინსკი ვრცლად მიმოიხილავს ბილინასთან დაკავშირებულ ფოლკლორულ მასალას და აანალიზებს თავად ბილინის ტექსტს (გვ. 38-39).

აქვე მიმოიხილავს **ადიღეური** ტექსტების თანმხლებ განმარტებით ლექსიკონს (გვ. 39). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ დართული ზღაპართა მოტივების საძიებელი (გვ. 41-42), ასევე სახელთა საძიებელი (გვ. 42).

1. **„ბუმბერაზი ჰასანი“** (გვ. 1-9) თათრული ზღაპარი.

ერთ კაცს ქალ-ვაჟი ჰყავდა და დევმა წაართვა. ორი წლის შემდეგ კიდევ შეეძინა შვილი, ჰასანი დაარქვეს. მან ქურდობა დაიწყო. ერთხელ დედამ უთხრა დამის ამბავი. ჰასანი მათ საძებრად გაემართა, მიაღწია დევის სამყოფლამდე. იქ დახვდა და. მან აცნობა ჰასანს, რომ ძმა ჯადოქარმა სახედრად გადააქცია. ამ დროს დევიც დაბრუნდა, იკითხა ჰასანზე: - ვინ არისო. ჰასანმა მოკლა დევი და და-ძმა სახლში წაიყვანა. ბოროტმა ძმამ ჰასანი მოეკლათ. ფათერაკებს გადაჰყარა. ჰასანმა მოკლა ბოროტი ძმა. დედამ მეფესთან უჩივლა, მეფემ ჰასანა ტყეში გაგზავნა - მხეცები დაგლეჯენო. ჰასანმა მხეცები (ლომები) დახოცა, აღა-ქერიმს სძლია, ბევრი დაბრკოლება გადალახა, მშვენიერი ქალიშვილი შეირთო და ბედნიერად ცხოვრობდა. ჩაწერილია ელისავეტპოლის გუბერნიის შუშის უეზდის სოფელ აგდამში აბდულ-ქერიმ ველიბეკოვის მიერ.

2. **„მეფის ვაჟი ასლანი და დევი“** (გვ. 9-12).

იყო ერთი მეფე-დედოფალი. დიდი ღონის ვაჟი ჰყავდათ, ასლანი (ლომი) დაარქვეს. ერთ დღეს მეფემ რაღაცის გამო ცოლის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ასლანმა დედა გააპარა, დევების ქვეყანაში, რომლებსაც ლამაზი და ჰყავდათ. დევს მეფის ცოლყოფილი შეუყვარდა, შვილი დასაღუპავადაც კი გაიმეტა. საშიშ დავალებებს აძლევდა, რათა დაღუპულიყო. ასლანმა ყველა დავალება შეასრულა. მოკლა დედაც, დევიც და დაბრუნდა სახლში.

ჩაწერა ა. ს. გაშიბაიაზოვმა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის სოფელ ბესთაშენში..

3. **„მოღალატე ცოლი და ერთგული პატარძალი“** (გვ. 12-17). **თათრული** ზღაპარი ჩაწერილი ელისავეტპოლის გუბერნიის ქ. ყაზანში აგალარომ კიასბეკოვის მიერ.

ერთხელ გადაცმულმა შაჰ-აბასმა, ვეზირის თანხლებით, თეირანი შემოიარა იმის გასაგებად, ვინ როგორ იქცეოდა. ერთი სახლიდან ცოლ-ქმრის საუბარი მოესმა: ცოლი შესჩიოდა უშენოდ ვიტანჯებიო. მითხარი, ხომ არ გადამიყვარე, მაშინ ჯობს მომკლაო. შაჰმა ქალის გამოცდა გადაწყვიტა. დედაბერი მიუგზავნა. მისი რჩევით ქალმა მოკლა ქმარი. შახმა კარზე სისხლინი ბეჭედი აღბეჭდა, რათა გამოეცნოთ სახლი, სადაც მკვლელობა მოხდა. ქალმა სხვა სახლებსაც დაადო ისეთივე ბეჭედი და ვერ აღმოაჩინეს მისი სახლი. შაჰი თურქესტანში წავიდა, ვეზირს კი ყველა ქალის მოკვლა დაავალა. ბრძანება არ შეასრულეს. ხანის (ვეზირის) მამამ შაჰს უთხრა, რომ ერთი ქალის გულისათვის არ შეიძლებოდა ყველას დახოცვა. მან უამბო შაჰს ერთგული პატარძლის ამბავი, რომელმაც მოკლა მისი საქმრო. შაჰ აბასი შესძრა ამ ქალის ამბავმა და ვეზირიც და მისი ასწელს მიღწეული მამაც დააჯილდოვა.

4. **ორი ძმისა** (გვ. 18-26). **თათრული** ზღაპარი. ჩაწერილი ყაზახის მაზრის სოფელ დაგკესამანში ისრაფილ მურადოვას მიერ.

ერთ ქვეყანაში ორი მეზობელი მეგობრობდა. ადრე მდიდრები იყვნენე, მერე გაღარიბდნენ. გაყიდეს ქონება, ფული ცოლებს დაუტოვეს და საშოვარზე წავიდნენ. გზაგასაყარი შეხვდათ. ერთი აღმოსავლეთისაკენ წავიდა, მეორე - დასავლეთისაკენ. თუ გამოუვიდოდათ რამე, იქ უნდა დარჩენილიყვნენ და ექორწინათ, მერე შვილები დაექორწინებინათ. ერთი აღმოსავლეთში გამეფდა, მეორე დასავლეთში. გავიდა წლები, ორივე დაქორწინდა. აღმოსავლეთის მეფის ქალიშვილი ეყოლა - ლეილა, დასავლეთისას - სამი გოგო. აღმოსავლეთის მეფემ შეუთვალა შვილი გამომიგზავნე სასიძოდო. უმცროსი ქალიშვილი ჩავიდა, გადაცმული ვაჟურად. ყველას მოეწონა „ვაჟკაცი“. დაზე ვერ დავქორწინდებიო - განაცხადა მან, ლეილას გულს შემოეყარა. მას ლომის რძე თუ უშველიდა. „ჭაბუკი“ გაემგზავრა რძის საშოვნელად. მან იშოვნა, მიუტანა, მაგრამ რძემ ვერ უშველა. ახლა ზღვის კვიცის ღვიძლი უშველისო. მიუტანეს, მაგრამ არც ამან უშველა. ჯადოქარმა ბებერმა სასიძოს დაღუპვის მიზნით ის გაიტყუა ოქროს ვაშლების მოსაპოვებლად, რომლებითაც მორჩებოდა ლეილა. მან მოკლა ბებერი, ბევრი დაბრკოლება გადალახა. ღმერთმა იგი მამაკაცად გადააქცია, დაბრუნდა და იქორწინა ლეილაზე.

5. **„პატამ-ღარიბი“**, თათრული ზღაპარი (გვ. 27-51), ჩაწერილია ბაქოს გუბერნიის ქ. შემახაში აბდულ-ყანი ეფენდიევის მიერ.

ძველად დამასკოში ცხოვრობდა ღარიბი კაცი პატამი. ზაფხულობით ქუჩაში ეძინა, ზამთარი რომ დადგა, მიწური გათხარა, იქ 7 ქოთანი იპოვა, ოქროთო სავსე. ქალაქში ყველაზე უკეთესი შენობა ააგებინა, ყველას უკვირდა მისი სიმდიდრე. მდიდარი ვაჭრის ქალიშვილი შეირთო. ერთხელ დერვიში მიადგა, მისცა საბოძვარი. დერვიშმა მას უამბო თავისი ამბავი, ასევე დიარბექირში მცხოვრები კა-

ცისა, რომელიც გულუხვობით აღემატებოდა პატამს. პატამმა იმ კაცის გაცნობა მოიწადინა. დერვიშს ტანისამოსი გადაუცვალა, ქონების განმკარგველად დატოვა და წავიდა. ჩავიდა იმ კაცთან, შეუერთდა მათხოვრებს, მიირთვა ფლავი ოქროს თეფშიდან, ჭურჭლის გაყოფისას ოქროს სახურავი შეხვდა. მასპინძელს - ფერხადთან დარჩა ღამის გასათევად და სთხოვა ეამბნა ამდენი ოქროს შოვნის ამბავი. მან კი პირობად წაუყენა ჯერ მდიდარი ვაჭრის ზოხაკის ამბის გაგება.

პატამმა მოძებნა ზოხაკი და თავისი ამბის მოყოლა სთხოვა. მან კი ისკანდერის ისტორიის გაგება წაუყენა. მან გაიგო ისკანდერის ამბავი - რკინის ცეცხლის დნობისა და სასაფლაოზე ტირილის ამბავი. პატამს უკვე დაბრუნება შეეძლო, მაგრამ ბოლომდე გადაწყვიტა ამბის გარკვევა და პატამმა მოძებნა ისკანდერი. იმან უთხრა, ჯერ საჭმელს გემო გაუსინჯე, მერე გაიმბობო და მოუთხრო თავისი თავგდასავალი. პატამმა ძლიერ განიცადა მისი ამბავი. დაბრუნდა და პირობისამებრ დანარჩენების ამბებიც გაიგო. მადლობა გადაუხადა ზოხაკსაც, ამცნო ფერხადს. იმანაც უამბო თავისი ამბავი. პატამი მიხვდა, რომ ხელმომჭირნედ თუ არ მოიქცეოდა, ისევ გაღარიბდებოდა. ასეც მოიქცა და სიკვდილამდე დარჩა ქველმოქმედად.

6. **„წმინდა თევზი“,** თათრული ზღაპარი (გვ. 51-56), ჩაწერილი ელისავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრის სოფელ აკგეკნატში აგალა-ტრომ კიასბეკოვის მიერ.

უხსოვარ დროს ეგვიპტეში ცხოვრობდა ერთი მეთევზე. ნილოსში თევზს იჭერდა და ყიდდა. ერთხელ სათევზაოდ წაიყვანა თავისი 15 წლის შვილი ჯამალ-ედდინი. ერთი ულამაზესი თევზი დაიჭირა, შვილს მისცა მაგრად გეჭიროსო. ბიჭმა გაუშვა. მამა გაბრაზდა და გააგდო - თვალით აღარ დამენახოო. მდინარის პირას შეხვდა იბრაგიმი და მასთან ერთად ჩინეთში გაემგზავრა. იბრაგიმი ექიმი იყო. მეფის ასული განკურნა, პირობისამებრ მისი ხელი ითხოვა, უარი მიიღო. მეორე იმპერატორმა მისცა ქალი. წაიყვანა ცოლი და ჯამალ-ედდინთან ერთად დაბრუნდა სამშობლოში. გზაში შეჩერდნენ, ქალის გასაყოფად იბრაგიმმა ხმალი მოუქნა, შეშინებულ მეფის ასულს პირიდან ხვლიკი წამოვარდა, მორჩა. იბრაგიმმა ქალი ჯამალ-ედდინს დაუტოვა, დამოძღვრა და გაქრა. გავიდა ხანი, ჯამალ-ედდინი ოჯახთან ერთად ჩინეთში წავიდა და იქ გამეფდა.

7. **„ოქროს თევზი“** - თათრული ზღაპარი (გვ. 57-60), ჩაწერილი სამედ აჯალოვის მიერ.

უხსოვარ დროს ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი მეფე. ის ავად გახდა, ვერავიდნ შველოდა. – ზღვაში ოქროს თევზია, ის უშველისო, - უთხრეს. მეფის ვაჟმა დაიჭირა ეს თევზი, მაგრამ შეეცოდა და გაუშვა. მამამ გაიგო და შვილი სახლიდან გააგდო, რჩევაც მისცა - ამხანაგად ისეთი ვინმე დაიყენე, ვინც ყველაფერს შუაზე გაყოფსო. ბევრი იარა, იშოვა ამხანაგი. მან სადილის დროს ყველაზე დიდი ნაწილი აიღო. მეფის ვაჟმა იგი მიატოვა. ახალი ამხანაგი გაიჩნა - ახმედი. ოქროს ხელი ჰქონდა. მის ნაკეთობებს მეფის ვაჟი ჰყიდდა. მან აივანზე მეფის ასული დაინახა, შეეცადა მის ალაპარაკებას, ვერ შეძლო და დასაჯეს. ახმედმა დაიქადნა, მე ავალაპარაკებ და ცოლადაც შევირთავო. მივიდა მის სამყოფელში, ბალიშს გაუბა საუბარი, ასე ჩაითრია საუბარში მეფის ასულიც, ახმედი სიძედ გამოაცხადეს. ახმედმა პირობის თანახმად მეფის ასულის შუაზე გაყოფა გადაწყვიტა, ხეზე თავ-

დაყირა დაკიდა. შიშით ქალმა აღებინა, გველი გადმოვარდა პირიდან, აი, ვინ უშლიდაო ქალს ლაპარაკს. ახლა მითხარიო - მიმართა მეფის ვაჟს - მიცანით თუ არაო? მეს ის ოქროს თევზი ვარო. წამალიც მისცა მამამისისათვის. მეფის ვაჟი ცოლთან ერთად დაბრუნდა, მამაც მოარჩინა, რომელიც დიდხანს მეფობდა, მისი სიკვდილის შემდეგ კი თვითონ გამეფდა.

8. **„ბუმბერაზი ჰუსეინი“** - თათრული ზღაპარი, (გვ. 60-68), ჩაწერილია ელისავეტპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრის სოფელ დაგკესამანში მერხალი მურადოვის მიერ.

შაჰ აბასის დროს ცხოვრობდა ბუმბერაზი ჰუსეინი. ქურთი იყო ის, სოფლელი. ერთ დღეს მამასახლისის გოგო იხილა, აენთო და ცოლად ითხოვა. მამასახლისმა 50 ითხოვა. ჰუსეინმა მიატოვა მწყემსობა და ფულის საშოვნელად ქალაქს მიაშურა. დუქანში შევიდა, დააპურეს, შეშის დაჭრა დაავალეს. მოჯამაგირედ აიყვანეს. იმ ქალაქში ერთი ფალავანი ჩავიდა, ჭიდილში იწვევდა იქაურებს. ჰუსეინიც მივიდა ხალხთან ერთად, ჰუსეინი რომ დაინახა, ფალავანი შეცბა. იჭიდავეს და ვერც ერთმა აჯობა. მეორე დღეს კვლავ შეებნენ ერთმანეთს, ამჯერად ხმლებით. ჰუსეინმა მეტოქეს თავი წააცალა და იყვირა: – ან სხვა გამოიყვანეთ, ან ფული მომეცითო. ჰუსეინმა სხვა ფალავანიც დაამარცხა. მისი ძალა შაჰ აბასმა გამოსცადა, გმირობების ჩადენა დაავალა. ჰუსეინმა უამრავი სიძნელე გადალახა, გაიმარჯვა. შაჰ აბასმა ჰუსეინი თავის მოადგილედ დანიშნა.

9. **„ორი ძმის - შაკურასა და შაკურატისა“, ყირგიზული** ზღაპარი (გვ. 68-76), კასპიის მიღმა (იმიერ კასპიის) ოლქის პორტში ალექსანდროვსკი ჩაიწერა მუხამედ კუნტაევ ტეშევენოვმა.

დიდი ხნის წინ ცხოვრობდა ერთი მეფე, ცოლი მოუკვდა და ორი ვაჟი დარჩა - შაკურატი და შაკური - 16 და 14 წლისები. დედინაცვალს არ უყვარდა ისინი და მათ ცილი დასწამა. შაკური წაიყვანეს ქალაქ გარეთ მოსაკლავად, მაგრამ დაინდეს, გაუშვეს. შეხვდა სანადიროდ მყოფ უფროს ძმას შაკურადს. ძმები გაუდგნენ გზას. ერთ ადგილას შეისვენეს. გველმა დაგესლა უმცროსი ძმა, მოკლა. დატოვა ძმა და გაუდგა გზას. ერთ ქალაქში ჩავიდა, იქ მეფე გახდა. ღვთისმოსავების ლოცვით უმცროსი ძმა გაცოცხლდა. ისიც გზას გაუდგა, დაეხმარა მოხუცებს, მოკლა ურჩხული, მრავალი რამ გადახდა, შეიყარნენ ძმები, დაამარცხეს მეფის მოადგილე, დააბრუნეს მამა ტახტზე, მამის შემდეგ გამეფდნენ.

10. **„ბუმბერაზი ეცემეი, ეცემეის შვილი“** - **ყარაჩაეული** ზღაპარი (გვ. 76-88), ჩაწერილი თერგის ოლქის ნალჩიკის ოკრუგის სოფელ კუნიმში ალი-ბეკ ბოტაშევის მეირ.

მაისის ერთ მშვენიერ დღეს წისქვილთან ბავშვები თამაშობდნენ. მათთან მივიდა მათი ბატონის მემკვიდრე ეცემეი. მან ბავშვებს ქვა სტყორცნა. ბავშვების დედამ მიაძახა: – თუ ეგეთი ძლიერი ხარ, მამაშენის მკვლელზე გამოსცადეო ეგ ძალაო. მან დედისაგან გაიგო მამის ამბავი. გამოეწყო და შურისსაძიებლად გაემგზავრა. გზად უღრანი ტყე ედო. ნანადირევიდან მწვადი შეწვა, ორი მოყმე მიუახლოვდა. გაუმასპინძლდა და ჰკითხა ვინაობა. ისინი აღმოჩდნენ კნეინა ქცეევას მიერ ძის სისხლის საძიებლად გაგზავნილი მოყმეები. 10 წელია ძმისშვილს

ელოდება, ახლა მწვადზე დაყრილი მარილის სუნი ეცნო და გამოგვაგზავნაო. მივიდა და ქალი სიხარულით შეხვდა. მამიდამ გზა დაულოცა. ეცემეო ჩავიდა დანიშნულ ადგილზე. მან მამამისის მკვლელი კუბას ცხენების რემა გაირეკა, მერე დაბრუნდა უკან, გზაში შეისვენა, გამოღვიძებულმა მხედარი დაინახა. იგი თავისი ცხენების რემას ეძებდა. ეს იყო კუბა - მისი მამის მკვლელი. ეცემეიმ მხარში დაჭრა კუბა. დენთი გაუთავდათ, მეორე დღისთვის გადადეს ორთაბრძოლა. მეორე დღესაც სროლაში დააღამეს. მეოთხე დღეს კუბამ უსულო მტერი იხილა. ცხენზე გამოიბა მოკლულის ცხედარი, სახლში მივიდა, ცოლს აჩვენა. კუბას ცოლმა გააცოცხლა, შემდეგ ეცემეინმ მისი დახმარებით თავი წაცალა კუბას. იგი უკან გაემგზავრა, გზაში ნართი სოსრუკო შეხვდა. ეცემეიმ ნადავლი და ტყვეები მისცა. სოსრუკომ კუბას ცოლი მოსთხოვა. ეცემეიმ არ დაუთმო. სოსრუკო თავის ლაშქრიანად დაესხა თავს. დაჭრილმა ეცემეიმ სოსრუკოს მეომრებს ერთი გასროლით წაცალა ყურები. ასე გახადა სოსრუკო ხალხის დასაცინად. მამის ერთგულმა შვილმა მოიხადა ვალი და სახელი დატოვა თავის ხალხში.

11. **„აღმოსავლეთის და დასავლეთის მეფეებისა“** (**ქართული** ზღაპარი (გვ. 88-90), ჩაწერილი ქ. გორში პ. როსტომოვის მიერ.

აღმოსავლეთის მეფემ შეუთვალა დასავლეთისას: – აქ ჩემმა ცხენმა დაიჭიხვინა, იქ შენთან კი შენმა კვიცი მოიგოო. დიდხანს ფიქრობდა დასავლეთის მეფე, რას ნიშნავდა შენათვალი. ხალხი დააგზავნა მთელ სამეფოში იმ ადამიანის მოსაძებნად, ვინც ახსნიდა, რას ნიშნავდა ეს ნათქვამი. ერთ სოფელში პატარა ბიჭი ნახეს. – სად არისო მამაშენი - ჰკითხეს. – ჩხუბს თესავსო. ბიჭმა ასე ახსნა ეს ნათქვამი: – გზის გასწვრივ მამამ დათესა ცერცვი, საყარაულოდ დადგა ქოხი. თუ ვინმე ფეხით გაქელავდა, მამა გაუვარდებოდა და ჩხუბს დაუწყებდა. ახლა დედაზე ჰკითხეს: - სად არისო? – ცრემლებს აძლევსო ვალში. ბიჭმა ასე განუმატა მეფის ელჩებს: – დედა, სოფელში თუ ვინმე მოკვდება, მიდის და ტირის. ელჩებმა მეფეს მიჰგვარეს ბიჭი, ჰკითხეს, რას ნიშნავსო აღმოსავლეთის მეფის შენათვალიო? თავად აღმოსავლეთის მეფეს ვეტყვიო. გაემგზავრა. სასაზღვრო ქალაქთან თანამგზავრებს უთხრა: - „ულულუ“ იყვირეთო, – თან ძაღლების ხოცვა დაავალა. მივიდა მეფესთან, მეფემ შეჯიბრი გაუმართა საზრიანობაში და დამარცხდა.

12. **„მდინარე ცხენისწყლის სახელწოდების შესახებ“,** ქართული გადმოცემა (გვ. 90-91), ჩაწერილი გორში მთქმელი სოლომონ გულისაშვილის ნაამბობის მიხედვით ალექსანდრე ცაიცაგის მიერ.

მურვან ყრუ შეესია საქართველოს და ააოხრა. ქართველი მეფე არჩილი იმერეთში გადავიდა და მდინარე ცხენისწლის პირას გამაგრდა. მურვან ყრუ დაედევნა და ციხეს ალყა შემოარტყა. ქვეითი ჯარი ციხის კედლების სიახლოვეს განალაგა, ცხენოსანი ჯარი - მოშორებით. ერთ ღამეს წარღვნა მოსკდა, ცხენოსანი ჯარის დიდი ნაწილი ღვარცოფმა მოსრა, მურვანმა ალყა მოხსნა და საქართველოს გაეცალა. მეორე დღეს ხალხმა მდინარეში დამხრჩვალი ცხენები დაინახა და იყვირა – ჩვენი მდინარე წყლად გადაიქცაო.

13. **„მირანი“**, ქართული ლეგენდა (გვ. 91-94), ჩაწერილი ქ. გორში ანტონ თოიძის მიერ.

მდინარე ლიახვის სათავეებში კავკასიონის მთების ერთ კალთაზე იყო სოფელი. სოფლის თავში ერთი მწყემსი ოციოდე ცხვარს აძოვებდა და სალამურს უკრავდა. კომბალს დაეყრდნო და მომავალზე დაიწყო ოცნება. უცებ ფარა დაფრთხა, გაიფანტა. ხმა მოესმა. მივიდა, საიდანაც ხმა ისმოდა. გამოქვაბულში ბუმბერაზი დაინახა, ხელ-ფეხი მსხვილი ჯაჭვით დაბმული ჰქონდა, იქვე ჯამი იდგა საჭმლით და დოქი წყლით. ცოტა მოშორებით ხმალი ეგდო, რომლის აწევა არავის შეეძლო. მწყემსი შეშინდა. ბუმბერაზმა უთხრა: – მოდი, ნუ გეშინია. მე ამირანი ვარ. მწყემსი ამის გაგონებაზე აცახცახდა. ამირანმა კი უთხრა: იესოს ნათლული ვარ, ცაში ვიმყოფებოდი ხშირად. იესო მეუბნებოდა, რომ იქიდან ცეცხლი არ უნდა წამომეღო, მაგრამ ხალხის ტანჯვას რომ ვხედავ, მაინც მოვიპარე, ღვთის რისხვა დავიმსახურეო. შევები მოხუცს, მან ისეთი ძალით დამახეთქა დედამიწაზე, რომ გონი დავკარგე. გონზე რომ მოვედი, აი, აქ აღმოვჩნდი მიჯაჭვული. საუკუნეებს სიკეთე ვუქენი და ცეცხლი მივეცი. ყოველ დღე ანგელოზს საჭმელი და სასმელი მოაქვს. 7 წელიწადში ერთხელ გამოქვაბულის კარი იღება და დღის სინათლეს ვხედავ. ღმერთო, გამიყვანე ამ სატანჯველი სიბნელიდანო. – რით შემიძლიაო შენი დახმნარებაო? - უთხრა მწყესმა. – ჯაჭვი მომიტანე, რომ ხმალი მოვიწვდინო და ეს ჯაჭვები ჩავჭრა. ვალში არ დაგრჩები. ან ჯაჭვი მომიტანე, ან მაგარი თოკი. ეს ამბავი კი არავის უთხრა, თორემ კარი ჩაიკეტება და სამუდამო სატანჯველში დავრჩებიო.

მწყემსმა სახლიდან წაიღო ჯაჭვები, მაგრამ გზად მონადირეებს გადაეყარა, გაიქცა, დაიჭირეს. – ვისთან მიგაქვსო თოკები და ჯაჭვები? - ჰკითხეს. ხმას არ იღებდა. ხანჯალი იძრო მონადირეებს შეუტია, მაგრამ ამ დრო გამოქვაბულის კარი გრუხუნით დაიხურა. თოკები და ჯაჭვები აქამდე ყრია გამოქვაბულთან.

14. **„თუშების ჩასახლება ალვანში“,** თუშური გადმოცემა (გვ. 95-96), ჩაწერილი თიანეთის მაზრის სოფელ ალვანში ალექსანდრე ბობგიჩევის მიერ.

ძველად ალვანელი თუშები მთებში ცხოვრობდნენ, ქერით იკვებებოდნენ, მარილს კახეთიდან ეზიდებოდნენ და სოფელ ალვანზე უნდა გაევლოთ. იქ თათრები ცხოვრობდნენ. ერთხელ მათ მარილზე ჩასული რამდენიმე თუში მოკლეს. თუშებს დილოიძე გაუძღვა, პანკისის ხეობაში ჩავიდნენ, ცხენებს ნალები უკუღმა დააკრეს (ვითომ მთაში მიდიოდნენ), ღამით ალვანი გაიარეს, ტყეში დაბანაკდნენ. დილით თათრები კვალს დაადგნენ მთისკენ. თუშები გამოვიდნენ საფარიდან, ნერეკალასთან დაეწივნენ თათრებს, ამოწყვიტეს, გაქცეულებს კი სდიეს. ალვანშიც თუშებმა სძლიეს, სამიღა გადაურჩათ, დაინდეს იმ პირობით, რომ სოფელი უნდა დაეტოვებინათ. სამი წლის შემდეგ თუშები ჩასახლდნენ ალვანში.

15. **„მწყემსი მეფე“ - სომხური** ლეგენდა (გვ. 96-98), ჩაწერილი სოფელ ლუკარაბეკში საგატელ ტაბაგიანცის მიერ. ერთხელ ორი ვაჭარი სხვა ქვეყანაში წავიდა სავაჭროდ. ვაჭრობა არ წაუვიდათ. ერთმა ვაჭარმა - არუთინამ სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. ნესესა იქვე რჩებოდა. არუთინას ძვირფასი ქვა გაატანა ცოლთან. მან არ გადასცა ქვა ნერსესას ცოლს. დაბრუნდა ნერსესა, გაიგო ყველაფერი, მეფესთან იჩივლა. არუთინამ მოწმეები მოიყიდა. მათ დაუდასტურეს არუთინამ მისცაო ქალს ქვა. მეფემ უარი უთხრა ნერსესას სარჩელზე. დაბრუნდნენ სახლში. გზად ერთ სოფელში შეჩრდნენ. იქ პატარა ბიჭი დაინტერესდა მგზავრებით. ბიჭ-

მა ისინი წაიყვანა ერთ მწყემსთან. მწყემსების მეფემ განსაჯა - მოწმეებს დაავალა ცალ-ცალკე ძვირფასი ქვის მსგავსი ქვის მიტანა. სხვადასხვანაირები მიიტანეს. ასე დაადგინა მათი ჩვენების სიყალბე. მეფემ მწყემსს თავისი ტახტი დაუთმო.

16. **„სამი თავი“** - სომხური გადმოცემა (გვ. 98-99), ჩაწერილი ქ. ბაქოში, ა. ბაბალიანის მიერ.

ერთმა ბუმბერაზმა სამ მტერს დააჭრა თავები. მიუტანეს მეფეს და ჯილდო ითხოვა. მეფე დაპირდა თავებზე ცდის ჩატარების შემდეგ. მეფემ ყურებში რკინის წკეპლის გატარება ბრძანა. ერთი წკეპლა მეორე ყურში გავიდა, მეორე - პირში, მესამე თავში დარჩა. მეფემ ამ თავის აწონვა და ბუმბერაზებისათვის მისი წონა ოქროს მიცემა ბრძანა.

მეფემ ასე ახსნა თავისი საქციელი: ყურიდან ყურში რომელსაც გაუვიდა წკეპლა, თავში არაფერი რჩებოდა, მეორეს პირზე არაფერი ადგებოდა, ყველაფერს ფქვავდა. მესამე თავის პატრონი კარგი ადამიანი იყოო - თქვა მეფემ და მისი დამარხვა ბრძანა.

17. **„მომლოცველი“** - სომხური გადმოცემა (გვ. 99-102), ჩააწერილი ანდრეი მირზოევის მიერ.

ერთმა მწყემსმა ქრისტეს სფალვის ნახვა გადაწყვიტა წმინდა მიწაზე. ორ ამხანაგთან ერთად გაუდგა გზას, ფეხით, ისინი – ცხენებით. გზაში უკვე რამდენიმე დღე იყვნენე, მწყემსი წინ მიდიოდა. ღამის გასათევად ერთ სოფელში ერთ ღარიბ დედაბერთან შეჩერდა. საჭმელი არაფერი ჰქონდა, შვილიშვილები მშიერი ყავდა. ცეცხლზე ქვაბი ედგა, ვითომ რაღაც იხარშებოდა. მწყემსს უთხრა: – ერთადერთი შვილი დამეღუპა და სამი ვაჟი და ორი გოგო დამიტოვა. არ ვიცი, რით გამოვკვებო ბავშვებიო. მწყემსს დახმარება უნდოდა, თან ცოდვის ეშინოდა. მწყემსმა ცხვრის ფარას მიაკვლია, ორი ცხვარი, ტომარა პური მოიპარა და მიუტანა დედაბერს. მან დააპურა ბავშვები. მწყემსი გზას გაუდგა. ცხელოდა, მწყემსი დაიღალა, შეჩერდა, ამხანაგებმა გზა განაგრძეს. დაიქუხა, ამხანაგებმა დაინახეს, რომ მწყემსი მიწაზე ეგდო. მას ანგელოზის ხმა მოესმა: – შენი ვედრება ღმერთმა ისმინა, უკვე ვითომც ყოფილხარ წმინდა მიწაზე, სახლში დაბრუნდიო. მწყემსი დაბრუნდა.

18. **„გამოსყიდვის გმირობა“,** სომხური ლეგენდა (გვ. 103-104), ჩაწერილი ქ. ბაქოში, ა. ბაბალანის მიერ.

ერთმა მეფემ ბრძანა თიხისა და ქვებისაგან მაღალი სვეტის აგება და წვერში ბეჭედი შემოდო. ბეჭედი იმისი იქნება, ვინც უთოკოდ ავა და მისწვდებაო. ბევრმა სცადა ამაოდ. ერთ დღეს ღარიბი მუშა მივიდა, ფრჩხილებით იწყო ხელჩასაჭიდებლის კეთება, დაიგლიჯა თითები, ბევრჯერ სცადა, ბოლოს ავიდა და აიღო ბეჭედი. მეფემ გაიგო, მივიდა და გადაკოცნა. მეფე ღმერთი იყო, მუშა - იესოო - თქვა შემკრებმა.

19. **„სამი რჩევა-დარიგება“** - **ბერძნული** ზღაპარი (გვ. 104-106), ჩაწერილია ბორჩალოს მაზრაში, სოფელ ბეშთაშენში, თეოფილაქტე სტამბოლიევის მიერ.

უხსოვარ დრო ის მცირე აზიაში ცხოვრობდა მწყემსი, ყავდა ცოლი, შვილები კი დიდხანს არ ეძლეოდათ. მიატოვა ცოლი და ბედის საძიებლად წავიდა. ერთ

მდიდარს დაუდგა მოჯამაგირედ ოცი წლით. ვადა გაუვიდა და პატრონს ანგარიში მოსთხოვა. მან ორმაგად აუნაზღაურა და სამი რჩევადარიგებაც მისცა: არასოდეს შეხვიდე მდინარეში, თუ ფსკერს ვერ ხედავ; ნუ იკითხავ იმას, რაც არ გჭირდება და ყველაფერში მოთმინება იქონიეო. გაუდგა გზას. მდინარე შეხვდა. სამი ვაჭარი შევიდა აქლემებით, წყალმა წაიღო. წყალმა სკივრი გამორიყა, ოქროთო სავსე. საღამოს ქალაქში შეჩერდა ერთ ბატონთან. კუთხეში დაბმული ქალი და ძაღლი ნახა, გაახსენდა რჩევადარიგება და მასპინძელს არაფერი ჰკითხა. მასპინძელმა თავად უამბო თავისი ცოლის ამბავი და შეაქო სტუმარი, რომ არაფერი ჰკითხა. რამდენიმე დღეში ჩავიდა თავის სოფელში. სახლში შეიხედა და ცოლი ვიღაც უცნობთან ერთად დაინახა. მესამე რჩევას დაჰყვა, გაიკითხა და ვაჟი მისი შვილი გამოდგა.

ქართული: რაჭველების სახალხო დღესასწაულები, წეს-ჩვევები და რწმენა-წარმოდგენები (გვ. 107-150), პუბლიკაცია გორის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის გიორგი ჯაფარიძისა. ვრცელი და საფუძვლიანი აღწერა-დახასიათებები და ეთნოგრაფიული, ფოლკლორული ტექსტების პუბლიკაციაა. ფოლკლორული (განსაკუთრებით საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები) ქართულადაა რუსული ბწკარედებით.

1. სახალხო დღესასწაულები (გვ. 107-128) წარმოდგენილია: ახალი წელიწადი (გვ. 107-112), ნათლისღება (გვ. 112); ბოსლობა (გვ. 112-115); გოჭის ხუთშაფათი (გვ. 115-116); შიოობა (გვ. 116); ჩით ფაფაობა (გვ. 117); მელაკვერიობა (გვ. 117-118); დედოფალობა (გვ. 118-119); დიდხუთშაბათი (გვ. 119-123); აღდგომა (გვ. 123-124); ელიობა (გვ. 124-126); ქვირითობა (გვ. 126); ფერიცვალება (გვ. 127); შობის შემოლოცვა (გვ. 127-129).

თავი II. სიცოცხლის სხვადასხვა შემთხვევის წეს-ჩვევები და რწმენა-წარმოდგენები (გვ. 129-147).

აქ წარმოდგენილია:

1. ქორწილი (გვ. 129-136). ამასთან ცალკეა საქორწინო წეს-ჩვევები აზნაურებში (გვ. 129-133) და გლეხებში (გვ. 136);
2. მშობიარობის (გვ. 136-140);
3. გონჯაობა (გვ. 141-142);
4. საქონლის დალოცვა (გვ. 142-144);
5. ბუს კივილი (გვ. 144-145);
6. მგზავრობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წესჩვევები (გვ.145-146);
7. ავი თვალი (გვ. 146-147).

III თავში დაბეჭდილია კოსმოგონიური რწმენა-წარმოდგენები (გვ. 147-150).

აქაა დედამიწის, ცარგვალის, მთვარის, მზის, ვარსკვლავების, ცისარტყელის, ცის გადახსნის, ცის რეკვის რწმენა-წარმოდგენები.

ადიღეური (ჩერქეზული) ტექსტები (გვ. 153-243), აქვეა **კიახური** ტექსტები (გვ. 244-267) დართული აქვს ლ. ლოპატინსკის შენიშვნები. ტექსტები დაბეჭდილია დედნის ენაზე, რუსული პწკარედების თანხლებით, ცალკე ახლავს რუსული

თარგმანები. ბოლოს ერთვის საფუძვლიანი მეცნიერული აპარატურა: ფილოლოგიურ-ფოლკლორული შენიშვნა-კომენტარები, განმარტებითი ლექსიკონით, სამიებლებით.

ყაბარდოული ტექსტები (გვ. 153-196).

1. „მამის მეგობრები“ (გვ. 153-161) - დედნის ენაზე რუსული ბწკარედით, რუსული თარგმანი (გვ. 161-166)

იყო ერთი მოხუცი ხანი. ახალგაზრდობაში ცნობილი იყო, შემდეგ შვილმა შეცვალა. მარბიელობდა, დიდად გაითქვა სახელი. მამამ შვილის გამოცდა გადაწყვიტა. ახალგაზდრა ხანი რომ დაბრუნდა ნადავლითა და ტყვეებით, მივიდა მამასთან. მან უთხრა: – კაცი შემომაკვდა, უნდა გავიქცეთ და შენს ერთგულ ამხანაგებს ჰკითხე, ვინ გამოგყვებაო?, არავინ გაყვა. მამამ კი თავის მეგობარ ტამბიევთან წაიყვანა. უამბო ყველაფერი და უთხრა: – უნდა გავიქცე, მარტო ვერ წავალ და გამომყვები თუ არაო? ტამბიევმა უთხრა: – წამოგყვები და მოხუც ცოლსაც გამოვიყოლებო. ახლა მეორე მეგობართან - კუდენეტოვთან მივიდა, იმანაც იგივე უთხრა, მესამესთან - ანზოროვთან გაემართა, ისიც დაეთანხმა დიდი სიამოვნებით. დანიშნულ დღეს ხანთან ყველა მივიდა თავისი ცოლებით. გვამი გვიჩვენეო - მოსთხოვეს მოხუც ხაანს და აღმოაჩინეს მის ნაცვლად ხის მორი. მოხუცმა ხანმა აუხსნა ყველაფერი. მან უჩვენა თავისი სახელოვანი შვილი, რასაც შოულობს, მეგობრებს და ახლობლებს ურიგებს. მის მეგობრებში არ არიან ტამბიევები, კიდენეტოვები, ანზოროვები, მათ არ მიუღიათ მისგან საჩუქრები. მე ეს ხერხი მოვიგონე, რათა შვილისათვის მეჩვენებინა, რომ მისი მეგობრები პირმოთნეები და მატყუარები არიან. თქვენ დაუმტკიცეთ, რომ მამის მეგობრები უკეთესნი ხართ. თითოს თითო ცხენი აჩუქა და გაისტუმრა.

2. „სამი კეთილი რჩევა“ (გვ. 166-175) დედნის ენაზე რუსული ბწკარედით, რუსული თარგმანი (გვ. 175-181).

ერთ ღარიბ კაცს წყვილი ხარი ჰყავდა. ერთხელ ხარები დაუვარდა. გუთნისდედას დაეთხოვა სამი დღით. მოხუცი კაცი მივიდა ბატონის შვილთან და უღელი ხარები სთხოვა, სამ სიტყვას გეტყვი, რომლებიც ცხოვრებაში გამოგადგებაო. მან მისცა ხარები. შევგვრემანი არ შეირთო, ნუ დაიწუნებ სხვის პურ-მარილს და სხვის ცოლს არ გაეკაროო. მოხუცი დაბრუნდა სახნავში. ჭაბუკის მამობილს ცოლი მოუკვდა. მამობილს ლამაზი გოგო გაურიგეს. როგორც კი დაინახა, რომ შავგვრემანი იყო, არ მისცა ქორწინების ნება. მაინც შეირთო. ქალმა გერს საყვარლობა შესთავაზა. ვაჟმა იუარა. მეორედ ჩაიგდო ხელში, – ძალადობსო - მორთო ყვირილი, ცილი დასწამა. მამობილმა დასჯა გადაუწყვიტა. სახლში რომ ბრუნდებოდა, მხვნელებმა დაპატიჟეს, იპურმარილა, შემდეგ დაეძინა, ამით გადარჩა. უცხო ქვეყანაში გაემგზავრა. იქ ქალწული გაიცნო, მან უმასპინძლა, ქმრობა შესთავაზა, უარი მიიღო და მაინც შეეცადა ჭაბუკის მოხიბვლას, არ გამოუვიდა.

3. საცოდავი მაწანწალა ერთი დაკვრით ათასზე მეტს კლავს (გვ. 181-190), რუსული თარგმანი (გვ. 190-196).

ერთი მაწანწალა გზაზე მიდიოდა, მზემ დაჰკრა და უგონოიდ დაეცა. მდინარეში გაგრილება გადაწყვიტა, გრძელი ჯოხი მიწაში ჩასვა და თვითონ წყალში

შევიდა. ცხენოსანი მიდიოდა ჯოხზე წააწერა „მაწანწალა - ბუმბერაზი ერთი დაკვრით 1080 კლავს“, უნდოდა გამასხრება. მათხოვარი მდინარიდან ამოვიდა, ჯოხი აიღო და გაუდგა გზას. გზაში თეთრი სახლი შეხვდა, შევიდა, ერთი გოგო დახვდა, 7 ძმის და. ჯოხი კართან ჩაასო მიწაში. გოგოს შეეცოდა, დააპურა, მოასვენა. უფროსი ძმა დაბრუნდა, ჯოხზე ნაწერი წაიკითხა. შემდეგ სხვებიც დაბრუნდნენ, წაკითხულმა გააოცა ყველა, შესანიშნავად უმასპინძლეს. გოგომ ტანსაცმელი გადიაცვა და ღამით ცხენით გაიპარა. მაწანწალა მარტო დარჩა.

გადაცმული გოგო ომში ჩაება, სძლია მტერს, როცა უკან ბრუნდებოდა, უფროსმა ძმამ ისრით ხელში დაჭრა. გოგომ მაწანწალას გაუსისხლიანა ხელი. ძმებს ეგონათ, რომ მათი სტუმარი იყო ომში და საქვეყნოდ განადიდეს. ერთადერთი და მიათხოვეს. ხალხს ეშინოდა მისი. იგი დაეხმარა სოფლელებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. გავიდა ხანი და სხვა სოფელმა გაუგზავნა ელჩები ტახმა აგვაოხრა, გვიშველეო! ტახი მოკლა. ხალხში სახელი დაიგდო.

4. „ნარუნი-არვიცია“ (გვ. 196-213), რუსული თარგმანი (213-225).

ერთხელ ერთი მდიდარი მცირეწლოვან შვილთან ერთად სტეპში წავიდა რაღაც ბალახისათვის. ცოცხალმკვდარი კაცი ნახეს. ბიჭის თხოვნით კვიცი ურემზე დადო და სახლში მიიყვანა. მისგან უმაღლესი სილამაზის ცხენი დადგა. ბიჭმა ერთხელ შეკაზმა ცხენი და მთელი კვირა სტეპში დაჰყო. დედამ და მისმა საყვარელმა ცხენის მოკვლა გადაწყვიტა. დედამ თავი მოიავადმყოფა, ცხენის ხორცია წამალიო. ცხენის რჩევით ვაჟმა ცხენის ძმებს ფაფარიდან ძუა ამოუღო, როცა დასჭირდებოდა, უხმობდა. ცხენებმა დაარიგეს, რომ არ უნდა ელაპარაკა და მხოლოდ სიტყვა „ნარუნ“ უნდა წარმოეთქვა ყველაფერზე. ბევრი რამ გადახდა. იგი ბოლოს ხანის სიძე გახდა. მას სახელად ნარუნი დაარქვეს იმიტომ, რომ ადრე მხოლოდ ამ სიტყვას ამბობდა.

5. „ბუმბერაზის აღზრდილი“ (გვ. 225-236), რუსული თარგმანი (გვ. 236-246).

იყო ერთი მდიდარი თავადი. უთვალავი საქონელი ჰყავდა, შვილები კი – არა. მემკვიდრის საძებნად გაემგზავრა. ორი ნუქერი გაიყოლა. ერთი ხეხილის ბაღი შეხვდა. ცხენი საბალახოდ მიუშვა, თვითონ ხეზე ავიდა. ქარიშხალი ამოვარდა. მასთან ბუმბერაზი მივიდა, მიესალმა, ვაშლი შესთავაზა: – შეჭამე და გეყოლებაო შვილები. ოთხი ვაშლი მისცა: - ოთხი შვილი გეყოლებათ, უმცროსი მე უნდა მომცე აღსაზრდელადო. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ბუმბერაზმა უთხრა. ბუმბერაზმა წაიყვანა უმცროსი ვაჟი, დაუწყო აღზრდა. სანადიროდაც დაჰყავდა, დარწმუნდა მის ძალაში და თავისი ძმების გამოხსნა დაავალა ბუმბერაზების მეფის ტყვეობიდან.

ბიჭი გაემგზავრა ბუმბერაზების მეფესთან, გზაში მწყემსი ბუმბერაზები დახოცა, მათი საქონელი გაირეკა, აღმზრდელთან მირეკა. ისევ გაუდგა გზას, ჩავიდა ბუმბერაზების მეფესთან, ესტუმრა, მიბეგვა, გამოიხსნა ბუმბერაზის ძმები, დაბრუნდა აღმზრდელთან. გავიდა ხანი, ბუმბერაზმა განძეულობა უბოძა და ბიჭი სახლში დააბრუნა. გზაში ხანის ქალიშვილზე დააქორწინეს. ბიჭი ცოლთან ერთად დაბრუნდა სახლში.

СМОМПК, 1893, 16.

ამ გამოცემის I განყოფილებაში დაბეჭდილია **ჩრდილო კავკასიის სახვადასხვა სოფლების** აღწერა-დახასიათებებში, ასევე წარმოდგენილია ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც.

1. სოფელი გიზელის (ანუ კიზილკა) აღწერა, გვ. 1-21.

ავი ცოლის ზღაპარი (გვ. 21-23).

ერთ კაცს საშინელი ავი ცოლი შეხვდა – გააწამა, კბენდა. კაცი იმაზე ფიქრობდა, როგორ მოეშორებინა თავიდა. ერთხელ ტყეში დიდი ორმო ნახა, იქვე ორი აბაზი იპოვნა. ცოლს მიუტანა. დილით მივიდნენ ორმოსთან, ჩავიდა ცოლი თოკით, კაცმა იქ დატოვა. მეორე დღეს მივიდა, დევის ხმა ისმის ორმოდან – გეხვეწები ამომიყვანეო. ბედნიერად ვცხოვრობდი. გუშინ დედაკაცი ჩამოვიდა, კინაღამ დამახრჩოო. ამოყვანილმა მადლობა და უნდა დაგაჯილდოვოო: მეფის ვაჟს დავუჯდები, შეშინდება, თმების გლეჯას დაიწყებს, ვერავინ დააწყნარებს. შენ აქიმობა დაიბრალე, მეფე დაგაჯილდოვებსო. მართლაც, ასე მოხდა. მეორე მეფის ვაჟიც განკურნა. დევმა უთხრა, უნდა შეგჭამოო. კაცმა: - ჩემი ცოლი ის ქალი, ორმოში რომ ჩამოვიდა. ეხლა გაუგია და აქეთ მოდისო. დევმა მიატოვა და გაიქცა. კაცმა სხვა ცოლი ითხოვა იქაურობა და ბედნიერად ცხოვრობდა.

თქმულება დარეჯანებზე (გვ. 23-28).

როსტომმა ირემი მოკლა. ირემი მთაში გაიქცა, როსტომი მიჰყვა. მეორე დღეს იპოვა მოკლული ირემი. ძებნაში გამოქვაბულს გადააწყდა, შევიდა. ქალი დახვდა, მისი ბიძაშვილის იამანის ცოლი. შეუყვარდა, დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნება გადაწყვიტა. ქალმა ოქროს თმის ორი ღერი გაატანა. ეს ამბავი ერთმა ავსულმა როსტომის ცოლს აცნობა. ცოლი თავს დაადგა როსტომს, თმის ღერი მოჰპარა. ახალმა ცოლმა გვერდი გააჭრევინა, ბიჭი ამოაყვანინა, ზღვაში ჩააგდებინა. ერთხელ როსტომი შვილებთან ერთად ზღვაში თევზაობდა, ბიჭი დაინახა, შვილებს უთხრა - თქვენი ძმა არისო. შვილები ვერ იჭერდნენ. როსტომმა ხერხი ასწავლა. მათთან დარეჯან-ამირანი გაჩნდა. გავიდა ნაპირზე, წაჰყვა მამის სახლში. საღამოს ბუმბერაზები მივიდნენ როსტომთან, სვეს, ჭამეს, ძვლებს ისროდნენ. დარეჯან ამირანმა ექვსს თავები დააჭრა, მეშვიდემ გაიტაცა. დარეჯან ამირანმა ტყავი გაჭრა და უსიბის უკან დაიმალა, მისი ერთი ძმა იყო. ბუმბერაზმა უსიბის შეჭმა დააპირა. ამირანი ეცა და შეიბნენ. მოკლა ამირანმა, ქალიც დაახრჩო. წავიდა, შავი მთის დევს გადაეყარა, ბევრი გადახდა, ბოლოს ძმებთან ერთად დაბრუნდა სახლში.

აქვე გამოქვეყნებულია **ანდაზები და თქმები** (გვ. 28-29), 12 ერთეული, დედნის ენაზე, რუსული თარგმანებით. **ჩამწერი:** აქსაევსკის სასწავლებლის ყოფილი მასწავლებელი **ა. ცალაგოვი.**

ამ გამოშვების პირველ განყოფილებაში გამოქვეყნებულია თერგის ოლქის ყიზლარის განყოფილების სტანიცა ჩერვლენოეს მკვიდრთა რწმენა-წარმოდგენების, წეს-ჩვეულებების მასალა, რომელიც ჩაიწერა ადგილობრივი სასწავლებლის გამგე ტ. როგოჟინმა (გვ. 57-67).

რამდენიმე ფურცელი თერგის ოლქის სუნჯენის ოკრუგის სტანიცა სლეპცოვსკოეს კაზაკების ცხოვრებიდან (გვ. 162-210). აქ დაბეჭდილია ამ სტანიცაში ჩაწერილი ფოლკლორული ტექსტები:

1. ცრურწმენები (გვ. 172-178), 68 დასახელება;
2. ზღაპრები:

„ძროხა ბურიონკა“ (გვ. 181-194).

იყო ერთი ცოლ-ქმრი, ჰყავდა ერთი შვილი - ულიაშა. ძროხა ბურიონკა უანდერძეს. მოუკვდა დედა. მამამ მეორე ცოლი შეირთო, სამ გერიანი: მატრიოშკა, აქსიუშკა და სტეშკა. დედინაცვალმა შეიძულა ულიაშა, ულიაშა. ძროხას შესჩიოდა თავის ყოფას. ძროხა ეხმარებოდა პატრონს, დედინაცვლის ყველა დავალებას ასრულებდა. დედინაცვალმა ბურიონკას დაკვლა გადაწყვიტა. ძროხამ დაარიგა, რომ დამკლავენ, გული ითხოვეო. დაკლეს. ულიაშამ გული, ღვიძლი, ფილტვები გარეცხა, გომურის დირესთან ჩაფლა მიწაშ. გავიდა დრო. იმ ადგილას გაჩნდა ბაღი. ტკბილ ვაშლებს ისხამდა. ერთხელ უფლისწული დაინტერესდა. რამდენიმე ვაშლი ითხოვა. დედინაცვლის გერებმა ვერ დაკრიფეს, ულიაშამ დაკრიფა. ერთ დღეს მეფემ ქვეშევრდომები დაიბარა, ქალიშვილებთან ერთად. დედინაცვალიც წავიდა. ულიაშა სახლში დარჩა. კურდღელი დაეხმარა მარცვლეულის გადარჩევაშ, მერე მეფესთან წაიყვანა. მეფის ვაჟს მოეწონა. მერე სხვა მეფის ნადიმზე წაიყვანა, იქაც მოეწონა მეფის ვაჟს. ულიაშა გაქრა იქიდან, ძებნა დაუწყეს, მოძებნეს, მეფის ვაჟმა შეირთო. შეშურდა დედინაცვალს. ბევრი რამ გადახდა. ბოლოს შეიყარნენ და ბედნიერად ცოხვრობდნენ.

„რასაც ჩაფშვნი, იმას შეჭამ“ (გვ. 194-198).

იყვნენ მოხუცი და დედაბერი. მოხუცს თავისი შვილი ჰყავდა, დედაბერს - თავისი. დედინაცვალმა შეიძულა გერი დუნიაშა. მოხუცმა გოგო ტყეში წაიყვანა და ქოხში დატოვა. იქ თაგვმა მიასწავლა სანოვაგე. მერე დათვიც მივიდა, მან სიმდიდრე მისცა. გოგო სახლში დაბრუნდა. დედინაცვალი გადაირია. ისევ ტყეში დააბრუნა, ქალიშვილიც გააყოლა. დათვმა მაშუტკა მოკლა.

„ზღაპარი თამბაქოზე“ (გვ. 198-203).

იყო ერთი ღარიბი კაცი - ტროფიმი, უნიფხვოს უძახოდნენ. შურით იყო სავსე. ერთ დღესაც მიატოვა სახლი და წავიდა. მწყემსს შეხვდა, როგორ გავმდიდრდეო? მწყემსმა კომბალი მისცა, მჭრელი დანა. გზაში ბატონი შეხვდა ეტლით, ჰკრა კომბალი, თავი წააცალა, ფული აართვა. სადაც წავიდა-წამოვიდა, მოჭრილ თავთან ბრუნდებოდა. ისევ შეხვდა მწყესს. მან ურჩია, მიდი თავთან და პატიება სთხოვეო. მივიდა, სთხოვა პატიება. მან ტროფიმს შეუნდო და მან მდიდრულად დაიწყო ცხოვრება. ტროფიმს სასუფევლის დარდი შემოაწვა. უჩიეს მეტი ელოცა და ნაკლები ეჭამა. ერთხელ ბატკნებს აძოვებდა, დაბანაკებული ქარავანი შეხვდა. მივიდა, ღამით დახოცა მექარავნეები. მერე მკვდრებს თამბაქო დააყარა და ცეცხლი წაუკიდა. წავიდა, შეხვდა მოხუცი, რომელმაც უთხრა, ცოდვები შეგინდეს, რადგან თამბაქო დაწვიო. სახლში მიიპატიჟა მოხუცი. ცოლი მოთქვამდა. ნახა, რომ იგი მომკვდარიყო, ხოლო სული მოხუცთან ერთად მოგზაუროობდა.

აქვეა ლექსიკონი (გვ. 203-210).

ამავე გამოცემის II განყოფილებაში დაბეჭდილია ქ. ეისკში გავრცელებული **ცრურწმენები, რწმენა-წარმოდგენები, შელოცვენი და მკითხაობები** (გვ. 267-277). ასევე გამოქვეყნებულია სტავროპოლის გუბერნიის ნოვოგრიოგორიევსკის უეზდის სოფელ სპასსკოვეს გეგრაფიული, სტატისტიკური, სამეურნეო აღწერა, მისი **ყოფითი კულტურის დახასიათება, ტრადიციები, საქორწილო, სამგლოვიარო ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, ფოლკლორი** (გვ. 278-293).

გამოქვეყნებულია აგრეთვე **ხალხური ზღაპრები** (გვ . 293-307):

1. „ვინ უფრო ჭკვიანია“ (გვ. 293-295)

ციგანი და რუსი ერთად გაუდგნენ გზას ქვეყნისათვის თვალის გადასავლებად. გზა გრძელი ჰქონდათ, საჭმელი - ცოტა. გზაში შემოაღამდათ. ციგანმა უთხრა: – მოდი დავიძინოთ, ვინც უკეთეს სიზმარს ნახავს, იმან შეჭამოს გოჭიო. დიდხანს იფხიზლა ციგანმა, მაინც ჩაეძინა. რუსმა გოჭი შეჭამა, დაწვა, დაიძინა. ციგანმა გააღვიძა. სიზმრები მოვყვეთო. რუსმა იუარა - ცუდი სიზმარი დამესიზმრაო. ციგანი მოჰყვა სიზმარს. ანგელოზებში ვტრაპეზობდიო. რუსმა უთხრა: – ეგ მეც დავინახე სიზმარში, ვიფიქრე ამ ნეტარებას ციგანი თავს არ დაანებებსო და გოჭი შემომეჭამაო.

2. „წყლის ბაბუასი“ (გვ. 295-307).

ერთი კაცი იყო. გამომუშავებით ირჩენდა თავს, თუმცა არაფერი გამოსდიოდა. მიატოვა სახლკარი, საშოვარზე წავიდა. ცოლმა 9 თვის თავზე ვაჟი გააჩინა, ქმარს არ შეატყობინა. ქმარმა ფული იშოვა, 9 წლის შემდეგ დაბრუნდა. სოფელთან ახლოს წისქვილი იყო. წყლის დასალევად შეჩერდა. წყლის მეფე ჩააფრინდა წვერებში: – ის მომეცი, რაც სახლში გაქვს და არ იციო. კაცი დაეთანხმა. მას ცოლშვილი შეეგება. მოხუცმა წაიყვანა ვანიუშა. იგი ჯერ წისქვილში მივიდა. შემდეგ გზას გაუდგა. ბევრი იარა. ტყეში შევიდა, მუხის ფუღუროში, ჩაეშვა, ძირში კარი იყო, გააღო, იქ მოხუცი დახვდა, მიესალმა. ადგილი მიასწავლა - ორჯერ თითო და კიდევ სამი წელი ივლი, დიდი ბუჩქი დაგხვდება და იქ დამელოდეო. იქ 7 მტრედი მოფრინდება, მზეთუნახავებად გადაიქცევიან. მე-8 მათ შემდეგ ჩაეშვება წყალში საბანაოდ. მის კაბას სტაცე ხელი, გამომადგებაო. ვანიუშამ ყურად იღო რჩევა. უამრავი რამ გადახდა თავს. ბოლოს დაბრუნდა ანასტასია მშვენიერთან ერთად სახლში. დედ-მამამ ვერც კი იცნო. ვანიუშამ უამბო თავისი თავგადასავალი, ყველამ გაიხარა.

აქვეა პოეტური ტექსტი **„ფომა და ერემა“** (გვ. 306-307), ორი ძმის შესახებ – ჭამდნენ, სვამდნენ. ბატონი გადაეყარათ, ფომა გაიქცა, ერემას მათრახი მოხვდა. ფომა გაბარცვეს. მერე თიხის ჭურჭელს ამზადებდა და ჰყიდდა. ესაა რაღაც ტექსტის ფრაგმენტი.

აქვე, I განყოფილებაში დაბეჭდილია ორი **რუსული** ზღაპარი, რომლებიც ჩაწერილია ბელი კლიჩში ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის აღზრდილის დიმიტრი კლევეტოვის მიერ.

1. მოხუცი და ქურდი (გვ. 308-312) .

ერთ სოფელში ერთი ღარიბი მოხუცი ცხოვრდა, უცოლშვილოი, იატაკზე დაყ-

რილ ჩალაში იძინებდა. ერთი ხეხილის ხე იდგა და ვიღაც ბოროტი ნაყოფს პარავდა. ქურდს ვერ იჭერდა. ორი მგზავრი მიადგა, საჭმელი ითხოვა. ორი ლუკმა ჰქონდა, მისცა, ღამის გათევაც შესთავაზა. წასვლისას ჰკითხა ეს: – რითი გადაგიხადოთო პატივისცემა. ხიდან ნაყოფს მპარავენ, მინდა ხეზე შემორჩესო ჩემს მისვლამდეო. მართლაც, წააწყდა მამაძაღლს. – აღარ მოვიპარავო, - უთხრა ქურდმა. მოხუცმა გაუშვა ქურდი.

2. ივანე ვაჭრის შვილი (გვ. 309-312).

ერთ ქალაქში მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა. ერთი შვილი ჰყავდა - ივანე. გადაწყვიტა შვილი დაექორწინებინა. შესაფერის სარძლოს დაუწყო ძებნა. ივანემ ერთ სოფელში ლამაზი გოგო ნახა, მოეწონა. წაიყვანა თავის ქალაქში. მღვდელთან დამალა ჯვრისწერამდე. იმას თავისთვის მოეწონა და განაცხადა: – გოგო მოკვდაო. ივანემ გაუგო. მოძებნა გოგო, იქორწინა. გოგომ მოიწყინა, მოკვდა. ივანემ აკლდამა გაუკეთა, ყოველდღე დადიოდა. ერთხელ კუბოსთა ჩაეძინა. სიზმარში მოხუცი გამოეცხადა, ასწავლა და ივანემ ცოლი გააცოცხლა. ივანეს ცოლი პოლკოვნიკს მოეწონ,. ქალი მას გაჰყვა. ივანე ჯარში წავიდა. მეფეს ქალიშილი მოუკვდა. გამოაცხადა, ვინც გამიცოცხლებს, ცოლად გავატანო. ივანემ მოარჩინა, მეფემ მისცა ქალი. ამის შემდეგ მან სამაგიერო გადაუხადა პოლკოვნიკს.

3. სამი ორშაურიანი (გვ. 313-316). **ჩეხური** ლეგენდა, ჩაწერილი ბათუმში, ამიერკავკასიის სასწავლო სემინარიის აღზრდილის ემელიანე მაქსიმილიანოვის მიერ.

ქალაქიდან მოშორებით ტყის შუაგულში ერთი სასახლე იდგა, მშვენიერი ბაღით. მისი პატრონი გარდაიცვალა. მისი ცოლშვილი კი ვაჭრობით ცხოვრობდა. გავიდა წლები, ცოლიც მოკვდა. ბიჭი ობლად დარჩა, წავიდა სამოგზაუროდ. ერთი მოხუცი შეხვდა. ორშაურიანი მისცა. მეორე შეხვდა - იმასაც მისცა, მესამესაც და მეოთხესაც. მეოთხემ ამოიღო სამი ორშაურიანი და მისცა: – მე ვიყავი სამივეჯერ, რაკი სამივეჯერ გამიკითხე, თითოეულ ორშაურიანზე რაც გინდა მთხოვეო. პირველში ჯადოსნური სუფრა სთხოვა, მეორეში - ბანქოს თამაში, მესამეში - ჯოხი, რითაც იმას მიბერტყავდა, ვინც ღირსი იყო და მადლობა გადაუხადა. ერთ ციხე-კოშკს მიადგა. მის პატრონ მეფესაც შეხვდა. კოშკში შევიდა, გასაღებებით გააღო ოთახები, ყველაზე ბოლო ოთახში დაბინავდა. ეშმაკი გააძევა. პატრონი დაბრუნდა ციხე-კოშკში. ბოლოს სიკვდილი მიადგა, ჭაბუკმა ჯოხს აცემინა სიკვდილი. მესამედ მივიდა და ჭაბუკი მოკვდა. მისი სული სამოთხისაკენ გაემართა.

სტანიცა არდონსკოეში ჩაწერილი რწმენა -წარმოდგენები, დღესასწაულები, სიმღერები და ზღაპრები (გვ. 317-366). პუბლიკაცია არდონის სასწავლებლის მასწავლებლის ა. გუსევისა.

1. რწმენა-წარმოდგენები (გვ. 317-325): მზის, მთვარის, ვარსკვლავების შესახებ (მთქმელები კაზაკი ნესტორ კოვალი, ალექსეი ბლოხა); კომეტებზე მოწყვეტილ ვარსკვლავებზე, სეტყვასა დ ქუხილზე (მთქმელები ალექსეი ბლოხა, ნესტორ კოვალი) ქარსა და ყინვაზე, ცისარტყელასა და ირმის ნახტომზე, წყლის ღვთაებებსა და ა. შ.

დღესასწაულები (გვ. 325-330), ახალი წლის (გვ. 325-327)

რწმენა-წარმოდგენები და გამოცანები (გვ. 329-332), 20 ერთეული, 7 გამოცანა.

საქორწილო წეს-ჩვეულებები (გვ. 332-339); **საქორწილო სიმღერებ** (გვ. 339-348) სულ 20 სიმღერის ტექსტი;

ზღაპრები (გვ. 348-366): **1. მელა და კატა** (გვ. 348-351).

ერთ მოხუც ცოლ-ქმარს ერთი კატა ჰყავდა. რომ დაბერდა კატა, სახლიდან მოიშორეს. მელამ შეიფარა, მხეცები ასტუმრა – აჭამა, ასვა. კატამ შეაშინა: მგელი, დათვი, ლომი (მთქმელი ნესტორ კოვალი).

2. უმადური შვილი (გვ. 351-352).

იყვნენ მოხუცი ცოლ-ქმარი და მათი ვაჟი. დედა გარდაიცვალა. შვილმა მუშაობა დაიწყო, ცოტა ფული იშოვა. ახლა შორქვეყანაში წასვლა მოუნდა. ჯარში წავიდა. რამდენიმე წელიწადში გენერალი გახდა. მამა დაივიწყა. მამამ გაიგო შვილის ამბავი. წერილი მისწერა – შენთან წამიყვანეო. ყური არ ათხოვა. მამა თავად მივიდა. შვილმა გააგდო. ძალით შევიდა მის სამყოფელში. შვილმა მეფესთან უჩივლა. მეფემ გენერალი ჩამოაქვეითა, მამა გააგენერალა (მთქმელი: ნიკოლაი ჯენო).

3. მკითხავი (გვ. 352-354).

იყო ერთი დედაბერი. ერთი ვაჟი ჰყავდა, ქურდი იყო. დედას შესთავაზა: – მოპარულის ადგილსამყოფელს გეტყვი ხოლმე, მკითხაობა დაიბრალე, პატრონს აპოვნინე, გასამრჯელო აიღეო. ერთხელ ერთმა ბატონმა დიდი ვაშლი დაკარგა. მას მიაკითხეს და დაპირდა, გაპოვნინებთო. ბატონის მეჯინიბეებმა გადაწყვიტეს რაიმეს გაგება, მიაყურადეს მკითხავს. მამალმა იყივლა და მკითხავმა თქვა - აი, ერთიო. მეორედ და მესამედ იყივლა მამალმა და მეორე და მესამეც არისო. მეჯინიბენი შეშინდნენ - გამოგვიცნოო და აღიარეს ქურდობა (მთქმელი: მიხაილ ზელენსკი).

4. „გველეშაპი მეფე და ვანიუშკა“ (გვ. 354-358).

იყვნენ მოხუცი და დედბერი. ორი შვილი ჰყავდათ, ერთი ადრე მოუკვდათ. მეორე სკოლაში დადიოდა. ერთხელ მოხუცი სანადიროდ წავიდა. მოსწყურდა. მოძებნა წყალი, დალია. ჭიქა პირზე მიეკრა. პირობა ჩამოართვა, რომ მისცემდა, რაც ექნებოდა და მოსცილდა, თან წერილი დაუტოვა. ვანიუშა 5 წლის შემდეგ კარგი სასიძო დადგა. ერთ დღეს ბედის საძიებლად გაემართა. მან წაიკითხა წერილი, სადაც 12 მზეთუნახავ დაზე ეწერა. გზაში სახლი ნახა, გველეშაპისა. შევიდა, გველმა უთხრა: – 12 ქალიშვილი მყავს. ამოიცნობ უმცროსს, ცოლად მოგცემ, არა და შეგჭამო. ივანემ ამოიცნო ელენე. მან გველის სხვა დავალებებიც გამოიცნო. მან ელენე წაიყვანა სახლში და ბედნიერად ცხოვრობდა.

მთქმელი: ტროფიმ გალიჩი.

5. „პეტრე და პეტრუშკა (გვ. 358-363).

ერთ სოფელსი ცხოვრობდნენ პეტრე და პეტრუშკა. პეტრეს სამი ცხენი ჰყავდა, პეტრუშკას - ერთი. ერთად ხნავდნენ. პეტრუშკამ დაიწყო სიმღერა: – ცხენებო, ჩამო ცხენებოო. პეტრემ აიღო და მოუკლა ცხენი პეტრუშკას. პეტრუშკამ ტყავი გააძრო და ქალაქში წაიღო გასაყიდად. გზაში შემოაღამდა. ერთ ქალთან შეჩერდა.

სათივეში მოთავსდა. ქალის ქმარი შინ არ იყო და მას საყვარელი ჰყავდა. ღამით ქმარი დაბრუნდა. პეტრუშკამ იგდო ხელთ ზანდუკი, სადაც ქალის საყვარელი იყო დამალული და კარგ გასამრჯელოს ფასად გაუშვა. დაბრუნდა სახლში. პეტრემ ჰკითხა ფული სად იშოვნეო. პეტრუშკამ ყველაფერი უამბო. პეტრემ დახოცა თავისი ცხენები და ტყავები გასაყიდად წაიღო. ისეთი ფასი დაადო, გიჟად ჩათვალეს. დაბრუნდა, პეტრუშკას მოკვლა მოინდომა. მის მაგიერ სიდედრი მოუკლა. პეტრუშკამ პეტრე კიდევ მოატყუა, ცოლიც მოაკვლევინა. ბოლოს პეტრემ მაინც დაიჭირა პეტრუშკა, ტომარაში ჩასვა, ზღვაში გადაგდება დაუპირა. პეტრუსკამ მაინც მოატყუა პეტრე, ტომარაში მოხუცი ჩასვა სამოთხეში მოხვედრის დაპირებით. პეტრემ ტომარა ისროლა ზღვაში, დაბრუნდა სახლში პეტრუშკა და იქ დახვდა. მთქმელი: ნიკიფორ კოვტუნი.

6. „ცეროდენა“ (გვ. 363-366).

ცხოვრობდნენ მოხუცი და დედაბერი, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. შვილი არ ჰყავდათ. მოხუცმა ერთ დღეს შეშისჭრისას თავი გაიჭრა. იქიდან კი პატარა ბიჭი გადახტა. გაუხარდა მოხუცს. ზამთარსა და გაზაფხულზე ხელიდან არ ჩამოუსვიათ, ზაფხულში კი ბიჭი უკვე მუშაობაში ეხმარებოდათ. ერთხელ ის სათიბში გაჰყვა მამას. ერთ დღეს სადილი მიუტანა სათიბში. მამა ღმერთს მადლს სწირავდა. უკან გზაზე რამდენიმე ჯეელი შეხვდა. მათი ლაპარაკიდან გაირკვა, რომ ქურდები იყვნენ და მღვდლის გაძარცვას აპიურებდნენ. ცეროდენას მღვდლის გაფრთხილება უნდოდა, მაგრამ ქურდებს თან წაყოლა სთხოვა: – სადა ხარო? - ჰკითხეს ქურდებმა და – აგერ - თქვენს გვერდითო. გამოგვადგებიო და წაიყვანეს. ბოქლომის ნახვრეტში გაძვრა, კარი გაუღო ქურდებს. სამი ცხენი აირჩია, ტყეში გარეკა ცეროდენა მოხერხებული გამოდგა. მოხუცებს უკვირდათ მისი, როცა ცეროდენა უამბობდა თავის ამბებს, ეშინოდათ, როცა მის ოინებს ისმენდნენ. ეს რომ შენიშნა, ცეროდენამ პირობა დადო, რომ პატიოსნად იცხოვრებდა და დაუჯერებდა დედ-მამას.

აქამდე ახსოვთ მის მიერ ატეხილი აურზაური. გამთენიისას მღვდელს გაეღვიძა და სველი კანი იგრძნო, ცოლს უბიძგა და უყვირა: სველი საბანი რატომ დამახურეო. არაო - ცოლმა, მშრალი იყოო. მღვდლის გოგოებმა ხმაური ატეხეს, ერთმანეთზე იშვერდნენ ხელებს - შენ დაბადეო - ყველა აირია... ზღაპარსაც მოვრჩი.

СМОМПК, 1893, 15, I განყ.

ს. ფ. გოლოვჩანსი, თერგის ოლქის პაიატიგორსკის ოკრუგის სტანიცა პროხლადნაია (გვ. 1-36). აქ მეოთხე თავში დაბეჭდილია **საქორწინო წეს-ჩვევები და სიმღერები** (გვ. 6-36)

სიმღერები ჩაწერილია 60 წლის დედაბრისაგან - მ. გენხისაგან, 1879 წ. ნოტებზე გადატანილია მხოლოდ ის მოტივები, რომლებიც გამოიყენებოდ 60-70-იან წლებში. მოტივები განყოფილების ბოლოსაა (რედაქტ. შენიშვნა).

საქორწინო წეს-ჩვევები და სიმღერები (გვ. 6-36).

აღწერილია საქორწინო წეს-ჩვევები: გარიგება, ნიშნობა, პატარძლისა და სიძის მშობლების როლი, ნიშნობის აღსანიშნავი ნადიმი, სეირნობა; წარმოდგენი-

ლია სიმღერების ტექსტების ფრაგმენტაბი; ასევე დახასიათებულია ის წეს-ჩვევები, რომლებიც სრულდება ქორწილის დღეს, გამოქვეყნებულია სიმღერების ტექსტების ფრაგმენტები, რომლებსაიც ასრულებენ მეჯვარეები, სუფრული სიმღერების მოტივები და ა. შ.

ჩამწერი: ს. ფ. გოლოვჩანსკი - ვლადიკავკაზის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწე.

სიმღერები, რომლებიც იმღერება ვლადიკავკაზის ოკრუგში, სტანიც სლეპცოვკაში (გვ. 37-140):

საქორწილო სიმღერები (35 ტექსტი, გვ. 36-61);

სატრფიალო სიმღერები (გვ. 61-67, 9 ტექსტი ვარიანტებით);

საყოფიერო სიმღერები (გვ. 67-82): ა) საოჯახო-საყოფიერო (გვ. 67-71, 6 ტექსტი), ბ) სამხედრო-საყოფიერო (გვ. 72-82, 14 ტექსტი);

ისტორიული სიმღერები (გვ. 82-140, 37 ტექსტი).

სიმღერები, რომლებიც იმღერება სტანიცა ნაურსკოეში (გვ. 145-203)

1. საქორწილო სიმღერები (გვ. 145-156, 21 ტექსტი);

2. საწესჩვევო სიმღერები (გვ. 156-169)

ა) საფერხულო (გვ. 156-166, 12 ტექსტი);

ბ) სამება (გვ,. 166-169);

3. სახუმარო სიმღერები (გვ. 169-170);

4. სატრფიალო სიმღერები (გვ. 170-183, 17 ტექსტი);

5. საყოფიერო სიმღერები (გვ. 183-203)

ა) საქვრივო (გვ. 183-186, 3 ტექსტი);

ბ) საოჯახო-საყოფაცხოვრებო (გვ. 186-193, 8 ტექსტი);

გ) სამხედრო საყოფიერო (გვ. 193-203, 11 ტექსტი);

6. სათქმულებო და საისტრიო სიმღერები (გვ. 203-226, 18 ტექსტი. ჩამწერი სტანიცა ნაურის სასწავლებლის მასწავლებელი ვ. პიატირუბლევი).

სიმღერები, რომლებიც იმღერება გროზნის ოკრუგის სტანიცა იშჩერსკაიაში (გვ. 227-289).

1. საქორწინო წესჩვევები და სიმღერები (გვ. 227-253). აღწერილია საქორწილო წეს-ჩვევები და გამოქვეყნებულია 35 სასიმღეო ტექსტი;

2. სატრფიალო სიმღერები (გვ. 254-261, 9 ტექსტი);

3. საყოფიერო სიმღერები (გვ. 261-289);

ა) საოჯახო (გვ. 261-268, 12 ტექსტი);

ბ) სამხედრო (გვ. 268-274, 10 ტექსტი);

4. ისტორიული სიმღერები (გვ. 274-289, 17 ტექსტი). ესაა ბოროზდინის სტანციის სასწავლებლის მასწავლებლის ე ბუტოვას მოძიებული მასალა.

სიმღერები, რომლებსაც მღერიან **ყიზლარის ოკრუგის** სტანიცა ბოროდზინსკოეში (გვ. 290-301)

1. საქორწინო სიმღერები (გვ. 290-1 ტექსტი);

2. სატრფიალო სიმღერები (გვ. 290-293, 4 ტექსტი);

3. საყოფაცხოვრებო სიმღერები (გვ. 293);
ა) საოჯახო-საყოფაცხოვრებო (გვ. 293-294);
ბ) სამხედრო-საყოფიერო (გვ. 294-296, 3 ტექსტი);
4. ისტორიული სიმღერები (გვ. 296-301, 6 ტექსტი), ჩამწერი: **ე. ბუტოვა.**

საქორწინო სიმღერები, რომლებიც იმღერება სტანიცა ტერსკოიში (გვ, 302-303). არის სამი ტექსტი, რომელიც ჩაწერილია მასწავლებელ ლ. რომანოვის მიერ.

სიმღერები, რომლებიც იმღერება ვლდიკავკაზის ოკრუგის სტანიცა არხონსკაიაში (გვ. 304-314), ჩაწერილი მასწავლებელ **ვ. კიკოტის** მიერ.
1. სატრფიალო სიმღერები (გვ. 304-310, 9 ტექსტი);
2. საყოფაცხოვრებო სიმღერები (გვ. 310-314)
ა) საოჯახო (გვ. 310-313, 5 ტექსტი);
ბ) ობლობისა (გვ. 313-314, 2 ტექსტი), ჩამწერი: **ვ. კიკოტი**

გროზნის ოკრუგის სტანიცა უმახან-იურტოვსიკის სიმღერები (გვ. 315-328)
1. სატრფიალო სიმღერები (გვ. 315-317, 5 ტექსტი);
2. საყოფაცხოვრებო:
ა) საოჯახო-საყოფაცხოვრებო (გვ. 317-323, 8 ტექსტი);
ბ) სამხედრო-საყოფაცხოვრებო (გვ. 323-328, 6 ტექსტი);
3. სახუმარო სიმღერები (გვ. 328-329);
4. ისტორიული სიმღერები (გვ. 329-335), 6 ტექსტი, უხმან-იურტის სასტანიცო სასწავლებლის მასწავლებლის **ვ. კიკოტის პუბლიკაცია.**
ყველა სტანიცის ტექსტებს დართული აქვს ნოტები და მელოდიების (მოტივების) საძიებელი (გვ. 9-226).

II განყოფილება
ვლადიკავკაზის ოკრუგის ტერგის ოლქის სტანიცა სლეპცოვკაში ჩაწერილი ზღაპრები (გვ. 1-178). ახლავს შემკრების წინასიტყვაობა (გვ. 2-3). აღნიშნულია: მთქმელი ესადაგება მსმენელებს, ზღაპრებს ასეთი პრინციპით არჩევს: ჯერ დიდი, გრძელი ზღაპრებით ატკბობს, წყნარი თხრობით, შემდეგ იმის მიხედვით, თუ როგორ იღლება მსმენელი, მათი გააქტიურებისათვის უფრო მოკლე ზღაპრებს არჩევს, უფრო შემპარავს, შემდეგ სასაცილოებს, მახვილსიტყვიანებს და ამთავრებს ზღაპრებით - არ მოგწონს - ნუ უსმენ (გვ. 3).

1. სამი ძმაა უფლისწულის ზღაპარი (გვ. 3-19).
ერთ ქვეყანაში ერთი მეფე ცხოვრობდა, სამი ვაჟი ჰყავდა. ორი ჭკვიანი იყო, მესამეს სულელს ეძახდნენ, ივანე მეფისწული ერქვა. მცირეწლოვანი ასულიც ჰყავდა. მეფეს საუცხოო ბაღი ჰქონდა. იქ ღამღამობით ვაშლებს პარავდნენ. უფროსმა შვილებმა ვერ მიაგნეს ქურდს. უმცროსმა ღამით დაინახა, ვეება ფრინველი ჭამდა ვაშლებს. ის ისრით დაჭრა. სისხლის კვალი დის აკვანთან თავდებოდა. ნახა და დარწმუნდა, რომ ჩვილი დაიკო ჯადოქარი იყო. გააგებინა ეს ამბავი მამას. მამამ ჩემს ასულს ვერ მოვკლავ და შენ წადიო სახლიდან. ივანე მეფისწული წავიდა სახლიდანო. ცხენიც ჯადოსნური აღმოჩნდა. ერთ მწყემსს შეხვდა. ცხენის რჩე-

ვით მოკლა იგი, მისი სამოსი გადაიცვა, საღამოს გარეკა რემა ბინაზე, იქ სამი მზეთუნახავი დახვდა. დარჩა ივანე მწყემსად. ერთ დღეს მეფის ნადიმს უმზერდა, მეფის ასულმა იგი აირჩია საბეჭდოდ. მიათხოვა მეფემ. მეფემ სიძეებს - ივანესაც ოქროს მამლის მოყვანა დაავალა, რომელიც მისმა ცხენმა აპოვნინა. ახლა ოქროსჯაგრიანი გოჭის მიყვანა დაავალა მეფემ. ცხენმა ივანეს ისიც აპოვნინა. ახლა ოქროსფაფრიანი და კუდიანი ცხენის მიყვანა დაავალა. ცხენმა ისიც აპოვნინა. ივანემ მეფეს უფროსი სიძეების ოინებიც უამბო და ამხილა. ივანე დაბრუნდა სახლში.

2. ოქროს ვაშლები (გვ. 19-29).

ერთ ქვეყანაში ერთ მეფეს სამი ვაჟი ჰყავდა. ორი ჭკვიანი, მესამე - ივანე სულელი. მეფე ავად გახდა. სამი ოქროს ვაშლი მოარჩენსო. მეფემ მოსატანად შვილები გაგზავნა. უფროსი გზასაყართან აღმჩნდა. იქით გაუხვია, საითაც ქალწულზე ქორწინებას პირდებოდა გზა - ჯერ ცოლს შევირთავ, ვაშლებს მერე მოვძებნიო. იქ კი ჯადოქრის ტყვეობაში ჩავარდა - მიწისქვეშეთში. მეფემ ახლა შუათანა შვილი გაგზავნა. იმასაც იგივე ბედე ეწია. ახლა ივანე მეფის ძე გაემგზავრა. გზაში არწივს გადაეყარა, შემდეგ გრძნეულ დედაბერს გადაეყარა. მის უფროს დას დაუდგა მწყემსად, რომელმაც მიასწავლა ჯადოქარი ქალიშვილის სამყოფელი, ვის ბაღშიც იზრდებოდა ოქროს ვაშლები. ივანე იქ ჩავიდა, ნახა ვაშლები და მძინარე ჯადოქარი ქალწული,. წაიღო ვაშლები, ივანე მეფის ძე ძმებს შეხვდა. მათ მოკლეს ივანე, მიითვისეს მისი ვაშლები. ივანე ბებერმა მგელმა იხსნა. მერე ივანე ჯადოქარ ქალწულთან მოხვდა, რომელმაც შეიყვანა თავის ბაღში და მასთან ერთად დაბრუნდა სახლში, მამამ უფროსი შვილები სახლიდან გაყარა. ივანემ ჯადოსნური ვაშლის ხე დარგო ეზოში.

3. სამი გლეხი ძმის ზღაპარი (გვ. 29-45).

ერთ ქვეყანაში ერთი ქვრივი მეფე იყო, სამი გასათხოვარი გოგო ჰყავდა. ბაღში ქარბორბალამ გაიტაცა ისინი. ბევრი ეძებეს და ბოლოს მიატოვეს ძებნა. ვინც იპოვნის, ცოლად გავაყოლებო - გამოაცხადა მეფემ. მეზობელი ქვრივის სამმა ვაჟმა ინატრა - რომ გვაპოვნინა, ბედს ვეწევით და ეს ჩვენი უმცროს სულელი ძმაც ჩვენთან ერთად ბედნიერად იცხოვრებდაო. უმცროსმა დაიჩემა - მე ვიპოვიო. გაუდგნენ გზას ძმები. დიდხანს იარეს. ღამის გასათევად შეჩერდნენ. სულელმა ძმები დააპურა, მერე ერთ მოხუცს გადაეყარა. მწყემსად დაუდგა. მან მიასწავლა მეფის ქალიშვილების სამყოფელი. ისინი სამ ძმა გველეშაპებს ჰყავდათ. სულელი ჩავიდა, სძლია გველებს - ჯერ უფროსს, მერე დანარჩენებს და დახოცა ისინი. წაიყვანა მეფის ქალიშვილები. ძმები დიდხანს ელოდნენ, შიმშილით იხოცებოდნენ. ბოლოს შეხვდნენ სულელს - დაითითოვეს მეფის ქალიშვილები, სულელი კი მიატოვეს. არწივმა ჩაიყვანა, გზაში ხორცის ნაჭრებს უყრიდა პირში. ხორცი რომ გაუთავდა, ბარძაყი გამოიჭრა. ჩავიდა თავისი ქვეყნის მეფესთა. იხსნა მეფის მკერავი, ხარაზი, ხურო. მათ მეფეს აცნობეს სულელის დაბრუნების შესახებ. მან უფროსი ძმები დასაჯა, უმცროსს ქალიშვილი მიათხოვა.

4. სულელი (გვ. 45-47).

იყო ცოლიანი ორი ძმა, მესამე - სულელი, უცოლო. იგი საქმიანი იყო, ჯარასავით ტრიალებდა, ყველაფერს აკეთებდა. ერთხელ წყლის მოსატანად გაგზავნეს,

წყალში ქაშაყი დაიჭირა. თევზმა სთხოვა - გამიშვი, გამოგადგებიო. გაუშვა. ღუმელზე ავიდა, ფიქრი დაიწყო - რა ეთხოვა ქაშაყისათვის. ქაშაყის ნებით, ქუჩაში მასეირნე ღუმელითო და ღუმელიც დაიძრა. ერთხელ ძმები სამუშაოდ უცხო ქვეყანაში ჩავიდნენ, სულელი სახლში დარჩა. მან ძმები უკან დააბრუნა, უკაპიკოდ. მან ძმებს უამბო თევზის ამბავი, უთხრა - ცოლი შემრთეთ და ბევრ ფულს მოგცემთო. ძმებმა სურვილი შეუსრულეს.

5. არ გსიამოვნებს - ნუ ისმენ, ტყუილში კი ხელს ნუ უშლი (გვ. 47-55).

იყვნენ სამნი ძმანი - ორი ჭკვიანი და ერთი სულელი. სულ თან დაჰყავდათ, ზღაპრების, ტყუილების სათქმელად. წავიდნენ სახნავში, შორს კოცონი დაინახეს, სულელი გაგზავნეს - ცეცხლი მოგვიტანეო. წავიდა, იქ მოხუცი დახვდა და ცეცხლი სთხოვა - ჯიბეში ჩამიყარეო. მოხუცს მოეწონა სულელი, თავის ქოხში დაიტოვა. სულელმა ამბავი უამბო: ბავშვობაში აკვანში მე და შენ გვერდიგვერდ ვიწექით, შენ ავი დედინაცვალი გყავდა, ძუძუს არ გაწოვებდა, ჩვენ გზრდიდით, თქვენი ქოხი წაქცევას გადავარჩინეთო... ჯერ მე დავიბადე, მერე - შენო. უამრავი ტყუილი უამბო. მობეზრდა მოხუცს და იყვირა - იტყუებიო. სულელმა მოხუცის საბძელი ზურგზე მოიკიდა, ძმებს მიუტანა, ძმებმა სულელი გააგდეს.

6. მეფის ვაჟი - ცეროდენა (გვ. 56-70).

ერთი მეფე იყო, ვაჟი არ ჰყავდა. წუხდა, დედოფალს ერთმა მოხუცმა ასწავლა: ამა და ამ ადგილიდან იხვის ბუდე და კვერცხები მოატანინე, დაჯექი 12 დღე, გამოჩეკე და 12 ვაჟი გეყოლებაო. მართლაც, ახდა მოხუცის ნათქვამი. დედოფალს 11 ვაჟი და ერთი ცეროდენა ეყოლა. ცეროდენა ისეთი მძიმე იყო, დედამ ძვრა ვერ უყო. მე ისეთივე ბუმბერაზი ვარ, როგორც სხვებიო. მეფემ ვაჟები ოქრო-ვერცხლით აავსო, ცხენების ჯოგებიც აჩუქა. უფრო მეტად ცეროდენა შეუყვარდა. ძმებს შურდათ მისი. ერთხელ ძმები თავიანთი სამეფოს გასაცნობად და საცოლეების მოსაძებნად გაემგზავრნენ. ცეროდენაც გაემგზავრა. გზაში მკვდარ ძმას და მის ცხენს გადააწყდა, მერე სხვებიც ნახა დახოცილები. უცხო ქვეყანას რომ მიადგა, ცხენიც მოუკვდა. ფეხით მიადგა იმ ქვეყნის მეფეს, ასულის ხელი სთხოვა. მეფის ასულმაც მხოლოდ ის ინდომა. მეფემ სამი დავალება მისცა და შეასრულა, მაგრამ დააგვიანა დაბრუნება და მეფე სხვაზე ათხოვებდა ქალიშვილს. ცეროდენამ დროზე ჩაასწრო. მეფეს უკვე ტანადი ჭაბუკი წარუდგინა. მისცა მეფემ ასული. იგი თავის ელენესთან ერთად დაბრუნდა სახლში.

7. პატარა ივანე (გვ. 70-76).

იყო მოხუცი ცოლ-ქმარი. უშვილოები იყვნენ. ქმარმა შეამჩნია, რომ ცოლი მაგიდაზე მესამე საინსა და პურის ნაჭერს დებდა. უთხრა, შვილი გაგვიჩნდაო, ივანუშკაო, ისეთი პატარაა, არც კი ჩანსო. გაუხარდა მოხუცს. პატარა ივანე სამუშაოდ წავიდა, საშოვარზე. გზად მებატონე მიდიოდა, გზა გადათხრილი იყო და ურემი შეაჩერა. დაინახა ივანემ, მოუწონა მისი ნამუშევარი. მოჯამაგირეობა შესთავაზა. გზაში ივანემ ფული ამოაცალა და მიიმალა; მგელს გადაეყარა, თავზე შეახტა, მგელი გაიქცა, ყაჩაღები შეხვდნენ, დაუამხანაგდა. ქურდობა დაიწყო, ბოლოს ისინიც მოატყუა, წაიღო ფული, დაბრუნდა სახლში და ბედნიერად აცხოვრა მოხუცი მშობლები.

8. მწყემსი შვილი (გვ. 76-87).

იყო ერთი მწყემსი. ორი ჯოგი ჰყავდა. ერთს თვად აძოვებდა, მეორეს - შვილი. ჯოგები ისეთი დიდები იყო, მამა-შვილი 10 წელში ერთხელ ხვდებოდა. შვილი ნადირობდა კიდევაც. ერთხელ კურდღელს გაეკიდა. ცხენს ფლოქვი რომ უნდა ეკრა, სული გაძვრა. ტყეში მოხუცს გადაეყარა. მისგან გაიგო, რომ კურდღელი ჯადოქარი იყო, სამი გასათხოვარი გოგო ჰყავდა. არავისათვის ემეტებოდა და ყველა სასიძოს კლავდა. მოხუცის ჯადოსნურ ბაღში მოხვდა. იქ სამი ქალიშვილი ნახა, გედის ფრთებით, წყალში იბანავეს და წავიდნენ. მოხუცი დაბრუნდა, მწყემსი სარკეში ჩაახედა - 100 წელი გასულიყო რაც მოხუცთან იმყოფებოდა. წაიყვანა ქალი ჯადოსნური ბაღიდან, მივიდა იქ, სადაც კურდღელი ნახა, ნახა თავისი მკვდარი ცხენი, გააცოცხლა მათრახით, შეაჯდა, გზა განაგრძო. გზაში ბევრი რამ გადახგა, დაბრუნდა სახლში და იქორწინა მეფის ასულზე.

9. კიბორჩხალა - მეფის ვაჟი (გვ. 88-95).

იყვნენ უშვილო მოხუცი და დედაბერი. მოხუცი მეთევზე იყო. ერთხელ ზღვის პირას კიბორჩხალა დაინახა. მან უთხრა მოხუცს: – წამიყვანე, შენი შვილი ვიქნებიო. უვლიდნენ, პატრონობდნენ. ერთ დღეს ხმა დაირხა, ვინც ერთ ღამეში მეფის სასახლიდან ვერცხლის ხიდს ააგებს ოქროს ლურსმნებით, მეფე ერთადერთ ქალიშვილს მიათხოვებსო. კიბორცხალამ უთხრა: - მიდით, მეფეს უთხარით, რომ ავაგებო. მეფე დაემუქრა მოხუცს: – თუ ვერ ააგებს შენი შვილი, თავი არ შერჩებაო. კიბორჩხალა ღამით წარმოსადეგ ჭაბუკად გადაიქცა. ააგო ხიდი. გავიდა დრო და მეფემ ბრძანება გამოსცა: – ვინც ერთ ღამეში ეკლესიას ააგებს, დიაკვანს, მედავითნეს გააჩენს, იმას ქალს მისცემს და იმ ეკლესიაში დასწერსო ჯვარს. კიბორჩხალამ ესეც შეასრულა. მეფემ მოხუცი იხმო შვილთან ერთად. მეფემ სიტყვა არ გატეხა და მიათხოვა ასული კიბორჩხალას. ქორწილიც გადაუხადა. მეფის ასულმა ღამით ნახა, რომ კიბორჩხალის ტყავში მშვენიერი ჭაბუკი იყო. მეფის ასულმა შემდეგ სხვა ქვეყნის მეფის ნადიმზე ნახა ქმარი - ჭაბუკადქცეული. დაბრუნდა სქახლში, ცეცხლში დაწვა კიბორჩხალის ტყავი. ქმარმა უსაყვედურა: - ცოტა რომ მოგეთმინა, დავიბრუნებდი კაცის იერს. ახლა მშვიდობით, ველარ მიხილავ, სანამ რკინის სამ კაბას არ გაცვითავო, – და გაქრა. ბევრი რამ გადიატანა ქალმა, ბოლოს ცოლ-ქმარი შეიყარა.

10. არვიცია (გვ. 95-103).

იყო ერთი ვაჭრის ვაჟი. ცოლი სხვა ქალაქში ცხოვრობდა. გაუვიდა მსახურების ვადა და დაგროვილი ფულით დაბრუნდა ცოლთან. არ იცოდა, რომ ცოლმა უმისოდ ვაჟი შვა. არც ცოლმა აცნობა ეს ამბავი. გზაში ვაჟმა დუქანში ყველაფერი გაანიავა. აღარ იცოდა, რა ექნა. ეშმაკს გადაეყარა. დახმარებას დაპირდა: – მომყიდე, რაც სახლში გვაქვს და არ იციო. საფულე მისცა სატანამ, ფული რომ დაგჭირდება, დაიქნიე და მოგეცემა რამდენიც გინდაო. გავიდა დრო, სატანამ შვილი მოსთხოვა და წაიყვანა. შვილი სატანასთან ცხოვრობდა, დაავიწყდა ვინ იყო. 12 წლის მერე გაუშვა ეშმაკმა, უჩინმაჩინის კეტი მისცა. სადაც კი მოხვდებოდა, რამეს ჰკითხავდნენ, „არ ვიციო“ - პასუხობდა. ამიტომ არვიცია დაარქვეს. ერთ

გლეხთან დადგა მოჯამაგირედ. რასაც ეკითხებდნენ, არ ვიციო პასუხობდა. გლეხს ერთი შვილი ჰყავდა - პეტრუშკა. დიასახლისმა - მწვანილი ჩააჭერი საჭმელშიო (ოხრახუში), მან კი ბიჭი ჩააჭრა... სხვასთან დადგა და მთელი ცხვის ფარა გაუნადგურა. მეჯინიბედ დადგა და ცხენები გააქცია. იქიდანაც გააგდეს. მეფის ბაღში აიყვანეს, გამარგვლა დაავალეს, მან ყველაფერი აჭრა. ეშმაკი კმაყოფილი იყო არვიციას ქცევით. მეფემ დატოვა არვიცია და არაფერს ავალებდა. მეფეს ქალიშვილი ჰყავდა, ყველა საქმროს იწუნებდა. ერთხელ ამ მეფეს შეუტია სამმა მეფემ (ძმებმა), ერთმა ფალავანი მოსთხოვა, არვიციამ დაამარცხა. ასევე მოექცა შუათანას, უფროსს. მეფემ მოძებნა ბრძანა უცნობი ფალავანისა. მეფის ასულმა მძინარე ამოიცნო და მამას შეატყობინა. დააქორწინეს არვიცია მეფის ასულზე.

11. ქურდი კლიმკა (გვ. 103-111).

კლიმკა მოხერხებული ჭაბუკი იყო, მაგარი ქურდი. ყველაფერს იპარავდა, ბატონივით ცხოვრობდა. გაიგო მისი ამბავი ბატონმა, დაიბარა და უთხრა: – თუ ასეთი ქურდი ხარ, შეგიძლია ჩემი ხარი მოიპაროო? – ამაღამვეო - უთხრა კლიმკამ. დარაჯებმა ყურებში, რქებზე, კუდში ჩაავლეს ხელი ხარს, მაგრამ ჩაეძინათ და ქურდმა ხარი მოიპარა. – ეს რა არისო - შეუთვალა კლიმკამ ბატონს - თუ გინდა კვიცსაც მოგპარავო. მოიპარა. თუ გინდა ცოლცას მოპარავო - შეუთვალა. მოიპარა. ქალი სატანამ იყიდა. მეორე დღეს კლიმკა მივიდა ბატონთან, თუ საჭიროა, შენ მოგიპარავო. – გეყო მასხრობა, ყველაფერი დამიბრუნეო! - უთხრა ბატონმა. შენი თავი მომაპარინე და კაიო. ბატონს ღამით თავისი სამოსი გადააცვა, თვითონ ბატონისა ჩაიცვა, ყვირილი ატეხა და მსახურებს ბატონი მოაკვლევია. კლიმკას ეშმაკებმა ბატონის ცოლი აღარ დაუბრუნეს, დაემუქრა. ეშმაკებმა ვერაფერი მოუხერხეს, დაუბრუნეს ქალი. შეირთო ცოლად და ბატონი გახდა.

12. მეფის მკვდარი ასული - ვაჭრის ქალიშვილი (გვ. 111-118).

13. ოქროს ფანარი (გვ. 118-125).

ოდესღაც ერთი მეფე იყო, ქვრივი. ერთი ქალიშვილი ჰყავდა. მეორე ცოლი მოუნდა, ეძება, ვერავინ ნახა და საკუთარი ქალიშვილის შერთვა გადაწყვიტა. – დამინდეო - ბევრს ეხვეწა ქალიშვილი, ბოლოს პირობა წაუყენა: – ზღვა მომიწყვე, გემები რომ დაცურავდნენო, ჩაუქი პირატები იყვნენ და ხარკს ოქროთი გვიხდიდნენო. დილით ყველაფერი მზად იყო. ხვალისათვის ოქროს ფარანი დამიდგი, მთელ ზღვას ანათებდესო. დილით ყველაფერი მზად იყო. მესამე პირობაც წაუყენა - ისეთი ძვირფასი მზითვები მომიმზადე, პატარა სკივრში ჩაეტიოსო. შეუსრულეს. საღამოს ქორწილი დანიშნეს. დედის საფლავის მონახულება ითხოვა, დალოცვას ვთხოვო. შეიყარა ხალხი. მეფე ეკლესიაში ელოდა, ქალიშვილი გაქრა. ეძებეს და ვერ იპოვეს. იგი ოქროს ფარანში (შუქურაში) იყო. ერთხელ გემით მდიდარი ვაჭარი ესტუმრა. შეხედა ოქროს ფარანს, მეფის ხელმოკლეობას, შეევაჭრა და იყიდა ფარანი. დადგა კარავში გამოსაჩენ ადგილას. ხან რა ეკარგებოდა, ხან რა. ქურდი ვერ იპოვეს. ვაჭარმა ფარანი ერთ მეფის ვაჟს მიჰყიდა. ფარნიდან მას ქალიშვილი გამოეცხადა. შემდეგ სასახლის ხალხს - კარისკაცებს. იგი მეფის ვაჟის საცოლე გახდა. ოქროს ფარანი კი გამოსაჩენ ადგილას დადგეს.

14. და-ძმა (გვ. 125-132).

ერთ ქვეყანაში მოხუცი და დედაბერი ცხოვრობდნენ, ქალ-ვაჟი ჰყავდათ. დაიხოცნენ მშობლები. დამ დააქორწინა ძმა. რძალმა აითვალისწუნა მული. ცოლმა ქმრის საყვარელი ძაღლი დაკლა, მულს დააბრალა. ცოლმა ახლა კვიცი დაკლა. ძმამ ტყეში წაიყვანა, ხელები დააჭრა და ტყეში დატოვა. ტყეში ბაღში შევიდა, ვაშლი შეჭამა. იქვე დარჩა. იქ მეფის ვაჟმა ნახა, შეიყვარა და ცოლად შეირთო. მეფის ვაჟი საქმეზე წავიდა, ქალმა შვილი გააჩინა. მამამ შვილს წერილი მისწერა - ვაჟი გეყოლაო. რძალმა წერილი შეცვალა - ძაღლისთავა დაბადაო. საპასუხო წერილიც შეცვალა - სახლიდან გაყარეთო. ბევრი იარა გაძევებულმა, ბავშვი ჩაუვარდა წყალში, მოხუცის შეგონებით გადაარჩინა, ძმას დაუდგა მოსამსახურედ. რძალი თან ცნობდა, თან – ვერა. მამამ მოძებნა, ბავშვმა ზღაპრად უამბო თავიანთი თავგადასავალი. მერე ისიც უთხრა, რომ მისი შვილი იყო. მეფის ვაჟმა ცოლიც მოძებნა. დამწაშავე რძალი ცხენის კუდს გამოაბეს.

15. ვასიუტკა და ალიონიშკა (გვ. 132-135).

ერთი მოხუცი და დედაბერი იყვნენ, ღარიბები. პატარა ბიჭი ჰყავდათ - ვასიუტკა. აუტყდა დედას ნავი მიყიდე და ანკესიო. უყიდეს, ყოველდღე თევზაობდა, დედას არჩენდა. დედა ნაპირთან ელოდებოდა. გრძნეულმა დედაბერმა მისი მოტყუება სცადა, არ გამოუვიდა. მეორე დღეს იგივე გაიმეორა. ბაბაიაგამ სტაცა ხელი, ტყეში წაიყვანა, სადაც შვილი ალიონუშკა ჰყავდა. ალიონუშკამ დაბანა . შემდეგ ნიჩაბზე დასმა და ცეცხლში შეწვა მოუნდომა. ასე უნდა დაჯდეო ნიჩაბზე - უთხრა ალიონუშკამ, თვითონ დაჯდა, ვასიუტკამ ღუმელში შეუძახა. ბაბაიაგა დაბრუნდა, გამოიღო შემწვარი და შეჭამა. დაუწყო ძებნა შვილს. ბოლოს მიხვდა, ვიც შეჭამა, დაემუქრა ვასიუტკას, რომელიც ხეზე იჯდა. გაეკიდა, ბატებმა ვასიუტკა დედ-მამასთან დააბრუნეს.

16. გაიზარდა და გაიზარდა (გვ. 135-137).

იყვნენ მოხუცი და დედაბერი. ქოხი ყინულზე ააგეს. მოხუცმა ცხვირი დააცემინა და ქოხი ჩაიძირა. რაც გააჩნდათ, შემოეხარჯათ. ერთი მუჭა ცეცვი დარჩათ. ერთი მარცვალიი დავარდა იატაკზე, ცოტა ხნის შემდეგ რაღაცამ დაიწყო ზრდა. იზრდებოდა, იზრდებოდა, ჭერს მიწვდა. მერე ცამდე გაიზარდა. აჰყვა მოხუცი, მოინახულა ზეცა და დაბრუნდა. ნათესაობა ვინახულეო - თქვა მოხუცმა, – კარგად ცხოვრობენო. არა, ჩემები ცხოვრობენ კარგად - დაიჩემა დედაბერმა. დედაბერს თავად შეეშინდა ხეზე ასვლა. მოხუცი ავიდა.

17. მამალი (გვ. 138-139).

იყო მოხუცი ცოლქმარი. ერთი მამალი ჰყავდათ, ერთიც - დედალი. დედაბერმა ერთ დღეს გაყრა ითხოვა, წაიყვანე შენი მამალი და მომშორდიო. ცალ-ცალკე დაიწყეს ცხოვრება. ერთხელ შეკამაღდნენ, ვინ უფრო კარგად ცხოვრობსო. დედაბერმა - მე ქათამი კვერცხ მაძლევს და შენს მამალს რა სარგებელი მოაქვსო? მოხუცმა დაკვლა მოინდომა მამლის. – არ დამკაო. ერთგან გამიშვი, ნახე მათზე უკეთესად ვიცხოვრებთო. ის მდიდარი ვაჭრის სახლთან მიფრინდა. დაიჭირეს, მაგრამ მეორე დღეს გაუფრინდათ. ფული და ოქრო-ვერცხლი მიუტანა მოხუცს. დე-

დაბერმა მამალი გაუცვალა, შესაშინებლად მამალს ვითომ დასაკლავად დაედევნა. მამალი გაფრინდა. დაბრუნდა მამალი, არაფერი მიუტანა, დაკლა და მისმა ქმარმაც დაკარგა ყველაფერი.

18. კატა კატაფეიჩი (გვ. 139-143).

იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი. ყველაფერი შემოეხარჯათ და გაღარიბდნენ. ერთი კატა დარჩათ. კატა გააგდეს, ჩვენთვის არაფერი გვაქვს საჭმელი და მაგას რა ვუყოთო. კატა გადაეყარა მელას. ერთად იწყეს ცხოვრება. ერთხელ მელამ კატა სოროში დატოვა, თვითონ მგელთან წავიდა სტუმრად. მას მაჩვიც გაჰყვა. მგლისთვის შვილი მინდოდა მიგვებარებინა, რადგან რამეს ისწავლიდა, ქმარი კი არ შვრებაო. ვეჩხუბები, შვილები შენსავით მიწის მუშებად გინდა გაზარდო-თქო. იქნებ ჩემს ქმარს გაჰყვე მგელთან მადლობის სათქმელადო - აი, ამიტომ მიდიოდა მელა მგელთან. მგელთან სტუმრად დახვდათ დათვი. მელამ კატის ამბავი ამცნო. ისეთი ძლიერია, ორივე ერთად ვერ მოვერევითო. მგელმა და დათვმა ხარი შეწვეს, კატა მიიწვიეს. კატამ ხარის ხორცის ჭამა დაიწყო, თან კრუტუნებდა - ცოტააო. კატამ ორივენი შეაშინა. მათ მოხუცი გადააწყდა, ტყავები გააძრო. მელამ მაჩვიც შეაშინა, შემწვარი ხარი მიატანინა.

19. უდასასრულო ზღაპარი (გვ. 144-146).

მეზობლად მამალი და დედალი ცხოვრობდნენ. ერთხელ მამალი მივიდა და დედალი ტყეში თხილზე დაპატიჟა. იმან ჯერ იუარა, მერე გაჰყვა. იპოვეს თხილის ბუჩქი. მამალმა - აფრინდი ხეზეო - უთხრა დედალს. ვერ აფრინდა კენწერომდე. მამალი აფრინდა. ჩამომიგდე თხილი - სთხოვა დედალმა. მესამედ რომ ჩაუგდო თხილი, დედალს თვალში მოხვდა და გამოთხარა. გზად ბოიარები მიდიოდნენ, ჰკითხეს დედალს, რა გატირებსო? დედალმა ათასი რამ დააბრალა მამალს.

ჩამწერი: სლეპცოვსკის ორკლასიანი სასწავლებლის გამგე **პ. სემიონოვი**

სტანიცა ნაურსკიში ჩაწერილი ზღაპრები (გვ. 147-178):

1. მომთმენი და უშიშარი ივანე (გვ. 147-178)

ერთ ქვეყანაში ერთი ვაჭარი ცხოვრობდა. ორი შვილი ჰყავდა - სტეპანი მშიშარა და ივანი - უმცროსი, საქმიანი, გაბედული, უშიშარი. ერთხელ ვაჭარს მღვდელი ესტუმრა. მამამ უმცროსი უკო. მღვდელმა უპასუხა სტეპანსაც გამოვბრძმედავო, უმცროსს კი გამოცდა სჭირდება, მართლაც, გულადია თუ არაო. გამოსაცდელად შორ მანძილზე დუქანში გააგზავნეს ღვინის მისატანად. გზაზე, სასაფლაოსთან სტეპანი დაახვედრეს სანთლებით და გამურული პირისახით. ივანი არ შეშინდა, ღვინიანი დოქი სთხლიშა და მოკლა, სტეპანი ეკლესიაში დაკრძალეს. ცხოვრება გაგრძელდა. ივანი შეიცვალა, ნაღვლიანი და ფიქრიანი გახდა. ღამით მოხუცი გამოეცხადა, დახმარებას დაპირდა. მოხუცი ეცხადებოდა და მონანიებას ურჩევდა. ივანე გაუშვეს ეკლესიის სამარხში. ღამით ერთი კუბოს თავი აიხადა, ამოვიდა მოხუცი, მეორე კუბოდანაც ამოვიდა მოხუცი, დადგა მიცვალებულთან. ისინი მიუახლოვდნენ ივანს, ბანქო ვითამაშოთო. დაიწყეს თამაში. მკვდრებმა მოუგეს. მამალმა იყივლა და მკვდრები კუბოებში ჩაწვნენ, დილით მშობლებმა ინახულეს, იქვე დატოვეს და აკლდამის კარი დაკეტეს. მეორე ღამეს იგივე გამე-

ორდა. მესამე ღამეს ივანმა მოუგო მკვდრებს. აკლდამაში ქარიშხალი ატყდა, ბანქო სტეპანის საფლავში ჩაყარა. ქარბორბალა აკლდამიდან გაიჭრა და გაქრა. მიცვალებულებმა მადლობა უთხრეს ივანს ავი სულებისაგან განთავისუფლებისათვის. ისინი დამნაშავენი, ცოდვილნი იყვნენ. ერთმა მოხუცმა ძვლის პატარა ანკესი მისცა, მეორემაც მსგავსი პატარა საგანი აჩუქა. დილით მამა და მღვდელი მივიდნენ. მან უამბო მომხდარის შესახებ. ღამით ივანს ისევ ის მოხუცი ეწვია, ცოდვათა გამოსასყიდად დიდ მთაზე წასვლა შესთავაზა. ივანი წავიდა სახლიდან, დიდხანს იარა, ისევ მოხუცი შეხვდა, მიასწავლა გორა, მერე ორმოში ჩაუშვა, მიწისქვეშეთში მოხვდა, მრავალი გადახდა, შეირთო მზეთუნახავი ლიზა, დაბრუნდა იქ, სადაც მოხუცს დაშორდა, მაგრამ ის იქ აღარ დახვდა.

2. მკვდარი ხილი (გვ. 164-167).

ერთ სოფელში მდიდრები ცხოვრობდნენ. სიმდიდრეს ქვის განჯინაში ინახავდნენ. ერთი ქალიშვილი ჰყავდათ, მშვენიერი მაშა. მოშორებით 7 ძმა ყაჩაღი ცხოვრობდა. არა ერთხელ დააპირეს მდიდრების გაძარცვა და მაშას მოტაცება. ერთხელ ღამით მაინც სცადეს, პატრონმა გაუგო და ქვის განჯინა - საწყობში ჩაკეტა, შიმშილით გადაწყვიტა მათი დახოცვა. ერთხელ ბაზარში წავიდნენ, ქალიშვილმა ამხანაგებთან ერთად ღამით კარი გააღო, ყაჩაღები გაიქცნენ. უფროსმა მკვდარი ხელით მოკლა მაშას მეგობრები. მაშამ აიღო მკვდარი ხელი და გააცოცხლა ისინი. ყაჩაღები უკან მივიდნენ, მაშას შეეხვეწნენ მკვდარი ხელი დაგვიბრუნეო. მაშამ არ მისცა. მეორე დღეს დაბრუნდნენ მშობლები და გაიხარეს მაშას გადარჩენით. ერთი წლის შემდეგ გამდიდრებული ყაჩაღი მივიდა და მაშა ითხოვა. ძალით გააყოლეს, არ დაუჯერეს, რომ ყაჩაღი იყო ვაჭრად გადაცმული. ქმარმა მაშას მკვდარი ხელი მოსთხოვა. ცოლმა მოატყუა - დავწვიო. ქმარმა ცემა დაუწყო, მხეცებს მიუგდო. მაშას ღმერთი იფარავდა. ერთხელ ყაჩაღები საშოვარზე წავიდნენ. მაშა მშობლებთან გაიქცა. ყაჩაღები გაეკიდნენ. მაშას გზაში ერთი მოხუცი შეხვდა, უამბო ყველაფერი. მან ურემზე შეისვა, დამალა. მაშა ტყეში გაიქცა. მაღალ მუხაზე ავიდა. ყაჩაღებმა მიაგნეს, ისრები დაუშინეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. ღამით მაშა სახლში დაბრუნდა და ყველაფერი უამბო მშობლებს. ორი დღის მერე ყაჩაღებიც მივიდნენ ამბის გასაგებად. მაშას მამამ მამასახლისს დაუძახა. მაშამ ყველაფერი თქვა. ყაჩაღები დაიჭირეს და დახოცეს, მაშა კი მდიდარ ვაჭარზე გათხოვდა.

3. ბატონი და გლეხი (გვ. 170-177).

იყვნენ ღარიბი მოხუცი და დედაბერი. ერთი მამალი ჰყავდა. შობა ახლოვდებოდა, მოხუცმა მამალი გასაყიდად წაიყვანა, რათა სურსათი და ხატებისათვის ზეთი ეყიდნა. ბატონმა დაინახა გზაზე მიმავალი, მოახლეს უბრძანა მამალი სამზარეულოში წაიღო და ფასი ჰკითხა მოხუცს. მანეთი დაუფასა, ბატონმა მოხუცი აცემინა. დაბრუნდა დაღონებული. გავიდა დრო. მოხუცმა ჩაიცვა ძონძები, და სამათხოვროდ წავიდა. მივიდა დუქანში. იმ დროს ბატონის მოჯამაგირე მივიდა, მედუქნესთან გააბა საუბარი. გაიგო, რომ ახალ საბძელს აშენებდა ბატონი და ხუროს ვერ შოულობდა. მოხუცმა დაიბრალა და მიადგა ბატონს. ბატონმა შესთავაზა საქმე. ტყეში წავიდნენ ხეების მოსაჭრელად. ტყეში შეიტყუა და ბატონი მიბრეგვა, წაართვა ოქროს საათი, საფულე და ტყეში გაუჩინარდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოხუცი ისევ მივიდა დუქანში. იქ გაიგო, რომ ბატონი ავად იყო, არც ერთ ექიმს კი არ იკარებდა. გამოეწყო, ექიმობა დაიბრალა მიიყვანეს ბატონთან, აბანოში შეიტყუა, მაგრად მიბეგვა, მოხსნა ბეჭედი, საათი, საფულე და წავიდა. ერთი წლის შემდეგ მოხუცმა დუქანში გაიგო, რომ ბატონს ახალი მამული ჰქონდა ნაყიდი და ფულის გადასახდელად მიდიოდა. დახვადა გზაში, სცემა, ფული წაართვა და გაიქცა. ბატონი ცოცხალ-მკვდარი წაიღეს სახლში. ამის შემდეგ ბატონი დაჩაჩანაკდა, გაღარიბდა და მოკვდა. მოხუცმა კი სხვა სოფელში იყიდა სახლი, წაიყვანა დედაბერი და იქ ცხოვრობდა.

4. სამი კალმიკი (გვ. 177-178) – **ანეგდოტი.**

სამმა კალმიკმა რუსულის სწავლა გადაწყვიტა. არავინ იცის, სად სწავლობდნენ. შეხვდნენ ერთმანეთს. ერთმა რუსულად ისწავლა **„ჩვენ“**, მეორემ **„არც იმისა და არც იმისათვის“**, მესამემ - **„ასეც მოუხდება“**. გზაში მოკლული კაცი ნახეს. გამომძიებელი შეეკითხა: – ვინ მოკლა? ერთმა: - ჩვენო; – რატომ მოკალითო? – არც იმისა და არც იმისათვისო (არაფრისთვიცო). – გააციმბირეთო - გამომძიებელმა. – ასეც მოუხდებაო - თქვა მესამემ. კალმიკები გააციმბირეს.

5. წითელი და მწვანე ჩანთები (გვ. 167-170).

ერთ სოფელში ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ცოლმა ქმარი საშოვარზე გააგდო. გადაეყარა ცერცვის მცეხველებს. დაუდგა მოჯამაგირედ. სამ დღეში სამი მუჭა მისცეს. წიქვილში წავიდა, დაფქვა, ქილა თავზე შეიდგა, წავიდა. ქარმა გადაუგდო. ცოლმა გათათხა. მამასახლისთან მივიდა, უამბო, რაც გადახდა. უბრძანა ქმარს, ჩემი ფქვილი დამიბრუნოსო. – კარგიო, მამასახლისმა წითელი ჩანთა მისცა: – როცა მოგშივდება, თქვი „ორი ჩანთიდან“ და დაგაპურებენ, ჭამას რომ დაასრულებ, თქვი - „ორ ჩანთაში“-თქო და სუფრას მიალაგებენო. გლეხს მოუნდა ჩანთის გამოცდა, იყვირა: ორნი ჩანთიდანო. ამოხტა ორი ჭაბუკი, სუფრის გაწყობას შეუდგნენ. მივიდა ცოლთან, მინამ მოყვარესთან შეიარა, გამოსცადა ჩანთა, დადგა, ჩაეძინა და მოპარა მან ჩანთა. ცოლმა რომ გაიგო, მიბეგვა ქმარი. მივიდა ისევ მამასახლისთან, მან ახლა მწვანე ჩანთა მისცა. ვერ მოასწრო თქმა - „ორნი ჩანთიდანო“, ორი ჭაბუკი ამოუხტა და მიბეგვეს. ის ისევ მოყვარესთან მივიდა. ორნი ჩანთიდანო - დაიძახა. ამოცვივდნენ მათრახებით გაუხეთქეს თავი მოყვარეს (ნათლიმამას). – ნუ მომკლავ - შეეხვეწ ნათლიმამა. დაიბრუნა წითელი ჩანთა. მივიდა, ცოლს ჯერ მწვანე ჩანთა გაუხსნა, კარგად აცემინა, მერე წითელი ჩანთით გაუმასპინძლდა.

ჩამწერი: ნაურის სასწავლებლის მასწავლებელი ვ. პიატირუბლევი.

სტანიცა უმახან-იურტოვეცკში, ჩაწერილი ზღაპრები, ცრურწმენები, ანდაზები, ხატოვანი თქმები, გამოცანები: 1. ქვრივის შვილი (გვ. 179-184).

ერთი ქვრივი დედაბერი იყო, ერთი ვაჟი ჰყავდა. პატარა ბაღი ჰქონდა. შვილი მოჯამაგირე იყო. წელიწადი. დაამთავრა მოჯამაგირეობა, წავიდა. გზაში კაცი შეხვდა, ბებერი ძაღლი მიჰყავდა მოსაკლავად. შეევაჭრა, იყიდა, 5 მანეთად. დედა გაუწყრა. ისევ დადგა მოჯამაგირედ, ახლა კატა იყიდა. დედა ისევ გაუწყრა. მესამე წელს გველი იყიდა. მოჯამაგირედ აღარ გაუშვა დედამ. ბაღში მუშაობდნენ. დედაბერმა ერთ დღეს სახლში გველის ტყავი ნახა, ცეცხლში დაწვა, ლამაზი გო-

გო შევიდა და უთხრა: – ბებერო, ცოტა მოგეთმინა, შენი რძალი გავხდებიო. დედაბრის ვაჟს კი მშობლებთან წაყვანა სთხოვა. წაიყვანა გველი, მამამ ჯადოსნური ბეჭედი მისცა ვაჟს. გავიდა დრო. ბიჭმა დედა გააგზავნა მეფესთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად. მეფემ ბიჭი დაიბარა, ბროლის ხიდის აგება დაავალა. ააგო. მერე სხვა ხიდი ააგო. მისცა მეფემ ქალი. იქორწინეს. გავიდა დრო. ბიჭმა ცოლი გამოსცადა. თავისი სამყოფელი ღარიბულ ქოხად გადააქცია. მან მოხსნა ბეჭედი და მამასთან დაბრუნდა. კატამ და რძალმა უშველეს, დაუბრუნეს ბეჭედი. ცოლი აღარ ინდომა და მარტო ცხოვრობდა.

2. გლეხი და ყაჩაღები (გვ. 184-187).

ერთი სოფლის ახლოს, ბუჩქებში ორი ყაჩაღი ცხოვრობდა. ერთხელ დუქანში შევიდნენ, ისხდნენ, თავიანთ ამბებზე საუბრობდნენ. ერთი გლეხი უსმენდათ. – რომ ტრაბახობთ, ღორს თუ მომპარავთო? გლეხმა ღორი სახლში აკვანში ჩააწვინა, ნაჭრებში გაახვია. მაინც მოიპარეს. გლეხი მივიდა ყაჩაღების სამყოფელში და მოიპარა თავისი ღორი. ყაჩაღებმა მის ეზოს მიაშურეს. ცეცხლი გააჩაღეს და ღორი ისევ მოიპარეს. მეორე დღეს დუქანში სანაძლეოს მისაღებად მივიდნენ. – ჩემი ღორი სახლშიაო - მიუგო გლეხმა. მან უკან მოჰპარა ყაჩაღებს ღორი, ვიდრე ისინი დუქანში ელოდებოდნენ და სანაძლეო მოუგო.

3. მოკამათე ცოლი (გვ. 187-189).

ერთ სოფელში მოხუცი და დედაბერი ცხოვრობდნენ, უშვილონი იყვნენ. ქმარი ცოლს გალახავდა ხოლმე და ისიც ბატონთან ჩიოდა. ბატონი კი გააროზგვინებდა ხოლმე. ერთხელ მოხუცმა ტყეში განძი იპოვა. წაიყვანა ცოლი ღამით ტყეში, ცოლს უთხრა: – ამ ადგილას ბუჩქებზე ბუბლიკები იზრდება, აქ ნუგბარ-ნუგბარიო. ცოლმა მოიხელთა და წავიდა. ამოთხარეს განძი. უკანა გზაზე ბატონის სახლში ხმაური მოესმათ: - ეშმაკები ურტყამენო ბატონს, - უთხრა ქმარმა. წაკამათდნენ. ქმარმა ცოლი გალახა, მან ბატონთან დააბეზღა - განძი იპოვაო. ქმარმა - ცრუობს ჩემი ცოლი, სად გაგიგია ნუგბარ-ნუგბარს ისხამდეს ბუჩქებიო. ბატონმა დედაბერი გააროზგვინა.

4. მელა და მგელა (გვ. 189).

მელა გზაზე ბატს გადააწყდა, ეგდო და გვერდით კაკანათი იყო დაგებული. მივიდა მგელთან. ბატი დავიჭირე, პარასკევია, მე ვერ შევჭამ და არ გინდაო. მგელი გაება მახეში. მელამ ბატს ჭამა დაუწყო. მგელმა უთხრა: – დღეს რომ პარასკევიაო. – პარასკევი იმისათვისაა, ვინც ფეხებით მიწას ვერ წვდებაო, - შეჭამა მელამ ბატი და გაიქცა.

აქვე დაბეჭდილია ცრურწმენები (გვ. 89-190) – 17 ერთეული; ანდაზები და თქმები (გვ. 190-191), 13 ერთეული, გამოცანები (გვ. 191-192) – 12 ერთეული. ჩამწერი: უხმან-იურტის სასტანიცო სასწავლებლის მასწავლებელი ვ. კიკოტი.

ზღაპარი „ქურდი“ (გვ. 193-195). ჩაწერილი თერგის ოლქის სლობოდა ვოზდვიჟენსკოიში.

იყო ერთი ვაჭარი, სამი შილი ჰყავდა. გაღარიბდა და შვილები საშოვარზე გაგზავნა. გზაჯვარედინზე გაიყარნენ, აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ. ერთი წლის

შემდეგ შეიყარნენ, უამბეს ერთმანეთს, ვინ რა ისწავლა. უმცროსმა თქვა, ქურდობა ვისწავლეო. მამამ რომ გამოკითხა, იგივე უთხრა. იმ დროს მამას სტუმარი ჰყავდა. დაენიძლავა: - აბა, ცხენი მომპარეო. პატრონმა მცველები დაახვია ცხენს: - ერთმა თავი დაუჭირა, მეორემ - კუდი, სხვებმა - ფეხები. ღამით ქურდმა არყით დაათრო მცველები და მაინც მოიპარა ცხენი. ახლა ცოლის სამკაულებზე დაენიძლავა კაცი, ეგეც მოიპარა.

ჩამწერი: ამიერკავკასიის სამსაწვალებლო სემინარიის აღზრდილი ე. მაქსიმილიანოვი.

СМОМПК, 1892, 14, II განყ.

1. ოთხი ძმის ზღაპარი (გვ. 1-8), **კ. მაჭავარიანის პუბლიკაცია.**

ტექსტი დედნისეულ ენაზეა რუსული ბწკარედით. ახლავს რუსული თარგმანი (გვ. 7-8).

იყო ოთხი ძმა და ერთი და ჰყავდათ, სახლში გამოკეტილი. დედას გველმა მოსტაცა ქალიშვილი. დედამ ეს აცნობავაჟებს. უფროსმა ძმამ უჩუმრად გამოსტაცა და გველს, მეორე ძმამ მოკლა, მეოთხე ძმამ და სახლში დააბრუნა.

წუდახარული სიმღერები (გვ. 9-18), **ბაშირ დალგატის** წინასიტყვაობით (გვ. 9-18).

აღწერილია სიურკინული ენის (დაღესტნის ოლქის სოფლების ენის) თავისებურებანი იმ გრამატიკის საფუძველზე, რომელიც შეადგინა პ. კ. უსლარმა. დახასიათებული არიან წუდახერელები, მათი სამეურნეო საქმიანობა, ყოფა, ხალხური სიმღერების ბუნება, თემატიკა. აქვე დაბეჭდილია **ბაშირ დალგატის** მიერ წუდახარელი ხაჯისაგან მოსმენილი და ჩაწერილი სიმღერების ტექსტები დედნის ენაზე, რუსული ბწკარედებით, სულ 13 ტექსტი (გვ. 19-27), და მათი რუსული თარგმანები, კერძოდ:

კუმუკელ მუკმუხამადზე (გვ. 19-21). რუსული თარგმანი (გვ. 21-23): გადმოცემულია კუმიკების წინამძღოლის ბრზოლის ამბავი რუსებთან და მისი დაღუპვა.

ბურშლინის ბრძოლა (გვ. 23-24), რუსული თარგმანით (გვ. 24-25): მოთხრობილია ბურულინებისა და აკუშინელების ბრძოლა რუსებთან.

ხუპძახელი ბატონების სიკვდილი (გვ. 25-28), რუსული ტექსტი (გვ. 28-29). მოთხრობილია წუდახარელების უმახანის, ვუგას ბრძოლა და ხამზათის მიერ ხუპძახელი თავადების დახოცვის ამბავი.

სიმღერა ჰამზათის სიკვდილზე (გვ. 30-31), რუსული თარგმანით (გვ. 31-32) „ჰამზათის მოკვლა“. ჰამზათმა აიღო სოფლები სალტუ და კუდუ. მტერმა შეუტია, გააქცია მისი რაზმი. ხუცდატლის მეჩეთში გამაგრდა. იქ მოკლეს.

მუსა ადალავას გმირობა (გვ. 33-34), რუსული თარგმანით (გვ. 34-35): ალადავმა გუნდი შეკრიბა, ქართველებზე გაილაშქრა და ნადავლი იგდო. ლიპიხანმა ჩაფარი დაადევნა. ქართველები დაედევნენ.

კაზამილ ალი (გვ 35-40), რუსული თარგმანით (გვ. 40-42). შვიდმა ქართველმა ხელთ იგდო კაზამილ ალის მეგობარი ლამაზი გოგო. იგი გაეკიდა და დააგდებინა ქალი.

მოყმე ხოლჩვარი (გვ. 42-46), რუსული თარგმანით (გვ. 46-48). ხოლჩავრმა არ დაუჯერა დედას, წავიდა ხუნძახში. იქ მოსისხლე იცნეს, მოკვლა დაუპირეს. მან ხუნძახის ბატონიშვილებს ხელი სტაცა და ცეცხლში გადაუშვა.

მურთუზა ალი და მესუდუ (გვ. 48-53), რუსული თარგმანით (გვ. 53-55). ყაზიკუმუხის ხანმა ომში გაიწვია. მურთუზა-ალი. ის საყვარელმა არ გაუშვა, მაგრამ მაინც წავიდა და რუსებმა მოკლეს. მისი თეთრმკერდა მესედა უცალოდ დარჩა.

ღარიბი არვუკინელი ჭაბუკი (გვ. 56-59), რუსული თარგმანით (გვ. 59-61). გოგოს გამო მოსისხლეობაში ჩავარდნილი ჭაბუკუ გაეცალა სოფელს და ხუნძახში დასახლდა. მოკლულის დედამ დაიბარა გოგო და მეგობრის ჩამოყვანა სთხოვა. გოგომ დაიბარა გაქცეული. ბიჭი დაბრუნდა. გოგომ ლოგინში შეიტყუა. სოფლელებს შეატყობინა მათი მოსისხლის მისვლა და მოაკვლევინა.

ერთი ქალწულისა და ჭაბუკის სიყვარული (გვ. 61063), რუსული თარგმანით (გვ. 63-64). ქალაქში ჭაბუკმა იხილა ლამაზი გოგო. ჭაბუკი მივიდა მის სახლში. გოგო გაუმასპინძლდა და ჩაიწვინა. დილით გაიღვიძა, გაიქცა, გაგვიგებენ, ორივეს დაგვხოცავდნენო. კვლავ იხმო შემდეგში და იქორწინეს.

ორი მეგობარი (გვ. 65-67), რუსული თარგმანით (გვ. 67-68). მეგობარი ავად გახდა. ქალწული მივიდა სანახავად, ტკბილეული მიუტანა. სნეული მარტოობისაგან იტანჯებოდაა. დაინახა საფლავს თხრიდნენ სნეულისათვის. – ძეგლი არ დაუდგათ, მე დავუდგები ძეგლადო.

კაზიკუმუკი ჭაბუკუ და აზაილანტკელი ქალიშვილი (გვ. 68-70), რუსული თარგმანით (გვ. 70-72). კაზიკუმუკელ ჭაბუკს და აზაილანტკელ ქალიშვილს ერთმანეთი შეუყყვარდათ. ჭაბუკმა დასანიშნად ძვირფასეულობა მიართვა. საქმეზე წავსული ჭაბუკი უკან დააბრუნეს - მოკვდა ქალიშვილიო. დარდით ჭაბუკიც მოკვდა და ერთად დამარხეს.

ავარიული ზღაპრები (გვ. 73——-) ჩაიწერა და თარგმნა ბაიკი აბდულაევმა. ტექსტები დაბეჭდილია დედნის ენაზე და ახლავს რუსული ბწკარედები, ასევე ცალკეა რუსული თარგმანი:

ზღვის ცხენი (გვ. 73-93), რუსული ტექსტი (გვ. 94-102).

იყო ერთი მეფე, სამი ვაჟი ჰყავდა. სიზმარში ნახა, რომ ზღვიდან თეთრი ცხენი ამოხტა, სამჯერ შემოუარა ქვეყანას და ისევ ზღვაში ჩახტა. შვილები იმ ცხენის ამბის გასაგებად წავიდნენ, გზების გასაყარს მიადგნენ. უფროსები მარჯვნივ და მარცხნივ წავიდნენ, უმცროსმა პირდაპირ განაგრძო გზა. უმცროსმა დიდხანს

იარა, დევის ქალს გადაეყარა, 7 დევის ნალაპარაკევით გაიგო ზღვის ცხენის ამბავი. წავიდა, ისევ ბევრი იარა, მიაღწია ზღვის ნაპირს. დაუდარაჯდა ცხენს, ეცა, დაიმორჩილა, შეაჯდა, სახლისაკენ წასვლა უბრძანა. გზაში უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწია. ერთ ქალაქში შეჩერდა, იქაურმა მეფემ უჩვეულო დღისნათების ამბავი გამოჰკითხა, ჯადოსნური მამლის პოვნა დაავალა. ცხენის დახმარებით შეასრულა დავალებები. სხვა ქალაქში უფროს ძმას შეხვდა, გაჭირვებულს. უფროსებს შეშურდათ მისი წარმატებებისა და მისი დაღუპვა მოინდომეს. უმცროსმა ყველაფერს სძლია, დაბრუნდა მამასთან, იქორწინა.

დათვის ყურა (გვ. 102-124), რუსული თარგმანით (გვ. 124-134).

ერთი მეფე იყო და ულამაზესი ასული ჰყავდა. ის ყოველდღე ბაღში დადიოდა. ერთხელაც დათვმა გაიტაცა. გამოქვაბულში მან ვაჟი გააჩინა, დათვის ყურები ჰქონდა. მან დედისგან გაიგო თავიანთი ამბავი და დათვი მოკლა. დედა მამამისის სახლში დაბრუნდა, ბიჭი კი გზას გაუდგა. ერთ ქალაქში მოჯამაგირედ დაუდგა მეფეს, თავი გამოიჩინა. დათვისყურამ გველეშაპსაც წაართვა მეფის კუთვნილი ხარი, ბევრი რამ გადახდა, ყველაფერი გადალახა და სახლში დაბრუნდა.

კიურინული ტექსტები (გვ. 135-152) ჯერ წარმოდგენილია კიურინული ენის ბუნების, გრამატიკის მიმოხილვა, ავრტორია მ. ზავადსკი (გვ. 135-152). შემდეგ მოტანილია კიურინული ანდაზები (22 დასახელება) და ზღაპრები, რომლებიც ჩაიწერა კასუმ კენტში და გამოაქვეყნა ბ-ნმა ლიონიძემ (გვ. 153-209). ზღაპრები დედნის ენაზეა და ახლავს რუსული თარგმანები.

მსხალთა მეფე (გვ. 164-167).

იყო ერთი მსხალთა მეფე. მელა მისი ბაღიდან მსხლებს იპარავდა. მახე დაუგო მეფემ და დაიჭირა მელა. არ მომკლა – გამოგადგებიო, – უთხრა მელამ. მეფემ გაუშვა. მელა ლალინის მეფესთან მივიდა და საწყაო სთხოვა. – ფული საიდან აქვსო მსხლების მეფეს? მელას რჩევით, მსხალმა მეფეს ლალინის მეფემ ასული მიათხოვა. დედოფალს არ მოსწონდა მელა, გააგდო. მელა სამაგიეროს გადახდით დაემუქრა. დევი შეაგულიანა, მივიდნენ მსხალთა მეფეის სასახლეში, მეფემ: – შვიდიდან მხოლოდ ერთი რატომ მომიყვანეო?! შეშინებული დევი ტყეში გაიქცა. მსხალთა მეფეც დაწყნარდა და ბედნიერ ცხოვრებას შეუდგა.

შეიხ-ოღლი შაჰ აბასი (გვ. 168-177), რუსული თარგმანით (გვ. 178-183).

იყო მეფე შეიხ-ოღლი შაჰ აბასი. ერთხელ გადაცმული ორ მინისტრთან ერთად ქვეყანას უვლიდა. სოფლის მამამისმა ისინი არ მიიღო. მერე ჩოვუშთან (ნაცვალი) მივიდნენ, უარი მიიღეს. ერთ მიწურთან ქალი შენიშნეს, მან ღამის გათევა შესთავაზა. ქმარი მწყემსი ჰყავდა. – რა უნდა გადაგიხადოთო და – დღეში ორი მანეთიო.

მეფემ თუმნიანი მისცა, სასახლეში გააგზავნა. მომიტანე, რასაც გამოგატანენო. მწყემსმა სამეფო სამოსი მიუტანა. მეფემ თავები დააყრევინ: მამასახლის, ნაცვალს, მოლას და სახლში დაბრუნდა. გზაში ერთ მინისტრს სიცილი აუტყდა: – მწყემსს ვაჟი შეეძინა და შენი სიძე გახდებაო. შაჰმა ბავშვი წისქვილში გადააგდებინა, მაგრამ არ დაღუპულა, მეწისქვილემ გაზარდა. ბევრი რამე გადახდა, გადარჩა ბოლოს მაინც გახდა მისი სიძე.

მგელი, მელა და ჯორი (გვ. 184-188), რუსული თარგმანით (გვ. 188-189).

ერთ მთაზე მგელი, მელა და ჯორი იყვნენ. თოვლი ჩამოწვა, ცხვარი ბარში ჩავიდა. ისინი ჩაჰყვნენ. მგელი და მელა ცხვრებს იპარავდნენ, ჯორი ბალახს შეექცეოდა. გაზაფხულზე ცხვარი მთაში გარეკეს, მგელი და მელა დაიმშნენ. დამშეულმა მგელმა მელას უთხრა, უნდა შეგჭამოო. ჯორი შევჭამოთო. მელამ ახლა ჯორს შეაპარა: - მგელი შეჭმას გიპირებსო. შეიკრიბნენ: – ვინც უმცროსია, ის შევჭამოთო. მელამ თქვა: – ადამ და ევას ქორწილში ვჯირითობდიო. – ნოე კიდობანს რომ აგებდა, შეშა დამქონდაო - თქვა მგელმა. ჯორმა - ნალზე მაწერიაო, – სთხლიშა წიხლი მგელს და სული გააფრთხობინა. მელამ: - რომ არ მომკვდარიყო ორივეს შეგვჭამდაო.

ჭკუათხელი ცოლი (გვ. 190-191), რუსული თარგმანით (გვ. 192-193).

ერთ კაცს ორი ცოლი ჰყავდა - ჭკვიანი და სულელი. ერთხელ ჭკვიანი თან წაიყვანა, ჭკუათხელი სახლში დატოვა. სულელმა კარი ჩამოხსნა, ზურგზე აიკიდა, მეზობელთან გადავიდა. როცა დაბრუნდნენ და ჰკითხეს: – რა ქენიო? უპასუხა: – კარს უდარაჯეო, ხომ მითხარით და ვდარაჯობო. კარგად მიბეგვეს სულელი. იგი გაიქცა, ხეზე ავიდა. კრუხი მივიდა წიწილებიანი, კუტკუტით. ჭკუათხელს ეგონა სახლში მიძახოსო. – არ წამოვალო. შემდეგ ძაღლსაც იგივე უთხრა. აქლემი მივიდა. დამაფასაო - იფიქრა სულელმა, აქლემს ფატა ჩამოაცვა და გაჰყვა. ქმარმა დაკლა აქლემი. ცოტა ხანში აქლემის პატრონიც მიადგა. იგი ბრმა იყო. – ეტყობა ბრმა წვიმამ დაგაბრმავაო.

მელიქ-მამედი, ჩაწერილი ბაშირ სულთანოვის მიერ (გვ. 194-201). ტექსტი დედნის ენაზეა, რუსული ბწკარედით;

მოლა ნასრედდინი (გვ. 201-202)- დედნის ენაზე, რუსული ბწკარედით;

მოლა ნასრედდინი და ებრაელი (გვ. 203-204), ტექსტი დედნის ენაზეა რუსული ბწკარედით.

მელიქმამედი (რუსული თარგმანი, გვ. 204-208).

ერთი უშვილო მეფე იყო. მერე ცოლმა 40 შვილი გაუჩინა. მეფემ მიატოვა თავისი ქვეყანა და გადაიხვეწა. უმცროსი მელიქ-მამედი იყო. მამის საძებნად გაემართა. მელიქმამედმა მიაგნო, მივიდა იქურ მეფესთან, გააგებინა მამის ამბავი და უკან დაბრუნდა მამასთან ერთად. მამას მოსთხოვეს 40 საცოლე, თუ არა და მოგკლავთო. ერთი ღარიბის 40 ქალიშვილი გამოძებნეს. დიდი გველი შემოეხვია, არ მიუშვა. გველმა მელიქმამედი მოითხოვა. გველმა მელიქმამდეს დევის ქალის მიყვანა დაავალა. გზაში მგელმა მისცა რჩევა. გველიც მოკლა, შეირთო დევთა მეფის ასული და თავის ქვეყანაში გამეფდა.

მოლა ნასრედდინი (რუსული თარგმანი, გვ. 209).

მოლა ნასრედდინს ბატკანი ჰყავდა. შეჭმა მოუნდომეს. მივიდნენ მოლასთან, ხვალ ქვეყნის აღსასრულია, მოდი, შენი ბატკანი შევჭამოთო. დაკლეს, სანამ იხ-

არშებოდა, ბანაობა გადაწყვიტეს. მოლამ მათი ტანსაცმელი ცეცხლში შეყარა. როცა მოიკითხეს, უპასუხა: – ქვეყნის აღსასრული დგება და ტანსაცმელი რაღად გინდათო?!

СМОМПК, 1899, 26, II განყ.

წინასიტყვაობა (ზღაპრების მოტივებისა და საკუთარ სახელთა საძიებლით) ა. ა. ბოგოიავლინსკისა (თბილისის 3-ე ქალთა გიმნაზიის დირექტორი) გვ. I-XXIII, მიმოხილულია **ტალიშური** ლეგენდები და რწმენა-წარმოდგენები, მითითებულია, რომ ტალიშური ტექსტები დაბეჭდილი იყო ამ კრებულის XX გამოშვებაში და დახასიათებული იყო ლ. გ. ლოპატინსკის მიერ; აღნიშნულია ტალიშური ლეგენდების მოტივების სიახლოვე ქართულ, აისორულ, სომხურ რწმენა-წარმოდგენებთან.

თათრული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებიდან საყურადღებოდ მიჩნეულია გადმოცემა ქალაქ ბაქოზე, რომელშიც ა. ბოგოიავლენსკის დაკვირვებით შემორჩენილია ბერძნული კულტურის კვალი კასპიის სანაპიროზე. ჩაძირული ქალაქების მოტივით იგი მიუთითებს ამ გადმოცემის სიახლოვეზე პალიასტომის ტბის გადმოცემაზე, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ კრებულის XIII გამოშვების 2 განყოფილებაში (გვ. 71-72), პაპანწყურის ტბისა და სტანიცა სამურსკაიასთან ახლოს მდებარე ტბის შესახებ, რომელიც VI გამოშვების I განყოფილებაში დაიბეჭდა (გვ. 103-114).

მსგავსი მანერით არის მიმოხილული ბილინები, გადმოცემები, ზღაპრები.

ტალიშური ლეგენდები და რწმენა-წარმოდგენები (გვ. 1-10)

1. მძინარე რაინდის ლეგენდა (გვ. 1-4). ჩამწერი: ლენქორანის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი თეიმურაზ-ბეკ ბაირამ ალიბეკოვი

კირვინის და სარდოვანის ქედებზე ორი მწვერვალი სავალანი და ბაგარო გამოირჩევა თავისი სიმაღლით. სალავანზე ერთი გამოქვაბულია, მიდვივად გამოდის ზებუნებრივი ნათება, ანთია ცეცხლი მარადიული, სპარსულად ჰქვია „ნური“. გამოქვაბულში სძინავს რაინდ ჯაგანბახშს, ხალხი მას სერბურიაგნას ეძახის, რაც თავშიშველს ნიშნავს. იგი ცნობილი ბუმბერაზის რუსტამ-ზალიას შვილია.

ჯაგანბახშმა შეიტყო ძმის - ბეჟეს მკვლელობის ამბავი. იგი თრანელმმა მეფემ აფროსიანმა მოკლა. მან შურისძიება გადაწყვიტა. დედას, გულთმისან ქალს, სთხოვა ნება. დედამ დაარიგა: შენ მამაშენსა და შენს ძმაზე ბედნიერი ხარ. მოგიწევს „კაფირებთან“ ბრძოლა. რომ გაიმარჯვებ, პირდაპირ სახლისაკენ წამოხვალ, სავალანზე წადი, იქ გამოქვაბულია, შიგ უკვდავების წყაროა, გვერდით სხვა წყაროა. პირველი წყაროდან პირი დაიბანე, მეორე წყაროდან ცხენს დაალევინე, ორივე უკვდავები გახდებით. შენ დაიძინებ და დროდადრო გაიღვიძებ ხოლმე, ცხენი დარაჯად გეყოლებაო. მხოლოდ მაშინ ჩამოხვალ მთიდან, როცა შენი ხმალი ამოვა ქარქაშიდან, ცხენი ჭიხვინს ატეხავს, წმინდა იმამის მოსვლას გამცნობს. ჯაგანბახში გაემგზავრე, დაამარცხე მტერი, მას გამოქვაბულში სძინავს, შვიდ წელიწადში ერთხელ იღვიძებს. გამოქვაბულთან ახლოს მოედინება წყარო, რომელიც ადამიანს უკვდავებას ანიჭებს. იქვე მაღალ მწვანე ბალახს ძოვს ცხენი, რომელიც იმამს ელოდება. ამ იმამს ჰქვია გაზრიათ-მეხთი-საიბ-ზამან-გალაეზთ-სალამი. იგი მაშინ მოვა, როცა აღარც ერთი მუსულმანი აღარ იქნება და ქრისტიანობის

ზეწოლით მაჰმადიანობა გაქრობის პირას მივა. მაშინ ყველგან გამეფდება ტყუილი, სიცრუე, სიბილწე, ათეიზმი, ფულის გაღმერთება. იმამის მისია შიიტიზმის აღდგენა იქნება. იმამის გამოჩენის წინ სავალანის წვერზე გამოჩნდება დიდი კუდიანი კომეტა. იმამის მოსვლით გაქრება შიმშილი, ჭირი, ფული დაკარგავს ფასს. იმამს კი წვერებიანი ქალი მოკლავს. ამიტომ არ სცემენ მუსულმანები პატივს წვეროსან ქალებს.

2. მძინარე მეფის ასულის ლეგენდა (გვ. 4-7). **ჩაწერილია** ზუგანდის საპრისტავოს სოფ. სორუსში: მთქმელები - რზა-ალი-მამედ-ალი-ოღლი, მუზაფარ ასმან-ოღლი; **ჩამწერი:** მასწავლებელი თეიმურაზ-ბეკ ბაირამ ალიბეკოვი.

ლენქორანიდან ასოცი ვერსის დაშორებით აღმართულია პიტალო მთა ალარი. იქ დღემდე შემორჩენილია ციხესიმაგრე, რომელსაც თათრულად ეძახიან ყიზკალასის, გვერდით მეორე სიმაგრეა - დევ-კალასი. ამ ორის მოშორებით მესამე ციხე-სიმაგრეც არსებობს - დეგერ-კალასი.

ყიზი-კალასის მიდამოებში მცხოვრები ზუვანდელები შემდეგ ლეგენდას ჰყვებიან: ციხესიმაგრის შიგნით მეფის სასახლეა. იმ სასახლეში ულამაზესი მეფის ასული წევს და ძინავს. იგი ჯადოქრის მოჯადოებულია და მანამდე არ გაიღვიძებს, ვიდრე პრინცი არ გააღვიძებს. იგი სახელგანთქმული რაინდი-შაჰის ასულია, რომელიც თავისი ძალის წყალობით მსოფლიოს ფლობდა, მაგრამ მისი დინასტია შვიდთავა დევმა ამოწყვიტა, მხოლოდ ერთი ქალწული დატოვა. მას ქალი თავისთვის უნდოდა, მაგრამ უცებ ღრმა ძილით ჩაეძინა და ახლაც ძინავს დევ-კალასაში. იქვეა ოქროთი სავსე ათასი ქოთანი. განძს შხამიანი რქოსანი გველები იცავენ. გველებს თავიანთი მეფე ჰყავთ. ახალ წლობით მათ თავიანთ მეფესთან მიაქვთ თითო ოქრო. გველთა მეფე ქალია და გარშემოტყმულია ახალგაზრდა ლამაზი გველების ამალით. ისინი დევსაც დარაჯობენ.

მძინარე მეფის ასულზე გამიჯნურებული პრინცი საფავიივების დინასტიიდან არის. მას მძინარე მზეთუნახავთან არ უშვებს დრაკონი. პრინცი მას დაამარცხებს და მოაშინაურებს, ნაგაზივით დაჰყვება ყველგან. პრინცი მიაღწევს მძინარე ქალწულთან, გააღვიძებს, გაიგებს ვინ ჩააგდო მეფის ასული ასეთ დღეში. ქალწული დაარიგებს როგორ მოკლას დევი. პრინცი მიჰყვა მის რჩევას, მოკლა დევი. აღადგინა ძველი დინასტია.

3. რწმენა-წარმოდგენები (გვ. 7-10). ჩამწერი ლენქორანის ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი ტ. ბაირამ ალიბეკოვი.

აღწერილია რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც დაკავშირებულია მზის დაბნელებასთან, გადმოცემულია მზისა და მთვარის ურთიერთობის ლეგენდის სიუჟეტური ქარგვა, რომლის მიხედვითაც მზე და მთვარე ალაჰმა შექმნა იმისათვის, რომ გაანათონ მართლმორწმუნენი. მზე - ქალია, მთვარე - კაცი. ადრე ქორწინებაში იყვნენ, მერმე წაიჩხუბნენ და გაიყარნენ.

ერთხელ მზემ ცომი მოზილა, პურს აცხობდა. ამ დროს მთვარე გაეთამაშა. მზემ იუკადრისა ქმრის არშიყობა პურის ცხობის დროს, ცომი სთხლიშა სახეში და გაიქცა. მთვარე დაედევნა დასასჯელად და დღემდე მისდევს, მაგრამ ვერ იჭერს.

მთვარე ყოველ თვე ახლიდან იბადება. მთვარე ადრე მზეზე ლამაზი იყო, მაგრამ ცომის მოხვედრის შემდეგ დაკარგა ის სილამაზე.

მუსულმანების წარმოდგენით მოწყვეტილი ვარსკვლავები ეშმაკისეულნია, არაბულად „იბლისები“. ისინი ადრე სამოთხეში იმყოფებოდნენ, ალაჰს ემსახურებოდნენ. ღმრთმა მათ ადამის თაყვანისცემა უბრძანა, მათ უარი განაცხადეს. ღმერთმა ისინი გაყარა სამოთხიდან. მათ უკან დაბრუნება მოინდომეს, მაგრამ ანგელოზები, ღმერთის ბრძანებით, სდევნიან. ისინი გარბიან და ცეცხლოვან კვალს ტოვებენ.

თათრული ხალხური სიტყვიერება ამიერკავკასიაში

I. ლეგენდები, ბილინები, გადმოცემები

1. გადმოცემა ქალაქ ბაქოზე (გვ. 11-12). **ჩამწერი:** ამიერკავკასსი სამასწ. სემინარიის აღზრდილი ა. ბაბალიანი. **მთქმელი:** ქ. ბაქოელი გაჯი ბააბ-ქერიმოვი.

დიდი ხნის წინ კასპიის ზღავა არ არსებობდა. მის ადგილას იყო ძველი ქალაქი ბაქო, შაარაბაილი ერქვა, ბერძნები ცხოვრობდნენ, (ძველად ყველა ხალხი ბერძნები იყვნენ). იქ განაგებდა ბერძენი ექიმი აფლატიუნი. მას ჰყავდა მოწაფე არასტიული. მასწავლებელი არწივად გადაიქცა და თავის წიგნებიანად გაფრინდა ქვეყნიერებაზე სასეირნოდ. მოწაფე ცოდნით მას არ ჩამოუვარდებოდა. იგი ავიდა ერთ მთაზე და ჯადოსნური ჯოხი დაჰკრა. მთა შუაზე გაიყო, წყალი ამოსკდა და დატბორა ქალაქი, გაჩნდა ზღვა. აფელატიუნი რომ დაბრუნდა, დაინახა ზღვა, მიხვდა რაც მოხდა, გაშალა ფრთები და გაფრინდა საფრანგეთში. არისტიულმა შეაგროვა გაფანტული მოქალაქეები და დაარსა ქალაქი ბაქო. მის ნაწილს ახლაც ბაილი ჰქვია. ქვები, ახლა რომ მოჩანს წყალში, ძველი ქალაქის შენობებისაა.

2. მოყმე (მუსულმანური ლეგენდა), (გვ. 12-17). ჩაწერილი ამიერკავკასიის სამასწავლ. სემინარიის აღზრდილის **ისმაილ ეფენდიევის** მიერ.

მოციქულ მუხამედს ხშირად სტკიოდა კბილი, ძალიან აწვალებდა. ერთხელ კბილი ქააბში ასტკივდა. მთავარანგელოზმა გაბრიელმა მიასწავლა ერთი მოყმე, რომელიც თუ თავის ამბავს უამბობდა, კბილი მოურჩებოდა. მოციქულმა იხმო მოყმე, და თავისი ამბის მოყოლა სთხოვა.

ახალგაზრდობაში იგი ბაზრის მაყურებელი იყო. პარასკევობით ჭამდა საჭმელს, ერთხელ დერვიშის ნაღვლიანი სიმღერა მოისმინა. მან მიიპატიჟა დერვიში. მას ქალის ულამაზესი სურათი ჰქონდა. გაიგო მისი ადგილსამყოფელი, მივიდა, გაუსწორდა მის დაცვას, მეფემ მიათხოვა თავისი ასული და გაემართა თავისი ქალაქისაკენ. გზაში ნაცნობ დერვიშს გადაეყარა, მან დადევნებული მტრის ლაშქარს გაუმართა ბრძოლა, ყველა დახოცა, მეფის ასულიც, რომელიც ასევე ებრძოდა მტერს და დერვიშმა ეს არ იცოდა. დერვიშმაც თავი მოიკლა. მოყმემ მიწას მიაბარა. მოყოლა რომ დაასრულა, ჰკითხა მოციქულს, მოგირჩა კბილი, თუ – არა. მომირჩაო - მიუგო მოციქულმა. მაშინ ისინი გამიცოცხლეო - მიუგო მოყმემ. მოციქულმა გაუცოცხლა, შემდეგ მოყმეც გააახალგაზრდავა.

3. ნართი უჟეს ბილინა (გვ. 17-19). **ჩამწერი:** ბაქოს რეალური სასწავლებლის VI კლასის მოსწავლე **ჯამილ ედდინ დონოგუევი.**

ძალიან ძველად ცხოვრობდა ერთი ხანი, ისეთი ძლიერი (დიდი ღონის პატრონი), რომ მისი ყველა ნართს და ხანს ეშინოდა. ეს რომ დაინახა, გაყოყოჩდა. მართლაც, ქვეყნად ყველაზე ძლიერად ჩათვალა თავი. ერთხელ მეჯოგემ შეატყო-

ბინა, რომ ზღვაზე კაცი დაინახა, რომელსაც ზღვა მუხლამდე სწვდებოდა, თავი ღრუბლებს ებჯინებოდა, თვალები ურმის ბორბლების ხელა ჰქონდა, რომელიც ნართი უჟი იყო. – მან თქვენი ცხენების რემის იქიდან მოშორება მიბრძანა, შემდეგ ზღვიდან დიდი თევზი ამოიყვანა, მზესთან აიტანა, შეწვა და შეჭამაო.

ხამნა ჯარი დაძრა ნართ უჟის წინააღმდეგ. მან კი ისინი ფეხებით გაჭყლიტა, რამდენიმე ჩოხაში ჩაისვა და დედას წაუღო. შემდეგ ხანმა უფრო დიდი ჯარი მიუსია. ახლა კი მთა მოგლიჯა, უნდოდა ჯარისათვის დაემხო თავზე, მაგრამ მასვე დაეცა და დაახრჩო. ასეთი საშინელი სიკვდილით მოკვდა უჟი.

სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები - მუტალიმები სხვაგვარად ყვებიან ამ გადმოცემას: უჟი წინასწარმეტყველ მოსეს დროს ცხოვრობდა. მას არ უნდოდა ღმერთის არსებობის აღიარება. მოსემ შეკრიბა დიდი ჯარი და უჟის დასჯა გადაწყვიტა. უჟმა მთა მოგლიჯა და მოსეს ჯარისთვის მოინდომა სროლა. ღმერთის ნებით მთას ხვრელი გაუჩნდა და კისერზე შემოეხვია, დაახრჩო იგი. მოსემ ვერანაირად შეძლო მისი სიმაღლის გაზომვა.

4. შვიდი ნართი ძმისა და ბილინასი (გვ. 19-20). **ჩამწერი:** ბაქოს რეალური სასწავლებლის VI კლასის მოსწავლე **ჯამალ ედდინ დონოგუევი.**

კაიტაგო ტაბასარანას ოლქში სოფელ ხუნჩის ახლოს, მდინარე რუბას - ჩაის ერთი მთა გამოირჩევა, მასზე ძველი ციხის ნანგრევია, შვიდი ძმის ციხე ჰქვია. დიდი, შვიდსართულიანი კოშკი აქვს. იქ შვიდი ნართი ძმა ცხოვრობდა, ერთი და ჰყავდათ, სწორუპოვარი სილამაზისა, ოქროსთმოიანი. მეზობლებმა ომი გამოუცხადეს ნართ ძმებს. მათ დას მტრის მხედართმთავარი შეუყვარდა. დამ ძმები დაღუპა. ერთი გადარჩა, გაიგო დის ღალატი, ცხენის კუდს გამოაბა და მტრის თვალწინ ათრია, თავად გადაიკარგა. ციხე სიმაგრესთან ორი დიდი ქვაა, ნასვრეტებიანი. გამვლელები ერთ ნასვრეტში ტყვიას დებდნენ, მეორეში - დენთს, როგორც გამვლელის ბეგარას. დის საფლავზე კი ყოველი გამვლელი ქვას აგდებს.

5. ელდარუშისა და ბეკტემირის ბილინა (გვ. 21-23). **ჩამწერი:** ბაქოს რეალური სასწავლებლის VI კლასის მოსწავლე **ჯამალ ედდინ დონოგუევი.**

რამდენიმე ასეული წლის წინ დაღესტანში ცხოვრობდა სახელოვანი თავადი არსლან-გირეი. დიდი სიმდიდრე ჰქონდა და ჰყავდა უსაყვარლესი ვაჟი- ელდარუში.

თავადი თავგადაკლული მონადირე იყო და დიდ დროს ატარებდა დაღესტნის ტყეებში. ერთხელ ტყეში დააღამდა. ნაცნობის - ბატირ ხანის სოფელში გაათია ღამე. იქ ულამაზესი მოახლე ნახა. მასპინძელს სთხოვა, მომყიდეო. მან აჩუქა ქალი სტუმარს. ორი წლის შემდეგ არსლან-გირეიმ ცოლად შეირთო. ქალმა გერის გაგდება მოინდომა, მიზანსაც მიაღწია. არსლან გირეიმ მთელი ქონება ცოლს უანდერძა და მალე გარდაიცვალა.

ელდარუშმა ვერაფერი მიიღო მამის მემკვიდრეობიდან. გავიდა დრო. ერთხელ ერთ მწყემსს ცხვრის ყიდვა სთხოვა. მან იუარა - პატრონისაგან აკრძალულიო მაქვსო. მაშინ ელდარუშმა ცხვარი დაიჭირა, დაკლა და მწვადის შეწვას შეუდგა. პატრონი მისი ძმა იყო. ისინი შეებნენ ერთმანეთს და ძმას ცხვირი, ყურები და თითები დააჭრა, დედის გულმა ამას ვერ გაუძლო, გაუსკდა და ისიც მოკვდა.

6. ოვჩი-პირიმი (გადმოცემა), (გვ. 24-25). **ჩამწერი**: ამიერკავკასიის სამასასწავლებლო სემინარიის აღზრდილი **მუსა კულიევი; ჩაწერილია:** ჯევანშირის მაზრის სოფელ მამურლიში.

ერთხელ ოვჩ პირიმი სანადიროდ იყო, შემოაღამდა და ღამე სასაფლაოზე გაათია. ცეცხლი დაანთო, ნანადირევისაგან მწვადის შეწვას შეუდგა. სამარიდან ადამიანი ნახა, კოცონთან მიიყვანა, ვინაობა ჰკითხა. იგი ფილტვების ანთებით იყო ავად და სუნთქვაშეკრული იყო დამარხული - მკვდარი ეგონათ. სამარეში გაცოცხლდა. დილით ოვჩი პირიმმა იგი სახლში წაიყვანა, დაწინაურდა და დამწუხრებულ ხალხს უთხრა რას მომცემთ, მკვდარი შვილი რომ მოგიყვანოთო. მთელ სახლ-კარს დაგიტოვებ, მე კი ცოლშვილიანად გადავიკარგებიო -მიუგო მამამ. ოვჩი პირიმმა გამოუჩინა შვილი. მშობლების სიხარულს ენა ვერ იტყვის. ოვჩი პირიმმა უსურვა, რომ შვილი ღირსი ყოფილიყო მშობლების სიყვარულისა, გამოემშვიდობა და გაუდგა გზას.

II. ზღაპრები: 1. კუშისა და აგილის ზღაპარი (გვ. 26-34). **ჩაწერილი:** ყაზახის მაზრის სოფელ ჩაილიში, მთქმელი სულეიმან ჯაფარ-ოღლი; **ჩამწერი:** ამიერკავკასიის სამასწ. სემინარიის აღზრდილი გაჯი-ქერიმ სანიევი.

იყო ერთი სულგრძელი და სამართლიანი მეფე, დიდი სიმდიდრის პატრონი. მემკვიდრე არ ჰყავდა. უშვილო იყო მისი ვეზირიც. ერთმა დერვიშმა ორი ვაშლი მისცა. ერთი ნეფე-დედოფალმა შეჭამა, მეორე ვეზირმა და მისმა ცოლმა. ბიჭები შეეძინათ. მეფის ვაჟს კუში დაარქვეს, ვეზირისას - აგილი. ისინი ერთად იზრდებოდნენ. აგილი უფრო ჭკვიანი იყო. აგილის რჩევით კუშმა მამის სიმდიდრის ნახვა გადაწყვიტა. ერთ ოთახში ულამაზესი ქალის სურათს წააწყდა. იგი ერთი ძლიერი მეფის ასულის იყო. კუშმა მამას რაზმი სთხოვა და ქალის საძებნელად წავიდა. გზაში ღამით რაზმი ჩუმად უკან გაბრუნდა, კუშთან მხოლოდ აგილი დარჩა. ისინი მარტოდ გაუდგნენ გზას. დიდხანს იარეს და ჩავიდნენ იმ ქალაქში, სადაც სასურველი მეფის ასული იმყოფებოდა. მისი დახმარებით დაუკავშირდნენ მეფის ასულს. სამეფო ბაღში მძინარე კუშს ქალმა ჯიბეში ბურთი ჩაუდო. ბურთი ნიშნავდა, რომ კუში ჯერ პარატა იყო ქორწინებისათვის.

დედაბერმა და ქალად გადაცმულმა აგილმა შეაღწიეს მეფის ასულთან და მოამზადეს გასაპარად. კუშმა გაიტაცა ქალი. მდევარი დაედევნა. აგილი შეება ჯარს, ნახევარი გაწყვიტა, მაგრამ თვითონაც არაერთმა ჭრილობამ დაასუსტა. მეფის ასულმა გამოიღვიძა, შეება ჯარს, ამოწყვიტა. გზაში ბევრი დაბრკოლება გადალახეს. სამშობლოს რომ მიუახლოვდნენ, წერილი გაუგზავნეს მეფეს. სასახლეში მზადება დაიწყეს მათ შესახვედრად. ორმოცი დღე და ღამე გრძელდებოდა ზეიმი. აგილი, მტრედების წინასწარმეტყველებით შეშინებული, არ ტოვებდა კუშს. კუში ვერ მიხვდა და აგილს ცილი დასწამა, იგი დაიჭირეს და სიმართლე ათქმევინეს. საიდუმლოს გაცემის გამო, აგილი გაქვავდა. კუშმა გაიგო მისი გაცოცხლების საიდუმლო და მკვდრეთით აღადგინა აგილი.

2. პატარძალი-ბუმბერაზი (გვ. 34-41). **ჩამწერი:** ამიერკავკაციის სემინარიის აღზრდილი ალი ჯაბრაილოვი; **ჩაწერილია კაზახის მაზრის სოფელ სალახში.**

ერთ ქვეყანაში იყო ერთი მეფე, მას სამი ვაჟი ჰყავდა. სიკვდილის წინ შვილებს დაუბარა მისი ბაღისათვის ხელი არ ეხლოთ, გვერდი ქევლოთ. მამის სიკვდილის

შემდეგ მაინც შვიდნენ ბაღში რიგ-რიგობით. ორი ძმა თეთრცხენიანი ბუმბერაზის მსხვერპლი შეიქმნა, მესამემ კი სძლია მას, ხელთ ქალი მხედარი შერჩა და გაოგნებულს გაექცა. უმცროსი ძმა გაეკიდა მისივე ცხენით, ქალის სახლში გააგრძელეს ბრძოლა, სძლია ქლას, შეირთო ცოლად, დაბრუნდა სახლშ. უკან გზაზე დიდი სახლიდან გამოსული დევი გამოვიდა, გააფრთხილა, რომ მისი შვიდი შვილი არ გაატარებდნენ, თავად გაუმასპინძლდა. შემდეგ მეფის ვაჟმა ოქროს ბეჭედი აჩუქა, გაჭირვებაში რომ ჩავარდები, ბეჭდიდან სისხლი წამოვაო.

დევის შვილებმაც მოსთხოვეს რაიმე ნიშნის დატოვება. მათ მეფის ვაჟმა თმის ღერი დაუტოვა. წავიდა უმცროსი ძმა, იარა, ზღვის სანაპიროზე დიდი სახლი შეხვდა, იქ დაბინავდა და გარკვეული დროით ნადირობდა. მან ცოლს მისი სურათის ამბავი ამცნო, სურათი მოსთხოვა. ცოლის სურათით წავიდა სანადიროდ. სურათი ქმარმა გასტაცა. სხვა ქვეყნის ვეზირის ხელში მოხვდა, გულში ჩაუვარდა, მეფემ კი სურათის ხილვაზე გონი დაკარგა. ვეზირს დაავალა ქალის პოვნა. კუდიანმა დედაბერმა მიაკვლია, ქმარს შეაცოდა თავი, მოახლედ დაუდგა, გამოსტყუა უმცროსი ძმის სულის საიდუმლო - დანა, ზღვაში გადაუგდო - მოკლა, ქალი მოტყუებით ქოთანში ჩააგდო, მეფეს მიუყვანა. ქალმა ქორწინების დრი ითხოვა. დევმა და შვილებმა უმცროსი ძმის დანატოვარი ბეჭდითა და თმის ღერით შეიტყვეს მისი გასაჭირი. მოძებნეს ზღვაში დანა, გააცოცხლეს.

უმცროსი ძმა წავიდა ცოლის საძებნად. მოძებნა, გაიტაცა, ამოხოცეს მდევარი და დაბრუნდნენ სამშობლოში.

3. სიამაყე (გვ. 41-44). **ჩამწერი:** ამიერკავკასიის სამასწ. სწმინარიის აღზრდილი **ტ. კულიბეკოვი, ჩაწერილი:** ქ. შუშაში.

იყო ერთი ძლიერი, ყოვლისშემძლე, სამართლიანი მეფე, ყველას უყვარდა. ერთხელ იმაზე დაიწყო ფიქრი და როცა გონების თვალით გაიხსენა თუ როგორ ჰქონდა გამაგრებული საზღვრები სიამაყით აივსო, თავი უძლიერესად ჩათვალა, ღმერთი კი დაივიწყა. ღმერთმა ამისათვის დასაჯა. ანგელოზი გაგზავნა, რომელმაც მეფის სახე მიიღო. მის ტახტზე დაჯდა, მეფე კი ვეღარავინ იცნო და ერთბაშად დაკარგა ყველაფერი. შემდეგ ანგელოზმა ანგელოზმა აუხსნა ყველაფერი, დაანახა სიამაყე-ამპარტავნობის ფასი და გაქრა. მეფე კი ამის მერე თავმდაბალი გახდა და კიდევ უფრო გულიანად და გონივრულად მეფობდა.

4. ალი-ხანი (გვ. 44-50). **ჩაწერილი:** ქ. შუშაში, მთქმელი ზეინალ-ბეკი, **ჩამწერი:** ამიერკ, სამასწ. სემისარიის აღზრდილი მამედ-ბეკ მელიქ-ეგანოვი.

ერთ ქვეყანაში იყო მდიდარი ვაჭარი ჰაჯი-მურადი. ჰყავდა ულამაზესი ცოლი გულისტან-ხანუმი და ვაჟი ალი-ხანი. ვაჭარმა შვილი სასწავლებელში მიაბარა, თვითონ კი შორეულ ქვეყანაში გაემგზავრა. ვაჟს გრძნეული ცხენი აჩუქა. ვაჭრის ცოლს სხვა შეუყვარდა, შვილის თავიდან მოცილება გადაწყვიტა - მახე დაუგო, მაგრამ გრძნეულმა ცხენმა ყველაფერი ამცნო. ალიხანმა აჩეხა დედა და გაიქცა. დიდხანს იარა, სტეპში ერთ მწყემსს შეხვდა. ალი-ხანმა ცხენი გაუშვა, მწყემსს ტანსაცმელი გაუცვალა და გაუდგა გზას. მეფის მებაღის სახლთან გაჩერდა, თავი შეაცოდა, მეფეს სამი ქალიშვილი ჰყავდა: გულუზარ-ხანუმი, ასია-ხანუმი და ხურშიდ-ხანუმი. მათ მამას გათხოვება მოსთხოვეს. უმცროსმა ალი-ხანი აირჩია.

გავიდა დრო. მეფე ავად გახდა და წამალი ირმის ხორცი იყო. ალი-ხანმა იშოვნა. ქვისლებმა სთხოვეს ხორცი, ამანაც სახეებზე დამღის ფასად დაუთმო. თავად ირმის თავფეხის წვნიანით მოარჩინა მეფე.

ერთი წლის შემდეგ ქვეყანას მტერი დაესხა თავს. ალი-ხანმა გრძნეულ ცხენს უხმო, ამოწყვიტა მტერი, თვითონ დაიჭრა და მეფემ აბრეშუმის ხელსახოცით შეუხვია ჭრილობა. ცოლმა იცნო მამის ხელსახოცი. ყველაფერი გამოაშკარავდა. მეფემ დიდი ქორწილი გადაუხადა და სიძეს გვერდიდან არ იშორებდა.

5. ურია და მისი ქალიშვილი (გვ. 50-56). **ჩამწერი:** ნერგამის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი ქიარიმ-ბეკ იზმაილოვი.

ერთ ქვეყანაში იყო მდიდარი ვაჭარი - ურია. ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა. ცოლი მოუკვდა. ბევრი ეძება მეორე და შესაფერისი რომ ვერ ნახა, საკუთრი ქალიშვილის შერთვა გადაწყვიტა. ქალიშვილი ქორწილის დღეს გაექცა. ურია მის ძებნას შეუდგა.

ურიას ქალიშვილი - გიულპერი დამასკოში ჩავიდა მამაკაცად გადაცმული. მეფის ბაღში შეისვენა. დედოფალმა შენიშნა, ვინაობა ჰკითხა, მოახლედ დაიყენა. ერთხელ ვეზირის შვილის ქორწილში ქალად გადაცმული მივიდა, ვერავინ იცნო. მეფის ვაჟს ჩაუვარდა გულში. გადაწყვიტა მის საძებნელად წასვლა. გიულპერიმ ფლავში ნიშანი ჩაუგდო და მეფის ვაჟი მიხვდა ყველაფერს. მეფემ დააქორწინა ვაჟი გიულპერზე. გიულპერიმ ვაჟი გააჩინა, მამედი დაარქვეს. დამასკოში ჩავიდა გიულპერის მამა, როგორც დერვიში, მეფეს ეწვია. გიულპერიმ იცნო მამა. ურიამ იმდენი ქნა, რომ ბავშვს თვალი გამოსთხარა, დანა დედას ჩაუდო ჯიბეში. თვალის გამოთხრა დედას დაბრალდა. იგი სახლიდან გააგდეს - უდაბნოში. მტრედებისაგან შეიტყო შვილის თვალის მორჩენის საიდუმლო - შვილს თვალი აღუდგინა. დიდი სახლი შეხვდა გზად. დაბინავდა. მეფის ვაჟი ახმედი ცოლს გლოვობდა. ასე გავიდა 10 წელი. ერთხელ ნადირობის დროს გადააწყდა იმ სახლს, სადაც გიულპერი და მამედი იმყოფებოდნენ. მან იცნო ცოლ-შვილი. გიულპერიმ ყველაფერი უამბო. დერვიშებს აღარ ენდობოდნენ. გიულპერი კი ბედნიერად ცხოვრობდა.

6. რახიმისა და ნომაზის შესახებ (გვ. 56-58). ჩაწერილია დევანშირის მაზრის სოფ. მამურლიში, **ჩამწერი** ამიერკავკასიის სამსაწ. სემინარიის აღზრდილი **მუსა კულიევი.**

ერთხელ კეთილი კაცი რახიმი გზაზე მიდიოდა. ერთ მხვნელს გადაეყარა, უღელში ხარის გვერდით კაცი შეება. რახიმმა მიზეზი იკითხა. მევალე აღმოჩნდა. რახიმმა ვალი გადაუხადა, კაცი გაათავისუფლა. მას ნომაზი ერქვა. გავიდა დრო. რახიმს მოუწია გზად იმ მხარეს გავლა. ნოზამი ქალაქში ყველაზე მდიდარი კაცი აღმოჩნდა. მივიდა მასთან. დიდებულად შეხვდნენ ერთმანეთს, დაუმადლა ნომაზმა. ქვეყნიერება ისედაც არ დარჩებაო - უთხრა რახიმმა და დაემშვიდობა.

გავიდა დიდი დრო. რახიმმა იმ ქალაქში მეგობრის ნახვა გადაწყვიტა. ნოზამი უკვე მეფე იყო. ისევ დიდებულად შეხვდნენ. კარგა ხნის შემდეგ რახიმი ისევ მოხვდა იმ ადგილებში, ტრიალი მინდორი დახვდა, მწყემსი აძოვებდა საქონელს. მან უამბო ნომაზის ამბავი - მისი ქალაქი იყო ამ ადგილას, მიწისძვრამ ქალაქი მიწაში ჩაიტანაო. ქვეყნიერება ისედაც არ დარჩებაო - უთხრა რახიმმა მწყემსს და დაემშვიდობა.

7. მეფის ვაჟის ჯან-შახისა და მეფის ასულ ხაიატანუფუსისა (გვ. 58-64). **ჩამწერი:** ამიერკ. სამასწ. სემინარიის აღზრდილი **სოლტან მ. -ეფენდიევი. მთქმელი: საფტარ აზიაოვი,** ჩაწერის ადგილი **ქ. შემახა.**

ერთ სამეფოში იყო ძლიერი მეფე. ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, ჯან-შახი. იგი მამამ მიაბარა ერთ მრავალმხრივ განვითარებულ კაცს. სასახლეც აუგო და ჯან-შახი 15 წლამდე სწავლობდა. ერთ ღამეს იგი შენიშნეს ანგელოზებმა, მოიხიბლნენ მისი სილამაზით. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. ჯან-შახის პალატის თავზე. დაელოდნენ, ვიდრე ჯან-შახი ჩაიძინებდა. ანგელოზებმა აიყვანეს და იმ ქალაქთან მიფრინდნენ, სადაც ცხოვრობდა მისი მსგავსი მეფის ასული ხაიატანნუფუსა. იმ საწოლზე დააწვინეს, რომელზედაც ეძინა აუწერელი სილამაზის მეფის ასულს, თვითონ მკბენარებად იქცნენ და კბენა დაუწყეს. მან გაიღვიძა, დაინახა გვერდში მწოლიარე ჭაბუკი, მოიხიბლა მისი სილამაზით და იმ წამს შეუყვარდა. იქ შენიშნა დანა წარწერით „მეფის ვაჟი ჯან-შახი“. მან ხელი მოხვია მეფის ვაჟს, მერე ჩაეძინა. მერე მეფის ვაჟს გაეღვიძა, გაუკვირდა იქ ყოფნა, ჯან-შახმა მოხსნა ბეჭედი წარწერით „ხაიატანუფუსი“, მოეხვია მეფის ასულს და ბეჭედი ჩაიდო ჯიბეში. მას ჩაეძინა. ანგელოზებმა საწოლი მის ოთახში დააბრუნეს და გაუჩინარდნენ. გაღვიძებულ მეფის ასულს შეუყვარდა და ძლიერი სიყვარულისაგან ჭკუიდან შეცდა.

მამამ შეკრიბა ექიმები და განუცხადა: ვინც განკურნავს, ცოლად გავაყოლებ, ხოლო ვინც ვერ განკურნავს, თავს წავაცლიო. ბევრმა სცადა და თავი წააგო. ამასობაში მეფის ვაჟმაც გაიღვიძა, ბევრი იფიქრა და მისი მოძებნა გადაწყვიტა. ჯან-შახი მის საძებნად გაემგზავრა. ერთ დღეს უსიერ ტყეში მოხვდა. ღამით ყაჩაღები დაესხნენ თავს, მხლებლები დაუხოცეს, სხვები გაექცნენ, გზას მარტო გაუდგა. გზაში ურიას რვა ვაჟი დახვდა. ჯან-შახმა 3 ვაჟი მოკლა. ჯან-შახი შეუყვარდა ურიას ქალიშვილს, მას ქმრად უნდოდა, ჯან-შახმა თავი გადაირჩინა, გაიქცა. ბევრი რამ გადახდა. ბოლოს მიაღწია იმ ქალაქს, სადაც ცხოვრობდა მისი შეყვარებული. დაბინავდა ერთ დედაბერთან, მისგან გაიგო მეფის ასულის ავადმყოფობის ამბავი. ექიმის სამოსში გამოეწყო, მივიდა მეფესთან, განკურნა ქალი, მისცა ექიმს ქალი, ქორწილი გადაუხადა, ჯან-შახი თავის სამეფოში დაბრუნდა.

8. შამილი (გვ. 65-71), ჩაწერილია ელისავეტპოლის გუბერნიაში, ქ. შუშაში, ამიერკავკ. სამასწ. სემინარიის აღზრდილის **მამედ-ბეკ მელიქ-ეგანოვის** მიერ.

ერთ ქვეყანაში უშვილო მეფე იყო. უშვილობას ძლიერ განიცდიდა, რას აღარ აკეთებდა, თავის გარემოცვას რჩევასაც ეკითხებოდა. ერთ დღეს მას ბრძენი მოხუცი მიუყვანეს. მან გადაბრუნებულ მამალზე მიუთითა, დაკალი, ერთი შავი კვერცხი აქვს, ამოუღე, ნახევარი შენ შეჭამე, ნახევარი დედოფალს და შვილი გეყოლებათო.

მეფეს, მართლაც, ეყოლა ვაჟი, მელიქ-ჯუმშიდი დაარქვეს. მალე ქალიშვილიც ეყოლათ, სწორუპოვარი სილამაზისა. მეფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ყვავილით ვაჟი მოუკვდა, სამ დღეში კი დედოფალიც მიჰყვა. დედაქალაქში ცხოვრობდა ერთი პარა-ბაში ერთი ვაჟით. მას შამილი ერქვა და შეშისთვის წავიდა ერთხელ ტყეში, გზა დაებნა, ქოხს გადააწყდა, შევიდა, იქ ოქრო-ვერცხლი დახვდა და ერთი დევი. ეს დევი მტერი იყო, ყოველ დღე თითო ადამიანს სან-

სლავდა. პარა-ბაშმა ოქრო-ვერცხლით აივსო ტომარა, გაეპარა მძინარე დევს და დაბრუნდა სახლში.

დევმა გაიღვიძა, დაინახა, რომ გაქურდული იყო, ქურდს ჩაუსაფრდა. პარა-ბაში ისევ მივიდა ქოხში და დევმა გადაყლაპა. შურისძიების მიზნით შამილი წავიდა. გზაში გაცოფებული ცხვარი, აქლემი და ხარი დაიმორჩილა, დაკლა, გველი მოკლა. სამეფო ფრინველის ბუდეს უპირებდა აოხრებას. ბოლოს მიაღწია დევის სადგომს, შევიდა, დევის ქალიშვილი დახვდა. მისგან გაიგო, რაში იყო მამამისის სული, მოკლა დევი, ამოიყვანა მუცლიდან ცოცხალი მამა, სახლისაკენ გაემართა. მამას შეშურდა შვილის სიმდიდრე და ორმოში ჩააგდო. შამილი ამოძვრა, დაეწია მამას და აჩეხა ნაჭერ-ნაჭერ.

ქვეყანაში ხმა გავარდა, ვიღაცამ დევი მოკლაო. გავიდა ერთი წელი. მეფემ სახალხო თამაშობები გამართა. შამილმა გაიმარჯვა - შეწვდა მეფის ასულის სამყოფელს და აკოცა. მერე მეფეს უთხრა, რომ დევი მისი მოკლული იყო. მეფემ თავის ქალიშვილზე დააქორწინა.

9. მწყემსი იბრაგიმი (გვ. 71-81), ჩაწერილია ქ. გორში, მთქმელი ბორჩალოს მაზრის სოფ. სარვანის მკვიდრი (სახელი არ არის მითითებული), ჩამწერი ამიერკავ. სამასწ. სემინარ. აღზრდილი **რუსტამ მელიქ-ასლანი.**

ერთ ქვეყანაში იყო ერთი მოხუცი, ორი ვაჟი ჰყავდა - რუსტამი და იბრაგიმი. მამის სიკვდილის შემდეგ ისინი მწყემსავდნენ ფარას. იბრაგიმმა სიზმარში მთვარე იხილა მის ფარზე ჩამოსული. ეს ბედისწევის ნიშნად აღიქვა ყველამ. იბრაგიმი იმ ბედის საძიებლად გაემგზავრა. ბევრი იარა და ერთ ქალაქში ჩავიდა. ღამე ქალაქის ახლოს, სიმაგრეში გაათია.

იმ ქალაქის მეფეს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა - კულ-შადი, მის ვეზირს კი ერთი ვაჟი - იბრაგიმი. ისინი ერთად სწავლობდნენ და უყვარდათ ერთმანეთი. გადაწყვიტეს გაპარულიყვნენ იმის შიშით, რომ მეფე ვეზირის შვილს არ მისცემდა ასულს. მეფის ასულმა ოქრო-ვერცხლი მოიმარაგა, ორი ცხენი შეაკაზმვინა და ძველ ციხესთან ელოდებოდა იბრაგიმს.მწყემს იბრაგიმს ეძინა. მეფის ასული თავის სატრფო იბრაგიმს უხმობდა, მწყემსი იბრაგიმი გამოეპასუხა. გაჰყვა კულ-შადი. მათ ერთმანეთს თავ-თავისი ამბები უამბეს. ბედს დაემორჩილნენ, გაუდგნენ გზას. ერთ ქალაქში ჩავიდნენ, დაბინავდნენ. მეფე კარგა ხანს ეძებდა ქალიშვილს და მერე დამშვიდდა. იმ ქალაქის მეფე იყო მელიქ-ასლანი. მეფის ასულმა მისი გაცნობა მოინდომა. მეფემ დიდი პატივით მიიღო. მეფეს, ვეზირს მამედ-ალის მათი შეშურდათ, მათი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს, დაიბარეს იბრაგიმი და ძვირფასი ქვის შოვნა დაავალეს. იბრაგიმს უამრავი რამ გადახდა, დიდ სასახლეს გადააწყდა, სადაც მძინარე მზეთუნახავი იხილა, შეუყვარდა. მან მოკლა მისი გამტაცებელი დევი, წაიყვანა ქალი, წაიღო დევის სიმდიდრე, დაბრუნდა, ცოტა შეისვენა და მეფესთან წასვლა დააპირა. მისმა გათავისუფლებულმა მეფის ასულმა შახ-სანამმა საკუთარი სისხლის წვეთები ძვირფას ქვებად აქცია, ეს მეფეს წაუღეს. მეფე ცივად შეხვდა. ახლა ვარდის შოვნა დაავალა. იბრაგიმი გაუდგა გზას, ერთგან დიდი ფრინველის ბარტყები იხსნა გველისაგან. მადლიერმა ფრინველმა დააკვალიანა, ასწავლა როგორ უნდა ეშოვნა ვარდი. იბრაგიმმა მიართვა მეფეს ვარდების თაიგულიც. შეშინებულმა მეფემ ახლა მსხლის მოტანა დაავალა, რომელიც ლურჯი ზღვის გაღმა იზრდებოდა. იბრაგიმს ფრინველი დაეხმარა. იბრა-

გიმმა ვაშლებით და მსხლებით აავსო კალათა და დაბრუნდა. მეფეს მსხლები მიართვა. მეფემ და ვეზირმა გამოუცხადეს, რომ მისი ეშინოდათ და უნდა მოეკლათ. იბრაგიმმა დრო ითხოვა საომრად მომზადებისათვის. იბრაგიმმა სძლია მეფეს, მოკლა ისიც, ვეზირიც, თავად გამეფდა.

10. ობოლი იბრაგიმი და ხარბი მედუქნე (გვ. 82-95), **ჩაწერილი:** შუშის მაზრის სოფ. ტუგში, **მთქმელი:** მწყემსი ფაზლალი ალიშ-ოღლი, **ჩამწერი:** ამიერკავკ. სამასწ. სემინარიის აღზრდილი რუსტამ მელიქ-ასლანოვი.

ერთ ქვეყანაშ ცხოვრობდა ჩიტების დამჭერი. ის უღარიბესი იყო. უცებ გარდაიცვალა და ფეხმძიმე ცოლი დარჩა. გაჩნდა ვაჟი იბრაგიმი. ცოტა ხანში იგი მამის გზას - ჩიტების დაჭერის გზას დაადგა. ერთ დღეს მან სასწაულებრივი ჩიტი დაიჭირა. ჩიტმა კვერცხი დადო. იბრაგიმის დედამ კვერცხი მედუქნესთან მიიტანა. მედუქნემ მეფეს მიუტანა, მეფემ უხვად გადაუხადა. მედუქნე უცებ გამდიდრდა.

ერთხელ იბრაგიმმა რამდენიმე კვერცხი თავად მიუტანა მეფეს. მეფემ იმაზე მეტი გადაუხადა, ვიდრე მედუქნეს. მედუქნე გამწარდა და იბრაგიმისათვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა. მივიდა მეფესთან და ურჩია: იბრაგიმს ფრინველი მოაყვანინეო. დაღონდა იბრაგიმი და მაინც მიუყვანა ფრინველი მეფეს. იბრაგიმი გამდიდრდა, მეფეს დაუახლოვდა. მედუქნე შურით ლამის გასკდა. მივიდა მეფესთან და ურჩია, იბრაგიმს იმ ფრინველის მამალი მოაყვანინეო. მეფემ, მართლაც, დაავალა იბრაგიმს მამლის დაჭერა და მიყვანა. დედამ ურჩია, რომელ ადგილზე წასულიყო და იქ დაეგო მახე მამალი ფრინველისათვის. იბრაგიმმა დაიჭირა, მიუყვანა მეფეს და მეფემ უხვად დაასაჩუქრა.

მედუქნის ჩაგონებით მეფემ საოცარი ვარდის მიტანა დაავალა. იბრაგიმმა მოძებნა ის ბაღი, სადაც ვარდი ხარობდა, ბაღის პატრონი დევის სახლში ულამაზესი ქალიშვილი იხილა, დევს კალთაში ჩაედო თავი და ეძინა. იბრაგიმი და ქალი გაიქცნენ, დაბრუნდნენ სახლში. ქალი მეფის ასული ხურშიდა აღმოჩნდა. იბრაგიმმა სასახლე ააგო. ამასობაში მედუქნის რჩევით მეფემ საიქიოში გააგზავნა იბრაგიმი - ჩემი მშობლების ამბავი ჩამომიტანეო. იბრაგიმმა ეშმაკობა იხმარა - ვითომ იყო საიქიოში და მშობლების დანაბარები ჩაუტანა. ისინი ნაწყენები არიან, რომ მე გამაგზავნეო და არა თქვენი კარისკაციო. ბევრ რამეს მას ეტყვიანო. მეფემ მედუქნე გააგზავნა საიქიოში. მედუქნემ მთელი ქონება იბრაგიმს მიართვა, დახმარება სთხოვა. იბრაგიმმა უთხრა, ორმოში ჩახტი, იქ ნახავ საიქიოს გზასო. მედუქნემ დაუჯერა, ჩახტა ორმოში და სული გასძვრა. მეფე დიდხანს ელოდა მედუქნეს, ვიდრე თავადაც არ ამოსძვრა სული. იბრაგიმმა შეირთო მეფის ასული და ბედნიერად ცხოვრობდა.

11. მოყმე იბრაგიმი (გვ. 95-104), ჩაწერილია ბორჩალოს მაზრის სოფ. თეჯიში. მთქმელი ამ სოფლის მკვიდრი **მაშადი ალი ყული-უღლი;** ჩამწერი ამისერკავ. სამასწ. სემინარიის აღზრ. **ზიად შარიფოვი.**

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი მეთევზე, სამი ქალიშვილი ჰყავდა. ცოლი გარდაეცვალა და ერთი ავი ქვრივი შეირთო. დედინაცვალმა შეიძულა გერები, მამას ტყეში დაატოვებინა. დებს მოშივდათ და უმცროსის შეჭმა გადაწყვიტეს. უცროსმა ჯოხით თხარა და მიწისქვეშ საჯინიბოში მიმავალი გზა აღმოაჩინა. საჯინიბო შაჰ აბასს ეკუთვნოდა. ქალიშვილები საკვებს ართმევდნენ ცხენებს. ის-

ინი დაიჭირეს ქურდობაზე, შაჰთან მიიტვანეს. მან ჰკითხა, ვის რისი გაკეთება შეეძლო? უფროსს შეეძლო იმხელა ხალიჩის მოქსოვა, რაზედაც შაჰის მთელი ჯარი დაეტეოდა, შუათანას კვერცხის ნაჭუჭში იმდენი ერბოკვერცხის შეწვა, რომ მთელ ჯარს დააპურებდა. უმცროსმა კი უთხრა, ქმარს ოქროს და ვერცხლის ქოჩრიან შვილებს გავუჩენო. შაჰმა უმცროსი შეირთო. მან ქალ-ვაჟი გააჩინა, ოქროსა და ვერცხლის ქოჩრიანები. დებს შეშურდათ, კუდიანი დედაბრის დახმარებით ბავშვები ყუთში ჩასხეს და ზღვას გაატანეს, მშობიარეს კი ლეკვები შეუყარეს. შაჰმა თვალების დათხრა და ორმოში ჩაგდება ბრძანა.

ერთმა ღვთისმოსავმა ამოიყვანა ყუთიდან ბავშვები, ანგელოზებს მიჰქონდათ საკვები, 7 წლამდე ასე იზრდებოდნენ. მოკვდა ღვთისმოსავი კაცი. ბავშვებმა დაიტირეს და გაუდგნენ გზას. და-ძმა - იბრაგიმი და გიულიზარა - ერთ ბაღში მოხვდნენ. ისინი მებაღემ იშვილა. ეს ბაღი შაჰ აბასის ქალაქში იყო. ბავშვები მებაღეს ყვავილების თაიგულის კეთებაში ეხმარებოდნენ. შაჰ აბასამდე მივიდა მათი ოსტატობის ამბავი. მებაღეს ბავშვების მიყვანა უბრძანა. ბიჭი მიუყვანა, გოგო ავად არისო. შაჰი გაესაუბრა ბიჭს და კმაყოფილი დარჩა. დეიდები მიხვდნენ და ბიჭის დაღუპვა განიზრახეს. გრძნეულმა დედაბერმა მის დას მიაშურა, გააბრიყვა, მოლაპარაკე ხის მიტანა სთხოვეო ძმას. იბრაგიმმა წასვლის წინ შეუარა შაჰ აბასს და წასვლის ამბავი ამცნო. შაჰმა არ ურჩია, მაგრამ იგი მაინც წავიდა. გზაში ძალიან მოხუცი დედაბერი შეხვდა. არც მან ურჩია მოლაპარაკე ხის საძებნელად წასვლა. მაინც წავიდა. მოძებნა ხე, ფესვებიანად მოთხარა, დაბრუნდა და ბაღში დარგო.

ახლა თარჯიმანი ფრინველის მიყვანა დაავალეს. გზად ისევ მოხუც დედაბერს შეხვდა, რომელმაც ასწავლა, თუ როგორ უნდა ჩაეგდო ხელში ფირნველი. იბრაგიმმა დაიჭირა ფრინველი და მიუყვანა დას. დეიდების დავალებებით გრძნეულმა დედაბერმა ჩააგონა დას იბრაგიმი გაეგზავნა გურიის ქვეყნის მეფის ასულზე დასაქორწინებლად. იბრაგიმი წავიდა, ეშმაკების ქვეყანაში მოხვდა, წყაროზე წყალი დალია, დაინახეს ეშმაკების მეფის თანამოაზრეებმა, მიიყვანეს მეფესთან, მეფემ მას აჩუქა მფრინავი ხალიჩა, ჯოხი, სუფრა და უჩინმაჩინის ქუდი. იბრაგიმი მივიდა გურიის სამეფოში, შეირთო მეფის ასული და დაბრუნდა სამშობლოში. შაჰ აბასმა ნადიმზე გაარკვია, რომ მისი ცოლი უდანაშაულო იყო. უფროსი დები დასაჯა, ხოლო იბრაგიმი ცოლთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდნენ.

12. ბაღდადელი ჯაფარის ზღაპარი (გვ. 104-108), ჩაწერილია ქ. გორში, ამიერკავკ. სამასწ. სემინარიის აღზრდილის **აბას მინასაზოვის** მიერ.

ბაღდადში, როცა არაბეთის ხალიფატის სატახტო იყო, ცხოვრობდა ერთი ცოლქმარი. თავიდან მდიდრულად ცხოვრობდნენ, შემდეგ გაღარიბდნენ. ქმარი - ჯაფარი უცხო მხარეს გაეშურა საშოვარზე. ცოლს დაუბარა: ბედმა გაგვყარა. იქნებ უცხოეთში ვიშვო ლუკმა-პურის სახასრიო. სამი წელი მელოდეო. იგი შირაზში გაემგზავრა, ქარავანს გაჰყვა, მინარეთებითა და ბაღებით განთქმულ ქალაქში. იქ ერთი კაცს დაუდგა მოჯამაგირედ. გავიდა ერთი წელი. პატრონმა უთხრა 50 თუმანს დაგიმატებ უპატიოსნო შრომისათვის, ან 15 თუმანს პატრონი შრომისათვისო. ჯაფარმა 15 თუმანი გამოართვა და წავიდა ცოლისათვის რაიმეს საყიდლად. ოთხი დიდი ბროწეული უყიდა, ერთ ნაცნობს გაატანა. ცოლმა გახლიჩა და ალმასები და სხვა ძვირფასი ქვები გადმოცვივდა. მან ძვირფასეულობა დამალა.

ჯაფარმა კიდევ ერთი წელი იმსხურა, პატრონს სახლში გაშვება სთხოვა. პატ-

რონმა თანხმობა და ორი რჩევა მისცა. დარჩი ღამის გასათევად, სადაც ბინდი მოგისწრებს და ყველაფერში მოთმინება იქონიეო. ჯაფარი ბაღდადისაკენ მიმავალ ქარავანს გაჰყვა. გზაში შემოაღამდათ. ქარავნის თავმა გზის გაგრძელება ბრძანა, ჯაფარმა განაცხადა აქ დავრჩებიო ღამითო. მექარავნეებიც დარჩნენ. დილით გზა განაგრძეს და ორივ მხარეს დასახიჩრებული გვამები დაინახეს, ყაჩაღებს ვაჭრები დაეხოცათ. მიხვდნენ, რომ ჯაფარის გადარჩენილები იყვნენ და ფულის ნაწილი გადასცა თითოეულმა.

ჩავიდნენ ბაღდათში. ჯაფარმა თავისი ქოხის ადგილზე დიდებული სასახლე იხილა. შიგ შევიდა, ცოლი დაინახა მდიდრულ სამოსში. გულში გაიფიქრა გათხოვდაო. თავისი ბატონის რჩევა გაახსენდა, მოითმინა, შევიდა სახლში, ცოლი სიხარულით მოეხვია. მერე დარჩენილი ბროწეულები გადახსნა და თვალმარგალიტი დაცვივდა. დარწმინდა ცოლის ერთგულებაში და კვლავ მდიდრული ცხოვრება განაგრძეს. გავიდა ხანი. ჯაფარი ავად გახდა, იგრძნო აღსასრულის მოახლოება, იხმო ცოლი და დაუბარა, შვილები დაარიგე, რომ პატიოსანი გზით იარონ და პატიოსანი შრომით მოიპოვონ პური არსობისაო.

13. მეფის ვაჟი გაზანფარი (გვ. 109-120), ჩაწერილია შუშის მაზრის სოფ. იუზბაშილუში, მთქმელი **ა. ახმედოვი,** ჩამწერი ამიერკავკასიის სამასწ. სემინარიის აღზრდილი **დადაშ მამედოვი.**

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა მდიდარი მეფე მელიქ-ნადირი. ერთადერთი ვაჟი ჰყავდა - გაზანფური. გოგო არ ჰყავდა, რადგან გაუჩნდებოდა თუ არა, აკვლევინებდა. ერთხელ მეფე სადღაც გაემგზავრა, სახლში ფეხმძიმე დედოფალი დატოვა. შვილს დაუბარა, თუ გოგო გაჩნდა, მოკალიო. გოგო გაჩნდა. ძმას შეეცოდა, არ მოკლა - მეფემ რომ შეიტყო, ორივე შვილის დახოცვა ბრძანა, ვეზირის რჩევით სახლიდან გაყარა.

დაძმამ დიდხანს იარა და უდაბნოში პატარა სახლს გადააწყდნენ. შიგ შვიდ დევს ეძინა. მეფის ვაჟმა დახოცა, ჭაში ჩაყარა. იქ დაბინავდნენ, თავს ნადირობით ირჩენდა. ჭაში ერთი დევი ცოცხალი აღმოჩნდა, მეფის ქალიშვილმა ამოიყვანა, შეუყვარდა დევი. მათ ძმის დაღუპვა გადაწყვიტეს, მაგრამ იგი გადარჩა, მიუტანა დას ნესვები. დევის რჩევით დამ გაზამფარი ახლა ვაშლების მოსატანად გააგზავნა. ძმამ გადალახა ყველა დაბრკოლება და შეასრულა დავალება.

დამ თავი მოიავადმყოფა და ახლა გარეული ცხვრის ხორცის მიტანა სთხოვა დევის ჩაგონებით. გაზამფარმა შეასრულა დავალება. დევის რჩევით დამ გააბრიყვა ძმა, ხელები შეუკრა და დევმა იგი აკუწა, ტომარაში ჩააგდო, სახედარს აჰკიდა, ტყეში გააგდო. გაზამფარის შეყვარებულმა გააცოცხლა. მეფის ვაჟმა ჯერ დევს წაცალა, შემდეგ დას ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა.

გაზამფარს მიჯნური მოუკვდა. იგი მამის სახლში დაბრუნდა.

ერთხელ გაზამფარმა მამის კიდობანი გახსნა, ლამაზი ქალის სურათი ნახა, შახბაზპერი ერქვა. ერთი ნახვით შეუყვარდა. იგი სახელოვანი მეფის ასული იყო და ქვეყნიერების კიდეზე ცხოვრობდა. მამამ მელიქ-ნადირმა დიდი ჯარი შეკრიბა, შვილის სურვილის შესასრულებლად გაემგზავრა. გზაში ჯარი დაიმშა, გაიფანტა, შვილი და ერთი ვეზირი შერჩა. გზა გაზანფარმა განაგრძო. უამრავი რამ გადახდა, მოიპოვა შახბაზპარი, წაიყვანა დადევნებულ მდევარს დააღწია თავი, შემდეგ დევმა წაართვა სატრფო. დამხმარე ყარა ყულამალისთვის ერთად მიაკ-

ვლია შვიდთავა დევის სამყოფელს. მოკლეს დევი, ბოლოს გაზამფარი სატრფოსთან ერთად დაბრუნდა მამის სახლში. მელიქნადირს შვილის დაღუპვა და ქალის შერთვა სურდა. ხრიკებს მიმართა, ძალით იქორწინა. ყარა ყულამალი დაეხმარა, მტრედებისაგან გაიგო მეფის ვაჟის წამალი, განკურნა და იმ დროს მიიყვანა სასახლეში, როცა მელიქნადირი ქორწილს იხდიდა. ყარა ყულამალიმ ყველა დახოცა. გაზამფარმა იქორწინა სატრფოზე და ბედნიერად ცხოვრობდა.

14. სალიმ-ხანი (გვ. 121-128), ჩაწერილია ქ. შუშაში, ამიერკავკასიის სამასწ. სემინარიის აღზრდილის **ჯამილ-ბეკ ახუნდოვის** მიერ.

ერთხელ შაჰაბასი დიდი რაზმით სანადიროდ წავიდა, ირემი დაინახა, გაეკიდა, დიდხანს სდია. მის რაზმს დაბრუნების იმედი გადაეწურა. შაჰი გზაჯვარედინს გადაეყარა. არ იცოდა, რა ექნა. კაცი შეხვდა, შუა გზით წასვლა ურჩია - ბედნიერების გზა რომ ერქვა. შაჰი გზას გაუდგა, მიტოვებულ ციხე-სიმაგრეს გადაეყარა. მოხუცმა გაუღო კარი. შაჰ აბასმა ირმის ამბავი უამბო. მოხუცმა უთხრა, რომ ირემი მისი ქალიშვილი იყო, მიიყვანა შაჰთან, მარცხენა ლოყაზე ხალი ჰქონდა. შაჰი აღფრთოვანდა, მოხუცს ქალიშვილის ხელი სთხოვა. ქალიშვილს ზიბაიზაბელა ერქვა. მოხუცმა შაჰის ვინაობა რომ გაიგო, თანხმობა განუცხადა. შაჰმა შეირთო ქალი და სახლში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ცოლი არ გაჰყვა. შაჰი დაემშვიდობა, ძვირფასი სამაჯური აჩუქა, თუ ბიჭი გეყოლა, მარჯვენა ხელზე შეაბი, თუ გოგო გაჩნდა - მარცხენაზეო.

შაჰ-აბასი დაბრუნდა, მოაწესრიგა საქმეები. უშვილობა აწუხებდა. ერთხელ სანადიროდ წავიდა, მოხუცი სიმამრი შეხვდა. მისგან გაიგო, რომ ვაჟიშვილი ჰყავდა. გახარებულმა მოხუცს ოქროს ხმალი აჩუქა, ძვირფასი ქვებით შემკული. ინახულა ცოლი, შვილი. შაჰმა შვილი ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა, სალიმ ხანი დაარქვეს. შაჰი წავიდა, შვილის აღზრდა დედას დააკისრა. დედამ შვილისათვის თანატოლის ძებნა დაიწყო. მოძებნეს სპარსელი პრინციპის 8 წლის გოგონა ზიბეიდა. სელიმ ხანი და ზიბეიდა ერთად იზრდებოდნენ, შვიდი წლის განმავლობაშ. 12 წლისა რომ გახდა. სელიმ-ხანი შაჰმა თავისთან იხმო. მას არ ეთმობოდა ზიბეიდა და სახლიიდან გაიპარნენ. ისინი ორმა ქალმა შეიფარა. შაჰმა ძებნა დაუწყო მათ და ისინი ზიბეიდას მშობლებთან დაბრუნდნენ. სელიმ-ხანი მამასთან წავიდა ზიბეიდას შერთვის ნებართვის სათხოვნელად. იგი დააპატიმრეს, შაჰმა იცნო შვილი, თავისთან დატოვა. მალე შაჰ-აბასი მოკვდა. სელიმ-ხანი ავიდა ტახტზე, იქორწინა ზიბეიდაზე და ბედნიერად ცხობრობდა.

III. ანეგდოტები მოლა ნასრედდინზე

1. მოლა ნასრედინის ქადაგება (გვ. 129).

მუსულმანებში პარასკევობით მეჩეთებში ქადაგებები ტარდება. ამისათვის საზოგადოება ირჩევს ჯუმას იმამს - განსაკუთრებულ სასულიერო პირს. ერთხელ აირჩიეს მოლა ნასრედინი. მან პუბლიკას შემდეგი სიტყვებით მიმართა: ისმინეთ, ყოველ წუთიერად შემოქმედს მადლი უნდა შევწიროთ, რომ აქლემს არ მისცა ფრთები ისე, როგორც ადამიანს მისცა გონი, თორემ აფრინდებოდნენ, თქვენი სახლების სახურავებზე მოინდომებდნენ დასხდომას, ჩაანგრევდნენ და ნანგრევებში დაიღუპებოდითო.

2. მოლა ნასრედინის მიხვედრილობა (გვ. 129-130)

ერთ ნასრედინის მსგავს მასხარას თხუთმეტი კვერცხი მიჰქონდა ნაჭერში გამოკრული. გზაში ნასრედინი შეხვდა. თუ გამოიცნობ რა მაქვს გამოკრული, ამ კვერცხების ნახევარს მოგცემ, ხოლო თუ იმასაც გამოიცნობ რამდენია, თხუთმეტივე შენი იქნებაო. მან მიუგო: მე ღმერთი კი არა-ვარ. ამას ღმერთის გარდა, ვერავინ გამოიცნობსო. რაიმე ნიშანს თუ მეტყვი, იქნებ გამოვიცნოო. გარედან თეთრია, შიგნიდან მოყვითალო და წაგრძელებულიო - მიანიშნა მასხარამ. იყვირა მოლამ: **გამოვიცანი, თალგამიაო.**

3. გასიდი (გვ. 130).

მოლას ცოლი მოუკვდა და სხვა შეირთო. სამი თვის მერე ბავშვი გააჩინა. ცოტა ხანში შეიკრიბა ნათესაობა სახელის დასარქმევად. ამ ბავშვს გასიდი უნდა დავარქვაო (სწრაფადმოსიარულე), იმიტომ, რომ ცხრა თვის მანძილზე სამ თვეში გაიარაო.

4. მოლა სახედრად (გვ. 130-132).

ემირი დიაცთმოყვარული იყო და მთელ დღეებს ჰარემში ატარებდა. ნასრედინმა ამ მანკიერებისაგან გადაჩვევა მოუნდომა. საუბარი გაუბა, რომ ასეთი საქციელი არ შეეფერებოდა მის მაღალ მდგომარეობას. ემირზე ძალიან იმოქმედა მოლას სიტყვებმა, მიანება თავი ჰარემს და თავისი ქალების საზოგადოებას.

ლამაზმა მხელმა ემირს მიზეზი ჰკითხა. ემირმა მოლა დაუსახელა და ქალის თხოვნით მოლას აჩუქა იგი. ქალმა ძალიან იოლად მოხიბლა მოლა, თავი შეაყვარა, ვნებამოძალებული მოლა მუხლებზე დაეცა მის წინაშე და შეჰყვირა: ყველაფრისათვის მზად ვარ, ოღონდ ჩემი იყავიო. თანახმა ვარ, თუ მართალია, შენ ზურგზე შემისვი და ასე გამატარეო. მოლას გაუხარდა, იოლი ხარკიაო, დათანხმდა. ქალმა მალულად ემირს კაცი გაუგზავნა, დაიბარა, აყურებინა, როგორ დაარბენინებდა მოლას ოთხით. ემირი ეცა მოლას, გათათხა: – მე მიშლიდი და შენ რა დღეში ხარო?! სწორია, მბრძანელებო, თუ დაუკვირდები, მართალი ვარ, - მიუგო მოლამ, - მართალი არ ვიყავი, როცა ჩაგაგონებდი ქალებთან სიახლოვე არ შეიძლება - თქო. ღმერთს მადლობა უნდა უთხრა, რომ შენ კი არ ხარ შეკაზმული როგორც სახედარი, არამედ – მეო.

5. მოლა-თერძი (გვ. 132).

ბავშვობაში მოლა მამამ თერძს მიაბარა ჭრა-კერვის შესასწავლად. სამი წლის შემდეგ მამამ იკითხა რა ისწავლა მისმა შვილმა. –ნემსის ყუნწში ძაფის გაყრა უკვე ვიცი, ახლა მის გამოყენებას ვსწავლობო.

6. სიბერე და სიჯელე (გვ. 132-133).

მოლა ნასრედინი ბაზარში წავიდა სახედრის საყიდლად. მეგობარი შეხვდა. – სად მიდიხარ, ხომ მშვიდობააო? მოლამ უთხრა, რომ ვირის ყიდვას აპირებდა.

– თქვი: ღმერთს დიდებაო. - რატომო, – უთხრა მოლამ, ფული ჯიბეში მაქვს, ბაზარი კი ვირებითაა სავსეო. მოლას ფული ამოაცალეს და ხელცარიელი წავიდა ბაზრიდან. იყიდე სახედარიო? - ჰკითხა მეზობელმა. – დიდება ღმერთს, ფული ამომაცალეს, დიდება ღმერთს, დაგწყევლოს ღმერთმაო - მიუგო მოლამ და მას მერე ლაპარაკს ღმერთის დიდებით იწყებს.

7. მიხვდრილობა (გვ. 133-134).

ერთხელ მოლას ნაჭერში გამოკრული ატმები მიჰქონდა. ნაცნობებს გაუარა და გაემასხრა: – ვინც გამოიცნობს რა მიმაქვს, ყველაზე დიდ ატამს მივცემ. ვიღაცამ იყვირა: - ატმებიო. – რომელმა მამაძაღლმა გითხრაო? - უპასუხა მოლამ და ყველაზე დიდი ატამი მიაწოდა.

8. მოლა სხვის ბაღში (გვ. 134-135).

მოლა კალათით სხვის ბაღში შევიდა და ხილს დაუწყო კრეფა. მებაღე კომბლით გამოუდგა. მოლა დაიბნა და უთხრა: – გზაზე მივდიოდი, ძლიერი ქარი ამოვარდა და აქ გადმომაგდოო. – ხილ-ბოსტნეულს რატომ კრეფო? – როგორ შევიკავებდი თავს, ამ ხეებს რომ არ ჩავჭიდებოდიო. – ასე ლამაზად როგორღა ჩააწყეო კალამში? - ჰკითხა მებაღემ. – მაგაზე მეც ვფიქრობდი, მაგრამ პასუხის პოვნაში ხელი შენ შემიშალეო. მებაღე ისე მოიხიბლა პასუხით, თვითონვე ამოურჩია და აჩუქა ხილი.

9. მოლა გადაარჩინა ღმერთი (გვ. 135-137).

მოლამ უსაქმურობით თავი მოაბეზრა ცოლს, მან გააგდო და უთხრა: – ფეხს არ შემოგადგმევინებ, თუ ოც გროშს მაინც არ იშოვიო. მოლამ ვერაფერი იშოვა და ნანგრევებთან გადაწყვიტა ღამის გათევა. დერვიშს მოჰკრა თვალი. მან სანთელი ამოიღო და გამოსახულება გამოძერწა და მან მიმართა ნაკეთობას: – ადამო, ღმერთმა სამოთხეში მოგათავსა, რატომ დაარღვიო შენი ღორმუცელობისათვის ღმერთის მითითება - ყველაფრით ისარგებლე და ხორბალს ნუ ახლებ ხელსო. შენ რომ არ დაგერღვია წესი, ხალხი იძულებული არ იქნებოდა მძიმე შრომით მოეპოვებინა პური არსობისა და სიკვდილის შემდეგ საღმრთო სასამართლო გამოეცადაო. დაჰკრა დერვიშმა ჯოხი და გააბრტყელა ნაძერწი. შემდეგ ევა გამოძერწა. დაადანაშაულა ადამის შეცდენაში და ჯოხით მისი ქანდაკებაც გააბრტყელა. შემდეგ ეშმაკი გამოძერწა, მასაც წაუყენა ბრალი და ნაქანდაკარი გააბრტყელა. მეოთხედ ღმერთის ხატი გამოძერწა. ბრალი მასაც წაუყენა და ქანდაკება როცა უნდა გაებრტყელებინა, მოლამ იყვირა: – შეჩერდი, სანამ ღმერთი ოც გროშს არ მომცემს, თორემ ცოლი სახლში არ შემიშვებსო. შეშინებული დერვიში გაიქცა. მოლამ მის ჩანთაში ასი ოქრო იპოვა. დაბრუნდა სახლში, თამამად დააბრახუნა კარზე. – ოცი გროში თუ მოიტანე, გაგიღებ, თუ არა და არ შმოგიშვებო - უთხრა ცოლმა. – ოცი კი არა, ასი ოქრო მოვიტანეო. – სად იშოვე? – ჰკითხა ცოლმა. – ღმერთმა გადაგვარჩინაო - უპასუხა მოლამ.

10. მოლა მათემატიკოსი (გვ. 137-138).

მოლას ჰკითხეს: – მათემატიკოსთან როგორ ხარო? და – არ არსებობს კითხვა, რომ ოდნავ დამაფიქროსო. გამოსაცდელად ოთხი დრაჰმის გაყოფა სთხოვეს სამ ამხანაგს შორის. – ორ ამხანაგს ორ-ორი დრაჰმა მივცეთ. მესამეს მოცდას ვთხოვო, როცა ღმერთი ორ დრაჰმას მოგვცემს, მასაც დავაკმაყოფილებო.

11. კატა სასწორი (გვ. 138).

მოლამ სამი ფუნტი ხორცი მიიტანა სახლში და ცოლს ბოზბაშის გაკეთება დაავალა. ცოლმა საყვარელთან ერთად შეჭამა. საღამოს მოლამ ვახშამი მოითხოვა.

ცოლმა კატას დააბრალა. მოლამ სტაცა ხელი კატას და სასწორზე დადო. კატა სამ ფუნტზე კარგა მსუბუქი აღმოჩნდა. – უსირცხვილო ქალო, კატას ცილს როგორ სწამებ, სამი ფუნტი ხორცი რომ შეეჭამა, ცოტა მეტი წონა უნდა ჰქონოდაო.

12. ქურდობაზე წასწრებული მოლა (გვ. 138-139).

მოლამ ერთი ტომარა ხორბალი წაიღო წისქვილში. მეწისქვილე რაღაცით იყო დაკავებული. მოლამ ყველა ტომრიდან მუჭა-მუჭა ხორბლის აღება და თავის ტომარაში ჩაყრა დაიწყო. მეწისქვილემ ყურში წაავლო ხელი: – რას აკეთებ სულელოო.

– კი სულელი ვარ, სულელს კი პასუხი არ მოეთხოვება. – თუ სულელი ხარ, რატომ შენი ტომრიდან არ ჰყრი სხვის ტომრებში ხორბალსო. – მაშინ უბრალოდ სულელი კი არ ვიქნებოდი, არამედ ყველაზე სულელიო - მიუგო მოლამ.

13. მოლა გაქურდულია (გვ. 139).

მოლა სახლში ბრუნდებოდა. იარაღიც აჰყარეს და ტანსაცმელიც გახადეს. მოლამ ამხანაგებს უამბო მომხდარი. – განა იარაღი არა გქონდაო? - ჰკითხეს. – ხელები დაკავებული მქონდა - ცალ ხელში ხმალი მეკავა, მეორეში - თოფი, თორემ სეირს ვუჩვენებდიო.

14. საკუთარი ფულის გადარჩენის ხერხი (გვ. 140)

ნაჭუჭიანად რატომ ჭამ კაკალსო? - ჰკითხეს მოლა ნასრედინს. – იმიტომ, რომ ნაჭუჭშიც ფული მაქვს გადახდილიო. სჯობს ჰკითხოთ რატომ ჰყიდიან კაკალს ნაჭუჭითო.

15. ცხვრის თავი (გვ. 140).

მამამ ნასრედინი მზარეულთან გააგზავნა ცხვრის თავის საყიდლად. მოლამ გზაში მთელი ხორცი შემოაცალა და შეჭამა. მამას ცარიელი თავის ქალა მიუტანა.

მამამ ჰკითხა: – სადა აქვს ყურებიო? – ალბათ, დაბადებიდან არ ჰქონდაო. – თვალები სადღააო, ან ტყავიო?! – სამაგიეროდ კბილები როგორი აქვს, ერთიც არ აკლიაო - უპასუხა მოლამ.

16. მოლას სიზმარი (გვ. 140-141).

სიზმარშია მოლა. ვიღაცა 9 ოქროს მონეტას აძლევს. ის კი უარს ეუბნება და ერთის დამატებას სთხოვს, 10 იქნება დამრგვალებულიო. გაეღვიძა და კაპიკიც არა აქვს. მოინანია შეცდომა, დაწვა, თვალები დახუჭა - ვითომ დაიძინა, ხელი გაიშვირა და ამბობს: – ჯანდაბას, ცხრა იყოს, მომეციო.

17. ყველის ხარისხი (გვ . 141).

ერთ საღამოს მოლას ძალიან მოშივდა, სახლში კი ხმელი პურის გარდა, არაფერი ჰქონდა. ცოლს ყველი მოსთხოვა: – კარგი საჭმელიაო. – კარგია, მაგრამ არა გვაქვსო, – მიუგო ცოლმა. – კარგია რომ არა გვაქვს, კუჭს აზიანებს, კბილებს არყევს და არც გემო აქვსო. – რას დავუჯერო, წეღან აქებდი, ახლა აძაგებო - შესძახა ცოლმა. ნუ ყვირიო - უთხრა მოლამ, - თუ გვაქვს - კარგია და თუ არა - ცუდიო.

18. უხერხული საკითხი (გვ. 141-142).

მოლას ემირთან მოუწია სადილობა. ემირმა მოლას ხბოს მოხარშული თავი მიაწოდა: – მიირთვი, ტვინს უმატებსო. მოლამ მიუგო: – თქვენ ყოველდღე მიირთმევთ და თქვენ თავში იმაზე მეტი ტვინი უნდა გქონდეთ, ვიდრე ნებისმიერ სახედარსო - მიუგო მოლამ.

19. მთვარის გადარჩენა (გვ. 142).

ერთ მთვარიან ღამეს მოლა ნასრედინმა ჭაში ჩაიხედა, მთვარე დაინახა და იყვირა: – მთვარე იხრჩობა, უნდა გადავარჩინოთო. ჩანგალი თოკს გამოაბა, ჭაში ჩაუშვა, ჩანგალი ქვას გამოედო. მოლას ჰგონია, მთვარეს გამოედოო და მთელი ძალით ექაჩება. თოკი გაწყდა და მოლა ზურგით დაენარცხა. უცებ ცაში მთვარე დაინახა. – მადლობა ღმერთს, მთავრე გადავარჩინეო.

20. სიავის სათავეს უნდა ხელის მოკიდება (გვ. 142).

მოლა ნასრედინს ხბოს დაჭერა უნდოდა, ტლინკი ჰკრა და გაექცა. მოლამ ძროხას დაუწყო ცემა. ძროხა რა შუაშიაო?! - დაუყვირა ცოლმა. – დამნაშავეა, მან ასწავლა ტლინკის ყრა და გაქცევაო. ექვსი თვის ხბო თავისით ისწავლიდა ასეთ ტლინკაობასა და სირბილსო.?!

21. კარგი ნიშანი (გვ. 143).

ერთხელ მოლა ნასრედინი მიწას თხრიდა. ერთმა გამვლელმა ჰკითხა: – რატომ ირჯებიო? განძი ჩავმარხე ადრე, ახლა ვეძებ და ვერ მიპოვიაო. – ნიშანი ვერ დაადეო? - ჰკითხა გამვლელმა. – როგორ არა, პატარა შავი ღრუბელი ედგა თავსო. ახლა ვეძებ და ვერ მიპოვნიაო.

22. მოლა-კრიტიკოსი (გვ. 143).

იმ ქალაქის ემირს, სადაც მოლა ნასრედინი ცხოვრობდა, ძალიან უყვარდა პოეზია და თვითონაც სცდიდა კალამს. ერთხელ მოლა მიიწვია, თავისი ლექსი წაუკითხა და ქებას დაელოდა. მოლამ არ მოუწონა, გააკრიტიკა სუსტი ადგილები. ემირმა დააპატიმრა მოლა. ემირმა იხმო მოლა და ახალი ლექსი წაუკითხა. მოლა ხმისამოუღებლად გაეშურა კარებისაკენ. – სად მიდიხარო? - ჰკითხეს. – ციხეშიო - მიუგო მოლამ. ემირმა მოლა გაათავისუფლა.

23. მოლა ერთგულად აღასრულებს თავის მოვალეობას (გვ. 144).

მოლა ნასრედინის დედას ნაცნობის გასვენებაში მოუწია წასვლა. შვილს სახლში ყოფნა, კარის დარაჯობა დაავალა. მოლა დიდხანს იჯდა, უყურებდა კარს, ჩამოხსნა კარი, მოიკიდა ზურგზე და ბაზარში წავიდა სახეტიალოდ. დედამ რომ დაინახა მომხდარი, მოლა მოძებნა, უსაყვედურა. მოლამ უპასუხა: – არაფერი დამიშავებია, სახლ-კარს ერთგულად ვუდარაჯეო.

24. სომ გეზა (გვ. 144-145).

მოლა ნასრედინი ზეთის ხილის ზეთს ყიდდა. მყიდველმა ნისიად მიცემა სთხოვა. მოლა დაეთანხმა, გაასინჯა ზეთი. მარხვაზე ვარ, ვერ გავსინჯავო. მოლა დაფიქრდა და გამოთვალა, რომ რამაზანიდან თვეზე მეტი იყო გასული. – თუ

ღმერთს ასე გვიან უხდი ვალს, მე საერთოდ არ გადამიხდიო, – და აღარ მისცა ზეთი.

25. თხოვნაზე უარის თქმის ხერხი (გვ. 145).

მეზობელმა ნასრედინს თოკი სთხოვა. – ცოლმა თოკზე ქერი გაშალაო გასაშრობადო. – ქერი თოკზე როგორ უნდა გააშრო, პირდაპირ გეთქვაო უარი. – უარის პირდაპირ თქმა რომ მდომოდა, გეტყოდი ცოლმა თოკზე ფქვილი გაშალაო.

26. მოლას გაჯიბრება ბრძენთან (გვ. 145-146).

ერთ დროს მოლა ნასრედინთან ერთად ცხოვრობდა სხვა ბრძენი. შეხვდა მოლას, მიესალმა: – რამდენიმე საკითხის გარკვევა მინდაო. მოლამ მზადყოფნა გამოთქვა. – რომელი ადგილია დედამიწის ცენტრიო? – სადაც ჩემი ვირი დგასო - უპასუხა მოლამ, – თუ არ გჯერა, გაზომეო. ახლა ჰკითხა: – ცაზე რამდენი ვარსკვლავიაო? ზუსტად იმდენი, რამდენი ღერი ბეწვიც აქვს ჩემს ვირსო. – ხომ არ იცი რამდენი ღერი თმა მაქვს წვერშიო? რამდენიც ჩემს ვირს აქვს კუდზეო. თუ გინდა, შეამოწმეო. ბრძენმა აღიარა მარცხი და სასწრაფოდ გაშორდა.

27. მოლას წინასწარმეტყველება (გვ. 146-147).

მოლა ხალხის თავშეყრაზე წინასწარმეტყველებდა და ცოდვათა მონანიებისაკენ მოუწოდებდა. არავინ დაუჯერა. – რით დაამტკიცებ შენს მოციქულობასო? აბა გამოიცანი, ვინ რას ფიქრობს ამ წუთასო. მოლამ უპასუხა: – ყველა ფიქრობს: მოლა ხუმრობს, თუ გვატყუებსო.

28. წარუმატებელი საჩივარი (გვ. 147).

მოლა ნასრედინის ცოლი უქმად ატარებდა დროს. უქმად ყოფნა კი აბოროტებს ადამიანს. მან ყველას თავი მოაბეზრა და მოლას შესჩივლეს. მოლამ უპასუხა: – როდის ვხვდები ცოლს სახლში, რომ თქვენს საჩივარზე დავსაჯოო?!

29. ჭკუადაფანტულობა (გვ. 147-148).

მოლა ნასრედინი აბანოში წავიდა და ცოლს ფლავი შეუკვეთა. ცოლმა მოამზადა ფლავი და საყვარელთან ერთად შეჭამა. მოლა დაბრუნდა და ფლავი მოითხოვა. ცოლმა უყვირა: – ასე უცებ ჭამა არ შეიძლება, გინდა დაავადდე? ასე უცებ არ მოგცემ საჭმელს. შენთვის სიმშვიდეა აუცილებელი. დაწექი, შენი მოთხოვნის გარეშე მოგართმევენ ფლავს.

მოლა ეჭვიანი იყო. დაუჯერა ცოლს, დაწვა ლოგინში, მალე ჩაეძინა. ცოლსაც ეს უნდოდა. ოსტატურად მოუსვა ფლავის ნარჩენები წვერზე, ულვაშებზე, ტუჩებზე. ცოტა ხანში მოლამ გაიღვიძა და ისევ მოითხოვა ფლავი. ცოლი გაკვირვებული უყურებს მოლას და წამოიყვირებს: – აი, ჭკუადაფანტულობა, – ქმარს სარკეს მიუტანს და ჩაახედებს. – რომ გითხრა ფლავი უკვე შეჭამე-თქო, არ დამიჯერებ. აი, ჩაიხედე სარკეში, დახედე შენს ტუჩებს, წვერ-ულვაშს და დარწმუნდები რომ უკვე ჭამე ფლავი. მოლამ შეხედა თავს და ცოლს ბოდიში მოუხადა.

30. მუქთა სადილი (გვ. 148-149).

ერთ დღეს მოლა ნასრედინი დაბრუნდა სახლში საჭმელი ვერ იპოვა და შეიტყო, რომ მეზობელმა ფლავი მოამზადა და სადილისათვის ემზადებოდნენ. მო-

ლამ ეშმაკობას მიმართა. ცოლს დაუძახა: – ჯოხს მოგიღერებ, ვითომ გცემ, შენ ყვირილით ვითომ საშველად მეზობელთან გაიქეცი, მე გამოგეკიდები, ორივენი იქ აღმოვჩნდებით, დაგვტოვებენ და ფლავს ვჭამთო. მართლაც, ასე მოხდა და მეზობელთან ისადილეს, თუმცა მოლას ცოლს ძვირად დაუჯდა ეს სადილი.

31. ავადმყოფი გამოჯანმრთელდა (გვ. 149).

მოლა ნასრედინი ძალიან ავად იყო. ახლობლები და ნათესავები მივიდნენ სანახავად და იმდენხანს დარჩნენ, რომ თავი მოაბეზრეს. ადგა და უთხრა: – გაიხარეთ, ღმერთმა შეიბრალა თქვენი ავადმყოფი, გამოჯანმრთელდა. ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ.

32. მოლას გაკვირვება (გვ. 149).

მოლამ დაინახა, რომ ხალხი ახალი მთვარის დაბადებას ადევნებდა თვალს. ისე შეფიქრიანდა მოლა, რომ წამოიყვირა: – ღმერთო, აი, სულელი ხალხი. ერთად გროვდებიან, რათა პატარა მთვარე დაინახონ, მაშინ, როცა ჩვენს ქალაქში მას მაშინაც ვერავინ ამჩნევს, როცა წისქვილის ქვის ხელაა.

33. მოლას მკვდრეთით აღდგენა (გვ. 149-150).

მოლა ნასრედინი დიდი გაჭირვებით აძვრა ხეზე და იმ ტოტის მოხერხვა დაიწყო, რომელზედაც იჯდა. დაინახა გამვლელმა და შეუძახა: – ჩამოვარდებიო. მოლამ ყური არ ათხოვა, განაგრძო ჭრა, ჩამოვარდა და ცხვირ-პირი ჩამოიფხაჭნა. გასისხლიანებული მოლა გაეკიდა გამვლელს და უთხრა: – ან ღვთისშვილი ხარ, ან მისი ძმისშვილი. მითხარი, გეთაყვა, როდის მოვკვდებიო? გამვლელი ჯერ უარზე იდგა, მერე უთხრა: – როცა შენი სახედარი სამჯერ წაიფორხილებს, შენ მოკვდებიო.

მოლა დაბრუნდა, შეაჯდა ვირს და გაემართა სახლისაკენ. გზაში ვირმა ორჯერ წაიფორხილა. მოლა ფიქროს, მალე ყველაფერი დასრულდებაო. ვირმა მესამედაც წაიფორხილა, მოლა დასუსტდა, ჩამოვარდა, გაჭიმა ხელ-ფეხი და მკვდრად წარმოიდგინა თავი. ნათესავებმა იპოვნეს მოლა. ეგონათ, მოკვდაო, წაიღეს სასაფლაოზე, გზად მდინარეზე უნდა გადასულიყვნენ, ფონი არ იცოდნენ. მოლამ იცოდა, ვერ მოითმენდა, თავი წამოსწია და წამოიძახა: – სიცოცხლეში ყოველთვის იმ ადგილას გადავდიოდი, სადაც ჩინარი დგასო. თქვენც იქ გადადითო. ატყდა სიცილ-ხარხარი: – მოლა მკვდრეთით აღდგაო.

34. ნამაზის შესრულების განსაკუთრებული ხერხი (გვ. 151).

ერთხელ მოლამ ლოცვის წინ განბანვა წამოიწყო, მაგრამ წყალი არ ყოფნიდა, ერთი ფეხი ვერ დაიბანა. მეჩეთში ცალფეხზე დადგა და შეასრულა ნამაზი. მლოცველები გაოცებულები უცქერდნენ მოლას, შეეკითხნენ: – შარიათით დაშვებულია ნამაზის შესრულება ცალფეხზეო? – ერთი ფეხი განუბანელი დამრჩა. მას ნამაზზე არ ვუშვებო.

35. სეირი (საგარეუბნო სეირნობა, პიკნიკი), (გვ. 151-152).

მოლა ერთ ბაღში მოხვდა. იქ რამდენიმე კაცი იჯდა. მოლა მივიდა და მიუჯდა. ერთმა თქვა: – მოდით სეირი მოვაწყოთ და მთელი კვირა ბაღში გავატაროთო. ერთმა მთელი ხარჯი იკისრა, მეორემ მუსიკოსების მოწვევა, მესამემ - შაქარი

და ჩაი. ახლა მოლას ჰკითხეს: – შენ რას კისრულობო? – მე სულ აქ ვიქნები და წყეულიმც ვიყო, თუ ერთ კვირაზე ადრე გავდგა აქედან ფეხიო.

36. არსებობს შიმშილის ძლევის საშუალება (გვ. 152-153).

მოლა ნასრედინი სხვა ქალაქში გაემგზავრა, პურის წაღება დაავიწყდა. გზაში შიმშილმა შეაწუხა. წყაროსთან სხვა ქვეყნიდან მომავალი ნაცნობი შეხვდა. მან აბგიდან ამოიღო პური და ყველი და მადიანად შეექცა. – მადლობა ღმერთს, არის შიმშილის მოკვლის საშუალება, - აღმოხდა მოლას. მიესალმა, ჰკითხა, საიდან მოდიხარო. გაირკვა, რომ თეირანიდან მოდიოდა 10 წლის შემდეგ. მან თავისიანების ამბავი ჰკითხა მოლას. კ– არგად არიანო - უპასუხა მოლამ და ელოდა მიპატიჟებას, ის კი არხეინად ილუკმებოდა, კითხვას კითხვაზე აყრიდა.

– ჩვენი მოშინაურებული ჯეირანი როგორააო? – იმქვეყნად გადავიდაო. – რა დაემართაო? - იკითხა ნაცნობმა. – შენი ცოლისა და ვაჟის სიკვდილის გამო ყურადღება ვეღარ მიაქციესო. – რით დამეღუპა ცოლშვილიო - ატირდა კაცი. – ცეცხლში დაიწვნენ, შენი სახლკარიც ცეცხლში ჩაიწვაო. უბედურმა დაუჯერა მოლას, დატოვა ყველაფერი და სახლისაკენ გაიქცა. მოლა კი მშვიდად შეუდგა მიტოვებული პურის და ყველის ჭამას.

37. წინასწარმეტყველთა სახელები (გვ. 153-155).

ემირს წვეულება ჰქონდა, მოლა ნასრედინიც მიიწვიეს სტუმრების გასართობად. ნადიმის დასასრულს მოლა ემირს ფეხებში ჩაუვარდა, შემწეობა სთხოვა: – იმდენი ოქროს მონეტა მომეცი, რამდენი წინასარმეტყველიც გყავსო. ემირი დაეთნხმა, ოღონდ წინასწარმეტყველთა სახელები ჩამოთვლა დაავალა. მოლამ დაიწყო სახელებით ჩამოთვლა, ოცი ჩამოთვლა და 20 ოქრო მიიღო. მეტი ვეღარ გაიხსენა, დაიწყო მეხსიერებით შემორჩენილი სახელების ჩამოთვლა: – ფარაონი, ნემრუდი... იგი შეაჩერეს. ეგენი წინასწარმეტყველები არ არიანო. – ფარაონი, ნემრუდი თავს ღმერთებად მიიჩნევდნენ, ბევრი აღიარებდა, თქვენ კი წინასწარმეტყველებადაც არ აღიარებთო?!

38. მოლამ თავისი ქალიშვილი დაწინდა (გვ. 155-156).

მოლა ბაზარში ძროხას ყიდდა. არავინ მიჰკარებია. ბოლოს ერთი მიუახლოვდა, უთხრა: – მე გაგიყიდიო. უცნობმა ბაზარში ჩაატარა ძროხა, აქებდა. ერთმა კაცმა იმაზე ძვირად იყიდა, ვიდრე მოლა ფიქრობდა. გავიდა დრო. მოლას ქალიშვილის მთხოვნელები მიუვიდნენ. მოლამ უცნობი გაიხსენა და ქალიშვილის ქება დაიწყო. მიაქციეთ ყურადღება მის სილამაზეს, სიმშვენიერეს და იმას, რომ ექვსი თვის ფეხმძიმეა, მალე თავის მსგავსს შობსო. ეს რომ მოისმინეს, მაჭანკლებმა შეუტიეს მოლას საქვეყნოდ თავის მოჭრისათვის. გაკვირვეულმა მოლამ უპასუხა: – ძროხას რომ ვყიდდი, როოგოც კი ითქვა მაკეა და მალე ხბო ეყოლებაო, მაშინვე იყიდეს და ბავშვი ხბოზე უკეთესი არ არისო?!

39. მოლა დალაქთან (გვ. 156).

დალაქები მოლა ნასრედინის ქალაქში თავის გაპარსვაში ორ კაპიკს იღებდნენ. მოლამ ერთი კაპიკი მისცა. დალაქმა ერთი კაპიკის დამატება მოსთხოვა. მოლამ უთხრა: – ჩემი თავი ქეციანია. ამიტომ თავად ღმერთის მიერ არის გაპარსული და

ნახევრისა უნდა გადავიხადო. შენ კი ღმერთის ნამუშევრის შენთვის გადახდას მთხოვო.

40. საყვარელი სტუმარი (გვ. 156-157).

მოლა ნასრედინმა ცოლს გამორჩეული სადილი შეუკვეთა, საპატიო სტუმარი გვეყოლებაო. სტუმრის მოსვლამდე ცოლმა საყვარელთან ერთად შეჭამა. მოლამ სტუმარი მიიყვანა, ცოლმა იგი პურის მოსატანად გაგზავნა, სტუმარს კი მოლას ავადმყოფობაზე ჩამოუგდო სიტყვა და გააქცია.

41. სახედრის გაყიდვა (გვ. 158).

მოლა ნასრედინს სახედარი ბაზარში მიჰყავდა გასაყიდად, გზაში კუდი ტალახში დაესვარა. მოლამ სახედარი გააჩერა, კუდი მოაჭრა და ჯიბეში ჩაიდო. ბაზარში ხალხი დაესია: – კარგი სახედარია, მაგრამ კუდი არა აქვსო. მოლამ შეუძახა: – ვინც იყიდის, კუდსაც გავატანო და ჯიბიდან კუდი ამოიღო.

42. ფიგები (გვ. 158-159).

ერთმა ნაცნობმა მოლა ნასრედინი სტუმრად მიიწვია, შესანიშნავი ფიგებით გამასპინძლებას დაპირდა. ნაირნაირი კერძების მიტანაში დიასახლისს ფიგების მიტანა გადაავიწყდა. დამთავრდა სადილი. დიასახლისმა მოლას ყურანის ერთი სურის წაკითხვა სთხოვა. მოლამ ის სურა წაიკითხა, სადაც ფიგებზეა საუბარი, სიტყვა ფიგი გამოტოვა, ქალმა ჰკითხა: – სიტყვა ფიგი რატომ გამოტოვეო? მან უპასუხა: – თქვენც დაგავიწყდათ ფიგების მოტანა სუფრაზე და მეც თქვენ მოგბაძეთო.

43. ატმოსფეროს მსგავსების ნიშნები (გვ. 159).

ერთ ქალაქში საზოგადოების მოთხოვნით მოლა ნასრედინს ქადაგების წაკითხვა სთხოვეს. მოლა ავიდა კათედრაზე და თქვა: – მართლმორწმუნენო, თქვენი ქალაქი მე ჩემს ქალაქს მაგონებს, რადგან ატმოსფერო თქვენს ქალაქში ისეთივეა, როგორც ჩემს ქალაქში. – რა საბუთი გაქვსო? – მიაძახეს.

– ეს იმით დავასკვენი, რომ ის მზე, მთვარე და ვარსკვლავები, რომლებსაც ჩვენს ქალაქში ვხედავ, თქვენს ქალაქშიც დამხვდაო.

44. ძუნწი მეგობარი (გვ. 159-160).

მოლა ნასრედინს ერთი ძუნწი მეგობარი ჰყავდა. მოლასთან ბევრჯერ იყო სტუმრად ნამყოფი, თავისთან კი არც ერთხელ არ ჰყავდა მიპატიჟებული მოლა. მოლა ამას ძლიერ განიცდიდა. ერთხელ ქუჩაში შეხვდა და უთხრა: – რატომ ერთხელ მაინც არ დამპატიჟებო? – სიძუნწის გამო კი არ ვიქცევი ასე, შენს სიცოცხლეს ვუფრთხილდები, მთლიან ნაჭრებს ყლაპავ, პირში ლუკმა არ დაგიღეჭია და ახლა იტენიო.

– შენ დამპატიჟე და პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ყოველი ლუკმის შემდეგ ნამაზს შევასრულებო.

45. განძი (გვ. 160).

მოლა ნასრედინი საჯინიბოში კედელში პალოს არჭობდა. კედელი გაანგრია და მეზობლის საჯინიბო გამოჩნდა, სადაც ცხენები და ჯორები ება. მოლამ ცოლს

ახარა: – გავმდიდრდით, მიწიდან ამოვიდა საჯინიბო და ბევრი ცხენი და ჯორიაო. ეტყობა დიდი ხნის წინ დამალეს მიწაში და გადაავიწყდათო.

46. მოლა და ბრმები (გვ. 160-161).

მოლა ნასრედინი მდინარის ნაპირას იჯდა. ათი ბრმა მივიდა და მდინარეზე თითო-თითო გადაყვანა სთხოვა. მოლამ ცხრა გადაიყვანა, მეათე წყალში ჩაუვარდა და დაიხრჩო. – მე იგი ფეხით სიარულის ტანჯვას გადავარჩინე. თუ ძალიან გინდათ ცოცხლად წარმოდგენა, დანახვით მაინც ვერ დანახავდით. უფრო უკეთ რომ წარმოისახოთ, კიდევ ერთი დინარიც გადამიხადეთო.

47. ქურდის დაჭრა (გვ. 161-162).

ერთ მთვარიან ღამეს მოლა ნასრედინს თავის სახლში ეძინა ცოლთან ერთად. ხმა მოესმა სახურავიდან. მიხვდა, რომ ქურდი იყო. ცოლი გააღვიძა და ეუბნება: გახსოვს, იმ დღეს კარი რომ დაკეტილი იყო, სახლში როგორც შემოვედი? სახურავზე ვილოცე, შემდეგ მთვარის სხივებს ჩავეჭიდე და რბილად ჩამოვეშვიო. ქურდი ამას უსმენდა, იგივე გაიმეორე და დაენარცხა მიწას. მოლას გაუხარდა, ჩემზე სულელი ყოფილაო.

48. იძულებითი თავაზიანობა (გვ. 162).

გზად მიდიოდნენ მოლა ნასრედინი და მისი ნაცნობი, მუსულმანი. შემოაღამდათ, ვახშმობას შეუდგნენ. ბრინჯი მოხარშეს რძით, მოლას თანამგზავრს შაქარიც აღმოაჩნდა, თავის წილს მოაყარა. მოლამ სთხოვა და უარი მიიღო. მაშინ ღვინოს მოვასხამო, უთხრა მოლამ. ამის გაგონებაზე თანამგზავრმა მოლას შაქარი მისცა.

49. გამასპინძლება (გვ. 162-163).

მოლა ნასრედინი სტუმრად მიიწვიეს პურ-მარილზე დაგვეწვიეო. მოლა წავიდა ნუგბარი საჭმლის მოლოდინში, მას კი მხოლოდ პური და მარილი მიართვეს. გარედან მათხოვრის ხმა მოისმა. მასპინძელმა გასძახა: – გამშორდი და ღმერთი მოგცემსო. მათხოვარმა თხოვნა გაიმეორა. მასპინძელი გაპანღურებით დაემუქრა. მოლამ მიაძახა მათხოვარს: – წადი, თორემ მასპინძელი დანაპირებს ისე ზედმიწევნით ასრულებს, რომ ხიფათს გადაეყრებიო.

50. წარუმატებელი ლოცვა (გვ. 163).

მოლა ნასრედინი სხვა ქალაქში მიდიოდა. ძალიან დაიღალა და ღმერთს ცხენი ან სახედარი სთხოვა. ამ დროს გზაზე დაგდებული კაცი დაინახა. ახლოს რომ მივიდა, კაცი წამოხტა და მოლას ზურგზე შეაჯდა. მოლამ ღმერთს შეჰღაღადა: – 60 წელია, რაც ვიცი, რომ ტახტი გიკავია, შენ კი ჩემი ლოცვის გაგება არ გინდაო.

51. ქათმების მკვდრეთით აღდგომა (გვ. 163-164).

მოლა ნასრედინმა რამდენიმე ქათამი შეწვა, სტუმრების მოსაყვანად წავიდა. ცოლმა კი საყვარელთან ერთად გადასანსლა. ქათმების ნაცვლად ქვაბში ცოცხალი მტრედები ჩასხა. მოლამ ქვაბს ახადა და მტრედები აფრინდნენ. მოლამ ღმერთს შეღაღადა: – დაილოცა შენი სამართალი!. გინდოდა და გააცოცხლე გამები, მაგრამ მე ვინ გადამიხდის, ან სტუმრებს რით გავუმასპინძლდეო?!

52. მოლამ გამოიმუშავა სადილი (გვ. 164).

მოლამ სახლში სამი ფუთი ხორცი მოიტანა. – რისი მომზადება შეიძლებაო? – ჰკითხა ცოლს. – ყველანაირი საჭმლისო. – მაშინ ყველანაირი საჭმელი მოამზადე ამ ხორცისაგანო – უთხრა მოლამ.

53. მოლა მომღერალი (გვ. 164-165).

მოლა ნასრედინი აბანოში მღეროდა და ძალიან მოეწონა თავისი ხმა. მივიდა ქალაქის ემირთან და უთხრა: – მინდა სიამოვნება მოგანიჭოთ ჩემი სიმღერითო. მისმა ხრინწიანმა ხმამ გააცოფა ემირი და მოლა მიაბეგვინა. მოლა ცემის დროს ღმერთს განადიდებდა. ემირმა ჰკითხა მიზეზი. მოლამ უპასუხა: – ღმერთს იმიტომ ვადიდებ, რომ აქ აბანო აგაშენებინა. თორემ ჩემი ტანჯვა აღარ დასრულდებოდაო.

54. მოსწრებული პასუხი (გვ. 165).

ერთხელ მოლა ნასრედინს ჰკითხეს ვინ არის თქვენში უფროსი – შენ თუ შენი ძმაო? – მე ერთი წლით უფროსი ვარ ძმაზე, მაგრამ მომავალ წელს დამეწევა და იმდენისა იქნება, რამდენისაც ახლა ვარო – მიუგო მოლამ.

55. სიტყვის პატრონობის ხელოვნება (გვ. 166).

ერთხელ მოლა ნასრედინმა სახედარი დაკარგა. იმის გამო, რომ ხშირად იკარგებოდა, მოლა იმუქრებოდა, თუ ვიპოვნი ერთ დინარად გავყიდიო. იპოვნა, მაგრამ იაფად გაყიდვა დაეწანა, არა და ფიცის დარღვევისაც ეშინოდა. ეშმაკობა იხმარა: ერთ თოკს სახედარი და კატა გამოაბა და ბაზარში წაიყვანა. სახედარს ვინც იყიდდა ერთ დინარად, კატაც უნდა ეყიდა 100 დინარად.

56. მოლას ანდერძი (გვ. 166).

მოლამ ანდერძად დაიბარა ძველ სამარეში დაეკრძალათ. – რატომ მაინცა და მაინც ძველ სამარეშიო? – ეკითხებოდნენ მოლას. – ძველს სამარეში ძველ მიცვალებულად ჩამთვლიან და მუნქირი სასამართლოზე დაკითხვას აღარ მომიწყობსო.

თერგის კაზაკების ცრურწმენებისა და ხალხური სიტყვიერების სფეროდან. ჩამწერი: ბაქოს რუსულ-თათრული III სასწავლებლის გამგე მასწავლებელი მამედ ჰასან ეფენდიევი.

ხალხური რწმენა-წარმოდგენები (გვ. 167-168).

ხალხური რწმენა-წარმდგენების მიხედვით ბუნების სტიქიური მოვლენები პირდაპირ არიან დამოკიდებულნი ორი საწყისის: სიკეთისა (ღმერთის) და ბოროტების (ეშმაკის) ჭიდილზე. ეშმაკი უსაზღვრო ბოროტებისა და ყოველგვარი ცოცხალი არსებისადმი მზაკვრული ჩანაფიქრების განმახორციელებელი არსებაა, ღმერთისადმი მარადიული შურით აღვსილი. ღმერთი დასაწყისშივე ანადგურებს მის ჩანაფიქრებს. ეშმაკი ცდილობს აცთუნოს ადამიანი: სტიქიური მოვლენების სახით: ეჩვენება ცხოველების, ფრინველების, სხვადასხვა უსულო საგნების სახით, მათ შორის სტიქიური მოვლენების – ქარიშხლის, ქარბორბალას სახით.

ადამიანს ერთი საუკეთესო საშუალება აქვს ეშმაკისეულის საწინაღმდეგოდ. – საკმარისია ღმერთის სახელის ხსენება, ან ლოცვა, ჯვარი და ეშმაკეულის მომაჯადოებელი ძალა წამსვე ქრება.

ყოველდღიურ მიწიერ საზრუნავში ჩაფლული ადამიანი ნაკლებად ფიქრობს ღმერთზე, კრიტიკულ მომენტშიც კი ავიწყდება ღმერთის მოხმობა საშველად. ამიტომაც ახერხებს ეშმა ადამიანის ცოდვაში გაბმას. მას უყვარს მთვრალის აბუჩად აგდება, მას ისეთ საქციელს ჩაადენინებს, სიფხიზლეში ფიქრადაც რომ არ მოუვა. მთვრალსაც შეუძლია ღმერთის სახელით ეშმაკის თავიდან მოშორება, მაგრამ ეს, ჩვეულებრივ, იშვიათად ხდება.

1. რწმენა-წარმოდგენა ქარბორბალას შესახებ (გვ. 168-171).

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ქარმა გზაზე მტვერი აიტაცა, სვეტად. ბიჭმა დანა ესროლა სვეტს, ის ჩამოიშალა და ქარი უცებ ჩადგა. ბიჭმა დანა ვეღარ იპოვნა, სხვაცა მაქვსო, გაიფიქრა და წავიდა მინდორში ხარებთან. გარემო ეუცხოვა. საიდან გაჩნდაო ყორღანები, ბუჩქნარი, როცა გაშლილი მინდორი იყოო. ბუჩქებში ბილიკი დაინახა, გაჰყვა, მდინარის პირს მიადგა. ნაპირზე შიშველი ადამიანი იწვა, თავი წყალში ჰქონდა, ტანი – ქვიშაზე. ჩალიანში მგელიც შენიშნა, კაცისაკენ რომ მიიპარებოდა. ადამიანს შეუძახა, გააფრთხილა. ადამიანი წყალს შეერია და გაქრა. მგელიც ჩალიანს შეერია. ბიჭი შებრუნდა, ტყე დაინახა, ადრე რომ არ იყო. ბილიკს დაადგა, ტაფობზე ქოხს წააწყდა, შიგ ბებერი, საშინელი დედაბერი დაინახა. შევიდა, პური სთხოვა. თაროზე თავისი დანა შენიშნა. დედაბერმა უთხრა: – შენ დანა რომ ისროლე, ჩემი უმცროსი ვაჟი დაჭერი გვერდში. ჩემი შვილი ეშმაა. იგი სათამაშოდ გავიდა. შენ დანით რომ დაჭრი, იგი მდინარეზე გაიქცა, ელოდა როდის მივიდოდა მგელი და შეჭამდა. ასეთი წესი აქვს. დაჭრილი მგელმა უნდა შეჭამოს, შენ კი მიუსწარი და იხსენი განსაცდელისაგან. ამიტომ არაფერს დაგიშავებ. აიღე შენი დანა და აღარ ისროლო, მტვერში ქარბორბალას რომ დაინახავ. გავიდა ბიჭი ქოხიდან გარეთ და აღარც ტყე დახვდა, აღარც ბუჩქნარი, აღარც ქოხი. მის წინ მინდორი იყო გადაჭიმული და ხარები ძოვდნენ.

2. ელ-ჭექის წარმოშობა (გვ. 171).

ეშმაკები ერთად იკრიბებიან ხოლმე და ზეცისაკენ მიდიან, იქ შესაღწევად. ელია წინასწარმეტყველიმათ არ უშვებს ღმერთის ტახტთან – ეტლით დასდევს და ისრებით ხოცავს. ეტლის ბორბლები ჭექა-ქუხილს წარმოშობს, ისრები – ელვას. ამიტომ ეშმაკები დედამიწაზე ეძებენ თავშესაფარს: შედიან ცხოველების სხეულში, სხვები გზებზე დარბიან. ამიტომ ძლიერი წვიმის დროს არ შეიძლება ცხოველის ახლოს დგომა, ან გზაზე სიარული. ელია წინასწარმეტყველის ისარი შეიძლება ადამიანს მოხვდეს, რაც ხშირად ხდება.

3. ვისგან გაჩნდა დედამიწაზე ციება (გვ. 172).

ადრე ციება არ იყო. იგი მაშინ გაჩნდა, როცა იოანე ნათლისმცემელი ადამიანებთან გაჩნდა: ერთხელ ივანე ნათლისმცემელი გზაზე 77 ქალწულს შეხვდა, ძვირფას სამოსში გამოწყობილებს. მას კი აქლემის ტყავი ემოსა. ქალწულებმა დაცინვა დაუწყეს. მან მათ ვინაობა ჰკითხა. ისინი მეფე იროდის ქალიშვილები აღმოჩნდნენ. იოანე ნათლისმცემელმა ისინი დაწყევლა – ისეთი სენი შეგეყაროთ, რომ

განჯღრევდეთ, გაკანკალებდეთ, გამტვრევდეთ, გაციებდეთ, სადაც არ უნდა მიხვდეთ, სნეულებას მიიტანთ და ადამიანები დაგწყევლიანო.

ლოცვები და შელოცვები (გვ. 173-176).

დაბეჭდილია ჯადოს კეთების, გველის კბენის, ჭრილობის შელოცვების, ციებ-ის, წყლულის ლოცვის ტექსტები. ისინი გადმოწერილი კარაბადინებიდან.

ლეგენდები (გვ. 177-196). 1. ჯვარის ხის შესახებ (გვ. 177-178).

ადამი რომ დაკრძალეს, სულიწმინდამ მის საფლავზე დათესა და სამი კვიპაროსი ამოვიდა. იერუსალიმში საკათედრო ეკლესიის მშენებლობისათვის მეფე სოლომონმა ხეები მოაჭრევინა. ორი ხალხმა მიათრია მშენებლობაზე, მესამეს ძვრა ვერ უყვეს, წაექცათ და მდინარეზე გადაემხო. ხალხი მასზე გადადიოდა მდინარეს. ურიებმა იესო ქრისტეს საწამებლად ჯვარი ამ ხისგან დაამზადეს.

2. ფარისეველნი, რომელთაც არ ირწმუნეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა (გვ. 178-179). ჩაწერილი თერგის ოლქში.

მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იესო ქრისტე წმინდა ქალაქ იერუსალიმში დადიოდა თავის 11 მოწაფესთან ერთად. პატარა ურია ბიჭი შეხვდა, იესოს ხელში წითელი კვერცხები დაუნახა და სთხოვა. – თქვი, ქრისტე აღდგაო და მოგცემო. გაიმეორა პატარა ბიჭმა და მისცა იესომ კვერცხი. იესო წავიდა, ბიჭმა სალაყბოს მიაშურა. ფარისევლები პილატესთან ერთად საქმეებს წყვეტდნენ. წინ ედოთ შემწვარი ქაშაყი, კამბალა, მოხარშული მამალი. ჰკითხეს ბიჭს: – სად იშოვეო წითელი კვერცხი? ბიჭმა უთხრა. გაბოროტებულებმა ფარისველებმა გაიცინეს. როცა ეს მამალი და თევზები ადგებიან, მაშინ ვირწმუნებთო ქრისტეს აღდგომას. ესა თქვეს და მამალი აფრინდა, თევზები თეფშზე აფართხალდნენ. ყველას გულები წაუვიდათ. ე.ი. აღდგა.

3. იუდა გამყიდველის შესახებ (გვ. 179-180). ჩაწერილი თერგის ოლქში.

ქრისტე მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ჯოჯოხეთში ჩავიდა ცოდვილთა განკითხვისა და გათავისუფლებისათვის. იქ იუდა დახვდა, სატანა მუხლებზე ეჯდა და ოცდაათ ვერცხლს ათამაშებდა. ქრისტემ უთხრა, თუ გინდა ცოდვას შეგინდობო. იუდამ სამჯერ უთხრა უარი. ქრისტემ ის ჯოჯოხეთში დატოვა. იუდას ცეცხლი წაეკიდა. სატანამ ის მუხლებზე დაისვა და ასე ზის ეორედ მოსვლამდე.

4. ადამის ხელშეკრულების შესახებ (გვ. 180-182).

ღმერთმა ადამი სამოთხიდან რომ გააძევა, უთხრა, რომ თავისი შრომით უნდა ეცხოვრა. ადამმა მიწის ხვნა დაიწყო და მასთან სატანა გაჩნდა. – ეს ჩემი მიწაცაა, ღმერთმა მეც მომცა, როცა გამომაძევეთო. შეთანხმდნენ, რომ ადამს ქვეყნიერება დარჩებოდა, სატანას კი საიქიო. სატანამ ხელწერილი დააწერინა. ადამი გარდაიცვალა, სატანასთან მოხვდა, იდარდა,. ქრისტემ მისი ხელწერილი დაფშვნა, ხალხს იმ კანონებით ურჩია ცხოვრება, რაც მან მისცა.

5. რატომ ექვემდებარება ქალი მამაკაცს (გვ. 183-187).

ერთხელ ქრისტე პეტრე მოციქულთან ერთად ქუჩაში მიდიოდა. დაინახეს, კაცი ქალს სცემდა, ქალი კიოდა, შველას ითხოვდა. პეტრემ ქრისტე სთხოვა, გადა-

ერჩინა ქალი და იგი ყოფილიყო კაცის უფროსი. ქრისტე დათანხმდა. ერთი წლის შემდეგ მათ ისევ მოუხდათ იმ სოფელზე გავლა. ღამე გაათიეს იმ წყვილის სახლში. კაცმა სტუმრები თანხმობის მერე გააფრთხილა: – ცოლი მყავს ავი, რამე არ აგიტეხოთო. დედაკაცებს დიდი ძალა აქვთ, გინდაც გულხელი ჰქოდეთ დაკრიფილი და სამარეში იწვნენ. შევიდნენ სახლში, დააგეს იატაკზე მოსასხამები და დაწვნენ.

პეტრე იწვა, დედაკაცს ელოდებოდა. მალე ისიც გამოჩნდა ჯოხით ხელში და დაჰკრა ქმარს თავში. ის კი მუხლებზე დაჩოქილი პატიებას სთხოვდა. მერე პეტრეს ჰკრა წიხლი, ქრისტესაც მოუღერა, მაგრამ ვერ მისწვდა. დაღლილი მიეგდო და მიიძინა. პეტრე ფიქრობდა, რომ კაცი ზარმაცი იყო და ქალი მოთმინებიდან გამოჰყავდა.

ქრისტე და პეტრე მეორე დღეს წავიდნენ, საღამოს კი ისევ იმ კაცთან დაბრუნდნენ. კაცმა ისევ შეიპატიჟა ისინი. გვიან ქალი დაბრუნდა და ეზოში ერთი ალიაქოთი ატყდა. ქმარს თმებით მიათრევდა, ხელს სახეში ურტყამდა, მუხლებზე დააჩოქა, ფეხები დამიკოცნეო. როცა დაინახა ქრისტე და პეტრე, უყვირა ქმარს, რატომ შემოუშვი ეს მაწანწალებიო?! ახლა პეტრეს ჩასცხო ზურგში ჯოხი, ქრისტე კი წამოხტა და გავიდა ქოხიდან. პეტრემ მეორე დღეს ქრისტეს სთხოვა, უწინდებურად კაცი გაეხადა ოჯახის უფროსად. ქრისტე დათანხმდა. ამიტომ არის ახლა ოჯახში მთავარი კაცი.

6. შეიძლება ქალის ნდობა? (გვ. 187-189).

სოლომონი წარმართ ღმერთებს რომ სცემდა თაყვანს, მრავალი ცოლი გაიჩინა. იგი ძალიან მდიდარი იყო და არც ერთი ქალი არ ეუბნებოდა ცოლობაზე უარს. სოლომონი დაფიქრდა და დაინტერესდა თუ იყო დედამიწაზე ქალი, რომელიც არ შეცოდებდა. დედა ჰყავდა ზნეობის უმკაცრესი დამცველი. გამოსცადა და საუცხოო სარკის გამო, ისიც კი აღმოჩნდა მრუშობისათვის მზად. სოლომონმა ყველა ცოლი გაუშვა და მხოლოდ ერთი დაიტოვა.

7. როგორ გამოვიდა სოლომონი ჯოჯოხეთიდან (გვ. 190-191).

ქრისტე როცა მკვდრეთით აღდგა, ჯოჯოხეთში ჩავიდა და ყველა გაათავისუფლა. ხალხს სოლომონიც შეუერთდა. ქრისტემ იქ დატოვა: – ბრძენი ხარ და თვითონ იპოვე გამოსავალიო. სოლომონმა მიწის ზომვა დაიწყო. სატანამ ჰკითხა: – რას აკეთებო? – და ღმერთის სახლს ვაშენებო. ყველა ეშმაკი ქრისტიანად უნდა მოვნათლოო. შეეშინდა ეშმაკების მთავარს და სოლომონი გააგდო ჯოჯოხეთიდან.

№ 1-7 ლეგენდები ჩაწერილია „სტანიცა“ კარაბულაკსკში (სულჟენსკის ოკრუგში, თერგის ოლქში), ბოლო „სტანიცა“ ტროიცკაიაში – თუმცა ის სხვაგანაც არის ცნობილი (რედაქტორის შენიშვნა, გვ. 177).

8. მსოფლიო წარღვნის შესახებ (გვ. 191-192).

როცა ხალხი დედამიწაზე გამრავლდა, დაივიწყეს ჭეშმარიტი ღმერთი, კერპებს დაუწეს თაყვანისცემა, ღმერთმა მათი გაწყვეტა გადაწყვიტა და მხოლოდ ნოე დატოვა, დაიბარა და დიდი კიდობანი შეაკვრევინა. შემდეგ ღმერთმა შვიდ-

შვიდი წყვილი ცხოველები შეარჩევინა, გემზე ააყვანინა, კარი შიგნიდან ჩააკეტინა და მალე წარღვნაც დაიწყო. წარღვნამ ყველა არსება იმსხვერპლა – ერთი სპილოს და არწივის გარდა, მაგრამ ისინი დაიხრჩვნენ. მისი გემი მიადგა არარატის მთას. ნოემ მტრედი გაუშვა. მტრედმა მწვანე რტო მოუტანა ნაყოფით. ნოე გავიდა გემიდან და ჩავიდა დაბლა. გემი კი ახლაც არარატის მთაზეა.

9. რისგან წარმოიშვნენ მთები (გვ. 192-193).

დედამიწა ღმერთის შექმნილია და ღმერთმა ეშმაკს ზღვიდან ქვიშის მოტანა დაავალა. იმანაც ორი მუჭა ქვიშა მიუტანა. ერთი პირში ჩაიყარა – ერთი ვნახოთ, რას იზამს ღმერთი და მეც მას მივბაძავო. ღმერთი აქეთ-იქით მიმოაბნევდა ქვიშას და ყველგან მიწა ჩნდებოდა. ეშმაკს პირში ეზრდებოდა ქვიშა, ღმერთს სთხოვა დახმარება. ღმერთის მითითებით ეშმაკი გარბოდა, იფურთხებოდა და ასე ჩნდებოდა მთები. ასეა მთები ეშმაკის შექმნილი.

10. იუდა - მოღალატის შესახებ (გვ. 194-196).

იუდას შეშურდა ქრისტესი და მოკვლა გადაწყვიტა. ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეებს: – მე მომკლავენ, ჯოჯოხეთში ყველა ცოდვილს ვიხსნი, მესამე დღეს კი აღვდგებიო. გაუხარდა იუდას, თვითონ მასწავლა როგორ უნდა მოვიქცეო და ფარისევლებს ჩაუგდო ხელში 30 ვერცხლად. მე მასზე ადრე მოვკვდები და აღვდგები. ხალხი დაინახავს, რომ ქრისტეზე ძლიერი ვარო. როგორც ჩაიფიქრა იუდამ, ისე მოიქცა. ფარისევლებმა ქრისტე რომ აწამებს, იუდა სინდისმა შეაწუხა. ფულიც კი უკან მიუტანა, მაგრამ არ აიღეს. მერე კი თავი ჩამოიხრჩო და მისი სული მოხვდა ჯოჯოხეთში. ქრისტე ჯვარს აცვეს. ჩავიდა იგი ჯოჯოხეთში, იხსნა ცოდვილნი, იუდას გარდა, რადგან მას შეეცოდა ქრისტე, მაგრამ არ მოინანია, პატიება არ სთხოვა ქრისტეს. ასე იტანჯება იგი მეორედ მოსვლამდე.

IV. ზღაპრები (გვ. 197-244, 6 ტექსტი), ჩამწერი ეგ. ბარანოვი. 1. უკუდო გველი (გვ. 197-200).

ერთი კუდმოგლეჯილი მგელი თერძს გადაეყარა: – უნდა შეგჭამოო. თერძმა მოატყუა: – ჩემი შეჭმა რას გიზამს, ჯობს ზომას აგიღებ, ქურქს შეგიკერავო. არშინით კი გვერდები დაულილავა., მგელმა მგლის ფარას შესჩივლა თერძის ოინი, გაეკიდნენ. თერძი მაღალ ხეზე აძვრა და ახლა მგლები გააცურა. ისინი მისდგნენ და მიბეგვეს.

მგელმა წმინდა გიორგისთან იჩივლა. ღორმაც მოატყუა. წმინდა გიორგიმ ახლა მღვდლის ყოჩზე მიუთითა, ყოჩმაც მოატყუა, ისე დაეტაკა თავით, რომ მგელს თავბედი აწყევლინა. ასევე მოატყუა ცხენმაც, იმისთანა წიხლები სთხლიშა, რომ ბურთივით გაისროლა და მოკლა.

2. ტყის კაცი და კატა (გვ. 200-205).

ერთი ღარიბი კაცი იყო, არაფერი გააჩნდა, ძონძებით დადიოდა. ისინიც რომ დაეხა, ტყეში დამკვიდრდა. მივიდა ერთხელ კატა, დახმარებას დაპირდა:– მეფის ასულზე დაგაქორწინებო. კატამ ქალაქიდან ქსოვილი მოუტანა და ჯარისკაცის ქუდები აკერვინა, მერე მელა მოატყუა, მეფეს ნადიმზე მხეცები ჰყავს მიპატიჟებულიო. მელა მთელი ჯოგით მივიდა. კატამ მეფეს უთხრა: – საჩუქრად მოგართვათ

ბატონმა პოჟალევსკიმ მელიებიო. პოჟალევსკი მდიდარი თავადი იყო. მეფემ მელიები დაახოცინა და ტყავები ცოლისა და ქალიშვილის ქურქებისათვის გამოიყენა. ასევე მოექცა კატა მგლებს, დათვებს, კურდღლებს. მერე მივიდა და მოახსენა, რომ მის ბატონს უნდოდა მისი ქალიშვილი. მეფემ თანხმობა განაცხადა, მაგრამ კაცმა დაიჭირა თავი შორს. ამაზე გამწარდა კატა, დაემუქრა: – მეფეს ვეტყვი, რომ მაწანწალა ხარ, საშველს არ აძლევ გამვლელ-გამომვლელსო. შეშინდა კაცი, გაჰყვა კატას. მდინარეს რომ მიადგნენ, კატამ ქუდები წყალში ჩააყრევინა, მეფეს მოატყუა, ბატონს უბედურება შეემთხვა, ჯარი დაეხრჩო, ტანსაცმელიც დაკარგა, უნდა გაუგზავნოო. კატამ კაცი დააქორწინა მეფის ასულზე, თავადი პოჟალევსკიც მოიშორა თავიდან. მისი ქონება კი ტყის კაცს დარჩა, კატა კი – მოსამსახურედ.

3. ორი ძმა და გასაჭირი (გვ. 205-2011).

ორი ძმა იყო – სემიონი და ივანი, მდიდრები, გასაჭირი რა იყო, არ იცოდნენ და მის საძებრად წავიდნენ. ტყეში სასახლეს გადააწყდნენ. იქ ვეებერთელა ადამიანი ნახეს, ცალი თვალით ელამი. ეს იყო კასიმ გაჭირვება. მან გაიღვიძა და უფროსი ძმა შეჭამა. უმცროსმა მოატყუა – თვალს გაგისწორებო, თვალი გამოსთხარა, გაიქცა და დაბრუნდა სახლში.

4. ყინვა და ორი ძმა (გვ. 211-221).

იყო ორი ძმა – მდიდარი და ღარიბი. მდიდარს ყველაფერში უმართლებდა. ღარიბს – პირიქით, გაჭირვებისაგან სიკვდილს ნატრობდა. ცოლმა ის მდიდარ ძმასთან გააგზავნა. უფროსმა უარი უთხრა დახმარებაზე, წიხლებით შესდგა. გაიქცა ღარიბი. გზაში ცხენოსანი კაცი შეხვდა, უამბო თავისი გასაჭირი. ერთი ტომარა მუხუდო მისცა იმან, დათესე, მოსავალი მოგივა და გეყოფათ შენ და შენს დედაბერსო. ცხენოსანი ხვნაშიც დაეხმარა და თესვაშიც. კარგი ყანა დაუდგა. ერთ დღეს გალეწილი დახვდა, თვრთვილმა გაუნადგურა. ყინვასთან მივიდა, დიდ სასახლეში. ყინვა – თეთრწვერა მოხუცი –დახვდა. შესჩივლა ღარიბმა თავისი გასაჭირი. ყინვამ უფროს შვილს ქარიშხალს ჰკითხა ამბავი. გაირკვა, რომ მისი ნამოქმედარი იყო. ღარიბს ყუთი მისცა, შეეხები თუ არა, საჭმელ-სასმელს გაგიჩენსო. ღარიბს ერთი სული ჰქონდა, რომ გამოეცადა, გზის პირას, გაიშალა სუფრა, საჭმელ-სასმელი. გაახარა სახლში მოხუცი ცოლი. გავარდა ხმა, უფროსს მოუნდა ისეთი ყუთი, მივიდა ღარიბთან, მან გაშალა სუფრა, მდიდარმა ოქროები მისცა, ყუთი წაიღო. დაპატიჟა მდიდარი ვაჭრები, აჩვენა როგორი ყუთი ჰქონდა. გაუვარდა სახელი.

ღარიბმა სახლი ააშენა, მოაწყო მეურნეობა. ისევ მივიდა ყინვასთან, უამბო ყველაფერი. ყინვამ სხვა ყუთი მისცა, ოქრო-ვერცხლისა. გზაში გამოცდა მოიწადინა. ამოხტნენ ყუთიდან მათრახიანები და მიბეგვეს. მივიდა მდიდარ ძმასთან, მიუტანა ძვირფასი ყუთი, ძველი გამოართვა. იმანაც გახსნა ყუთი, ამოცვივდა მათრახებიან ხალი და დასცხეს სტუმრებს. მდიდარი სირცხვილისაგან თავს გარეთ ვეღარ ჰყოფდა, ღარიბი კი ბედნიერად ცხოვრობდა.

5. პორტრეტი (გვ. 222-231).

ერთ სტანიცაში ერთმანეთის მოყვარული ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, მთელ დღეებს ერთმანეთის ყურებაში ატარებდნენ. საოჯახო საქმეების დროს თვალს რომ

არ მიფარებოდნენ, ერთმანეთის პორტრეტები დაახატინეს. ტყეში შეშაზე წავიდა და ერთთავად ცოლის პორტრეტს უყურებდა. უკან გზაზე მგზავრი შეხვდა, მოხუცი. მან სურათის ამბავი რომ მოისმინა, გადაიხარხარა: – ცოლი რომ არ გატყუებსო? – იკითხა. იწყინა ქმარმა, მოხუცს ხელი ჰკრა. მოხუცმა დაამშვიდა, უთხრა ქალები ცბიერები არიანო, ამიტომ გითხარიო.

კაზაკი დაფიქრდა, მოხუცს რჩევა ჰკითხა. მან ვაცად აქცია ქმარი. თვითონ მის სახლს მიადგა, ღამის გათევა ითხოვა, ქალმა უარი უთხრა. ვაცი დაიტოვა ღამით. ცოტა ხანში დიაკონი მივიდა, ხვევნა-კოცნა გამართეს. ქმარი საცინლად აიგდეს. ვაცადქცეულმა კიკინი დაიწყო. დილით მივიდა მოხუცი ვაცის წასაყვანად. – რას იტყვიო? – ჰკითხა ქმარს. დაემშვიდობა და წავიდა. დაბრუნდა ქმარი სახლში. ცოლი პორტრეტით შეეგება. გასცხო ყურში, სტაცა თმებში ხელი და კარგად ათრია.

6. დემიდკა (გვ. 231-244).

ერთი ღარიბი იყო, დემიდკა ერქვა. იმაზე ფიქრობდა, სიღარიბისათვის როგორ დაეღწია თავი. სტეპში ცხენის ძუის მახე დააგო და ორი ყვავი დაიჭირა. ერთი სახლში დატოვა, მეორე უბეში ჩაისვა, ეკლესიაში წავიდა. მღვდელი გამოედო, ყვავმა ჩხავილი მორთო. დემიდკამ მღვდელს უთხრა, სიმართლეს ჩხავისო. დემიდკამ გააცურა მღვდელი, ვითომ ყვავს ცოლისათვის სადილის მომზადება დაავალა. ყვავი ტყეში გაფრინდა. წირვის შემდეგ მღვდელი დემიდკას ესტუმრა.

მღვდელმა ყვავი 100 მანეთად იყიდა. როცა მიხვდა, რომ დემიდკამ მოატყუა, მისი დასჯა გადაწყვიტა. დემიდკამ ახლა პატარა საზიდარათი მოატყუა მღვდელი და მიჰყიდა. მეორე დღეს დემიდკამ კიდევ მოატყუა – გაქეცილი ცხენი დააყენა ნაკელთან, ვერცხლის ფულები ჩაყარა, ვითომ ცხენი ყრიდა. მღვდელმა 500 მანეთად იყიდა ცხენი, საცოდავმა ცოტა ხანში სული განუტევა. დემიდკამ კიდევ მოატყუა მღვდელი, ვითომ ჯადოსნური მაცოცხლებელი მათრახი მიჰყიდა. დიაკვანმა გაცოცხლების მიზეზით ცოლი მოკლა. მივიდნენ დემიდკასთან: – როდემდე უნდა გვატყუოო? მოემზადე სიკვდილისათვისო! წყალში გადააგდეს ვითომ დაახრჩეს. დემიდკამ უთხრა წყლის პაპამ გადამარჩინაო. იმათაც მოუნდათ სიმდიდრე. დემიდკამ ჩასვა ტომარაში, ჩააგდო წყალში. აიღო იმათი ფული, გახსნა დუქანი, დაიწყო ვაჭრობა და ბედნიერად ცხოვრობდა.

СМОМПК-ის 26 გამოშვების III განყოფილებაში დაბეჭდილია **ადიღეური ანდაზები** (გვ. 1-52), ტექსტები პ. უსლარის ანბანით დაბეჭდილია დედის ენაზე, რუსული პწკარედით და თარგმანით, სულ 626 ანდაზა. ტექსტები თემატური პრინციპით არის დალაგებული.

1. აქვეა ამავე პრინციპით დაბეჭდილი **გამოცანები** (გვ. 53-65), 150 გამოცანა;
2. **ენის გასატეხები** (გვ. 66-68), 19 ტექსტი;
3. **რწმენა-წარმოდგენები და ნიშნები** (გვ. 68-72), 83 ტექსტი;
4. ცოტა რამ ხალხური მედიცინიდან (გვ. 76-78), 15 ტექსტი.

ამ მასალების ჩამწერია პაგო ტამბიევი

СМОМПК, 1898, 24

I განყოფილება

1. მ. კარპინსკის პუბლიკაცია: **გრებენელი კაზაკების** ძველებური სიმღერები მისივე წინასიტყვაობით (გვ. 85-118).

მიხაილ კარპინსკი აღწერს და ახასიათებს **რუსული** ბილინური ეპოსის ტრადიციების რაგვარობას თერგის ოლქში, კონკრეტულად გრებენელი კაზაკების ზეპირსიტყვიერებაში: რა გადარჩა საერთო რუსული ბილინების ეპიკური ტრადიციებიდან, რა შეიცვალა და როგორ. მან ჩაიწერა ბილინები დობრენია ნიკიტიჩსა და სმარინკაზე, ალიოშა პოპოვიჩის ქორწინებაზე დობრინია ნიკიტიჩის ცოლზე. მ. კარპინსკი წარმოადგენს არა მთლიან ტექსტებს, არამედ ფარგმენტებს, უდარებს ცნობილი ვარიანტებს და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს. ასევე განიხილავს ის ისტორიულ სიმღერებს, სადაც უპირატესი თემებია სიმღერები პეტრე პირველსა და სტენკა რაზინზე.

2. რამდენიმე გაჭიანურებული და სკომოროხული სიმღერა, ჩაწერილია სტანიცა ჩერვლენნოეში (გვ. 119-126). პუბლიკაცია მ. კარპინსკისაა, იგი არის ჩამწერიც.

გაჭიანურებულს გრებენელი კაზაკები უწოდებენ საყოფიერო სიმღერებსა და სატრფიალო სიმღერებს. დაბეჭდილია 9 ტექსტი: დუბინუშკა (გვ. 119-120), სატრფიალო (გვ. 121-122) და ოთხი სკომოროხული სიმღერა (გვ. 122-125).

II განყოფილება

II განყოფილებას ახლავს წინასიტყვაობა თბილისის მესამე ქალთა გიმნაზიისა და წმინდა ნინოს სასწავლებლის მასწავლებლის მიხ. კაგანის, რომელშიც მიმოხილულია დაბეჭდილი ფოლკლორული ტექსტები, ზღაპრების მოტივები და შედარებულია მისი დროისათვის ცნობილ ფოლკლორულ კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ მსგავს ფოლკლორულ ტექსტებთან, გარკვეულია ტექსტობრივი მსგავსება-განსხვავებანი და ამ ფონზე შეფასებულია კრებულის ამ გამოშვებაში გამოქვეყნებული ტექსტების ღირებულება და მნიშვნელობა.

მიხეილ კაგანს ასევე აქვს შედგენილი ზღაპართა მოტივებისა და სახელთა საძიებლები (გვ. 38-44).

მეგრული გადმოცემებიდან (რწმენა-წარმოდგენები, ლეგენდები, თქმულებები და ზღაპრები).

1. მესეფების გაჩენა (გვ. 1-5). ჩამწერი ზუგდიდის სასწავლებლის მასწავლებელი ი. სტეპანოვი.

იყო ერთი მეფე, მემკვიდრე არ ჰყავდა. ხშირად დადიოდა სანადიროდ. ერთხელ გზა დაებნა ტყეში. დააღამდა. დილით უცნაური არსება შენიშნა: კაცს ჰგავდა, მთელი ტანი ბანჯგვლებით ჰქონდა დაფარული, გრძელწვერა იყო. გაესაუბრა მეფეს. გზა უჩვენა, ვაშლი მისცა – შვილი გეყოლება, მე მომანათვლინე, ჩემი სახელიაო მულა. ვაშლის ნაჭერი გაუვარდა ის, მოსამსახურემ შეჭამა, ქერქი – ძაღლმა. ერთ წელიწადში ყველას შვილი ეყოლა. მეფის ვაჟს მესია დაარქვეს, მოახლისას – კიკო, ძაღლის ლეკვს – კარაკაჩი. მრავალი წლის შემდეგ მესიასგან წამოვიდნენ მესებები.

2. ბურდღუ და ტყაში მაფა (გვ. 5-10).

ჩამწერი: ზუგდიდის საქალაქო სასწ. მასწავლებელი **ი. სტეპანოვი.**

ერთ ქვეყანაში 45 წლის კაცი იყო, სახელად ბურდღუ. საქურდად წავიდა, ტყეში ტყაშ მაფას გადაეყარა. ტყაში მაფამ ცოლობა შესთავაზა. დარჩა მასთან, ქურ-

დობას განაგრძობდა. ერთხელ ძროხის მოპარვა უნდოდა. იმ ოჯახში ბავშვი გაჩნდა. ბედისმწერლებმა ბურდღუს ვოლობა დააბედეს. ბურდღუმ ბავშვის მოპარვა და მოკვლა მოინდომა, მუცელი გაუფატრა, სახლის სახურავზე შეაგდო. გავიდა დიდი დრო. ტყაში მაფამ გაუშვა ბურდღუ. ბურდღუმ ცოლი შეირთო, ცოლის მუცელზე შრამი აღმოაჩინა და გაირკვა, რომ ეს ის ბავშვი იყო, მოკვლა რომ მოუნდომა.

3. გლახუა (გვ. 10-13), **ჩამწერი:** ზუგდიდის საქალაქო სასწ. მასწავლებელი **ი. სტეპანოვი.**

ერთი ღარიბი იყო, გლახუა ერქვა. მათხოვრობით ირჩენდა თავს. ერთი მსხლის ხე ჰქონდა, მის ნაყოფს ვიღაცა უჭამდა. ერთ დღეს სამი მგზავრი მიადგა ღამის გასათევად. მათი დახმარებით დაიჭირა ქურდი. გავიდა დიდი დრო. ერთხელ გლახუას სიკვდილი მიადგა, რომელიც მსხლის ხეზე აიტყუა და ვეღარ ჩამოდიოდა. გლახუამ იმ პირობით აუშვა, რომ აღარ ამოართმევდა სულს. სიკვდილი დაეთანხმა და გლახუამ კიდევ დიდხანს იცოცხლა.

4. შავი კაცი (გვ. 13-16), **ჩამწერი:** ზუგდიდის საქალაქო სასწ. მასწავლებელი **ი. სტეპანოვი.**

ერთ სოფელში ერთი ღარიბი და უშვილო კაცი ცხოვრობდა. ღმერთმა როცა მისცა ვაჟი – შავი კაცი დაარქვეს. ის მოჯამაგირედ დადგა ერთ ვაჭართან, ჯადოსნური ხმალი მოჰპარა და გაიქცა. უცხოეთში ამხანაგები გაიჩინა. ბუმბერაზი ნდემი მოკლა, მისი ასული შეირთო. სხვა ქვეყნის მეფის სურვილით კუდიანმა დედაბერმა მისივე ხმლით მოკლა, მისი ცოლი მეფეს მიუყვანა. ძმადნაფიცებმა მისი ხმლით გააცოცხლეს შავი კაცი, მან მოკლა მეფე, დაიბრუნა ცოლი, სიმდიდრე ძმადნაფიცებს გაუნაწილა.

აქვე დაბეჭდილია ი. სტეპანოვის ჩაწერილი შემდეგ ფოლკლორული ტექსტები:

5. ეპისკოპოსი ბოგო; 6. ბერცულა; 7. ბედნიერი ლაზარე; 8. ბრძენი მეფე; 9. გლეხი და გველეშაპი; 10. გულთააზრი; 11. ძმობილი ნართია და კატო; 12. მოყმე და მღვდელი; 13. ღმერთი უშველის მართლმორწმუნეს; 14. კეთილი საქმე არასოდეს დაიკარგება; 15. სულელი გელდაჩი; 16. სამი ძმისა (გვ. 16-52).

ყველა ეს ტექსტი ჩაწერილია ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის იოსებ სტეპანოვის მიერ.

აქვეა დაბეჭდილი „**იმერული ზღაპრები და გადმოცემები**“ (გვ. 53-71):

მოხერხებული ქურდისა (გვ. 53-56): მთქმელი ქუთაისელი სპირიდონ ნარეშიძე, ჩამწერი ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლე დავით ნარეშიძე.

ძუნწი სიმამრი (გვ. 56-58), მთქმელი ქუთაისის მაზრის ღუბის მკვიდრი ვლადიმერ გეგუჩაძე, ჩამწერი ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლე იაკობ ჩიხლაძე.

ცოლი ბაყაყი (გვ. 58-61), მთქმელი სოფ. გორდის მკვიდრი გერასიმე დათუნაშვილი, ჩამწერი იაკობ ჩიხლაძე;

მეფის ასულისა და ბაყაყისა (გვ. 62); მთქმელი ქუთაისელი ელისაბედ ვარლამოვა, მთქმელი გიორგი ვარლამოვი;

მეფე და ხურო (გვ. 62-64), მთქმელი ქუთაისელი მარიამ ანდიშვილი, ჩამწერი ი. ლიხოვიჩი;

მგლისა და გლეხისა (გვ. 64-66), მთქმელი ქუთაისელი ნიკოლოზ ბაბუნაშვილი, ჩამწერი ე. ლომიძე.

თავადი, სატანა და მონაზონი (გვ. 67-68), მთქმელი ქუთაისის მაზრის სოფელ მესხეთის მკვიდრი თედორე ჭეიშვილი, ჩამწერი ვ. ჭელიძე;

დედინაცვალი და გერი (გვ. 69-71), მთქმელი სოფ. ქვიტირის მკვიდრი კონსტანტინე ბაბუნაშვილი, ჩამწერი ს. ავალიანი.

ქართული გადმოცემები და ზღაპრები (გვ. 72-95);

კარახი-მონადირე (გვ. 72-81), ჩამწერი თელავის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ი. სტეპანოვი.

ქოროღლი (გვ. 81-82), მთქმელი სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროს მკვიდრი გიორგი მესტიევი, ჩამწერი ამიერკავკასიის სამასწ. სემინარიის აღზრდილი გიორგი შაშმელოვი;

ორი ძმა (გვ. 82-85). ჩაწერილი სოფ. მაღაროში, ჩამწერი გიორგი შაიშმელოვი.

ბაქირი და ბექტი (გვ. 85-89), მთქმელი სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროს მკვიდრი ნასიძე, ჩამწერი გიორგი შაიშმელოვი;

მაღალაანთ ეკლესიის განძი (მოხუცის ნაამბობი), გვ. 89-91; ჩაწერილი გორის მაზრის სოფ. კავთისხევში, ჩამწერი გიორგი კანდელაკი;

მდიდარი (გვ. 91-93), მთქმელი ქ. გორის მკვიდრი შიო შანავაძე, ჩამწერი ალექსანდრე ციცაგი;

სამი მეფისწული ძმის ზღაპარი (გვ. 93-95), ჩამწერი ალექსანდრე ციცაგი.

სომხური გადმოცემები და ზღაპრები (გვ. 96-279).

1. **რატომ გაჩნდა წერა-კითხვის საჭიროება** (96-98). ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ძველად არ იცოდნენ წერა-კითხვა და არც იყო მისი საჭიროება. ერთხელ ღარიბმა მდიდარს ფული ესესხა და ვადაში არ დაუბრუნა. კრედიტორმა სახლში მიაკითხა. მევალემ – პირველად გხედავო. მივიდა მღვდელთან და იჩივლა: ერთი კაცი ვალს მთხოვს, რაც არ ამიღია და მაფიცებს „მომავლის ადამიანი ვიყო, თუ ვინმესი რამე მემართოსო; და რას ნიშნავსო მომავლის ადამიანი? მღვდელმა მიუგო, ჯერ გადაიხადე და მერე გეტყვიო. მევალემ დაუჯერა. გავიდა დრო. მევალეს ჩვენება ჰქონდა: ერთი ქვაბიდან წყალი მეორეში იღვრებოდა, მესამეს ცეცხლი ეკიდა. მღვდელმა აუხსნა, რომ ქვაბები მომავლის ადამიანებს განასახიერებდა. ჩვენ შემდეგ ახალი ადამიანები მოვლენ, მხოლოდ თავიანთ თავზე იზრუნებენ. ისევე, როგორც სავსე ქვაბიდან გადადისწყალი. ცეცხლმოკიდებული ქვაბი – ღარიბებს განასახიერებსო.

2. არუნ-გარუნის განძი (გვ. 98-101), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთმა სპარსელმა მეფემ მაგი იხმო და არუნ-გარუნის განძის პოვნა დაავალა. მაგი ერთ მღვდელს შეხვდა, ჩიტების ენის მცოდნეს, რომელმაც ჩიტებისაგან იცოდა სად და რისთვის მიდიოდა ის. მეფეს მიუყვანა –თუ ვინმეს შეუძლიაო მისი

პოვნა, ეს მღვდელი იპოვის. მღვდელმა დავალებაზე თანხმობა განაცხადა და ჯილდოდ იმდენი ოქრო ითხოვა, რამდენსაც მისი თვალი იწონიდა. მეფე დათანხმდა. მღვდელმა თვალი იპოვნა. მეფემ მისი მოთხოვნით სასწორზე დადო თვალი და მეორე პინაზე ოქროს დაწყობა დაიწყო, მთელი ქვეყნის ოქრო დააწყო, მაინც ცოტა აღმოჩნდა. მერე ერთი მწიკვი მიწა მიაყარა და გათანასწორდა.

3. სოლომონ ბრძენი და მწყემსი (გვ. 101-102), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთხელ სოლომონ ბრძენი თავის კარისკაცთან ერთად სეირნობდა. გზაში ნახა დედაბერი ძროხას მიდენიდა. თქვა: – ამ ძროხას მუცელში ხბო ჰყავს, შუბლზე ვარსკვლავიანიო. მწყემსმა მოისმინა ეს და უთხრა: – მეფეო, შუბლზე ვარსკვლავი არა აქვს, კუდის ბოლოს აქვს თეთრი და წინისკენ აქვს მოკეცილიო. ძროხა დაკლეს, მწყემსი გამოდგა მართალი. – მწყემსი ჩემზე ჭკვიანიაო – თქვა მეფემ.

4. რატომ არ უნდა დაიტირო მიცვალებული (გვ. 102-104). ჩამწერი მღვდელი გ. ბუნიატოვი.

ერთი ქვეყნის მეფეს არაფრით არ უნდოდა ცოლის შერთვა. მთელი ხალხი მოითხოვდა მემკვიდრეს. მეფე დათანხმდა ერთი პირობით: ცოლს შვილის სიკვდილზე ცრემლი არ უნდა ჩამოვარდნოდა. მეფეს 15 წლის ვაჟი მოუკვდა. ყოველ დღე მიდიოდა აკლდამაში. იგი ცოცხლდებოდა და მამა-შვილი მუსაიფობდა. ერთ დღეს დედას ქმრის ტანჯვის შემყურეს სამი კურცხალი ჩამოვარდა. ბიჭი მამის მისვლაზე აღარ გაცოცხლდა, სისხლში ცურავდა. მიხვდა მეფე, უსაყვედურა ცოლს პირობის დარღვევა. მერე წაიყვანა საფლავზე, უჩვენა შვილი და ქალი ყველაფერს მიხვდა.

5. ბედი (გვ. 104-105), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთი მეფე მეორეზე საომრად მიდიოდა. მდინარის პირას ერთი კაცი შეხვდა, ქაღალდზე რაღაცას წერდა და წყალში ყრიდა. მეფეს შეკითხვაზე უპასუხა ადამიანის ბედს ვწერ და წყალს ვატან, რომ შესრულდესო. თქვენი ქალიშვილის ბედის ბარათი გუშინწინ გავატანე წყალს. თქვენი სიძე მწყემსის შვილი გახდებაო. მეფემ ბევრი სცადა, ბავშვის დაღუპვაც კი, მაგრამ მწყემსის შვილი მაინც მისი სიძე გახდა.

6. ამქვეყნიური სიკეთე ამ ქვეყანაშივე დარჩება (გვ. 106-107), ჩამწერი მღვდელი გ. ბუნიატოვი.

ერთი ქვეყნის მეფე გადაცმული დადიოდა სამეფოში იმის გასაგებად, რას ამბობდა ხალხი ქვეყანაზე და მის მეფობაზე. ერთხელ ულამაზესი ქალიშვილი ნახა გლეხის ქოხში, მოეწონა, მეორე დღეს კი ვეზირები მიუგზავნა და მისი ხელი ითხოვა. გლეხის გოგომ პირობა წაუყენა: – ხელობა უნდა ისწავლოო. დიდი უარის შემდეგ, მეფემ ხალიჩების ქსოვა ისწავლა. გლეხის გოგომ პირობა შეასრულა, დედოფალი გახდა.

მეფე გადაცმულად ქვეყანაზე შემოვლას განაგრძობდა. ერთხელაც ცუდი ხალხის ხელში ჩავარდა, დაიჭირეს და მდიდარს მიჰყიდეს. ის ხალიჩების ქსოვას აიძულებდა. პატრონმა მეფის საკადრისი ხალიჩის მოქსოვა დაავალა. მეფემ თავისი

ადგილსამყოფლის ბარათიც შიგ ჩააქსოვა. დედოფალმა ამოიცნო ქმრის შენათვალი, მდიდართან მივიდა, მოძებნა ქმარი და გაათავისუფლა.

7. უკვდავების ვარდი (გვ. 110-113), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთ ქვეყანაში ერთ მეფეს ულამაზესი ბაღი ჰქონდა, ყველაფერთან ერთად იქ უკვდავების ვარდი ხარობდა, მაგრამ ყვავილს ყოველთვის ვიღაც იპარავდა. მეფე ვერაფერს ახერხებდა. ერთხელ ერთმა გლეხმა სთხოვა ყარაულად აყვანა. მან იპოვა ქურდი – დიდი ჭია. უნდოდა ის მოეკლა, მაგრამ ბულბულმა შეჭამა ჭია. ვარდი მეფეს მიუტანა. მეფემ მადლობა გადაუხადა და თქვა: – არც ბულბული გადარჩებაო. მეორე წელს იგივე განმეორდა: ჭია დაეღირა ვარდს, ბულბულმა შეჭამა, მაგრამ ბულბულიც შეჭამა დრაკონმა. მეფემ მომხდარი რომ გაიგო, თქვა: – ვერც დრაკონი გადარჩებაო. შემდეგ წელს გლეხმა დრაკონიც მოკლა. ამაზე მეფემ უთხრა: – ვერც შენ გადარჩებიო. გლეხმა უპასუხა: – მართალი ხარ, შეგიძლია დამსაჯო, მაგრამ ერთს გეტყვი: – ვერც შენ გადარჩებიო. მეფეს მოეწონა მისი პასუხი და გაუშვა.

8. **მეთევზის შვილი** (გვ. 113-121), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

იყო ერთი მეთევზე, ჰყავდა ერთი ვაჟი. სიკვდილის წინ ცოლს დაუბარა: – მეთევზის ხელობას არ მიჰყვესო. მისი სიკვდილის შემდეგ დედას ბიჭმა ბადე აყიდინა, სათევზაოდ წავიდა, სამჯერ ისროლა ბადე და სამჯერვე ბაყაყი ამოჰყვა. სახლში მიიყვანა. ბაყაყი მზეთუნახავი აღმოჩნდა, ბიჭმა ცოლად შეირთო. ქალის სილამაზის ამბავმა მეფის ყურამდეც მიაღწია. მან ქალის ხელში ჩაგდება მოინდომა და ვაჟს ძნელი დავალებები მისცა. მეთევზის ვაჟმა ყველა დავალება შეასრულა, ყველა ხიფათს თავი დააღწია, მეფე თავისსავე დაგებულ მახეში გააბა და თვითონ გამეფდა.

9. **ფოფოდია და ღატაკი** (გვ. 121-122), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთხელ მღვდელი ლიტურგიას ასრულებდა. ფოფოდია პურს აცხობდა. ერთი ღატაკი მათხოვარი ახლად გამომცხვარმა პურმა მიიზიდა. ულამაზესი ქალი რომ დაინახა, პური დაავიწყდა და კოცნა სთხოვა ღვთის გულისათვის. ქალმა შეუსრულა სურვილი. მღვდელი დაბრუნდა და ცოლს ცოდვა უსაყვედურა. ქალმა უპასუხა: – ღვთის გულისათვის ჩავიდინეო. – ღვთის გულისათვის ღუმელში შევარდი აბაო. ქალი შევარდა, ცეცხლი ჩაქრა, ღუმელი წყლით აივსო, ფოფოდია კი თევზად გადაიქცა.

10. ყველა თავის თავზეა პასუხისმგებელი (გვ. 122-123), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთ ქვეყანაში ორი ძმა მეფობდა. უფროსი თავისნათქვამა, ახირებული იყო, ხალხი ცუდ დღეში ჰყავდა. უმცროსი სულ ჩაფიქრებული და სახეშეკრული დადიოდა. უფროსმა ვეზირებს დაავალა: – ჩემ ძმას სამეფო აჩვენეთ და ვიდრე არ გააცინებთ, არ დაბრუნდეთო. წაიყვანეს, ერთ ბოინში მოხვდა, ყასაბს დაკლული საქონელი ფეხით ცალ-ცალკე ჰყავდა დაკლული. უმცროსმა ძმამ მიზეზი ჰკითხა. – ღმერთისგან ასეა დაწესებულიო, – უპასუხა ყასაბმა. უმცროს ძმას ამაზე გაეცინა. სახლში დაბრუნებულს უფროსმა ძმამ ჰკითხა გაცინების მიზეზი. უმცროსმა

მიუგო: მე მეგონა, რომ შენს უხიაგობაზე ღმერთი მეც მომთხოვდა პასუხს, მაგრამ გავარკვიე, რომ ყველა თავის საქციელზე აგებს პასუხსო. უფროსი ძმა მიხვდა და იმ დღიდან შეიცვალა – ქველი გახდა.

11. მქსოველის ქალიშვილი (გვ. 123-127), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთი მდიდარი მქსოველი ცოლთან ერთად იერუსალიმს გაემგზავრა მოსალოცად. ერთადერთი ლამაზი ქალიშვილი მამასახლისთან დატოვა. მას გული შეუვარდა გოგოზე, მაგრამ უარი მიიღო. გოგო სახლიდან გაიქცა, ტყეში მაღალ მუხას აფარებდა თავს. იქ მეფის ვაჟს გადაეყარა. მან წაიყვანა, იქორწინა. წლის თავზე ვაჟი გაუჩნდათ. გავიდა დრო. ქალს სამშობლო მოენატრა, ქმარს წასვლა სთხოვა. გზაში ვეზირმა იავკაცა, შვილი მოუკლა, ქალზე ძალა მიიტანა. ქალი გაიქცა. გადაცმული მამის სახლში დადგა ქათმების მწყემსად. ვეზირმა ქმრის წინაშე ქალს ცილი დასწამა. მეფის ვაჟი მის დასასჯელად გაემართა. ქალი მამის სახლში მოხვდა. აქ ქალმა, როგორც მეზღაპრემ, თავისი თავგადასავალი მოყვა, გამოტყდა სიმართლეში. მამასახლისი და ვეზირი დასაჯეს.

12. მეწვრილმანის ცოლის ეშმაკობა (გვ. 127-130), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთმა მეწვრილმანე ვაჭარმა ლამაზი ქალი შეირთო და მოსვენება დაკარგა, ეჭვიანობდა. ვაჭრობასაც კი მიანება თავი. სახლში ჯდომითაც რომ არაფერი გამოუვიდა, ცოლს ფიცი ჩამოართვა, თავადაც შეფიცა ერთგულება და სოფელ-სოფელ დაიწყო საქონლის ტარება და ვაჭრობა. ერთ დღეს ფული გამოუგზავნა მამასახლისის ხელით. მან ლამაზი ქალი რომ იხილა, გული შეუვარდა: – თუ არ დამყვები, ფულს არ მოგცემო. ქალმა ჯერ ფაშასთან იჩივლა, მერე არქიეპისკოპოსთან. ერთმაც და მეორემაც ქალის დაუფლება მოინდომეს. მან ხერხს მიმართა: მოაჩვენა თავი, თითქოს დაჰყვა მათს ნებას, სახლში მიიწვია, მოხერხებულად გამოკეტა სკივრებში და სამივენი მეფეს მიუყვანა. მეფემ მამასახლისი და ფაშა იმწამსვე დასაჯა – თავები დააყრევინა, არქიეპისკოპოსს სამარცხვინო წარწერით ქუჩა-ქუჩა ატარებინა, ფაშობა კი მეწვრილმანეს მისცა.

13. შორს არის იერუსალიმი? (გვ. 130-133), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთ სოფელში ბერიკაცი და დედაბერი ცხოვრობდნენ. ერთი ვაჟი ჰყავდათ, წესიერი, ღვთისნიერი, ლამაზი, ჭკვიანი, კეთილი ცოლი ჰყავდა, შემწე და უპოვართა გამკითხავი. ერთხელ მოხუცი ცოლ-ქმარი იერუსალიმში წავიდნენ. იქ ლოცულობდნენ და რძალს ხედავდნენ ყოველდღე, თუმცა ვერანაირად ვერ მიუახლოვდნენ. სახლში დაბრუნებულებმა რძალსაც და შვილსაც ჰკითხეს იერუსალიმში ყოფნის ამბავი. რძალმა უთხრა, რომ იქ არ იყო ნამყოფი და გზაც კი არ იცოდა. მღვდელმა კი უთხრა, რომ ანგელოზებს მიჰყავდათ მისი სული იერუსალიმში. მოხუცები კმაყოფილები დარჩნენ იმით, რომ იერუსალიმი მათ ჭიშკართან იყო.

14. ეშმაკობამ შეჭამა ძალა (გვ. 133-134), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი. ერთხელ დათვი და მგელი ტრაბახობდნენ მელასთან თავიანთი ძალით. მელამ ამაზე უპასუხა: – რაში მჭირდება ძალა, ჭკუით ორივეს გაჯობებთ, დავწვები, თავს მოვიმკვდარუნებ და მართლა მკვდარი გეგონებითო. მელამ, მართლაც, ასე გააკეთა. დათვმა გაიმეორა მელას ოინი. მგელმა და მელამ დიდი ქვა დააგორეს, დათვს თავი გაუჭეჭყეს და მთელი კვირა ჭამდნენ მის ხორცს. შემდეგ მგელმა მოიმკვდარუნა თავი. – მელა მომიახლოვდება, პირს ვტაცებ და შევჭამო. მელა არ წამოეგო ფანდს, მგელს თვალებში კირი შეაყარა, დააბრმავა, ფეხებში დაუწყო კბენა და იმდენი აწვალა, სული გააფრთხობინა, მერე კი შეჭამა.

15. სამი ძმა მეფის ვაჟებისა და ათასხმიანი ბულბულის ზღაპარი (გვ. 134-139), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ერთმა მეფემ საოცარი ტაძარი ააგო და სალოცავად მივიდა. ერთმა განდეგილმა მოუწონა ტაძარი, მაგრამ დაამატა: – კარგია, მაგრამ ერთი რამ აკლიაო. მეფემ დაანგრევინა ტაძარი და უკეთესი ააგო. იგივე განმეორდა. მესამედ დაიჭირა განდეგილი და ჰკითხა: – მაინც რა აკლიაო? – რა და ათასხმიანი ბულბულიო. მეფემ თავისი სამი ვაჟი გაგზავნა ბულბულის მოსაძებნად.

უმცროსმა მოიპოვა, გზასაყართან ძმებს შეხვდა, მათ უღალატეს უმცროს ძმას – ჭაში ჩააგდეს, მიითვისეს ბულბულის მოპოვება და მამას დავალების შესრულება ახარეს. ბულბულის პატრონი მზეთუნახავი დაედევნა ძმებს, მიაგნო მათ სამეფოში, ჰკითხა: – როგორ მოიპოვეთო ბულბულიო? მათ უპასუხეს უბრალოდო. – ქურდები ხართ, თქვენ არ მოგიპოვებიათო! – ბნელში გამოამწყვდია მამა-შვილები, თვითონ გამეფდა. უმცროსი ძმა ჭიდან მომკელებმა ამოიყვანეს, იგი დაბრუნდა სახლში. მზეთუნახავმა გამოჰკითხა ბულბულის ამბავი. უმცროსმა ძმამ ყველაფერი უამბო. ქალმა თავის ღირსად სცნო და იქორწინა მასზე, დატყვევებული მეფე და მაზლები კი გაათავისუფლა.

16. გაირამან ბლუტი (ბაირამან ღრუბელი), გვ. 139-148. ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი. ამ ზღაპარს ახლავს მ. კაგანის შენიშვნა (გვ. 139): „გაირამანი“ – თათრული საკუთარი სახელი, „ბლუტი“ ასევე თათრული სახელია, ნიშნავს „ღრუბელს“. უკანასკნელ დრომდე სომეხი მეზღაპრეები, ახლაც ზოგჯერ, თავიანთ ზღაპრებს თათრულად ყვებიან. ამიტომ გვხვდება მათში თათრული სიტყვები.

იყო ერთი მეფე, სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, სამი ვაჟი იხმო. ანდერძად დაუტოვა ქვეყანა არ გაყოთ, რიგრიგობით იმეფეთ, ოღონდ აქა და აქ არ წახვიდეთო. ძმებმა შეასრულეს მამის ანდერძი – რიგრიგობით მართავდნენ ქვეყანას, მაგრამ აკრძალული ადგილების ნახვა მაინც მოინდომეს და ერთმა დიდმა ფრინველმა უფროსი და შუათანა ძმები დახოცა.

უმცროსი ფრინველის მოსაკლავად გაეშურა. გაიგო, რომ ფრინველი იყო გაირამან-ბლუტი. მან მიაკვლია მის სამყოფელს. გაირამან-ბლუტს მოეწონა ჭაბუკი, ცოლ-ქმარივით დაიწყეს ცხოვრება. სხვა ქვეყნის მეფემ, რომელსაც უყვარდა გაირამან-ბლუდი, გრძნეული დედაბერი გააგზავნა ქალის ხელში ჩასაგდებად. მან ბევრი რამ სცადა, მაგრამ ბოლოს მაინც ხელცარიელი დარჩა. გაირამან-ბლუტი და ჭაბუკი დაბრუნდნენ სამშობლოში და ბრძნულად განაგებდნენ ქვეყანას.

17. წყლის მოტანილს წყალი წაიღებს (გვ. 148-150), ჩამწერი მღვდელი გიორგი ბუნიატოვი.

ორი თანასოფლელი – მედუქნე და მიწის მუშა იერუსალიმში სალოცავად წავიდნენ. მედუქნემ ასი ოქრო წაიღო, მემინდვრემ – 50. გზაში შეისვენეს მდინარის პირას, წყალში შევიდნენ საბანაოდ. დაინახეს, რომ მათ ქამრებს, სადაც ფული ჰქონდათ შენახული, ვიღაც არაბი იქნევდა და ფული წყალში ცვიოდა. მათ კითხვაზე არაბმა უპასუხა, წყალში მხოლოდ ის ფული ჩაცვივა, რაც უპატიოსნო გზით არის ნაშოვნი, ანუ წყლის მოტანილიო. წყლის მოტანილს წყალი წაიღებს, რაც პატიოსანი გზით გაქვთ ნაშოვნი, ის დაგრჩებათო. მედუქნეს 10 ოქრო დარჩა, მხვნელ-მთესველს – 45. იერუსალიმში ჩასვლისა და დაბრუნების შემდეგ მათ ნახევარიც კი არ დახარჯავთ.

18. ამაყი ტირაცუ ანუ დასჯილი მწიგნობარი (გვ. 150-151), ჩამწერი გრიგოლ ბუნიატოვი.

ერთი განათლებული და ამაყი კაცი ბევრ სიკეთეს აკეთებდა და ამით ტრაბახობდა. სიზმარში ხშირად ხედავდა სამოთხეს. ერთხელ ესიზმრა: სამოთხის კართან დგას და იძახის: – გამიღეთ კარი, სამოთხეში უნდა შევიდეო! ანგელოზები ეკითხებიან: – რა გაგიკეთებიაო?. ბევრს ვმარხულობდი, გავცემდი მოწყალებას, ეკლესია ავაგეო. – გამოგცდით, ბეწვის ხიდზე გაიარე და იქითა მხრიდან ვარდი მოგვიტანე, ოღონდ რაც არ უნდა გიძახონ, უკან არ მიიხედოო.

უკან რომ ბრუნდებოდა, მაინც მიიხედა. – ვერ მოხვდები სამოთხეშიო, – უთხრეს ანგელოზებმა. – რატომ, აი, ნახეთ, წმინდა წიგნები იმდენჯერ მაქვს წაკითხული, ყდები გაიცრიცაო. – წიგნები გულით უნდა გეტარებინა და არ ჯიბითო!

ასე დასაჯეს ანგელოზებმა მწიგნობარი.

19. მელიქ-შირინი (გვ. 152-175), ჩამწერი არცეკანის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი ე. შახნაზაროვი.

იყო ერთი მდიდარი, სტუმართმოყვარე, ქველმოქმედი ვაჭარი, სტუმრის გარეშე პურს არ ჭამდა. ერთხელ სტუმარი იწვია, სადილობა შესთავაზა, მან პირი არაფერს დააკარა: – ბავშვების გარეშე არ ვსადილობო. როცა გაიგო, რომ ვაჭარი უშვილო იყო, ვაშლი მისცა: – შუაზე გაჭერით, ცოლ-ქმარმა შეჭამეთ, ორი ვაჟი გეყოლებათ, ოღონდ ერთი მე უნდა მომცეთ, მის წასაყვანად მე როცა მომინდება, თვითონ მოვალო, – ეს თქვა და წავიდა.

ორი წლის შემდეგ ვაჭარს ორი ვაჟი ეყოლა. ერთს მელიქ-შირინი დაარქვეს, მეორეს მელიქ-ნარინი. ბიჭები მოიზარდნენ. ერთ დღეს გამოცხადდა ვაჭართან მისი ყოფილი სტუმარი და მელიქ-შირინი წაიყვანა. იგი ჯადოქარი იყო. მელიქ შირინი მას სახლიდან გაექცა, დადევნებული ჯადოქარი გააბრიყვა და წყალში დაახრჩობინა თავი. იგი ერთ ქალაქში ჩავიდა, იქ მებაღემ იშვილა. ბაღში მელიქ-შირინი შენიშნა მეფის უმცროსმა ასულმა საქმროდ აირჩია, მაგრამ მეფემ მებაღის შვილი მელიქ-შირინი დაიწუნა, ქალი სახლიდან გააგდო და ისინი მებაღის სახლში ცხოვრობდნენ.

ერთხელ მეფე ავად გახდადას თქვეს: – ირმის რძე მოარჩენსო. მელიქ-შირინმა დამხმარეების წყალობით იშოვა ირმის რძე. ქვისლები შეხვდნენ გზაში, მოგვყი-

დეო და მან ნეკა თითების საფასურად დაუთმო. გავიდა დიდი დრო. მეფემ თავისი ბაღისათვის ოქროს ბულბულისა და ანტილოპას მოყვანა დაავალა სიძეებს. მელიქ-შირინმა მოიძია. ქვისლებმა ისევ ყიდვა მოინდომეს. მან ყურების გახვრეტის ფასად დაუთმო.

დედოფალი გარდაიცვალა, მეფემ სიძეებს უკვდავების წყლის მოტანა დაავალა. მელიქ-შირინიც გაემგზავრა. უამრავი რამ გადახდა, – დევები დახოცა, მეფის ქალიშვილები იხსნა, ურჩხული მოკლა, მოიპოვა უკვდავების წყალი, გზაში ქვისლებს გადაეყარა, ბეჭებზე დაღის დასმის ფასად დაუთმო ცოტა წყალი, მათ კი მოსაკლავად გაიმეტეს. იგი გადარჩა. დაბრუნდა სახლში. შემდეგ შესეულ მტერს გაუსწორდა – მთელი ჯარი გაანადგურა. მეფეს დაჭრილი ხელი შეახვევინა აბრეშუმის ნაჭრით.

რამდენიმე დღის შემდეგ სასახლეში მივიდა, სიმართლე გამჟღავნდა, მეფემ ქვისლები დასაჯა. მელიქ-შირინი სამშობლოში დაბრუნდა, იქ მეფედ აირჩიეს.

20. ოვჩი ნაზარი (გვ. 175-184), ჩამწერი არხეკანის სასწ. ზედამხედველი ე. შახნაზაროვი.

ერთი ქვეყნის სატახტო ქალაქში სახელგანთქმული მონადირე ცხოვრობდა. ქალაქის მახლობელი ტყე დრაკონს ეკუთვნოდა. იქ ჯადოსნური ხოხობი ბინადრობდა, თავზე ძვირფასი ქვა ჰქონდა და ღამით მთელ ქალაქს ანათებდა. მეფეს მისი ხელში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ არავინ იყო მისი დამჭერი. მონადირემ გადაწყვიტა მისი მოპოვება. იგი ტყეში დიდმა ვარსკვლავმა მოკლა. გავიდა დრო. გაიზარდა მისი შვილი – ოვჩი ნაზარი, უფრო სახელოვანი მონადირე დადგა. მან მოკლა ხოხობი და მიიტანა სახლში. გავიდა დრო და ხალხმა გაიგო, სადაც იყო ხოხობი. მეფემ წაართვა, დიდი კოშკი ააგო და იქ მოათავსა. მეფემ ოვჩი-ნაზარს შორეული სამეფოდან საცოლის მოპოვება და ჩაყვანა დაავალა. გზაში ოვჩი-ნაზარმა სამი დევი გააბრიყვა და ხელში ჩაიგდო: უჩინმაჩინის ქუდი, ჯადოსნური სუფრა, მფრინავი ხალიჩა. ოვჩი-ნაზარი ჩავიდა იმ ქვეყნის მეფის კარზე, სამი წელი ემსახურა მეფეს, მისი დავალებები შეასრულა. მოიპოვა მეფის ასული, დაქორწინდა, მაგრამ ამცნო ქალს, რომ თავისი მეფის საცოლედ მიჰყავდა. ქალმა მეფე ბაღში გაიტყუა და ღრმა თხრილში ჩააგდო. მეფეს მემკვიდრე არ ჰყავდა. ტახტზე ქალი ავიდა. მან ქმრად ოვჩი-ნაზარი აირცია და გაამეფა.

21. მთვარის მიხედვით ნუ განსჯი ამინდს და ალერსით ნუ დაუჯერებ ცოლს (გვ. 184-187), ჩამწერი ე. შახნაზაროვი.

ორი მეგობარი სათევზაოდ იყო, ბლომად დაიჭირეს, ცეცხლი დანთეს, პურის ჭამა უნდოდათ. ამ დროს გაავდრდა. ერთმა თქვა: – ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, მთვარე წვერებით დაბლა ჰკიდია და ლაქები აქვსო. მარილი დავიწყნოდათ და საშოვნელად მდინარის ნაპირს დაუყვა. იქ მოხუცი დახვდა. მარილი სთხოვა, მთვარით ვიცოდი რომ წვიმა იქნებოდაო. მოხუცმა ხელი აიქნია და კაცი სახედრად აქცია. რომ დააგვიანა დაბრუნება, ამხანაგი გაეშურა მის საძებნელად. იმავე მოხუცთან მივიდა, მარილი სთხოვა. მოხუცმა მთვარის მიხედვით შეგიძლია ამინდის პროგნოზიო? მან უპასუხა: – არა, ეგ ერთმა ღმერთმა უწყისო. ესიამოვნა მოხუცს, იგი ღმერთი იყო, მან მარილი მისცა, სახედრადქცეული ამხანაგიც გააყოლა, ტვირთი ამას წააღებინე, შენი ამხანაგის გომურში დააბი ამაღამ და ხვალ

მომიყვანეო. მეთევზე ასეც მოიქცა. ღამით სახედრადქცეული მოწმე გახდა ცოლის ღალატისა საყვარელთან. მეორე დღეს ღმერთმა ისევ ადამიანად აქცია და ღამის ამბავი ჰკითხა. მან ყველაფერი უამბო. ღმერთმა უთხრა: – როგორ შეგიძლია მთვარით ამინდის გამოცნობა, როცა საკუთარი ცოლის ერთგულება ვერ გამოგიცნიაო.

22. რატომ არ ხარჯავს ძუნწი ფულს (გვ. 187-190). ჩამწერი ე. შახნაზაროვი.

ერთ კაცს აურაცხელი სიმდიდრე ჰქონდა, მაგრამ საშინელი ძუნწი იყო, კაპიკს არ ხარჯავდა, ცოლ-შვილი მშიერი ჰყავდა და თავისი თავისათვისაც ვერ იმეტებდა. ერთხელ ცოლი ავად გაუხდა და ცხვრის გულ-ღვიძლი, ჯიგარი ინატრა. ძუნწს ბაზარში 5კაპიკი დაუფასეს, ეძვირა. იაფად იქ არისო – მიასწავლეს. ბოლოს ისეთ ადგილას მოხვდა, სადაც უფასოდ იძლეოდნენ. იქ იქაური მეფის შვილი იხსნა მგლისაგან. მადლიერმა ბავშვმა უთხრა, რომ მამასთან – დევების მეფესთან მიიყვანდა და მადლიერი მამა ფულს შესთავაზებდა. ფული არ უნდა აეღო და ეთხოვნა ჩემი ფული დამიბრუნეო. ბავშვმა აუხსნა, რომ მისი სიძუნწე დევების მეფის ბრალი იყო, რადგან იგი განაგებდა ყველა მისნაირის ქონებას. დევების მეფემ სურვილი შეუსრულა და ძუნწი ხელგაშლილი, ქველმოქმედი და კეთილი გახდა.

23. ერთგული ცოლი (გვ. 190-203), ჩამწერი არწევანის სასწავლებლის ზედამხედველი ე. შახნაზაროვი.

ერთ ქვეყანაში იყო სახელოვანი მეფე. ერთი სწორუპოვარი სილამაზის ასული ჰყავდა. ვინ არ მიდიოდა მისი ხელის სათხოვნელად, მაგრამ არ უნდოდა გათხოვება. იმ ქალაქში ცხოვრობდა მდიდარი ვაჭრის შვილი. მან ერთი დედაბერი მოისყიდა და დაავალა გაეგო მეფის ასულის გათხოვებაზე უარის თქმის მიზეზი. დედაბერმა გაიგო მიზეზი: მეფის ასულს სიზმარში ენახა, როგორც გადაარჩინეს ხარირემი ირმებმა და როგორ მიატოვეს ხარირმებმა ჭაობში ჩაფლული ირემი. ამიტომ სძულდა მეფის ასულს მამრი და არ თხოვდებოდა. დედაბერმა ამბავი შეატყობინა ვაჭრის შვილს. მან ააშენა შესანიშნავი აბანო. კედელზე მეფის ასულის სიზმარი დაახატვინა. მეორე კედელზე კი ხარირმების მიერ ირმის გადარჩენის სურათი. მეფის ასულმა რომ ნახა სურათი, თავისი მეორე სიზმრის სისწორეში დაეჭვდა. მეფის ასულმა გათხოვება გადაწყვიტა და მდიდარ ვაჭარს გაყვა, ვაჟიც გააჩინა.

ვაჭარი სხვა ქვეყანაში წავიდა სავაჭროდ. დიდძალი ქონება იშოვა. ვაჭრობაში ცოლს იფიცებდა. ერთმა მოშურნემ მის ცოლს ცილი დასწამა და მთელი მისი ქონება იგდო ხელთ. მეფის ასულმა შეიტყო ყველაფერი, ამხილა ცილის მწამებელი და გადაარჩინა ქმარი.

24. ვინ ვის აჯობა ეშმაკობაში (გვ. 203-211), ჩამწერი არწევანის ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი ე. მელიქ-შახნაზაროვი.

ერთ ქალაქში ორი გაიძვერა და მატყუარა ცხოვრობდა. მატყუარობით ირჩენდნენ თავს. თავიანთ ქალაქში რომ მოაბეზრეს თავი ყველას, სხვა ქალაქში გადავიდნენ. იქ ვაჭართა თავი მომკვდარიყო, ქელეხს უხდიდნენ, ანდერძით დიდი ქონება დაეტოვებინა. მატყუარა გაქნილებმა ქონების ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს. გაიგეს, რა ქონება ჰქონდა დატოვებული. ერთი მივიდა ჭირისუფლებთან და

მოითხოვა ქონება: – ჩემი იყო, მე მივაბარე. თუ არ გჯერათ, თქვენს მიცვალებულს ჰკითხეთო. ჭირისუფალი მიიყვანა სასაფლაოზე და იქ სამარეში ჩამალულ თავის ამფსონს დაადასტურებინა. ქონება ხელში ჩაიგდო, ამფსონიც მიატოვა და წავიდა. მიტოვებული ამოვიდა საფლავიდან, გაეკიდა, ჩექმები იყიდა, მიმავალს წინ გაუსწრო, ჩექმები გზაში დაუყარა, გააცურა, მის ჯორს მოახტა და გაქრა. ახლა მეორე გაეკიდა, დაეწია და ნამჯაში დამალულს ცეცხლი წაუკიდა, მერე დაინდო და სიცილით გაუდგნენ გზას. დაბრუნდნენ სახლში და ნადავლის გაყოფა მეორე დღისთვის გადადეს. ერთი გაიპარა. მისმა ცოლმა მეორე დაადანაშაულა ქმრის გაქრობაში. მან მიაგნო თავის ამფსონს, მოტყუებით შეიტყო, რომ იგი ჭაში იმალებოდა, ისიც დაადგინა, სად ჰქონდა დამალული გასაყოფი ქონება. კიდევ ბევრჯერ გააცურეს ერთმანეთი და ბოლოს გაიყვეს ნადავლი.

25. ჯამალი (გვ. 212-214), ჩამწერი ჩაიკენდის სასწავლებლის მასწავლებელი გ. ოსიპოვი.

იყო ერთი გლეხი, ერთი ვაჟი ჰყავდა, ჯამალი ერქვა. გლეხი მდიდარი იყო. ქვევრებში ოქროებიც ჰქონდა შენახული. ჯამალი ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა. მამა გარდაეცვალა. ჯამალმა შენახული ოქროები ვერ იპოვნა. მოლას ჰკითხა რჩევა. მან დაარიგა და უჩვენა გზა, როგორ უნდა გაეგო, სად იყო ჩამარხული განძი. ჯამალს ღამის გათევა სასაფლაოზე მოუწია. მერმე გაიგო, სად იყო ჩაფლული ოქრო, გულუხვი და ქველი გახდა.

26. ოქროს მამალი (გვ. 215-219), ჩამწერი ჩაიკენდის სასწ. მასწავლებელი ს. ოსიპოვი.

იყო ერთი მეფე. 39 ცოლი ჰყავდა, ყველა უშვილო. დერვიშის რჩევით მეორმოცე შეირთო. მისგან შვილი ეყოლა. ცოლებს შეშურდათ და ბებიაქალი აიძულეს ბავშვი მოეკლათ და მელოგინეს ლეკვი ჩაუწვინეო. ბებიაქალმა შეასრულა მითითება, მაგრამ ბავშვი ყუთში ჩასვა და მდინარეს გაატანა. ყუთი მეწისქვილემ დაიჭირა, ბიჭი იშვილა. გავიდა დრო. ბიჭი გაიზარდა, გაიგო რომ ნაშვილები იყო და წავიდა მშობლების საძებნელად. იგი უახლოეს ქალაქში ჩავიდა. იქ გაიგო ოქროს მამლის ამბავი – მეფე მის მიმყვანს ნახევარ სამეფოს ჰპირდებოდა. ჭაბუკმა გადაწყვიტა ოქროს მამლის მოძებნა. გაემგზავრა, ტყეში დევის სახლში მოხვდა, დევისაგან გაიგო ოქროს მამლის ამბავი, თან დარიგება როგორ უნდა მოქცეულიყო. მან მოიპოვა ოქროს მამალი, დაბრუნდა დევთან, მადლობა გადაუხადა და განაგრძო გზა. ერთი დედაბრისაგან მოისმინა თავისი ამბავი, მაის სატახტოსაკენ გაემართა, შეხვდა მამას, უამბო ყველაფერი. მეფემ გაამართლა დედამისი და ტახტი შვილს დაუთმო.

27. ბულბული (გვ. 219-223), ჩამწერი ჩაიკენდის სასწავლებლის მასწავლებელი გ. ოსიპოვი.

იყო ერთი მეფე, სამი ვაჟი ჰყავდა. შვიდი გზის გასაყარზე ბაღი გააშენა. ყველა გაოცებული იყო მისი სილამაზით. ერთმა მოხუცმა თქვა ბაღს ბულბული აკლიაო. მეფემ ვაჟები იხმო და ბულბულის მოპოვება დაავალა. უმცროს ძმას კაცი შეხვდა და მიასწავლა ბულბულის ადგილსამყოფელი, ისიც ასწავლა, როგორ უნდა ჩაეგდო ხელში. მან ზუსტად შეასრულა დარიგება და მოიპოვა ბულბული.

უკანა გზაზე ძმებსაც შეხვდა. მან ძმებს პური სთხოვა, მათ კი ერთი თვალი მოსთხოვეს, წყლის საფასურად კი – მეორე თვალი. ძმებმა გალია ააცალეს და სახლში წავიდნენ. მტრედების წყალობით ვაჟმა თვალები განიკურნა. მათხოვრის სამოსით დაბრუნდა სახლში, მებაღეს დაუდგა თანაშემწედ.

ამასობაში ბულბულის პატრონი მზეთუნახავი გაემგზავრა მის საძებრად. დიდი ხნის ძებნის შემდეგ მივიდა მეფესთან და ბულბული მოსთხოვა. მან იოლად ამხილა უფროსი ძმები ტყუილში, სცნო უმცროსი ძმის სიმართლე და დაქორწინდა უმცროს ძმაზე.

28. ურჩხული და განდეგილი (გვ. 224-227). ჩამწერი ამიერკავკასიის სამასწ. სემინარიის აღზრდილი ბეგლარ ეგიაზაროვი, ჩაწერილი ელისავეტპოლის მაზრის სოფ. ყარაჩინარში.

ელისავეტპოლის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში არის ჩაიკენდის ქვაბული, სადაც გაშენებულია სოფელი ჩაიკენდი. გარშემო ტყეებია და გამოქვაბულები. გადმოცემით ერთ გამოქვაბულში იყო ურჩხული, რომელიც ზიანს აყენებდა ხალხს. მან ერთხელ თავისი მსახურები გააგზავნა მეზობელ ქვეყნებში და ყველაზე ლამაზი გოგოს მიყვანა დაავალა. მათ ურჩხულს მოახსენეს, რომ ყველაზე ლამაზი გოგო ჩაიკენდში იყო, მწყემსის ქალიშვილი. მაშინ მან მაჭანკლები მიუგზავნა მწყემსს. უარი რომ მიიღო, გამწარდა, მთა მოგლიჯა, სოფლისთვის უნდოდა სროლა და მიწაში ჩანთქმა. მეორე მთის წვერიდან ამბას განდეგილი უყურებდა. იგი დის საფლავთან იმყოფებოდა. მან ღმერთს შესთხოვა სოფლის გადარჩენა. ღმერთმა ურჩხული კლდეს მიალურსმა და სოფელი გადაარჩინა.

ერთ ღამეს სოფლელებმა განდეგილის სამყოფელთან დიდი ცეცხლი დაინახეს. რამდენიმე კაცი გაეშურა, ნახეს, რომ განდეგილის სამყოფელის სახურავს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ იწვებოდა. განდეგილი კი მკვდარი ეგდო ძირს. იგი დაკრძალეს. ერთხელ ეკლესიაში წარმართები გადაძვრნენ განძის წასაღებად, ვერაფერი ნახეს, ვერცხლის თასის გარდა. მათ უცებ ხელ-ფეხი წაერთვათ. ამის მერე მათ ღმერთი ირწმუნეს და ღმერთმა დაუბრუნდა მოძრაობის უნარი.

29. ტყუილი (გვ. 227-231). ჩამწერი ერევნის სამასწ. სემინარიის მასწავლებელი ვ. დევიცსკი.

ერთ ქვეყანაში ერთი მეფე იყო. სამი ვაჟი ჰყავდა. მეფე გარდაიცვალა, სხვა დინასტია გამეფდა. მეფის ოჯახს გაუჭირდა. ცოლს სამი ძვირფასი ქვა დარჩა. ერთი ქვა უფროს ვაჟს გაატანა ბაზარში, გაყიდე და სანოვაგე იყიდეო. ებრაელ ვაჭარს გადაეყარა. მან ასეთი რამ შესთავაზა: – თუ ისეთ ტყუილს იტყვი, რომ ვერ დამაჯერებ, შენს ქვას ვიყიდი და 10 მასეთ ქვასაც მოგცემ, თუ არა და ქვა ჩემიაო. უფროსმა ძმამ ვერ მოიგონა ისეთი ტყუილი და ქვა ებრაელს დარჩა. დედამ შუათანა ძმას გაატანა მეორე ქვა და მასაც იგივე დაემართა. უმცროსმა კი ისეთი ტყუილი უთხრა, რომ ვერ დაიჯერა, მაგრამ გაჭირვეულდა და მეფესთან უჩივლა. მეფემაც იგივე პირობა წაუყენა: თუ წარმოუდგენელ ტყუილს მეტყვი, მთელი ქონება შენ დაგრჩება, თუ არა და თავს მოგაჭრიო. უმცროსმა ძმამ დიდი ქოთანი გააკეთებინა, მივიდა მეფესთან და უთხრა: – შენ მამაჩემისაგან ამ ქოთნით სავსე ოქრო გემართა. მეფემ იყვირა – ტყუიო! – თუ ვტყუი, ბურთი უნდა მომცე, თუ არა და ქოთანი უნდა გამივსოო ოქროთი. მეფემ ოქროს ბურთიც მისცა, ებრაელის ქონებაც.

30. ღამისა და დღის ქურდები (გვ. 231-234), ჩამწერი ერევნის სამასწ. სემინარიის მასწავლებელი ვ. დევიცკი.

ერთ ქალაქში ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. კაცი ქურდი იყო, ღამით ქურდობდა. ქალს მოსწყინდა ღამით მარტოობა და მეორე ქმარიც იშოვა. ისიც ქურდი გამოდგა, ოღონდ დღისა. ერთ დღეს ისინი ერთმანეთს შეეჩეხნენ და აუტყდათ დავა ვის ეკუთვნოდა სახლ-კარი და ქალი. გადაწყვიტეს, ვინც უფრო მოხერხებული იქნებოდა ქურდობაშიო. დღის ქურდმა ხალხმრავალ დუქანში ყველა ძვირფასი ნივთი აწაპნა და ღამის ქურდის თანდასწრებით შეუმჩნევლად წავიდა. ღამის ქურდი სამეფო აპარტამენტში შეიპარა, ძიძა გაკოჭა, მეფეს თავისი ამბავი უამბო და ჰკითხა: – ვის ეკუთვნის სახლ-კარი და ქალიო? მეფე გაოცდა ღამის გურდის მოხერხებულობით და დააჯილდოვა.

31. სამი მელოტი (გვ. 234-236), ჩამწერი ერევნის სამასწ. სემინარიის მასწავლებელი ვ. დევიცკი.

სამი მელოტი და აზრიანი ადამიანი კონსტანტინეპოლში გაემგზავრა ფულის საშოვნელად. მათ ერთი ქოთანი შეიძინეს და გადაწყვიტეს ფეხი არ მოეცვალათ ვიდრე ქოთანს ფულით არ გაავსებდნენ. ექვსი წელი დარჩნენ. ქოთანი თითქმის გაავსეს და ვიღაცამ მოჰპარათ. ლოგიკური განსჯით დაადგინეს, რომ იგი მუსას უნდა მოეპარა. მეფესთან უჩივლეს. მეფემ გამოსცადა, რამდენად სარწმუნო იყო მათი ვარაუდები. მათ მეფის გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. მეფემ ირწმუნა მათი სიმართლე, მუსას ქოთანი მიატანინა და ოქროთი სავსე დაუბრუნა მელოტებს. ისინი გახარებულები დაბრუნდნენ სახლებში.

32. დედოფალი-ბაყაყი (გვ. 236-243), ჩამწერი ერევნის სამსასწ. სემინარიის მასწავლებელი ვ. დევიცკი.

იყო ერთი მეფე, სამი ვაჟი ჰყავდა. იხმო შვილები, უთხრა: – აიღეთ მშვილდისრები, ისროლეთ სახვადასხვა მხარეს, სადაც დავარდება, იქ ითხოვეთ ცოლი. უმცროსი ძმის ისარი ვერავინ იპოვა. მეფემ უფროსი შვილები დააქორწინა. უმცროსმა კიდევ ორჯერ ისროლა ისარი და ვერც მაშინ იპოვეს. უმცროსი სახლიდან გააგდო. ბევრი იარა თუ ცოტა, ჭაობში დაინახა თავისი ისარი, ბაყაყს ეჭირა პირში. აიყვანა ბაყაყი – ჩემი ბედი ეს ყოფილაო, ყუთში ჩასვა. იგი ერთ დედაბერთან დაბინავდა. ყოველ დღე ამოჰყავდა ყუთიდან, ეთამაშებოდა და ისევ ჩასვამდა ხოლმე ყუთში.

უმცროსი ძმა თავს ნადირობით ირჩენდა. სახლი დაგვილ-დასუფთავებული დახვდა. დედაბერმა უთხრა: – ეგ ბაყაყი პერი-გიზია მზეთუნახავი. შენ რომ სანადიროდ მიდიხარ, ბაყაყის ტყავს გადაიძრობს და დიასახლისობს, შენი მოსვლის დროს კი ისევ ბაყაყის ტყავს იცვამს და ყუთში ჩადისო. ბაყაყის ტყავი დაწვი და ქალად დარჩებაო. ჭაბუკმა შეასრულა, რაც ურჩია დედაბერმა და მათ ცოლ-ქმარივით დაიწყეს ცხოვრება. უმცროსმა ძმამ თავისი ამბავი უამბო. ქალის რჩევით დაბრუნდა ის სამშობლოში. მეფის სასახლის მოპირდაპირე მხარეს დიდი სასახლე ააგეს და ნადიმზე მეფე დაპატიჟეს. მეფეს პერი-გიზი შეუყვარდა. უმცროსი შვილის თავიდან მოშორება გადაწყვიტა – რთული დავალებების შესრულებას აძალებდა. უმცროსმა ვაჟმა ცოლის დახმარებით ყველაფერი შეასრულა, შეარ-

ცხვინა მეფე უსამართლობისათვის. გრძნეულმა არაბმა ამოწყვიტა მისი ხალხი და უმცროსი ძმა გამეფდა.

33. ხბოს კუდი (გვ. 243-248), ჩამწერი ერევნის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელი ვ. დევიცკი. ერთ ქალაქში ღარიბი ქვრივი ცხოვრობდა, ერთი ვაჟი ჰყავდა. მთელი მათი ქონება ერთი ბატი და ერთი ხარი იყო. დედამ შვილს ბატი გაატანა ბაზარში გასაყიდად. ბაზარს ერთმანეთში შეკრული სამი ვაჭარი აკონტროლებდა. ერთმა ბატი ვითომ ქათამიაო, მეორემ – ვარიაო, მესამემ – წიწილაო და საწყალ ბიჭს ბატი წიწილის ფასად დაათმობინეს. გავიდა დრო და დედამ ახლა ხარი გაატანა გასაყიდად. პირველმა ვაჭარმა ჰკითხა, რას აფასებ ძროხასაო? მეორემ – რას აფასებ მოზვერსო? ბიჭი შეშინდა – მესამე ხბოს ფასად შემევაჭრებაო და. მეორეს მიჰყიდა. მან მოატყუა, ფული არ გადაუხადა, კუდი შეატოვა. ბიჭმა სამაგიერო გადაუხადა: ჯერ ქალად გადაცმულმა სახლში მიბეგვა, შემდეგ მექისედ მოევლინა და აბანოში მიჟეჟა, მერე მეურმეს შეენაცვლა და გზაში სცემეს. ისეთ დღეში ჩააგდო, რომ მთელი ქონება იგდო ხელთ და ერთადერთი ქალიშვილიც დაისაკუთრა.

34. მხდალი გლეხი (გვ. 248-252), ჩამწერი ერევნის სამასწ. სემინარიის მასწავლებელი ვ. დევიცკი.

ერთ სახლში ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ქმარი ისეთი მშიშარა იყო, მარტოს ეზოში, გასვლისაც კი ეშინოდა. ცოლმა ითმინა და ბოლოს გარეთ გააგდოო. აღარა ხარო ჩემი ქმარი. მთელი ღამე ჭიშკართან ატუზულმა გაატარა. დილით დუქანში შევიდა. მაგიდაზე ბუზები ირეოდა. მუშტი დასცხო, დახოცა, დათვალა და 100 გამოვიდა. მჭედელს ხმალი გამოაკვეთინა, წარწერა გააკეთებინა „მუშტის ერთი დარტყმით 100 კაცს კლავსო“. გზას გაუდგა, 6 თვე იარა, ერთ დიდ ქვაბს გადააწყდა, ფლავით სავსეს, შეჭამა, დაწვა იქვე, დაიძინა. დევები მივიდნენ, წარწერა წაიკითხეს, თუ დავიმეგობრეთ, მტრებთან ბრძოლაში გამოგვადგებაო. გამოცდა მოუწყეს. ქვა აიღო, ხელი მოუჭირა, მერე უბეში შეინახა. იქ ფქვილი ჰქონდა, გამოიღო მუჭით, აი, ქვა როგორ დავფშვენიო.

მერე სამუშაო იარაღები მოითხოვა წყალზე ყოველდღე ხომ არ ვივლით, არხს გამოვიყვანო, ტყეს გავაშენებ, შეშაზე რომ არ ვიაროთო.

შიშისაგან ყვირილით დააფრთხო დევების მტრები. ამის შემდეგ იჯდა სახლში და დევები ემსახურებოდნენ. დევებმა მისი მოკვლა გადაწყვიტეს. მან გააცურა დევები. მათ ქონება გაუყვეს და დევს თავისი წილი ზურგით ათრევინა მამის სახლამდე. მოლამ ამცნო დევს მისი სიმხდალის ამბავი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გლეხი დაბრუნდა სახლში. ცოლმა ქონება რომ დაუნახა, სიამოვნებით მიიღო ქმარი.

35. ორი მეგობრის ზღაპარი (გვ. 252-256), ჩამწერი ჯარგინსკის სასწავლებლის მასწავლებელი ა. ტერ-მარკაროვი.

იყო ორი ღარიბი მეგობარი. ბედის საძიებლად უცხო მხარეს წავიდნენ. სახელებიც გადაირქვეს – რა და სე დაირქვეს. გზაში პურზე წაკამათდნენ. რა ცუღლუტობდა – პურს სძალავდა. დაშორდნენ. სე ერთ გამოქვაბულში მოხვდა. დათვის, მელას და მგლის საუბრიდან შეიტყო ჩინეთის მეფის ჩინ-მაჩინის ქალიშვილის

გაცოფების ამბავი, მისი წამლის საიდუმლო, მელასა და თაგვის ოქროებით თამაშის ამბავი. იგი მოემზადა, ჩავიდა ჩინეთში, მოარჩინა მეფის ასული, რაკი თან არ გააყოლეს, მთაში ჩამარხული განძით ქალაქი ააშენა, ჩინეთის მეფე აიძულა ქალი გაეტანებინა, ქალაქი ხალხით დაასახლა, გამეფდა. მის ქალაქში ყოფილი მეგობარი, გამათხოვრებული მივიდა. მეგობარმა უამბო როგორც გამდიდრდა. ისიც რომ მივიდა იმ გამოქვაბულში ბედის საძებნელად, მაგრამ მხეცებმა დაგლიჯეს.

36. მეფე ივანის ზღაპარი (გვ. 257-260), ჩამწერი ჯარგინსკის სკოლის მასწავლებელი ა. ტერმარკაროვი.

იყო მეფე ივანი, ორი შვილი ჰყავდა: უფროსი პეტრე, უმცროსი ალექსეი. მეფე ხშირად დადიოდა სანადიროდ. ხალხი უკმაყოფილო ჰყავდა. მან წაიყვანა ოჯახი და წავიდა. გზაში მდინარეზე გადადიოდა, ოჯახი დაკარგა: უფროსი მგელმა მოსტაცა, ალექსეი წყალმა წაიღო, ცოლი ვაჭრებმა წაართვეს. ბავშვები გადარჩნენ. პეტრე მწყემსმა დააგდებინა მგელს და იშვილა. ალექსეი წყალმა წისქვილთან მირიყა და მეწისქვილემ იშვილა. ივანი ისევ აირჩიეს მეფედ. მეწისქვილემ და მწყემსმა ბიჭები მეფის სამსახურში მიაბარეს. ძმებმა იქ გაიგეს ერთმანეთის ამბავი, მათი დედაც იქ აღმოჩნდა ვაჭრების ტყვეობაში. მათ იცნეს ერთმანეთი ივანის ოჯახი ისევ გამთლიანდა.

37. მზეთუნახავისა და ორმოცი ძმის ზღაპარი (გვ. 260-265), ჩამწერი ჯარგინსკის სასწ. მასწ. ა. ტერ-მარკაროვი.

იყო ერთი მეფე, ორმოცი ვაჟი ჰყავდა. წამოიზარდნენ, ცოლების შერთვა გადაწყვიტეს. არჩევანი უმცროს ძმას მიანდეს. მან გადაწყვიტა უცხოეთში ისეთი კაცის მოძებნა, ვისაც ორმოცი გასათხოვარი ქალიშვილი ეყოლებოდა. გაუდგნენ გზას. გზაში დევის სახლს მიადგა. ულამაზესი ქალი და დევი დახვდა. უმცროსმა ძმამ მოკლა დევი. ქალი 38 დის და აღმოჩნდა. უმცროსმა ძმები მიიყვანა 39 დაზე დააქორწინა. უკან რომ ბრუნდებოდნენ, დიდ გველს გადაეყარნენ, გველთა მეფისათვის ულამაზესი ქალიშვილის მიყვანა მოსთხოვეს. უმცროსმა 39 ძმა თავიანთი ცოლებით სახლში გაისტუმრა, თვითონ გველთა მეფის დავალება შეასრულა, დაბრუნდა მამის სახლში და დიდებული ქორწილი გადაიხადა.

38. ლამაზი ქალწულის, მეფის შვილისა და ბოიარის ზღაპარი (გვ. 265-270), ჩამწერი ჯარგინსკის ნორმ. სასწ. მასწავლებელი ა. ტერ-მარკაროვი.

იყო ერთი მეფე, ურიცხვი ჯარი ჰყავდა. ერთ დღეს ჯარი მინდორზე გაიყვანა. გზაში ერთი გოგო გარბოდა, მეფის ვაჟი გაეკიდა, დაეწია, მასთან ღამითაც კი დარჩა, გოგო არ გაჰყვა მამასთან. მეფე ისე გაბრაზდა, ვაჟის სიკვდილით დასჯა ბრძანა, ბოიარებმა გადაარჩინეს. მეორე დღეს იგივე განმეორდა. ახლა ბოიარი გაეკიდა, დაეწია, ღამით იმაზე ფიქრობდა, როგორ მიემართა მისთვის. გადაწყვიტა ზღაპარი ეამბნა. ლაპარაკში ჩაიყოლა, მეორე ზღაპარიც უამბო და მეორედაც აალაპარაკა. ცოტა ხანში მესამე ზღაპარი უამბო და მესამედ აალაპარაკა. დილით წავიდნენ მეფესთან. მეფემ გოგო ბოიარზე დააქორწინა.

39. კეთილი მეფის ვაჟის ზღაპარი (გვ. 270-273), ჩამწერი ჯარგინსკის ნორმ. სასწ. მასწავლებელი ა. ტერ-მარკაროვი.

ერთი მეფე იყო, უშვილო. დერვიშმა ორი ვაშლი მისცა. ერთი თვითონ შეჭამე, მეორე ცოლს აჭამე და შვილი გეყოლებაო. რამდენიმე წელიწადში მეფეს უკვე სამი შვილი ჰყავდა. დერვიშმა უმცროსი წაიყვანა. სახლში გააფრთხილა ხელი არაფერს ახლოო და სადღაც წავიდა. მეფის ვაჟის სულმა წასძლია, ერთი კანდელი და რამდენიმე ოქრო აიღო. უცებ ოთახი წყლით აივსო, მდინარედ იქცა, წყალმა წაიღო, მწყემსმა გადაარჩინა და იშვილა.

კანდელში ჩამაგრებული სანთელი აანთო, ორი ქაჯი გაჩნდა, აცეკვდნენ, მერე ბიჭს თაყვანი სცეს და ფული მისცეს. ერთხელაც ასე რომ გააკეთა, მისი ნაცნობი დერვიში გაჩნდა, კანდელი წაართვა და გაქრა. კანდელი უკან დაუბრუნა უცნობმა, რომელიც ადრე ბიჭმა იხსნა. ბიჭი მამის ქალაქში დაბრუნდა, მაგრამ მშობლებმა ვერ იცნეს. წავიდა, ბევრია იარა, კანდელით ბლომად ფული დააგროვა, სახლში დაბრუნდა. ამჯერად მშობლებმა იცნეს, გაიხარეს, დააქორწინეს და დიდებული ქორწილი გადაუხადეს.

40. პეშჩერიკი (გვ. 273-276), ჩამწერი ჯარგინსკის ნორმალური სასწ. მასწავლებელი ა. ტერ-მარკაროვი. იყო ერთი გლეხი, ცოლი და ერთი გოგო ჰყავდა. ცოლი გასცილდა და გოგოსთან ერთად მთაში წავიდა. ღამით გამოქვაბულში ბიჭი გააჩინა. გოგო გააგზავნა, ახლომახლო ვინმე იქნება, პური სთხოვეო. გოგო ერთ სახლს მიადგა, სადაც მისი ძმის ბედზე ლაპარაკობდა სამი კაცი. გოგო გააფრთხილეს: – თუ რაიმე მოისმინე, არავისთან თქვა, თორემ გაქვავდებიო. დედაშენი რომ წევს, მიწა გათხარე, ბლომად ვერცხლს იპოვიო. პური მისცეს და გაუშვეს. გოგომ, მართლაც, იპოვა ვერცხლით სავსე ქილა, დაბრუნდნენ სახლში, მდიდრულად დაიწყეს ცხოვრება. ძმას პეშჩერიკი დაარქვეს. გოგომ სამჯერ იხსნა სიკვდილისაგან. ძმის მოთხოვნით ძმას უამბო საიდუმლო და იქვე გაქვავდა. პეშჩერიკი უკვდავების წყლის საძებნელად გაემგზავრა. მან მოიპოვა წყალი და გააცოცხლა და. პეშჩერიკმა ცოლად სოფლის მოსამართლის ქალიშვილი შეირთო და ბედნიერად ცხოვრობდა.

41. ჭკუა და ბედნიერება (გვ. 276-279), ჩამწერი ჯარგინსკის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი ა. ტერ-მარკაროვი.

იყო ერთი გლეხი, სახელად ახმეტი. ამ კაცის ჭკუა და ბედნიერება შეკამათდნენ, რომელი უფრო მნიშვნელოვანია – ჭკუა თუ ბედნიერებაო. ჭკუამ მიატოვა ახმეტი, ბედნიერება კი მასთან დარჩა.

ახმეტი მინდორს ხნავდა, ხარებმა დიდი ქვა ამოაგდეს ქვეშ შვიდი ოქროს აგური და თიხის ქოცო აღმოჩნდა ბაჯაღლო ოქროებით სავსე. მან მექარავნეებს გაატანა რომში მეფისთვის საჩუქრად. რომის მეფემ ძვირფასი კაბა და ორი ნაპატიები ხარი გამოუგზავნა. ახმეტმა ხარები დაიტოვა, ძვირფასი კაბა ქაშმირის მეფეს გაუგზავნა. ქაშმირის მეფემ დაიბარა ახმეტი, ქალიშვილი მიათხოვა. გავიდა დრო და ახმეტის ცოლმა მამას წერილი მისწერა, ჩემი ქმარი სულელია, ცეკვა-თამაშის მეტი არაფერი იცისო. მეფემ კარისკაცებს დაავალა: – წადით, გაიგეთ და თუ მართლა სულელია, თავი წააგდებინეთო. ამ დროს ახმეტის ჭკუა დაბრუნდა, შეურიგდა ბედნიერებას. ახმეტმა ცოლს – ნარგიზხანუმს ყველაფერი უამბო. მეფეს ეს ამბავი გაუხარდა და დააჯილდოვა სიძე. ახმეტი კი ცოლთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა.

III განყოფილება

შირვანელი თათრების ანდაზები (გვ. 1-) ჩაწერილი ბაქოს გუბერნიის შემახიისა და გეოკჩაის მაზრებში. ანდაზები ჩაწერილია დედნის ენაზე პ. უსლარის ანბანით (შრიფტით) რუსული პწკარედით და თავისუფალი თარგმანით. სულ 1980-ზე მეტი ანდაზა. პუბლიკაცია ნ. დ. კალაშევისაა (გეოკჩაის სასწავლებლის ზედამხედველის).

ანდაზები დალაგებულია თემატური ბუდეების (ჯგუფების) პრინციპით:

ღმერთი (გვ. 1-2), 20 ანდაზა;

ეშმაკი (2-3), 6 ანდაზა;

წმინდანები, წინასწარმეტყველები, იმამები (გვ. 3-4), 7 ანდაზა;

მეფეები (გვ. 4), 4 ანდაზა;

ხანები, ბეგები (გვ. 4-5), 6 ანდაზა;

სასულიერო წოდება (გვ. 5-6), 13 ანდაზა;

ბატონი და მსახურები (გვ. 6-17), 10 ანდაზა;

ადამიანის საქმიანობა (გვ. 8-13), 101 ანდაზა;

ხალხები (გვ. 14-24):

1. სომხები (გვ. 14) 8 ანდაზა;

2. ქურთები (გვ. 14) და ა. შ.

აღსანიშნავია ანდაზების ამ პუბლიკაციის ერთი თავისებურება. ცალკეული თემატური ჯგუფის ტექსტები უშუალოდ აქ კი არ არის დაბეჭდილი, არამედ მითითებულია ამ კრებულის კონკრეტული გამოშვება. ასე, მაგალითად, ანდაზები ქურთებზე „სმომპკის“ 19 გამოშვების II განყოფილების 302 გვერდზე, ასევე თათრების, ტატების და ა. შ. ასე, რომ 24 კრებულში კრებსითი მასალაა დაბეჭდილი.

დიდ თემატურ ჯგუფს ქმნის **ადამიანის სხეულის ნაწილების თემატიკის ანდაზები:** თავის, სახის, თვალების, ცხვირის, პირის, კბილების, ენის, ულვაშების, წვერის, ხელების, ფეხების, გულის, სულის (გვ. 26-32).

ანდაზების ჩანაწერში მონაწილეობდნენ გეოკჩაის სასწავლებლის მასწავლებლები: საღვთო რჯულის – მოლა-ახმედ-მირზა-ჰუსეინ-ბაბა—ზადე და მასწავლებელი მახუმდბეკ მახმუდბეკოვი. პირველი არაბული ასოებით იწერდა, მეორე რუსულად თარგმნიდა; ბაქოს რუსულ-თათრული სკოლის ზედამხედველი სულტან-მეჯიდ განიევი; კელვინის სასწავლებლის მასწავლებელი ისკანდერ-ბეკ ალიბეკოვი; მელიქ-კენტის სასწავლებლის მასწავლებელი სამიდ-ბეკ ჰაჯიბეკოვი.

СМОМПК, 1900, 28, განყ. 2

ლ. გ. ლოპატინსკის წინასიტყვაობა, ზღაპრების მოტივებისა და საძიებლები (გვ. I-XII). მიმოხილულია კრებულში წარმოდგენილი ფოლკლორული ტექსტები, მათი მოტივების გავრცელების არეალები, ვარიანტები და მსგავსება-განსხვავებები.

II განყოფილება იხსნება ა. ა. ბოგოიავლენსკის წინასიტყვაობით, რომელსაც ასევე ახლავს ზღაპრების მოტივებისა და სახელთა საძიებელი კრებულისათვის ტრადიციული ფოლკლორული ტექსტების მიმოხილვით (გვ. I-XIX).

1. სომხური ხალხური სიტყვიერება ამიერკავკასიაში (გვ. 1). I. ლეგენდები და გადმოცემები (გვ. 1-156).

1. ნუ განიკითხავ სხვას (გვ. 1-5).

ერთ ღარიბ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი საწყალი კაცი. ბავშვობიდან მამასთან ერთად კულპაში დადიოდა, ზურგით ეზიდებოდა მარილს და მეზობელ ქალაქში ყიდდა. ცხოვრებაში ვერაფერი ისწავლა, მამისაგან გაიგო სამოთხის, ადამის გაძევების ამბები. ვერ იტანდა მისი სახელის გაგონებას და შემთხვევას არ უშვებდა, რომ არ გაელანძღა ასეთ სატანჯველში ჩაგდებისათვის.

შემოდგომის ერთ დღეს უკვე გაჭაღარავებული ღარიბი ზურგზე ქვამარილწამოკიდებული გეშის აღმართზე ადიოდა, ფეხში ეკალი შეესო, გადაქანდა, მარილი გაუვარდა, დაეფშვნა. გამწარებულმა ადამს დაუწყო გინება. ანგელოზები მივიდნენ და უთხრეს:

– მოხუცო, ღმერთი აღშფოთებულია შენი ლანძღვა-გინებით, ადამისათვის რომ ვერ გიპატიებია და თავისთან გიბარებსო. ღმერთმა პირობა წაუყენა, წაგიყვან სამოთხეში, თუ შვიდ დღე-ღამეს ხმას არ ამოიღებო. თუ ამას შეძლებ, სხვა ხალხსაც დავაბრუნებ, თუ არა და ისევ იქ გაჩნდები, საიდანაც მოგიყვანესო. მოხუცი დაეთანხმა და ედემში გაჩნდა. სამჯერ აიყვანეს იგი ედემში, სამჯერ დაარღვია პირობა, ენა ვერ გააჩერა.

მთქმელი სოფელ ბაიანდურის მკვიდრი სააკ დილანოვი, ჩმწერი – ბაინდურის სასწავლებლის ზედამხედველი გ. ბუნიატოვი.

2. კარი – კოპაკი (გვ. 5-7).

ჯებრაილის მაზრაში ერთი დიდი მაღლობია, კარი კოპაკს უძახიან. ერთნი ამბობენ, რომ ნადირ შაჰის ბრძანებით არისო აგებული. ერთხელ ნადირშაჰმა ილაშქრა ყარაბახსა და საქართველოზე. ამ ადგილას დედაბერი ნახა, ნათესაობაში სარეველა ბალახს მარგლიდა. შაჰმა ჰკითხა დახმარება ჭამაშია საჭირო თუ შრომაშიო. დედაბერმა უპასუხა – ჭამაშიო. შაჰმა მისი ცოცხლად დამარხვა ბრძანა, მის ყველა მეომარს თითო მუჭა უნდა მიეყარა და ასე გაჩნდა მიწაყრილი.

მეორე გადმოცემის თანახმად, მეფეს საყვარელი ძაღლი მოუკვდა ამ ადგილას, ყველას თითო მუჭა მიწის მიყრა უბრძანა და მიწაყრილი ასე გაჩნდაო.

ჩამწერი ტუგსკის სასწავლებლის ზედამხედველი მ. პოღოსოვი.

3. ლეგენდები სოლომონ ბრძენზე (გვ. 7-9).

I სოლომონის მეფობის დროს იერუსალიმთან ახლოს გამოქვაბულში ერთი განდეგილი იყო, ხალხი დადიოდა მასთან რჩევისათვის. ერთხელ სოლომონიც მივიდა, მოახლეც იახლა. განდეგილმა, ღვთის წყალობით, წინასწარ შეიტყო და მოემზადა: დაგავა იატაკი და ნაგავი შუაში დააგროვა, გაშიშვლდა, მხრებზე მოსახვევი მოიგდო და კარებთან დახვდა. სოლომონის მხლებელმა ეს რომ დაინახა, თქვა: – მეფეო, სახლში დავბრუნდეთ, რჩევა უკვე მოცემულიაო. ნაგავი შუა ოთახში მიწიერი სიმდიდრეა. კარებში დამდგარი განდეგილი ნიშნავს, რომ ამ წუთისოფლის სტუმრები ვართ, ცალი ფეხი აქეთ გვაქვს, ცალით იქითა ვართ. მხრებზე მოგდებული ნაჭერი სუდარაა; პირზე აფარებული ხელი მიგვანიშნებს, რომ ადამიანის ყველაზე დიდი მტერი მისი ენაა. სოლომონი აქმ განმარტებით კმაყოფილი დარჩა.

II. ერთხელ სოლომონს ცოლი შეუჩნდა: – ფრინველების ბუმბულის ციხე-კოშკი ამიგეო. სოლომონმა მთელი ქვეყნიერებიდან იხმო ფრინველები და ბუმბუ-

ლის გლეჯა დაიწყო. მარტო ბუ არ გამოცხადდა. დაიბარა. ბუმ უთხრა: – შენი ცოლის გამო ერთადერთ სამკაულს და დასაცავს გვართმევ. მე შენთვის ბუმბულს კი არა, თავსაც დავდებ, თუ საჭირო გახდა, მაგრამ ბუმბულისაგან ციხე-კოშკის აგება როგორ შეიძლება?! მსუბუქი ქარიც კი გაფანტავს ბუმბულსო. სოლომონმა დაუმადლა ბუს კეთილი რჩევა და საზრდოდ სამი ბეღურა დაუნიშნა.

III. ერთ გლეხს 30 ფუთი ხორბალი ჰქონდა. სოლომონს ჰკითხა რჩევა – სულ გავთესო, თუ – ნაწილიო. სოლომონმა იცოდა, რომ იმ წელს კარგი მოსავალი იქნებოდა და სულ დათესვა ურჩია. სოლომონს მისი ვაჟი შეეწინააღმდეგა. გლეხმა სულ დათესა, კარგი მოსავალიც მოვიდა, მაგრამ მკამდე არაფერი ჰქონდა საჭმელი. შიმშილით ყანაში გასძვრა სული. სვავებმა თვალები ამოსჭამეს, გვამი აყროლდა. შვილმა სოლომონი ყანისაკენ წაიყვანა. იგი შეაწუხა ყროლის სუნმა. შვილმა უთხრა, შენი პირიდან ამოდისო. მამა გაბრაზდა შვილზე, მაგრამ მკვდარში ნაცნობი გლეხი რომ შეიცნო, ყველაფერს მიხვდა.

4. ალექსანდრე მაკდონელის ლეგენდა (გვ. 10) მთქმელი სოფელ ბაიანდურის მკვიდრი მადატ მადატოვი.

I. ალექსანდრე დაიბადა თუ არა, ოთახს შემოურბინა, მეოთხე კუთხესთან ანგელოზმა წააქცია. ამით აგრძნობინა, რომ იგი მხოლოდ სამყაროს სამ ნაწილს დაიპყრობდა.

II. ალექსანდრე მაკედონელი რომ გარდაიცვალა, დედა არ მარხავდა. კარისკაცებმა შესთავაზეს, რომ გვამებთან მარტოდ დარჩენილიყო, უსაკვებოდ. დედა დაეთანხმა. იგი ოთახში ჩაკეტეს და ჭერზე პური ჩამოკიდეს. მეოთხე დღეს მაგრად მოშივდა. ვერ მისწვდა, შვილის გვამზე დადგა და ისე მისწვდა პურს. ყარაულებმა ეს შენიშნეს, უთხრეს: დაკრძალვა მიგაჩნდა შეურაცხყოფად და ფეხით შედგომა არაო?! დედა დარწმუნდა მათ სიმართლეში და დართო შვილის დაკრძალვის ნება.

მთქმელი ბაიანდურის მკვიდრი მადატ მადატოვი.

5. დივანა ბალული (გვ. 11-17).

ძველად ცხოვრობდა კეთილშობილი მეფე ბალული. ხელგაშლილი იყო, განმკითხავი. ერთხელაც დატოვა ტახტი, ძმა გაამეფა. მახინჯად, ჭკუათხელად მოაჩვენა თავი ხალხს, დადიოდა, ჭკუას არიგებდა. ხალხმა დივანა ბალული შეარქვეს. ერთხელ ქორწილში არ შეუშვეს. წავიდა, ძვირფასი სამოსი ჩაიცვა, დაბრუნდა ქორწილში, საპატიო ადგილზე დასვეს. ძვირფასი კერძი რომ მიართვეს, ჩოხის კალთა ჩადო საჭმელში: – მიირთვი, შენ მოგართვესო. რა აღარ დამართეს. თავიდან მოსაშორებლად, ძმამ მოწამვლა სცადა. ბალულმა თავიდან აიცილა. ბევრი იმოგზაურა ჯერ სტამბოლში იყო, შემდეგ ბაღდადში, ყველგან და ყველას აოცებდა თავისი სიბრძნით. სიცოცხლის ბოლომდე ასწავლიდა ხალხს.

მთქმელი: ყარსის ოლქის სოფ. ტაზაკიანდის მკვიდრი ნერსეს ადოები. ჩამწერი ბაიანდურის სასწავლებლის ზედამხედველი და საღვთო რჯულის მასწავლებელი მღვდელი გ. ბუნიატოვი.

6. სიკვდილი (გვ. 18-19), **თქმულება.**

ადამიანი როცა კვდება, ღმერთი მთავარანგელოზ გაბრიელს აგზავნის. ჯერ

აბრმავებს, მერე ენას ართმევს, მერე ფეხებს, ბოლოს სულს. ერთხელ ღმერთმა მცირეწლოვანი შვილების დედისათვის სულის ამოსახდელად გაგზავნა. გაბრიელს შეეცოდა დედა. ღმერთმა მას გული ამოართვა – აღარავინ შეგეცოდებაო.

7. კეთილშობილი ლუსნინი (გვ. 19-22), გადმოცემა. **ჩამწერი** კაგიზმანსკის საქალაქო სასწავლებლის ზედამხედველი ი. ნოვრუზოვი. სომხეთის ერთ ქალაქში ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ცხოვრობდა მეფე ავაქი, ცოლად ჰყავდა სილამაზით განთქმული ლუსნიკი.

ერთხელ სპარსეთის მეფე დაემუქრა და ავაქი დიდი ჯარით წავიდა ომში. მმართველად საყვარელი მინისტრი გამაიანი და ცოლი დატოვა. გამაიანმა ცილი დასწამა ქალს და მეფის ბრძანებით ლუსნიკი ბავშვთან ერთად ტყეში მოსაკლავად დატოვეს, მაგრამ დედა-შვილი გადარჩა. ომიდან დაბრუნებული ავაქი შემთხვევით გადააწყდა მათ, იცნო. ცოლმა გააქრისტიანა, მამაიანი დასაჯეს. ოთხი წლის შემდეგ ავაქის შვილი გამეფდა.

8. ნამდვილი რწმენა ცეცხლისაგანაც იხსნის (გვ. 22), ლეგენდა.

რომელიღაც ქალი პურს აცხობდა ღუმელში. ამ დროს მასთან მივიდა დაკონკილ ძონძებში გახვეული მათხოვარი და მისი სილამაზით მოხიბლულმა კოცნა სთხოვა. ქალმა იუარა. მათხოვარმა – ღვთის გულისათვისო. ქალი დათანხმდა. ქმარმა დაინახა და გაგიჟდა. ქალმა უთხრა: – ღვთის გულისათვის ჩავიდინეო. – ღვთის გულისათვის ცეცხლში ჩავარდიო. ქალი დაუფიქრებლად შევარდა ცეცხლში. ცეცხლი ჩაქრა და ღუმელი მწვანით დაიფარა.

9. როგორ ამწვანდა მუგუზალი (გვ. 22-24). ლეგენდა.

ჩამწერი: ელისავეტპოლის საოსტატო სასწავლებლის მასწავლებელი პ. ტონიევი.

იყო ერთი ცოდვილი. ერთხელ მარხვის დროს აღსარება უთხრა მღვდელს, კინაღამ გადარია. ჩამქრალი მუგუზალი დადო ამბიონთან და უთხრა: –ილოცე, იქნებ სული გადაირჩინოო! დატოვა ეკლესიაში და წავიდა. ცოდვილი კაცისმკვლელი გულმხურვალედ ლოცულობდა. ღამით ეკლესიაში მიცვალებული ქალი მიასვენეს, წესის ასაგებად დატოვეს. ღამით ვიღაც კაცი შეეცადა ქალის გაუპატიურებას, ცოდვილმა იგი მოკლა. მეორე დღეს ხალხის წინაშე აღიარა დანაშაული. მღვდელი განურისხდა და ლოცვით მონანიება დაავალა, მერე მუგუზალი მოხვდა თვალში, მთლად გამწვანებული.

10. მდიდარი და ღარიბი (გვ. 25-29), ჩამწერი კამარლინსკის სასწავლებლის მოსწავლე არშაკ ტერ-ხაჩატუროვი.

უწინდელ დროს, როცა ღმერთი ადამიანებს შორის ცხოვრობდა, ხალხში გავიდა იმის გასაგებად, ვინ როგორც ცხოვრობდა. ერთ ქუჩაზე ცალ მხარეს დიდი, მდიდრული სახლი იდგა, მეორე მხარეს – ქოხი. მგზავრად გადაცმული ღმერთი მდიდარს მიადგა, ღამის გათევა სთხოვა. მდიდარმა არ მიიღო. ახლა ღარიბს მიადგა. მიიღეს, გაუმასპინძლდნენ, მეორე დღეს ასაუზმეს, გააცილეს. ღმერთმა დაუმადლა. ახალი, დიდი სახლი აჩუქა, სამი სურვილი შეუსრულა. მდიდარმა ახალი სახლი რომ დაინახა ცოლი გააგზავნა ამბის გასაგებად. ღარიბმა ყველაფე-

რი უამბო. მდიდარს გული დასწყდა, რომ მგზავრი არ მიიღო. ცოლის რჩევით გაეკიდა გზაში მოუბოდიშა, პატიება სთხოვა. ღმერთმა შეუნდო და სამი თხოვნის აღსრულება აღუქვა. გზაში მდიდარს ცხენი გაუჩერდა. – აგრემც სული გაგძროზიაო, – და ცხენი მოუკვდა. ეს იყო პირველი თხოვნა. უნაგირი აიკიდა, წავიდა, შეღონდა: – მე გზაში ვიტანჯები, სახლში ცოლი მხიარულობს. აგრემც ამ უნაგირიდან არ ამდგარაო. ასეც მოხდა. მესამე თხოვნა კი ცოლის გათავისუფლებას მოახმარა. ასე დასაჯა ღმერთმა მდიდარი.

11. გადმოცემა ჩვენს უფალ იესო ქრისტეზე (გვ. 29-32). მთქმელი ანუშ ბაბალიანი. ჩაწერილი ქ. ბაქოში ა. ბაბალიანის მიერ.

ერთხელ იესო ქრისტე გზად მიდიოდა და სამ კაცს გადააწყდა, რაღაცაზე მსჯელობდნენ. ერთი რაც ირგვლივ ქვები ეყარა, ცხვარ-ბატკნად და საქონლად გადაქცევას ნატრობდა, მეორე – მინდვრის მსხმოიარე ბაღად ქცევას, მესამე – ლამაზ, დამჯერ ცოლს. ღმერთმა ყველას შეუსრულა ნატვრა. გავიდა დრო. იესომ მათი გამოცდა გადაწყვიტა. ცხვარ-ძროხის პატრონმა ცხვრის რძე არ დაალევინა და ღმერთმა ისევ ქვად აქცია ყველაფერი. მეორემ ყურძენი დაიშურა და ღმერთმა გააქრო ბაღი. მესამემ შესანიშნავად უმასპინძლა, ერთად ერთი ხარი დაუკლა, შვილის სიკვდილზეც არ შეიხარა წარბი, ღმერთმა ყველაფერი გაუცოცხლა, ყველაფერი ოქროდ უქცია.

12. გადმოცემა ალბანეთის მეფე ვაჩაგანზე (გვ. 33-45).

ჩაწერილი დაღესტნის ოლქის ს. დეშლაგარში, მთქმელი მარია ხანაგოვა, ჩაიწერა ამიერკავკასიის მასწავლებელი სემინარიის აღზრდილმა ი. მამტევმა.

წარსულში ალბანეთის დედაქალაქი იყო პანტევი, ამჟამინდელი სოფელი ბარდაი. ამ ქვეყნის მეფე იყო ვაჩე. მას ჰყავდა მაღალი, წარმოსადეგი ვაჟი ვაჩაგანი. იგი ნადირობდა, ეცნობოდა ხალხს, ქვეყანას. ერთხელ ნადირობისას წყაროსთან შეისვენა. იქ გოგოები იყვნენ კოკებით, მან წყალი სთხოვა გოგოებს. ერთმა ცოტა დაგვიანებით მისცა წყალი. – დაღლილზე და ოფლიანზე ცივი წყალი ცუდად მოქმედებსო – ასე ახსნა დაგვიანების მიზეზი. ქალიშვილი ჭკვიანიც იყო და ლამაზიც, ანაიდა ერქვა, მწყემსის შვილი იყო. წავიდა მეფის შვილი თავის თანამგზავრ ვაშნაკთან ერთად, გზაში ანაიდაზე ლაპარაკობდა ერთთავად.

ვაჩაგანი ჩამოჭკნა, დადნა, ვერავი იგებდა მიზეზს. ერთგული მსახური მიუხვდა, მეფეს უამბო ანაიდას ამბავი. მეფემ გამოტეხა შვილი, არ მოუწონა არჩევანი. ბოლოს დათანხმდა შვილის დაკარგვის შიშით. მეფე ვაშნაკთან ერთად მივიდა მწყემსთან და ქალიშვილის ხელი სთხოვა. ანაიდა ხალიჩების დიდოსტატი მქსოველი აღმოჩნდა. ანაიდამ მოისმინა მეფის წინადადება და იკითხა: – ხელობა თუ იცისო სასიძომო და მან პირობა წაუყენა, ხელობა უნდა ისწავლოსო.

ვაჩაგანმა ოქრომკედით ქსოვა ისწავლა, შესანიშნავი სუფრა მოქსოვა და ანაიდას გაუგზავნა. იქორწინა, ბედნიერად ცხოვრობდნენ. ვაჩაგანი მამის ტახტზე ავიდა. ერთხელ ვჩაგანი ქვეყნის შემოსავლელად გაემგზავრა. ერთი მონასტერში მოხვდა. საშინელ დღეში ჩავარდა, რვა თვე იყო ტყვეობაში. ერთგულმა მსახურმა მოძებნა, მან ურჩია ოქროთი გაწყობილი სუფრის მოქსოვა და პატრონისათვის გასაყიდად შეთავაზება. – ანაიდა იყიდის, ნაქარგით მიხვდება შენს ადგილსამყოფელს და გამოგიხსნისო. მართლაც ასე მოხდა.

13. გამოქვაბულში (გვ. 45-47).

ჩაწერილი ერევნის გუბერნიის და მაზრის იმან შალინსკის სასწავლებლის კ. შაინოვის მიერ პირველი საყოველთაო აღწერის დროს ძველ მკვიდრთა მონათხრობის მიხედვით.

ერთხელ სამი მგზავრი მთის ბილიკს მიუყვებოდა, უცებ ღვარცოფი მოსკდა. მათ წვიმას გამოქვაბულში შეაფარეს თავი. უცებ მიწა იძრა, მაღალი კლდეებიდან დიდრონმა ქვებმა იწყო ცვენა. ერთმა გამოქვაბულის შესასვლელი ჩაკეტა. ალბათ, რომელიმე ჩვენგანს ცოდვა აქვს ჩადენილი და ღმერთი ამიტომ გვსჯისო და გადაწყვიტეს თავ-თავისი ამბების მოყოლა. მათ შორის პირველად უმცროსს ერგო წილად თავისი ამბის მოყოლა. მან თავისი ოჯახის ამბავი უამბო, მშობლებზე ზრუნვა და პატივისცემა, სხვა რამ დანაშული კი არ მიუძღოდა. ამბის თხრობა რომ დაასრულა, ისევ იძრა მიწა გრუხუნით, ქვა ოდნავ გადაქანდა და ვიწრო გასასვლელი გაჩნდა, თუმცა ადამიანი ვერ გაეტეოდა. ახლა მეორე მგზავრი მოჰყვა თავის ამბავს. იგი მდიდარი კაცის შვილი იყო. აღვირახსნილ, ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა. მამის ქონება გაფლანგა და ამფსონებმა ზურგი შეაქციეს. შემდეგ მოინანია, შრომას მოჰკიდა ხელი, გამდიდრდა, სახელი დაიბრუნა, ყველას დამხმარე გახდა. სხვა ცოდვა მას არ ჰქონდა. ამ დროს მიწა იძრა, გონს რომ მოეგნენ, დაინახეს, რომ ქვა კიდევ უფრო გადაიწია. ახლა მესამემ დაიწყო ამბის მოყოლა. იგი ახალგაზრდობაში შეძლებული იყო, ღამის გასათევი სახლის მეპატრონე. მისი მდგმურები შესანახად მას ძვირფას ნივთებს უტოვებდნენ. ერთხელ ერთმა ორშაურიანი მისცა შესანახად. დიდხანს აღარ გამოჩნდა. მან ბრუნვაში გაუშვა ფული იმ განზრახვით, რომ მონაგებსაც და თავანსაც პატრონს დაუბრუნებდა, თუკი გამოჩნდებოდა.

კარგა გვარიანი თანხა დაგროვდა 9 წელიწადში. მეათე წელს მას მათხოვარი მიადგა, იცნო ის კაცი, გამოეცნაურა და ფული დაუბრუნა. სხვა ცოდვა არა მაქვსო. დაასრულა თავისი ამბავი. მიწა კვლავ იძრა, ქვა გადაგორდა და უფსკრულში ჩაინთქა.

14. გეჩა ჩრაგი (გვ. 58-67), ზღაპარი.

ერთ ქალაქში ერთი დედაბერი ცხოვრობდა, ერთი ვაჟი ჰყავდა – ალი ყული. მათ ქონებას ორი ბატი შეადგენდა. ბიჭმა ბატები ბაზარში წაიყვანა გასაყიდად. შაჰაბასის ვეზირმა იყიდა, ერთის ფული გადაუხადა, მეორისა – არა. ბიჭი დაიმუქრა ათასჯერ მეტს ვაზღვევინებო. ჯერ მის სახლში ოქროს თასით, შემდეგ ქალადგადაცმულმა საპატარძლოდ შეასყიდვინა თავი და სიკვდილის პირამდე მიიყვანა. შაჰაბასიც გადამალა ვეზირი, მიაგნო და შავი დღე გაუთენა. დაიჭირეს, ორმოში ჩააგდეს, იქიდანაც დააღწია თავი, გააცურა, მისი ქალიშვილი შეირთო ცოლად და უპირველესი ადამიანი გახდა.

15. ვაჭარ არუთინას შვილები (გვ. 67-73).

ჩაწერილია ელისავეტპოლის გუბერნიის ზანგეზურის მაზრის სოფ. არცევანიკში მასწავლებელ ხ. არუთინოვის მიერ.

ერთ ქალაქში ცხოვრობდა მდიდარი ვაჭარი, ქალ-ვაჟი ჰყავდა – ასტვიკი და არამი. დადგა ვაჭრის აღსასრულის დღე, იხმო შვილები, რჩევა-დარიგება მისცა,

ძვირფასი ბეჭდები დაუტოვა სამახსოვროდ. აღესრულა და იგლოვეს. გავიდა ხანი. არამი და მისი მეგობრები სხვა ქვეყნებში წავიდნენ სავაჭროდ. და-ძმას ძალიან უყვარდა ერთმანეთი, განშორება ესიკვდილებოდათ. თავიანთი სურათები დაახატვინეს. ძმამ დის სურათი თან წაიღო, დას კი თავისი დაუტოვა.

სხვა ქვეყანაში არამი კარგად დამკვიდრდა, ფაბრიკა შეიძინა, იქაური მეფის ვაჟს დაუახლოვდა, მეფის სასახლეში გამოუყვეს საცხოვრებელი. მეფის ვაჟმა მისი დის სურათი ნახა და გადაირია – ცოლად მოიყვანა მოინდომა. არამის დაწინაურება სამეფო კარზე არ მოსწონდა მეფის გულბოროტ მინისტრს. მან ცილი დასწამა ასტვიკს – უწესოაო. ეშმაკობით მისი ბეჭედიც ჩაიგდო ხელში ქალის ავხორცობის დასამტკიცებლად, მაგრამ ასტვიკმა ამხილა მინისტრი, ძმაც იხსნა, თავისი სახელიც და მეფის ვაჟზე დაქორწინდა.

16. ქაჩალ ნაზარი (გვ. 73-80), ჩაწერილია ერევნის გუბერნიის ნახიჭევანის მაზრის სოფ. ჯარვაში, ერევნის საქალაქო სასწავლებლის ზედამხედველის სტ. სუმბატიანცის მიერ.

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი დედაბერი, ერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად ქაჩალ ნაზარი (ქეციანი ნაზარი). ერთი ხარი და ორიოდე სახედარი ჰყავდათ. ერთ დღეს ქაჩალმა სტუმრები დაპატიჟა, ხარი დაკლა და კარგად უმასპინძლა. სტუმრებმა სვეს, ჭამეს გულიანად და წავიდ-წამოვიდნენ. გავიდა დრო და დედა-შვილი სამაგიერო წვეულებაზე არავინ დაპატიჟა. გაბრაზდა ქაჩალი. სამაგიეროს გადახდით დაემუქრა. ჯერ იყო და ნაკელი მიაზიდინა სოფლელებს ეზოში, სათბობი დაამზადა, სახედრებს აჭკიდა, ვითომ გასაყიდად წაიღო. ერთ ფუნდუკში შეჩერდა, სპარსელი ვაჭარი დაათრო, მისი ქონება იგდო ხელთ. სოფელში დაბრუნდა, ყველა გააოცა, ნაზარ აღას უძახდნენ, აღარ იყო ქაჩალი. მოატყუა სოფლელები, ნაკელის საწვავი კარგად იყიდებაო, ყველამ დაამზადა, წაიღეს გასაყიდად და მოტყუებულებმა კარგად მიბეგვეს ნაზარი. მან ისევ მოატყუა სოფლელები: ახლა სხვა ქალაქში ერთ მილიონერს დაუახლოვდა, მისი ქონება ჩაიგდო ხელში, სოფლელებს კი უთხრა ხარის ტყავისაგან დამზადებული მონეტებით გავმდიდრდიო. ისევ სცემეს. მესამეჯერაც გააცურა სოფლელები და მტრები. ერთი მწყემსი მოატყუა: – ჩემს სოფელში მამასახლისად აგირჩევენო. მისი საქონელი დაიტოვა, მწყემსი თავის სახლში გაგზავნა. სოფლელები ქაჩალს სახლში მიუცვივდნენ მოსაკლავად, მწყემსი მოკლეს. ნაზარი საქონლით დაბრუნდა და უთხრა თქვენ რომ მომკალით და წყალში ჩამაგდეთ, იმ წყალში იყო ეს ფარა და ხარ-ძროხაო. ყველამ მდინარეს მიაშურა, ბევრი დაიხრჩო, გადარჩენილებმა კი ჭკუა ისწავლეს.

17. ორი ძმის ზღაპარი (გვ. 80-89).

ჩაწერილია ქ. ელისავეტპოლში, მთქმელი ამ ქალაქის მკვიდრი ი. სარქსიანი, ჩაიწერა ამიერკავკასიის სამასწ. სემინარიის აღზრდილმა ბ. შაინიანცმა.

იყო ღარიბი ცოლ-ქმარი, ორი ვაჟი ჰყავდათ, მწყემსები იყვნენ. ერთ დღეს კაცი ტყეში წავიდა შეშაზე, ჩიტის ბუდე ნახა, ორი კვერცხი იდო. ერთი ჯიბეში ჩაიდო, მეორე ჩიტს დაუტოვა. ბაზარში წაიღო. ერთმა კაცმა იყიდა, ამ კვერცხის ამბავი ჰკითხა და მეორე კვერცხის ყიდვაც შესთავაზა, უარი მიიღო. ხერხი იხმარა: ამ კაცის სახლი მოძებნა. ქალს უთხრა: – შენ ქმარს ის ჩიტი მოაყვანინე, დაკალით, თავი და გული მე შემინახე და დიდად დაგასაჩუქრებო. ქალმა ყველაფერი შეასრუ-

ლა, ჩიტის თავი და გული ფლავში ჩახარშა და განჯინაში შეინახა. მის არყოფნაში შვილები მშივრები მივიდნენ სახლში და ფლავი შეჭამეს. ჩიტის თავი ერთმა შეჭამა, გული – მეორემ. მყიდველმა რომ გაიგო, დედას შვილების დახოცვა შესთავაზა, ისიც დაეთანხმა. ბიჭები ერთმა დედაბერმა გააფრთხილა და ძმები გადაიხვეწნენ. ერთი ძმა ერთ ქალაქში მოხვდა. როცა კი დაიძინებდა, სასთუმლის ქვეშ ოქროთი სავსე ქისა ჩნდებოდა, გამდიდრდა. იმ ქალაქის მეფის ასულს დაუახლოვდა, კარტს ეთამაშებოდა, ბევრ ფულს უგებდა. მეფის ასულმა გაიგო მისი საიდუმლო, წაართვა ჩიტის გული. უმცროსმა ძმამ დევებს მფრინავი ხალიჩა, უჩინმაჩინის ქუდი, ჯადოსნური ხმალი, სუფრა გამოსტყუა. მეფის ასულმა ისინიც მიითვისა, მაგრამ ჭაბუკმა ყველაფერი დაიბრუნა, მეფის ასული ცოლად შეირთო, მშობლებსაც უპატრონა და ბედნიერად ცხოვრობდა.

18. ავი მეფე (გვ. 89-101). ჩაწერილია სოფელ ბაინდურში, იქაური მაცხოვრებლის 65 წლის ეგორ ასლანოვისაგან.

ერთ მდიდარ ქვეყანაში იყო ერთი მეფე, სამი ვაჟი ჰყავდა. ამ ქვეყანაში ასეთი წეს-ჩვევა ჰქონდათ: ქალაქთან ახლოს გორა იყო, საიდანაც ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა. ცოლმოსაყვანი ჭაბუკი ისარს ისროდა, ვის ეზოშიც დაეცემოდა ისარი, იმ ოჯახის ქალიშვილი უნდა ეთხოვა. თუ პატარა იყო გოგო, მის სრულწლოვანებას უნდა დალოდებოდა, თუ არ ჰყავდათ, უცოლოდ უნდა დარჩენილიყო.

მეფის უმცროსმა ვაჟმა რომ ისროლა, კლდესთან დავარდა, კლდე გაიღო, გზა გაჩნდა, მან იმ ქვეყნის ერთ სახლში მიაგნო საბედოს, წამოიყვანა. მამას ძალიან მოეწონა, თავისთვის მოინდომა, რადგან ცოლი ახალი გარდაცვლილი ჰყავდა. უმცროსი რძალი გულთმისანი იყო. მან ქმარი გააფრთხილა, რომ მამას შვილის მოკვლა და რძლის ცოლად შერთვა ჰქონდა გადაწყვეტილი. შვილის თავიდან მოსაშორებლად ის ჯერ დევთან გაგზავნა, 7 წლის ბეგარა ააღებინა; მერმე ჯადოსნური ხალიჩა მიატანინა; ბოლოს დედასთან იმქვეყნად გაგზავნა იმის გასაგებად, სად ჰქონდა დამალული სკივრი განძეულით. უმცროსმა ვაჟმა გრძნეული ცოლის დახმარებით ყველა დავალება შეასრულა, საიქიოდან ჩამოტანილი დედის წყევლით მამა გააქვავა და მის ტახტზე ავიდა.

19. მელა და მწყემსი (გვ. 101-108). ჩაწერილია სოფელ ბაინდურში 65 წლის ეგორ ასლანოვისაგან.

იყო ერთი ჭაბუკი, დედა ჰყავდა. ღარიბები იყვნენ. რასაც ხელს მოჰკიდებდა, არაფერი გამოსდიოდა, არ უმართლებდა. ბოლოს სოფლის მწყემსად დადგა. გასამრჯელოდ სოფელმა მის ყანაში ფეტვი დაუთესა, მოსავალი კი მელამ გაუტიალა. მწყემსი ჩაუსაფრდა, დაიჭირა მელა და სახრით სცემა, სიკვდილის პირას მიიყვანა. მელა შეეხვეწა: – გამიშვი და ბედსა გწევო. მან დედა-შვილი სამეფო სამოსში გამოაწყო, მერე ერთ ქალაქში გაამეფა, ცოლიც უშოვა სამეფო გვარისა და ბედსა სწია. ერთხელ მელამ გამოსცადა ყოფილი მწყემსი – თავი მოიმკვდარუნა, ერთი ვნახოთ, რას იზამსო?! მწყემსმა მისი გადაგდება ბრძანა ძაღლების საჭმელად. მელა უგულობისათვის სამაგიეროს გადახდით დაემუქრა, ცოლი გაუქცია სახლიდან, მწყემსმა მოინანია. მელამ აპატია, მაგრამ როცა მელა მართლა მოკვდა, მისი ლეში მაინც მოისროლა.

20. საწყალი მარია (გვ. 108-115), ჩაწერა ბაიანდურის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველმა გრ. ბუნიატოვმა.

ფრანსტუნკის მეფე დიდხანს იყო უშვილოდ, ბოლოს გოგო შეეძინა, მაგრამ ცოლმა მძიმედ გადაიტანა მშობიაროზა და გარდაიცვალა. მეფემ მეორე ცოლი ითხოვა, სწორუპოვარი სილამაზისა. პატარა წამოიზარდა და დედინაცვალს გადააჭარბა სილამაზეში. დედინაცვალმა აითვალწუნა გერი. ერთ დღეს მეფის სხვაგან ყოფნით ისარგებლა და გერის ტყეში წაყვანა და იქ მოკვლა დაავალა ერთგულ კარისკაცებს. ჯალათებმა ცოცხალი დატოვეს მარია, ოღონდ ხელის მტევნები დააჭრეს დავალების შესრულების ნიშნად და დედინაცვალს წაუღეს.

მარიას გადააწყდა მეფის ვაჟი, სხვა ქვეყნისა. მან მარია ცოლად შეირთო, ტყუპი ვაჟი ეყოლათ. მეფის ვაჟმა მარიას მამის მიერ გამართულ შეჯიბრში გაიმარჯვა, მეფემ მისგან გაიგო ქალიშვილის ამბავი. დედინაცვალმა მეფის ვაჟის ბეჭედი იგდო ხელთ, წერილი დაწერა მისი სახელით – თითქოს ვაჟმა გაიგო მარიას მდაბიო წარმომავლობა და სახლიდან გაგდებას სთხოვდა. მარია შვილებთან ერთად, მართლაც, გააგდეს სახლიდან, მაგრამ ქმარმა შეიტყო დედინაცვლის ოინები, მოძებნა ცოლ-შვილი. მარიას მამამ ყველაფერი რომ გაიგო, ცოლი ცხენის კუდზე გამოაბმევინა, ხოლო მეფობა სიძეს გადასცა.

21. ნაყიდი სიზმარი (გვ. 115-124). ჩაწერილია 1896 წლის 15 იანვარს შემახის მაზრის სოფელ საგიანის მკვიდრის სარქის ოსიპოვ კალაშევისაგან.

ერთ სამეფოში ერთი ღარიბი ცხოვრობდა. ტყეში ფიჩხს ჭრიდა, ყიდდა და იმით ირჩენდა თავს. ერთხელ სიზმარში ნახა, რომ თავთან მზე ედგა, ფეხთით მთვარე, მკერდზე კი ორი ვარსკვლავი. რაღაც კარგის მოლოდინი გაუჯდა გულში. ცოლს მცირეოდენი სურსათი დაუტოვა და გზას დაადგა, თვითონაც არ იცოდა საით მიდიოდა. გზაში ერთი მწყემსი შეხვდა, რომელმაც მისგან სიზმარი იყიდა მთელი თავისი ცხვრის ფარის ფასად. მწყემსი გაუდგა გზას ერთ ციხე-კოშკს გადააწყდა, კარები ჩარაზული ჰქონდა. გალავანთან ახლოს წამოწვა და დაიძინა. ღამით ერთი ჭაბუკი მივიდა ორი შეკაზმული ცხენით და იმასაც ჩაეძინა. გალავნიდან ქალი გადმოვიდა, მწყემსს დახმარება სთხოვა, ერთ ცხენზე ამხედრდა, მწყემსს თან გაყოლა უბრძანა. ქალი იქაური მეფის ასული აღმოჩნდა. ცოლობა შესთავაზა, ერთ ქალაქში შეჩერდნენ. ქალმა მეფურად გამოაწყო, ყოფა-ქცევაც ასწავლა. იქაურ მეფესთან დააახლოვა, სახელიც შეუცვალა – თემურ-შაჰი დაარქვა. მეფემ იგი იშვილა. ცოლის რჩევით მან მეფე სახლში მიიპატიჟა. მეფეს მისი ცოლი მოეწონა, მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა. ჯერ ზღვის ცხენის რძის მიტანა მოსთხოვა, შემდეგ, სამოთხის ვაშლების, ბოლოს საიქიოდან მისი მშობლების ამბის ჩამოტანა. გრძნეული ცოლის დახმარებით თემურ-შაჰმა ყველა დავალება შეასრულა, მეფეს თავი ცეცხლში დააწვევინა და თავად გამეფდა.

22. ქაჩალ ახმედი (გვ. 125-132).

ჩაწერილია შემახის მაზრის სოფელ საგრიიანში 1896 წლის იანვარში, მთქმელი სარქის ოსიპოვ კალაშევი.

ერთ ქვეყანაში ერთი კუდიანი დედაბერი იყო. ერთი უსაქმური ვაჟი ჰყავდა, ქაჩალ ახმედი ერქვა. დედასაც კი არ პატრონობდა წესიერად. დედამ ქონება გა-

უყო, გაეყარა. მან თანამზრახველები გაიჩინა, ყაჩაღობა დაიწყო. იმ ქვეყნის მეფეს ერთი ვაჟი ჰყავდა, ნადირობის მოყვარული. ნადირობის დროს ერთმა ქალწულმა რამდენჯერმე არ მოასვენა – როცა ისვენებდა, მძინარეს წყალი აპკურა, გამოაღვიძა, თავი დაანახა. ვაჟს იგი შეუყვარდა, იმის გამო, რომ მისი ვინაობა ვერ გაიგო, დარდისაგან დაავადდა. ექიმები დაახვია მეფემ და ვერაფერი გააწყვეს. ქაჩალ ახმედმა მეფის ვეზირისაგან შეიტყო ეს ამბავი. მივიდა მეფესთან და მისი ვაჟის განკურნვა შესთავაზა. მან გამოტეხა ჭაბუკი, გაიგო ავადმყოფობის მიზეზი. ახმედმა იცოდა ქალწულის ვინაობა, რომ იგი ავარან ეილაგის ასული იყო. მან წაიყვანა ჭაბუკი, ვაჭრობა დაიბრალა, ჩავიდა იმ ქვეყანაში, სადაც ავარან-ეილაგის სასახლე იყო. ერთი დედაბრის დახმარებით დაადგინა მეფის ასულის ადგილსამყოფელი, შეახვედრა ერთმანეთს, დაეხმარა და დააქორწინა. დიდი ქორწილის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ.

23. გლეხი და გველი (გვ. 132-137).

ზამთარში ერთმა გლეხმა ყინვისაგან გაფიჩხული გველი ნახა, ჯიბით სახლში წაიღო, ღუმელთან დაჯდა გასათბობად. გველიც გათბა, გამოცოცხლდა, კაცს ყელზე შემოეხვია, კაცმა უსაყვედურა: – გადაგარჩინე და მადლობის მაგიერ ჩემი დაგესვლა გინდაო. გველმა მიუგო: ადამიანი ყველაზე უმადური არსებაა და ესეც რომ არ იყოს, სიკეთე სიკეთით ვის გადაუხდიაო?! სამი მოსამართლის მონახვა გადაწყვიტეს მათ შორის მტყუან-მართლის გასარჩევად. პირველად გამხდარი, ჯაგლაგი ცხენი შეხვდათ, მან უთხრა: – ადამიანი უმადურია, მთელი ცხოვრება ვემსახურებოდი, ბევრჯერ სიკვდილსაც გადავარჩინე, მან კი დაუძლურებული გამაგდოო. ასევე უკმაყოფილება გამოთქვეს: კამეჩმა, წყარომ, დიდმა ხემ. ბოლოს მელას შეეცოდა კაცი, გველი სოროში შეიტყუა, იხსნა ადამიანი. მადლიერმა კაცმა მელა სოფლის თავში დატოვა, თვითონ ქათმის მოსაყვანად წავიდა. მის დაბრუნებამდე კი მისმა შვილმა ძაღლს დააფლეთინა საწყალი მელა.

24. მელია (გვ. 137-144). ჩამწერი ნ. კალაშევი

მელა გზაზე მიდიოდა, დაინახა მამალი. გადაწყვიტა ეშმაკობით ჩაეგდო ხელში. ჩაფიქრებულმა გაუარა. მამალმა მიზეზი ჰკითხა. მელამ უპასუხა: – მექაში მივდივარ მისალოცადო. მამალმა წაყოლა სთხოვა, მელამაც წაიყვანა. ახლა ყვავი შეხვდათ, ისიც წაიყვანეს. მელამ სოროში შეიტყუა ისინი, აქ მიწისქვეშა გზაა, უფრო უხიფათოო. მერე აუშარდა, ცოდვები უნდა მოინანიოთო. მამალს ცოდვად ადრე ყივილი წაუყენა და შეჭამა. ყვავს ხარის იარის კორტნა და ისიც შეჭამა. მერე გზაზე მექორწილეებს თავი მკვდრად მოაჩვენა, პატარძლის უნაგირს გამოაბეს და შეშინებით ოქროები გამოსძალა; გმგელი გააბრიყვა – ოქროები წყალშია, კუდს ჩაყოფ, მიეკვრება და ამოიღებო. მგელს კუდი ჩაეყინა და მოსძვრა. მერე ისევ მოატყუა: – ხარბი ხარ, კუდი წყალში დიდხანს გქონდა, ბევრი ოქრო დაეკიდა, სიმძიმეს ვერ გაუძლო და იმიტომ მოგძვრაო. ბოლოს მგელი ხაფანგში გააბა და მოაკვლევინა. მტრედს ბარტყები გამოსტყუა. თუმცა ბოლოს იგი ყვავმა გააცურა. მოტყუებული და გაშტერებული მელია მონადირეებმა მოკლეს.

25. ჭკვიანი და ბრიყვი (გვ. 145-150), ჩამწერი ნ. კალაშევი.

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ორი ძმა, ერთი ჭკვიანი, მეორე ბრიყვი. ჭკვიანი

(უფროსი) სულელს საქონლის მოვლაში, წყალზე გადევნაში ავალებდა დახმარებას. უმცროსს არ მოსწონდა, თავს დაჩაგრულად გრძნობდა და ერთ დღეს ძმას გაყრა მოსთხოვა. ერთი ქეციანი სახარე შეხვდა. გასაყიდად წაიყვანა. გზაში აკლდმა შეხვდა, შევიდა, მის ლაპარაკს ექო იმეორებდა. „გაყიდა“ ხარი ექოზე 12 მანეთად. რაკი ვერავის ხედავდა და ხმა ესმოდა, იმის ნიშნად მიიღო, რომ მყიდველს იმჟამად არ ჰქონდა ფული და ნისიად დაუტოვა სახარე მოზვერი, – 5 დღეში მოვალო. მივიდა, ფული რომ არ დახვდა, მიანგრია იქაურობა, ჩაშენებული ქვა გადმოვარდა და უამრავი ოქრო-ვერცხლი გადმოყარა. 12 აიღო, დაბრუნდა სახლში და ძმას უამბო. ძმა შეეხვეწა ადგილის ჩვენებას, უამრავი ოქრო წამოიღო. გზაში ვეზირი შემოეყარათ, გაიგო ოქროს ამბავი, წილში ჩაუდგა, სულელს შემოაკვდა. მთელი სიმდიდრე ძმას დარჩა.

26. რამაზანი (გვ. 151-156), ჩამწერი ნ. კალაშევი. სომხური ტექსტები ჩაწერილია ბაქოს გუბერნიის შემახისა და გეოკჩაის მაზრებში.

ერთმა ძუნწმა გადაწყვიტა ესარგებლა საქონლის გაიაფებით. მერე ძვირად გაყიდვის იმედი ჰქონდა, ბლომად იყიდა: ბრინჯი, ქიშმიში, ჭერმის ჩირი, ზეთი და სახლში მიიტანა შესანახად. ცოლის შეკითხვაზე უპასუხა რამაზანისთვის არისო. რომ ვეაღარ ეღირსა რამაზანს, ერთ დღეს მის ეზოში მისულ კაცს გაატანა – რამაზანად მიიღო. უცხომ ისარგებლა ქალის სიშტერით, საქონელი წაიღო და მცირე ნაწილი დაუტოვა, ვითომ შენახვისათვის მადლიერების ნიშნად. ქმარი რომ დაბრუნდა და გაიგო, გადაირია, დაედევნა საქონლის წამღებს, მაგრამ მის კვალს ვეღარ მიაგნო. წყაროზე ქალი შეხვდა, – საიდან მოდიხარო? – ჰკითხა. ჯანდაბიდანო – უპასუხა გამწარებულმა. – მართალი მითხარი, ნუ იტყუებიო – მიუგო ქალმა, – თუ იქიდან მოდიხარ, ჯოჯოხეთიდან, პაპაჩემი ხომ არ გინახავსო? კაცი მიხვდა ქალის სიშტერე და უთხრა: – ვიცნობ და 30 მანეთი და ორი ხელი ტანსაცმელი დამაბარა, თუ გამატან წავუღებო. ქალმა მისცა და 10 მანეთი მას აჩუქა და 20 მანეთი სახარჯო დაუმატა. კაცს უფრო ის უხაროდა, რომ მის ცოლზე უფრო სულელი ნახა. ქალის ქმარი რომ დაბრუნდა და მომხდარი შეიტყო, დაედევნა მატყუარას, მაგრამ წისქვილში მასნ კიდევ უფრო მოატყუა – ცხენიც გამოსცინცლა და იარაღიც. საწყალი კაცი ხმას ვეღარ იღებდა.

III. იუმორისტული მოთხრობები, ანეგდოტები და იგავები

1. სამი მოლა – იუმორისტული მოთხრობა (გვ. 157-160).

სამი მოლა მიდიოდა გზაზე. მათ ცხენოსანი შეხვდათ და მიესალმა წესისამებრ. ამათ დავა აუტყდათ რომელს მოგვესალმაო, დაეწივნენ და ჰკითხეს. მიხვდა ცხენოსანი მათს სიბრიყვეს და უთხრა: – ვინც თქვენს შორის ყველაზე სულელია. ამის გასაგებად კი თქვენი ამბავი უნდა მიამბოთო. პირველმა: მოსწავლეებმა შენიშნეს ავად ხარ, ცუდი ფერი გადევსო. სახლში გაიქცა, ცოლი ექიმთან გააგზავნა, ტოლმის ჭამას შეუდგა. ბოლო ნაჭერი პირში ედო. ექიმმა გამობერილი ლოყა რომ დაუნახა, ლოყა გაუჭრა, ტოლმა ამოუღო. მეორემ: – მოლა სკოლის ეზოში ქვევრში ჩავიდა, შიგ ეშმაკიაო და გაძევება უნდოდა. მოსწავლეებს უთხრა: – როგორ კი ეშმაკი თავს ამოყოფს, ჯოხები დასცხეთო. ქვევრში ეშმაკი არ იყო. ამიტომ ქვევრიდან თავი მოლამ ამოყო და ჯოხები მას ურტყეს. მესამემ: – მოლა ჭაში ჩავიდა ჩავარდნილის ამოსაღებად, თოკით გამობმული. მოსწავლეებმა თოკს

ხელი გაუშვეს, მოლა წყალში ჩავარდა და დახრჩობას ცოლმა გადაარჩინა. ცხენოსანმა მათ მოუსმინა და უთხრა: სამივენი იმსახურებთო სულელის სახელსო.

2. როგორ ჭამდა ჰასანი ფლავს

იყო ღარიბი მუსულმანი ჰასანი 5 შვილი ჰყავდა. ნახევრად მშივრები დაუდიოდა ცოლ-შვილი. ერთ დღეს ბაზარში ქათმები გაყიდა, ბრინჯი, ცხვრის ხორცი იყიდა, ცოლს ფლავის მოხარშვა შეუკვეთა. ქალი სამზადისს შეუდგა. ჰასანი კარში გავიდა, სკამზე ჩამოჯდა, სამმა მოლამ ჩაუარა, მეზობლებში იყვნენ ნამყოფნი, ფლავით გამაძღრები. ჰასანმა იფიქრა – მაძღრები არიან, არ შემოვლენო და ფლავზე მიიპატიჟა. ისინი შევიდნენ და ფლავი სულ შეუჭამეს. ბავშვები შიმშილისგან იცრემლებოდნენ. მოლები ადგნენ და მადლობაც არ თქვეს, ისე დააპირეს წასვლა. ჰასანამ და ცოლმა სახრეები დასცხეს: – სინდისი იქონიეთ და კეთილ ადამიანების უსადილოდ ნუ დატოვებთ როცა მაძღრები ხართო.

მთქმელი კაგიზმანის სასწავლებლის ზედამხედველი ი. ნოვრუზოვი.

3. მელია და კაკაბი (გვ. 162-163), ჩამწერი პ. ტონიევი.

ერთი გლეხის ოჯახში სტუმრები ვახშმობდნენ, დიასახლისის ნაირნაირი საჭმელები მიჰქონდა და სტუმრებს უთხრა: – მეზობელმა ჯეირანი მოინადირა, სამწვადეს დაგვპირდა და მალე შემოგვაშველებსო. ერთმა სტუმარმა მელაკუდას და კაკბის ამბავი თქვა: – როგორ გააბრიყვა მელა კაკაბმას და დაუსხლტა: მელას პირით ეჭირა კაკაბი. მან მელას ჩააგონა ღმერთს მადლობა უთხარი და მწვანე მდელოზე შემჭამეო. მელამ მადლობის სათქმელად პირი დააღო და კაკაბი გაფრინდა. მან სტუმრებს მიმართა: – თქვენც მადლობა მერე თქვით, როცა დაპირებულს მიირთმევო. იგი მართალი გამოდგა, ვახშამი ისე ჩამთავრდა, ჯეირნის მწვადი არ შეუტანიათ.

4. ჩოკინა და ღორები (გვ. 163), ჩამწერი პ. ტონიევი.

ერთ კაცს სახედარი, ჩოკინა და ღორები ჰყავდა. განსაკუთრებით ღორებზე ზრუნავდა, ქერს აჭმევდა. ჩოკინას გული სწყდებოდა და დედას უთხრა: – ქერს ჩვენ რატომ არ გვაჭმევენო. – მეც კი მინდა, მაგრამ ასეთია ჩვენი ბედიო. დადგა ღორების დაკვლის დრო. საშინლად ჭყვიტინებდნენ. ჩოკინამ მიზეზი ჰკითხა. სახედარმა უთხრა: – გახსოვს, რომ მხიარულად ღრუტუნებდნენ, როცა ქერს აჭმევდნენ. ეხლა ქერის სამაგიეროს სთხოვენო.

5. ყველას თავისი გემოვნება აქვს (გვ. 163-164), ჩამწერი პ. ტონიევი.

ერთი სახედარი ავად გახდა. მეგობრებმა ინახულეს: – ხომ არაფერი გინდაო. – არაფერიო. – როგორ თუ არაფერი?! დაფიქრდი, იქნებ რაიმე მოგინდეს. ბალახს და თივას მოგიტანთო. – ჯარგი ნუგბარია, მაგრამ ისე ცუდად ვარ, ცოცხზედაც არ ვიტყოდიო უარსო.

6. თავაზიანი ვაჟი (გვ. 164-165), ჩამწერი პ. ტონიევი.

ერთ კაცს ერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად სეროპი. ერთხელ ბიაზის ნაჭრის გაზომვა დასჭირდა და არშინის სათხოვნელად მეზობელთან გააგზავნა. – რად გვინდა არშინი, კატა მყავს გაზომილი, საზომად ის გამოგვადგებაო. აღარ შეაწ-

უხეს მეზობელი; მეორეჯერ ლურსმანი ჰქონდა ასაწონი და ფუნტიანი საწონი (გირი) დასჭირდა. შვილმა უთხრა: – მკვდარი სახედრის ნალი მაქვს, ზუსტად ერთ ფუტს იწონის და იმით ავწონოთო. მესამედ შვილს ამინდის გაგება დაავალა: – ეზოში გადი, გაიგე, წვიმს თუ არაო. ძაღლს დავუძახებ, თუ სველი შემოვა, წვიმის ნიშანი იქნება, თუ მშრალი შემოვა – კარგი დარისაო; წყალი მიმიტანეო – უთხრა მამამ. რამდენს გავაღებ, ყველაფერს გისურვებ, ახლა კი შენს თავს თავად მოემსახურეო – უთხრა შვილმა.

7. კარგი იყო, უკეთესი გახდა (გვ. 165), ჩამწერი პ. ტონიევი.

ერთი კაცი იყო, სახელი ერქვა ეში (ჩოჩორი)., საპატიო ხალხი მიიპატიჟა, სახელი შეუცვალეს ავანაფი შეარქვეს (დიდი ვირი). ცოლმა უთხრა სხვას არც ველოდი, რაც მეტს ცოცხლობ, მით უფრო დიდი ვირი ხდებიო.

8. გაყიდვის უნარი (გვ. 165-166), ჩამწერი პ. ტონიევი.

ერთმა ახალგაზრდამ თქვა, მამაჩემს ვყიდიო. – როგორ შეიძლებაო?! – უთხრა. – ისეთ ფასს მოვითხოვ, რომ ვერავინ გადაიხდისო, მშვიდად მიუგო მან.

9. უსინათლო, კოჭლი და მათხოვარი (გვ. 166).

ჩამწერი: ერევნის დაწყებითი საქალაქო სასწავლებლის ზედამხედველი სტ. სუმბატიანცი.

„მერელოცის“ დღეს, როცა სომხები სასაფლაოებზე გადიან მიცვალებულების სულების საცხონებლად, უსინათლომ, კოჭლმა და მათხოვარმა ბლომად დააგროვეს მოწყალება – ფული და საჭმელები. ღვინო იყიდეს, შორებულ კუთხეში შეიყუჟნენ და სუფრა გაშალეს. შეთვრნენ. ბრმამ ჭიქა ასწია და თქვა - შეხედეთ რა ანკარა ღვინოა. ამის დაულევლობა როგორ იქნებაო?! კოჭლმა მიაძახა: – დალიე, თორემ ისეთ წიხლსა გკრავ, კედელს მიგანარცხებო. მათხოვარმა მიაძახა: – დასცხე მაგ საძაგელს! ათი ათას მანეთს გადავიხდი და მოსამართლეებს მოვისყიდი, არ დაგიჭერენო.

10. ერთი მეორეზე უკეთესი (გვ. 166-167).

მინდორში ორი თათარი მიდიოდა. ერთს ირზა ერქვა, მეორეს – აბასი. ორივე მხარე ბედზე წუწუნებდა. ირზამ ხელები აღაპყრო, ღმერთს ათასი სული ცხვარი შესთხოვა. – ღმერთმა რომ მოგცეს, რაიმეს თუ გაიმეტებ ჩემთვისო? არა, – უპასუხა ირზამ, – წვრილშვილი მყავს, მერე ნათესაობა, რაღა დამრჩებაო?! შეკამათდნენ, მერე დასცხეს ერთმანეთს. ამ დროს ერთი ხაჯი მიდიოდა ცხენით, ტიკები ეკიდა სასმელით, რომ გაიგო, რაზე ჩხუბობდნენ, ტიკის დანა ჰკრა და დააყოლა: – ჩემი სისხლი დაღვრილიყოს ასე, თუ თქვენზე სულელი რაიმე იყოს დედამიწაზეო.

ჩამწერი: სტ. სუმბატიანცი – ერევნის საქალაქო სასწავლებლის ზედამხედველი.

განყოფილება III (СМОМПК, вып. XXVIII).

ჩეჩნური ტექსტები (დაბეჭდილი დედნის ენაზე პ. უსლარის ანბანით, რუსული პწკარედით და რუსული თარგმანით).

1. ქალები სახლებში შფოთის თავები არიან (გვ. 1-4), რუსული ტექსტი გვ. 4-5; საყოფიერო ნოველისტური ზღაპარი.

სამი ცოლშვილიანი ძმა ერთ ეზოში ცხოვრობდა, ქონებაც გაუყოფელი ჰქონდათ. ერთხელ უფროსი ძმა წაეტრაბახა ცოლს: – ხედავ, როგორი ძმობა გვაქვს. დედამიწაზე ჩვენაირები არ მოიძებნებაო. ცოლმა მიუგო: იმიტომ კი არ არის მშვიდობა და სიყვარული, რომ თქვენ კარგები ხართ, არამედ იმიტომ, რომ ცოლები გყავთო კარგები. ქმარმა ცოლს ხმა გააკმენდინა. ქალმა კი გულში ჩაიდო და თავისი სიმართლის დამტკიცება გადაწყვიტა. ერთ დღეს უმცროსმა ძმამ ცხვარი დაკლა, სამად გაყო, უფროსი ძმის წილს წინა ფეხი და თავი დაამატა, როგორც წესი იყო. უფროსი რძალი ქმარს შეუჩნდა: – ხედავ, როგორ გატყუებენ, უკანა ფეხი გეკუთვნოდა, წინა გარგუნესო. უფროსი ძმა გაბრაზდა, გაყრა ითხოვა, ხალხი შეყარა. ცოლმა სტუმრებს აუხსნა, რომ მან შეაგულიანა ქმარი. ის კი არც დაფიქრებულა, რომ წინა ფეხი უფრო საპატიოა და ქალის ენაზე წაეჩხუბა ძმებს. ახლა მითხარით, ვინ არის მართალი ჩვენს შორისო? სტუმრებმა ქალი გაამართლეს. ძმები შერიგდნენ.

ჩამწერი: ტ. ელდარხანოვი. მთქმელი: აულ გეხი მკვიდრი.

2. მამის ანდერძი (გვ. 5-16), რუსული ტექსტი გვ. 16-22.

ჩამწერი: გროზნის სამთო სკოლის მასწავლებელი ტ. ელდარხანოვი. **მთქმელი:** გროზნოს სამთო სკოლის მოსწავლე შახან ბათუკაევი.

იყო ერთი თავადი. ერთი ვაჟი ჰყავდა. სიკვდილის წინ დაუბარა: – პარასკევ დღეს სახლიდან არ გახვიდეო. მამის სიკვდილის შემდეგ ერთ პარასკევ დღეს სახლში რაღაც ნათება შეიჭრა. გავიდა, შეკაზმა ცხენი, მხრებზე ქორ-მიმინოები შემოისხა, ძაღლები გაიყოლა და ნათებას მიჰყვა. ერთ ყორღანზე ავიდა, იქ ორმო იყო და ჩავიდა. იქ ბერიკაცი, დედაბერი და მათი ათი წლის შვილი დახვდა. მოხუცმა მისვლის მიზეზი ჰკითხა, უთხრა, რომ სინათლე ერთი მზეთუნახავისაგან მოდიოდა. იგი სამი ერხუსტოელი ნართი ძმის და იყო. – უკან დაბრუნდი. ნართები ძლიერები არიან, ჩემი შვილის გარდა, მათ ვერავინ მოერევა. არ დაუჯერა მოხუცს და გზა განაგრძო. ხან – კურგულიც გაჰყვა. დიდხანს იარეს, ერთ მინდორზე გავიდნენ, გვამებით მოფენილზე. იქვე ყორღანიც იყო. მის ქვეშ ნართები ცხოვრობდნენ. ამბის გასაგებად ერთი ნართი ამოვიდა და ხან – კურგულმა მოკლა. უფროს ნართ ძმას ხმლით შეება, ისიც მოკლა. ორმოს ძირში ნართების ულამაზესი და იჯდა. ხან – კურგულმა თავის თანამგზავრს შერთო და უკან დაბრუნებისას დაუბარა: – ცოლის უნებართვოდ არაფერი გააკეთოო. ქმარმა ცოლს საჭურჭლეების გასაღებები სთხოვა. ცოლმა ერთი ოთახის გაღება აუკრძალა, არ დაუჯერა. იქ დაბმული ნართი დახვდა. აიშვა, მისი ცოლი გაიტაცა და გაქრა. რამდენიმე ხნის შემდეგ მასთან დაბრუნდა ხან-კურგული. მან გაიგო მომხდარის შესახებ, გაქრა. გაეკიდა ნართს, ჩავიდა ორმოში, იქ ერთ ქალაქში მოხვდა. იმ ქალაქში იყო ნართი გატაცებული ქალით. მიაწვდინა ქალს ხმა. ნართის ძლევის საიდუმლოს გაგება დაავალა. გაიგო, მოკლა ნართი, მაგრამ ქალი აღარ დაბრუნდა პირველ ქმართან და ხან-კურგულს გაჰყვა.

3. როგორ დასაჯა ნასრედინმა მოღალატე ცოლი (გვ. 29-33), რუსული ტექსტი გვ. 33-35.

ჩამწერი: ტ. ელდარხანოვი

ნასრედინის ცოლს საყვარელი ჰყავდა. დასჯის მიზნით ტყეში გაგზავნა. – იქ ერთი ჩინარია, მეტყვის რა ჯიშის საქონელია კარგი, რომ გავიჩინოთო. წავიდა

ცოლი და მალულად გაჰყვა მოლაც. მოლა ფუღუროში შეხტა და შეცვლილი ხმით გამოტეხა ცოლი, რომ საყვარელი უყვარდა ქმარზე მეტად. ურჩია: – ძროხა დაკალი, ქმარს ხორცი აჭამე, დაბრმავდება და საყვარელთან თავისუფლად იცხოვრებო. ქალი გახარებული გაუდგა სახლის გზას. მოლამ მიასწრო მისვლა. ცოლმა ჩინარის ნათქვამი გადასცა. დაკლა ნასრედინმა ძროხა, ჭამა ხორცი და ცოლს უთხრა: – ვეღარ ვხედავო, ერთი კუთხე გამომიყავით და იქ ვიქნებიო. ცოლმა საყვარელი მიიყვანა. მან გაიგო მომხდარი, საყვარელს უთხრა: – ცოტას დავისვენებ მერე გავერთოთო. ქალი გარეთ გავიდა საქმეზე, მოლამ საყვარელს პირში მდუღარე ჩაასხა, ყვირილი მორთო მიცვალებული შემოგვიგდესო. მოლამ ზურგით მიიტანა მის სახლში, კარზე მიაყუდა და დაბრუნდა. მიცვალებულის ჭირისუფლებმა მოკლეს მოლას ცოლი.

4. როგორ მოატყუა ნასრედინმა ყველა (გვ. 24-27), რუსული ტექსტი გვ. 27-29.

ჩამწერი: გროზნოს საქალაქო სკოლის მასწავლებელი ტ. ელდარხანოვი.

ერთხელ ნასრედინი ისეთ აულში მოხვდა, სადაც არ იცნობდნენ. ერთ სახლს მიადგა, შინ მარტო ქალი იყო: – საიქიოდან მოვდივარ, შენს დედ-მამას შია და ხუთი ტომარა სიმინდის ფქვილის გაგზავნა შემოგითვალეს ჩემი ხელითო. ქალმა თავი მოუყარა და 5 ტომარა ფქვილი გაატანა თავისი ხარ-ურემით. მან გზაში მწყემსი გაასულელა, მისი ფარა გაირეკა. შემდეგ მეურმეები მოატყუა. მოტყუებული ქალის ქმარი, მწყემსი, მეურმეები გაეკიდნენ ნასრედინს. მივიდნენ იმ აულში, სადაც მოლას დუქანი ჰქონდა გახსნილი, უყვირეს, წაღებულის დაბრუნება მოსთხოვეს. მოლამ ყველაფერი იუარა: – მე სხვა კაცი ვარო. ჩემთან დარჩით. ვისაც ღამით კუჭი აეშლება, მტყუანი იქნება, ვისაც არა, იმის მოთხოვნას დავაკმაყოფილებო. მძინარეებს მოლამ შარვლებში ხორბლის წვნიანი ჩაუსხა. სტუმრები ჩუმად გაიქცნენ, მოლამ ქონება შეინარჩუნა.

5. ავი ცოლი (გვ. 35-38), რუსული ტექსტი გვ. 38-40.

ჩამწერი გროზნოს საქალაქო სკოლის მასწავლებელი ტ. ელარხანოვი.

ოდესღაც ერთ დიდ სოფელში მდიდარი კაცი ცხოვრობდა. სიმდიდრეში ყოფნა მოსწყინდა და ბრძენ ადამიანებს ჰკითხა გამოსავალი. მათ ქერა, ცისფერთვალება, გრძელთმიანი და გრძელფეხება ქალის შერთვა ურჩიეს. მოძებნა, შეირთო და ცოტა ხანში გაღარიბდა, გამათხოვრდა, ტყეში ფიჩხს აგროვებდა. ერთხელ ტყეში დასასვენებლად შეჩერდა, დიდი ორმო დაინახა. ცოლი მოტყუებით წაიყვანა – ორმოში ოქროებია ტყეშიო და ორმოში ჩააგდო. სახლში ვერ მოისვენა, რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა ტყეში. ორმოდან გველეშაპი გამოეხმაურა: – აქ ერთი ქალი სატანა შემოგიჩნდა, მიხსენი მისგან და სამ სიკეთეს გწევო. კაცმა ამოიყვანა. გველეშაპი კაცის თხოვნით სამ სოფელს დაეხსნა და სხვა სოფლის ხალხს შეუჩნდა. ხალხმა კაცს სთხოვა დახამრება. გველეშაპთან მივიდა. მან უყვირა: – სამი თხოვნა შეგისრულე. ახლა შეგჭამო. კაცმა უთხრა: – ის ქალი ამოსულა ორმოდან და შენ გეძებსო. გველეშაპი გაიქცა და სამუდამო გადაიკარგა.

СМОМПК, 1893, განყ. 15, №2

მეფის მკვდარი ასული - ვაჭრის ქალიშვილი (გვ. 111-118).

ჩამწერი სლეპცოვსკის ორკლასიანი სასწავლებლის გამგე პ. სემიონოვი

რომელიღაც ქვეყანაში, დიდ ქალაქში, ზღვის სანაპიროსთან, ცხოვრობდა ვაჭარი, ჰყავდა ცოლი და ქალ-ვაჟი. ერთხელ ვაჭარმა საქონლით დატვირთა გემი, წაიყვანა ვაჟი და უცხო მხარეში გაემგზავრა. გზაში წერილი დააწიეს, უცნობი ცილს სწამებდა მის ცოლს - გღალატობს და ქონებას ანიავებსო. ვაჭარმა შვილი დააბრუნა, მოკალი და გული მომიტანეო. ბიჭი დაბრუნდა, შორიდან უთვალთვალა და ცუდი რომ ვერ შეამჩნია, დედას უამბო რისთვისაც იყო დაბრუნებული. დედას შეუთანხმდა, რომ მის მაგიერ დას მოკლავდა. წაიყვანა ტყის ტევში, შეეცოდა, არ მოკლა , უცხო კუნძულზე დატოვა, ძაღლის გული მიუტანა მამას. ვაჭარმა ბევრი ქვეყანა მოიარა, ივაჭრა, უკან გზაზე სინანულმა შეიპყრო, ჩაეძინა, ეგონა სიზმარში იხილა ცოლი, გამოღვიძებულმა თავის გვვერდში დაინახა, გაუხარდა, ქალიშვილიც კი აღარ მოიკითხა.

ქალიშვილი კი, მას შემდეგ რაც ძმამ მიატოვა, 12 აბრაგი ძმის სახლში მოხვდა, მათთან დარჩა, როგორც მათი დაი. დედამ გაიგო მისი ადგილსამყოფელი, მისი მოშორება მოინდომა, დედაბერი მიუგზავნა, კაბა გაატანა, ჩაიცვა ქალიშვილმა და მოკვდა. აბრაგებმა დიდი ხის წვერს გამოაბეს მისი კუბო, თავიანთთვის კი მიწა გათხარეს, ჩაწვნენ და თავი მოიკლეს.

იმ მხარეში სანადიროდ ჩავიდა მეფის ვაჟი, დაინახა ხეზე გამობმული კუბო, ნახა მიცვალებული. კუბო სახლში წააღებინა. მეფემაც ნახა, აღფრთოვანდა მისი სილამაზით, მისი დამარხვა გადაწყვიტა. მისი სადაურობის გაგება გადაწყვიტეს, კუბო გაჩხრიკეს, კაბაც გახადეს და გაიგო, გაცოცხლდა. მეფის ვაჟმა იქორწინა მასზე. ცოლთან ერთად დაბრუნდა კუნძულზე, უკვდავების წყლით გააცოცხლა ძმები. მათ კი მოკლეს მეფის ვაჟი. ბოლოს ქალიშვილი უმცროს აბრაგს გაჰყვა ცოლად.

ССКГ, 1869, №2, გვ. 9-76. აიდემირ ჩირკეევსკი, თემირ-ხან-შურაში, 1868 წ.

აქ მოტანილია ავარიელთა თქმულებების, ზღაპრებისა და იგავების 14 ნიმუში.

СМОМПК, 1888, #6, განყ. 2, გვ. 31-49. ხუთი თქმულება ადემირკანის შესახებ. ესენია: გულიე, ადემირკანის ბავშვობა, ადემირკანის დაბრუნება, ყაბარდოელთა შურისძიება, ადემირკანის სიკვდილი. აქვეა შენიშვნები ამ თქმულებებთან დაკავშირებით.

ИПК, 1903, #2, „შვიდი ვარსკვლავი“.

ССКГ, 1872, №6, გვ. 104-128. დაბეჭდილია ზღაპრები:

მკითხავი პეპელა; ნოგაიკის ქისა; მოხუცის სამი ქალიშვილი; მოხუცი მწყემსი; ერთი მოხუცის ქალიშვილი; კურდღელი და დედამისი; მგელი და დედალი მწყერი; ბაყაყი; ცოლ-ქმარი.

СМОМПК, 1886, #5, გვ.113-118, ს. სტრილეცკი, «სიმღერა ნართ აიდერმორკანზა».

ССКГ, 1870, #3. დაბეჭდილია ანეკდოტები: ცბიერი ცოლი; დოხშუკო ბგუწშოკოვი; მამის ანდერძი; ჟანბოლატი; აიდემირკანი; თავადი ამფოკო ტოსულყანოვი,

სოზირიხო, კოალას ვაჟი; გოაშა-მახო; აბად-ზეხ შურისმაძიებელი; ორი მეგობარი.

ИПК, 1903, #2, «ქვის ჯიგიტი».

ССКГ, 1869, №2, გვ.3-8. ავტორი ნ. ვ., რამდენიმე სიტყვა ავარიელთა შესახებ. აქ საუბარია ავარიელთა ენაზე.

СМОМПК, 1882, #2, განყ. 2, გვ. 121-137. ხუთი ზღაპარი: არსლან-ხანი და ბათირ-ხანი, ბულატი, თანბი, ჩუპური, თორმეტი ვაჟიშვილი.
ასევე დაბეჭდილია ხუთი გადმოცემა.

СМОМПК, 1884, #4, გვ. 25-33, გაჯი-მაგომა დებიროვი.
დაბეჭდილია: გადმოცემები, საყოფაცხოვრებო რწმენები.

ИКОИРГО, 1911-1912, ტ. 21, #2, გვ. 1, მოგზაურობა ამიერკავკასიის ოლქსა და დაღესტანში.

ССКГ, 1873, #3, გაჯი-მურად ამიროვი, «ჩრდილოეთ დაღესტნის ეთნოგრაფიული ნარკვევი».

ССКГ,1873,#7. გიმნაზიელი გაჯი-მურად ამიროვი აღწერს თავის ცხოვრებას აულში: მთიელთა ყოფას, სიხარულისა და მწუხარების გამომწვევ ამბებს, ადამიანურ ურთიერთობებს, წესჩვეულებებს. აქ ყველაფერში ჩანს მტრობა და უნდობლობა რუსების მიმართ.

ССКГ, 1873, #3, გვ.1-128, «წეს-ჩვეულებები დაღესტნური საზოგადოებისა.»
აქ საუბარია ზოგად დაღესტნურ და ცალკეულ ოლქთა წესჩვეულებებზე: მკვლელობასთან, დაჭრასთან, ჩხუბთან, კამათთან დაკავშირებული; ასევე ქალის გატაცებასთან,გაუპატიურებასთან, გარყვნილებასთან,ქურდობასთან,სხვისი ქონების დაწვასთან, გაფუჭებასთან დაკავშირებული...

ИКОИРГО, 1903, ტ. 16, #4. გვ. 1-27. კ. განი. «მოგზაურობა დაღესტნის მაღალ მხარეებში 1902 წ.» აქ მოცემულია:
ა) ამ ხალხის ყოფისათვის ნიშანდობლივი ეთნოგრაფიული ცნობები: სარწმუნოების, ჩაცმულობის, ქორწინების... შესახებ;
ბ) სიმღერის 5 ტექსტი.

ИКОИРГО, 1900, ტ. 13, #6, გვ.123-164, ვ.ვ. რადულოვიჩი, სტატიები და უწყებები, ეთნოგრაფიულ-ანთროპოლოგიური ნარკვევი.
აქ მოცემულია მოკლე შინაარსი გადმოცემისა,რომელიც ჩ. აფრიევს დაუბეჭდავს ССКГ,1875,# 8-ში: თუ როგორ დაარსდა ინგუშთა აული- არზია (არწივი) თერგის ზედა წელში, მათ გერბიც არწივის გამოსახულებით ჰქონდათ. იქ აშენებდნენ ციხე-სიმაგრეებს. მათ ტერიტორიაზე გადასახლებულან: სპარსელები, ბერ-

ძნები, ქართველები. ჩრდილოეთით და დასავლეთით კი ისინი შეერივნენ ოსებს, ყაბარდოელებს და ზნეობრივად იმდენად შეერწყნენ ჩეჩნებს, რომ ზოგი ჩეჩნებთან აიგივებს, მაგრამ მათ ჩვევებში, რელიგიაში ბევრი ისეთი თავისებურებაა შენარჩუნებული რაც მიუთითებს, რომ არ არიან ჩეჩნები. მათ მაჰმადიანურ რწმენაში დღემდეა შემორჩენილი როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანული რწმენის კვალი.

ССКГ, 1869, №2, გვ.1-24. აიდემირ ჩირკეევსკი, ეთნოგრაფიული ნარკვევი.
მოთხრობილია ყაბარდოს ოლქის მთის საზოგადოებების ქორწინების ტრადიციებზე.

ИКОИРГО, 1878, ტ.5, #3, გვ. 168-169, აქ ყაბარდოელთა ტრადიციებზეა საუბარი.

ЗКОИРГО, 1853, #4, გვ.173-193. ლ. ი. ლიულე, «საერთო შეხედულება»
ამ სტატიაში ძალიან მოკლედ მიმოხილულია ჩერქეზთა ისტორიული გადმოცემები, ლეგენდები და სიმღერები; ასევე ძალიან მოკლედ განხილულია: ლამბერტისა და დიბოუს მოსაზრებები.

ИПК, 1902, #2,» გოლიათის მთის სული.

ТЛИ, 1900, #24, ალ. ხახანაშვილის, «ჩერქეზული თქმულება მიჯაჭვულ გოლიათზე».

СМОМПК, 1886, #5, გვ.103-112, კ. მაჭავარიანი, «თქმულება თავად ომარზე».

ЗКОИРГО, 1853, #4, გვ.173-193. ლ. ი. ლიულე, «საერთო შეხედულება».
აქ ჩამოთვლილია ჩერქეზთა (ადიღეელთა) 10 განშტოება; ასევე - მათი ის ტომები, რომლებმაც თვითმყოფადობა დაკარგეს. ასევე მოცემულია მათ შესახებ გეოგრაფიული და ისტორიული ხასიათის ინფორმაციები.

ИКОИРГО, 1878, ტ. 5, #3, გვ. 156-162.
კავკასიელ ხალხებთან დღემდე შემონახულია ხეთა და კორომთა თაყვანისცემა.ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ჩერქეზთა (ადიღეელთა) და დასავლეთ კავკასიის მათ მეზობელ ხალხებთან. ჩერქეზებისთვის ყოველივე ეს თითქმის ტაძრის ფუნქციას ასრულებს.

ЗКОИРГО, 1867, #5, გვ.122-137, ჩერქეზთა ეთნოგრაფია.

ЗКОИРГО, 1862, #5, გვ. 121-137. ლ. ი. ლიული, „ჩერქეზთა რწმენები, რელიგიური წეს-ჩვეულებები, ცრურწმენები».
აქ საუბარია: ჩერქეზულ ტომთა სარწმუნოებაში ქრისტიანობის, სუნიტური სექტის რწმენების კვალზე: ისლამზე (თურქების გავლენით); ადგილობრივ ღვთაებებზე; მათთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებზე; ასევე- ცრუ რწმენებზე.

ИКОИРГО, 1876, #4, ტ. 4, გვ. 1-147, ე.ვეიდენბაუმი,1875. «შენიშვნები კავკასიელ ხალხთა მიერ ქვისა და მეტალთა გამოყენების შესახებ».

აქ საუბარია ქვის კულტზე, ღმერთის საფლავიდან გარეჯში ჩამოტანილ ქვაზე; ქვის მეშვეობით წარმოებულ თამაშებზე; ასევე - მეტალის როლსა და მნიშვნელობაზე კავკასიელ ხალხთა ყოფაში.

СМОМПК, 1883, #3, განყ. 2, გვ. 138-168, მ. ალეინიკოვი.

ხუთი თქმულება: აჩიმეზი და ხუბუნი; ემეგენი; დევლერი; ვინ არის ძლიერი; აიმუში; კარჩა.

ЗКОИРГО, 1853, #4 გვ. 180 - 193. ლ.ი.ლიული.«საერთო შეხედულება».

აქ საუბარია: უბიხებზე,ყარაჩაელებზე, ნოღაიდელებზე და იმ პერიოდისათვის უკვე უცნობ ტომებზე. მათ შესახებ მოცემულია გარკვეული ისტორიული მიმოხილვა, საუბარია მათი ენების მსგავსება-განსხვავებაზე.

ЗКОИРГО, 1853, #4, გვ. 227 -238. ლ. ი. ლიული. «ნატუხაჟებზე, შაპსუგებზე და აბაძეხებზე» სტატიაში მოცემულია მწირი ინფორმაცია მთის ხალხების: ნატუხაჟების, შაპსუგების და აბაძეხთა შესახებ.

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, #2, გვ. 69-123, ნ. ზ. პერეველი, «კავკასიის ალპების მკვიდრთა ეთნოგრაფიისათვის».

კავკასიის შედარებით მცირე ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი ხალხები ცხოვრობენ. აქ მოცემულია მათ შესახებ გარკვეული ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემები. ქართველთა, აფხაზთა და ოსთა გარდა საუბარია: ჩერქეზებზე, ჩეჩნებზე, ქისტებზე, ავარიელებზე, მთის თათრებზე, ყარაჩაელებზე, ყაბარდოელებზე, ლეზგებზე, ლეკებზე, დიდოელებზე, კაზიკუმებზე, თათებზე...

ИКОИРГО, 1905, ტ. 18, #2, გვ. 93-123, ნ. ზ. პერეველი.

სტატიაში საუბარია: აფხაზებზე, ჩერქეზებზე, ყაბარდოელებზე, ოსებზე, ლეკებზე, დაღესტნელებზე.

ССКГ, 1873, #3, აქ დაბეჭდილია დარგილური ხუთი თქმულება მოლა ნასრედინზე.

ИКОИРГО, 1888, ე. გ. ვეიდენბაუმი, «კავკასიის გზამკვლევი».

შემოკლებათა განმარტებანი:

ИКОИРГО – Известия Кавказского отдела императорского Русского географического общества (1872-1917).

ИПК – Иллюстрированное приложение к газете „Кавказ“ (1902-1905).

К – Кавказ (1846-1918).

СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (1881-1927).

ССКГ – Сборник сведений о Кавказских горцах (1867-1876).

ТЛИ – Иллюстрированное прибавление к газете „Тифлисский листок“ (1899-1903).

1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა

კვლევები და ანოტირებული ბიბლიოგრაფია

ანოტაციის შემდგენლები:
ნინო ბალანჩივაძე, ნესტან რატიანი, მარინე ტურაშვილი,
რუსუდან ჩოლოყაშვილი, ეკა ჩხეიძე,
ქრისტინე ცირეკიძე, თემურ ჯაგოდნიშვილი.